



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

**ენათა ფლობის
ზოგადევროკულო კომპეტენციები:
შესწავლა, სწავლება, შეფასება**

მომხმარებელთა გზამკვლევი

სოფი ბელი, შონ დევიტი, მარი-ხოსე გრემო. ფრენკ ჰეივორტი,
ენდი ჰოპკინსი, ბარი ჯოუნსი, მაიკ მაქოში, ფილიპ რილი,
ჯეი სტოქსი და ჯონ თრიმი (რედაქტორი)

Language Policy Division, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება, სტრასბურგი

Language Policy Division

DG IV – Directorate of School, Out-of-School and Higher Education

Council of Europe, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება

IV განყოფილება - ევროპის საშუალო, საშუალო-სწრაფი და უმაღლესი განათლების დირექტორატი, სტრასბურგი

[www.coe.int / lang](http://www.coe.int/lang)

© Council of Europe, 2003

© „საინფო“, 2008

თარგმანი ანო მემუარისა

რედაქტორი: მარიაკა ოქელი

ნაშრომი ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილებისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის ურთიერთობების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის („კონცეპტუალური მასალის თარგმანი მულტილინგუური სწავლების ხელშესაწყობად“) ფარგლებში.

გამომცემლობა „საინფო“

თბილისი, 2008

შინაარსი

თემა I - ყველა მომხმარებლისათვის - - - - -	5
თავი 1 – გზამკვლევი ყველა მომხმარებლისათვის - - - - -	6
ნაწილი 1 – <i>კომპეტენციები</i> პოლიტიკურ და საგანმანათლებლო კონტექსტში - - - - -	6
ნაწილი 2 – შერჩეული მიდგომა - - - - -	17
ნაწილი 3 – ზოგადი კომპეტენციების დონეები – - - - -	20
ნაწილი 4 – ენის გამოყენება და ენის მომხმარებელი / შემსწავლელი - - - - -	23
-	
ნაწილი 5 – მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციები - - - - -	30
- -	
ნაწილი 6 – ენის სწავლისა და სწავლების პროცესები - - - - -	39
ნაწილი 7 – დავალებები და მათი როლი ენის სწავლებაში - - - - -	45
ნაწილი 8 – ენობრივი მრავალფეროვნება და კურიკულუმი - - - - -	45
ნაწილი 9 – შეფასება - - - - -	47
თემა II: სწავლა / სწავლების პროცესის უშუალო მონაწილეთათვის - - - - -	51
-	
თავი 2 – გზამკვლევი ზრდასრული შემსწავლელთათვის - - - - -	52
ნაწილი 1 – მოთხოვნათა ანალიზი - - - - -	52
ნაწილი 2 – გაგებისა და გამოსატვის უნარები - - - - -	54
ნაწილი 3 – შრომის ორგანიზაცია - - - - -	56
ნაწილი 4 – მეთოდოლოგია - - - - -	62
ნაწილი 5 – შეფასება - - - - -	69
ნაწილი 6 – სწავლის ნაირსახეობანი - - - - -	71
თავი 3 – გზამკვლევი მასწავლებლებისა და შემსწავლელთათვის - - - - -	74
ნაწილი 1 – კომუნიკაციის ასპექტები - - - - -	75
ნაწილი 2 – უნარები და კომპეტენციები - - - - -	80
ნაწილი 3 – ენის გამოყენების ცოდნა - - - - -	84
ნაწილი 4 – დავალებები და ტექსტები - - - - -	87
ნაწილი 5 – ენის შესწავლა და სწავლება - - - - -	91

თავი 4 – გზამკვლევი მასწავლებლებისა და მასწავლებელთა ტრენინგებისათვის (დაწყებითი და საშუალო) - - - - -	100
ნაწილი 1 – კომპეტენციები პოლიტიკურ და საგანმანათლებლო კონტექსტში - - - - -	101
ნაწილი 2 – შერჩეული მიდგომა - - - - -	102
ნაწილი 3 – ზოგადი კომპეტენციების დონეები - - - - -	107
ნაწილი 4 – ენის გამოყენება და ენის მომხმარებელი / შემსწავლელი - - - - -	107
-	
ნაწილი 5 – მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციები - - - - -	115
- -	
ნაწილი 6 – ენის შესწავლა და ენის სწავლება - - - - -	117
ნაწილი 7 – დავალებები და მათი როლი ენის სწავლებაში - - - - -	125
ნაწილი 8 – ენობრივი მრავალფეროვნება და კურიკულუმი - - - - -	127
ნაწილი 9 – შეფასება - - - - -	128
თემა III: ენობრივი განათლების დაგეგმვაში, ორგანიზებაში, მიწოდებასა და ხარისხის შეფასებაში მონაწილეობისათვის - - - - -	137
თავი 5 – კურიკულუმის შედგენა და მიმოხილვა სასკოლო სექტორისათვის - - - - -	140
თავი 6 – კურიკულუმის ორგანიზება და მიწოდება - - - - -	154
თავი 7 – ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი ენის შესწავლასა და სწავლებაში - - - - -	166
თემა IV - სასწავლო მასალების შემუშავებასა და შერჩევაში მონაწილეობისათვის - - - - -	187
თავი 8 – მომხმარებელთა გზამკვლევი სახელმძღვანელოსა და მასალების ავტორებზე - - - - -	188

თემა I

ყველა მომხმარებლისათვის

შესავალი

აღნიშნული გზამკვლევის მიზანია დახმარება გაუწიოს ენის სწავლების პროცესში მონაწილე ყველა ადამიანს, ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასების ზოგადევროპული კომპეტენციებით (*კომპეტენციები*) სრულად სარგებლობისათვის. იგი ცვლის მომხმარებელთა ზოგად გზამკვლევს (CC-LANG) და ათი სპეციალიზებული გზამკვლევის სერიას (CC-LANG (96) 9-18). პირველი თავი გათვლილია ყველა სახის მომხმარებელზე. მომდევნო თავები ეძღვნება ცალკეული კატეგორიის მომხმარებელთა სპეციფიკურ ინტერესებს. თავი 2 გათვლილია საკლასო ოთახში ენის სწავლების პროცესში უშუალოდ მონაწილე პირებზე: მასწავლებლებზე, მასწავლებელთა ტრენერებზე და გარკვეული კუთხით, თვით ენის შემსწავლელებზეც. თავი 3 ეძღვნება პირებს, რომლებიც მოღვაწეობენ საკლასო ოთახის ფარგლებს გარეთ, მაგრამ რომელთა გადაწყვეტილებებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესზე: აღმასრულებელი პირები განათლების სფეროში, ადმინისტრატორები, ორგანიზატორები და კურიკულუმის შემუშავებასა და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პირები. თავი 4 მეგზურობას სთავაზობს ყველას, ვინც მონაწილეობს ენის სახელმძღვანელოების და სხვადასხვა სასწავლო მასალების შემუშავებაში. თავი 5 გათვლილია ენის შემსწავლელთა უფროსი ასაკის კატეგორიაზე, რომელსაც უშუალოდ შეუძლია *კომპეტენციებით* სარგებლობა. სავარაუდოდ, ამ გზამკვლევით ისარგებლებენ სკოლის მოსწავლეებიც მასწავლებელთა უშუალო შუამდგომლობით და ამიტომ მათ ეხებათ თავი 2.

მომხმარებელთა უმრავლესობა შეიძლება ერთდროულად რამდენიმე კატეგორიას მივაკუთვნოთ. სკოლის ინსპექტორები, რა თქმა უნდა, დაკავშირებულნი არიან ხარისხის კონტროლთან. მათ შეიძლება გააჩნდეთ სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები, მაგრამ უშუალო შეხება აქვთ საკლასო მეთოდოლოგიასთან. ხშირია პრაქტიკოსი მასწავლებლების მოწვევაც, სახელმძღვანელოების დამატებითი მასალებით შევსებისა და ცალკეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოიცავს კურიკულუმების კონტროლსა და ხარისხის უზრუნველყოფას. თავები 2-5 ორმაგი ფუნქციის მატარებელია. პირველი სახავს გზებს მომხმარებელთა მიერ პროფესიულ საქმიანობაში *კომპეტენციებით* სარგებლობისათვის. მეორე არსებული სტანდარტის დანამატია, კონკრეტულ სპეციალობასთან სპეციფიკური მისადაგების თვალსაზრისით.

თავი I

ჯონ ტრიმი

გზამკვლევი ყველა მომხმარებლისათვის

ახლა შეგიძლია *კომპეტენციები* უფრო დაწვრილებით განვიხილოთ – თავებისა და განყოფილებების თანამიმდევრობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მოცემული თავი ეყრდნობა *კომპეტენციების* თანამიმდევრობასა და ნუმერაციას. შესაბამისად, 6.1.3.4. შემდგენიერად იშიფრება: თავი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 3. სათაური 4.

უცხო ენის ფლობის ზოგადევროკუული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება

შესავალი

კომპეტენციების შესავალი გვერდები მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, სარჩევს გვერდების ნუმერაციით. შესავალ შენიშვნაში მოხსენიებულია ყველა პირი და დაწესებულება, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს *კომპეტენციების* შემუშავებაში დროის 10-წლიან მონაკვეთში. მომდევნო სამი გვერდი შენიშვნებით მომხმარებლისათვის, წაკითხულ უნდა იქნეს მოცემული გზამკვლევის გაცნობამდე. დაბოლოს, თავების შინაარსისა და დანართების მიმოხილვა მითითებას გვაძლევს, თუ სად მოვიძიოთ ესა თუ ის ინფორმაცია. აღნიშნულით სარგებლობა მომხმარებლებს შეუძლიათ წიგნის დაკაბადონების პრინციპებთან გაცნობის პროცესშიც.

ნაწილი 1: კომპეტენციები პოლიტიკურ და საგანმანათლებლო კონტექსტში

პირველი თავიც შესავლის ხასიათს ატარებს, რაც მომხმარებელს ნათელ წარმოდგენას უქმნის ზოგადად *კომპეტენციებსა* და მის მიზნებზე, ასევე, მის ადგილზე ევროპის საბჭოს მიერ თანამედროვე ენების მიმართ შემუშავებული პოლიტიკის კონტექსტში.

1. 1. რა არის კომპეტენციები?

მომხმარებლებს ვთხოვთ გაეცნონ ამ ზედმიწევნით შეჯამებას, რაც ნათელს მოჰყენს *კომპეტენციების* შინაარსსა და მიზნებს.

ევროპის საბჭო

მომხმარებლებმა, რომელთაც შეხება არ ჰქონიათ აღნიშნულ საბჭოსთან, შესაძლოა სასარგებლოდ სცნონ გარკვეული ინფორმაცია მის სტრუქტურასა და ფუნქციებზე.

დაფუძნებული 1949 წლის 5 მაისს, ათი დამფუძნებელი წევრი სახელმწიფოს მიერ, ევროპის საბჭო უძველესი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციაა.

ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია ევროპის საბჭოში გაწევრიანება იმ პირობით, თუ აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს და საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, ნებისმიერი პირისათვის წარმოადგენს გარანტს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისათვის.

ამჟამად ევროპის საბჭოს შემადგენლობაში ორმოცდასამი წევრი სახელმწიფოა: სომხეთი, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდავეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, შვედეთი, შვეიცარია, „ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკა“, თურქეთი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

ევროპის საბჭო წარმოადგენს სამთავრობათშორისო ორგანიზაციას, რომლის ძირითადი მიზნებია:

* ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა;

* ევროპული კულტურული იდენტურობის შეგნების ხელშეწყობა და მისი განვითარების სტიმულირება;

* ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებზე ერთიანი პასუხების მოძიება (უმცირესობები, ქსენოფობია, გარემოს დაცვა, ბიოეთიკა, შიდსი, ნარკომანია, ა.შ.);

* ევროპის ახალ დემოკრატიებთან პარტნიორობის განვითარება; და

* ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თანადგომა პოლიტიკურ, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფორმების გზაზე.

ევროპის საბჭო ეხმარება ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ ყველა აქტიურ საკითხს, თავდაცვის სფეროს გამოკლებით. მისი სამუშაო პროგრამა მოიცავს შემდეგ სამოღვაწეო სფეროებს: ადამიანის უფლებები, მედია, საკანონმდებლო თანამშრომლობა, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, მემკვიდრეობა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობა და გარემო.

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოა. შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მუდმივი წარმომადგენლებისაგან. სათათბირო ორგანოს წარმადგენს საპარლამენტო ასამბლეა, რომლის წევრებიც ინიშნებიან ეროვნული პარლამენტების მიერ.

ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ აღმასრულებელ პირთა კონგრესი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას. ამგვარად, მთავრობები, ეროვნული პარლამენტები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

ევროპის საბჭოს მიერ გაწეული შრომის შედეგად ვღებულობთ ევროპულ კონვენციებსა და შეთანხმებებს, რომელთა გათვალისწინებითაც ხდება წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზება და შესწორება. ზოგიერთ კონვენციასა და შეთანხმებას შესაძლებელია შეუერთდნენ არაწევრი სახელმწიფოებიც. მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში ჩატარებული კვლევები და სამუშაო სრულად ხელმისაწვდომია მთავრობებისათვის და ეხმარება მათ ერთობლივ მუშაობაში, ევროპის სოციალური პროგრესის სტიმულირების თვალსაზრისით.

ევროპის საბჭო დებულობს ცალმხრივ შეთანხმებებსაც, რომელთაც „ცვალებადი გეომეტრიული“ თანამშრომლობის სახე აქვს და ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, სხვათა თანხმობით, განახორციელონ საერთო ინტერესებში შემავალი გარკვეული ქმედებები.

ევროპის კონვენცია კულტურულ თანამშრომლობაზე ქმნის ჩარჩოს ევროპის საბჭოს მოღვაწეობისათვის განათლების, კულტურის, მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში, რომელიც იმართება კულტურული თანამშრომლობის საბჭოს მიერ. მისი საგანმანათლებლო პროგრამა, განათლების კომიტეტის ზედამხედველობით, მოიცავს თანამედროვე ენების პროექტებს, რომელთაც ახორციელებს IV გენერალური დირექტორატის თანამედროვე ენების განყოფილება: განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და გარემოს დაცვა (DECS). ორმოცდასამი წევრი სახელმწიფოს გარდა, აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა კიდევ ოთხი სახელმწიფო: ბელორუსია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, წმინდა ზღვა და მონაკო

ევროპის საბჭოს ძირითადი ვებგვერდი: <http://www.coe.int>

ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებგვერდებია: <http://www.culture.coe.int/lang> და <http://www.culture.coe.int/portfolio>

ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ვებგვერდი: <http://www.culture.coe.int/ecml>

1. 2. ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

ევროპის საბჭომ ენერგიულად წასწია წინ თანამედროვე ენების სწავლება მას შემდეგ, რაც 1950-იანი წლების მიწურულს დაარსდა კულტურული თანამშრომლობის საბჭო. იმ ხანად, ბევრ ქვეყანაში თანამედროვე ენები ჯერ კიდევ კლასიკური ენების გადმოსახედიდან ისწავლებოდა, როგორც ინტელექტუალური, კულტურული ან სოციალური ელიტის განათლების შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე ენები, მეტწილად, საჭირო იყო დიპლომატიასა და კომერციაში. სხვათაშორის, საერთაშორისო კომუნიკაცია, ძირითადად, პროფესიონალი თარჯიმნებისა და მთარგმნელების მიერ გამოიყენებოდა. 1960 წლისთვის ევროპა აღსდგა II მსოფლიო ომის შემდეგ და ევროპული საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის დაწყება საგრძნობი გახდა, მოახდინა რა ზეგავლენა ყველა კლასისა და ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობაზე. ბოლო ორმოცი წელია, აღნიშნული პროცესი გრძელდება და აქსელირდება, საჭიროებს რა სრულყოფას, ჯერ კიდევ მოკლებული ენის შესწავლის, სწავლების და შეფასების სოციალური ორგანიზების სიღრმისეულ რეორიენტაციასა და გარდაქმნას.

1. 2. 1. საკომუნიკაციო უნარების მზარდი საჭიროება ენობრივი საზღვრების გადმოსახედიდან

მსოფლიო მასშტაბით საზოგადოება სიღრმისეული გარდაქმნის პროცესშია. სამეცნიერო აღმოჩენები სულ უფრო დაჩქარებული ტემპით გვაძლევს ღრმა და დეტალურ ცოდნას იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ. კვლევაზე დაფუძნებული ინდუსტრიული დარგები სულ უფრო მზარდად იყენებენ ამ ცოდნას ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტთან მიმართებაში. მაგალითად, ბოლო წლებში საკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარება გასცდა ჩვენი წარმოდგენის ფარგლებს. არა მხოლოდ ადამიანის გადაადგილებამ და ტვირთების ტრანსპორტირებამ გახდა საერთაშორისო მობილურობა ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად, არამედ ელექტრონიკის წყალობით ინფორმაციისა და აზრების ვირტუალური გადაცემა წამებით განისაზღვრება და აღარ ექცევა გეოგრაფიულ ჩარჩოებში. ამასთან, ინდივიდებს ყველგან უხმობენ საკუთარი აზრების, უნარებისა და საქმიანობის შეცვლილ და ცვალებად გარემოსთან მისადაგებისათვის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტების მსგავსად, რომელთა ტრადიციული სტრუქტურა და საქმიანობა გამოუსადეგარი ხდება მიმდინარე გარდაქმნის პირობებში.

ბუნებრივია, ასეთი წინეხისაგან არც განათლების სფეროა დაცული. მართლაც, ისინი, ვინც ემსახურებიან ახალგაზრდების განათლებას, პასუხისმგებელი არიან მათ იმგვარად მომზადებაზე, რაც შესაძლებელს გახდის ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრებისეულ გამოწვევასთან გამკლავებას და მოცემული შესაძლებლობით სარგებლობას. ყველა დონეზე, სწორედ მასწავლებლები უნდა ზრუნავდნენ ასეთი გამოწვევებისა და შესაძლებლობის განჭვრეტისათვის. თუ აღებული კურსი კვლავაც გაგრძელდა, მისი შემადგენელი ნაწილი აუცილებლად იქნება:

1. 2. 1. 1. გაზრდილი პიროვნული მობილურობა

შრომის სფეროში დასაქმებულ პირთა მზარდი პროპორცია, სავარაუდოდ, იმუშავებს მრავალეროვნულ კორპორაციებსა და კონსორციუმებში პირდაპირი შერჩევის გზით ან კორპორაციათა შერწყმის, შეერთებისა და საკონტრაქტო ვალდებულებების შედეგად. შესაბამისად, მათ შეიძლება დასჭირდეთ მრავალეროვნული სამუშაო ენის გამოყენება ან კარიერის გარკვეულ ეტაპზე სტუმრის ან დროებითი რეზიდენტის სტატუსით საზღვარგარეთ ცხოვრება. თუ ისინი ამას ვერ შესძლებენ, შესაძლოა შეიზღუდონ ან გაირიყონ პროფესიული გაგებით. მაშინაც კი, როცა მათ მოგზაურობა არ მოეთხოვებათ, ენის გამოყენება პროფესიულ დონეზე შეიძლება გარდაუვალი გახდეს უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობისას ან უცხოელ სტუმრებთან მზარდი გასართობი ინდუსტრიის ჭრილში საკომუნიკაციოდ. უფრო მეტიც, საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები მოიცავს საერთაშორისო ბაზრების ოპერირებას და კაპიტალის მოძრაობას გლობალური მასშტაბებით, ყველა სახელმწიფო და ენობრივი საზღვრების გადალახვით, და მოითხოვს მყისიერად რეაგირებას ელექტრონული მედიის საშუალებით.

საგანმანათლებლო სფეროში მოსწავლეთა სულ უფრო მზარდი რაოდენობა, გარკვეულ ეტაპზე, სკოლაში საზღვარგარეთ ივლის, მშობლების პროფესიული მობილურობის შედეგად. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო მეტი სტუდენტი საჭიროდ ჩათვლის საკუთარი სპეციალიზაციის გასადრმაველად უცხოურ უნივერსიტეტში სწავლას. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყველა დონეზე სხვადასხვა ენობრივი ჯგუფების სტუდენტურ ნაკადებთან ექნებათ შეხება და ამიტომაც, უფრო მეტი სკოლა, კოლეჯი და უნივერსიტეტი შეიძლება გახდეს მრავალეროვნული, ხოლო პრაქტიკაში – მრავალენოვანი (მულტილინგუური). დაბოლოს, თავისუფალ დროს მოგზაურობა, რაც უეჭველად გასცდება ტურისტული პაკეტების ფარგლებს, დამოუკიდებლად მოგზაურობის ფორმას მიიღებს პიროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და ენობრივი საზღვრების გადმოსახედიდან, ერთი – ერთზე კომუნიკაციის ჩათვლით.

1. 2. 1. 2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლა ცოდნის შესამჩნევ ზრდას განაპირობებს. ორივე სფეროში, ისევე როგორც სხვა განხრებში, ჯგუფები და ინდივიდები ერთსა და იმავე პრობლემებზე მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნებში. მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს მათ შორის კონკურენციას, თანამშრომლობა მიღწევათა შესახებ ინფორმაციის სწრაფი მიწოდების უზრუნველსაყოფად, არსებითი მნიშვნელობისაა. ინფორმაციის დიდი ნაწილი ეფემერულია, საჭიროა მხოლოდ ერთ კონკრეტულ მომენტში და მალევე იცვლება. სიჩქარე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, შესაბამისად, ითარგმნება ამ ინფორმაციის შედარებით მცირე ნაწილი. სპეციალისტები ქმნიან საკომუნიკაციო ქსელებს, სახელმწიფო და ენობრივი საზღვრების გადმოსახედიდან. პირი, რომელსაც არ შეუძლია კომუნიკაცია აღნიშნული ქსელის ფარგლებში, სწრაფად განიცდის იზოლაციას და ჩამორჩება. მარტოდ მომუშავეთა არეალი სულ უფრო მცირდება. ყველა სფეროში საერთაშორისო კონგრესები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კოლოკვიუმები და სემინარები მზარდ მნიშვნელობას იძენს. დამსწრეთა რაოდენობა იცვლება რამდენიმე პირიდან რამდენიმე ათასამდე. ასეთი კონფერენციები და კონგრესები იზიდავს მონაწილეებს სხვადასხვა ქვეყნიდან და მხოლოდ ცალკეულ უმცირესობებს შეუძლიათ მშობლიურ ენაზე ურთიერთობა. დამწყებ დონეზეც კი, სტანდარტული სახელმძღვანელოების არსებობა დროში შეზღუდულია. ამიტომაც, სულ უფრო საჭიროა კითხვა ორიგინალში და არა თარგმნილი ვერსიის მოლოდინი. ეკონომიკური ზეწოლა გამომცემლებზე, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტთა ბიუჯეტებზე – გამომცემლებს აიძულებს შეამცირონ საცალო ღირებულება, ტირაჟის გაზრდის ხარჯზე. ეს განაპირობებს ზეწოლას იმ გაგებითაც, რომ ასეთი გამოცემა უნდა დაიბეჭდოს საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გამოყენებულ ყველაზე გავრცელებულ ენაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის დინება სწრაფი და ძირეული გარდაქმნის პროცესშია, რასაც განაპირობებს ელექტრონული რევოლუცია და ინფორმაციის არსე-

ბობა კომპიუტერულ ეპოქაში. მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელიც ყველგან არსებული ინტერნეტის ნაწილია, სასურველი ფორმა ხდება ისეთი ინფორმაციის შესანახად, რომელიც ეფემერულია ან ხშირ განახლებას საჭიროებს. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც პერსონალური კომპიუტერი აქვს, შეუძლია სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს ამა თუ იმ სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა სპეციალისტების მიერ ჩადებული ინფორმაცია და სურვილის შემთხვევაში, ამოებჭლოს კიდევ ის. დიდ ბიბლიოთეკებში დაცული მასალა შესაძლებელია, დროდადრო გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადოთ, პატარა დისკების (CD-ROM) საშუალებით, ადგილისა და ხარჯის მნიშვნელოვანი დაზოგვით და ხშირად რეგულარული განახლების პირობითაც.

გარდაქმნის ტემპი საბოლოო შედეგის განჭვრეტის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ სავსებით მოსალოდნელია, რომ ის რაც ამ ეტაპზე მაღალპროფესიულად განიხილება, სულ მცირე ხანში პრიმიტიულად მივიჩნიოთ. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო მასშტაბი გლობალურია, კომერციული სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მსხვილმასშტაბიან ოპერაციაზე და არღვევს ყველა არსებულ საზღვრებს. იგივე ითქმის გართობის სფეროზეც, სადაც სატელევიზიო ტელევიზიის არსებობა საშუალებას აძლევს მაყურებელს გადაცემები სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღოს.

1. 2. 1. 3. ურთიერთობა და ტოლერანტობა

ზემოხსენებული ცვლილებები შედეგობრივად აისახება უამრავი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მსოფლიო მასშტაბით. ეს, ალბათ, განსაკუთრებით ევროპაშია შესამჩნევი, სადაც ცვლილებებით მიღებული შედეგები, თავდაპირველად, მემკვიდრეობითი კულტურისა და ენების მქონე ხალხთა წინააღმდეგობას აწყდება. ბევრი ადამიანისათვის მზარდად ინტერაქტიული ევროპული საზოგადოების მიერ მოტანილი გამოწვევები და ხელსაყრელი შესაძლებლობები საინტერესო პერსპექტივაა. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ამ ყველაფერს უფრო მუქარად მიიჩნევენ, ვიდრე პირობად. კერძოდ, საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ ესმით მიმდინარე ცვლილებები და სათანადოდ მომზადებულნი არ არიან მათზე რეაგირებისათვის. იმიტომ, მიიჩნევენ რომ მათი არსებობა საფრთხეშია, ისევე როგორც მათი იდენტურობა, რომლისთვისაც საშიშროებას წარმოადგენს უცხო ძალების არაკონტროლირებადი ქმედებები. მათ მიაჩნიათ, რომ მათ ცხოვრებაში იჭრება უცხო წეს-ჩვეულებები და საქმიანობა და თანდათანობით ანგრევს სტაბილურ დაბალანსებულ ადგილობრივ საზოგადოებას, რაც განზოგადების სხვადასხვა ჭრილში ადრეც არსებულა. ამგვარ შემთხვევაში ხალხი, რომელთა ცოდნა-გამოცდილება გარეშე სამყაროსთან მიმართებაში მცირეა, შეიძლება დავარწმუნოთ, რომ გარეშე პირები, კერძოდ კი, უცხოელები პასუხს აგებენ შექმნილ სირთულეებზე. უარყოფითი სტერეოტიპების გაძლიერება შეიძლება განაპირობონ უსინდისო და საშიშმა ადამიანებმაც. საზოგადოებათაშორისი შიშისა და სიძულვილის უსიამოვნო ფორმები შეიძლება ძალადობრივ უკუდარტყმად იქცეს მჭიდრო ევროპული და გლობალური თანამშრომლობისათვის. საუკეთესო დაცვას რასიზმისა და ქსენოფობიის ასეთი ფორმებისგან წარმოადგენს ცოდნა, უცხო სამყაროში უშუალოდ მიღებული გამოცდილება, ცხოვრების გაუმჯობესებული პირობები და საკომუნიკაციო უნარები.

მობილურობის საჭიროება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ურთიერთგაგებასა და ტოლერანტობასთან ერთად, ქმნის ეფექტურ საკომუნიკაციო უნარებს, ენობრივი საზღვრების გადმოსახედიდან, რაც შეუცვლელი იარაღია ხვალინდელი მოქალაქის ხელში, გარდაქმნილი ევროპული საზოგადოების გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან შესახვედრად.

1. 2. 2. რას აკეთებს ევროპის საბჭო ენის შესასწავლად?

ევროპის საბჭომ საწყის ეტაპებზევე სცნო ენის სწავლების უწყვეტობის მნიშვნელობა. მრავალი წლის მანძილზე, სხვადასხვა პროექტების საშუალებით, მან უზრუნველყო ფორუმი, პოლიტიკის შექმნაში უშუალო მონაწილეთა და მასწავლებელთა, აგრეთვე მასწავლებელთა ტრენერებისა და მხარდამჭერი სამსახურების ერთობლივი

მოდვაწობისათვის, პოლიტიკის შემუშავებისა და მისი კონკრეტულ მიზნებად და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო პრაქტიკული გზების დასახვისათვის.

საბჭო ეხმარება წევრ სახელმწიფოებს რეფორმების გატარებაში და სტიმულს აძლევს ნოვაციებს, ენის სწავლებასა და მასწავლებელთა ტრენინგის საქმეში. ზოგადად, ის აადვილებს საერთაშორისო გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის თავმოყრას და ხელს უწყობს, ერთობლივ, შემსწავლელზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული, საერთო პრინციპების გათვალისწინებით, მიზნები, შინაარსი, შესწავლა, სწავლება და შეფასება.

ევროპის საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპაში ენობრივი მრავალფეროვნების ხელშეწყობას და მხარში უდგას წევრ სახელმწიფოებს დამკვეთი ინსტრუმენტების შექმნაში, რათა წინ წასწიოს თითქმის ოცდაათამდე ეროვნული და რეგიონული ენის სწავლება: დამატებით მიღებულ იქნა „რეგიონული ანუ უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“, ამ ენების როგორც ევროპის მდიდარი ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის სასიცოცხლო ასპექტის დაცვისა და განვრცობის მიზნით.

1. 2. 3. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები

ყოველ ათ წელიწადში ერთხელ საბჭოს მუშაობის შედეგებით იქმნება მინისტრთა საბჭოს შერეული რეზოლუცია წევრი სახელმწიფოებისათვის. მას არ გააჩნია დირექტივის ძალა, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეროვნული პოლიტიკის განვითარებაზე მომდევნო წლებში. მაგალითად, რეზოლუცია (82)12 ფასდაუდებელი აღმოჩნდა ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა ჰეგემონიის მოხსნის შემდეგ, სახელმწიფო ენის სწავლების პოლიტიკის ორიენტირის შესაცვლელად. ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი რეკომენდაციები მოცემულია *კომპეტენციების მუხლში 1.2.*

1. 2. 4. ზოგადევროპული კომპეტენციები და ენობრივი პოლიტიკა

თვით *კომპეტენციები* არ არის პოლიტიკური დოკუმენტი, როგორც ამას ცხადყოფს მუხლი 1.6. მის მიზანს წარმოადგენს არა პოლიტიკური გზამკვლევის შექმნა, არამედ ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასების ყველა ასპექტთან მიმართებაში აზრთა ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. მსჯელობა და აზრთა ურთიერთგაცვლა პოლიტიკის საკითხების ირგვლივ, ეროვნულ და სხვა დონეებზე, დაწყებული საკლასო ოთახით, დამთავრებული საერთაშორისო საზოგადოებით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ აღმასრულებელი პირებისათვის, არამედ საზოგადოებისა და ყველა იმ პირისათვის, რომელიც მასწავლებლის პროფესიას ემსახურება. დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმირებული და ვითარებაში გარკვეული საზოგადოების აზრი, არსებითი მნიშვნელობისაა, პოლიტიკის სწორად ფორმირებისა და წარმართვის საქმეში. აქედან გამომდინარე, ყველას ვინც სარგებლობს *კომპეტენციებით*, ვთხოვთ ყურადღებით განიხილონ ეროვნული პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

1. რა პრინციპით განისაზღვრება ენების შერჩევა და მათი რაოდენობა კურიკულუმში?
2. არსებობს თუ არა სახელმწიფო ენის პოლიტიკა?
3. რა განაპირობებს ამ გადაწყვეტილებას?
4. აქვს თუ არა ყველა ბავშვს შესაძლებლობა მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე? უმრავლესობის წარმომადგენელ ბავშვებს ეძლევათ თუ არა საშუალება ისწავლონ უმცირესობათა ენები?
5. არის თუ არა თანამედროვე ენები:
 - * სავალდებულო
 - * არჩევითი განათლების ყველა ეტაპზე:
 - სკოლამდელი;
 - დაწყებითი;
 - საბაზო, საშუალო;
 - უმაღლესი;

- შემდგომი;
 - ზრდასრულთა;
- რა ნაბიჯები იდგმება განვითარების მდგრადობის და თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად?
6. რა პრინციპით განისაზღვრება გადაწყვეტილებები კურიკულუმში უცხო ენის შესწავლისათვის გამოყოფილ დროსთან დაკავშირებით?
 7. რა პრინციპებით განისაზღვრება პოლიტიკა იმასთან მიმართებაში თუ რა დონეზე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ა) ეროვნულ; ბ) რეგიონულ; გ) ადგილობრივ თუ დ) სკოლის დონეზე?
 8. რა ნაბიჯები იდგმება თანამიმდევრულობის დასაცავად ა) სასწავლო გეგმათა ამოცანების; ბ) სასწავლო მეთოდების; გ) სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების, აგრეთვე, დ) გამოცდებისა და კვალიფიკაციის ამბავების საკითხებში?
 9. რა პრინციპებს ეფუძნება სახელმწიფო ენის უზრუნველყოფა?
 - ა) ეკონომიკური მოთხოვნები (მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობა, ტურიზმი);
 - ბ) დიპლომატიური ურთიერთობები;
 - გ) ზეწოლა მშობლების მხრიდან;
 - დ) კულტურული ღირებულებები;
 - ე) ტრადიციები
 10. არიან თუ არა სხვადასხვა მინისტრები და სამინისტრო უწყებები პასუხისმგებელი საგანმანათლებლო უზრუნველყოფის სხვადასხვა სექტორებზე?

თუ ეს ასეა, რა ნაბიჯები იდგმება მათ მიერ წარმოებული პოლიტიკის თანამიმდევრულობის დასაცავად?

 11. რა ნაბიჯები იდგმება, რათა შესრულდეს:
 - ა) უმცირესობათა ან რეგიონული ენების ევროპული ქარტია
 - ბ) ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენცია;
 - გ) ჰააგის რეკომენდაცია – ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო უფლებებთან დაკავშირებით.
 - დ) ენობრივი უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (არაოფიციალური, მაგრამ იუნესკოს მიერ დაფინანსებული)
 12. მიმდინარეობს თუ არა ეთნიკურ ენებზე სწავლება მათთვის, ვისთვისაც ეს ენები მშობლიურია
 - ა) როგორც გარდამავალი ეტაპის ზომა
 - ბ) საგანმანათლებლო პროცესის შემდგომ ეტაპებზე?
 13. აქვს თუ არა მხარდაჭერა უმცირესობათა ენების შესწავლას კურიკულუმების ფარგლებს გარეთ?
 14. რა მხარდაჭერა აქვს ენის შესწავლას ზრდასრული ადამიანების განათლებაში?
 15. ეხება თუ არა სამინისტროს ღირეპქტივები კურიკულუმებთან დაკავშირებით:
 - ა) ენებს, რომლებიც უნდა ასწავლონ;
 - ბ) ამოცანებს, რომლებიც უნდა შესრულდეს;
 - გ) მიდგომას, რომელიც უნდა შეირჩეს;
 - დ) მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს;
 - ე) სასწავლო მასალებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს;
 - ვ) კვალიფიკაციას, რომელიც უნდა მიენიჭოს;
 - ზ) ტესტებისა და გამოცდების შინაარსსა და პროცედურებს; ღირეპქტივები სავალდებულოა თუ არჩევითი? რა პრინციპებს ეფუძნება ღირეპქტივები?
 16. აქვს ენის სფეროში საგანმანათლებლო კვლევას ხელშეწყობა და დაფინანსება სამინისტროს მხრიდან? რა ნაბიჯები იდგმება იმისათვის, რომ კვლევითი შედეგები მოექცეს ადმინისტრაციისა და სხვა პროფესიონალების ყურადღების ცენტრში?

17. ხდება თუ არა მინისტრთა კომიტეტის მიერ თანამედროვე ენებთან მიმართებაში

შემუშავებული რეკომენდაციების (69)2, (81)19, (97)6 მიღება და გათვალისწინება ეროვნული (ან სამინისტროს) პოლიტიკის ფორმირებისას? რა ნაბიჯები იდგმება იმისათვის, რომ მინისტრთა კომიტეტის აღნიშნული რეკომენდაციები მოექცეს ენის მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში?

18. გამოიყენება თუ არა სახელმძღვანელოებში, კურსის შედგენისას ან საკვალიფიკაციო გამოცდებში ევროპის საბჭოს მიერ ოცდასამი ევროპული ენისათვის განსაზღვრული ენის სწავლის ამოცანები (ელემენტარული, ზღვრული დონე, ზღვრული განვითარებული დონე)?

19. არის თუ არა სახელმწიფოებრივ დონემდე აყვანილი ენობრივი კვალიფიკაცია, დაყოფილი ევროპის საბჭოს კომპეტენციების დონეების მიხედვით?

1. 3. მრავალი ენის (მრავალენოვნების) საჭიროება

1.3 პუნქტში განმარტებულია „პლურილინგვიზმის“ კონცეფცია, რაც შემდგომ გაშლილია პუნქტში 6.1.3 და მე-8 თავში. აქ ასევე მოცემულია განსხვავება ტერმინებში „პლურილინგვიზმი“ და „მულტილინგვიზმი“, რომელიც უბრალოდ გულისხმობს „რამდენიმე ენის ცოდნას ან სხვადასხვა ენების თანაარსებობას მოცემულ საზოგადოებაში“ იმისდა მიუხედავად, ეს საზოგადოება ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისოა. ნებისმიერი ევროპელი, რომელსაც სურს გაზარდოს საკუთარი ენობრივი შესაძლებლობები და გასცდეს იმ ენის ფარგლებს, რომელზეც მეტყველებენ მისთვის მშობლიურ გარემოში, აწყდება ენათა უდიდეს მრავალფეროვნებას, რომელთაგან ორმოცდაათს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ან რეგიონული ენის სტატუსი, კულტურული თანამშრომლობის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში. ამ სტატუსის მიღმა დარჩენილი კიდევ მრავალი ენა რუსეთის ფედერაციაში. რიგითი მძღოლი ერთდღიანი მოგზაურობის მანძილზე ადვილად ჩამოიტოვებს ხუთ ან ექვს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე დასახლებულ პუნქტს.

როგორ გადავლახოთ ეს საკომუნიკაციო ბარიერები? ხშირად მივმართავთ ერთი რომელიმე ენის ფიქსირებას საყოველთაო საშუალებად საერთაშორისო კომუნიკაციისათვის და ამ გზით ვცდილობთ გორდიას კვანძის გახსნას. პატარა, მაგრამ თავდადებულ და ხმაურიან უმცირესობას სურს ასეთი სტატუსით ესპერანტო იხილოს – შექმნილი სპეციალურად ამ მიზნით. თუმცა, ისტორიული და ეკონომიური ძალების განვითარებამ ისეთი კურსი აიღო, რომ უბიძგა ინგლისური ენის დამკვიდრებას ამ პოზიციასზე. განსაკუთრებით, თვით საკომუნიკაციო ინდუსტრიის კუთხით. ეს არ წარმოადგენს წმინდა ევროპულ ფენომენს, ის უფრო გლობალურია. შესაბამისად, ინგლისური ენა იქცა პირველადი მნიშვნელობის უცხო ენად მრავალ საგანმანათლებლო სისტემაში და ამგვარად შექმნა თვითდამაკვიდრებელი სპირალი. ამ ეტაპზე ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ თუ ბავშვს სკოლაში არ ეძლევა ინგლისური ენის თავისუფლად ათვისების შესაძლებლობა, ის სერიოზულად კარგავს უპირატესობას. საგანმანათლებლო სფეროს ზოგიერთი დამკვეთი ინგლისური ენის, როგორც *lingua franca*-ს სწავლებას საჭიროდ და იმავდროულად საკმარისადაც მიიჩნევს. სკოლის კურიკულუმიდან სხვა უცხო ენების ამოღება შესაძლოა იმ მიზანს ემსახურებოდეს, რომ რესურსების კონცენტრირება მაქსიმალური საკომუნიკაციო ეფექტურობისათვის სწორედ საერთაშორისო კომუნიკაციის წამყვან ენაზე მოხდეს, ან უბრალოდ სკოლის კურიკულუმში თანამედროვე ენების როლის მინიმუმამდე შემცირებამ მეტი ადგილი დაუთმოს მათემატიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიის, ხელოვნებისა და მშობლიური ენის სრულყოფას.

რა თქმა უნდა, კომპეტენტური აღმასრულებელი პირები ითვალისწინებენ ინფორმირებული საზოგადოების აზრს და პროფესიონალთა რჩევას, რათა ენობრივი პოლიტიკის კუთხით მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოთხოვნებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპული ინსტიტუტების პოლიტიკა მტკიცედ ემხრობა პლურილინგვიზმს. ეს სულაც არ აიხსნება იმით, რომ ერთი წევრი სახელმწიფოს მოსახლეობა განაწევნებულია სხვებზე, რომლებიც მეტი უპირატესობით სარგებლობენ. სხვა თუ არაფერი, ინგლისური ენის გამოყენე-

ბის ზრდადობას ბოლო წლებში ვერანაირად შეედრება გაერთიანებული სამეფოს სიმდიდრის, ძალაუფლებისა და ზეგავლენის ყველაზე შესამჩნევი ზრდაც კი ევროპულ საქმეებში. მართლაც, ზოგიერთი ადამიანი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, იმდენადაა დამოკიდებული საკუთარი ენის გამოყენებაზე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომ ეს ერთგვარად ზღუდავს კიდევ კომუნიკაციას და შესაძლოა უკიდურესად უარყოფითი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა იქონიოს. ამასთან, გარკვეული მიზეზების გამო, ევროპული საზოგადოების მრავალენოვანი ბუნება აუცილებელს ხდის ევროპელთათვის, განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები რამდენიმე არამშობლიური ენის მხრივ. ჯერ ერთი, ინგლისური ენის ფლობის მოცულობა და დონე სხვადასხვა ქვეყნებში გადაჭარბებულად არ უნდა იქნეს შეფასებული. ევროკავშირის ფარგლებში, მოსახლეობის 50%-ც კი, ახალგაზრდობის ჩათვლით, ვერ იქონიებს პრეტენზიას ამ ენის გამოყენებით დონეზე ფლობისა. ზედა ასაკობრივი ჯგუფებში პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. წარმოდგენა, რომ ინგლისურად ყველგან საუბრობენ და ინგლისური ყველგან ესმით გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონტაქტები განიხილება მხოლოდ ტურისტული ინდუსტრიის, პროფესიული კავშირებისა და უკეთ განათლებულ პირთა დონეზე.

ყოველ ქვეყანაში მეტყველებენ საკუთარ ეროვნულ (სახელმწიფო) და ზოგიერთ შემთხვევაში, რეგიონულ ენებზე. უცხოელი სტუმრების და რეზიდენტებისათვის, რომელთაც წარმოდგენაც კი არ აქვთ ამ ენაზე, თვალთ ნანახი და ყურით გაგონილი სრულიად გაუგებარია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მიზნობრივად უდგებიან მათთვის გასაგებ უცხო ენაზე. ამიტომაც, ადვილად სავარაუდოა, მათი გარიყვა, მარგინალიზაცია და იზოლაციაც კი. მათთვის ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ უცხოელებზე გათვლილი ინფორმაცია. მაშინაც კი, როცა კონტაქტი მყარდება ორივე მხარისათვის ნაცნობ უცხო ენაზე, კომუნიკაციის ხარისხი გამომდინარეობს თანამოსაუბრეთა კომპეტენტურობიდან და არ ექვემდებარება არცერთი მათგანის კონტროლს. თუ ასეთი ენა lingua franca-ს როლს ასრულებს და მისი გამოყენება გამიზნულია წმინდა მანქანურ, კულტურული კომუნიკაციის ფარგლებს მიღმა ჭრილში, მან შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს ძირითადი ტრანზაქციული მოთხოვნები, მაგრამ დამახინჯდება ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე გვაქვს ადამიანის ცხოვრების ყველაზე უფრო ზედაპირულ ასპექტებთან, სოციალურ საკითხებთან, ღირებულებებსა და მოსაზრებებთან.

ცხადია, ადამიანები უკეთ გამოხატავენ ამა თუ იმ პრობლემით რეალურად დაინტერესებას, როცა იყენებენ მშობლიური ენის ყველა რესურს. ზოგჯერ შეუძლებელია, რაიმე ითქვას ისეთ სწავლაზე, რაც გულისხმობს დაწერილის სწორად წაკითხვას ან მოსმენას, ნათქვამის წვდომით, ვიდრე ყველა რესურსის გამოყენებას ერთ ან რამდენიმე საერთაშორისო მანქანურ ენაზე, უნარების დაბალანსებული განვითარებისათვის. რეცეფციული უნარი, რომელიც მოითხოვს ენის გაცნობიერებას და შესაძლოა, იყენებდეს გონივრულ დედუქციას, სავარაუდოდ გეთავაზობს ღირებულების კუთხით, სასწავლო ძალისხმევის უფრო ეფექტურ შედეგს, ვიდრე პროდუქტიული უნარი, რომელიც მოითხოვს როგორც გამოსაყენებელი ენის გახსენებას, ისე ნათქვამის იმგვარად ფორმირებას, რომ გამოსატულ იქნეს ნაგულისხმევი მნიშვნელობა, მოცემული ენის გრამატიკულ და პრაგმატულ პირობითობასთან შესაბამისობაში.

ფაქტიურად, ვაწყდებით რა ევროპაში ენათა და მათი გამოყენების უსაზღვრო მრავალფეროვნებას, ერთადერთი, რაც ძალგვიძს არის ამ კონტინენტის მრავალენოვანი (მულტიენგვურ) კომპლექსურობაში ზღვრულ ფარგლებში შეჭრა. ენობრივი დაგეგმარების საქმეში შეზღუდული დროის და ენის შესწავლისათვის ხელმისაწვდომი სხვა რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ევროპის საბჭოს შემდგომი პროექტები ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ღირებული და განხორციელებადი ამოცანების ყურადღებით განსაზღვრას საზოგადოებაში, ინდივიდთა საკომუნიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი მოთხოვნები თავს იჩენს ზრდასრულ ადამიანთა ცხოვრებაში, ენის სწავლების ორგანიზება უნდა იყოს ფლექსიური და უწყვეტ პერსპექტიულობაზე გათვლილი.

სკოლაში ენის სწავლა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ჩაკეტილი, პროდუქტზე ორიენტირებული პროცესი, არამედ როგორც საფუძვლის ჩაყრა სამომავლო სწავ-

ლისა და გამოყენებისათვის. პორჩერის თანახმად (პორჩერი 1980), სკოლა, როგორც სასწავლო დაწესებულება, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ზღუდავს იმას, რაც შეიძლება გაკეთდეს ადამიანის ცხოვრების ამ ეტაპზე. ენის სწავლა უმაღლეს, შემდგომ და ზრდასრულთა საგანმანათლებლო დონეებზე წარმოადგენს არა არჩევით დანამატს, შელამაზებას ან გატაცებას, არამედ არსებით სოციალურ უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ამ დონეებზე მოთხოვნა მჭიდროდ უკავშირდება საჭიროებას და გაცილებით უფრო მრავალფეროვანია სკოლის დონესთან შედარებით. საქმე არც ისაა, რომ ზრდასრულ ადამიანებს უბრალოდ სურთ გაიუმჯობესონ იმ ენის ცოდნა, რომელსაც უკვე საკმაოდ კარგად ფლობენ. უფრო ხშირად, მათი მიზანია კომპეტენციის გაფართოება სხვა ენების მხრივ. ამასთან, პროდუქტიული მხარე შემოიფარგლება მხოლოდ მოკრძალებული მიზნებით და ძირითადი ადგილი უჭირავს სურვილს - გაუგონ ევროპელებს ბუნებრივად ნათქვამი. მაგალითად, ამ პრინციპზე დაფუძნებულმა ჩ-ის სატელევიზიო სერიებმა საკმაოდ დიდი აუდიტორია მიიზიდა, რომელიც ერთი ენის შესავალი კურსიდან მეორე ენის შესავალ კურსზე გადასვლით შემოიფარგლება, მაშინ როცა ამავე ენის შემსწავლელი კურსის უფრო მაღალ დონეებზე მყოფი აუდიტორია პირამიდის კონუსს მოგვაგონებს.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ტექნოლოგიას ძალუძს მაღალი ხარისხის პროდუქტის უზრუნველყოფა მოკრძალებულ საცალო ფასში, თუკი კარგი ორგანიზაციის პირობებში გლობალურ აუდიტორიას ყურმილთან მოვიხველეთ (ამის ნათელი მაგალითია Follow Me-ის („მომყევით“) გასაოცარი გლობალური წარმატება). თანაც, ახალი ტექნოლოგიების პირობებში უფრო დიდია პროდუცირებისა და ბაზრების დიფერენციაცია, იზრდება არჩევანის საშუალება და შემსწავლელის თვითქმედება. გამოთვლილია (დევიდ კრისტალი, პერსონალური კომუნიკაცია), რომ დაახლოებით 1000 ენა გამოიყენება და ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ხოლო ინგლისურის გამოყენება 50%-ით შემცირდა. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ რადგან მულტიმედია საშუალებები უფრო დახვეწილი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და უკეთ გასაგებია, ენის სწავლა ყველა დონეზე უფრო მრავალფეროვანი და დეცენტრალიზებული გახდება. ასეთი განვითარების ერთ-ერთი შედეგი იქნება ის, რომ გაცილებით გაფართოვდება უზრუნველმყოფთა სპექტრი თვით შემსწავლელების ჩათვლით, რომლებიც მოწვეულ იქნებიან ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებსა და ამოცანებთან დაკავშირებით არჩევანის გასაკეთებლად და გადაწყვეტილებათა მისაღებად. პროფესიული და საგანმანათლებლო მობილურობა უზრუნველმყოფთა წინაშე წამოაყენებს მათი ამოცანებისა და მიღწევების სხვებისათვის მიწოდების მოთხოვნას, რაც ამ უკანასკნელთ საშუალებას მისცემს გააკეთონ არაფორმალური არჩევანი და ასწიონ შრომის ზოგადი დონე გამოცდილების ურთიერთგაცვლის საფუძველზე.

1. 4. რისთვის გვჭირდება კომპეტენციები?

1. 4. პუნქტი აჯამებს ყველა იმ მიზეზს, რომელიც ცხადყოფს, ზემოხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, თუ რა პრაქტიკული გამოყენება ექნება ენის შესწავლითა და მისი შედეგებით დაინტერესებულ პირთა მიერ საკუთარი ძალისხმევის მოქცევას საერთო ევროპულ ჩარჩოში – ისეთში, როგორცაა უცხო ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასების ზოგადევროპული კომპეტენციები (*კომპეტენციები*). აქვე ციტირებულია რუმლიკონში, შვეიცარიაში ჩატარებული სამთავრობათშორისო სიმპოზიუმის მიერ გამოტანილი დასკვნები, რითაც რეკომენდაცია გაეწია ყველანაირი სახისა და დონის ზოგადევროპული კომპეტენციების შემუშავებას ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის.

1. 5. რა დანიშნულება აქვს კომპეტენციებს?

ეს პუნქტი ხაზს უსვამს *კომპეტენციების*, როგორც დამგეგმავი ინსტრუმენტის გამოყენებას და, ამდენად, თვითგანმარტებითა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მისი სხვა დანიშნულებით გამოყენებაც - მნიშვნელოვანია მისი როლი ცნობიერების ამაღლების საქმეში, განსაკუთრებით - უმაღლეს განათლებაში და მასწავლებელთა საწყისი და კვალიფიკაციის ასამაღლებელ საგანმანათლებლო და ტრენინგ კურსებზე. მრავალმა ინსტიტუტმა აღიარა *კომპეტენციები*, როგორც დანაწილების საშუალება გამოცდილებისა და კვალიფიკაციის თანაფარდობისათვის.

1. 6. რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს კომპეტენციების განსაზღვრა?

რუსლიკონის სიმპოზიუმმა დაადგინა ის კრიტერიუმი, რომელსაც უნდა პასუხობდეს *კომპეტენციები*. მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ *კომპეტენციები* უნდა იყოს დესკრიპციული და არა პრესკრიპციული. პრაქტიკოსები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ საკუთარ პრაქტიკას და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც მათივე თვალთახედვით, მოცემულ სიტუაციაში გამართლებულია და შემდეგ ეს გადაწყვეტილებები, საკუთარი ამოცანები და მეთოდები გაუზიარონ სხვებს. *კომპეტენციების* ფუნქცია არ არის პრაქტიკოსებისათვის მოქმედების კარნახი, მაშინ როცა მინისტრთა კომიტეტი მოითხოვს მათგან პოლიტიკის რეკომენდაციების დამაჯერებლად აღიარებას და მათ გამოყენებას გადაწყვეტილებათა მიღებისას. მიუხედავად არგუმენტირებულობისა, ევროპის საბჭოს თვალთახედვამ არც უნდა განსაზღვროს და არც უნდა დაამახინჯოს დესკრიპციული ჩარჩო. ეს ფუნდამენტური მიდგომა ყოველთვის ვერ პოულობს სათანადო გაგებას.

კომპეტენციების მიზანია, იყოს ყოვლისმომცველი და არა სელექციური. არსებობს სწავლისა და სწავლების მრავალნაირი სახეობა. ყველა მათგანმა უნდა დაიმკვიდროს ადგილი ამ კომპეტენციების ფარგლებში. მეორე მხრივ, *კომპეტენციები* ვერ იქნება ამომწურავი, მაგრამ სასურველია იყოს გამჭვირვალე მომხმარებლებისათვის – მათთვის, ვინც აღწერს საკუთარ ამოცანებსა და მეთოდებს, და მათთვისაც, ვინც ამ აღწერას დებულობს. მომხმარებელმა ნათლად უნდა დაინახოს შემოთავაზების არსი, ყოველგვარი ბუნდოვანებისა და ორაზროვნების თავიდან აცილებით. *კომპეტენციები* უნდა იყოს **თანამიმდევრული** – შიდა წინააღმდეგობებისა და გაუგებრობებისაგან თავისუფალი, **მრავალმიზნობრივი** – მომხმარებელთა მოთხოვნებზე მოსარგებად მრავალნაირად გამოყენებადი, **ღია** და **დინამიური** – მომხმარებელთა მხრიდან შემდგომ დახვეწას დაქვემდებარებული, რადგან გარდაუვალია მასში ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიგნება. იგი უნდა იყოს **არადოგმატურიც** – ღია ყველანაირი მიდგომისა და თვალთახედვის მისაღებად, და არა რომელიმე დოგმის დაქინებით მიმდევარი. *კომპეტენციებით* სარგებლობას უნდა ახერხებდეს რიგითი, არაპროფესიონალი მომხმარებელიც და ამ პროცესში იგი არ უნდა აწყდებოდეს ზედმეტ სირთულესა და ჟარგონს, თუმცა უკიდურესი გამარტივება თავისებურად სახიფათოა. კომუნიკაცია ენის გამოყენებით კომპლექსური ფენომენია, რომელსაც არ გააჩნია უსაფუძვლო ნაწილები. ენობრივი ინტერაქციის სტრუქტურა სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი, თუმცა ტექნიკური ენის არგამოყენება ამა თუ იმ ეტაპზე შეუძლებელია და ამიტომ იდიოსინკრეტული ტერმინოლოგია განმარტებული უნდა იყოს.

მომხმარებლისათვის სასარგებლო იქნება იმის გათვალისწინებაც, თუ რამდენად მიესადაგება აღნიშნული კრიტერიუმი მათი საკუთარი მიზნების, ამოცანებისა და მეთოდების აღწერილობას *კომპეტენციებთან* მიმართებაში. მაგალითად, რამდენად ყოვლისმომცველია ეს უკანასკნელი? სავალდებულო არ არის მომხმარებელმა მიიღოს ყველაფერი, რაც *კომპეტენციებშია* წარმოდგენილი. იგი უნდა იყოს გასაგები იმ დონეზე, რომ მომხმარებელს დაეხმაროს ზედმიწევნითი სპეციფიკაციის კუთხით. თუ *კომპეტენციების* მომხმარებლები აღმოაჩენენ, რომ გამოტოვებულია ცალკეული ასპექტები, რაც მათ სპეციფიკაციაში დაეხმარებოდა, *კომპეტენციები* ვეღარ დააკმაყოფილებს, ყოვლისმომცველობის კრიტერიუმს. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლებმა თავად უნდა მოგვაწოდონ სპეციფიკაცია *კომპეტენციების* შემდგომი დახვეწის მიზნით. სწორედ ეს

გულისხმობს მათ ღია ხასიათსა და დინამიურობას. მეორე მხრივ, შესაძლოა არსებობდეს მომხმარებელთა ისეთი კატეგორიაც, რომელთაც *კომპეტენციები* არ გამოადგებათ გამომდინარე იქიდან, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს იმ შემსწავლელთა მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებდა მომხმარებელთა აღნიშნული კატეგორია, ან *კომპეტენციები* შეიძლება არ აღმოჩნდეს პრიორიტეტული შეზღუდული რესურსებისა და დროის პირობებში.

თუ განვიხილავთ მომხმარებელთა მიერ მოწოდებულ აღწერილობებს *კომპეტენციების* კუთხით, მაშინ სიტყვა „ყოველსომცველი“ განსხვავებულ მნიშვნელობას შეიძენს. გაითვალისწინა მომხმარებელმა ყველანაირი არჩევანის შესაძლებლობა გადაწყვეტილებათა მიღებამდე? არის აღწერილობა სათანადოდ მოცულობითი და დეტალური, რომ ამომწურავი პასუხი მოგვცეს?

გამჭვირვალეობის და თანამიმდევრულობის კუთხით *კომპეტენციებისა* და აღწერილობისათვის წაყენებული კრიტერიუმიც მსგავსია: შესძლო ავტორმა ნათელი სურათის შექმნა მომხმარებლისათვის სათქმელის მიწოდების თვალსაზრისით, ამ სათქმელის მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა (საჭირო შემთხვევებში სტანდარტული ლექსიკონის დახმარებით), ბუნდოვანებისა და ორაზროვნების თავიდან აცილებით? არის აღწერილობა დეტალურად შეკრული? არის ის მყარი – შიდა წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი? არის ის ფლექსიური – ყველა იმ გარემოების მხედველობაში მიმდები, სადაც მოხდება მისი გამოყენება?

დაბოლოს, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად: *კომპეტენციების* მიზანი დესკრიპციული ხასიათისაა და არა პრესკრიპციული. *კომპეტენციები* შექმნილია არაერთფეროვნების ხელშეწყობისა და თუნდაც თავს მოხვევისათვის, არამედ მრავალფეროვნების შენარჩუნებითა და სტიმულირებით, კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის. ისტორიამ მოგვაწოდა ყველა ის ღირებულება, მოსაზრება და მიდგომა, რომელმაც ევროპის საბჭო თანამედროვე ენების სფეროში მუშაობისას, ინფორმაციით უზრუნველყო.

მომხმარებლებს ვთხოვთ ყურადღებით დააკვირდნენ მათ და გაითვალისწინონ ისინი, როგორც *კომპეტენციებით* სარგებლობისას, ისე მუშაობის პროცესშიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი გათავისება მხოლოდ მომხმარებლის პრეროგატივაა. *კომპეტენციები* არსობრივად არადოგმატურია, საშუალებას აძლევს ყველა მომხმარებელს, რომ სხვებს არა უკარნახონ, თუ რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, არამედ ამცნონ საკუთარი გადაწყვეტილებები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგადი კომპეტენციების შემუშავება პოლიტიკური აქტია. მე-19 საუკუნეში და მოგვიანებით მრავალმა სახელმწიფომ განიზრახა შეექმნა ან გააძლიერებინა ეროვნული ერთიანობა ავტორიტარული და ზოგჯერ მხაგვრელის პოზიციიდან ერთფეროვანი ეროვნული კურიკულუმების, კვალიფიკაციის, სახელმძღვანელოებისა და საკლასო მეთოდების თავსმოხვევით. ამას თან ახლდა ნებისმიერი მრავალფეროვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უკუგდება, რაც ჰეტეროგენულ ელემენტებს ეფუძნებოდა. ამჟამად, გაცილებით უფრო ფასდება უმცირესობათა იდენტურობა და უფრო საყოველთაო აღიარება აქვს საგანმანათლებლო მრავალფეროვნების მოთხოვნას. თუმცა, არსებობს შემფოთებაც, რომ ცალკეულ მხარეებში ევროპულმა ერთიანობამ შესაძლოა ეროვნული იდენტურობის დაკარგვა გამოიწვიოს. კონტინენტური ერთიანობისათვის შემდგომი ხელშეწყობა და ამასთან მრავალფეროვნების დაფასება და გაზრდაც კი, დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მიღება, სასწავლო კუთხით, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გაადვილება და ერთიანი მიდგომის შემუშავება მრავალი პროფესიონალის მიერ – რწმენის აქტია! სწორედ ამ კუთხით გვინდა მოხდეს *კომპეტენციების* შემდგომი განხილვა მომხმარებლის მიერ.

ნაწილი 2 – შერჩეული მიდგომა

ამ თავის მიზანია, მოამზადოს მკითხველი იმ დესკრიპციული აპარატის გამოსაყენებლად, რომელსაც მე-4, მე-5 თავებში შევხვდებით. აქ წარმოდგენილია ენის გამოყენების და ენის მომხმარებლის ანალიზი, რომელსაც ეფუძნება უფრო დეტალური ტექსტონომია ან კლასიფიკაციის სქემა, რასაც მოგვიანებით შევხვდებით; შესაბამისად, ეს თავი უფრო ტექნიკური ხასიათისაა. სამაგიეროდ, ზედმიწევნითაა განმარტებული ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი. შემდგომი თავების დაწვრილებით შესწავლამდე უმჯობესია ამ თავის აუქჩარებლად წაკითხვა, შეფასება და არსობრივად გადამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული თავი მეტწილად თვითგანმარტებითია, მოწოდებულია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც დაგვეხმარება გაუგებრობათა თავიდან აცილებაში.

2. 1. მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა

მოქმედებაზე ორიენტირება ევროპის საბჭოს მიდგომის თანამდგომი ნიშანია, 1970-იანი წლების დასაწყისიდან, ენის სწავლასთან როგორც კომუნიკაციისათვის, ენის აქტიურად გამოყენების მზადებასთან მიმართებაში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ მხოლოდ ღია მოქმედებით. წარმოვიდგინოთ, მატარებლის ვაგონში ერთმანეთის პირისპირ მსხდარი რამდენიმე ადამიანი. თუ მათგან ერთ-ერთი წიგნის კითხვაშია ჩაფლული, ეს არ ნიშნავს, რომ ის ნაკლებად აქტიურია, მის გვერდით გაცხარებულ საუბარში მონაწილე წყვილთან შედარებით. თუ მათ შორის არის ისეთიც, რომელიც მხოლოდ სივრცეს მიშტერებია და შესაძლოა, ფიქრობდეს მისთვის გადამწყვეტი გასაუბრების შედეგზე, იგი გვემავს არამხოლოდ თავდაცვას, არამედ ამზადებს პასუხებს მოსალოდნელ კითხვებზეც.

ადამიანების მომზადება, ენის აქტიურად გამოყენებისათვის მოითხოვს ადამიანურ შესაძლებლობათა – ინტელექტის, ემოციების და ნების, – სრულად გამოყენებას და პრაქტიკული უნარების გაგარჯიშებას. ენის გამოყენებისა და ენის მომხმარებლის შესახებ არსებულმა მთლიანმა მოსაზრებამ უნდა იპოვოს საკუთარი ადგილი ერთ ადამიანთან მიმართებაში, მაგრამ ეს არის სოციალურ კონტექსტში მოქმედი ადამიანი, იგივე „სოციალური აგენტი“. რა თქმა უნდა, ამ ტერმინში არ მოიაზრება პიროვნების სისავსის დაყვანა დეჰუმანიზებული მაგალითის მიმცემამდე. ამ ტერმინის მიზანია, დაიცვას ადამიანი იმ საფრთხისაგან, რაც გულისხმობს ინდივიდუალისტურ და თვით სოლიფსისტურ იზოლაციასაც კი.

შეკვეცილი დებულება ენის გამოყენებაზე მოცემული მე-9 გვ-ზე შეფერადებულ ყუთში და შემდგომ გამოყენებული ტერმინების დეფინიცია, აუცილებელია *კომპეტენციების* გაგებისა და გამოყენებისათვის, რადგან წარმოადგენს ამ მთავარი კატეგორიების ანუ პარამეტრების გარდაქმნას ქვეკატეგორიებად. ისინი უზრუნველყოფს მე-4 თავსა და დანართში შემოთავაზებული რამდენიმე სკალის ძირითად სტრუქტურას. ეს უკანასკნელი ყურადღებით უნდა წავიკითხოთ და გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა მე-4 თავში მოცემული ტერმინების მნიშვნელობა კონტექსტურად გაუგებარია. რაც შეეხება მეოთხე თავში მოცემულ მაგალითებსა და სკალებს, ისინი, პირიქით, გვეხმარება მე-2 თავის მოცულობრივი და დეტალური ტექსტის გაგებაში.

2. 1. 1. ინდივიდის ზოგადი კომპეტენცია

ამ პუნქტში შემოტანილი კატეგორიები უფრო დეტალურადაა გაშლილი პუნქტში 5.1. მომხმარებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ აქ გამოყენებულ ტერმინს „კომპეტენცია“, რაც ამგვარი სახით შეგვხვდება მთლიანად *კომპეტენციებში*. ეს ტერმინი მიგვანიშნებს არა იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად შეუძლია შემსწავლელს ენის გამოყენება, არამედ ეხება იმ ცოდნას, უნარებსა და მიდგომებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ენის გამოყენებას ნებისმიერ დონეზე. პუნქტი 5.1 ეხება ისეთ კომპეტენციას, რო-

მელიც დაკავშირებულია არა უშუალოდ ენასთან, არამედ ადამიანური ქმედების ყველა სახეობასთან კომუნიკაციის ჩათვლით. მათი განვითარება და ორგანიზება გონებრივად მჭიდრო კავშირშია თვით ენის განვითარებასა და ორგანიზებასთან.

2. 1. 2. საკომუნიკაციო ენის კომპეტენცია

მოცემული პუნქტი ეხება იმ კატეგორიებს, რომლებიც უფრო დეტალურადაა გაშლილი პუნქტში 5.2 ანუ საუბარია იმ კატეგორიებზე, რომლებიც ფორმალურად უკავშირდება ენის სტრუქტურას (ენობრივი) და გამოყენებას (სოციოლინგვისტური და პრაგმატული).

2. 1. 3. ენობრივი აქტივობები

ეს პუნქტი 2.14 და 2.15 ერთად ეხება მე-4 თავში უფრო დაწვრილებით განხილულ კატეგორიებს. მათი ამ პუნქტებში განხილვის თანამიმდევრულობა რამდენადმე განსხვავდება მე-4 თავში მათი წარმოდგენის თანამიმდევრობისაგან, რაზეც ზეგავლენა იქონია მე-2 თავის დასაწყისში მათი ყუთის ფორმის აბზაცში წარმოდგენილმა წყობამ. კერძოდ, აქ დავალებებსა და ტექსტებთან ერთად განხილულია სტრატეგიები, მე-4 თავში მათთან ასოცირებულ აქტივობებთან ერთად არის წარმოდგენილი. მომხმარებელი ასევე შეამჩნევს, რომ გამომდინარე იმ მნიშვნელობიდან, რომელიც ენიჭება დავალებებს მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომით, მე-7 თავი ეძღვნება მათ როლს ენის შესწავლასა და სწავლებაში.

2. 2. ენის ფლობის ზოგადი კომპეტენციების დონეები

მოცემული პუნქტი ასახელებს ყველა იმ მოტივს, რომელიც განაპირობებს ენის ფლობის სკალირებისათვის გამორჩეული მნიშვნელობის მინიჭებას *კომპეტენციებში* და აქვე ამბობს ორიოდ სიტყვას სიფრთხილის თვალსაზრისით. ენის სწავლა ხანგრძლივი პროცესია და მის დაყოფას მრავალგვარი გამართლება მოეძებნება, როგორცაა კურსის დაგეგმვა და კვალიფიკაციის მინიჭება. ზოგადი კომპეტენციების დადგენა არის *კომპეტენციების* შემოტანის ძირითადი გამამართლებელი ფაქტორი.

სკალირების პრინციპი საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული მე-3 თავში და დანართებში – A და B. სკალები წარმოდგენილია მთელ ნაშრომში, ჰოლისტური სახით მე-3 თავში, ხოლო კომპეტენციების, დავალებებისა და მოღვაწეობის განსაზღვრულ ტიპებთან მიმართებაში – მე-4 და მე-5 თავებში, აგრეთვე, დანართებში C და D.

2. 3. ენის შესწავლა და სწავლება

ეს პუნქტი შემოიფარგლება იმ საკითხების მიმოხილვით, რომლებიც დეტალურადაა განხილული მე-6, მე-7 და მე-8 თავებში, იგი კვლავ უბრუნდება პირველ თავს და *კომპეტენციების* როგორც სტანდარტის დესკრიფციული ინსტრუმენტისა და ევროპის საბჭოს პოლიტიკის დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებას.

ენობრივი შეფასება

ამ პუნქტში დასრულებული სახითაა წარმოდგენილი იმ მიდგომის შესავალი ანგარისი, რომლის მიზნები და შინაარსი მე-9 თავშია მოცემული. აქვეა განხილული ევროპის ენის პორტფოლიოს (ELP) შემუშავება, რაც მოკლედაა წარმოდგენილი 8.4.2 – პუნქტშიც. ELP იყენებს *კომპეტენციების* დონეებსა და დესკრიპტორებს, რათა გვიჩვენოს მოპოვებული კვალიფიკაციის შეფარდებითი დონეები და იმავდროულად მეგზურება გაგვიწიოს თვითშეფასების კუთხით. არ გამოვრიცხავთ, რომ *კომპეტენციების* მომხმარებლები უფრო მეტად დაინტერესდნენ -ის სტრუქტურითა და ფუნქციებით.

ევროპის ენობრივი პორტფოლიო

ევროპის საბჭომ ახლახან შეიმუშავა -ი, რომლის მეშვეობითაც მთელი ევროპის მასშტაბით ნებისმიერი ასაკისა და წარმოშობის ენის შემსწავლელთ შეუძლიათ აღნუსხონ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობანი და ყველანაირი მნიშვნელოვანი კულტურული განცდა.

პორტფოლიო პერსონალური დოკუმენტია, რომელსაც ფლობს და რეგულარულად აახლებს შემსწავლელი. იგი სამი განყოფილებისაგან შედგება:

საპასპორტო განყოფილება, რომელიც აღნუსხავს ენობრივ კვალიფიკაციას და შესაძლებლობებს (ფორმალური და არაფორმალური) საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახით;

ენობრივი და კულტურული ბიოგრაფიის განყოფილება, რომელშიც შემსწავლელთ შეუძლიათ აღწერონ ენის ცოდნა და სწავლისას მიღებული შთაბეჭდილებები რაც შეიძლება მეტ ენასთან მიმართებაში.

დოსიე – შემსწავლელის მიერ გაწეული შრომის მაგალითების განსათავსებლად მიზნად ისახავს რა ადამიანთა მოტივირებას ენების შესასწავლად, როგორც ფორმალური განათლების ფარგლებში, ისე მის გარეთ, პორტფოლიო ხელს შეუწყობს ევროპაში მობილურობასაც, რადგან ის ნათლად აღნუსხავს ადამიანის ენობრივ შესაძლებლობებს, რაც ამ უკანასკნელს მნიშვნელოვნად გამოადგება სამუშაო განაცხადის შევსებისას, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესვლისას და ა. შ.

ELP-ის ნიმუშების აკრედიტაციის წესები შეთანხმდა და აკრედიტაციაზე პასუხისმგებლობის ასაღებად კულტურული თანამშრომლობის საბჭოს განათლების კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპის ვალიდაციის კომიტეტი. პორტფოლიო ამოქმედდება 2001 – ევროპის ენათა წელში. დამატებითი ინფორმაცია პორტფოლიოს შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდზე. ამასობაში თქვენ შეგიძლიათ მეტი ინფორმაციის მოპოვება ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებგვერდზე: <<http://culture.coe.int/portfolio>>

ნაწილი 3 – ზოგადი კომპეტენციების დონეები

ეს ნაწილი გაგრძელებაა 2.2 პუნქტისა, რომელშიც დასახელებულია მიზეზები ენის ფლობის ზოგადი კომპეტენციების დონეების ერთგვარი ნაკრების შესაქმნელად. ეს თავი ეხება ენის ფლობის კრიტერიუმს, შემოთავაზებული დონეების რაოდენობასა და დეფინიციას და იმ დესკრიპტორების თავისებურებას, რომლებიც გამოიყენება დონეების განსაზღვრისა და იმ გზების დასადგენად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ამ დონეების გამოყენება:

3. 1. ზოგადი კომპეტენციების დონეების დესკრიპტორთა კრიტერიუმები

ეს პუნქტი მოკლედ მიმოიხილავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც დაწვრილებითაა განხილული დანართებში. ის მიგვითითებს, რომ სკალები უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელებს, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად სპეციფიკური, თუ ისინი საერთო უნდა გახდეს მრავალი განსხვავებული შემსწავლელისათვის. სკალები უნდა ეფუძნებოდეს თეორიულ თვალთახედვას და სიტყვიერად იმგვარად უნდა იყოს გადმოცემული, რომ საშუალება მისცეს მომხმარებელს ჩასწვდეს მათ და მიუსადაგოს ისინი საკუთარ კონკრეტულ სიტუაციას. დესკრიპტორების განვითარებისა და მათი კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინტუიციისა და ამოცანათა ვალიდაციის კეთილგონივრული კომბინირება.

3. 2. ზოგადი კომპეტენციების დონეები

ეს პუნქტი მოკლედ მიმოიხილავს იმ ექვს დონეს, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს მრავალმიზნობრივად *კომპეტენციების* ფარგლებში. აღნიშნული დონეები მიმოხილულია ევროპის საბჭოს პირვანდელი წინადადებების გათვალისწინებით. ზოგიერთი დონის შემუშავება მოხდა ადრეულ ეტაპზე, როცა მუშაობა მიმდინარეობდა შესაძლო ერთეულ-საკრედიტო სქემაზე, ევროპაში ზრდასრულთა ენის სწავლის კუთხით მოპოვებული მიღწევის დაგეგმვისა და აღიარებისათვის სათანადო სტრუქტურის შეთავსებამხარდაჭერისათვის. ამ პროექტიდან გამომდინარე, შემუშავდა ზღვრული დონე, როგორც ერთგვარი მცდელობა ენის ფლობის მინიმალური დონის დეტალური დეფინიციისა, რაც საშუალებას მისცემდა ენის შემსწავლელს ემოქმედა დამოუკიდებელი აგენტის სახით ყოველდღიურ ცხოვრებაში ბიზნესტრანზაქციის, ისევე, როგორც სხვა ადამიანებთან ინფორმაციისა და აზრთა ურთიერთგაცვლისათვის. ეს მინიმუმი საკმაოდ მომთხოვნი აღმოჩნდა, საჭიროებდა რა დიდ სასწავლო ძალისხმევას. ზღვრული დონე ძალზე ნოვაციური იყო. მან შემოიტანა ფუნქციონალურ-გაგებითი მიდგომა, განსაზღვრა რა, პირველ ყოვლისა, როგორ უნდა ემოქმედა შემსწავლელს ენასთან მიმართებაში და შემდგომ, რომელი ენა იყო საჭირო – არსებითად ეს არის *კომპეტენციებში* გამოყენებული მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა. ზღვრული დონის კონცეფცია, თავდაპირველად, ინგლისურთან მიმართებაში იქნა გამოყენებული, ხოლო შემდგომ ოცზე მეტი ევროპული ენის შემთხვევაშიც, რომლებიც აღნუსხულია ზოგად ბიბლიოგრაფიაში. ზღვრულ დონეზე მოცემული კატეგორიები და ექსპონენტები ფართოდაა გაშლილი მე-4, მე-5 თავებში. თუმცა ზღვრული დონე (აგრეთვე, ენის საფუძვლის და ზღვრული განვითარების დონეები, რომლებიც, შესაბამისად, უსწრებს და მოსდევს ზღვრულ დონეს) არ იყო ჩაფიქრებული ყოვლისმომცველი ნიმუშის სახით. იგი წარმოადგენდა განსაზღვრული აუდიტორიის ასევე განსაზღვრულ ამოცანას.

3. 3. ზოგადი კომპეტენციების დონეების პრეზენტაცია

ეს პუნქტი წარმოადგენს სამ შემავჯამებელ, ჰოლისტურ ცხრილს, რომლებიც უკვე ფართოდ გამოიყენება ზემოხსენებული ექვსი დონის კომპაქტური დახასიათებისათვის, რომელთაც ეფუძნება *კომპეტენციების* დამოკიდებულება ენის ფლობის საკითხთან. ცხრილი 1 რამდენიმე წინადადებით აღწერს, თუ რის გაგება და შემოთავაზება შეუძლია შემსწავლელს თითოეულ დონეზე, რაც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ამომწურავი. ინტერაქცია და მედიაცია არასათანადოდაა მიმოხილული, ისევე, როგორც პირობები, რომელთა ფარგლებშიც შემსწავლელი შესძლებს კონკრეტული კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რამდენად კარგად შეასრულებს შემსწავლელი იმას, რაც უკვე განსაზღვრულია. ბევრი რამაა ჩასამატებელი და ასახსნელი, ნაწილობრივ *კომპეტენციების* სხვა ცხრილების მიხედვით, ნაწილობრივ – საღი აზრის პრაქტიკაში გატარებით მომხმარებლის გადმოსახედიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც შეკვეცილი განმარტება იმისა, თუ რა შეუძლია რიგით შემსწავლელს აკეთოს თითოეულ დონეზე, ფასდაუდებელია როგორც ამოსავალი წერტილი, როგორც საპირკვლის ქვა ზედნაშენის მოლოდინში.

ცხრილი 2 განავრცობს ცხრილს 1, გამოყოფს რა ოთხ უნარს და შემოაქვს ზეპირი ინტერაქცია. ეს ცხრილი ყველაზე ფართოდ გამოყენებადია, განსაკუთრებით -ის მფლობელთა მიერ თვითშეფასების მიზნით.

ცხრილი 3 ახასიათებს აღნიშნულ ექვს დონეს ენის ფლობის შეფასების რამდენადმე კლასიკური კრიტერიუმების მიხედვით: **სპექტრი** – ის ლექსიკური და გრამატიკული რესურსები, რომლებიც გააჩნია შემსწავლელს, **სიზუსტე** – უნარი ამ რესურსების უცვლელად და უშეცდომოდ გამოყენებისა, **ენის თავისუფალი ფლობა** – უნარი ამ რესურსების რეალურ დროში გამოყენებისა საუბრის ნორმალური რითმითა და ინტონაციით წარმართვისათვის, რასაც არ ახლავს შეყოვნებები, გაუმართავი დაწყება და ა. შ. **ინ-**

ტერაქცია – უნარი საუბრის იმგვარად წარმართვისა, რომ პარტნიორს არ შეექმნას საკომუნიკაციო პრობლემები, და **თანამიმდევრულობა** – უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს შემსწავლელს სრულად გამოიყენოს აღნიშნული რესურსები ინტეგრირებული საუბრისათვის.

3. 4. ილუსტრაციული დესკრიპტორები

ეს პუნქტი წარმოაჩენს იმ დესკრიპტორების მახასიათებლებსა და სათავეს, რომლებიც განსაზღვრულია ცხრილებში, ენის ფლობის სხვადასხვა ასპექტების დეფინიციისათვის.

3. 5. ფლექსიურობა დანაწილებით მიდგომაში

ეს მნიშვნელოვანი პუნქტი ოთხი მაგალითის გამოყენებით, გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება საბაზო ექვს დონიანი სქემის განვრცობა (ან შემცირება), რომ უფრო (ნაკლები) ზედმიწევნით მოხდეს ცალკეულ შემსწავლელთა დიფერენციაცია, რის საშუალებასაც აღნიშნული ექვსდონიანი სისტემა არ იძლევა. მაგალითად, ენის შესწავლის შედარებით საწყის ეტაპებზე ვიფორია, რომელიც იწვევს ადამიანის მიერ საკუთარ თავში კომუნიკაციის დამყარების უნარის აღმოჩენას, ხშირად იცვლება დეპრესიით, რომ გადასალახნია ვებერთელა მთა და პროგრესი მცირეა, ან საერთოდ არ არის. მოტივაციის შენარჩუნება უფრო ადვილი იქნება, თუ მოხდება მოკლევადიანი მიზნების დასახვა და მათი მიღწევის შეცნობა. აღნიშნული მოკლევადიანი მიზნები შესაძლებელია ერთად მოექცეს ექვსდონიანი სქემის ერთ რომელიმე რგოლში. ცალკეულ სასწავლო დაწესებულებას კი შეუძლია მათი დაყოფა უფრო მცირე ნაწილებად. *კომპეტენციები* არ ცდილობს შეაღებდეს დონეების განსაზღვრას, რომელთა რაოდენობა ფაქტიურად, განუსაზღვრელია, ეს თვით სასწავლო დაწესებულების კომპეტენციაა, თუ ის ისარგებლებს მე-4 – მე-7 თავებში აღწერილი საკმაოდ მძლავრი აპარატით.

დამატებითი პრობლემა იქმნება ექვსდონიანი სისტემის ზედა საფეხურზე. დონე h1 არ წარმოადგენს მიუღწევადი სრულყოფილების იდეალს, არამედ არის უმაღლესი საფეხური, რომლის მიღწევის ამოცანად დასახვა ზოგადი ენის კურსებსა და საჯარო გამოცდებზე, საკმაოდ პრაქტიკულია. ეს ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. ზოგიერთი სასწავლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულია ენის უმაღლეს პროფესიულ დონეზე ფლობის საკითხით, თავად აწესებს ასეთ დონეზე კვალიფიკაციის კრიტერიუმებს, ან უფრო მეტიც, შეიმუშავენ სპეციალიზებულ მოდულებს იმის ნაცვლად, რომ მიმართოს ამოცანათა ჰოლისტურ დეფინიციას. ასეთ შემთხვევაში საფეხებით შესაძლებელია, რომ მათ დონე h1 ცენზად წამოუყენონ სასწავლო დაწესებულებაში შემსვლელთ და მიმართონ მე-4 – მე-7 თავებში მოცემულ ტაქსონომიურ აპარატს მოდულების შინაარსის დეფინიციისათვის.

ასეა თუ ისე, ამ პუნქტის მიზანია დაგვანახოს, რომ პასუხი კითხვაზე, „რამდენი დონე?“ ღიად რჩება. ექვსდონიანი სისტემა შეესაბამება ამ სფეროში არსებულ ზოგად პრაქტიკას მსხვილმასშტაბიანი გაგებით და საკმარისად დიფერენცირებულია იმისათვის, რომ საშუალება მისცეს სასწავლო დაწესებულებებს მასზე დაყრდნობით მოახდინონ დაყოფა. არ არსებობს არანაირი განზრახვა სასწავლო დაწესებულებებისათვის თავისუფლების შეზღუდვისა, მათივე სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე.

3. 6. შინაარსის თანამიმდევრულობა ზოგადი კომპეტენციების დონეებზე

ეს პუნქტი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ექვსივე დონეს და სამ შუალედურ დონეს (A2+, B1+ და B2+) იმ ფარგლებში, რომლებსაც მოიცავს ენის საფუძვლის, ზღვრული და ზღვრული განვითარებული დონეები, რადგან ამ დონეებზე ბევრი (განსაკუთრებით ზრდასრული) შემსწავლელია.

3. 7. როგორ წავიკითხოთ ილუსტრაციული დესკრიპტორების სკალები

ეს პუნქტი, ძირითადად ორ პრობლემას ეხება: ა) თანამიმდევრულ დონეებზე არსებული დესკრიპტორები შეიძლება ვერ საზღვრავდეს აღწერილობის იგივე პარამეტრებს; ასეთ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს იმის დადგენა, თუ რამდენად ხდება შედარებით დაბალ საფეხურზე კრიტერიუმის დაკმაყოფილება; ბ) ბევრი ცხრილი

არასრული სახისაა. ზოგიერთ დონეზე დესკრიპტორები შემოთავაზებული არ არის, თუმცა დასახელებულია მიზნები და ასეთ შემთხვევებთან გამკლავების ვარიანტები.

3. 8. როგორ ვისარგებლოთ ენის ფლობის დესკრიპტორებით

ეს პუნქტი ჰყოფს როგორც მომხმარებლებს, ისე მიზნებს, რაც განაპირობებს მათ მიერ ზოგადი კომპეტენციების დონეებით სარგებლობას.

3. 9. ენის ფლობის დონეები და მიღწევების შეფასება

ეს პუნქტი განიხილავს დონეებს შორის კავშირს, რომლებიც აწესებენ ამოცანებსა და კრიტერიუმებს დადებითი / უარყოფითი მიღწევების თვალსაზრისით და შეფასებას, რაც თავის მხრივ, ახდენს შემსწავლელთა კვალიფიცირებას, მათ მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილებისა და ამოცანათა შესრულებისას მიღწეული წარმატების ხარისხის მიხედვით.

ნაწილი 4 – ენის გამოყენება და ენის მომხმარებელი / შემსწავლელი

პირველი სამი შესავალი და განმარტებითი თავის შემდეგ, თავი 4 კატეგორიების შედარებით უფრო დეტალურ სქემას მიმართავს, ენის გამოყენებისა და ენის მომხმარებლის აღწერისათვის. მომხმარებლებისათვის ხელსაყრელი იქნება, თვალი გადაავლონ ამ თავის შინაარსის შემცველ ცხრილს, რაც მეტად დააჩქარებს შინაარსთან გაცნობას.

4.1. ენის გამოყენების კონტექსტი

- 4.1.1 სფეროები
- 4.1.2 სიტუაციები
- 4.1.3 პირობები და შეზღუდვები
- 4.1.4 მომხმარებლის / შემსწავლელის მენტალური კონტექსტი
- 4.1.5 თანამოსაუბრის / თანამოსაუბრეთა მენტალური კონტექსტი
- 4.2 საკომუნიკაციო თემები
- 4.3 კომუნიკაციის ამოცანები და მიზნები
- 4.4 საკომუნიკაციო ენობრივი აქტივობები და სტრატეგიები
 - 4.4.1 პროდუქტიული
 - 4.4.1.1 ზეპირი პროდუცირება (ლაპარაკი)
 - 4.4.1.2 წერილობითი პროდუცირება (წერა)
 - 4.4.2 რეცეფციული
 - 4.4.2.1 მსმენელობითი რეცეფცია (მოსმენა)
 - 4.4.2.2 ვიზუალური რეცეფცია (კითხვა)
 - 4.4.2.3 აუდიო-ვიზუალური რეცეფცია
 - 4.4.3 ინტერაქტიული
 - 4.4.3.1 ზეპირი ინტერაქცია
 - 4.4.3.2 წერილობითი ინტერაქცია
 - 4.4.4 მედიაცია
- 4.5 საკომუნიკაციო ენობრივი პროცესები
 - 4.5.1 დაგეგმვა
 - 4.5.2 აღსრულება
 - 4.5.2.1 პროდუცირება
 - 4.5.2.2 რეცეფცია
 - 4.5.2.3 ინტერაქცია

- 4.5.3. მონიტორინგი
- 4.5.4. პრაქტიკული ქმედებები
- 4.5.5. პარალინგვისტური ყოფაქცევა
- 4.5.6. პარატექსტუალური თვისებები
- 4.6. ტექსტები
- 4.6.1 საშუალებები
- 4.6.2 ჟანრები და ტექსტის ტიპები
- 4.6.2.1 სასაუბრო ტექსტები
- 4.6.2.2 წერილობითი ტექსტები

მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომის თანახმად, ენის შემსწავლელი ენის მომხმარებლად გარდაქმნის პროცესშია, ასე რომ ორივესთან მიმართებაში კატეგორიათა ერთი და იგივე ნაკრები გამოიყენება. თუმცა, აქვე უნდა გაკეთდეს ერთი მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია. ადამიანი, რომელიც სწავლობს მეორე ან უცხო ენასა და კულტურას, კომპეტენტური რჩება მშობლიურ ენასა და მასთან ასოცირებულ კულტურაში. არც ახალი კომპეტენცია ემიჯნება ძველს ბოლომდე. ადამიანი არა მხოლოდ ეუფლება ორ განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამოქმედო და საკომუნიკაციო გზას. ენის შემსწავლელი შეიმუშავებს ინტერკულტურულობასა და პლურილინგვიზმს. თითოეული ენის გადმოსახედიდან ენობრივი და კულტურული კომპეტენციები მოდიფიცირდება სხვა ენის ცოდნით და საკუთარი წვლილი შეაქვს კულტურათაშორის ცნობიერებაში, უნარებსა და ნოჰაჰში, ისევე როგორც პიროვნულ ზრდასა და კომპლექსურობაში. შემსწავლელს ეძლევა კიდევ უფრო გაზრდილი შესაძლებლობა ენის შემდგომი სწავლისათვის და უფრო დიდი საჯაროობა ახალი კულტურული განცდებისათვის. ასევე ჩნდება მედიაციის უნარი, ინტერპრეტაციისა და თარგმანის საშუალებით, ორ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანს შორის, რომელთაც არ ძალუძთ უშუალო კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, გარკვეული ადგილი ეთმობა ასეთ აქტივობას (4.4.4) და კომპეტენციებს (5.1.1.3, 5.1.2.2 და 5.1.1.4), რაც განასხვავებს ენის შემსწავლელს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ერთენოვანი ადამიანისაგან.

შეკითხვების ყუთები. ამ ეტაპიდან დაწყებული, ყოველ პუნქტს ექნება ყუთი, რომელშიც *კომპეტენციების* მომხმარებელს საშუალება ექნება განიხილოს დასმული შეკითხვები და საჭიროებისამებრ უპასუხოს კიდევ რომელიმე მათგანს. ალტერნატიული ფრაზები „საჭიროებს / არის“, „უზრუნველყოფილია / არის“ და „მოეთხოვება“ ეხება შესწავლას, სწავლებასა და შეფასებას. ყუთი შინაარსობრივად უფრო მოსაწვევია, ვიდრე ინსტრუქცია *კომპეტენციების* არადირექტიული ხასიათის ხაზგასასმელად. თუ მომხმარებელი მიიხნევს, რომ მთლიანად ესა თუ ის ნაწილი არ შედის მისი ინტერესების სფეროში, საჭირო არ არის აღნიშნული ნაწილის ფარგლებში ყველა დანაყოფის დეტალურად განხილვა. თუმცა, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ უმეტეს შემთხვევაში, *კომპეტენციების* მომხმარებელი ჩაუფიქრდება თითოეულ ყუთში დასმულ შეკითხვას და გარკვეულ გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. თუ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, სავსებით შესაძლებელია მისი ფორმულირება მოწოდებული კატეგორიებისა და მაგალითების გამოყენებით, საჭიროებისამებრ შევსება ხელთ არსებული მიზნისათვის.

ენის გამოყენებასა და ენის მომხმარებელთან დაკავშირებით ანალიზის გაკეთება, რაც მოცემულია მე-4 თავში, არსებითი მნიშვნელობისაა *კომპეტენციებით* სარგებლობისათვის, რადგან გვთავაზობს კატეგორიებისა და პარამეტრების ერთგვარ სტრუქტურას, რომელმაც საშუალება უნდა მისცეს ენის სწავლაში, სწავლებასა და შეფასებაში მონაწილე ყველა პირს განიხილოს, სასურველი დეტალურობითა და კონკრეტული ტერმინებით ჩამოაყალიბოს საკუთარი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიმოქმედებს უშუალოდ მასთან შეხებაში მყოფი ენის შემსწავლელი ენის სწავლისას, ან რა უნდა იცოდეს ამ უკანასკნელმა სამოქმედოდ. ანალიზის მიზანია ყოვლისმომცველი და რა თქმა უნდა, არა ამომწურავი მიმოხილვა. კურსის, სახელმძღვანელოების ავტორებს, მასწავლებლებსა და გამომცდელებს მოუწევთ ძალზე დეტალური, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ტექსტების, სავარჯიშოების, აქტივობებისა და ტესტების თაობაზე. ამ პროცესის დაყვანა წინასწარ განსაზღვრული მენიუს შერჩევამდე, ვერასოდეს იქნება შესაძლებელი. გადაწყვეტილების დონე დაინტერესებულმა პრაქტიკოსებმა უნდა განსაზღვრონ საკუთარი განსჯითა და შემოქმედებითი მიდგომით. თუმცა, უნდა მოიძიონ აქ

წარმოდგენილი ენის გამოყენებისა და კომპეტენციის ყველა ძირითადი ასპექტი შემდგომი გათვალისწინებისათვის. ამგვარად, მე-4 თავის ზოგადი სტრუქტურა საკონტროლო ფურცლის ერთგვარი ნაირსახეობაა და სწორედ ამიტომ არის მოცემული თავის დასაწყისში. მომხმარებლებს ვურჩევთ გაეცნონ ამ ზოგად სტრუქტურას და გამოიყენონ ის, როცა საკუთარ თავთან ასეთი კითხვები უჩნდებათ:

შემიძლია იმ სფეროების პროგნოზირება, რომელთა ფარგლებშიც იმოქმედებენ ჩემი მოსწავლეები ან იმ სიტუაციებისა, რომელთათვისაც მოუწევთ თავის გართმევა? თუ ეს ასეა, რა როლი უნდა შეასრულონ მათ? რა კატეგორიის ხალხთან ექნებათ ურთიერთობა? როგორი იქნება მათი პირველადი და პროფესიული ურთიერთობები ამა თუ იმ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში? რა ობიექტების გამოყენება დასჭირდებათ? რა დავალებების შესრულება მოუწევთ? როგორი თემების დამუშავება დასჭირდებათ? რა სახის მასალებს მოუსმენენ ან წაიკითხავენ? როგორი იქნება მათი სამოქმედო პირობები? სამყაროს ან სხვა კულტურის შესახებ არსებული რა ცოდნის მოხმობა მოუწევთ? რა უნარების განვითარება დასჭირდებათ? როგორ უნდა მოახერხონ საკუთარი „მე“-ს შენარჩუნება ისე, რომ არასწორად არ გაუგონ? რა მოცულობის იქნება ჩემი პასუხისმგებლობა ყველაფერ ამასთან მიმართებაში? თუკი არ შემიძლია იმ სიტუაციათა პროგნოზირება, რომლებშიც შემსწავლელებს მოუწევთ ენის გამოყენება, როგორ მოვახერხო მათი მომზადება კომუნიკაციისათვის ენის გამოყენებაში ისე, რომ მომზადება გადაჭარბებული არ აღმოჩნდეს ისეთ გარემოებებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლოა არასოდეს დადგეს? რა შეიძლება მივაწოდო ისეთი, რაც ყოველთვის ღირებული იქნება რა კუთხითაც არ უნდა წარიმართოს მათი კარიერა?

ცხადია, *კომპეტენციები* ყველა ჩამოთვლილ შეკითხვას ვერ უპასუხებს. ეს იმით აიხსნება, რომ პასუხები მთლიანად დამოკიდებულია სწავლა / სწავლების სიტუაციის სრულად შეფასებაზე და პირველ ყოვლისა, – შემსწავლელთა მოთხოვნებზე, მოტივაციაზე, თვისებებსა და რესურსებზე, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ მხარეებზე, რაც მრავალფეროვნების აუცილებლობით აიხსნება. თავი 4 იღებს ფუნქციას – იმგვარად წამოაყენოს ეს პრობლემა, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული საკითხების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში – დებატირება გამჭვირვალედ და რაციონალურად, და ყველა მონაწილე პირისათვის გადაწყვეტილებათა ცხადად და კონკრეტულად მიწოდება.

ენის გამოყენების კონტექსტი

დიდი ხანია ცნობილია, რომ ენა გამოყენებაში მნიშვნელოვნად იცვლება კონტექსტური მოთხოვნების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, ენა არ წარმოადგენს, მათემატიკის მსგავსად, ფიქრის ნეიტრალურ ინსტრუმენტს. კომუნიკაციის აუცილებლობა და სურვილი ჩნდება კონკრეტულ სიტუაციაში და თვით კომუნიკაციის ფორმა და შინაარსი აღნიშნული სიტუაციის შესაბამისია. აქედან გამომდინარე, მე-4 თავის პირველი ნაწილი ეძღვნება კონტექსტის სხვადასხვა ასპექტებს.

4. 1. 1. სფეროები

სფეროს კონცეფცია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. თუკი ცნობილია რომელ სფეროში / სფეროებში მოუწევს შემსრულებელს ენის გამოყენება, შესაძლებელია ამისდა მიხედვით თემების, აქტივობების, დავალებებისა და ტექსტების შერჩევა, რაც თავიდან აგვაცილებს ზედმეტ სწავლას. მეორე მხრივ, გარემოებები ცვალებადია და ვერანაირი სწავლა ვერ იქნება ისე ზედმეტი, როგორც სპეციალიზებული ცოდნის გადაჭარბებული დოზით მიღება იმ სფეროში, რომელსაც შემსწავლელი უკან ჩამოიტოვებს. აქ შემოტანილი სპექტრი საკმაოდ ფართოა.

4. 1. 2. სიტუაციები

სიტუაციების სხვადასხვა კომპონენტები ცხრილში მაგალითების მეშვეობითაა ილუსტრირებული, რაც გვიჩვენებს თუ რამდენადაა დამოკიდებული სიტუაციებისა და სფეროებზე ჩვენი მხრიდან სხვა ადამიანების, საგნების და მოვლენების გაგება. მაგალითები, რაღა თქმა უნდა, ბრიტანულ კულტურას მიესადაგება. ბევრი მაგალითი გა-

მოყენებადია სხვა ევროპულ საზოგადოებასთან მიმართებაშიც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მომხმარებლებს მოუწევთ დაფიქსირება და გადაწყვეტილების მიღება მათი კონკრეტული სიტუაციისა და ამ სიტუაციაში ფიგურირებადი ადგილების, ინსტიტუტების და ა. შ. მიხედვით. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ეს დანაყოფი კავშირშია იმ კონტექსტთანაც, რომელშიც ენა გამოიყენება. ასევე, ყურადსადეობა ერთი ფაქტორიც, რომ სიტუაცია არასოდეს არის სტატიკური; ის დინამიური კონცეფციაა, რომელსაც ფორმა მონაწილეთა ინტერაქციით ენიჭება.

4. 1. 3. პირობები და შეზღუდვები

ეს პუნქტი შეგვახსენებს, რომ შემსწავლელის, ისევე როგორც ენის სხვა მომხმარებელთა ქმედება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის სამოქმედო პირობებზე. რატომ უნდა, ეს მაგალითები ამომწურავი ვერ იქნება და ამიტომ, სასურველია, მომხმარებლებმა იფიქრონ იმ პირობებსა და შეზღუდვებზე, რომლებსაც შეუძლიათ სტუდენტის სწავლის უნარზე და მის მიერ ტესტირებისას და გამოცდებზე ენის ფლობის სრულად გაცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა. მაგალითად მოყვანილია მფრინავების ტრენინგი ენაში, რაც თვალსაჩინოს ხდის მომხმარებლებისათვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სიტუაციების რეალობათა წინასწარ განჭვრეტა იმ ეტაპზე, როცა ადამიანი სწავლობს მათთან ეფექტურად გამკლავების საშუალებებს.

4. 1. 4. მომხმარებლის / შემსწავლელის მენტალური კონტექსტი

კონტექსტი არ არის უბრალოდ გარე ფიზიკური და სოციალური პირობები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კომუნიკაცია. უკვე აღვნიშნეთ, რომ აუდიტორიის ორი წევრიც კი ერთნაირად ვერ „გაიგებს“ ერთსა და იმავე ლექციას. ორი მოსწავლის შემთხვევაშიც, განსხვავებული იქნება ერთი და იმავე გაკვეთილის აღქმა. ყოველი ჩვენგანი, საკუთარი გამოცდილებისა და მოლოდინების მიხედვით, განსხვავებულად რეაგირებს გარე ფაქტორებზე. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული მოსახრებანი სათანადო მაგალითებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები კურსისა და გაკვეთილის დაგეგმვისას. როგორც მასწავლებლები, ისე გამომცდელები თანაგრძნობით უნდა მიუდგნენ, მაგალითად, პერსონალურ ჭრილში ისეთ ფაქტზე დისკუსიებს, როგორცაა ოჯახური ცხოვრება, რადგან ეს შეიძლება მტკივნეული იყოს ენის ისეთი შემსწავლელისათვის, რომელსაც ოჯახი დაენგრა ან ახლობელი ადამიანი დაედუპა. აგრეთვე, მკვეთრმა ცვლილებებმა თემატიკაში, შესაძლოა შემსწავლელის დეზორიენტაცია გამოიწვიოს, რის გამოც ამ უკანასკნელს საკმაოდ გაუჭირდება საუბრის დაკარგული ძაფის პოვნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას საუბარს უადგილოდ აწყვეტინებენ და სათანადო მაკომპენსირებელი სტრატეგიები ვერ გამოიყენება.

4. 1. 5. თანამოსაუბრის / თანამოსაუბრეთა მენტალური კონტექსტი

არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მომხმარებლის / შემსწავლელის მხოლოდ მენტალური მახასიათებლებისა და აქტივობის გათვალისწინებით. საკლასო ოთახში ინტერაქცია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, თვით მოსწავლეებს შორის, ისევე როგორც ზეპირ გამომცდელსა და კანდიდატებს შორის ჯგუფური ტესტირებისას, აუცილებლად მოიცავს პიროვნებათაშორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. თუ ეს პროცესი ცუდად წარიმართება, შესაძლოა პიროვნული შეუთავსებლობის გამო, შეიძლება სწავლა შეფერხდეს და ტესტირებამაც არასახარბიელო შედეგები მოგვცეს. მეორე მხრივ, დამთმობი ბუნების კანდიდატმა, რომელიც ფლობს შეთანხმების მიღწევის ერთგვარ ხერხს, შესაძლოა საკმაოდ თვალშისაცემი შთაბეჭდილება მოახდინოს ენის გაგებისა და ფლობის კუთხით.

4. 2. საკომუნიკაციო თემები

მნიშვნელოვანია თემების გამოცალკეება დავალებებისა და მიზნებისაგან. მაგალითად, დასაქმება და საყიდლებზე სიარული, როგორც სოციალური აქტივობები, შესაძლებელია შესწავლილ იქნეს პროფესიულ და საზოგადოებრივ სფეროებში. მაშინ კითხვა ასე უდერს: როგორ ვამზადებთ შემსწავლელებს ენის ეფექტურად და სათანადოდ გამოყენებისათვის სამსახურში, ან საქონლისა და მომსახურების შესაძენად? თუმცა აღსანიშნავია, რომ დასაქმება და საყიდლები შეიძლება იყოს პირადული საუბრის თემა მაშინ, როცა ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციასა და მოსაზრებებს, მაგალითად, თავის რჩენაზე, ზამთრის ფასდაკლებაზე და ა. შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ემოციური მდგომარეობების უშუალო გამოხატვა და მანერა, რომლითაც ადამიანები მათზე საუბრობენ. ძლიერ დეპრესიაში მყოფმა ადამიანმა შეიძლება ძალზე ნაღვლიანად ისაუბროს წარსულ ბედნიერებაზე. ამიტომ, განსხვავება აკადემიური ხასიათის იქნება. თუ ადამიანი ამბობს: „დღეს ბედნიერი ვარ“, ის ალბათ აღწერს და გამოხატავს კიდევ საკუთარ ემოციურ მდგომარეობას. მეორე მხრივ, თუ იგივე ადამიანი ამბობს: „გუშინ ძალზე ბედნიერი ვიყავი“, სავარაუდოდ, ამ სიტყვებით ის ამ მომენტისათვის მის უბედურებას გამოხატავს! მოზარდები, ზოგადი განათლების ეტაპზე, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან რა არის შრომის სამყარო, აქტიურად არასოდეს ისაუბრებენ დასაქმების თემაზე, სხვადასხვა პროფესიებისა და ხელობათა პლიუს-მინუსების განხილვით.

მე-7 თავში მოცემული თემატური კლასიფიკაცია ზღვრულ დონეზე (ზღვრული დონე 1990) საკმაო ზეგავლენის მქონე აღმოჩნდა და შეიძლება შემდგომაც იქნეს გამოყენებული მომხმარებლის მიერ. თუმცა, *კომპეტენციების* თანახმად, აღნიშნული თემები შერჩეულია კონკრეტული აუდიტორიის მოსალოდნელი მოთხოვნებისა და ინტერესების მიხედვით, რაც განსაზღვრულია კიდევ მე-2 თავში. გამომდინარე იქიდან, რომ საბაზო განათლების ეტაპზე მყოფი ბავშვების ინტერესები რამდენადმე განსხვავებულია, დოქტორმა ვან ექმა შემოგვთავაზა სპეციფიკური ცნებების მოდიფიცირებული სქემა ნაშრომში „ზღვრული დონე სკოლებისათვის“. საერთოდ, თემებისა და ქვეთემების შერჩევა უნდა მოხდეს კონკრეტული აუდიტორიის მოთხოვნების, მოტივაციისა და თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ მხრივ მოცემულია რამდენიმე მაგალითი.

4. 3. საკომუნიკაციო დავალებები და მიზნები

4. 3. 1. მომხმარებლებს ვურჩევთ ეს პუნქტი 7.1-7.3 პუნქტების პარალელურად წაიკითხონ, რადგან ისინი ამ თემას უფრო სიღრმისეულად და დაწვრილებით განიხილავს.

4. 3. 2. საკომუნიკაციო დავალებებისა და მიზნების ამსახველ დამატებით მაგალითებს მომხმარებელი გაეცნობა მე-7 თავში – ზღვრული დონე 1990 და ზღვრული განვითარებული დონე. ეს დონეები შესაძლოა ნიმუშებად გამოვიყენოთ იმის დასაზუსტებლად, თუ როგორ უნდა იმოქმედონ შემსწავლელებმა მომხმარებლების მსგავსად იქ წარმოდგენილ სფეროებში.

4. 3. 3. აღსანიშნავია, რომ *კომპეტენციებმა* უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ინფორმაციისა და აზრთა გაცვლით ყოველდღიური ცხოვრების წარმართვის მიზანი, არამედ მრავალი ენის სწავლების მიზანიც. აქედან გამომდინარე, პუნქტი 4.3.3. ეხება თვით ენის სწავლების პროცესში დავალებათა როლს და გვთავაზობს რამდენიმე საკითხს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მათი დაგეგმვა და მოწოდება.

4. 3. 4 ენის თამაშების კუთხით გამოყენება

ენის თამაშის კუთხით გამოყენება ხშირად გვხვდება, ენის სწავლებაში უფრო სერიოზული მიზნებიდან დროებით გადახვევისათვის. თუმცა, იგი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშობლიური ენის განვითარების თვალსაზრისით, ახდენს რა ყურადღების კონცენტრირებას თვით ენაზე. ენობრივი თამაშები დამახასიათებელია

ზრდასრულთა გასართობი აქტივობებისათვისაც და მეტწილად სატელევიზიო გართობის სფეროში ფიგურირებს. განახლებული ინფორმაციისათვის იხილეთ Cook, G c (2000) language play, Language play, language learning. Oxford, OUP.

4. 3. 5 ენის ესთეტიკური გამოყენება

ესთეტიკური აქტივობები მერყეობს, მარტივი რითმებისა და სიმღერების გამოყენებიდან მაღალი დონის ლიტერატურული ხელოვნების დაფასებამდე. მაგალითები ცხადყოფს, რომ ორივე კატეგორია საკუთარ ადგილს პოულობს განათლებასა და მის ფარგლებს მიღმა, ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე. ამ პუნქტის მიზანი არ არის განიხილოს უცხო ენის სწავლისას ლიტერატურის შესწავლის საკითხები და კულტურათაშორის კომპეტენციების განვითარება, ის უბრალოდ შემოიფარგლება სათანადო აქტივობის იდენტიფიცირებითა და მაგალითად მოყვანით. მომხმარებლებმა, რომელთაც განსაკუთრებით აინტერესებთ აღნიშნული საკითხები, უნდა განიხილონ პუნქტი 4.3.5.

4. 4. საკომუნიკაციო ენის აქტივობები და სტრატეგიები

ეს პუნქტი ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითია და მე-4 თავში აქტივობები, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, უნდა გაემიჯნოს დავალებებსა და მიზნებს. აღნიშნული ტერმინი მოიცავს ოთხ ფართოდ გამოყენებად უნარს: მეტყველება, მოსმენა, კითხვა და წერა, მაგრამ ისინი განსხვავებულ ჭრილშია განხილული. ვმუშაობთ რა მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომით, მიგვაჩნია, რომ თვით უნარი კი არ არის მოქმედება, არამედ ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად საჭირო მონაცემთა ერთობლიობაა. ამასთან, უნარები, როგორც კომპეტენციის ასპექტი, განხილულია მე-5 თავში. შესაბამისად, აქტივობები უკავშირდება მოქმედებათა ტიპს. ერთმანეთისაგან განვასხვავებთ როგორც რეცეფციულ და პროდუქციულ აქტივობებს, ისე აქტივობებს, რომლებიც მოიცავს აუდიალურ და ვიზუალურ ფაქტორებს. ამგვარად იქმნება ჩვეულებრივი ოთხი ელემენტისაგან შემდგარი კლასიფიკაცია.

ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი მიმართულების აქტივობები, რომელთა ფარგლებშიც მომხმარებელი / შემსწავლელი მხოლოდ გადმოსცემს ან აღიქვამს სასაუბრო / წერილობით ტექსტს, და აქტივობები, რომლებიც მომხმარებელს / შემსწავლელს ერთდროულად ანიჭებს გადმოცემისა და მიმღების ფუნქციას. ტერმინები: მოსმენა, კითხვა, მეტყველება და წერა ერთი მიმართულების აქტივობებისათვის გვაქვს გათვალისწინებული. მეორე კატეგორიასთან მიმართებაში, ვაცალკევებთ ინტერაქტიულ აქტივობებს, რომელთა ფარგლებშიც თანამოსაუბრეებს შორის ვერბალური ურთიერთგაცვლაა (მაგალითად, საუბარი) და მედიაციურ აქტივობებს, რაც მომხმარებელს / შემსწავლელს უბრალოდ საკომუნიკაციო არხის ფუნქციას ანიჭებს სხვა მონაწილეებთან მიმართებაში (მაგალითად, თარჯიმანი). გამომდინარე იქიდან, რომ ეს აქტივობები ძალზე განსხვავებული ხასიათისაა, რასაც მაგალითებიც ცხადყოფს, სასარგებლოდაც კი მიგვაჩნია მათი განცალკევება. ყოველი მათგანი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს შესწავლის, სწავლებისა და შეფასებისას. ამას თან ახლავს განსხვავებული სახის ტესტებიც. აღნიშნული საკითხების შემდგომი განხილვისათვის, იხ. პუნქტი 4.6.4. პუნქტები 4.4.1-4.4.4 ეხება გადმოცემას, რეცეფციას, ინტერაქციასა და მედიაციას და ხდება მათი კლასიფიცირება ქვე-პუნქტებად, რაც მოიცავს მეტყველებასა და წერასაც. ყველა შემთხვევაში, თავდაპირველად ხდება აქტივობის დეფინიცია, შემდეგ მოწოდებულია სხვადასხვა აქტივობების ტიპები კატეგორიების მიხედვით. ბოლოს მოცემულია კონკრეტულ აქტივობაში კვალიფიციურობის ამსახველი სკალები და იმ სტრატეგიათა ანალიზი, რომელთაც ენის მომხმარებელი იყენებს აქტივობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ აქ სტრატეგია გულისხმობს ენის მომხმარებლის მენტალურ ოპერაციებს, რაც შემდგომ აქტივობაში გამოიყენება. სტრატეგია არ შემოიფარგლება იმ გზებით, რომელთა საშუალებითაც ხდება ბარიერების გადალახვა და წარმატებულად კომუნიკაცია.

პუნქტი 4.4.5. ეძღვნება არავერბალურ კომუნიკაციას. მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა ენას ერთი მთლიანი საკომუნიკაციო მოვლენის ასპექტად განიხილავს, რომლის ფარგლებშიც ხდება მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა და ყველა

ხელმისაწვდომი საშუალებით ურთიერთგაგების მიღწევა. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად ენა არ არის გამოყენებადი კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება, ეს პუნქტი განიხილავს იმ პრაქტიკულ მოქმედებებსაც, რომლებიც შეიძლება ენის თანამდგევი იყოს და განაპირობებდეს გამოყენების მოდიფიცირებას. აგრეთვე, ყურადღებას ვამახვილებთ პარალინგვისტურ ყოფაქცევაზე, რომელის მოიცავს სხეულის ენას, სამეტყველო ბგერებს და ხმის მახასიათებლებს – ყველა მათგანი ენობრივი სისტემის ფარგლებს მიღმაა და თავადვეა მიმანიშნებელი. ინგლისურ ენაში, მაგალითად, ენის წკლაპუნით გადმოცემული ხმები ფონემას არ ქმნის (სიტყვის ჩვეულებრივი ფონეტიკური ნაწილი) მაგრამ მცირედ უკმაყოფილებას გამოხატავს. ექსტრალინგვისტური სამეტყველო ბგერები ძნელად ექვემდებარება ჩვეულებრივ მართლწერას. მომხმარებლები, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო ფონეტიკურ ანბანს, ამას შეამჩნევდნენ მოცემულ მაგალითებში.

ბევრი შემსწავლელი, განსაკუთრებით ენის შესწავლის საწყის სტადიებზე, როცა ენობრივი რესურსები შეზღუდულია, ცდილობს ეს რესურსები მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენოს, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელობა და კომუნიკაციის პარალინგვისტური საშუალებები ყველა საზოგადოების შემთხვევაში განსხვავებულია, ყოველთვის არ თავსდება ენობრივ საზღვრებში და ბოლომდე სარწმუნო არ არის. არანაირად შევხებივართ ნიშნების ენას, ამიტომ ევროპის საბჭო სიამოვნებით ითანამშრომლებს ამ სფეროში მოღვაწე მკვლევრებსა და პრაქტიკოსებთან, მათთან კომპეტენციების მისაღაცების თვალსაზრისით.

პუნქტი 4.4.5.3. პარალინგვისტიკასთან ანალოგიის გზით, ეხება ე.წ. „პარატექსტუალურ“ მახასიათებლებს, რომლებიც გამოიყენება ხელნაწერ და ნაბეჭდ ტექსტებში სიტყვების ხაზგასასმელად ან ცალკეული ფრაზებისა და წინადადებების დამაჯგუფებელი და შედარებითი მნიშვნელობის მისახვედრად. შესაბამისად, ილუსტრაციები, სქემები, ცხრილები და ა. შ. ემსახურება მნიშვნელობის გადმოცემასა და ინფორმაციის მიწოდებას უფრო ეკონომიურად ან კონკრეტულად, არათანამიმდევრულ ტექსტთან შედარებით.

4. 5. საკომუნიკაციო ენის პროცესები

კომუნიკაციის წარმატებული აქტი კომპლექსური პროცესია, მოიცავს მოვლენათა მთელ ჯაჭვს. მეტყველებისა და წერის პროდუცირება და რეცეფცია მოითხოვს მაღალუნარიანი აქტივობების (მენტალური და ფიზიკური) თანამიმდევრობას, როცა მშობლიურ ენაზე საუბრობს ზრდასრული ადამიანი, პროცესი გლუვად და მეტწილად გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. ჩვეულებრივ, უფრო მაღალკოგნიტური დაგეგმვა და ინტერპრეტაციული უნარები მოიცავს ცნობიერ არჩევანსა და მანიპულაციას. აღნიშნული პროცესები ჩვენი ყურადღების ცენტრში ძირითადად მაშინ ხვდება, როცა პატარები ივითარებენ საჭირო უნარს ან როცა – ტვინის ტრავმირების შედეგად – ისინი ირღვევა ცხოვრების შემდგომ ეტაპზე. ფართო გაგებით, კომუნიკაციის პროცესები და უნართა გამოყენებით მოქმედებათა თანამიმდევრულობა ფსიქო-ლინგვისტური კვლევის ობიექტია. მაგალითად, კვლევა მეტყველების შესახებ მოცემულია ხუთასგვერდიან ნაშრომში „მეტყველება: განზრახვიდან გამოთქმამდე“ – ავტორი ვ. ჯ. მ. ლეველი. შედარებით უფრო მარტივ მონახაზს გვთავაზობენ პ. დენესი და ე. პინსონი ნაშრომში „საუბრის ჯაჭვი“. როცა ხდება არამშობლიური ენის შესწავლა, აღნიშნული პროცესები მოითხოვს ხელახლა პროგრამირებას, ხოლო უნარები – ხელახლა შესწავლას. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ გაადვილებულია და ნაწილობრივ ფერხდება უკვე არსებული და რუტინად ქცეული უნარების გამო. მოქმედებები და რეაქციები უფრო ცნობიერი, ნელი და ნაკლებ სანდოა. გარდაუვალია ერთგვარი დაძაბულობა, რასაც იწვევს პროდუცირება – რეცეფციის პროცესების კონტროლისას მზარდი კომპეტენციები და მზარდი უნარი. ამიტომაც, ზოგიერთი ენის ნორმალურად მცოდნე შემსწავლელი, ვერ ახერხებს მის პრაქტიკულ გამოყენებას, მაშინ, როცა სხვები თავისუფლად და უშეცდომოდ მეტყველებენ, რადგან მათი მწირი ცოდნა ენისა კონტროლს მიღმა რჩება. თითოეული შემსწავლელის თავისებურებათა და მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჭიროა ენის სწავლის / სწავლების პროგრამასა და შეფასებაში, უნარების განვითარებასა და კომპეტენციების გაფართოებას შორის სათანადო ბალანსის დამყარება.

პუნქტი 4. 5. მიმოიხილავს ყველა იმ უნარს, რომელიც გამოიყენება ენის პროდუცირების, რეცეფციისა და ინტერაქციის დაგეგმვის, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში. აღნიშნული პუნქტი წაკითხულ უნდა იქნეს 4.4 პუნქტთან ერთად, რომელიც სტრატეგიებს ეხება.

4. 6. ტექსტები

კომუნიკაციის აქტში ტექსტი ლინგვისტური არტეფაქტია, რომელიც მონაწილეებს აკავშირებს. ის გამოაქვს პროდუქტიულ პროცესს და შეაქვს რეცეფციულ პროცესს, ხოლო ინტერაქტიული პროცესის შემთხვევაში თანამონაწილეთა ალტერნატიული წვდომის თანამიმდევრულობა (მაგ. დიალოგი) ასევე ერთ ტექსტად განიხილება.

ტექსტები (სასაუბრო და წერილობითი) კომუნიკაციის ნებისმიერი აქტისათვის გადამწვევია, რადგან წარმოადგენს მოვლენათა ჯაჭვის ერთადერთ ხილულ რგოლს. ტექსტები აუცილებელია ენის შესწავლასა და სწავლებაშიც, გამომდინარე იქიდან, რომ შემსწავლელებს ძირითადად, მოეთხოვებათ მათი გადმოცემა და გაგება. ეჭვს არ ბადებს ისიც, რომ ტექსტი მნიშვნელოვანია შეფასებაშიც, რადგან ტესტირებისას გამოსაცდელ პირებს ხშირად ერთი ტექსტი მიეწოდებათ და მოეთხოვებათ მისგან მეორის აგება (თუმცა ე.წ. ერთი უნარის ტესტირებაში მეტყველება, კითხვა, მოსმენა და წერა ცალცალკე მოწოდება. ხშირად ხელოვნურად მცირდება არაშემოწმებადი უნარების როლი მშობლიური ენის, არავერბალური ფაქტორებისა და პასუხების გამოყენებით და ა.შ)

პუნქტები 4.6.1. – 4.6.2 ეხება ტექსტის მის მატარებელ საშუალებასთან ურთიერთობას და გვიჩვენებს, რომ ეს კავშირი უბრალოდ თვითნებური არ არის. პუნქტი 4.3. ახდენს ამომწურავ აღნუსხვასა და კლასიფიცირებას ყოველდღიურ გამოყენებაში არსებული სხვადასხვა ტიპის ტექსტებისა. აქვეა მოცემული გრაფები ლექციებზე და სემინარებზე შენიშვნების ჩასანიშნად და ტექსტის დასამუშაველად. შენიშვნების ჩასანიშნად დესკრიპტორები მოცემული არ არის, რადგან სემინარში მონაწილეობა ან უნივერსიტეტში ლექციის მოსმენა წინასწარ ითვალისწინებს ენობრივ კომპეტენციებს უფრო მაღალ საფეხურზე. პუნქტი 4.6.4 განიხილავს კავშირს ტექსტსა და იმ აქტივობას შორის, რომელშიც ის ჩადებულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პუნქტი წაკითხულ უნდა იქნეს 4.4 პუნქტის სათანადო ნაწილებთან ერთად.

როგორც საგანმანათლებლო კონტექსტში, ისე ავთენტიკურ გამოყენებაში მჭიდროა კავშირი იმ მიზეზებს შორის, რომლებიც განაპირობებს ტექსტის შექმნას, აგრეთვე, ტექსტის მატარებელ საშუალებებს, ფორმას, შინაარსს და პროდუცირებულ და რეცეფციულ დამუშავებაში ჩართულ აქტივობებს შორის. პუნქტი 4.6-ის ზოგადი დანიშნულებაა გამოიკვლიოს და გარკვეულწილად მოახდინოს აღნიშნული კავშირის ილუსტრირება და კოდირება, რომ დახმარება გაუწიოს *კომპეტენციების* მომხმარებელს დასმულ კითხვებთან მიმართებაში.

ნაწილი 5 – მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციები

მოცემული გზამკვლევი საკმაოდ დეტალურად ეხება იმას, რაც მოეთხოვებათ ენის მომხმარებლებს / შემსწავლელებს როგორც კომუნიკაციის აქტების მონაწილეთ იმ ტექსტებთან მიმართებაშიც, რომლებსაც ისინი ქმნიან ან პასუხობენ. მოდით განვიხილოთ ის, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციის აქტებში.

ტერმინი კომპეტენციები ეხება ცოდნის სხვადასხვა ტიპებს და უნარებს კომპლექსურად, რომლებსაც ადამიანები იყენებენ. [ტერმინი „კომპეტენცია“ უცვლელად გამოიყენება *კომპეტენციების* ფარგლებში, ლინგვისტები მას უფრო მეტად მრავლობით რიცხვში იყენებენ, სხვაობა რიცხვთა შორის სტილისტურია და არ იწვევს მნიშვნელობის შეცვლას]

მიგვაჩნია, რომ პრაქტიკული გადმოსახედიდან კომპეტენციების კლასიფიცირება ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით სასარგებლოა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სქემას არანაირი პრეტენზია არა აქვს, ფილოსოფიურ და სამეცნიერო დატვირთვაზე. ჩვენ გამოვდივართ იმ ვიწრო მოსაზრებიდან, რომ მნიშვნელოვანია, ენასთან უშუალოდ დაკავშირებული, კომპეტენციების გამოცალკევება, უფრო ზოგადი ხასიათის მატარებელი კომპეტენციისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თვით ენის მუშაობა დამოკიდებულია მათ მჭიდრო კორელაციაზე.

5.1 ზოგადი კომპეტენციები

5.1.11 დეკლარაციული ცოდნა (savoir)

5.1.12 სოციოკულტურული ცოდნა

5.1.13 კულტურათაშორის გათვითცნობიერებულობა

5.1.2 უნარები და ნოუ-ჰაუ (savoir-faire)

5.1.2.1 პრაქტიკული უნარები და ნოუ-ჰაუ

5.1.2.2 კულტურათაშორის უნარები და ნოუ-ჰაუ

5.1.3 ეგზისტენციალური კომპეტენცია (savoir-être)

5.1.4 სწავლის უნარი (savoir-apprendre)

5.1.4.1 ენა და კომუნიკაციური გათვითცნობიერებულობა

5.1.4.2 ზოგადი ფონეტიკური უნარები

5.1.4.3 სწავლის უნარები

5.1.4.3 ვერისტიკული უნარები

5.2 საკომუნიკაციო ენის კომპეტენციები

5.2.1 ენობრივი კომპეტენციები

5.2.1.1 ლექსიკური კომპეტენცია

5.2.1.2 გრამატიკული კომპეტენცია

5.2.1.3 სემანტიკური კომპეტენცია

5.2.1.4 ფონოლოგიური კომპეტენცია

5.2.1.5 ორთოგრაფიული კომპეტენცია

5.2.1.6 ორთოეპიული კომპეტენცია

5.2.2 სოციოლინგვისტური კომპეტენცია

5.2.2.1 სოციალური ურთიერთობების მარკერები

5.2.2.2 თავაზიანობის პირობითობა

5.2.2.3 ბრძნული ხალხური გამონათქვამები

5.2.2.4 რეესტრის სხვადასხვაგვარობა

5.2.2.5 დიალექტი და აქცენტი

5.2.3 პრაგმატული კომპეტენციები

5.2.3.1 მეტყველების კომპეტენცია

5.2.3.2 ფუნქციონალური კომპეტენცია

5.2.3.3 სქემატური აგების კომპეტენცია

5.1.1.1 სამყაროს ცოდნა

ენის შემსწავლელის ცოდნა სამყაროს შესახებ ყოველთვის აღიარებული მოთხოვნა არ არის. მაშინაც კი, როცა ბავშვი იწყებს ახალი ენის შესწავლას საგანმანათლებლო კონტექსტში, ის უკვე გარკვეულ თანხმობაშია გარესამყაროსთან. ახალი ენის შესწავლა თავიდან დაწყებას არ ნიშნავს. სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის დიდი ნაწილი შეგვიძლია სარწმუნოდ მივიჩნიოთ. თუმცა, მაშინაც კი, როცა შემსწავლელი ზრდასრულია, არ შეიძლება საკითხის იმგვარად დასმა, რომ ახალი სიტყვების სწავლა ძველ აზრებზე მოსარგებლად ხდება. საზოგადოებების მხრიდან იმ სამყაროს აღქმა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და დებენ საკუთარ კოდექტიურ გამოცდილებას ენაში, მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამასთან, აღნიშვნის ღირსია ისიც, თუ ზღვრული დონის ზოგადი და სპეციფიკური ცნებების ჩარჩო როგორ მოერგო თვით სხვადასხვა ენობრივი ოჯახებიდან მომდინარე ოცხე მეტ ევროპულ ენას. საჭიროა მსჯელობა ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ენა, რომელიც უნდა ვასწავლოთ ან რომლის ცოდნაც უნდა შევამოწმოთ, მოიცავს სამყაროს ცოდნას, რაც ფაქტიურად შემსწავლელის მოწიფულობისა და ასაკობრივი გამოცდილების მიღმაა? თუ ეს ასეა, უნდა შევამოწმოთ.

აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება. როცა არამშობლიური ენა გამოიყენება სწავლების საშუალებად სკოლებსა და უნივერსიტეტებში

(და თვით მშობლიურ ენაზე განათლებაშიც), როგორც საგნის შინაარსი, ისე თვით გამოყენებული ენა ახალია. წარსულში ენის მრავალი სახელმძღვანელო, როგორცაა, მაგალითად მე-17 საუკუნის ცნობილი ჩეხი განმანათლებლის – კომენსკის „Orbis pictus“-ი, ცდილობდა ენის სწავლის სტრუქტურირებას იმგვარად, რომ ახალგაზრდებისათვის შეექმნა სტრუქტურული წარმოდგენა სამყაროზე.

5. 1. 2. სოციოკულტურული ცოდნა

ზემოხსენებული შენიშვნები არანაკლებ მიესადაგება სოციოკულტურულ სფეროსაც. სხვა ხალხების უკეთ გაგება და კულტურული სხვადასხვაობის თანაგრძნობით მიღება, ევროპის საბჭოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანია, რომელიც ასეც შეთანხმდა სახელმწიფო მეთაურთა მიერ პირველ სამიტზე. ენის სწავლას მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება უწევს სტერეოტიპების შეცვლის მხრივ. ენა მასზე მოლაპარაკეთა კულტურის უმთავრესი ასპექტია, გარდა ამისა, ენის შემსწავლელთა ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა ფაქტობრივი ცოდნის მიღება იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ და იმ ხალხის შესახებ, რომელიც მას იყენებს. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ *კომპეტენციები* განასხვავებს ამ პუნქტში განხილულ სოციოკულტურულ ცოდნას პუნქტში 5.1.2 განხილული სოციალური უნარებისაგან. სოციოლინგვისტური კომპეტენცია უფრო მკაცრი ენობრივი ასპექტებით განხილულია პუნქტში 5.2.2. ეს ყველაფერი ერთადაა გასათვალისწინებელი. აქვე უნდა ითქვას, რომ რადგან ენა სოციოკულტურული ფენომენია, სოციოკულტურული ასპექტები არა თუ შემოიფარგლება მოცემული პუნქტებით, არამედ მისადაგებულია.

5. 1. 3. კულტურათაშორის გათვითცნობიერებულობა

ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით ღირებულია, შემსწავლელის მხრიდან სხვა კულტურის შესახებ არა უბრალოდ ცოდნისა და გამოცდილების მიღება, არამედ მათი გამოყენება, საკუთარი კულტურის კუთხით გათვითცნობიერებულობის გაზრდისათვის. მათ, ვინც იცნობს მხოლოდ იმ კულტურას, რომლის ფარგლებშიც ცხოვრობს და აღიზარდა, ალბათ, ყველა თავისი ქმედება ბუნებრივად მიაჩნიათ და მათგან გადახვევებს არანორმალურად სცნობენ. თუ სწორად მივუდგებით, შეპირისპირება კულტურასთან, რომელიც განსხვავებულად აწესრიგებს მოვლენებს, შემსწავლელებს მიიყვანს საკუთარი კულტურის რელატივიზაციამდე და დაანახებს მათ, რომ ამ კულტურამ საკუთარი არჩევანი გააკეთა, ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი მთელი რიგი შესაძლებლობებიდან, რომელთაგან არც ერთი არ არის ექსკლუზიურად ვალიდური. ეს გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში მნიშვნელოვანია.

5. 1. 2. 1. უნარები და ნოუ-ჰაუ

კომპეტენციები მოქმედებაზეა ორიენტირებული. ცოდნა განიხილება არა როგორც თვითმიზანი, არამედ მოქმედებისათვის საჭირო საფუძველი. უნარები და ნოუ-ჰაუ შეუცვლელია ცოდნის მოქმედებაში ჩასადებად. ისინი, როგორც ენის სწავლის / სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტი, საშუალებას აძლევს შემსწავლელებს ეფექტურად გამოიყენონ ენა მათთვის საინტერესო აქტივობებში. ეს პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება მოტივაციას და თავიდან გვაცილებს „ინტელექტუალურ ცდომილებას“. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური უნარები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან საშუალებას აძლევს შემსწავლელებს მიიღონ სხვა საზოგადოების წევრებთან სოციალური ურთიერთობის გამოწვევები, კულტურული შოკის გარეშე, რამაც შეიძლება გააძლიეროს, არა თუ დასძლიოს ცრურწმენა.

5. 1. 2. 2. კულტურათაშორის უნარები და ნოუ-ჰაუ

იგივე პრინციპები მიესადაგება ინტერკულტურულობასაც, რაც არ ნიშნავს მხოლოდ იმის ცოდნას, თუ შემსწავლელის კულტურა როგორ კავშირშია სხვა კულტურ-

რასთან, არამედ გულისხმობს სათანადოდ მოქმედებას ორივე მათგანთან მიმართებაში. როცა საქმე გვაქვს მრავალნაირი კულტურის მომცველ სიტუაციებთან, როგორცაა სასკოლო კავშირები, ვიზიტები და გაცვლები, სტუმრები განიხილებიან საკუთარი კულტურის წარმომადგენლებად. მათ შეუძლიათ გააცნონ საკუთარი კულტურა მასპინძლებს და იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევიან, გაზარდონ საერთაშორისო გაგება და თანაგრძნობა მასთან მიმართებაში (ან, სულაც პირიქით!) მათ ასევე შეუძლიათ გადალახონ ინტერეთნიკური გაუგებრობები ბევრად უფრო ადვილად იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც მონოლინგუური და მონოკულტურული არიან. სწორედ ეს შინაარსი დევს ლოზუნგში *Einsprachigkeit ist heilbar!* (მონოლინგვალიზმი განკურნებადი) პრაქტიკული გაგებით, შემსწავლელს, რომელმაც შეიძინა კულტურათაშორის უნარები, შეუძლია დახმარება გაუწიოს მათ, ვინც ამ მხრივ ნაკლებობას განიცდის, მრავალკულტურული კონტაქტებით სავსე სიტუაციებთან თავის გასართმევად.

5. 1. 2. 3. ეგზისტენციალური კომპეტენცია

დიდი ხანია ევროპის საბჭოს თანამედროვე ენებისადმი მიდგომა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ სწავლის ამოცანები უნდა ეფუძნებოდეს შემსწავლელთა საკომუნიკაციო მოთხოვნებს და ამოცანებიცა და გამოყენებული მეთოდებიც მრავალფეროვანი უნდა იყოს, შემსწავლელთა თავისებურებებისა და მოტივაციის გასათვალისწინებლად. ადამიანთა კომუნიკაცია მთლიანად გარე ფაქტორებით არ განისაზღვრება. ზოგიერთი ადამიანი ადრეული ასაკიდანვე თამამი და გაბედულია, მაშინ როცა სხვები სიფრთხილითა და თავშეკავებულობით გამოირჩევიან. ზოგიერთი ძლიერი ნებისაა, ზოგიც – დამთმობი, მზადყოფი სხვა თვალთახედვის მისაღებად და კომპრომისზე წასასვლელად. ერთნი ოპტიმისტები არიან, სხვანი – ნაკლებად, ზოგიერთი სპონტანურად მოქმედებს, სხვები – დაფიქრების შემდეგ. ზოგიერთი შეპყრობილია აბსტრაქტული იდეებით, მაშინ, როცა სხვები მჭიდროდ არიან კონკრეტულ რეალობაზე მიჯაჭვულნი. ვერცერთ პოლარულ სხვაობას ვერ დავიყვანთ სწორ და მცდარ ალტერნატივამდე. მათი არსებობა განაპირობებს ადამიანურ მრავალფეროვნებას და ყოველ მათგანს წვლილი მიუძღვის ჯანსაღი პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. უცხო ენის სწავლისას არ უნდა ველოდოთ, რომ არაფერი ვთქვათ იძულებაზე, რომ შემსწავლელები პიროვნულად შეიცვლებიან. ჩვენ უნდა ვეცადოთ დავეხმაროთ მათ თვითგამოხატვის გზების პოვნაში ახალ ენაზე და კულტურულ კონტაქტში. ნუ მივიჩნევთ ასეთ მიდგომას ხასიათის სისუსტედ ან დათმობად. პიროვნული განვითარება თავად არის საგანმანათლებლო მიზანი, ხოლო თვითშეცნობა და თვითრწმენა შესაძლოა იყოს საკომუნიკაციო ენის სწავლების ამოცანა.

5. 1. 4. სწავლის უნარი

როგორც უკვე ითქვა, ენის სწავლა საწყის ეტაპზე, როცა განათლების მიღება სრული დატვირთვით ხდება, ვერ მოგვცემს გარანტიას, რომ შემსწავლელი სრულად იქნება უზრუნველყოფილი კომუნიკაციისათვის იმ დონეზე, რაც ზრდასრულ ცხოვრებაში დასჭირდება. უფრო სავარაუდოა, რომ კომუნიკაციის აუცილებლობა დადგეს იმ ენასთან მიმართებაში, რომელსაც ადამიანს სკოლაში ან უნივერსიტეტში არ ასწავლიდნენ. ნასწავლი ენის შემთხვევაშიც კი, მისი გამოყენება შეიძლება საჭირო გახდეს სხვადასხვა ან სპეციალიზებულ სფეროში, რის შესაძლებლობასაც მისი ცოდნა არ მოგვცემს. როცა ენის გამოყენება არ ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჩნდება ენობრივი დანაკარგი და შემსწავლელი უბრუნდება ფსევდოდამწყობის სტატუსს და საჭიროებს მრავალი რამის ხელახლა შესწავლას. ხშირ შემთხვევაში, ასეთი შემსწავლელი ვერ ტოვებს სამსახურს ფორმალური სწავლისათვის და იძულებული ხდება სამსახურშივე ისწავლოს. აქედან გამომდინარე, მომზადება დამოუკიდებლად სწავლისათვის ანუ „სწავლის“ სწავლა ნებისმიერი კურსის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. იგი უნდა დაესახოს სასწავლო ამოცანად და იმავდროულად შევიმუშაოთ და გამოვიყენოთ მეთოდები ენის სწავლის უნარიანობის განვითარებისთვის (იხ. ზღვრული დონე

1990 თავი 13). პუნქტები 5.1.4.1-5.1.4.4. გვაწვდის ოთხ თვითგანმარტებით კომპონენტს იმი-სათვის, თუ როგორ ვისწავლოთ სწავლა.

5. 2. საკომუნიკაციო ენის კომპეტენციები

პუნქტი 5.1 შეეხო ყველა ზოგად კომპეტენციას, რომელსაც საჭიროებენ ენის მომხმარებლები საკომუნიკაციო აქტში მონაწილეობისათვის. მოწოდებული მითითებების მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინებას ენის შესწავლაში, სწავლებასა და შეფასებაში. ახლა ყურადღება გადაგვაქვს კომპეტენციებზე, რომლებიც უშუალო კავშირშია ენასთან, როგორც საკომუნიკაციო საშუალებასთან.

5. 2. 1. ენობრივი კომპეტენცია

ვერავინ ისარგებლებს იმით, რაც არ გააჩნია. ენის ყველა მასწავლებელმა და შემსწავლელმა იცის, რომ ესაა ამოსავალი წერტილი. ენობრივი რესურსების შექმნა, სიტყვებისა და მათი მნიშვნელობების ცოდნა საზრიანი, სწორად ფორმირებული წინადადების ასაგებად, წარმატებული კომუნიკაციის უმთავრეს, გარდაუვალ მოთხოვნად რჩება. ზოგიერთი მასწავლებელი სწორედ ამაში ხედავს საკუთარი პასუხისმგებლობის არსს შემსწავლელთან მიმართებაში, რადგან ეს უკანასკნელი შემდეგ მარტო რჩება და თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ნასწავლის გამოსაყენებლად. მოქმედებაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო მიდგომა ამ ამოცანას სხვანაირად განიხილავს. ენა გამოყენებისათვის არსებობს და ენობრივი ფორმების ცოდნა თვითმიზანი არ არის. არც ფორმათა მანიპულაციის უნარია თვითმიზანი. ენობრივი კომპეტენციები უნდა შეიქმნას კომუნიკაციის სწავლის ბევრად ფართო პროცესის შემადგენელ ნაწილად. კონკრეტულ ენასთან მიმართებაში სრულად გაცხადებული გაცნობიერება ენობრივი სისტემისა, არსებითად საფუძველია ენის კურსების სათანადოდ დაგეგმვისათვის და შემდგომ დონეებზე ენის ცოდნის შეფასებისათვის. ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა შემსწავლელს, პროგრესირების კუთხით გამოადგება იმის გაცნობიერებაც, რომ ენა ორგანიზებული სისტემაა.

ენობრივი სისტემის პარამეტრების ზოგადი ჩარჩოს სახით წარმოდგენა, პრობლემატური საკითხია. ენები მნიშვნელოვნად განსხვავდება ფორმალური თვისებების მხრივ და მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იზღუდება ეს თვისებები უნივერსალური პრინციპებით, ასევე მრავალფეროვანია. ერთნი მსჯელობენ თვითნებურად, სხვანი გენეტიკური განსაზღვრულობის მიხედვით. *კომპეტენციების* ავტორები არ აცხადებენ პრეტენზიას ამ პრობლემის გადაჭრაზე და შემოიფარგლებიან კლასიფიკაციის შედარებით უფრო ტრადიციული აპარატით. ასეთი მიდგომის მიზანი არ არის ნორმატიულობა. მომხმარებლებს შეუძლიათ დაფიქრდნენ წარმოდგენილ სქემაზე, თავისუფლად შეცვალონ იგი და აღწერონ საკუთარი მიზნები სხვა მოდელის გამოყენებით, რომელიც უფრო ადეკვატურად მიაჩნიათ. ერთადერთი რაც მოეთხოვებათ, საკუთარი აღწერილობის ცხადად და გამჭვირვალედ ფორმირებაა.

5. 2. 1. 1. ლექსიკური კომპეტენცია

მომხმარებელი შეამჩნევს, რომ აქ სიტყვა „ლექსიკური“ გამოიყენება არა ცალკეულ სიტყვებთან, არამედ ენობრივ ფრაზებთან მიმართებაში, რომლებიც დაცულია და გამოიყენება როგორც ერთი ფიქსირებული, განუყოფელი მთლიანობა. მაშასადამე, სიტყვა „ლექსიკური“ მოიცავს ფიქსირებულ ფრაზებსა და იდიომებს, მაგრამ არა ყველა სიტყვას, რადგან კომპლექსური და შედგენილი სიტყვათა ფორმები მორფოლოგიას ექვემდებარება, როგორც გრამატიკული კომპეტენციის ნაწილი. გრამატიკული ელემენტები შუალედურ პოზიციას იკავებს, ისინი სიტყვათა მარტივი ფორმებია, მაგრამ მხოლოდ გრამატიკული კონსტრუქციების ელემენტების სახით ფუნქციონირებს. ხშირად ტერმინის ფორმის მქონე სიტყვები, შინაარსობრივი სიტყვებისაგან განსხვავებით, მაღალი სიხშირით გამოირჩევა და დახურულ ნაკრებს ქმნის. ასეთი სიტყვები, პროპორ-

ციული გაგებით, მიმდინარე ტექსტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მცირე წვლილი შეაქვს მის აზრობრივ აგებაში. ისინი კონტექსტურად პროგნოზირებადია და ჩვეულებრივ ისეთ სიტყვებს წარმოადგენს, რომლებიც სატელეგრაფო ტექსტში გამოტოვებულია, მაგალითად: (I shall) arrive (by the) last train (on) Friday. (ჩამოვალ ბოლო მატარებლით პარასკევს). ფორმების სახით, ისინი გვხვდება ენის კურსის აღრეულ სტადიაზე და შეუძლებელია მათი ცოდნა სწორედ ამ საფეხურზე. მაგალითად „a“ და „the“ არტიკლები ჩვეულებრივ პირველივე გაკვეთილში გვხვდება, მაგრამ მათი ასეთი გამოყენება ზედა დონეებზე მყოფ შემსწავლელებსაც კი პრობლემას უქმნის. ბევრი მათგანი ისეთ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, რაც სხვა ენებში სხვაგვარად იწარმოება (მაგალითად, ფლექსიური დაბოლოებები), მომხმარებლები ამჯობინებენ მათ მიკუთვნებას გრამატიკული კომპეტენციისათვის.

ცალკეული სიტყვების მიერ შესრულებული ფუნქცია, რაც გრამატიკულ ურთიერთობებზე მინიშნებას გულისხმობს, ენიდან ენამდე განსხვავდება. ინგლისურის მსგავს ენებში სადაც მათი როლი მნიშვნელოვანია, მათი კლასიფიკაცია პრობლემას წარმოადგენს. ნუსხა მოცემული პუნქტში 5.2.1.1 გვაწვდის კლასიფიცირებულ მაგალითებს, რომელთაგან თითქმის ყველა ინგლისურიდანაა აღებული. ნაწილაკების მაგალითები აღებულია გერმანულიდან, სადაც მოდალური ნაწილაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსაუბრის მიდგომათა გადმოსაცემად. ბუნებრივია, მომხმარებლები ისარგებლებენ მხოლოდ იმ კლასიფიცირებული ნუსხებით, რომლებიც მოცემულ ენას ყველაზე მეტად მიესადაგება.

5. 2. 1. 2. გრამატიკული კომპეტენცია

უკვე აღნიშნული მიზეზების გამო *კომპეტენციების* ავტორები, ითვალისწინებენ რა სკოლების სხვადასხვაობას და ევროპაში ენათა მრავალფეროვნებას, საკუთარ კომპეტენციად არ მიიჩნევენ იმ ფორმის წინასწარ სპეციფიკაციას, რაც გრამატიკულ კომპეტენციას უნდა მიენიჭოს. იმედს ვიტოვებთ, რომ *კომპეტენციების* მომხმარებლები გაგვიზიარებენ საკუთარ პრაქტიკას ისე, რომ აღნიშნული პუნქტის საფუძვლიანად გადახედვის საშუალება მოგვეცეს. ეს განსაკუთრებით ეხება შენიშვნებს სინტაქსზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ „მნიშვნელობის გადმოსაცემად წინადადებათა ორგანიზების უნარი, საკომუნიკაციო კომპეტენციის უმთავრესი ასპექტია“ და ეს პუნქტი თავისი მაგალითებით ცდილობს ოდნავ უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება „იმ პარამეტრებსა და კატეგორიებზე, რომლებიც ფართოდ გამოიყენება გრამატიკულ აღწერაში“. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ აქ ჩამოთვლილ კატეგორიათაგან ბევრი არ მიესადაგებოდეს რომელიმე კონკრეტულ ენას და სხვა – აღწერისათვის საჭირო კატეგორიები კი, საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, არიდებენ რა თავს იდიოსინკრეტულ ტერმინოლოგიას, კოდეგები შეიმუშავებენ მოცემული ენისათვის ყველაზე უფრო შესაფერის დესკრიფციულ სისტემებს. სხვებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ წმინდა ტაქსონომიური მიდგომა, უბრალოდ ფორმათა კლასიფიცირება, არაადეკვატურია. *კომპეტენციები* ემხრობა ყოველგვარ ნოვაციას იმ პირობით, რომ საბოლოო აღწერილობები მომხმარებლებისათვის გამოსადეგი და გასაგები იქნება.

მკითხველებს შეიძლება განსაკუთრებით გაუკვირდეთ ის ფაქტი, რომ ვერ შეხვდებიან დისკუსიას ტრანსფორმაციულ გენერაციულ გრამატიკაზე, რამაც უმთავრესი ადგილი დაიკავა თეორიულ ლინგვისტიკაში გასულ საუკუნეში. ეს ორი მიზეზით აიხსნება: პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ეს სკოლა თავიდანვე საჯაროდ ჩამოსცილდა ენის სწავლებას („აღენი და ვან ბურენი, თავი 7, ავტორი ჩომსკი 1966). ეს მიდგომა აშკარა კონტრასტშია წინა თაობის მიდგომასთან, რომელმაც ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის ძლიერი ზეგავლენა განიცადა და დისკრედიტებულ იქნა ჩომსკის მიერ, მოღვაწეობის დასაწყისშივე (ჩომსკი 1959; ბ. ფ სკინერის მიმოხილვა „ვერბალური ყოფაქცევა“ Language 35, 26-58). მეორე მიზეზი ისაა, რომ ამ სკოლის მიერ ლინგვისტური თეორიის განვითარებამ ენის გამოყენება უწინდელ რეალობას ჩამოაცილა, ასევე უარყო მასთან უშუალო კავშირში მყოფი ძველი მოდელები. ნატურალურ მეცნიერებებში ჩადებული ცოდნა სამყაროს შესახებ ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდა, ექვემდებარებოდა რა ემ-

პირიულ ვალიდაციას, მაშინ როცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს სულ სხვაგვარად მოხდა ლინგვისტურ კვლევაში.

მომხმარებლებს, რომელთაც სურთ მეტი შეიტყონ გენერაციული (უახლესი გამოყენებით - უნივერსალური) გრამატიკის შესახებ, შეუძლიათ გადახედონ შედარებით ადრეულ „კლასიკურ“ მოდელს Chomsky, N. (1965) *Aspects of the theory of syntax*. Cambridge, Mass, MIT Press, ან Allen, J.P.B da Van Buren. P (1971) *Chomsky: selected readings*. Oxford OUP ბოლოდროინდელი განვითარების კუთხით Radford, A, Clahsen, H და Spenser, A (1999) *linguistics: an introduction*. მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ, რომ არც ერთ გრამატიკულ თეორიას არ აქვს საყოველთაო მხარდაჭერა.

5. 2. 1. 3. სემანტიკური კომპეტენცია

სემანტიკას ხშირად უწოდებენ მნიშვნელობის მეცნიერებას. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის საკომუნიკაციო ყოფაცქევის ყველა ასპექტი მნიშვნელობის მქონეა. ის ამა თუ იმ სახის ინფორმაციას აწვდის დამკვირვებელს, რომელიც სათანადოდ აღჭურვილია მისი იდენტიფიცირებისა და ინტერპრეტაციისათვის. თითქმის ყველაფერი, რასაც მოიცავს *კომპეტენციები* შეიძლება განხილულ იქნეს მომხმარებლის / შემსწავლელის სემანტიკური კომპეტენციის ასპექტად. ამ პუნქტში აღნიშნული განხილვა უფრო ვიწრო ფარგლებშია მოქცეული, ეხება რა მხოლოდ ენობრივი ფორმების მნიშვნელობებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ლექსიკური სემანტიკა, ეხება რა სიტყვების მნიშვნელობებს (უფრო ზუსტად, ლექსიკურ ელემენტებს, იხ 4.7.2.1.1 (ა)), განსხვავდება გრამატიკული სემანტიკისაგან, რაც მოიცავს წინადადებებში სიტყვათა ორგანიზებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობებს. წინადადების მნიშვნელობა ნაწილობრივ ლექსიკური ელემენტის შერჩევით და ნაწილობრივ მათი ორგანიზებით გადმოიცემა. პრაგმატული სემანტიკა ეხება წინადადებათა (მეტწილად, ლოგიკური წინადადებების) ურთიერთდამოკიდებულების ფორმალურ მნიშვნელობას.

5.2.1.3 პუნქტის ბოლო აბზაცში მოცემულია დესკრიფციულ ლინგვისტიკაში არსებული ძირითადი დილემა, რასაც იწვევს ენის ორმაგი არტიკულაცია. როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა საკმაოდ სტრუქტურულია, მაგრამ ერთმანეთს ძალზე თვითნებურად ეჭრება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სიტყვათა ფორმებში. ჟღერადობით მსგავსი სიტყვები (მაგალითად pit, pet, pat) მნიშვნელობით განსხვავდება. მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები, როგორცაა ცხენი / ფაშატი / კვიცი; ხარი / ძროხა / ხბო, ჟღერადობით განსხვავდება. იქაც კი, სადაც კავშირი, ერთი შეხედვით, ახლოა (მაგალითად, ზმნური ფორმები დროსთან კავშირში), თუ ერთი სისტემურადაა წარმოდგენილი, მეორე ანომალიური და არამდგრადია. ეს საფიქრალს აძლევს კურიკულუმების შემდგენლებს, კურსის დამკვეთებს, სახელმძღვანელოთა ავტორებს - რა პრინციპი წამოწიონ წინ: ფორმა აქციონ ორგანიზების საფუძვლად თუ ფუნქცია.

5. 2. 1. 4. ფონოლოგიური კომპეტენცია

ეს პუნქტი განიხილავს ენის, როგორც ბგერის ორგანიზაციას. ფონეტიკა, რომელიც ეხება მოვლენათა ჯაჭვს დაწყებული სხეულის მოძრაობებიდან, რომლებიც ბგერებს ნათქვამის აკუსტიკური საშუალებებით გადმოსცემს, დამთავრებული მათი სამეტყველო ბგერებად აღქმით, შედარებით სტაბილურია მრავალი წელია. ეს იმით აიხსნება, რომ ფენომენები, რომლებსაც ის ეხება, მეტ-ნაკლებად ადვილად ხელმისაწვდომია უშუალო დამკვირვებლისათვის და წარმოდგენდა ენის გამოყენების იმ ასპექტებს, რომლებიც პირველი იქნა გამოკვლეული. ბგერის პროდუცირებისა და რეცეფციის პროცესები კარგადაა გაგებულნი, და სქემები ბგერათა კლასიფიცირებისათვის - საარტიკულაციო (პროდუქტიული) ან აუდიალური (საბაზო) - კარგად განვითარებულია, მათი წარმოდგენისათვის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონვენციებით (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი). ამ სისტემის დახვეწა ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შესაძლებელია, სმენისა და საარტიკულაციო ტრენინგების პროგრამის საშუალებით. ასეთი სახის ზოგადი ფონეტიკური ტრენინგი სწავლის სწავლების ასპექტია, ამზადებს შემსწავლელებს ისეთი განსხვავებული ბგერების გამოცნობასა და

გამოცემაში, რომლებიც, სავარაუდოდ, იქნება ახალ ენაში, უცნობ კომბინაციებშიც კი (იხ. 5.1.4.2)

კონკრეტული ენის ფონოლოგია ეხება ბგერათა როლს ამ ენის სიტყვებზე, ფრაზებსა და წინადადებებზე მინიშნებით. ამ მიზნით გამოიყენება შეზღუდული რაოდენობის ბგერათა სხვადასხვაობა, რომლებსაც გამოსცემს რამდენიმე განსხვავებული საარტიკულაციო ქესტი. მათ ენის „ფონემებს“ უწოდებენ. სიტყვებზე მინიშნება ხდება (ჩვეულებრივ) მოკლე თანამიმდევრობით ისეთი ქესტებისა, რომლებიც შემდეგ ქმნის შესაბამისი აკუსტიკური ეფექტების თანამიმდევრობას. ფონოლოგიურად, ფრაზები და წინადადებები შედგება ასეთი სიტყვათა ფორმების თანამიმდევრობისაგან, რომლებიც ხშირად მოდიფიცირდება მათი კონტექსტის მიხედვით და დამატებით ხასიათდება სიმადლის (ინტონაცია) და ქდერადობის (მახვილით) განსხვავებული პროსოდიული მახასიათებლებით. პუნქტი 4.7.2.1.4 დეტალურად წარმოადგენს ფონოლოგიური კომპეტენციის კომპონენტებს. მათგან არსებითი მნიშვნელობისაა:

1. ენის ფონემების, სიტყვათა ფონემური კომპოზიციის და საუბარში წინადადებათა მახვილითა და ინტონაციით შემკობის ცოდნა.

2. ფონემებისა და პროსოდიული მახასიათებლების პროდუცირებისა და პერსეპციის უნარები არა მხოლოდ იზოლირებული სახით, არამედ სიტყვებისა და წინადადებების კომბინაციაში. მოწიფული მოსაუბრის შემთხვევაში, ფონოლოგიური კომპეტენცია გაუცნობიერებელი ჩვევაა. გათავისებული ფონოლოგიური თვალსაზრისით, ასეთი მოსაუბრე კვალიფიცირდება სხვათა, თუნდაც დიალექტზე ნათქვამის ინტერპრეტაციაში. სირთულე შეიძლება წარმოიშვას ისეთი ბგერების გამოცემაში, რომლებიც ფონემებს არ წარმოადგენს მის მეტყველებაში. ახალ ენასთან შეპირისპირებისას, სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს ახალი ფონემების, ბგერათა უცნობი კომბინაციების აღქმა და პროდუცირება, და მოსმენილის თარგმნა მოხდება საკუთარი ფონოლოგიის მიხედვით, უცხოური აქცენტით. შედეგად ვღებულობთ გართულებულ კომუნიკაციას და გაუგებრობებს. მეორე მხრივ, ენის კვალიფიციური მომხმარებელი, კონტექსტში ენის გადაჭარბებულად არსებობისას, შესძლებს მნიშვნელობის რეკონსტრუქციას. ენის შესწავლასა და სწავლებასთან მიმართებაში წამოჭრილი საკითხები ოფციათა ფორმით წარმოდგენილია პუნქტში 6.4.7.9.

5. 2. 1. 5. ორთოგრაფიული კომპეტენცია

ეს პუნქტი წერილობითი სისტემების თავისებურებს განიხილავს.

5. 2. 1. 6. ორთოეპიული კომპეტენცია

ეს პუნქტი ეხება პრინციპებს, რომლებიც წერილობითი ფორმების გამოთქმას განსაზღვრავს.

5. 5. 2. სოციოლინგვისტური კომპეტენცია

სოციოლინგვისტური კომპეტენცია ეხება იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა ენის გამოყენების სოციალურ განზომილებასთან მიმართებაში. სოციალურ კომპეტენციასთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ ენა სოციოკულტურული ფენომენია. მრავალი კომპონენტი, განსაკუთრებით სოციოკულტურული, რომელთაც *კომპეტენციების* სხვადასხვა ნაწილებში შევხვდებით, სოციოლინგვისტურ კომპეტენციას ეხება. აქ მოცემული საკითხები სპეციფიკურადაა დაკავშირებული ენის გამოყენებასთან და სხვაგან არ განიხილება.

5. 2. 2. 1. სოციალური ურთიერთობების ენობრივი მარკერები

მომხმარებლებმა შეიძლება დაინტერესება გამოხატონ იმ ასპექტებთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრავენ ენის გამოყენებას შემსწავლელებსა და ენის სხვა მომხმარებელთა შორის სოციალურ ურთიერთობებში. ინგლისური ენიდან აღებული მაგალითები უბრალოდ ილუსტრაციულია: სხვა ენებში ურთიერთობები სხვაგვარად განიხილვრება. მაგალითად, გერმანულში *der / ihr sie*-ის საპირისპიროა, ფრანგულში *tu vous*-ის საპირისპიროა, რუსულ ენაში მიმართვისას მამის სახელს იყენებენ და ა. შ.

5. 2. 2. 2. თავაზიანობის პირობითობა

სამხრეთ ბრიტანეთის საზოგადოებაში არსებული თავაზიანობის პირობითობათა საკმაოდ ვრცელ ანგარიშს გვაწვდის (*ზღვრული დონე, 1990*, თავი 11). ეს პირობითობა, ძირითადად, უარყოფით თავაზიანობას ეხება, ანუ, შეურაცხყოფის მიყენებისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს. თავაზიანობის პირობითობა ხშირად ეროვნებათშორის გაუგებრობის წყარო ხდება. მოსაუბრე, რომელიც იცავს ინგლისურ პირობითობას და ხშირად მიმართავს მოკლე კითხვების, ან ისეთი ფრაზის გამოყენებას, როგორცაა, „მე ვფიქრობ“, სხვა საზოგადოებაში მერყევად ან ნაკლებად დამაჯერებლად შეიძლება მიიჩნიონ. მაშინ, როცა ინგლისური პირობითობის მიმდევართათვის, მეტყველებაში ასეთის არარსებობა შეიძლება ქედმაღლობას ან დოგმატურობას ნიშნავდეს. არსებობს შემთხვევები, რასაც მოწმობს მე-4 ქვედანაყოფში მოცემული მაგალითი, როცა თავაზიანობის პირობითობას განზრახ არიდებენ თავს. თუმცა, ალბათ, უკეთესი იქნება შემსწავლელმა უარი არ თქვას მასზე, თუ დარწმუნებული არ არის, რომ სწორად გაუგებენ.

5. 2. 2. 3. ბრძნული ხალხური გამონათქვამები

მიდგომების, ღირებულებებისა და მოსაზრებების თვალსაზრისით, სოციალური სოლიდარობის დასამყარებლად ან გასაღრმავებლად, ადამიანები ხშირად მიმართავენ სენტიმენტალური ფრაზების და წინადადების გამოყენებას ჩვეულებრივ საუბარში. ინგლისური ენა თავს არიდებს ე.წ. „კლიშეს“ (ანდაზა და სხვ.) გამოყენებას, რაც შეიძლება ბუნდოვნად და გაუგებრად მიიღოს მსმენელმა, თუ მისი მნიშვნელობა არ იცის. მაგალითად, ფრაზა „ah, it's an ill wind“, ნათქვამი აღმავალი ინტონაციით, გულისხმობს, რომ ცუდ სიტუაციასაც მოეძებნება დადებითი ასპექტი. თუმცა, ენის შესწავლის პროცესში, გარკვეულ ეტაპზე, გავრცელებული ანდაზების შესწავლა, შესაძლოა შემსწავლელის რეცეფციული კომპეტენციისათვის სასარგებლო დანამატიც კი იყოს.

5. 2. 2. 4. რეესტრის სხვადასხვაგვარობა

აქ მოცემული მაგალითები გვთავაზობს სხვადასხვა გზებს, რომლებიც გვეკარნახობენ, რომ ესა თუ ის მოქმედება უნდა დაიწყო სიტუაციასა და მონაწილეთა შორის ურთიერთობებზე დაყრდნობით (როგორც ასეთი, იგი მჭიდროდ უკავშირდება 5.2.2.1 პუნქტს). მაგალითები მოიცავს როგორც ფიქსირებული სარიტუალო ფორმულების გამოყენებას, ისე ახლობლებს შორის აზრთა ლაკონურ ურთიერთგაცვლას.

5. 2. 2. 5. დიალექტი და აქცენტი

ევროპულ ენაზე მოლაპარაკე არცერთი საზოგადოება არ არის ბოლომდე ჰომოგენური. ყოველ რეგიონს საკუთარი ენობრივი და კულტურული თავისებურებები გამოარჩევს. რეგიონებში, სადაც ხალხი ტიპობრივი ადგილობრივი ცხოვრებით ცხოვრობს, ეს თავისებურებები განსაკუთრებით შესამჩნევია და მიესადაგება სოციალურ კლასს, საქმიანობასა და საგანმანათლებლო დონეს. დიალექტურ თავისებურებათა აღიარება მნიშვნელოვანი გასაღებია თანამოსაუბრისათვის დამახასიათებელი თვისებების ამოსაცნობად. აღნიშნულ პროცესში დიდ როლს ასრულებს სტერეოტიპები. დროთა განმავლობაში, შემსწავლელებს მოუწევთ სხვადასხვა წარმომავლობის თანამოსაუბრეებთან ურთიერთობა და სანამ მოხდება დიალექტის ფორმათა გათავისება, შემსწავლელებმა უნდა განიხილონ მათი სოციალური თანამნიშვნელობები, აგრეთვე თანამიმდევრულობისა და მდგრადობის აუცილებლობა.

5. 2. 3. პრაგმატული კომპეტენციები

ლინგვისტიკაში ტერმინი „პრაგმატიკა“ შეიძლება გამოვიყენოთ წინადადებებს შორის გარკვეული ლოგიკური კავშირის დადგენასთან მიმართებაში (შეადარეთ პუნქტი

5.2.1.3). ამ პუნქტში ეს ტერმინი უფრო ფართო გაგებითაა გამოყენებული; მისი შედარების ვიწრო გაგება მეტყველების კომპეტენციის ასპექტად განიხილება.

5. 2. 3. 1. მეტყველების კომპეტენცია

მეტყველების კომპეტენცია წარმოადგენს მომხმარებლის / შემსწავლელის უნარს ააგოს წინადადებები და დააწყოს ისინი ისეთი თანამიმდევრობით, რომ მიიღოს ლოგიკური მნიშვნელობა. მშობლიურ ენაზე განათლების ერთ-ერთი მიზანია განუვითაროს ახალგაზრდა ადამიანს მეტყველების უნარები. უცხო ენის შესწავლა იწყება მოკლე ფრაზების აგებით, რაც ჩვეულებრივ ერთი წინადადების ფარგლებს არ სცილდება. უფრო მაღალ საფეხურზე, მეტყველების კომპეტენციის განვითარება, რომლის ცალკეულ კომპონენტებსაც ეს პუნქტი განიხილავს, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მომხმარებელი შეიძლება დაინტერესდეს მეტყველების კომპეტენციაში შემავალი ფაქტორების მოკლე ანგარიშით, რომელსაც გვთავაზობს Crystal, D. : The Cambridge Encyclopaedia of Language, განყოფილება 20.

5. 2. 3. 2. ფუნქციონალური კომპეტენცია

ეს პუნქტი განხილულ უნდა იქნეს 4.3 პუნქტთან ერთად. აქ მაკროფუნქციებში მოიაზრება მომხმარებლის / შემსწავლელის უნარი, ააგოს საუბარი სხვადასხვა საკომუნიკაციო მიზნებთან შეთავსებით, ენობრივ დავალებათა შესრულების პროცესში. ფუნქციათა სხვადასხვაობა განაპირობებს სხვადასხვაობებს ენის გამოყენებაში. მაგალითად, ინგლისურ ენაში მოქმედების აღწერა ხდება აწმყო განგრძობითი დროის საშუალებით. „I am picking up an egg and breaking it into a frying pan“. მოქმედების საჩვენებლად გამოიყენება მარტივი აწმყო: „I pick up an egg and break it into a frying pan“. მიკროფუნქციებს უფრო ვრცლად ეხება *ზღვრული დონე - 1990* და *ზღვრული განვითარებული დონე*. სასაუბრო კომპეტენცია არ გულისხმობს იმის ცოდნას, თუ რომელი ენობრივი ფორმით გამოიხატება ესა თუ ის ფუნქცია (მიკროფუნქციები). მონაწილეები ჩაბმულნი არიან ინტერაქციაში, სადაც ყოველ ინიციატივას მოჰყვება გამოსხაურება და ინტერაქცია გრძელდება, მიზნის მიხედვით, თანამიმდევრულ ეტაპებად – ურთიერთგაცვლიდან საბოლოო დასკვნამდე. კომპეტენტურმა მოსაუბრემ იცის, თუ რა პროცესები და უნარები განაპირობებს ინტერაქციას, მაკროფუნქცია ხასიათდება მისი ინტერაქტიული სტრუქტურით. უფრო კომპლექსურ სიტუაციას, სავსებით შესაძლებელია, გააჩნდეს ისეთი შიდა სტრუქტურა, რომელშიც დევს მაკრო ფუნქციების თანამიმდევრობა. ამ პუნქტში მოცემულია როგორც უმარტივესი, ისე ყველაზე უფრო კომპლექსური მაგალითები. ერთი მხრივ, გვაქვს მარტივი ინიცირება / რეაგირების წყვილი, როგორცაა კითხვა-პასუხი. *ზღვრული დონის* ფრანგული ვერსია *Un Niveau-Seuil, თავში Actes de parole* მიკროფუნქციებს სისტემურად ალაგებს – (I) ინიციატორებად და (II) რეაქციებად. მარტივი ინტერაქცია შეიძლება შედგებოდეს ასეთი წყვილების მოკლე თანამიმდევრობისაგან, მაგალითად, *დაწყება+ტრანზაქცია+დასრულება*, როგორცაა შემდეგი:

უკაცრავად, ქალბატონო – (I) ყურადღების მიქცევის მცდელობა;

დიახ? – (II) ყურადღების მიქცევა

ხომ ვერ მიმასწავლით სადგურისკენ მიმავალ გზას? –(I) ინფორმაციის თხოვნა.

ჯერ მარცხნივ წადით, შემდეგ - პირდაპირ – (II) ინფორმაციის მიწოდება

გმადლობთ, ქალბატონო – (I) მადლობის გადახდა

არაფრის – (II) მადლობის მიღება

ენის კურსები ხშირად წარმოადგენს ენას დიალოგური ფორმით, რაც ინტერაქტიული სტრუქტურების მაგალითად მოტანას გულისხმობს, როგორც ეს ზევითაა ნაჩვენები. თუმცა, ხშირად სტრუქტურა გაუგებარია, ასე რომ, შემსწავლელებმა არ იციან, როგორ იმოქმედონ, თუ ინტერაქცია კონკრეტული დიალოგის ფორმას არ მიიღებს. ეს კი იშვიათობაა. შემსწავლელები მომხმარებლის ავტონომიას უფრო ადვილად მოიპოვებენ, თუ ისწავლიან ინტერაქტიული სტრატეგიის კონტროლს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინტერაქციაში თანამოსაუბრის მონაწილეობის ჯერის განსაზღვრას მაშინაც, კი, როცა ეს ძნელად მისახვედრია. ამასთან, საჭიროა მაკომპენსირებელი სტრატეგიების გამოყენება (იხ. *ზღვრული დონე 1990*. თავი 12). ის ფაქტი, რომ

მონაწილეებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოეპოვებათ ინტერაქციის ნიმუში (განსაკუთრებით, თუ ეს უკანასკნელი რუტინიზებულია) არ ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე საუბარში შევა ნიმუშში არსებული მიკრო და მაკრო ფუნქციების ყველა ტიპი. საუბრის ზოგიერთმა სტადიამ შეიძლება დუმილშიც ჩაიაროს, როგორც თავისთავად გასაგებმა. ინტერაქციის „გაადამიანურება“ შესაძლებელია პიროვნულ საკითხებზე აზრთა ურთიერთგაცვლის შემოტანით. თუმცა, მონაწილეთა ცოდნა „მიღმა“ არსებული სქემის შესახებ გულისხმობს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ყოველთვის, როცა კი კომუნიკაცია აუცილებელია. გერმანელმა სოციოლინგვისტებმა, დაინტერესდნენ რა ენის როგორც სოციალური ქმედების თეორიით, დიდი შრომა გასწიეს ინტერაქტიული სტრუქტურების ირგვლივ. მომხმარებლებს, რომლებსაც სურთ ამ სფეროს უფრო სიღრმისეულად შესწავლა, შეუძლიათ ისარგებლონ, მაგალითად, კონრად ეჰლიჩისა (Konrad Ehlich) და იოჰენ რაჰბაინის (Jochen Rehbein) შრომებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ შედარებით ცოტაა გაკეთებული ზემოხსენებული მაკროფუნქციების სქემათა შემუშავების თვალსაზრისით. იგივე ითქმის ტრანზაქციის სახეებზეც, ყიდვა-გაყიდვის გამოკლებით. ევროპის საბჭო მოხარული იქნება, მიიღოს ინფორმაცია *კომპეტენციების* მომხმარებელთა მხრიდან ასეთი სქემების შემუშავების მცდელობაზე.

ნაწილი 6 – ენის შესწავლისა და სწავლების პროცესები

თავი 4 მიზნად ისახავს დეტალურად განსაზღვროს ის, რაც ენის კომპეტენტურ მომხმარებელს მოეთხოვება საკომუნიკაციო აქტებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო თავი 5 განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის ცოდნასა და უნარებს, რაც ენის მომხმარებლებს ზემოხსენებული სახით მოქმედების საშუალებას აძლევს. თავი 6 ეხება სწავლისა და სწავლების საკითხებს.

6. 1. რა უნდა ისწავლონ ან რას უნდა დაეუფლონ შემსწავლელები?

ეს პუნქტი განიხილავს დასახული ამოცანების შესწავლის საკითხს. ეს უკანასკნელი უფრო ფართოდაა განმარტებული პუნქტში 6.1.1. ცხრილები 1-3 მე-3 თავში, ასახელებს რა კრიტერიუმებს, რომელთაც უნდა პასუხობდეს ენის ცოდნა ყოველ თანამიმდევრულ დონეზე, შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ ამოცანათა მოკლე განმარტებად, რომლებიც განვრცობილად და მაგალითების სახითაა წარმოდგენილი თავებში 4 და 5. პუნქტი 6.1.2 განიხილავს შემსწავლელის კომპეტენციის იმ ასპექტებს კონკრეტულ ენასთან მიმართებაში, რომლებიც საჭიროებს ზედმიწევნით სწავლებას. აგრეთვე, ასპექტებს, რომლებიც უკვე არსებობს ან რომელთა დაუფლება სხვაგვარადაც შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ მრავალენოვანი (პლურილინგვური) კომპეტენცია გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ენობრივი კომპონენტების ნაკრები. პუნქტები 6.1.3 და 6.1.4 სიღრმისეულად იკვლევს მრავალენოვანი (პლურილინგვური) კომპეტენციის განსხვავებას რამდენიმე დისკრეტული ენის კომპეტენციისაგან და გამოაქვს დასკვნები ენის სწავლისა და სწავლების ამოცანებთან მიმართებაში. მრავალენოვანი (პლურილინგვური) კომპეტენციის ინდივიდუალური ენობრივი კომპონენტები არათანაბარია, დიფერენცირდება შემსწავლელის გამოცდილებისა და მისი ცვლილებების მიხედვით. თუმცა, ყველა ეს ცვლილება ხელმისაწვდომია გამოყენებისათვის და მომხმარებელს შეუძლია სხვა ენაზე გადართვა სიტუაციის ცვლილებასთან ერთად (იმ პირობით, თუ თანამოსაუბრეც მრავალენოვანია (პლურილინგვალია), ადეკვატური გაგებით). მრავალენოვან (პლურილინგვურ) მომხმარებელში დიფერენცირებული ენობრივი კომპონენტების ინტერაქცია ხელს უწყობს ენობრივი და კულტურული გათვითცნობიერებულობის განვითარებას და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს პან-ევროპულ (რეალურად, გლობალურ) გაგებასა და განვითარებაში გამომდინარე იქიდან, რომ მრავალენოვანობის პარამეტრები უკეთ აღიქმება.

დიფერენცირებული კომპონენტები ყოველთვის ნაწილობრივია. ნაკლებად განვითარებული ენა არ არის უბრალოდ არასრულყოფილი კომპეტენცია, რომელიც მოიცავს უკეთ განვითარებული ენის რომელიმე ნაწილს. ხშირად ნაწილობრივი კომპეტენციები დამატებითი ხასიათისაა, მაგალითად დიგლოსიის შემთხვევებში, სადაც კონკრეტული ენა გამოიყენება მხოლოდ ცალკეულ სოციალურ კონტექსტში (მაგალითად, პროფესიული ან რელიგიური სფერო), მაგრამ ამ მიზნით, უფრო ადეკვატურად ვითარდება, ვიდრე ენა, რომელიც ზოგადად უფრო ცნობილია. მომხმარებლებს ვთავაზობთ შეამოწმონ საკუთარი ენის კომპეტენციის ურთიერთკავშირი მრავალენოვან (პლურილინგვურ) ჭრილში და დაფიქრდნენ, ხდება თუ არა მრავალენოვნების სტიმულირება სხვებში.

მრავალენოვნების პრინციპი შემდგომ მიესადაგება საკომუნიკაციო კომპეტენციის რამდენიმე კომპონენტს, გვიჩვენებს რა ყოველი მათგანის მეტ-ნაკლებ განვითარებას ნაწილობრივ კომპეტენციებში, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ენების ცოდნის ფუნქციაზე და მათ შეფარდებით წვლილზე შემსწავლელის ზოგად საკომუნიკაციო კომპეტენციაში. აქცენტი კეთდება მათ დამატებით ხასიათზე.

6. 2. ენის სწავლის პროცესები

6. 2. 1. დაუფლება თუ სწავლა?

ეს პუნქტი *კომპეტენციების* მომხმარებლებს სთხოვს დააკონკრეტონ, რა გაგებით იყენებენ ტერმინებს *დაუფლება* და *სწავლა*. ბევრ ავტორს ტერმინი *სწავლა* ინსტიტუციონალურ სწავლამდე აქვს დაყვანილი, რაც უფრო ფორმალურია; ტერმინები *შემსწავლელი* და *სწავლა* განზოგადებული გაგებით გამოიყენება.

6. 2. 2. როგორ სწავლობენ შემსწავლელები?

ეს პუნქტი ყურადღებას ამახვილებს თეორეტიკოსთა და გარკვეულწილად პრაქტიკოსთა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე იმის თაობაზე, თუ რა უფრო უწყობს ხელს ენის ცოდნის გაუმჯობესებას – ენის პრაქტიკულად გამოყენება, თუ ფორმალური ინსტრუქტირების პირობებში სწავლა. პირველი მოსაზრების აქტიურად დამცველთა შორისაა კრაშენი; იხ. Kraschen (1982) და Kraschen & Terrel (1983).

6. 3. რა შეუძლია ყოველი სახის კომპეტენციის მომხმარებელს გააკეთოს იმისათვის, რომ გააადვილოს ენის შესწავლა?

ეს პუნქტი განიხილავს, თუ რა როლს ასრულებს თითოეული მხარე ენის სწავლის პროცესში.

6. 4. რამდენიმე მეთოდოლოგიური ოფცია თანამედროვე ენის შესწავლისა და სწავლებისათვის

ეს პუნქტი ეხება შესწავლასა და სწავლებაში მეთოდების გამოყენების საკითხს. როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველ თავში, *კომპეტენციები* არ ემხრობა რომელიმე კონკრეტულ მეთოდს, მაგრამ სთავაზობს მომხმარებელს იფიქრონ მათთვის ხელმისაწვდომ საკითხებსა და ოფციებზე.

იმ ეტაპზე, როცა მიმდინარეობდა კონსულტაციები *კომპეტენციების* პირველი და მეორე მონახაზების ირგვლივ, მრავალმა კოლეგამ შემოთავაზა გამოთქვა ამ პოლიტიკასთან მიმართებაში. ისინი აცხადებდნენ, რომ ევროპის საბჭო კარგა ხანს იბრძოდა ენის შესწავლისა და სწავლებისათვის საკომუნიკაციოდ, რასაც აშკარა მეთოდოლოგიური საფუძველი ჰქონდა. არ გვინდა *კომპეტენციების* მომხმარებლებს ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, რომ შემდეგ საბჭომ უარყო საკუთარი პოზიცია და მკაცრი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, რაც მისი უწინდელი მიდგომის მცდარობით შეიძლება ყოფილიყო ახსნილი. სასურველია, *კომპეტენციები* მიუთითებდეს, თუ რომელ ოფციებს ანიჭებს უპირატესობას, ან რომელთა გამოყენებამ შეიძლება განაპირობოს უარყოფითი შედეგების დადგომა (მაგალითად, გრამატიკული / მთარგმნელობითი მეთოდები ან სტრუქტურული სწავლება)

როგორც უკვე განვმარტეთ ამ გზამკვლევის 1.5 პუნქტში, ევროპის საბჭო უარს არ ამბობს იმ მიდგომაზე, რომლითაც იცნობენ და არც მეთოდოლოგიურად ნეიტრალურია. მისი პრინციპები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მინისტრთა კომიტეტის ცნობილ რეკომენდაციაში ღ(82)18. პროექტში „ენის შესწავლა ევროპელი მოქალაქეებისათვის“ ჩადებულია კვლევებმა და საქმიანი შეხვედრების ანგარიშებმა მრავალ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციას მისცა დასაბამი. ყოველივე ეს, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით, გაერთიანდა ამ პროექტის საბოლოო ანგარიშში და მოწონებულ იქნა სამთავრობათშორისო კონფერენციაზე „ენის სწავლა ახალი ევროპისათვის“, რომელიც ჩატარდა სტრასბურგში 1997 წლის აპრილში. თავის მხრივ, საბოლოო ანგარიშმა განაპირობა მინისტრთა კომიტეტის ახალი რეკომენდაციის შექმნა (იანვარი 1998) მაგრამ აღსანიშნავია, რომ *კომპეტენციებს* განსხვავებული ფუნქცია აქვს. მან უნდა უზრუნველყოს საფუძველი დაფიქრებისათვის და საკომუნიკაციო ინსტრუმენტი პრაქტიკოსებისათვის ანუ მათთვის, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ენის სწავლებასა და შეფასებაში, მის ადმინისტრირებასა და მხარდაჭერაში. მოცემული გზამკვლევის მომდევნო თავები ეძღვნება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა მოთხოვნებსა და ინტერესებს; ამ თავში მოცემული დირექტივები სავარაუდოდ, ყველა მომხმარებლის ინტერესებს მიესადაგება.

მოცემულ პუნქტსა და მის ქვეპუნქტებში ვცადეთ ერთობლიობაში გადაგვეხედაოფციებისათვის და შეგვეთავაზებინა *კომპეტენციების* მომხმარებელთათვის მათზე დაფიქრება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ არცერთი ოფცია არ მიესადაგებოდეს მომხმარებლის პოზიციას. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს ვთავაზობთ საკუთარი პოზიციის განსაზღვრას მაქსიმალურად გამჭვირვალედ, დეფინიციას, როგორც *კომპეტენციების* პოტენციური დანამატის მიწოდებას საბჭოსათვის.

6. 4. 1. ზოგადი მიდგომები

ამ პუნქტში მოწოდებულია 6.2-ში განხილული ოფციები, რომლებიც შემდეგნარიად ნაწილდება: უბრალო მიმართება, გამოყენებად ენასთან (ოფცია ა) თვითშესწავლის (ოფცია ე) და ტრადიციული მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების (ოფცია ფ) გზით და ყველაზე უფრო ინტენსიური ინტერაქტიული საკლასო მეთოდები (ოფცია ი).

6. 4. 2. მასწავლებლების, შემსწავლელების და საშუალებების შეფარდებითი როლი

სწავლის ბუნებასთან მიმართებაში არსებულ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საკლასო ორგანიზაციასა და პრაქტიკაში, აგრეთვე, მასწავლებლებისა და შემსწავლელების ყოფაქცევის მოლოდინისა და სასწავლო საშუალებათა როლის განსაზღვრის კუთხით. საკლასო ოთახი, რომელშიც სწავლების ავტორიტარული მეთოდები გამოიყენება, ძალზე განსხვავდება იმ გარემოსაგან, სადაც მოსწავლეები აქტიური აგენტები არიან და მასწავლებლები მხარდაჭერასა და ხელშეწყობას უზრუნველყოფენ. ეს პუნქტი მომხმარებლებს სთავაზობს განიხილონ კლასების სოციალურ ხასიათთან დაკავშირებული ოფციები და გაკეთებული არჩევანის მნიშვნელობა. მომხმარებელთა ყურადღების ცენტრში ექცევა ევროპის საბჭოს გამოცემა „კომუნიკაცია თანამედროვე ენების კლასში“ (ავტორი ჯ. შეილსი), რომელშიც აღნიშნული საკითხები ამომწურავადაა განხილული.

6. 4. 3. ტექსტები

ამ პუნქტში წარმოდგენილი ოფციები ეხება სასაუბრო და წერილობითი ტექსტების როლსა და ბუნებას როგორც რეცეფციულ, ისე პროდუქტიულ ჭრილში, ენის შესწავლისა და სწავლებისათვის. მათ განხილვამდე, მომხმარებელმა კიდევ ერთხელ უნდა გადაავლოს თვალი პუნქტს 4.6.

6. 4. 4. დავალებები და აქტივობები

მოცემულ ოფციებს შორის არჩევანის გაკეთებისას, სასურველია მე-7 თავის განხილვა, რომელშიც ეს საკითხები საკმაოდ სიღრმისეულადაა მოწოდებული.

6. 4. 5. საკომუნიკაციო სტრატეგიები

სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც ხდება შემსწავლელის კომპეტენციების მოქმედებაში მოყვანა, როცა ხდება საკომუნიკაციო აქტივობებში ჩართვა, დეტალურადაა განხილული 4.4 პუნქტის ქვეპუნქტებში, რადგან ისინი ეხება ყოველ „აქტივობას“ (პროდუცირება, რეცეფცია, ინტერაქცია, მედიაცია). ამ სტრატეგიების განვითარებით დაინტერესება ენის შესწავლასა და სწავლებასთან საკომუნიკაციო მიდგომის ერთ-ერთი ნიშანია, განასხვავებს რა მას ადრინდელი მიდგომებისაგან, რომლებიც ენის ცოდნას თვითმიზნის ჭრილში განიხილავდა. აღნიშნული საკითხების განხილვისას, მკითხველები ყურადღებით უნდა გაეცნონ პუნქტს 4.4.

6. 4. 6. ზოგადი კომპეტენციები

პუნქტი 5.1 ფართოდ ეხება კომუნიკაციაში ენის მომხმარებლის ზოგადი კომპეტენციების მნიშვნელოვან როლს. თუმცა, დეფინიციიდან გამომდინარე, ისინი უშუალოდ ენას არ ეხება. ამიტომ გადასაწყვეტია, თუ რა ადგილი უნდა მიეჩინოს მათ ენის კურსში (თუ ეს საერთოდ საჭიროა). ეს პუნქტი მრავალ ოფციას გეთავაზობს. მათი განხილვისას, მომხმარებელმა შეიძლება მოისურვონ ამა თუ იმ ოფციის შერჩევით მიღებული შედეგების განჭვრეტა, რაც მე-4 თავზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

6. 4. 7. ენობრივი კომპეტენციები

თქმაც ზედმეტია, რომ ენობრივი კომპეტენციების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეორე ან უცხო ენის შესწავლისათვის. ცხოვრებისეული გამოცდილება და მშობლიური ენის კომპეტენციის განვითარება, რაღა თქმა უნდა, ხელს უწყობს გარკვეულწილად საკომუნიკაციო კომპეტენციის სხვა კომპონენტების განვითარებას. გასარკვევია, რა ადგილი უნდა მიეჩინოს მათ მეორე ან უცხო ენის სწავლებაში. თუმცა, ძირითადი პრობლემა ის არის, რომ მოცემული ენების არცოდნა კომუნიკაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. ენობრივი ცოდნისა და უნარის მრავალფეროვანი კომპონენტების ეფექტურად სწავლება მასწავლებელთა პასუხისმგებლობის არსებითი ნაწილია. ყველა ენობრივი სისტემა საკმაოდ კომპლექსურია. კომპლექსურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ისინი ევოლუციურად ვითარდება, სოციალურ გარემოში მიმდინარე ორგანული პროცესების საშუალებით და ლოგიკურ კონსტრუქციებს არ წარმოადგენს. როგორც უკვე ვნახეთ მე-4 თავში, ნებისმიერ ენას უდიდესი ლექსიკური და გრამატიკული რესურსები გააჩნია და ფაქტიურად ყველა შემთხვევაში, უდიდესი ძალისხმევაა საჭირო მათი აქტიური დახვეწისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ დროის ხანგრძლივობაზე. დროისა და ხელმისაწვდომი ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმალურად გამოყენება ის პრობლემაა, რომელსაც უამრავი ადამიანი აწყდება, როგორც პარტნიორი სწავლის თვალსაზრისით. პარტნიორთა ერთი ნაწილის მიერ გაკეთებული არჩევანი ყველა დანარჩენზე ზეგავლენას ახდენს. ასე რომ, საჭიროა გარკვეული კოორდინაცია ორმხრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მიზანს წარმოადგენს მე-

თავსებადობა და არა ერთგვაროვნება. *კომპეტენციების* ამ პუნქტში, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, ვეცადეთ ხელმისაწვდომი ოფციები სრულყოფილად წარმოგვედგინა. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებელს ვთხოვთ მოგვაწოდონ ოფციები საკუთარი ცოდნის, გამოცდილებისა და გაგების მიხედვით, რაც აუცილებლად გამოადგებათ მომავალ მომხმარებლებს.

6. 4. 7. 1. – 6. 4. 7. 3. ლექსიკონი

აქ აღნუსხული ოფციები, რა თქმა უნდა, ორმხრივად ექსკლუზიური არ არის. მომხმარებლებს შეუძლიათ მოგვაწოდონ მეთოდები, მათი გამოყენებისათვის საჭირო კომბინაციები და მოცულობა.

6. 4. 7. 4. – 6. 4. 7. 8. გრამატიკული კომპეტენციები

გრამატიკის სწავლება ენის სწავლების, ალბათ, ყველაზე უფრო სადავო და იმავდროულად მნიშვნელოვანი ასპექტია. მიდგომები საკმაოდ განსხვავებულია, ზოგიერთი განყენებული ფორმალობაა, ზოგიც მოლოდინი იმისა, რომ შემსწავლელი თანდათანობით აითვისებს გრამატიკას, ყოველგვარი ფორმალური ინსტრუქტირების გარეშე ისე, როგორც ეს ხდება პატარების შემთხვევაში პირველი ენის სწავლისას. არსებობს დიდი ხნის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ენის სწავლისას პროგრესი ფასდება შემსწავლელის უნარის ტესტირებით, უშეცდომოდ შეასრულოს გრამატიკული სავარჯიშოები. ამ ამოცანას რამდენადმე ართულებს ის ფაქტი, რომ ბუნებრივი ენები შორსაა იდეალურად მდგრადი სისტემების ფორმირებისაგან (შეადარეთ მოცემული გზამკვლევის 6.5 პუნქტი). სკოლის მოსწავლეებისათვის გრამატიკა ერთგვარი ინტელექტუალური ბარიერია, დაკავშირებული წმინდა ფორმალურ სიზუსტესთან და გამოუსადეგარი – მნიშვნელობის გადმოსაცემად.

სინამდვილეში, პირიქით ხდება. გრამატიკის დახვეწა გვათავისუფლებს ცალკეული ნიშნების დამახსოვრების აუცილებლობისაგან. ენის სწავლებისას გრამატიკის უგულვებელყოფა იწვევს შემსწავლელთა დეზორიენტაციასა და „ფიჯინიზაციას“, რადგან ამოცანები, თავისუფლად მეტყველების უნარი და სიზუსტე ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. როგორ მივაღწიოთ სათანადო ბალანსს? რა როლი უნდა ითამაშოს გათვითცნობიერებულობამ? რა ადგილი უნდა დაეთმოს სავარჯიშოებს? რამდენ ხანს შესძლებენ შემსწავლელი გრამატიკული წესების „ატანას“ გამოყენებად ენასთან მიმართების გარეშე? როგორია ასაკის, გამოცდილების, განათლების, გონიერებისა და შემსწავლელის ტიპის ზეგავლენა?

ეს პუნქტი არ გვაწვდის არც პასუხებს და არც ოფციათა დეტალურ სიას. ის განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას: ა) ფაქტორებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გრამატიკული ასპექტების მოწესრიგებაზე ენის კურსებზე; ბ) ალტერნატიულ და დამატებით მეთოდებზე, რომლებიც ხელს უწყობს გრამატიკული კომპეტენციის განვითარებას და გ) სავარჯიშოთა ფორმების ჩამონათვალზე. მივესალმებით მომხმარებელთა თანამშრომლობას მოცემული პუნქტის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

კომპეტენციები არ ცდილობს დაადგინოს ზოგადი წესები და პროცედურები გრამატიკული კურსის შინაარსობრივი დატვირთვის შესარჩევად, შემოიფარგლება რამდენიმე ძირითადი შენიშვნით თანამიმდევრულობის შესახებ. სტანდარტული გამოყენების გრამატიკა ხელმისაწვდომია ენათა უმრავლესობისათვის და მომხმარებელს ვურჩევთ მის გამოყენებას კურსების, ტესტების და ა. შ. გრამატიკული შინაარსის არჩევისას. მომხმარებლებმა უნდა მოახდინონ კონსულტირებული გამოყენებითი გრამატიკის იდენტიფიცირება.

6. 4. 7. 9. გამოთქმა

ეს პუნქტი უზრუნველყოფს მეთოდების ჩამონათვალს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა კომბინირებადი. ვფიქრობთ რა, თუ როგორ გავუადვილოთ შემსწავლელს ზეპირი ნათქვამის გაგება და ფორმირება, მომხმარებლებს ვურჩევთ ისარგებლონ 5.1.4.2 და 5.2.1.4 პუნქტებით და გზამკვლევის შენიშვნებით ამ პუნქტების შესახებ.

6. 4. 7. 10. ორთოგრაფია

ეს პუნქტი ეხება ენის წერილობით ფორმას. მშობლიური ენის განვითარებისას, ბავშვის კონტროლი სამეცნიერლო ენაზე, მისი ფონოლოგიის ჩათვლით, წერა-კითხვის შესწავლამდე, საკმაოდ კარგია. ანბანური წერილობითი სისტემები ძირითადად ფონემურია. მაგალითად, ფინური ენა ასეთია. ამ შემთხვევაში, ბავშვს სჭირდება უფრო მეტად გათვითცნობიერება სიტყვათა ფონემურ აგებულებაში და კონკრეტული ფონემის კონკრეტულ ასოსთან ასოცირება, რათა შესძლოს ნებისმიერი სიტყვის ან წინადადების დაწერა; და პირიქით, მას შეუძლია ნებისმიერი დაწერილი სიტყვა გამოსთქვას სპეციალური სწავლის გარეშე. სხვა სისტემებში (მაგალითად, ჩინური) რომლებიც ლოგოგრაფიულია, სიტყვები და არა ფონემები წარმოდგენილია ნიშნების სახით. ბავშვები ცალ-ცალკე სწავლობენ ყოველი სიტყვის აღმნიშვნელ ნიშანს. როცა მათ ხვდებათ ახალი სიტყვა მეცნიერებაში, არ იციან, როგორ დაწერონ ის, და პირიქით, როცა ხვდებათ ახალი სიტყვა წერილობითი ფორმით, არ იციან როგორ გამოსთქვან ის.

მრავალ ევროპულ ენაში (მაგალითად, ინგლისურში) ძირითადად ფონემაზე დაფუძნებული ანბანური წერილობითი სისტემა დაამახინჯა ისტორიულმა ბგერათა ცვლილებამ (მაგალითად, დიდი ხმოვნის ცვლილება ინგლისურში), რაც ასახული არ იყო წერილობითი ფორმით, ნაწილობრივ ეტიმოლოგიური ფაქტორების გამო (როგორცაა სურვილი, კლასიკური ან თანამედროვე ენებიდან ნასესხებ სიტყვებს შეუნარჩუნდეს ორიგინალური წერილობითი ფორმა) და ნაწილობრივ წინასწარ გამოზნული პოლიტიკის შედეგად, რომელიც განსხვავებულ წერილობით ფორმებს ჰომოფონებს მიაწერს (ერთნაირი უღერადობის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები). შედეგად, ასეთმა ენებმა შეიძლება გამოიწვიოს უცხოელი შემსწავლელების (და თვით ბავშვების) მიერ ფონემური და ლოგოგრაფიული პრინციპების არედასტურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასოების სახელები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი მნიშვნელობებისაგან. მრავალი სიტყვის შემთხვევაში, ბგერა და მართლწერა ურთიერთპროზოზირებადია, მაგრამ არცთუ ბოლომდე სარწმუნო. უცხოელი შემსწავლელები და მასწავლებლები აწყდებიან პრობლემათა მთელ კომპლექსს. მშობლიური ენის მცოდნე შემსწავლელებმა უნდა გაიმეორონ თავდაპირველი პროცესი, რაც გულისხმობს სალაპარაკო ენის ძირითადი ფორმების ათვისებას და შემდეგ ისწავლონ მათი წერა („ფონეტიკური“ მეთოდი), თუ დაიწყონ წერილობითი ფორმებით, რომლებიც უფრო მიესადაგება ტექსტებსა და სახელმძღვანელოებს, და შემდეგ ისწავლონ მათი გამოთქმა? შესაბამისად, ახალი სიტყვები ჯერ ზეპირი და შემდეგ წერილობით ფორმით იქნეს შეტანილი, თუ იმისდა მიხედვით, რომელი ფორმა აღმოჩნდება პირველი თანამიმდევრობაში, როგორც ეს ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ ისწავლონ შემსწავლელებმა იმ ფორმების წერა, რომლებიც, მაგალითად, რადიო ან სატელევიზიო გადაცემებში შეხვდებოთ, ან ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში? როგორ შესძლებენ ისინი საუბარში იმ სიტყვათა ფორმების არჩევას, რომელთაც კითხვის პროცესში წააწყდნენ? ამ პუნქტში მოცემული ოფციები აღნიშნული პრობლემური კვანძის სხვადასხვა ასპექტებს ეხება და მოიცავს 5.21.6 პუნქტში წამოჭრილ ორთოეპიულ საკითხებსაც. ეს ოფციები ჩამონათვალს ქმნის და სხვადასხვაგვარად კომბინირებადია.

6. 4. 8. სოციოლინგვისტური კომპეტენციები

6. 4. 9. პრაგმატული კომპეტენციები

აქ მოცემული ოფციები მჭიდრო კავშირშია 5.2.2 და 5.2.3 პუნქტებთან. ყველა შემთხვევაში, ერთი ოფცია უნდა უშვებდეს მოცემული კომპეტენციების ან სტრატეგიების უბრალოდ გადაცემას მშობლიური ენის გამოყენებიდან. ეს ოფცია არ გულისხმობს კომპეტენციების მარგინალიზაციას ან უარყოფას. სხვა ჩამოთვლილი ოფციებიც ყურადღებით უნდა იქნეს განხილული მე-4 თავის პუნქტებთან და ამ პუნქტების შესახებ გზამკვლევაში მოცემულ შენიშვნებთან ერთად.

6. 5. შეცდომები

ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასების არცერთი მეთოდოლოგია არ იქნება სრულად განხილული, თუ არ გავითვალისწინებთ შეცდომებსაც. ტრადიციულად, შემსწავლელის წარმატება ან ჩაჭრა ფასდება მისთვის დავალების მიცემით და ამ დავალების შესრულებისას დაშვებული შეცდომების დათვლით. დავალება შეიძლება იყოს გრამატიკული სავარჯიშოები, თარგმანი მშობლიურიდან უცხო ენაზე და პირიქით (პირველი და მეორე ენის ფარგლებში), სავარჯიშოები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, ან ნებისმიერი სხვა ვარიანტი, რაც მოითხოვს დადებით ან უარყოფით პასუხს. იმ დროს, როცა რეალურ დროში საერთაშორისო კომუნიკაცია ნაკლებად აუცილებელი იყო და კლასიკურ ენებსაც ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა ჰქონდა, ენის სწავლა საგანმანათლებლო კუთხით, გულისხმობდა მკაცრი ინტელექტუალური დისციპლინის უზრუნველყოფას, ახალგაზრდების მომზადებას კომპლექსურ და მხოლოდ ნაწილობრივ მდგრად სისტემებთან დიდი ყურადღებითა და სიზუსტით მუშაობისათვის.

ენის სწავლებამ საკომუნიკაციო მიზნით, დანერგვისთანავე ეჭვს ქვეშ დააყენა ტრადიციული სწავლების ღირებულებები და მიზნები. დავალების ის ტიპები, რომლებიც ექვემდებარებოდა შეცდომების დათვლას, ამზადებდა შემსწავლელებს კომუნიკაციისათვის თუ მეტად ხელოვნური იყო ამ მიზნით გამოყენებისათვის? მიდგომა, რომელიც გულისხმობდა დავალებათა ზუსტად შესრულებაზე ფიქრს და რომელსაც ახლდა შიში უმეცრად გამოჩენისა შეცდომების დაშვების შემთხვევაში, გამართლებული იყო თუ არა საკომუნიკაციო გამოწვევებისათვის თავის გასართმევად? ხომ არ ხდებოდა შემსწავლელი ზედმეტად ფრთხილი, მორცხვიც კი, რაც განაპირობებდა უარის თქმას რისკზე და შემოფარგვლას მხოლოდ იმით, რაც უსაფრთხო და უკვე ნასწავლი იყო? თუ ორივე, ენის თავისუფლად ფლობა და სიზუსტე წარმატების კრიტერიუმი იყო, ხომ არ ხდებოდა მათი მიღწევა გამოყენების ფარგლების ზედმეტად შეზღუდვის ხარჯზე? ხდებოდა შემსწავლელთა გადამზადება ენის ცოდნის სრულყოფისათვის? ხომ არ ართმევდა მთელი ეს პროცესი ახალგაზრდების ფართო მასას, ინტელექტუალური ელიტის გამოკლებით, მოტივაციას და ხომ არ განაპირობებდა მათ მარგინალიზაციას, რაც ხელს შეუშლიდა სამომავლოდ მათ მომზადებას საერთაშორისო კომუნიკაციისათვის? მეორე მხრივ, საკომუნიკაციო ეფექტურობა, როგორც კრიტერიუმი, საკმაოდ მდგრადი იყო. ენის პლენონაზმი გულისხმობდა, რომ პარალინგვისტური ქესტებით შევსებული „ფიჯიზებული“ ენა, შესაძლოა ეფექტური ყოფილიყო თანამგზავნობ მსმენელთან კომუნიკაციის დამყარებისათვის. იყო ეს მისაღები საგანმანათლებლო თვალსაზრისით? რა ზეგავლენას მოახდენდა იგი საერთაშორისო ურთიერთობაზე? ხომ არ იყო ეს კიდევ ერთი მაგალითი სტანდარტებიდან გადახვევისა, მიღწევის დაბალი მაჩვენებლის ადვილად მიღება – ასეთი მიდგომით „ნებისმიერი გამოდგება“? შეცდომების გათვალისწინებით შეფასებას გააჩნია კიდევ ერთი ტექნიკური არგუმენტი თავისდა სასარგებლოდ – ის კარგად გასაგები და პრაქტიკულია. არსებობს სხვა გზა ენის შეფარდებითი ცოდნის შესამოწმებლად, პროგრესის მონიტორინგისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის?

ამჟამინდელი მიდგომები, მოსაზრებები და პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: ამ პუნქტში წარმოდგენილი ოფციების მიზანია დააფიქროს მომხმარებლები და ხელი შეუწყოს მათ საკუთარი მიდგომისა და პრაქტიკის გაზიარებაში იმ ასპექტთან მიმართებაში, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ საკამათოა.

ნაწილი 7 – დავალებები და მათი როლი ენის სწავლებაში

ეს თავი საკმაოდ დეტალურად და სიღრმისეულად განიხილავს საკითხებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საკომუნიკაციო ენის შესწავლაში, სწავლებასა და შეფასებაში, რაც ტექსტონომიურადაა მიმოხილული პუნქტში 4.3. მომხმარებლებს შეუძლიათ ეს თავი გზამკვლევის 6.4.4 პუნქტში მოცემულ ოფციებთან ერთად წაიკითხონ.

7. 1. დავალების აღწერა

დავალებაზე დაფუძნებული სწავლა, ბუნებრივია, ძლიერი და მზარდი ტენდენციაა საკომუნიკაციო მიდგომის ფარგლებში. ეს პუნქტი განიხილავს ენის ყოველდღიურ გამოყენებასა და ენის სწავლების კლასში არსებულ დავალებათა განსხვავებული ტიპების მახასიათებლებს.

7. 2. დავალების შესრულება: კომპეტენციები, დავალების პირობები, შეზღუდვები და სტრატეგიები.

7. 3. დავალების სირთულე

ეს პუნქტი მჭიდროდაა დაკავშირებული მე-4 თავის რამდენიმე პუნქტთან, რომელიც ეხება სხვადასხვა სირთულის საკომუნიკაციო დავალებების შესრულებას, ძირითადად, საგანმანათლებლო კონტექსტში. *კომპეტენციების* მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ გაითვალისწინონ ისინი, დაგეგმონ დავალებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენება ენის სწავლებაში და მოგვაწოდონ პასუხები სხვა მონაწილეთა მიერ დასმულ ზემოხსენებულ შეკითხვებზე.

ნაწილი 8 – ენობრივი მრავალფეროვნება და კურიკულუმი

ევროპული საზოგადოება არის და იქნება მრავალენოვანი (მულტილინგუური) და მრავალკულტურული. მის ფარგლებში მზარდი თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით მოქმედებისათვის, ინდივიდები, როგორც სოციალური აგენტები, უნდა გახდნენ უფრო მრავალენოვანი (პლურილინგუური) და მრავალკულტურული. მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სიტყვა „მულტი“ აქ ერთ საზოგადოებაში რამდენიმე ენისა და კულტურის თანაარსებობის აღსანიშნავად გამოიყენება, ხოლო სიტყვა „პლური“ აღნიშნავს ერთი ინდივიდის მიერ რამდენიმე ენის და კულტურის ცოდნას. ინდივიდი შეიძლება პლურილინგუური იყოს მონოლინგუურ საზოგადოებაში და პირიქით, შეიძლება ერთენოვანად (უნილინგვალად) დარჩეს მულტილინგუურ საზოგადოებაში. უფრო მეტიც, მრავალენოვანი (პლურილინგვალური) ინდივიდი სხვადასხვა ენებს „წყალგაუმტარ კუპებს“ კი არ ინახავს, არამედ ახდენს მათ ინტეგრირებას გამდიდრებულ კომუნიკაციურ კომპეტენციაში, რაც უკვე განმარტებულია *კომპეტენციების* 1.3 პუნქტში. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ახლანდელი და მომავალი მოქალაქეების პლურილინგუური განვითარებით ჩვენს მულტილინგუურ ევროპულ საზოგადოებაში.

ნაწილები 4-6, ძირითადად ეხება ასპექტებს, რომლებიც საჭიროა მოცემულ ენაზე კომუნიკაციისათვის ამავე ენის სხვა მომხმარებელთან და ამ უნარის განვითარება-ხელშეწყობას. პუნქტი 6.1.3 ეხება ინდივიდუალური პლურილინგვიზმის და პლურიკულტურიზმის განვითარებას. თავი 8 განიხილავს მათ საგანმანათლებლო პოლიტიკის კუთხით. არგუმენტი ნათლად და დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული, და არ საჭიროებს თითქმის არანაირ კომენტარს.

8. 1. დეფინიცია და საწყისი მიდგომა

ამ პუნქტის პირველი პარაგრაფი მომდინარეობს 6.1.3. პუნქტიდან. ის აღნიშნავს, რომ მრავალენოვანი კომპეტენცია „წარმოადგენს არა განსხვავებული კომპეტენციების შეთავსება-მისადაგებას, არამედ უფრო კომპლექსური კომპეტენციის არსებობაა, რომლითაც მომხმარებელი ისარგებლებს“. შემდეგ მოცემულია შემოთავაზებები საგანმანათლებლო მიდგომებისა და ამოცანების კუთხით.

8. 2. ოფციები კურიკულუმის ფორმირებისათვის

აქ აქცენტი კეთდება მრავალენოვნების მნიშვნელობაზე საგანმანათლებლო დაგეგმვაში. ახალგაზრდა ადამიანის ზოგადი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება თანამიმდევრული პროცესის სახით უნდა დაიგეგმოს და არ უნდა წარმოადგენდეს ცალკეული, კურიკულუმთან გარკვეულ მიმართებაში არმყოფი საგნების გაერთიანებას. *კომპეტენციების* თანახმად, კოლეგების თანამშრომლობა ერთიანი სასკოლო პოლიტიკის კონტექსტში, აუცილებელია იმ მიზნით, რომ ოფციათა იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტილებათა მიღებისას, მოხდეს გამჭვირვალე და თანამიმდევრული მიდგომის შემუშავება“.

8. 3. კურიკულუმის სცენარის მიმართულებები

ეს პუნქტი განიხილავს პირნციპებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეიქმნას ინტეგრირებული კურიკულუმები, რომლებიც მოიცავს ენებს მრავალენოვან (პლურილინგვურ) ჭრილში. მაგალითები მოცემულია სამი უცხო ენის მიხედვით. კურიკულუმები მოიცავს დაწვებით, საბაზო და საშუალო განათლებას და შესაბამისად საჭიროებს კოორდინირებულ დაგეგმვას არა მხოლოდ იმით, რომ სკოლაში სწავლების ყოველ ეტაპს კომპეტენციის საკუთარი სფერო აქვს, არამედ იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ ერთი საშუალო სკოლა შეიძლება ემსახურებოდეს რამდენიმე დაწვებითი სკოლის მომცველ კონტინგენტს და პირიქით. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის შექმნა მოხდება ადგილობრივ ან რეგიონულ ბაზაზე დაყრდნობით, თუმცა მასში გათვალისწინებული იქნება, სწავლის არსთან ურთიერთობაში, მრავალფეროვნებაც.

8. 4. შეფასება და სკოლა, სკოლისგარეშე და სკოლის შემდგომი სწავლა

ეს პუნქტი დამატებით განიხილავს განათლების მნიშვნელობას მრავალენოვან (პლურილინგვურ) ჭრილში, მათ შორის: სკოლის დამამთავრებელ ეტაპზე სხვადასხვა პროფილის ვალიდობის ცნობის აუცილებლობას; სკოლის, როგორც ასეთი, დაწესებულების საჭიროებას, სადაც მიღებული განათლება ადამიანს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება; ნაწილობრივი კომპეტენციების მომცველ პორტფოლიოს უპირატესობებს, რაც პლურილინგვური კომპეტენციის წარმოდგენის საშუალება იქნება და მოდულზე დაფუძნებული სერტიფიცირების ღირებულებას. თავის დასკვნაში ნათქვამია: „ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, განვახორციელოთ პროექტები და ჩავატაროთ ექსპერიმენტული სამუშაო სასკოლო გარემოში და მრავალ სხვა კონტექსტში“. *კომპეტენციები* გულისთადად მიესაღებება ასეთი ექსპერიმენტული სამუშაოს ჩატარებას მომხმარებელთა მიერ და მათი მიღწევების მოხსენებას ევროპის საბჭოსათვის.

ნაწილი 9 – შეფასება

კომპეტენციები არის საერთო ევროპული ჩარჩო ენის შესწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის. აქამდე აქცენტი კეთდებოდა ენის გამოყენებისა და ენის მომხმარებლის ბუნებაზე, სწავლისა და სწავლების მნიშვნელობაზე. ბოლო თავში ყურადღება გადატანილია *კომპეტენციების* ფუნქციებზე ენის ფლობის შეფასებასთან მიმართებაში.

9. 1. შესავალი

ეს მოკლე პუნქტი განსაზღვრავს მოცემული თავის მიზანს.

9. 2. შეფასების ინსტრუმენტთა განვითარების და / ან აღწერის რესურსი

ეს პუნქტი გამოჰყოფს სამ ძირითად ასპექტს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია *კომპეტენციების* გამოყენება:

1. გამოცდილების და ტესტების შინაარსობრივი განსაზღვრა;
2. სასწავლო ამოცანის დასახვისათვის კრიტერიუმების დადგენა;
3. არსებული ტესტებისა და გამოცდების მიხედვით, ენის ცოდნის დონეების აღწერა, რაც შესაძლებელს გახდის შედარებას კვალიფიკაციის სხვადასხვა სისტემების საშუალებით.

9. 3. შეფასების ტიპები

ეს პუნქტი მეტ-ნაკლები დეტალურობით გეთავაზობს ყველანაირ არჩევანს, რომელიც უნდა გაკეთდეს შეფასების პროცედურის ჩამტარებელთა მიერ. არჩევანის ვარიანტები კონტრასტული წყვილების სახითაა მოწოდებული. ყველა შემთხვევაში გამოყენებული ტერმინები მკაფიოდაა განსაზღვრული. შედარებითი უპირატესობები და ნაკლოვანებები განხილულია საგანმანათლებლო კონტექსტში, შეფასების დანიშნულების თვალსაზრისით. ასევე გაცხადებულია ამა თუ იმ ალტერნატიული ოფციის შესრულების მნიშვნელობა. პრეზენტაცია სავსებით გასაგებია და არ საჭიროებს დამატებით კომენტარებს.

9. 4. განხორციელებადი შეფასება და მეტასისტემა

ეს პუნქტი ეფუძნება დაკვირვებას, რომ შეფასების პრაქტიკული სქემა ვერ იქნება სრულყოფილი. განხილვა უნდა მოხდეს სქემის დეტალურობის მიხედვით, მაგალითად, გამოქვეყნებული საგამოცდო სილაბუსის შემთხვევაში, იმ დეტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება საგამოცდო ან ტესტის ფურცლის მომზადებას. შემფასებლებს, განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში, მუშაობა უხდებათ საკმაოდ შეზღუდული დროის წინეს ქვეშ და შეუძლიათ გამოიყენონ კრიტერიუმების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა.

თუ შემსწავლელს თავად სურს საკუთარი კვალიფიციურობის შეფასება იმის დასადგენად, თუ რა უნდა გადალახოს მომდევნო ეტაპებზე, დრო მეტი აქვს, მაგრამ ესაჭიროება სელექციური მიდგომა, ზოგადი კომუნიკაციური კომპეტენციის კომპონენტებთან მიმართებაში, რომ ისინი მისთვის შესაფერისი იყოს. სელექციურობა შეიძლება მოიცავდეს მარტივი კლასიფიკატორი სქემის გამოყენებას, რომელიც, როგორც თავად ვნახეთ საკომუნიკაციო აქტივობებთან მიმართებაში, შესაძლოა აუქმებდეს ზოგადი

სქემის ცალკეულ კატეგორიებს. მეორე მხრივ, მომხმარებელი შეიძლება მიზნად ისახავდეს ზოგიერთი კატეგორიისა და მისი ექსპონენტების განვრცობას ამა თუ იმ კუთხით, მოცემული პუნქტი განიხილავს წამოჭრილ პრობლემებს და განიხილვის ილუსტრირებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი ორგანოს მიერ შემუშავებული სქემის, როგორც კვალიფიციურობის შესაფასებელი კრიტერიუმების წარმოდგენით. აქვეა მოცემული შევიცარიის ეროვნული კვლევითი საბჭოს პროექტი ვიდუო ჩვენებათა შეფასებისათვის, რომელსაც ეფუძნება მე-8-9 თავების დიდი ნაწილი და დანართი. ცხრილი 13 გვთავაზობს კრიტერიუმების დესკრიპტორებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადი კვალიფიციურობის შესაფასებლად ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ ექვსივე დონეზე, როგორც გამოყენებითი სტანდარტის ვერტიკალური განზომილების საფუძველი.

თავი 9 საშუალებას მისცემს მრავალ მომხმარებელს, უფრო ღრმად ჩასწვდნენ და კრიტიკულად განიხილონ საჯარო გამოცდების სილაბუსები და გაიგონ რა სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ გამომცდელმა ორგანოებმა ამოცანათა, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საკვალიფიკაციო გამოცდების პროცედურათა შესახებ (მაგალითად ALTE, ICC). მასწავლებელთა ტრენერებს საშუალება მიეცემათ გაზარდონ მასწავლებელთა გათვითცნობიერებულობის ხარისხი, შეფასების საკითხებთან მიმართებაში როგორც საწყისი, ისე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის ფარგლებში. ისიც აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს სულ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოსწავლეებისა და სტუდენტების შეფასებისას როგორც ფორმაციულ, ისე შემაჯამებელ საფეხურზე (შეადარეთ 9.3.5). შემსწავლელებსაც აქტიურად მოვუწოდებთ თვითშეფასებისაკენ, იქნება ეს ცხრილი, კურიკულუმი თუ მოხსენება მათ მიერ იმ ენებზე კომუნიკაციის უნარის შესახებ, რომლებიც, ფორმალური გაგებით მათთვის არ უსწავლებიათ, მაგრამ ესმარება მათ მრავალენოვან (პლურილინგვურ) განვითარებაში (შეადარეთ თავი 7). ევროპის ენის პორტფოლიო შესაძლებელს ხდის შემსწავლელთათვის, დოკუმენტის სახე მისცეს საკუთარ პროგრესს პლურილინგვური კომპეტენციის თვალსაზრისით – აღნუსხონ ენათა შესწავლისას მიღებული ყოველგვარი გამოცდილება, რაც შესაძლებელია ადრე არ იყო ცნობილი და დამოწმებული. პორტფოლიო ხელს უწყობს შემსწავლელებს, რომ მათ მიერ ყოველი ენის შესწავლისას, კვალიფიციურობის თვითშეფასებაზე აღნუსხული ინფორმაცია რეგულარულად განახლებას ექვემდებარებოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს, დოკუმენტის სარწმუნოების თვალსაზრისით, მასში ინფორმაციის შეტანას პასუხისმგებლობითა და გამჭვირვალედ. ამ შემთხვევაში *კომპეტენციებით* სარგებლობა განსაკუთრებით ღირებულია.

ევროპის საბჭო მოხარული იქნება მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ პირისაგან, ვინც მონაწილეობს შეფასებაში ცალკეულ დონეებზე. საინტერესოა, როგორც მათი გამოცდილება *კომპეტენციებით* მუშაობისას, კერძოდ მისი მე-9 თავითა და დანართით სარგებლობის შესახებ. მე-3, მე-4, მე-5 თავებთან და - დანართებთან ერთად, მე-9 თავის მიერ *კომპეტენციების* შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, სრულიად ზედმეტს ხდის შეფასების შესახებ ცალკე თავის ჩართვას გზამკვლევაში. ტესტის შემუშავებასა და საჯარო გამოცდილების ადმინისტრირება-ჩატარებაში მონაწილე პროფესიონალებისათვის შეიძლება საინტერესო იყოს მე-9 თავის განხილვა უფრო სპეციალიზებულ დოკუმენტთან ერთად, როგორცაა, მ. მილანოვიჩის (ALTE) ხელმძღვანელობით მომზადებული „გამოცდა ენაში და ტესტის შემუშავება“. ევროპის საბჭოს ეს გამოცემა, რომელიც დეტალურად ეხება ტესტის შემუშავებასა და შეფასებას და წარმოადგენს მე-9 თავის დამატებასაც, ასევე გვთავაზობს მოცემული კუთხით დამატებით საკითხავ ლიტერატურას, დანართს საკითხის ანალიზის შესახებ და ტერმინოლოგიურ საძიებელს. ეს გზამკვლევი, სახელწოდებით „გამოცდა ენაში და ტესტის შემუშავება“ ხელმისაწვდომია ცალკეც, რის გამოც საჭიროდ არ ჩავთვალეთ აქ მის შესაფასებლად ცალკე თავის შემოტანა.

ზოგადი ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია მოიცავს:

1. ნაშრომებს, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა *კომპეტენციების* მომზადებისას
2. ნაშრომებს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მომხმარებლებისათვის შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით.

ზოგადი ბიბლიოგრაფია იყოფა ორ ნაწილად. პირველი მოიცავს ზოგადი გამოყენების ნაშრომებს, რომლებმაც მათში არსებული თემების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, შეიძლება მომხმარებელთა დაინტერესება გამოიწვიონ. ნაშრომები, რომლებიც განსაკუთრებით მიესადაგება *კომპეტენციების* თითოეულ თავს, ანბანური წყობით, თავების მიხედვითაა დალაგებული.

დამატებითი სპეციალიზებული შენიშვნების მოძიება შესაძლებელია და ჩ დანართებში.

სრულყოფილი ვერცერთი ბიბლიოგრაფია ვერ იქნება. სხვა შემდგენლებს ის შეიძლება განსხვავებული სიის სახით მოეწოდებინათ. უფრო მეტიც, *კომპეტენციებში* განხილული საკითხების ცოდნისა და გაგების სრულყოფისათვის შემოტანილი მეტად ღირებული წვლილის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. რამდენიმე ნაშრომი უკვე გამოვიყენეთ. მომხმარებლებმა, რომელთაც არ სურთ ჩამორჩნენ შემდგომ განვითარებას, თვალყური უნდა ადევნონ გამომცემლებისა და წიგნის მაღაზიების კატალოგებს, რომლებშიც მოცემულია ყველა ახალი ნაშრომი. ასევე მართებულია იმ გამოფენების დათვალიერება, რომლებიც მასწავლებელთა ასოციაციების შეკრებებს უკავშირდება და ჟურნალებში მოწოდებული მიმოხილვების გაცნობა.

დანართი A: კვალიფიციურობის დესკრიპტორების შემუშავება

ეს დანართი რჩევასა და ღირეპტივებს აძლევს მომხმარებლებს, რომელთაც განზრახული აქვთ შეიმუშაონ კვალიფიციურობის საკუთარი სკალა, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო მეტად დაჰყონ ის ექვსი დონე, რომელსაც ეფუძნება ზოგადი დანიშნულების სისტემა (იხ. პუნქტი 3,5). მოცემული დანართი წაკითხულ უნდა იქნეს მე-3 და მე-9 თავებთან, აგრეთვე, მე-4 და მე-5 თავებში მოცემულ სკალებთან და თანამდევ დანართებთან ერთად. შემდგომი გამოყენებისათვის მოცემულია ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც.

დანართი B: დესკრიპტორების ილუსტრაციული სკალები

კომპეტენციებში მოცემული სკალები, მეტწილად, შემუშავებულ იქნა შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი საბჭოს პროექტთან კავშირში. ეს დანართი მოიცავს აღნიშნული პროექტის მეთოდოლოგიის ანგარიშს და გზებს, რომლებითაც გამოყენებული სკალები და დესკრიპტორები შეგროვდა, გამოიცადა და შეირჩა. მოცემულია მოკლე ბიბლიოგრაფიაც, რასაც თან ახლავს მე-4 და მე-5 თავებში არსებული სკალების მიმოხილვა. დაბოლოს, ჩამოთვლილია ენის ცოდნის ამსახველი მრავალი სკალა, რომელიც წყაროს სახით იქნა გამოყენებული ზემოხსენებულ შვეიცარულ პროექტში.

დანართი C: DIALANG-ის სკალები

ეს დანართი იძლევა DIALANG-ის პროექტის მოკლე ანგარიშს შენიშვნებით რომელმაც შეიმუშავა *კომპეტენციების* სკალებთან მჭიდროდ მისადაგებული თვითშეფასების სკალები თოთხმეტი ენისათვის.

დანართი D: ALTE-ს „Can-do“ („მე შემიძლია“) განცხადებები

ALTE არის ევროპის ენაში გამომცდელთა ასოციაცია. იგი ასევე აერთიანებს რამდენიმე ორგანიზაციას იმ ევროპული ქვეყნებიდან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ენაში ცოდნის დამდგენ საჯარო გამოცდებზე. ასოციაცია ხელს უწყობს ევროპის მასშტაბით ენის სწავლების საერთო კომპეტენციების განვითარებას, ახდენს რა საკუთარი წევრების მიერ, ენის გამოყენების ძირითადი დონეების, ზოგადი კომპეტენციების ფარგლებში, შემოთავაზებული გამოცდების სწორხაზოვნად დალაგებას. აღნიშნული დონეები განისაზღვრება „Can-do“ განცხადებების მიხედვით და კარგად მიესადაგება *კომპეტენციების* დესკრიპტორებს. განცხადებები ამგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ: 1) სოციალური და ტურისტული; 2) სამუშაო; 3) სასწავლო, და განსაკუთრებით დააინტერესებს აღნიშნულ სფეროებთან კავშირში მყოფ მომხმარებლებს.

ნუმერაცია

ძირითადი კონცეფციებისა და ტერმინების ნუმერაცია აადვილებს გზამკვლევით სარგებლობას.

თემა II

შესწავლა / სწავლების პროცესის
უშუალო მონაწილეთათვის

თავი II

ბზამკვლევი ზრდასრული შემსწავლელებისათვის

ავტორები: ფ. რილი, ს. ბეილი და მ. ჯ. გრემო
კვლევებისა და ენებში პედაგოგიური აპლიკაციების ცენტრი
(CRAPEL) უნივერსიტეტი-ნანსი 2.

შინაარსი:

შესავალი

1. მოთხოვნათა ანალიზი
2. გაგებისა და გამოსატვის უნარები
3. შრომის ორგანიზაცია
4. მეთოდოლოგია
5. შეფასება
6. სწავლის ტიპები

შესავალი

ეს თავი გათვლილია უცხო ენების ზრდასრულ შემსწავლელებზე. მისი მიზანია მათი სწავლის უნარის გაუმჯობესება (*კომპეტენციები* 5.14 / 6.3.5) და დახმარება უცხო ენების შესწავლაში. საფუძვლად გამოიყენება თანამედროვე ენები: შესწავლა, სწავლება, შეფასება; ზოგადევროპული კომპეტენციები და ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების პროექტის არაერთი პუბლიკაცია. ამ თავს აქვს „თეორიული“ ნაწილიც სწავლის კუთხით, ზოგადი რჩევის ფორმით, ანუ დასამახსოვრებელი პრინციპები; ტექნიკური ტერმინების რაოდენობა შეძლებისდაგვარად შემცირებულია, ისევე როგორც მომხმარებელთა გამოცდილებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითები, რადგან ყველა შემთხვევაში ფიგურირებს შემსწავლელი.

ნაწილი 1 – მოთხოვნათა ანალიზი (იხ. *კომპეტენციები* 4 / 6.1.1)

როცა ხელს ჰკიდებთ რაიმე პროგრამას ენის შესასწავლად (კურსებზე ჩაწერის ან დამოუკიდებლად შესწავლის გზით), ურიგო არ იქნება, ჰკითხოთ საკუთარ თავს, რატომ გსურთ ენის შესწავლა, ან უფრო უკეთ ვთქვათ, როგორ აპირებთ მის გამოყენებას? სხვა სიტყვებით, რა სახის სიტუაციებში გეგმავთ ამ ენაზე კომუნიკაციას?

ცხადია, ის, რის თქმა ან გაგებაც უნდა ადამიანს, დამოკიდებულია სიტუაციებზე, სადაც იგი ან მოსაუბრეა, ან მსმენელი. ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში, ადამიანი ასრულებს გარკვეულ სოციალურ როლს და უწევს ენის გამოყენება სხვადასხვა მიზნით: სათქმელად და გასაგებად, რაც ხშირად განსხვავდება. მაგალითად, თუ გსურთ ინგლისურის შესწავლა ტურისტული მიზნით, უნდა განსოვდეთ, რომ ტურისტს არ მოეთხოვება იმის სწავლა, რაც ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულ ადამიანს (ოფიციანტი, გიდი, მოახლე, ტურისტული აგენტი და ა. შ.). თქვენ არ გიწევთ იმის თქმა, რასაც

ამბობენ ისინი. მაგალითად, თუ საზღვარგარეთ ტურისტის სტატუსით იმყოფებით, ნაკლებად სავარაუდოა დაგჭირდეთ იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა აღუწეროთ ანტიკური მონუმენტი ისტორიულ დეტალებში თქვენს წინაშე მდგარ ჯგუფს უცხო ენაზე. გიდი რომ იყოთ, ეს აუცილებლად იქნებოდა თქვენი ერთ-ერთი მოვალეობათაგანი. შესაბამისად, ტურისტსა და გიდს არც ერთი და იმავეს გაგება ესაჭიროებათ. ტურისტს უნდა ესმოდეს გიდის მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მოცემული დღის პროგრამაზე საუბრობს ან განმარტავს რომელიმე ღირშესანიშნაობის მნიშვნელობას. უფრო მეტიც, თუ ინგლისური მშობლიური ენა არ არის, ტურისტს მოუწევს უცხოური აქცენტით ნალაპარაკები ინგლისურის გაგება. რაც შეეხება გიდს, მას უნდა ესმოდეს ტურისტების შეკითხვებისა (იმ დონეზე, რომ პასუხი გასცეს) და საჩივრების (იმ დონეზე, რომ განიხილოს) მნიშვნელობა.

მეორე ასპექტი ის არის, რომ მსგავს სიტუაციაში მონაწილეთა სოციალური სტატუსი გავლენას ახდენს მათ საუბარზე: ეს ნამდვილად ასეა გიდების შემთხვევაში. ურთიერთობაში ისინი უნდა იყვნენ სასიამოვნოებიც და თავაზიანებიც, მაგრამ არც ზედმეტად დისტანციურები ტურისტებთან, როგორც საკუთარ კლიენტებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ისინი ეცდებიან თავი აარიდონ როგორც მეტად ფორმალური, ისე არაფორმალური გამონათქვამების გამოყენებას, ან ისეთი ტონით საუბარს, რაც გაუგებრობის მიზეზად შეიძლება იქცეს. მაგალითად, უცნობ ინგლისელ ტურისტებთან საუბრისას, გიდები ალბათ თავს აარიდებენ:

სლენგის გამოყენებას („See you in front of the boozier at five“)

სახელით მიმართვას, განსაკუთრებით, უფროსი ასაკის კლიენტებისა;

ისეთი ფრაზების გამოყენებას, რაც შეიძლება არათავაზიანობაში ჩამოერთვათ („Hurry up, or we'll be late!“ ნაცვლად „we'd better try to hurry a bit if we don't want to be late for the show“).

მოუთმენლობის, სარკასტულობის ან უხეშობის გამოქვავებას საუბარში (იხ. *კომპეტენციები 5.2.2*)

როცა მშობლიურ ენაზე ვსაუბრობთ, ინსტიქტურად ვიცით როგორ მოვახდინოთ სიტუაციასთან ადაპტირება, ასე რომ „ტალღის სიგრძეს“ ვირჩევთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ნაცნობ ადამიანს მივმართავთ, რა თემის ირგვლივ ვსაუბრობთ და კომუნიკაციის რომელ საშუალებას ვიყენებთ (ტელეფონი, წერილი, ღია ბარათი და ა.შ). უცხო ენაზე საუბრისას კომუნიკაციის დამყარებას ვცდილობთ საკუთარი ჩვევების მეორე ენაზე გადატანით. აქედან გამომდინარე, მადლიერებას გამოვთქვამთ ან ბოდიშს ვისდით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც ჩვენს საკუთარ კულტურაში მოითხოვს მადლობის თქმას ან ბოდიშის მოხდას. თუმცა, ხშირად ასეთი საქციელი უცხო კულტურის ჩარჩოებში ვერ ჯდება და გაუგებრობებსაც კი იწვევს. მაგალითად, ესპანელები ფრანგებს პირფერებად მიიჩნევენ, რადგან ეს უკანასკნელი ზედმეტად ხშირად იხდის ბოდიშს და მადლობას; მეორე მხრივ, ფრანგებმა შეიძლება ესპანელები მიიჩნიონ ზედმეტად ფამილიარულებად და უზრდელებადაც კი, რადგან ისინი „შენობით“ მიმართავენ უცნობებს. სინამდვილეში, ესპანელები უბრალოდ იყენებენ ურთიერთობის საკუთარ წესებს, რაც საფრანგეთისათვის უცხოა (იხ. *კომპეტენციები 5.1.1*)

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

– შეუძლიათ თუ არა მათ ზუსტად ან მიახლოებით მაინც განჭვრიტონ ის, რის გაკეთებაც საჭირო იქნება ნათქვამის გადმოსაცემად და გასაგებად;

– როგორ სიტუაციებში შეიძლება აღმოჩნდნენ;

– აკმაყოფილებს მათ მიერ შერჩეული სახელმძღვანელო ან კურსი მათ საკომუნიკაციო მოთხოვნებს, ან თუ ამზადებს მათ კულტურული მრავალფეროვნებისათვის?

ნაწილი 2 – გაგებისა და გამოხატვის უნარები (იხ. კომპეტენციები 2.13 / 4.4.14.4.2)

პირისპირ კომუნიკაცია რომ შეეძლოს როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე, ცხადია, უნდა შეგვეძლოს თანამოსაუბრის ნათქვამის გაგება და საკუთარი სათქმელის აზრიანად გადმოცემა. როგორც უკვე ითქვა მოცემული გზამკვლევის პირველ ნაწილში, ის, რაც უნდა გავიგოთ უცხო ენაზე, შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი სათქმელისაგან იმ სოციალური როლის მიხედვით, რომელთაც ვასრულებთ (მაგალითად, გიდი და ტურისტი) და ამას მნიშვნელობა აქვს სწავლისას. მოცემული პუნქტი გვაწვდის დამატებით ინფორმაციას გაგებისა და გამოხატვის უნარებზე, რომ დაგვეხმაროს სამუშაოს უფრო ეფექტურად შესრულებაში.

1. გაგებასა და გამოხატვაში მონაწილე მენტალური მექანიზმები განსხვავებულია. ტვინი ერთნაირად არ ფუნქციონირებს, როცა ამა თუ იმ შეტყობინების მნიშვნელობის გაგებას ვცდილობთ და როცა საკუთარ მიზნებს, აზრებსა და გრძნობებს გამოვხატავთ. აღნიშნული მექანიზმების ცოდნა საჭირო არ არის ენის შესწავლისათვის, მაგრამ შესაძლოა გამოგვადგეს იმ სასწავლო აქტივობების შერჩევისას, რომლებიც ზემოხსენებულ განსხვავებას ითვალისწინებს.

გაგების პროცესი ჰიპოთეზებს იყენებს: როცა ვცდილობთ გავიგოთ ვინმეს ნათქვამი, სიტუაციის საკუთარი ცოდნის ან სასაუბრო თემის მიხედვით, ვაგებთ ჰიპოთეზებს მისი მნიშვნელობის ირგვლივ. ეს ცოდნა საშუალებას გვაძლევს, მეტ-ნაკლები სიზუსტით, გამოვიცნოთ რას ამბობენ მოცემულ მომენტში, რა შეიძლება თქმულიყო მანამდე და რა შეიძლება ითქვას შემდეგ. მინიშნებები, რომლებსაც მოვიპოვებთ ჩვენი თანამოსაუბრის ლაპარაკის პროცესში, ადასტურებს ან აქარწყლებს ამ ჰიპოთეზებს. მინიშნებები შეიძლება იყოს ენობრივი (ნაცნობი სიტყვები, ფრაზები ან მთელი წინადადებები) ან ვიზუალური (აღამიანი, რომელიც საუბრობს ნასიამოვნები, გაბრაზებული, თავმოებურებული ჩანს, იმუქრება და ა.შ). შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად, გაგება არ მოითხოვს თითოეულ ბგერასა და სიტყვაზე გამოდევნებას. (იხ. *კომპეტენციები* 4.4.2 / 4.5.2.1)

მეორე მხრივ, თვითგამოხატვა გულისხმობს ინდივიდის მიერ მოცემულ სიტუაციაში ყველა ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო რესურსის გამოყენებას, საკუთარი აზრის ან გრძნობის გამოსახატავად, სხვა ადამიანებისგან რამის მისაღებად, ან ნაცნობობის დასამყარებლად. ყველაზე მთავარი არის თანამოსაუბრეთა მიერ ჩვენი ნათქვამის გაგება. ამ მხრივ, უნდა გვახსოვდეს ერთი მარტივი ფაქტი, რომ გამოხატვა არის არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი პროცესი: ის გულისხმობს თანამოსაუბრეთა ნათქვამის გათვალისწინებასაც, მათი რეაქციების მხედველობაში მიღებით, რომ მუდმივად ვაკონტროლოთ რას და როგორ ვამბობთ. მაგალითად, როცა ერთი თანამოსაუბრე აშკარად არ ეთანხმება მეორეს ნათქვამს ან ვერ იგებს მას, ბუნებრივია მოსაუბრე შეცვლის / გააუმჯობესებს / გაამარტივებს / გარდაქმნის საკუთარ ნათქვამს ან გაჩერდება (აღბათ, მომენტალურად) (იხ. *კომპეტენციები* 4.4.1 / 4.5.2.2).

მოსაუბრის უმთავრესი პრიორიტეტი საკუთარი მიზნების მიღწევაა და ზოგჯერ ამისთვის ყველაზე შემზღვეველი საშუალებების გამოყენებაც კი საკმარისია. წლინახევრის ბავშვს შეუძლია ერთი სიტყვით გააგებინოს დედას ყველაზე რთული მოვლენაც კი, იმ პირობით, თუ ეს სიტყვა მიესადაგება არსებულ სიტუაციას და იმას, რის თქმაც ბავშვს უნდა. მაგალითად, ბავშვის მიერ ნათქვამმა ერთადერთმა სიტყვამ „ფეხსაცმელი“, შეიძლება დედას ბევრი განსხვავებული რამ მიანიშნოს:

ის, რომ ბავშვი ვერ პოულობს თავის ფეხსაცმელს;

ის, რომ ბავშვმა ეს-ესაა ჩაიცვა თავისი სათამაშო დათუნის ფეხსაცმელი;

ის, რომ ბავშვმა დამალა თავისი ფეხსაცმელი და უნდა დედასთან ერთად

„დამალობანა“ ითამაშოს;

ის, რომ ბავშვმა ჩაიცვა დედის ფეხსაცმელი;

ის, რომ ბავშვს ფეხი სტკივა;

ის, რომ ბავშვს უნდა დედამ გახადოს ან ჩააცვას ფეხსაცმელი.

2. უცხო ენაზე საუბრისას, ხშირად ვაწყდებით სირთულეებს გაგებისა და თვითგამოხატვის კუთხით. თუმცა, თუ ფიქრს შევწყვეტთ, აღმოვაჩინოთ, რომ არის რაღაც, რაც მშობლიურ ენაზეც კი რთულად გვესმის. ისიც აღსანიშნავია, რომ მშობლიურ ენაზე ვიყენებთ მეტყველების ერთ ტიპს, მაშინ როცა შეგვიძლია გავიგოთ მისი მრავალნაირი ტიპი. მაგალითად, პაციენტებს, რომლებიც თავად არ არიან ექიმები, შეუძლიათ გაიგონ საკუთარი ოჯახის ექიმის სამედიცინო ტერმინებით ნაუბარი; სტუდენტებს, რომლებიც თავად, ალბათ, ვერ შესძლებდნენ სწავლებას, ესმით მასწავლებლის საუბრის მნიშვნელობა. ასევე შეგვიძლია გავუგოთ ბავშვებსა და უცხოელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ენა განსხვავებულია. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ჩვენ გვესმის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევე შეგვიძლია საუბარი. თუმცა, ჩვენი გაგების უნარიც შეზღუდულია. მაგალითად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ვიცნობთ სფეროს მოცემულ საკითხთან მიმართებაში (იხ. *კომპეტენციები* 5.1.1.1 / 7.3.1.1). შესაბამისად, შეზღუდულია ჩვენი მშობლიურ ენაზე თვითგამოხატვის უნარიც. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად შეზღუდული შეიძლება იყოს ჩვენი გაგების ან გამოხატვის უნარი თვით მშობლიურ ენაზე.

დავუშვათ საღამოს გარეთ ატარებთ და შემთხვევით შეესწართ მუსიკოსების საუბარს. თუ საუბარი შეეხება მუსიკალურ თეორიას ან ჰარმონიას, ან იმ კომპოზიტორების ქმნილებებს, რომელთა შესახებაც არაფერი გსმენიათ, ბუნებრივია, თქვენ როგორც არამუსიკოსი, დაიბნევით, გაგიჭირდებათ მოსმენა და შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეგექმნათ, რომ ეს ხალხი „რაღაც აბდაუბდაზე“ საუბრობს. რა თქმა უნდა, ეჭვი არ გეპარებათ საკუთარ უნარში მშობლიურ ენაზე ნაუბრის გაგებისა, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ არ გვესმით ნათქვამის მნიშვნელობა.

შეიძლება რეგულარულად კითხულობდეთ ყველანაირი სახის გაზეთებსა და წიგნებს, მაგრამ თუ პროფესიონალი არ ხართ, ალბათ, ძალზე გაგიჭირდებათ ჟურნალისათვის სტატიის ან რომანის დაწერა.

რადიოთი და ტელევიზიით ყოველდღიურად უსმენთ პროფესიონალების მიერ მოწოდებულ ახალ ამბებს ან ამინდის პროგნოზს. ერთი წუთითაც რომ გიწვედეთ რომელიმე მათგანის შეცვლა, თუ დაბადებით მიმიკოსი არ ხართ, მეტად გაგიჭირდებათ თავის გართმევა, რადგან საინფორმაციო გამოშვების წამყვანები მეტყველებენ სპეციალურად დამუშავებულ ენაზე, რომელსაც თითქმის არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ სალაპარაკო ან თუნდაც შეხვედრებისა და კომერციული შეხვედრების ენასთან.

მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ ენის ცოდნა ან დახვეწა არ ნიშნავს იმას, რომ ყველანაირ სიტუაციაში შესძლებთ გაგებას ან დამაკმაყოფილებლად თვითგამოხატვას; და თუ ეს რეალობაა მშობლიური ენის შემთხვევაში, ორჯერ უფრო რეალური იქნება უცხო ენასთან მიმართებაში. ასე, რომ ნუ იქნებით ზედმეტად მომთხონი: ნუ მოელოთ, რომ შესძლებთ უცხო ენაზე გადმოსცეთ ის, რასაც მშობლიურ ენაზე ვერ ართმევთ თავს.

3. კიდევ ერთი განსხვავება გაგებასა და გამოხატვას შორის თავს იჩენს იმისა მიხედვით, თუ როგორ ვიყენებთ ამ ორ უნარს ყოველდღიურ ცხოვრებაში. როცა მსმენელი არ გვყავს, იშვიათად ვლაპარაკობთ, მაგრამ გაგების აქტში მარტოდ ყოფნის დროსაც ვმონაწილეობთ. ვცხოვრობთ რა მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების ეპოქაში, გაცილებით უფრო ხშირად გვიწვევს მოსმენა, წაკითხვა ან გაგება, ვიდრე თვითგამოხატვა. დილით ადგომისას, ვუსმენთ ამინდის პროგნოზს, რომ ვიცოდეთ როგორი იქნება დღე; სამსახურში მანქანით მიმავალნი, ვისმენთ ახალ ამბებს ან კვითხულობთ ავტობუსში, მატარებელსა თუ მეტროში; საღამოს ვუყურებთ ტელევიზორს ან ვწევართ და კვითხულობთ. როცა ვმონაწილეობთ ასეთ პროცესებში, უფრო მეტად ვგებულობთ და შეიძლება თვითგამოხატვა არც დაგვჭირდეს.

4. ზემოხსენებული საკითხები მეტად მნიშვნელოვანია ენის სწავლასთან მიმართებაში. საკლასო ოთახში მასწავლებლები და მოსწავლეები მაქსიმალურად ცდილობენ თვითგამოხატვას, რადგან მიიჩნევენ, რომ ლაპარაკის სწავლა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია (ყველას აქვს სათქმელი) და რთულია (უამრავ განსხვავებულ მოვლენასთან გვიწვევს ურთიერთობა). ასე რომ, გაგებაზე მუშაობა ხშირად უგულებელყოფილია გამოხატვაზე მუშაობის მიზეზით. მაგრამ როცა შემსწავლელი უშუალოდ კონტაქტში შედიან იმ ხალხთან, ვის ენასაც სწავლობენ, ორ რამეს აცნობიერებენ:

პირველი, ხშირად თვითგამოსატვა იმაზე უფრო ადვილია, ვიდრე ეკონათ, რადგან ძალზე შეზღუდული რესურსების გამოყენებაც კი იძლევა „თავის დაძვრენის“ ან „გაგებიანების“ საშუალებას და მეორე, გაცილებით უფრო რთულია თანამოსაუბრეთა ნათქვამის გაგება, რადგან აღმოჩნდება, რომ ისინი ლაპარაკობენ „საშინლად სწრაფად“ ან „ქლაპავენ სიტყვებს“ და ა. შ. (იხ. *კომპეტენციები* 7.3.2.2) ასე რომ, თუ შემსწავლელები უცხო ქვეყანაში იმყოფებიან და უხელოდ ამ ქვეყნის ენაზე მოსაუბრეთა გაგება, ეს მათ არაადეკვატურ ან არასათანადო მომზადებაზე მეტყველებს (იხ. ნაწილი 4).

უშუალოდ გაგებაზე მუშაობამ (ავთენტური ჩანაწერებისა და მკვიდრი მოსაუბრეების კუთხით შესწავლა) შეიძლება ხელი შეუწყოს გამოხატვის გაუმჯობესებასაც, რადგან, რაც უფრო მეტი გესმით, მით უფრო ადვილად სწვდებით ენის მუშაობის პრინციპსა და ნათქვამის მნიშვნელობას. თვითგამოსატვის უნარის გაუმჯობესება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია დაკვირვება და მკვიდრი მოსაუბრეების მეტყველებასთან ასიმილირება (იხ. *კომპეტენციები* 5.1.4.4) .

შეჯამება: გაგება და გამოხატვა ორი განცალკევებული აქტივობაა, რომლებიც მოიცავს საკუთარ სპეციფიკურ მენტალურ პროცესებს და შეიძლება სხვადასხვა დროს განხორციელდეს. ენების კუთხით მრავალნაირი სასწავლო მასალა და სავარჯიშო მოიქმნება, რაც ეხმარება შემსწავლელებს ორივე უნარის გაგარჯიშებაში. ტრენინგი გაგებასა და გამოხატვაზე შეიძლება ცალ-ცალკე ჩატარდეს მოცემული მომენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ვარჯიში მხოლოდ მეტყველებაში ვერ გააუმჯობესებს თქვენი გაგების უნარს. იმისდა მიუხედავად, თუ რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას, არცერთი უნარი არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ მასალები და დავალებები უნდა შეარჩიოთ იმ უნართან მისადაგებით, რომლის გაუმჯობესებაც გსურთ (იხ. *კომპეტენციები* 6.2 / 4 / 6.3).

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ საკუთარ თავს:

- რომელს უთმობენ მეტ დროს – გამოხატვას თუ გაგებას?;
- შერჩეული მასალები და მუშაობის ტექნიკა მიესადაგება თუ არა იმ უნარს რომლის განვითარებაც გსურთ? (იხ. *კომპეტენციები* 6.4.3)

ამავე გზამკვლევის მე-4 ნაწილში მოცემული რჩევა მომხმარებლებს დაეხმარება აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

ნაწილი 3 – შრომის ორგანიზაცია

მოდით, ერთი წუთით შევისვენოთ და დავფიქრდეთ – რა არის სწავლა. ამ სიტყვას იმდენად ბევრი მნიშვნელობა აქვს, რომ შეიძლება დაგვაბნოს კიდევ (იხ. *კომპეტენციები* 6.2.1)

„სწავლა“ და „დაუფლება“

ადამიანები ასე ამბობენ: „მე მინდა ვისწავლო ინგლისური“ (ან ფრანგული, ან არაბული ან სუაჰილი). სინამდვილეში, უფრო ზუსტი იქნება, თუკი ვიტყვით: „მე მინდა დავეუფლო ინგლისურს“. რატომ?

ჩვენი მიზანია, ენა, რომელსაც ვსწავლობთ გამოვიყენოთ: წერისას, შეხვედრის დასანიშნად, ახალი ამბების მოსასმენად, ნანახი ფილმის კომენტარებისათვის, მეგობრის მონათხრობით გართობისათვის. გვინდა, რომ დიდხანს არ ვფიქრობდეთ, თუ როგორ გადმოვცეთ საკუთარი სათქმელი, რომ სიტყვები და ფრაზები მეტ-ნაკლებად ავტომატურად მოდიოდეს ისე, რომ მხოლოდ კონკრეტული გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება იყოს საჭირო (სიტყვების ფრთხილად შერჩევა, რომ არავის მივაყენოთ შეურაცხყოფა; საკუთარი თავისათვის კითხვის დასმა, სათანადოდ გავიგეთ თუ არა მო-

საუბრის აზრები და ა.შ). როცა ვხვდებით, რომ ვახერხებთ ენის ამგვარად, გაუცნობიერებლად გამოყენებას, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დავეუფლეთ საჭირო ცოდნასა და უნარებს სათანადო მოცულობით, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ცოდნას და უნარებს საკუთარი ადგილი აქვს ჩვენს გონებაში და მათი გამოყენება შესაძლებელია მაშინვე, როგორც კი საკომუნიკაციო სიტუაციაში აღმოჩნდებით. თუ ეს ასეა, მაშინ სწავლა რაღა არის? ჩვენ ვაპირებთ ტერმინი „სწავლა“ კვლავაც იმ აქტივობებთან მიმართებაში გამოვიყენოთ, რომელთაც გაცნობიერებულად და ორგანიზებულად ვასრულებთ იმ მიზნით, რომ გავიუმჯობესოთ ცოდნა და უნარები (რაც, ამ კონკრეტულ სიტუაციაში ნიშნავს ინგლისურის, ფრანგულის და ა. შ. ცოდნასაც და უფრო მეტად გამოყენებასაც). წარმიდგინეთ, რომ ეს-ესაა დაასრულეთ ხუთი სავარჯიშო ინგლისურ ენაში წარსული დროის გამოყენებაზე. თქვენ ისწავლეთ როგორ უნდა გამოიყენოთ ეს დრო. მოგვიანებით, ინგლისურენოვან მოსაუბრესთან ლაპარაკისას, ამჩნევთ, რომ კვლავ უშვებთ შეცდომებს, ანუ ამ დროის ცოდნას ჯერ კიდევ არ დაუფლებიხართ სრულად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენი მცდელობა – გესწავლათ, მარცხით დასრულდა, ან იმას, რომ ცუდი მოსწავლე ხართ. ეს უბრალოდ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდია განსხვავება სწავლასა და დაუფლებას შორის. ასევე, მნიშვნელოვანია იმის დამახსოვრებაც, რომ ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე ყველა ეუფლება გარკვეული სახის ცოდნას არაფორმალურად, უსწავლელად, ისე – თითქოს სკოლაში იყვნენ.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

– რამდენად ახსოვთ, მართლა ისწავლეს თუ არა ველოსიპედის ტარება? ან დაუთოება? ან სიმღერა?

– ასრულებდნენ თუ არა სავარჯიშოებს, ან მიმართავენ თუ არა ექსპერტის დახმარებას?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით შეიძლება გაირკვეს, თუ რომელ უნარს დაეუფლეთ თითქმის უსწავლელად.

დაუფლების პროცესი

თუ გსურთ გაიგოთ, როგორია თანამედროვე მიდგომა დაუფლების პროცესთან მიმართებაში, იხილეთ *კომპეტენციები 6.2.2*

ახალი უნარების შექმნისა და ახალი ცოდნის დაუფლებისათვის, საჭიროა ახალ სიტუაციასთან შეპირისპირება, სადაც აღმოჩნდება, რომ ჩვენს ხელთ არსებული ცოდნა არაადეკვატურია და სათანადოდ მოქმედების საშუალებას არ გვაძლევს. მაგალითად, ვერ ვახერხებთ მოცემულ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემებისათვის თავის გართმევას. ასეთი რამ შეიძლება ყველანაირ ვითარებაში შეგვემთხვეს, დაწყებული ველოსიპედის ტარებითა და ახალი ტიპის ფუთის გახსნით, დამთავრებული ენის გამოყენებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ძველი ცოდნა საშუალებას არ გვაძლევს გავუმკლავდეთ წამოჭრილ პრობლემებს და რომ ცოდნის ეს დეფიციტი სამუდამოდ უნდა შევივსოთ. (შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თავს ახალი ცოდნის დაუფლების გარეშეც გავიტანთ, მაგალითად, ახლებური ტიპის ფუთას გახვეით გახსნით, სხვა შემთხვევაში შესტებს გამოვიყენებთ და ა.შ). მომდევნო ეტაპზე მუშაობაში ერთვება გონება, რომელიც ცდილობს მოცემული სიახლის როგორღაც მოწესრიგებას, რომ მას მნიშვნელობა მიანიჭოს. ის ეცდება გამოძებნოს ახალი საგნები (ველოსიპედის ნაწილები, ენაში – სიტყვები) და მიაკვლიოს მათი მუშაობის წესებს. ამის გასაკეთებლად, გონება გამოიყენებს უკვე მიღებულ ცოდნას, მაგალითად, ახალი ენის გამოყენებისას სიტყვებს იმიტომ ვეძებთ, რომ ვიცით – ზოგიერთ სხვა ენაშიც სიტყვებია, და გვგონია რომ ყველა ენა სიტყვებისაგან შედგება. ვეცდებით გარკვეული კავშირი დავამყაროთ არსებულ სიტუაციასა და ნათქვამს შორის, რადგან ვიცით, რომ ჩვენთვის ნაცნობ ენებში მსგავსი კავშირი არსებობს.

მეცნიერება ამ პროცესს მონაცემთა დამუშავებასა და სამოქმედო წესების დადგენას უწოდებს (იხ. *კომპეტენციები 6.2.2.1*). ზემოხსენებული ფუნქციის შესრულებისას, გონება აგებს ახალ ცოდნას, მაგრამ დაუფლების თვალსაზრისით, პროცესი ახალდაწყებულია: იმისათვის, რომ ახლადმოპოვებული ცოდნა გამოსადეგი იყოს, ის უნდა გამოიცადოს განსხვავებულ სიტუაციებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გონება აგებს გარკვეულ ნოუ-ჰაუსს ამ ახალი ცოდნის ირგვლივ; როგორ კონტექსტშია მისი გა-

მოყენება შესაძლებელი, როგორ იცვლება და როგორ უნდა მივუსადაგოთ იგი საკუთარი თავს (იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ქმედებას ვამჯობინებთ, როგორ ვუმკლავდებით სირთულეებს).

დავადგენთ რა წესებს, შემდგომი გართულებების თავიდან აცილებით (ანუ გამოცდის პროცესი წარმატებით სრულდება), ვიმახსოვრებთ მათ და ისინი იძენს იმ ცოდნისა და უნარების ახალი ფორმების სახეს, რომელთა გამოყენებაც გვინდა შევქმნათ. მოცემულ ეტაპზე ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში შეგვიძლია ყოველგვარი გართულების გარეშე მოქმედება. დაუფლება მოხდა და ჩვენ ვიცით ეს.

პატარა ხუმრობა თვალსაჩინოებისათვის

პლანეტა ვენერას მკვიდრი, სახელად მუნგო პერი, რომელიც ლაპარაკობს მხოლოდ საკუთარი პლანეტის ენაზე, ვიზიტით ჩადის საფრანგეთში. ის ჩერდება პატარა სასტუმროში, სადაც ყოველ საღამოს ვახშობს. პირველ საღამოს, სასტუმროს კიდევ ერთი სტუმარი, ფრანგი მამაკაცი, შედის რესტორანში და ჯდება მაგიდასთან ჩვენი მუნგოს გვერდით. იგი ტრიალდება მუნგოსკენ და ღიმილით ეუბნება „Bon appétit“ („გამოთ“, „მადიანად მიირთვი“). „აჰა“, ფიქრობს ჩვენი გმირი (რომელმაც, გეხსომებათ, ფრანგული არ იცის), „ეს კაცი საკუთარ თავს მაცნობს; თავაზიანია, ასე რომ მეც ასეთივე ვიქნები“ და ღიმილითვე პასუხობს „mungo peri“. მეორე საღამოს ფრანგი ისევ მოდის და მუნგოს იმავე გამამხნეველი „Bon appétit“-ით ესალმება, რაზეც ეს უკანასკნელი მაშინვე პასუხობს „mongopéri“, რაც შეიძლება მეგობრულად. ეს პატარა სცენა მეორდება რამდენიმე საღამოს განმავლობაში, სანამ ჩვენი გმირი, რომელმაც თავაზიანი მისტერ ბონაპეტიტის შესახებ თავის ორენოვან მეგობარს მოუთხრო, სიმართლეს არ გაიგებს: „Bon appétit“ ამ ფრანგი მამაკაცის სახელი კი არ არის, არამედ ფრანგების მიმართვის ერთ-ერთი ფორმაა, რომ უსურვონ ერთმანეთს სასიამოვნო ტრაპეზი!“ იმავე საღამოს, ჩვენი მუნგო ღებულობს გადაწყვეტილებას – პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ახალი ცოდნა და იღებს ინიციატივას. ფრანგი დაჯდომასაც ვერ ასწრებს, რომ ჩვენი გმირი ტრიუმფალური „Bon appétit“-ით ესალმება მას. ფრაზა სავსებით გასაგებად უღერს, გამოთქმაში მცირეოდენი სირთულეების მიუხედავად. ფრანგი, რომელსაც არ სურს ისე გამოჩნდეს, რომ თითქოს მას აკლია კარგი ინტერკულტურული მანერები, ძალზე მეგობრულად პასუხობს: „mongopéri!“ („მუნგოპერი“).

ეს პატარა ხუმრობა გვიჩვენებს, რომ სამოქმედო წესები, რომელთაც გონება აყალიბებს სიტუაციის მიხედვით, ყოველთვის სწორი არ არის. ამიტომ აუცილებელია მათი გამოცდა სხვა სიტუაციებში გამოყენებამდე. სპეციალისტები შემთხვევით არ ფიქრობენ, რომ საჭიროა შეცდომების დაშვება (რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მათ ვაცნობიერებთ), რადგან ეს შეცდომები საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ჩვენს მიერ დადგენილი სამოქმედო წესები და მათი გამოყენების ხარისხი. ეს მნიშვნელოვანი საკითხი განხილულია შეფასების პუნქტში, ნაწილი 5.

როგორ მოვახერხოთ თვითორგანიზება (ანუ სწავლიდან დაუფლებამდე)

მაშასადამე, სწავლა შეიძლება განხილულ იქნეს აქტივობების გაცნობიერებულად ორგანიზების ისეთ გზად, რომელსაც მივუსადაგებთ გონების გაუცნობიერებელ ქმედებას და ამასთან, მოვახდენთ მის ოპტიმიზაციას. როცა ის, რის დაუფლებაც გვსურს, ძალზე ჩახლართულია, სწავლა შეიძლება დაგვეხმაროს მის უფრო ადვილად და სიღრმისეულად დაუფლებაში. მაგალითად, მიჩნეულია, რომ ენის დაუფლება ხდება მისი შესწავლის გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეიძლება მოხერხდეს სწავლის გარეშე – გაცნობიერებულად და ორგანიზებულად (რაც, მაგალითად, ხშირია იმიგრანტებში). სავარჯიშოების შესრულება, გრამატიკული წესების სწავლა და ახალი ლექსიკური მასალის დამახსოვრება ის გაცნობიერებულ აქტივობებია, რომელთა ორგანიზებასაც ვახდენთ სწავლის მიზნით.

ორგანიზებულად სწავლის ერთ-ერთი ტრადიციული გზა სწავლებაა. ადამიანები ხშირად ამჯობინებენ ენების შესწავლას სწავლებით: ისინი ეწერებიან ენის კურსებზე (მაშინაც კი, როცა ისინი კერძოა და სატელეფონო!) თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გაც-

ნობიერება, რომ მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ დახმარება სწავლაში; დაუფლება ხდება უშუალოდ შემსწავლელის მიერ. უფრო მეტიც, ყოველთვის შესაძლებელი არ არის იმის სწავლება, რის დაუფლებაც გვსურს. მეორე მხრივ, სულ უფრო იზრდება იმ საშუალებათა ხელმისაწვდომობა, რომლებითაც შესაძლებელია სწავლა სწავლების გარეშე. ასე რომ, ცხადია, ყველა შემსწავლელისათვის სასარგებლო იქნება იმის ცოდნა, თუ როგორ მიუღწეონ სწავლას (იხ. *კომპეტენციები 6.3.5 / 6.4*).

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

- თუ რომელ სასწავლო აქტივობებს იცნობენ; მათგან რომელი მიაჩნიათ სასარგებლოდ ან მოსახერხებლად;
- ოდესმე თუ ფიქრობენ კონკრეტული აქტივობების ღირებულებაზე;
- შეუძლიათ თუ არა გაგების გაუმჯობესებისათვის სასარგებლო დავალებების განსხვავება იმ დავალებებისაგან, რომლებიც გამოხატვის გაუმჯობესებას ეხმარება.

იმისათვის, რომ თქვენი სასწავლო პროგრამა უკეთ იყოს ორგანიზებული, გასათვალისწინებელია სამი მნიშვნელოვანი ფაზა:

არსებობს განსხვავებული ფაზები (იხ. *კომპეტენციები 6.4.1 / 6.4.2*).

როგორც ვნახეთ, დაუფლება ეტაპობრივად ხდება. მნიშვნელოვანია თქვენი სამუშაო ისე დაგეგმეთ, რომ ამ ეტაპებს შეესაბამებოდეს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იქნება სამი ფაზა, თუმცა მათი ხანგრძლივობა განსხვავებული იქნება გაგებასა და გამოხატვასთან მიმართებაში, რადგან მე-2 პუნქტმა ცხადყო, რომ გაგება და მეტყველება სხვადასხვა მენტალურ ოპერაციებს მოიცავს.

პირველი ფაზა: აღმოჩენა

ამ ფაზაზე თქვენ აღმოაჩენთ, თუ რა გაქვთ სასწავლო, საკუთრი თავისათვის დასახული საკომუნიკაციო მიზნების მიხედვით (იხ. ამ თავის პუნქტები 1 და 2). მაგალითად, თუ გსურთ იცოდეთ როგორ გამოხატოთ არდათანხმება თავაზიანად, მოგიწევთ სათანადო სიტყვების და ფრაზების პოვნა, იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი გამოიყენება ამა თუ იმ სიტუაციაში და ა. შ. ეს ყველაფერი შეგიძლიათ ისწავლოთ სახელმძღვანელოებიდან, გრამატიკის წიგნებიდან და მასწავლებლებისაგან, მაგრამ, პირველ ყოვლისა, – ავთენტიკური დოკუმენტებიდან. ეს დოკუმენტები (ვიდეო და აუდიო კასეტების, აგრეთვე, ნაბეჭდი ტექსტების ჩათვლით), ენის სწავლებაზე გათვლილი არ არის (სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით), მათ საკომუნიკაციო დანიშნულებით იყენებენ. ავთენტიკურ დოკუმენტებში მოცემული მაგალითები დაგანახებთ, თუ როგორ ხდება ენის გამოყენება საკომუნიკაციოდ (როგორ გამოიყენება ესა თუ ის გრამატიკული დრო წარსულსა და აწმყოზე სასაუბროდ, როგორ იხდიან მადლობას შესრულებული თხოვნისათვის და ა. შ.). ამგვარად, თქვენ გაიგებთ, თუ რეალურად როგორ მუშაობს ენა საკომუნიკაციო სიტუაციებში.

ჩვენი თვალთახედვით, ეს ფაზა შეესაბამება დაუფლების პროცესის მონაცემთა დამუშავებისა და წესების დადგენის ფაზებს. იგი ძალზე მნიშვნელოვანია გამოხატვაზე მუშაობისას, რადგან საჭიროა ყველა იმ საკითხის თავმოყრა, რომელთა გადაწყვეტის სწავლაც სურს ადამიანს. ეს ფაზა ნაკლებად მნიშვნელოვანია გაგებასთან მიმართებაში. ამ უკანასკნელზე მუშაობის დაწყება შესაძლებელია პირდაპირ მეორე ფაზიდან.

მეორე ფაზა: სისტემატური პრაქტიკა

ამ ფაზაზე თქვენ მუშაობთ თანამიმდევრულობის დაცვით, ისეთ საკითხებზე, რომელთა დაუფლებაც გჭირდებათ. დაუფლების პროცესის მიხედვით, ეს ფაზა წესების ფორმირების ერთ-ერთი მხარეა და აგრეთვე, მოიცავს პირველ ფაზას მოცემული ცოდნის შემოწმებისა და გამოყენების თვალსაზრისით. სისტემატურმა მუშაობამ შეიძლება თქვენგან ისეთი აქტივობების შესრულებაც მოითხოვოს, რომლებიც შესაძლოა ნაკლებად ეხებოდეს იმას, თუ როგორ უნდა ვისაუბროთ (მაგალითად, ზოგიერთმა მკითხველმა ასეთად შეიძლება მიიჩნიოს ცალკეული გრამატიკული სავარჯიშოები), მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ფაზა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სპეციფიკურ ასპექტებზე კონცენტრირება. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი ჩოგბურთელზე, რომელსაც სურს გააუმჯობესოს საკუთარი თამაშის ხარისხი და ამ მიზნით ტყეში ვარჯიშობს სირბილში. ეს აქტივობა ჩოგბურთთან უშუალო კავშირში არ არის, მაგრამ ეხმარება სპორტსმენს ამტანობის გაძლიერებაში, რაც ჩოგბურთის თამაშოდ აუცილებელია.

ამ ფაზაზე დამოუკიდებლად მუშაობამ პრობლემები არ უნდა შეგიქმნათ, რადგან თქვენ იქნებით ისეთი საკითხების შესწავლის პროცესში, რომლებიც პირადად თქვენთვისაა აუცილებელი, მაგრამ ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ საჭიროა მუშაობა იმ ცოდნის ყველა ასპექტზე, რომლის დაუფლებაც გსურთ: როცა გამოხატვაზე მუშაობთ, რა თქმა უნდა, არ გინდათ მხოლოდ გრამატიკულად სწორი წინადადებების აგება შეგეძლოთ; უპირველეს ყოვლისა, თქვენი მიზანია მათი სათანადოდ გამოყენება იმ საკომუნიკაციო სიტუაციებში, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდეთ (იხ. პუნქტი 4). როცა გაგებაზე მუშაობთ, ნუ დაგავიწყდებათ ყველა იმ განსხვავებული ტიპის დოკუმენტზე მუშაობაც, რომლებთან მოგიწევთ მუშაობა (მოკლე და გრძელი ტექსტები, ჩანაწერები, სადაც ადამიანები რომელიმე კონკრეტულ აქცენტს იყენებენ მეტყველებაში, და ა.შ). ასევე საჭიროა სხვადასხვა სახის საკითხავი და მოსასმენი მასალების გამოყენება (რომ იცოდეთ ამა თუ იმ ინფორმაციის მოძიება; გაგება იმ დონეზე, რომ გაკრიტიკება შეგეძლოთ და ა.შ). გაითვალისწინეთ, რომ ამ ფაზაზე გარკვეული დრო უნდა დაუთმოთ დამახსოვრებასაც.

მესამე ფაზა: არასისტემატური პრაქტიკა

ეს ფაზა შეესაბამება დაუფლების პროცესის იმ ეტაპს, როცა ვამოწმებთ საკუთარ ცოდნას და ვიყენებთ მას რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში. იგი დაგეხმარებათ საკუთარი აზრების მკაფიოდ ჩამოყალიბებაში, უკეთ დამახსოვრებასა და იმ ნოუ-ჰაუს შემუშავებაში, რაც საჭიროა მოცემული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციებში გამოსაყენებლად. თქვენ ისწავლით რეაგირებას მოულოდნელობებსა და უჩვეულობებზე, პატარა, მაგრამ უხერხულ საკომუნიკაციო პრობლემებთან გამკლავებას, რაშიც ვერანაირი მოცულობის სისტემატური მუშაობა ვერ მოგამზადებთ. ამ ფაზაზე არ მოგეთხოვებათ შესასრულებელი სამუშაოს ლინგვისტური დეტალების განსაზღვრა (წარსული დრო; ოჯახთან, როგორც თემასთან დაკავშირებული ლექსიკონი, თავაზიანად არდათანხმება და ა.შ). სამაგიეროდ, მოგიწევთ სიტუაციის განსაზღვრა: ვის ესაუბრებით, რატომ და ა.შ. (იხ. განყოფილება 1), ისე რომ დაინახოთ თუ რამდენად ეფექტურად იყენებთ იმ ცოდნას, რომლის დამახსოვრებასაც ცდილობდით თქვენი სისტემატური მუშაობის ფაზაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამის გაკეთებას დამოუკიდებლად ვერ შესძლებთ. თუ გამოხატვაზე მუშაობთ, პარტნიორი დაგჭირდებათ. იდეალური იქნება პარტნიორი, რომლისთვისაც ენა, რომელსაც თქვენ სწავლობთ მშობლიურია. თუმცა, გამოგადგებათ ნებისმიერი შემსწავლელიც იმ პირობით, თუ ის ითამაშებს საკომუნიკაციო კუთხით. თუ გაგებაზე მუშაობთ, გამოიყენეთ ავთენტიკური დოკუმენტები. თქვენთვის მნიშვნელოვანია ისეთ პირობებში მოსმენა და კითხვა, რომელთა მსგავსშიც შეიძლება რეალურად აღმოჩნდეთ. მაგალითად, თუ მოგეთხოვებათ რაიმე ჩანაწერის პირდაპირ გაგება, მაშინ უსიტყვოდ ცხადია, რომ აზრი არ აქვს მის ათჯერ მოსმენას. ლექსიკონის გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ერთხელ მოსმენაც აღარ იყოს საჭირო! ამ თავის მე-4 ნაწილი

გაწვდის მოსაზრებებს იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც ზემოხსენებულ ფაზებზე შეგიძლიათ გამოიყენოთ.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ საკუთარ თავს:

– თუ რამდენად ითვალისწინებენ აღნიშნულ სამ ფაზას შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით? თუ იყენებენ, რა სახით? (იხ. *კომპეტენციები 6.4.2.1*)

– ხომ არ ახდენენ ერთ ფაზაზე კონცენტრირებას დანარჩენების ხარჯზე?

ზოგჯერ ზოგიერთი შემსწავლელი დიდი რაოდენობით ასრულებს გრამატიკულ სავარჯიშოებს და არ უკვირდება, რომ ასეთი სწავლა არანაირად არ უწყობს მას ხელს საკომუნიკაციო სიტუაციებში (ფაზა 3). არიან ისეთებიც, რომელთაც მოსწონთ მეტყველების გაკვეთილები (ფაზა 3) და ვერც კი ამჩნევენ, რომ რეალურად ვერ პროგრესირებენ, რადგან არ მუშაობენ საკუთარ კონკრეტულ პრობლემებზე (ფაზა 2).

დაბოლოს, არსებობს შემსწავლელთა მესამე კატეგორია, რომელიც ტექსტის კითხვის დროს ყოველი ახალი სიტყვის მნიშვნელობას ლექსიკონში ეძებს და შესაბამისად, დრო აღარ რჩება გაგებაზე სამუშაოდ (ფაზა 2).

ნუ შეუშინდებით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას. პირველ განყოფილებაში ჩვენ განვიხილეთ იმ ენობრივი ასპექტის მისადაგების საკითხი საკომუნიკაციო სიტუაციებთან, რომელთა დაუფლებაც სურს ადამიანს. მრავალფეროვანი სასწავლო დავალებები, რომელთა ორგანიზებაც დაგჭირდებათ, უშუალოდ იქნება დამოკიდებული იმაზე, რასაც ჩვენ მოთხოვნათა ანალიზი ვუწოდეთ (განყოფილება 1). ეს გულისხმობს საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრას, რა მიზეზებია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? ენის რომელი ასპექტებით აპირებთ დაწყებას? თავდაპირველად გამოხატვაზე ივარჯიშებთ, თუ გაგებაზე? ვფიქრობთ, ასეთი ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია: კერძოდ, ის დაგეხმარებათ გაარკვიოთ, რამდენად პროგრესირებთ (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მე-5 ნაწილში). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ენის სწავლის პროცესში შეიძლება ახალი ფაქტორებიც გამოჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ სრულებითაც არ ხართ ვალდებული შეასრულოთ საწყისი გეგმა.

– თქვენი მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს.

ის მარტივი ფაქტი, რომ ადამიანი ეუფლება ახალ ცოდნას, მის მოთხოვნათა განვითარებას გულისხმობს. სწავლა არ არის კედლის აგურ-აგურ აშენება ისეთ პირობებში, როცა ყველა აგური ხელთ არის საქმის დასაწყებად. ის უფრო ჰგავს მოდულების მიხედვით სახლის შენებას, რომელსაც ვაფართოებთ და რომლის ყველა ოთახიც სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოიყენება სიტუაციის მიხედვით. მშენებლობის დაწყებისას, ძნელია ზუსტად თქმა, თუ როგორ სახეს მიიღებს ის რამდენიმე წელიწადში; ჩვენ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს. განაპირობებს რა ახალი ცოდნისა და ნოუ-ჰაუს პროგრესული დაუფლების პროცესი მოთხოვნათა ევოლუციას, საჭირო არ არის მთელი სამუშაო პროგრამის შინაარსისა და თანამიმდევრობის უკანასკნელ დეტალამდე განჭვრეტა. მთავარია, დანამდვილებით იცოდეთ, რის მიღწევა გსურთ მოცემულ სასწავლო სესიაზე. როცა შეაფასებთ იმას, რასაც დაეუფლეთ, შესძლებთ ახალი მიზნების დასახვას და სამუშაოდ ახალი საკითხების შერჩევას.

– სწავლა არ არის მხოლოდ წმინდა ლოგიკის საქმე ანუ შეუსვენებლად შრომა

მნიშვნელოვანია, რომ ენის დაუფლების პროცესი ადამიანს სიამოვნებას ანიჭებდეს: სწავლა უფრო ადვილია, თუ მოცემული დავალების შესრულება გვეხალისება; და თუ დოკუმენტი, რომელზეც ვმუშაობთ, საინტერესოა, ჩვენი სურვილი მასში არსებული სირთულეების გადასაღებად, ორმაგდება. აქტივობებისა და დოკუმენტების შერჩევა საკუთარი გემოვნების მიხედვით, განაპირობებს სწავლისათვის აუცილებელი მოტივაციის ზრდას. მთავარია, გართობასა და საქმეს შორის ოქროს შუალედის პოვნა. მაგალითად, თუ იცით, რომ ის, რასაც აკეთებთ, ბოლომდე არ ემთხვევა თქვენი მოთხოვნების ანალიზის შედეგებს (ვთქვათ დაკავებული ხართ სიმღერის ჩაწერით, მაშინ როცა ძალიან გინდათ რადიოთი ახალი ამბების გაგება), მაგრამ სიამოვნებას განიჭებთ – გარკვეულ შედეგს მაინც მიიღებთ. დროდადრო შეიძლება დადლილობა ან სტიმულის ნაკლებობა იგრძნოთ; მათთან გამკლავება გაგიადვილდებათ, თუ საკუთარ თავს მცირეოდენი გართობის უფლებას მისცემთ.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

- განსაზღვრავენ თუ არა საკუთარ მიზნებს დეტალურად, ახალი დავალების ან აქტივობის დაწყებისას;
- უთმობენ თუ არა რამდენიმე წუთს, ყოველი სავარჯიშოს დასრულებისას, იმაზე ფიქრს, თუ რა ისწავლეს და ამით რა შეიძლება;
- იციან თუ არა რომელი დავალებები ანიჭებთ სიამოვნებას და რაზე მუშაობას შეიძლება შეეგუონ;
- აქვთ თუ არა დანაშაულის გრძობა, როცა რაიმე გასართობით არიან დაკავებული;
- თვლიან თუ არა თავს ვალდებულად შეასრულონ დავალებები, რომლებიც მოსაბეზრებლად მიაჩნიათ. (იხ. *კომპეტენციები 4 / დოკუმენტები C1, C2, C3*)

არ არსებობს იდეალური სამუშაო ტემპი

ბევრი ადამიანისათვის სწავლა, უპირველეს ყოვლისა, რეგულარული სამუშაო განრიგის შექმნაა. რეგულარულობა ხშირად ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ცოდნის წარმატებით დაუფლებისათვის, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. იშვიათად ხერხდება რეგულარულად მუშაობა რამის შესასწავლად, განსაკუთრებით ზრდასრულების შემთხვევაში. შეიძლება რამდენიმე კვირამ ისე ჩაიაროს, რომ უამრავი თავისუფალი დრო გექნდეს ან მეტად დატვირთულნი ვიყოთ სამსახურებრივი მოვალეობებით. როცა რამის შესწავლა გსურთ, მოვლენები ისე მიიღეთ, როგორც არის და შეიძლება ეს თქვენთვის ხელსაყრელიც კი აღმოჩნდეს. მთავარია, დროისა და საკუთარი მიზნების შესაბამისობაში მოყვანა და ისეთი აქტივობების შერჩევა, რომლებიც ასევე მოერგება თქვენს განკარგულებაში არსებულ დროის მოცულობას. როცა თავისუფალი დრო საკმარისად გაქვთ, შეგიძლიათ დაწვრილებით შეუდგეთ მუშაობას მოცემული საკითხის გასაგებად, ყველა უცნობი სიტყვის ლექსიკონში მოძიებით. როცა დრო მცირე გაქვთ, უფრო პროდუქტიული იქნება, მაგალითად, სისწრაფეზე გათვლილი გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება. მთავარია, თქვენ რას ანიჭებთ უპირატესობას: ზოგიერთები ამჯობინებენ მუშაობას დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდებში, მაშინ როცა სხვები უკეთ მუშაობენ უფრო მოკლე, მაგრამ ხშირ მონაკვეთებში.

ხშირად სამუშაო დროში მოვიაზრებთ იმ პერიოდებს, როცა შეგვიძლია მოვიმარჯვოთ ჩვენი წიგნები და კასეტები, მივუსხდეთ მაგიდას და შევუდგეთ საქმეს. სინამდვილეში, სხვა თავისუფალი მომენტების გამოყენებაც შეიძლება ამ მიზნით. მაგალითად, დრო რომელსაც მანქანაში, სტომატოლოგის ან ოპტიკოსის მოსაცდელში დავეყოფთ – პოტენციური სამუშაო პერიოდებია. ამ პერიოდებში ყველაფრის გაკეთებას ვერ მოახერხებთ, მაგრამ შესაძლებელია მათი რაციონალურად გამოყენება.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

- იციან თუ არა როგორ სამუშაო ტემპსა და დროს ამჯობინებენ;
- თუ როგორ ურჩევნიათ მუშაობა – ყოველდღიურად ნახევარი საათი, ყოველ შაბათ დილას სამი საათი თუ მაშინ, როცა თავისუფალ დროს გამოიხატავენ;
- თუ უძნელდებათ ხოლმე შერჩეული დავალების შესრულება მათ ხელთ არსებულ დროის მონაკვეთში;
- შეუძლიათ თუ არა აღნუსხონ დროის ის მონაკვეთები, როცა მუშაობას შესძლებენ და შესაბამისი აქტივობები;

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ – დასვენების პერიოდებზე სასარგებლოა სწავლისათვის. მაშინაც კი, როცა არაფერს აკეთებთ, თქვენ მაინც ეუფლებით ენას. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს, რომ ასეთ პერიოდს წინ უნდა უსწრებდეს გარკვეული მოცულობის შესრულებული სამუშაო. ნუ იდარდებთ, თუკი ხედავთ, რომ ორი კვირის განმავლობაში თქვენთვის სასურველი ტემპით იმუშავებთ, მაგრამ შემდეგ, ასევე ორი კვირით მოგიწიათ აღნიშნული პროცესის შეწყვეტა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როცა თქვენ იძულებით ისვენებთ, თქვენი გონება აგრძელებს მუშაობას, იმახსოვრებს და ახდენს ახალი ცოდნის ორგანიზებას. ასე რომ, როცა სწავლას მიუბრუნდებით, შეიძლება გაგაოცოთ იმის აღმოჩენამ, რომ უფრო მეტი გცოდნიათ, ვიდრე გეგონათ!

საერთოდ, ადამიანს შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა და როცა უნდა, მისთვის სასურველი ტემპით, ოღონდ, იმ პირობით, რომ მისი არჩევანი გაცნობიერებული იქნება. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ ამა თუ იმ მოცემულ მომენტში, რა მოთხოვნების საპასუხოდ ვიქცევით ასე, შეესაბამება თუ არა ჩვენი არჩევანი სწავლის სხვადასხვა ფაზებს და გვაძლევს თუ არა მოტივაციას, და რაც ყველაზე მთავარია – შედეგობრივად, როგორ აისახება ეს არჩევანი სწავლის მთელ პროცესზე. ეს ყველაფერი ბევრად უფრო აუცილებელია, ვიდრე ისეთი გამოსავლის ძიება (რაც აუცილებლად ამაოა), რომელიც ჯადოსნური ჯოხის ერთი დაქნევით გაგვათავისუფლებს ყველანაირი პრობლემებისაგან.

ნაწილი 4 – მეთოდოლოგია

ამ თავის მე-2 ნაწილში ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ძალზე სასარგებლოა, აუცილებელიც კი, განვასხვავოთ შრომა, რომლის მიზანია გაგების გაუმჯობესება, იმ შრომისაგან, რომელიც გამოხატვის გაუმჯობესებაზეა გათვლილი. ეს თავი დამატებით დეტალებს მოგაწვდით იმის თაობაზე, თუ როგორ შეარჩიოთ აქტივობები, სავარჯიშოები და მასალები სწავლისათვის.

ა. გაგება

რაც ყველაზე მთავარია: თუ გსურთ მუშაობა ზეპირ გაგებაზე (სალაპარაკო ენის გაგება), თქვენი სასწავლო დროის სულ მცირე 50% უნდა დაუთმოთ აუდიო ან ვიდეოჩანაწერების მოსმენას. თუ განზრახული გაქვთ მუშაობა წერილობით გაგებაზე, თქვენი სასწავლო დროის სულ მცირე 50% უნდა დაუთმოთ წერილობითი დოკუმენტების კითხვას. ეს მნიშვნელოვანია (იხ. *კომპეტენციები 7.2.2*)

აქტივობის შერჩევა

თქვენს მიერ შერჩეული აქტივობა უნდა მიესადაგებოდეს იმას, რის სწავლაც გსურთ. ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ, რის გაუმჯობესება გინდათ და შემდეგ გააანალიზოთ ყველა ხელმისაწვდომი აქტივობა შესაფერისის ამოსარჩევად. გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ გინდათ ისწავლოთ გაგება, შესაფერის აქტივობებად ჩაითვლება მხოლოდ ისინი, რომლებიც რამდენიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

– შეძლებისდაგვარად, მათში ჩართული იქნება ავთენტური დოკუმენტები, რადგან მხოლოდ ისინი იყენებს ბუნებრივ ენას (იხ. *კომპეტენციები 6.4.3.2*). ეს იმიტომ, რომ მათ საკომუნიკაციო დანიშნულება აქვთ. მათი შემქმნელები ბუნებრივ ენას იყენებენ და არც კი ფიქრობენ იმ გრამატიკულ სიტყვებზე ან წესებზე, რომელთა ცოდნაც ცალკეულ შემსწავლელებს მოეთხოვებათ. ამგვარად ჩაწერილი დოკუმენტები საშუალებას მოგვცემს იმუშაოთ ზუსტად იმ ტიპის ენაზე, რომელიც გინდათ გესმოდეთ. ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ, როცა საქმე ეხება ზეპირ გაგებას, გამარტივებული ჩანაწერების გამოყენება შორს ვერ წაგვიყვანს.

– აუცილებელი არ არის თავიდანვე გვესმოდეს ყველაფერი, რაც ჩანაწერშია. პირიქით, უნდა მონიშნოთ საკითხები, რომლებზეც გვემავთ მუშაობას და მიჰყვით მათ. ნუ იღარდებთ დანარჩენზე: შეუძლებელია ყველაფრის ერთ ამოსუნთქვაზე სწავლა. უფრო მეტიც, ავთენტური დოკუმენტების უმეტესობა გეთავაზობს სხვადასხვა სახის დახმარებას; მაგალითად, სასაუბრო ჩანაწერები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს წერილობითი ასლებით (შესადარებელი ტექსტი, სუბტიტრები და ა.შ.), ან თარგმანითაც კი (მაგალითად, ფილმის სუბტიტრები). ასეთი სახის დახმარებები ნამუშევრის უფრო იოლად გასწორების საშუალებას მოგცემთ.

– კითხვა, რომელსაც ნამდვილად დაუსვამთ საკუთარ თავს, ეხება მოცემული სავარჯიშოების სირთულეს (იხ. *კომპეტენციები 7.3.2*). სირთულე სუბიექტური ცნებაა.

თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი აქტივობა სხვებთან შედარებით უფრო რთულია. მაგალითად, ჩანაწერის სიტყვა-სიტყვით გაშიფვრა ბევრად ძნელია, ვიდრე ცალ-ცალკე სიტყვების ძიება, რადგან პირველი აქტივობა უფრო მეტ კონცენტრაციას მოითხოვს და ბუნებრივად არ არის. მე-2 თავმა დაგვანახა, რომ გაგება არ გულისხმობს უბრალოდ ყველა სიტყვის მნიშვნელობის წვდომას: დოკუმენტის გაგება რთულია მაშინაც, როცა არ გვესმის მოცემული საკითხი, ან თუ საქმე გვაქვს რამდენიმე განსხვავებულ მოსაუბრესთან, ან სპეციფიკურ ენასთან (მაგალითად, მეტად ლიტერატურული ენა), რომელიც ჩვენთვის უცხოა.

– ყველაზე რთული ის დოკუმენტია, რომლის თემაც საერთოდ არ გვესმის და ისიც კი არ ვიცით, რის გაგებას ვცდილობთ. ეს ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შესაფერის ტექსტების შერჩევა, რადგან მათში მოიძებნება ის საკითხები, რომლებზეც გვინდა მუშაობა; ასეთი ტექსტები მოგვწონს, მეტწილად, იმიტომ, რომ მათ თემატურად ვიკებთ. ეს მნიშვნელოვანია საკუთარი ამოცანების ნათლად განსაზღვრისა და პროგრესირებისათვის.

– თქვენს მიერ შერჩეული სავარჯიშო გაგებაზე უნდა ითხოვდეს თქვენგან რამის წვდომას. ეს თქვენთვის მიზანი იქნება, რითაც იხელმძღვანელებთ კითხვისა და მოსმენისას: „ვაპირებ მოუხსინო იმისათვის, რომ...“ (მაგალითად, მივიღო გარკვეული სპეციფიკური ინფორმაცია). მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ წერილობითი სავარჯიშო გაგებაზე ფრანგული ენის შემსწავლელთათვის. იგი ეფუძნება ავთენტიკურ ტექსტს, რომელიც ახდენს ჩვენთვის საინტერესო ასპექტების ილუსტრირებას

Les fêtes de Noël: les services ouverts ou fermés.

ეს სავარჯიშო გიწესებთ რამდენიმე რეალისტურ ამოცანას კითხვისათვის. მარჯვენა სვეტში მოცემული შეკითხვები თქვენგან მოითხოვს არა სწორხაზოვან, სიტყვა-სიტყვით, არამედ ორგანიზებულად კითხვას, რაც გულისხმობს, მაგალითად, სათაურების, ან როგორც ტექსტში, ისე შეკითხვებში მოცემული ცალკეული პუნქტების გამოყენებას. ამ პროცესს მიჰყავხართ პატარა ნაწყვეტამდე, რომელიც ბევრად უფრო დეტალურად უნდა წაიკითხოთ.

გაგებაზე სავარჯიშოს შერჩევამდე, *კომპეტენციების* მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ საკუთარ თავს:

- რა შესაძლო ამოცანები შეიძლება ჰქონდეს ამ სავარჯიშოს კითხვისა და მოსმენისათვის (არა მხოლოდ გრამატიკული ასპექტები და სიტყვათა მარაგი);
- თავად რა ამოცანების შემოტანა შეუძლიათ ტექსტისათვის, კითხვისა და მოსმენის თვალსაზრისით, სათაურის, ქვესათაურების, ან იმის საფუძველზე, რაც უკვე იციან მოცემული საკითხის ირგვლივ;
- შეუძლიათ თუ არა ისეთი კითხვების ფორმულირება, რომლებიც უფრო დაწვრილებით დასახავს ამოცანებს კითხვისა და მოსმენისათვის.

დავალების შესრულება

თუ უკვე შეარჩიეთ დავალება სათანადო მოსასმენი და საკითხავი მასალით, შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ. აქტიურად სწავლა და მოსასმენი და საკითხავი აქტივობების მომზადება ამ მომენტში იწყება. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეგიძლიათ სცადოთ წასაკითხი ან მოსასმენი მასალის ზოგადი შინაარსის, ან თვით ცალკეული სპეციფიკური ასპექტების წინასწარ განჭვრეტა. ეს, თავის მხრივ, დაგეხმარებათ ზოგიერთი არსებითი სიტყვის გამოცნობაში, რომელიც მასალაში შეგხვდებათ. მოსამზადებელ პროცესში უკვე სწავლობთ. თუ კითხვაზე მუშაობთ, გამომდინარე იქიდან, რომ უკვე სცადეთ, გამოგეცნოთ თქვენს ტექსტში მოცემული მოსაზრებები ან თემები, შეგიძლიათ უშუალოდ ტექსტზე გადახვიდეთ. თუ ზეპირ გაგებაზე მუშაობთ, ახალი ტერმინები ლექსიკონში მოიძიეთ.

როცა სავარჯიშოს ირჩევთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, როგორ აპირებთ მის შესრულებას, გახსოვდეთ, რომ გაგება და გაგების სწავლა ერთი და იგივე არ არის: დაწყებამდე გადაწყვიტეთ, ამ პროცესში საკუთარი თავის შემოწმება გინდათ (ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, გაგების თვალსაზრისით პროგრესს უნდა განიცდიდეთ), თუ სწავლა (ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გაგების თვალსაზრისით პროგრესს ვერ


განიცდით, მაგრამ მაინც ისწავლოთ რაიმე, მაშინაც კი, როცა მზად არ ხართ კონკრეტული დოკუმენტის გასაგებად). მაგალითად, დავალებებზე მუშაობისას (არა საგამოცდლო დავალებებზე), კასეტის მოსმენამდე ან ტექსტის წაკითხვამდე, შეგიძლიათ გაეცნოთ პასუხების ფურცელს: ეს დაგეხმარებათ მოსამზადებელი და საორიენტაციო ასპექტების იდენტიფიცირებაში.

საგარჯიშო წერილობით გაგებაზე

ადაპტირებულია: Ecritures 2-dan, Capelle G., Grellet F. (1998), Hachette, Paris
II / 9; გვ. 28 (მოყვანილია ფრანგული ტექსტი)

თქვენ პარიზში ცხოვრობთ და მეგობრები ჩამოდიან თქვენთან სამუშაოდ (24 და 25 დეკემბერი), ამიტომ გსურთ წინასწარ გადაწყვიტოთ, რომელ ადგილებს მოინახულებთ.

1. თქვენ კვლავაც ორჭოფობთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტზე.



სტატიის მიხედვით, რის გაკეთებას აპირებთ?

24 დეკემბერს?-----

25 დეკემბერს?-----

2. გაზეთებს რეგულარულად არ კითხულობთ, მაგრამ გსურთ იცოდეთ, რომელი ფილმის სანახავად შეიძლება წასვლა მეგობრებთან ერთად შობის დღეს. რას გააკეთებდით ამის გასაგებად?

3. იმუშავებს მეტრო შობის დღეს? (RATP: მეტროსა და ავტობუსების მომსახურება პარიზის ფარგლებში)

4. შესაძლებელია ბანკში ფულის გამოსატანად მისვლა 24 დეკემბრის დღეს?

5. თქვენს მეგობრებს სურთ საყიდლებზე წასვლა პარიზის დიდ მაღაზიებში. როდის შეძლებთ ამას?

სწორი პასუხები კასეტის მოსმენამდე წაიკითხეთ: ეს დაგეხმარებათ იმ საკითხების განსაზღვრაში, რომელთათვისაც უნდა მოემზადოთ ან იქნება თქვენი გზამკვლევი მოსმენისა და კითხვის თვალსაზრისით.

ასევე შეგიძლიათ გადაწვიტოთ, რამდენჯერ წაიკითხავთ ან მოუსმენთ დოკუმენტს და როგორ აპირებთ მის წაკითხვას (შესავალი თავდაპირველად თუ ბოლოს? თითოეული აბზაცის პირველი წინადადება?) ან მოსმენას (ეტაპობრივად, ხშირი შესვენებით, გადასახვევი ღილაკის გამოყენებით, თუ მთელი ჩანაწერის თავიდან ბოლომდე მოსმენას?)

სწავლა მოითხოვს ერთი და იმავეს რამდენჯერმე გამეორებას. ცოდნა იმისა, თუ რა გაქვთ გასაკეთებელი, მხოლოდ ამოსავალი წერტილია იმის გასაგებად, თუ როგორ გააკეთოთ ის: რაც უფრო ხშირად იმეორებთ სავარჯიშოს, მით უფრო უკეთ ეუფლებით (ამ ტერმინის ზემოხსენებული გაგებით) რეალურ ნოუ-ჰაუსს. ასე, რომ, ნუ შეიკავებთ თავს ერთი და იმავე სავარჯიშოს რამდენჯერმე შესრულებისაგან.

ასევე, შესაძლებელია ერთი დავალების ორჯერ შესრულება: თავდაპირველად – სწავლის მიზნით. სავარჯიშოს შესრულებისას, აღმოაჩენთ ახალ საკითხებს, რომლებსაც შემდეგ დაიმასხოვრებთ (ლექსიკური მარაგი, გამონათქვამები, დოკუმენტის ორგანიზების გზები და ა.შ). მაგრამ შეგიძლიათ სავარჯიშო ხელმეორედ გააკეთოთ ნასწავლის შესამოწმებლად: ახერხებთ თუ არა ნასწავლის მაშინვე გაგებას ან რამდენად ადვილია ის გასაგებად?

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ გაგების დონის გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება გარკვეული დავალებების შესრულება, რომლებიც უშუალოდ სალაპარაკო და გაგების აქტივობებს არ ეხება. მაგალითად, დაგჭირდებათ ლექსიკური მარაგის ათვისება. თუმცა, ამას გააკეთებთ გაგების თვალსაზრისით; ანუ, მოგიწევთ სხვების მიერ ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობის გაგება. როცა საქმე სალაპარაკო ენას ეხება, უნდა სცნობდეთ სხვადასხვა აქცენტით ნათქვამ სიტყვებს. გარკვეულწილად, ეს უფრო ადვილია, ვიდრე სიტყვების ძეხნა თვითგამოხატვისათვის; მაგრამ, მეორე მხრივ, მოგიწევთ იმაზე ბევრად მეტი სიტყვის გამოცნობა, ვიდრე თავად გამოიყენებდით, რადგან გაგება სიტყვათა შერჩევის საშუალებას არ გვაძლევს. ეს თქვენი თანამოსაუბრის პრეროგატივაა.

ასევე, მოგიწევთ საკუთარი ცოდნის განგრცობა იმ მრავალფეროვანი თემების ირგვლივ, რომელთა მოსმენა ან წაკითხვაც შეიძლება დაგჭირდეთ. მაგალითად, თუ გსურთ ისწავლოთ ფრანგული გაზეთების კითხვა ან გესმოდეთ გერმანელების საუბარი საყოფაცხოვრებო საკითხებზე, გამოგადგებათ იმის გარკვევა, თუ რა სახის მოვლენებს აშუქებენ ფრანგული გაზეთები და როგორია გერმანელთა ცხოვრების ასპექტები. ასეთი სახის ცოდნას ხშირად საკუთარ ენაზე ეუფლებიან, გერმანული და ფრანგული სტატიების საშუალებით (იხ. *კომპეტენციები* 6.4.6.3), რაც უფრო მეტი იცით იმ დოკუმენტის თემატიკის ირგვლივ, რომელიც გინდათ, რომ გაიგოთ, მით უფრო შესძლებთ ამას.

<p>გაგებაზე სავარჯიშოს შესრულებამდე <i>კომპეტენციების</i> მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:</p> <ul style="list-style-type: none">– საჭიროა თუ არა მოსასმენი სავარჯიშოებისათვის მომზადება ლექსიკური მარაგის ათვისებით ან გამეორებით;– თუ როგორ შეასრულებენ სავარჯიშოს; რამდენჯერ წაიკითხავენ ან მოუსმენენ დოკუმენტს;– თუ როგორ შეამოწმებენ პასუხებს;– რას გააკეთებენ სავარჯიშოს დასრულების შემდეგ;– თუ შეარჩევენ დასამასხოვრებლად გარკვეულ ლექსიკურ მარაგს;– თუ შეასრულებენ სავარჯიშოს ხელმეორედ და ასეთ შემთხვევაში – რამდენი დრო დასჭირდებათ და შესრულების ხერხი თუ იქნება უცვლელი.
--

ბ. გამოხატვა

აქტივობების შერჩევა

ხშირად, ადამიანებს მეტი იდეა მოსდით გამოხატვის აქტივობებისა და დავალებებისათვის, ვიდრე გაგებისას. ეს იმით აიხსნება, რომ სკოლაში ენების სწავლებისას აქცენტი, მეტწილად, გამოხატვაზე კეთდება და ამიტომაც ადამიანები უფრო გათვითცნობიერებულნი არიან ამ მხრივ. დავალების შერჩევისას, უნდა გახსოვდეთ, ზოგადად რა მიზანი გამოძრავებთ. რა თქმა უნდა, ეს არის საკუთარი აზრებისა და გამოცდილების გაზიარება თანამოსაუბრისათვის. თანაც, ხშირად ისეთი რამის გამოხატვა გვიწევს, რაც მანამდე არასოდეს გვითქვამს. ბუნებრივია, გარკვეული რეფლექსები ავტომატური უნდა გახდეს, მაგრამ ისინი მხოლოდ იმ თვალსაზრისითაა გამოსადეგი, რომ საშუალებას იძლევა სპონტანურად და შემოქმედებითად მივუდგეთ კომუნიკაციას.

ბევრი აქტივობა ზეპირი გამოხატვის შესასწავლად კონცენტრირებას სწორედ ამ ავტომატურ რეფლექსებზე ახდენს. ამის მაგალითია სავარჯიშოების ერთგვარი ტიპი, რომელსაც „სტრუქტურულ დრილებს“ უწოდებენ. ერთ-ერთი მათგანი ქვემოთაა მოყვანილი:

ჩასვით მოცემული წინადადებები პრეტერიტში:
მაგალითად: I (swim) in the sea _ I swam in the sea
მე (ცურვა) ზღვაში – მე ვიცურავე ზღვაში
He (eat) an apple – ის (ჭამა) ვაშლს
They (talk) to the girls. ისინი (საუბარი) გოგონებს.
You (work) In the office. თქვენ (მუშაობა) ოფისში.

არსებობს მრავალი მსგავსი სახის სავარჯიშო, რაც დაგეხმარებათ გრამატიკულად სწორი წინადადებების (იხ. *კომპეტენციები* 6.4.7.7) და ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი ფრაზების აგებაში, რომლებიც შესაძლოა შეგხვდეთ გარკვეულ საკომუნიკაციო სიტუაციებში:

გამოიყენეთ მოცემული გამონათქვამებიდან ერთ-ერთი მიმართულების გასარკვევად:
უკაცრავად, ხომ ვერ მეტყოდით..?
უკაცრავად, ხომ ვერ დამეხმარებით? მინდა ვიცოდე..
ხომ არ იცით..?
მაგალითად, იმისთვის, რომ დაადგინოთ ჩიფენჰემში მიმავალი შემდეგი ავტობუსის გასვლის დრო, შეგიძლიათ თქვათ:
უკაცრავად, ხომ ვერ დამეხმარებით? მინდა ვიცოდე, რომელ საათზე გადის შემდეგი ავტობუსი ჩიფენჰემში?
ითხოვეთ შემდეგი სახის ინფორმაცია.
გზა თვიქენჰემისაკენ.
სად მდებარეობს ბონდის ქუჩა
როგორ მოვხვდეთ ჰაიდ პარკში

ეს გამონათქვამები მხოლოდ ინსტრუმენტებია; თქვენ უნდა შეასრულოთ ის სავარჯიშოებიც, რომლებიც რეალურ საკომუნიკაციო ამოცანებს სახავს. ასეთია, კიდევ ერთი სახის სავარჯიშო, რომელსაც ხშირად როლების გათამაშებას უწოდებენ. ეს სავარჯიშო უზრუნველყოფს გარკვეულ სცენარს, რომელიც შემდეგ უნდა გათამაშდეს. როლების გათამაშება შეიძლება იყოს ძალიან მოკლე:

თქვენი თანამოსაუბრე: საწყენია, რომ შაბათს წვეულებაზე არ მოხვედით.
თქვენ: (უთხარით, რომ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეთ)

ან ძალიან გრძელი:

თქვენი თანამოსაუბრე: საწყენია, რომ შაბათს წვეულებაზე არ მოხვედით.
თქვენ: (უთხარით, რომ ვერ შესძელით).
თქვენი თანამოსაუბრე: ოჰ, რა სამარცხვინოა!
თქვენ: (უთხარით, რომ მანქანა გაგიფუჭდათ)

თქვენი თანამოსაუბრე: იმედია, სერიოზული არაფერია!
 თქვენ: (უთხარით, რაშიც მდგომარეობდა პრობლემა და რომ ის გადაჭრილია).
 თვენი თანამოსაუბრე: ჩემთვის უნდა დაგერეკათ!
 თქვენ: (უთხარით, რომ არ მოგაფიქრდათ და მადლობა გადაუხადეთ თქვენ თანამოსაუბრეს)
 თქვენი თანამოსაუბრე: მშვენიერი წვეულება იყო!
 თქვენ: (უთხარით, რომ საწყენია, რომ ვერ მიხვედით)
 თქვენი თანამოსაუბრე: იქნებ, შემდეგ ჯერზე მაინც მოხვიდეთ!
 თქვენ: (დასთანხმდით ამ შემოთავაზებას და მადლობა გადაუხადეთ თქვენს თანამოსაუბრეს)

ამ აქტივობების უპირატესობა ის არის, რომ გამოთქმების ორგანიზებას თქვენ განდობთ. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი როლების გათამაშებაში, თქვენ კვლავ გიწევთ პრეტერიტის გამოყენება, მაგრამ ამჯერად მას იყენებთ იმის სათქმელად, რაც გინდათ. სტრუქტურული დრილების შემთხვევაში კი, სათქმელის მანიპულირება ხდება კონტექსტის მიერ.

ზოგიერთი დავალება, სხვებთან შედარებით, უფრო ადვილია. გაცილებით ადვილია გამზადებული დიალოგის გამეორება, ვიდრე საუბარი რაიმე თემაზე წინასწარი მომზადების გარეშე, მაშინაც კი, როცა საუბარი ერთი წუთი გრძელდება და მისი თემა თქვენთვის საკმაოდ ნაცნობია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ორივე ტიპის სავარჯიშო თავისებურად გამოსადეგია. აქაც, ყველაფერი თქვენს მიერ დასახულ მიზანზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ გინდათ ინტონაციის გაუმჯობესება, უფრო პროდუქტიული იქნება მზა ტექსტთან მუშაობა, რომელსაც ჩაწერილი ნიმუშიც მოეპოვება.

აგრეთვე, გახსოვდეთ ის, რაც მე-3 ნაწილში აღვნიშნეთ: თქვენ დაგჭირდებათ გამოთქმების მოძიება მათი შემდგომი შესწავლის მიზნით. მათი მოძიებისა და თავმოყრის შემდეგ, გამოსატყაზე სულ უფრო ნაკლები სისტემატურობით იმუშავებთ (იხ. ზემოთ). თუმცა, დავალებების ზოგიერთი ტიპი, სისტემურ მუშაობას მოითხოვს (მაგალითად, სტრუქტურული დრილები) და ზოგიერთი ბევრად ფლექსიურია (როგორცაა როლების გათამაშება).

გამოსატყვის აქტივობაზე ან სავარჯიშოზე მუშაობის დაწყებამდე, *კომპეტენციების* მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ თავს:

- თუ რომელ სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობის საშუალებას იძლევა აღნიშნული სავარჯიშო;
- თუ რამდენად შეესაბამება ეს საკითხები მათ მიზნებს;
- თუ რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული სავარჯიშო „გამოსატყვის თავისებურებას“
- აქვთ თუ არა გამოთქმების არჩევანი;
- არის თუ არა აღნიშნული აქტივობა გამოყენებული საკომუნიკაციო სიტუაციაში;
- არის თუ არა მათ მიერ ასაგები წინადადებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი.

თქვენ გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობთ სათქმელის დამოუკიდებლად შერჩევისას. ამიტომაც, უნდა ელაპარაკოთ საკუთარ თავს. წარმოიდგინეთ, რომ ესაუბრებით თქვენ მიერვე შერჩეულ ადამიანებს. სპორტის ოსტატები, რომელთაც ხშირად ვადევნებთ თვალყურს სატელევიზიო ეთერის მეშვეობით, მიმართავენ მოძრაობების მენტალურ სიმულირებას (მოთხილამურეები წარმოიდგენენ, რომ სლალომით ეშვებიან ფერდობზე, სიმაღლეზე მსტომელები გონებრივად ვარჯიშობენ გარბენზე და ა. შ.). ასეთი პრაქტიკა ძალზე სასარგებლოა – წარმოიდგენთ რა, რომ საუბრობთ, რეალურად აცნობიერებთ, რის თქმა შეგიძლიათ და რის – არა. ეს, თავის მხრივ, დაგეხმარებათ სამომავლოდ მუშაობისას სწორი არჩევანის გაკეთებაში. უფრო მეტიც, ამ „აქტივობას“ უდიდესი უპირატესობა აქვს იმ მხრივაც, რომ მისი შესრულება შესაძლებელია ყველგან: საცობებში, სტომატოლოგის მოსაცდელ ოთახში და ა. შ.

განვრცობისათვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები: თავს გადამხდარი პატარა ინციდენტები, საგზაო მოძრაობის ნიშნები და რეკლამები, აგრეთვე, საგაზეთო სტატიები – ყველა მათგანს შეუძლია თქვენი უზრუნველყოფა „ნებისმიერი სათქმელი“.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ თავს:

- თუ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებიდან, რომელი შესძლებდა სასაუბრო თემებით უზრუნველყოფას?
- შესძლებდნენ თუ არა ამ თემებზე საუბარს უცხო ენაზე?
- სურთ თუ არა სცადონ?

სავარჯიშოების შესრულება

როგორც გაგებაზე დავალებების შემთხვევაში, ისე აქაც, მნიშვნელოვანია მოსამზადებელი სამუშაო, რაც წინ უძღვის თვით დავალების შესრულებას. რომელ გამოთქმებზე გსურთ მუშაობა? გჭირდებათ თუ არა რომელიმე გრამატიკული წესის ან კონკრეტული სიტყვების გამოთქმის გადახედვა მოსამზადებელ ეტაპზე? გჭირდებათ თუ არა სათქმელის წინასწარ განჭვრეტა, ცალკეული სიტყვების მნიშვნელობების ლექსიკონში მოძიება, ან ვინმესგან გაგება, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ მოცემული სათქმელი? კვლავ შეგახსენებთ, რომ ზოგიერთი დავალების შემთხვევაში, ძალზე დაგესმარებათ პასუხების ფურცლის გადახედვა სავარჯიშოს შესრულებამდე; როცა იცით, რა უნდა გააკეთოთ, უკეთესად გამოვლით, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაიმეს სწავლობთ და არა არკვევთ. სწავლისას მნიშვნელოვანია სავარჯიშოების შესრულება და მათი გამეორება, მაგრამ არა ნებისმიერი სახით. ხელმეორედ დაწყებად შეაფასეთ უკვე გაკეთებული. სავარჯიშოს პირველად შესრულებამდეც ხომ მონიშნეთ საკითხები მათზე შემდგომი კონცენტრირების მიზნით.

როლების გათამაშებისას თუ, მაგალითად გინდათ ივარჯიშოთ პრეტერიტის გამოყენებაზე, სწორედ ამ საკითხზე მოახდენთ კონცენტრირებას სავარჯიშოს პირველად შესრულებისას და მისი ხელმეორედ შესრულებისათვის მზადების პროცესში. უკვე შესრულებული სამუშაოს შესრულება რომ შესძლოთ, ცხადია საჭიროა გარკვეული აღრიცხვა. საამისოდ მრავალნაირი გზა არსებობს: მაგალითად, „შავი“ ჩანაწერების კეთება ან სხვა შემსწავლელისათვის თხოვნა, რომ მან ჩაინიშნოს თქვენი ნათქვამი. მაგრამ ალბათ ყველაზე უკეთესი იქნება საკუთარი თავის ჩაწერა მაშინაც კი, როცა მუშაობას იწყებთ და ოდნავ გეშინიათ. მხოლოდ ჩანაწერი მოგცემთ საშუალებას, სრულად, სალაპარაკო ფორმით მოისმინოთ საკუთარი ნათქვამი. როლების ხელმეორედ გათამაშება, როცა უკვე პირველი მცდელობა დამთავრებულია და მასში სათანადო კორექტივებიცაა შეტანილი, დაგესმარებათ პროცესის უფრო ავტომატურად წარმართვაში. თანაც, გამეორებაზე ვარჯიშების მიერ ხელოვნურად ავტომატიზებულ რეფლექსებთან შედარებით, ეს პროცესი უფრო ღირებულია.

დავალების გამეორება არ გულისხმობს იმას, რომ მეორე ჯერზეც ზუსტად იგივე უნდა გაკეთდეს. მაგალითად, როლების გათამაშებისას შესაძლებელია კონტექსტის ასპექტების შეცვლა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ სხვა ადამიანს ესაუბრებით, რომ საუბრობთ უფრო დაწვრილებით ან ცდილობთ ნაკლებად ფორმალური იყოთ. ასევე, შეგიძლიათ ისაუბროთ უფრო მოდუნებულად ან სწრაფად, ნაკლები ენამჭევრობით ან ნაკლები ორჭოფობით.

შეგიძლიათ შეცვალოთ სამუშაო მეთოდიც: მეორე ჯერზე სათქმელს წინასწარ ნუ მოამზადებთ ან მოამზადებთ მხოლოდ მისი მონახაზი.

დაბოლოს, სავარჯიშოს გამეორება საკუთარი თავის გამოცდასაც გულისხმობს. ჰკითხეთ საკუთარ თავს: „ვიცი ეს როგორ კეთდება? როგორ გამომივა?“ ამ შემთხვევაში საჭიროა რაც შეიძლება რეალურ პირობებში მუშაობა. სწორედ ამ დროს უნდა გადაწყვიტოთ, მისცემთ თუ არა საკუთარ თავს წინასწარი მომზადების ან შეცდომების დაშვების უფლებას.

ზეპირ გამოხატვაზე ვარჯიშის დაწყებამდე, *კომპეტენციების* მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

– საჭიროა თუ არა სავარჯიშოსათვის მომზადება ლექსიკური ან გრამატიკული საკითხების, თვითგამოხატვის ცალკეული გზების შესწავლით ან გამეორებით;

– თუ როგორ აპირებენ სავარჯიშოს შესრულებას: დაწყებამდე პასუხების ფურცლის გადახედვით, „შავი“ ჩანაწერებით თუ საკუთარი თავის ჩაწერით.

– თუ რამდენჯერ გაიმეორებენ სავარჯიშოს და რა სახის დახმარების გამოყენების უფლებას მისცემენ საკუთარ თავს.

ნაწილი 5 – შეფასება (იხ. *კომპეტენციები* თავი 3, ცხრილი 2 / 4, სკალები / 5, სკალები / 19

შეფასება უცხო ენის დაუფლების განუყოფელი ნაწილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში უნდა ხდებოდეს განვლილი ეტაპების შეფასება (ძირითადად სხვა ადამიანის მიერ), მითუმეტეს, თუ შემსწავლელი ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო ნაბიჯის გადადგმისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ მე-3 ნაწილში, შეცდომები არსებით როლს ასრულებს აღნიშნულ პროცესში: მოსაზრება, რომ კარგი მოსწავლე არასოდეს უშვებს შეცდომებს, საფუძველშივე მცდარია. კარგი შემსწავლელი ამბობს, თუ რის კეთება არ ძალუძს მოცემულ მომენტში. იგი მიმართავს შეფასებას პროგრესირებისათვის და იმის გასარკვევად, რაც ჯერ კიდევ შესასწავლი აქვს. ასე, რომ თვითშეფასება არ არის მხოლოდ საკუთარი შეცდომების დანახვა და კორექტირება, რასაც რეგულარული მონიტორინგის სახე აქვს უკვე ნასწავლთან მიმართებაში. თუმცა, შეფასება არც ის აქტიუობაა, რომელიც შემსწავლელის კონტროლს მიღმა რჩება: მუდმივი მონიტორინგის წარმოება მხოლოდ შემსწავლელთა გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული:

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

– შეაფასეს თუ არა საკუთარი მუშაობა მასწავლებლის შეფასებისაგან განსხვავებულად;

– თუ რა განსხვავებები დაინახეს;

– უკვე მიაკვლიეს თუ არა საკუთარი შეცდომების იდენტიფიცირების სტრატეგიებს და თუ ეს ასეა, რა სახისაა სტრატეგიები.

– იყენებენ თუ არა მათ მუშაობის პროცესში, თუ მხოლოდ სავარჯიშოს დასრულების შემდეგ.

– ხშირად უშვებდნენ თუ არა ერთსა და იმავე შეცდომებს და რას გააკეთებდნენ მათი აღმოფხვრისათვის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეფასება ის პასუხისმგებლობა არ არის, რომელიც შეიძლება სხვას დაეკისროს. შეფასება, რომელიც არსებითია სწავლისა და დაუფლებისათვის, აუცილებლად პერსონალური და ინდივიდუალურია. ამიტომაც მას ხშირად თვითშეფასებას უწოდებენ: იგი უნდა განახორციელოს ადამიანმა, რომელიც სწავლობს (იხ. *კომპეტენციები* 9.3.1.3.). როცა შემსწავლელები აფასებენ საკუთარი მუშაობის შედეგებს, ისინი გულწრფელები არიან, რადგან მხოლოდ მათ გააჩნიათ შედეგების სწორად გაანალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. მაგალითად, თქვენ შემთხვევაში, მხოლოდ თქვენ იცით რა მიზნები და მოთხოვნები გაქვთ (იხ. *კომპეტენციები* 9.2. / 9.3)

თვითშეფასება რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რომ თქვენ შესძლოთ ადებული კურსის შეცვლა, თუკი ნახავთ, რომ ის, რასაც აკეთებთ, არ შეესაბამება იმას, რის გაკეთებასაც ფიქრობდით. იგი საშუალებას გაძლევთ, მუშაობის კვალდაკვალ თა-

ვიდან განსაზღვროთ და ჩამოაყალიბოთ საკუთარი მიზნები. სწავლა არ არის რაიმე გზის ბრმად მიყოლა; სწორედ თვითშეფასება უზრუნველყოფს იმ ინფორმაციას, რომელიც საშუალებას გაძლევთ აღებული კურსი არეგულიროთ თქვენი მიზნების, მოთხოვნების, სურვილების და ა. შ. ცვლილებების მიხედვით.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ თავს:

- თუ რა მიზნები ამოძრავებთ უცხო ენების შესწავლისას და როგორ სიტუაციებში აპირებენ მათ გამოყენებას (იხ. განყოფილება I, „მოთხოვნათა ანალიზი“);
- თუ როგორ გამოიყენებენ ამ კითხვებზე პასუხებს თვითშეფასებისათვის სათანადო ტექნიკისა და თემების შესარჩევად.

როგორც ვნახეთ, დაუფლება გულისხმობს თვითშეფასებას. მაგრამ თვითშეფასების გარდა, რომელიც შინაგანი და პიროვნულია, შეიძლება არსებობდეს შეფასების სხვა სახეებიც. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია სერტიფიცირება, როგორცაა მოცემული მომენტისათვის ისეთი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული შეფასება, რომელიც დაკავშირებული არ არის შემსწავლელთან. სერტიფიცირება, ჩვეულებრივ გამოცდის შედეგია. თუ უცხო ენის შესწავლისას თქვენი მიზანია გამოცდის ჩაბარება, უნდა გაითვალისწინოთ, რას მოიცავს იგი (სავარჯიშოს ტიპები, უნარები, რომლებიც უნდა გამოიცადოს, გამომცდელის მოლოდინები და ა.შ). სამუშაო მიზნების შერჩევისას, თვითშეფასება განახორციელებთ იმისათვისაც, რომ გაარკვიოთ, თუ რამდენად ახერხებთ საგამოცდო ცენზების დაკმაყოფილებას. (იხ. *კომპეტენციები* 8.3 / 8.4)

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ თავს:

- სურთ თუ არა გამოცდის ჩაბარება, და თუ ეს ასეა, როგორი სახისაა სიღაბუსი?

ნუ იფიქრებთ, რომ თვითშეფასება არის უბრალოდ ისეთი გამოცდის მოწყობა საკუთარი თავისათვის, როგორსაც ორგანიზებას უკეთებენ ინსტიტუტები და მასწავლებლები. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რადგან შემსწავლელს სურს იცოდეს, რამდენად კარგად სწავლობს და არა მხოლოდ ის, თუ რას დაეუფლა. „უკეთესად ვსწავლობ?“ და „რა ვისწავლე?. სულაც არ არის ერთი და იგივე კითხვა. მოცულობა და დონე ერთმანეთში არ უნდა გვერედეს.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხოთ თავს:

- პროგრესირებენ თუ არა სწავლის უნარის თვალსაზრისით;
- ისინი, როგორც შემსწავლელები, ხდებიან თუ არა უფრო კვალიფიციურები ენის ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით.

როგორ შევაფასოთ საკუთარი სამუშაო მეთოდები და შედეგები? უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ შეძლებისდაგვარად განსხვავებული ტექნიკა და კრიტერიუმები. არ არსებობს ტესტი, რომელიც ერთდროულად შეაფასებს გამოთქმას, ლექსიკურ მარაგს, გრამატიკას, საკომუნიკაციო პრაქტიკას, გაგებას, გამოხატვას, წერას, მეტყველებას და ა. შ.

მეორე, უნდა შეგვეძლოს სხვადასხვა ასპექტების განცალკევება. კონკრეტულად რა უნდა შეფასდეს? როგორ გამოიყენება ცალკეული სტრუქტურული წესები, მაგალითად, როგორ ავარგოთ გრამატიკული წინადადება „დო“ დამხმარე ზმნის გამოყენებით? ან როგორ გამოვიყენოთ ცალკეული წესები სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციებში, როგორცაა: უცნობთან მისაღმება, მეგობრისათვის პირობის მიცემა, მაღაზიაში შევაჭრება, ხუმრობა, თავაზიანობის გამოჩენა, გაღიზიანება და ა. შ. იმის შერჩევა, რაც უნდა შეფასდეს, ვაკუუმში არ ხდება: ეს უნდა ეფუძნებოდეს დასახულ მიზნებს. მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რამდენად ადეკვატურად ვიყენებთ მოცემულ ენას სიტუაციასთან, საკუთარ მიზნებთან და სოციალურ ურთიერთობასთან მიმართებაში. აზრი არ აქვს ცხოველების სახელების ჩამონათვალის სწავლას ან საჯარო ლექციისათვის მზადებას, თუ ასეთი ცოდნა რეალურად არ გვჭირდება.

დასკვნა: სწავლაში საუკეთესო შეფასება თვითშეფასებაა.

ნაწილი 6 – სწავლის სახესხვაობანი (იხ. კომპეტენციები 6.1 / 7.3.3.1)

ყველა ერთნაირად არ სწავლობს. არსებობენ ადამიანები, რომელთაც მოსწონთ ზოგადად მიმოხილვა დეტალებში ჩაძიებამდე და ადამიანები, რომელთაც მოსწონთ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა. ზოგიერთს წესები მოსწონს და ზოგიერთს მაგალითები ურჩევნია. ზოგიერთი რისკის მოყვარულია და ზოგიერთი ამჯობინებს მის თავიდან აცილებას. ადამიანების ერთი კატეგორია უპირატესობას ანიჭებს მაღალორგანიზებულ კურსს ზედმიწევნითი სტრუქტურის მქონე სილაბუსით, სხვებს იმპროვიზაცია, დავალებისა და თემის ხშირი შეცვლა მოსწონთ. რა თქმა უნდა, არიან ისეთი ადამიანებიც, (ალბათ, უმრავლესობა), რომლებიც ყველაფერს აკეთებენ სხვადასხვა დროს, განწყობის მიხედვით, – იმისდა მიხედვით, თავს დაღლილად გრძნობენ თუ არა, აგრეთვე, გამოცდილების, მოცემული დავალების ტიპის, საკუთარი რესურსებისა და მიზნების მიხედვით. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ უცხო ენის შესწავლისადმი არსებული მიდგომები და სწავლის სახესხვაობანი ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

იდეალური სახესხვაობა არ არსებობს: ძალიან ბევრი ადამიანი ახერხებს უცხო ენების შესწავლას მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთნაირად არ სწავლობენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მეტი განსხვავებული მიდგომა არსებობს, მით უფრო დიდია ალბათობა, გამოიძებნოს ისეთი, რომელიც რაიმე კონკრეტული მიზნის აღეკვეტური იქნება.

ენის სწავლისათვის თავის წარმატებით გართმევისათვის, საჭიროა ვიცოდეთ, რა შეგვეფერება (სწავლის ის ნაირსახეობანი, რომელსაც ვამჯობინებთ) და რა სახის მიდგომები არსებობს. ასე რომ, მიზანი ორია: მოვახდინოთ ჩვენთვის შესაფერის ნაირსახეობების იდენტიფიცირება და გავზარდოთ იმ ნაირსახეობათა ხელმისაწვდომობა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება დაგვჭირდეს. როცა ვახდენთ იმის იდენტიფიცირებას, რასაც უპირატესობას ვანიჭებთ, თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, რა ტიპის დავალებები მოგვწონს და არ მოგვწონს. მაგრამ არ უნდა მოხდეს მხოლოდ საკუთარ დავალებებზე დაყრდნობა, რადგან შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეუთავსებლობას საკუთარ სამუშაო ჩვევებსა (ჩვევები, რომელთაც ჩვეულებრივ სკოლაში იძენენ) და პიროვნულ ტიპს შორის. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია ხელმისაწვდომი მიდგომების რაოდენობრივად გაზრდა, თუ ადამიანი არ მოსინჯავს ყველა განსხვავებული ტიპის დავალებას. ანდაზაშიც ნათქვამია: სრულყოფილება პრაქტიკას მოაქვს.

კომპეტენციების მომხმარებლებმა შეიძლება ჰკითხონ საკუთარ თავს:

- თუ როგორი დავალებები, აქტივობები და საგარჯიშოები მოსწონთ / არ მოსწონთ; (იხ. *კომპეტენციები 7.3.1.2*)
- თუ ფიქრობენ იმაზე, როგორ მუშაობენ;
- მოსწონთ თუ არა წესებისა და მაგალითების სწავლა;
- ამჯობინებენ თუ არა ერთ მომენტში ერთის სახის სამუშაოს შესრულებას;
- სურთ თუ არა ისეთი დავალებების ან აქტივობების შესრულება, რომელთაც მოსაბეზრებლად მიიხნევენ;
- ცდილობენ თუ არა ზოგადად მიმოხილვას აქტივობის ან დავალების შესრულების დაწყებამდე;
- მოსწონთ თუ არა დეტალებში ჩაძიება;
- სჩვევიათ თუ არა რამდენიმე სასწავლო სესიის წინასწარ დაგეგმვა, თუ გადაწყვეტილებას ყოველი სესიის დასაწყისში ღებულობენ;
- დამოუკიდებლად მუშაობა ურჩევნიათ, თუ გუნდურად;
- მუშაობენ უშუალოდ საკუთარი მოთხოვნების მიხედვით, თუ დროდადრო ისეთ აქტივობებსა და დავალებებსაც ასრულებენ, რომლებიც ართობთ ან აინტერესებთ;

თვითშეფასების ტექნიკის ნაირსახეობანი

1. შეგიძლიათ აირჩიოთ ის ტესტები, შეავსოთ ის კითხვარები, ა. შ. რომლებიც შემუშავებულია ამ მიზნით სხვების მიერ.

2. ტესტის სახით შეგიძლიათ აირჩიოთ ისეთი აქტივობებისა და დავალებების შესრულება, რომლებიც მომზადებულია სხვების მიერ და არ აქვს შეფასების დანიშნულება.

მაგალითი: გრამატიკულ სავარჯიშოს ასრულებთ წესებისა და მაგალითების გაუთვალისწინებლად, შემდეგ ასწორებთ საკუთარ ნაშრომს და უწერთ საკუთარ თავს ნიშანს.

3. შეგიძლიათ თავად შექმნათ ტესტი, ან მოამზადოთ დავალება, რომელსაც თვითშეფასებისათვის გამოიყენებთ, ან შეგიძლიათ ისარგებლოთ სხვა შემსწავლელის მიერ მომზადებული ტესტებითა და დავალებებით.

მაგალითები: საგანგებოდ დაფარეთ ლექსიკონის „თარგმანების“ ნაწილი.

სტატიის ან ტექსტის ქსეროასლზე სიტყვების ამოშლით მოამზადეთ ტესტი, მოგვიანებით შეასრულეთ სავარჯიშო და საკუთარი შედეგები შეადარეთ ტექსტის ორიგინალს.

უპასუხეთ მეგობრის მიერ მომზადებულ შეკითხვებს ზეპირ გაგებაზე.

4. შეგიძლიათ გაიმეოროთ ცოტა ხნის წინ შესრულებული სავარჯიშო, რომ გაარკვიოთ, ახლა უფრო გიადვილდებათ თუ გერთულებათ იგი და რა მხრივ.

5. შეგიძლიათ აწარმოთ დღიური, სადაც ჩაინიშნავთ ყველა პრობლემას, რომელსაც მუშაობისას წააწყდით (მიუხედავად იმისა, დასძლიეთ თუ არა ისინი), აგრეთვე საკუთარი მუშაობის შეფასებას, მასთან დაკავშირებულ გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს. დღიურის რეგულარული კითხვით, შეგიძლიათ დააკვირდეთ თქვენი მუშაობის პროგრესირებას.

6. შეგიძლიათ უზრუნველყოთ საუბრები იმ ადამიანებთან, ვისთვისაც ენა, რომელსაც სწავლობთ, მშობლიურია (ან გაითამაშოთ საუბრები სხვა შემსწავლელთან ერთად ან დამოუკიდებლად). აღნიშნული საუბრები ჩაიწერეთ და მოგვიანებით გადახედეთ მათ.

მაგალითები: შემსწავლელს, რომელსაც უნდა გაიუმჯობესოს გამოთქმა ან გამოხატვა, შეუძლია შეამოწმოს საუბრების ჩანაწერები, საკუთარი თავისათვის ასეთი კითხვების დასმით: „როდის მომიწია გამეორება?“, „რის გამეორება დამჭირდა?“. „ადამიანმა, რომელსაც ვესაუბრებოდი, რამდენჯერ ვერ გამიგო?“. „რა შესწორებები, კრიტიკა ან შენიშვნები მივიღე ამ ადამიანისაგან?“

7. შეგიძლიათ გაზომოთ თქვენი ენობრივი და კომუნიკაციური შესაძლებლობების რამდენიმე სპეციფიკური ასპექტი.

მაგალითები: შეგიძლიათ გამოთვალოთ, რამდენ ხანს ანდომებთ წერილობითი ტექსტის ან ჩანაწერის გაგებას.

შეგიძლიათ გამოთვალოთ, რამდენჯერ დაგჭირდათ ლექსიკონით ან თქვენი მაგნიტოფონის უკან გადასახვევი ღილაკით სარგებლობა.

შეგიძლიათ შექმნათ თქვენი საყვარელი შეცდომების სია.

8. საკუთარი ქმედების შეფასების ნაცვლად, შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი თანამოსაუბრეების პასუხები და რეაქციები: იყო ისინი სათანადო, დამაკმაყოფილებელი, გასაგები?

მაგალითები:

დავიბრუნე ჩემი ფული?

ვიპოვე ქუჩა, რომელსაც ვეძებდი?

გადამიხადეს მათ მადლობა?

გავიცანი ის?

მოვახერხე შეხვედრის დანიშვნა?

9. შეგიძლიათ საკუთარი თავი სხვა შემსწავლელს შეადაროთ ან სთხოვოთ მათ თქვენი მუშაობის შეფასება.

მაგალითები: შემსწავლელს, რომელიც ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, შეუძლია ჰკითხოს საკუთარ თავს:

ვარ მე მარი-ხოსეს დონეზე?
ვიწყებ სოფისთან გათანაბრებას?
ფილიპი მჯობნის?
რა თვალსაზრისით?
რატომ?

ჯგუფს შეუძლია ერთობლივად შეაფასოს რომელიმე წევრის ზოგადი დონე ან სპეციფიკური ძალისხმევა.

10. თვითდამკვიდრება: შეგიძლიათ საკუთარ თავს კითხვები დაუსვათ თქვენი მუშაობის ან ქმედებების სხვადასხვა ემოციურ და ფიზიკურ ასპექტზე.

მაგალითები:

უწინდებურად ვნერვიულობ ტელეფონით საუბრისას?

გგრძნობ თუ არა, რომ ახლა უფრო ადვილად ესმით ჩემი?

უფრო ხშირად ვთარგმნი მშობლიური ენიდან?

რატომ მიადვილდება ფრანგულად უკეთესად საუბარი ჯინთან და არა მარისთან?

თავი III

შონ დევიტი გზამკვლევი მასწავლებლებისა და შემსწავლელებისათვის

ამ ეტაპზე გზამკვლევს აქცენტი გადააქვს საკლასო ოთახში მომუშავე მასწავლებლებსა და შემსწავლელებზე. ეს ადამიანები ხომ ენის შესწავლის პროცესის მთავარი მონაწილეები არიან. გადავწყვიტეთ, ეს ნაწილი ორივე ჯგუფისათვის მოგვემზადებინა. ძირითადი მიზანი არის მასწავლებელთა უზრუნველყოფა წინადადებით, თუ როგორ მიაწოდონ *კომპეტენციების* მოსაზრებები შემსწავლელებს.

ფაქტიურად, მთელი გზამკვლევი გათვლილია საკლასო ოთახში მოღვაწე მასწავლებლებსა და მათ ტრენერებზე. მოიაზრება ნებისმიერი კატეგორიის მასწავლებელი ყველანაირი სახის პირობებში, მრავალგვარი შეზღუდვების ფარგლებში და ასევე განსხვავებული მიზნებით. გზამკვლევი შეტანილი კითხვებისა და დავალებების დახმარებით შესაძლებელია იმ სისტემებში არსებული პრობლემური მხარეების იდენტიფიცირება, რომლებშიც მასწავლებლები მოღვაწეობენ, ეს მათ რეფორმისათვის რეპრეზენტაციების საშუალებას მისცემს. მასწავლებლებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელი ნაწილებია მათთვის მართებული და რომელი კითხვები და დავალებებია ადეკვატური.

დასაშვებია, რომ ბევრმა მასწავლებელმა დრო ვერ გამოიხატოს *კომპეტენციების* წასაკითხად ან ის ზედმეტად კომპლექსურად მიიჩნიოს. არც ის არის გამორიცხული, რომ მათ უბრალოდ არ ჰქონდეთ დრო იმაზე ფიქრისათვის, თუ როგორ ასწავლიან ენას, რას აკეთებენ, რისთვის ან რატომ აკეთებენ ამას. ამ მხრივ გზამკვლევი შეასრულებს *vademecum*-ის ფუნქციას. ეს ნაწილი სპეციალურად შეიქმნა იმ მიზნით, რომ სტიმული მისცეს და დაეხმაროს მასწავლებლებს, რათა ისინი უფრო მეტად დაფიქრდნენ, რას აკეთებენ და შესაბამისად ჩამოაყალიბონ საკუთარი ამოცანები სათანადო მეთოდებით და შეფასებით. აგრეთვე, ამ ნაწილის მიზანია შეძლებისდაგვარად შეარბილოს *კომპეტენციების* აშკარა კომპლექსურობა, რამდენიმე ძირითადი ასპექტით დავალებებისა და შეკითხვების უზრუნველყოფით. ეს დაეხმარება მასწავლებლებს ენის გამოყენების ისეთი კომპონენტების / ასპექტების წინასწარ დადგენაში, რომლებიც ძირითად დოკუმენტშია განხილული. ამის შემდეგ ისინი უკეთ შესძლებენ მსჯელობას აღნიშნულ საკითხებზე შემსწავლელებთან ერთად.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ენის შემსწავლელს დრო ან შესაძლებლობა ჰქონდეს *კომპეტენციების* წასაკითხად; თანაც, ბევრი რამ მათთვის, ალბათ, ძალზე რთული და ტექნიკური იქნება. ამის გათვალისწინებით შეიქმნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული სამუშაო ფურცლების კრებული, რომელიც ამ ნაწილის ბოლოსაა განთავსებული. იგი ეხება როგორც შემსწავლელთა პირველ ენას, ისე იმ ენას / ენებს, რომელთაც მათ სკოლაში ასწავლიან. სამუშაო ფურცლების დანიშნულებაა, საშუალება მისცეს მასწავლებლებს დაეხმარონ შემსწავლელებს, რომ მათ იცოდნენ, თუ რას აკეთებენ საკუთარი ენის გამოყენებისას. შესაბამისად, ისინი უფრო გათვითცნობიერებულნი იქნებიან იმ საკითხებში, რასაც მოიცავს უცხო ენის შესწავლა. ენასა და ენის გამოყენებაში გათვითცნობიერება განსაკუთრებით ხაზგასმულია *კომპეტენციებში*, როგორც ადამიანის ზოგადი განვითარების ერთ-ერთი მხარე. ეს ნაწილი შედგება რამდენიმე ქვედანაყოფისაგან, რომლებიც შეგვიძლია „ერთეულებად“ განვიხილოთ. აქ მოცემულია *კომპეტენციებში* განხილული საკითხების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა². ყოველი „ერთეული“ იწყება *კომპეტენციების* შესაბამის თავზე (თავებზე) მსჯელობით, რასაც მოჰყვება, *კომპეტენციების* ტერმინების გამოყენებით, საკუთარი ენის დეტალური ანალიზი. შემდეგ მოცემულია იმავე საკითხების ანალიზი მეორე ან უცხო ენასთან მიმართებაში.

აღნიშნული თავი დანარჩენებისაგან იმით გამოირჩევა, რომ შეკითხვებთან ერთად მოწოდებულია დავალებები, განხილულ საკითხებზე უფრო ღრმად დაფიქრების მიზნით. მკითხველს შეუძლია მისთვის შესაფერის / დამხმარე დავალებების შესრულების შემდეგ, გადახედოს *კომპეტენციების* შესაბამის თავს და უპასუხოს მის ბოლოს დასმულ შეკითხვებს. გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია დროის გამონახვაც, აღნიშნულ საკითხებზე შემსწავლელებთან ერთად მსჯელობისათვის, სამუშაო ფურცლების გამოყენებით. თუ ამ პროცესის შედეგად, მასწავლებლები და შემსწავლელები გადაწყვეტენ გადახედონ საკუთარ შეხედულებებს ენის შესწავლასა და სწავლებაზე, ისევე, როგორც საკუთარ მიდგომას ამ საკითხისადმი, მაშინ გზამკვლევის ამ თავის მიერ დასმული ამოცანა შესრულებული იქნება.

ნაწილი 1 – კომუნიკაციის ასპექტები (*კომპეტენციები 4, პუნქტები 4.1-4.4*)

კომპეტენციების მე-4 თავი ეხება ენის გამოყენებასა და ენის მომხმარებელს / შემსწავლელს. ეს „ერთეული“ მოიცავს აღნიშნული თავის ოთხ პუნქტს: ენის გამოყენების კონტექსტი, საკომუნიკაციო თემები, საკომუნიკაციო დავალებები და მიზნები, საკომუნიკაციო ენის აქტივობები და სტრატეგიები.³

სიტყვა „კომუნიკაცია“ ორი ნაწილისაგან შედგება: „კომ“ ნიშნავს „ერთად“, „უნი“ – „ერთი“ ასე, რომ კომუნიკაციაში ჩვეულებრივ ჩართულია სულ მცირე ორი ადამიანი – მე და სხვა, რომელთაც ერთი სივრცე გვაერთიანებს. ბუნებრივია, ჩვენ წარმოვიდგენთ იმ კომუნიკაციის ძირითად კომპონენტებს, რომელშიც ვმონაწილეობთ; იგივე ითქმის მეორე მხარეზე, – ადამიანზე / ადამიანებზე, ვისთანაც კომუნიკაციას ვამყარებთ, მათ თანამოსაუბრეები ეწოდებათ. დიდი მნიშვნელობა აქვს გამაერთიანებელ სივრცესაც; ორივე პარტნიორი ერთ ტალღაზე უნდა იმყოფებოდეს. ასე, რომ მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმას, თუ ვინ არიან პარტნიორები, არამედ თითოეული მათგანის ფიქრებს, გრძნობებს და ა. შ. კომუნიკაციის მომენტში.

მე-4 თავის 4.1 პუნქტი დეტალურად განიხილავს ყველა იმ **კონტექსტს**, რომელშიც ადგილი აქვს კომუნიკაციას. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ სად ხდება კომუნიკაცია და ვინ მონაწილეობს მასში. საერთოდ, მიგვაჩნია, რომ სიტუაციები ასოცირდება კონკრეტულ ადგილებთან, როგორცაა: სახლი, სკოლა, ბანკი, ფოსტა და ა. შ. თუმცა, შესაძლებელია მათი დაჯგუფება უფრო ფართო გაგებითაც – კერძო, საჯარო, სამუშაო, საგანმანათლებლო და ა. შ. თითოეულ მათგანში მოიაზრება სხვადასხვა ინსტიტუტები, მაგალითად, ოჯახი კერძო გაგებით, სკოლის ადმინისტრაცია საგანმანათლებლო სფეროში. ყოველი სფერო თუ ინსტიტუტი აერთიანებს სხვადასხვა ადამიანებსა და საგნებს (მაგალითად, სკოლაში – მასწავლებლები, კლასელები, მეორე მხრივ, წიგნები, სასკოლო ავეჯი და ა.შ.). ჩვენ ამ ყველაფერს ვაცნობიერებთ, მაგრამ შეიძლება ვერ ვაცნობიერებდეთ იმას, რომ ჩვენს მიერ **გამოყენებადი ენის** ცალკეული კრიტიკული ელემენტები **მნიშვნელოვნად იცვლება** იმისდა მიხედვით, თუ სად ხდება კომუნიკაცია და ვინ მონაწილეობს მასში.

კომუნიკაციის მეორე ასპექტი არის **თემა**. *კომპეტენციების* 4.2 პუნქტი იყენებს მაგალითს (აღებულია *ზღვრული დონე 1990-*დან), რომ გვიჩვენოს, თუ როგორ შეიძლება საკომუნიკაციო აქტების თემების კლასიფიცირება. პიროვნულ ჭრილში შეიძლება არსებობდეს შემდეგი თემები: თვითიდენტიფიკაცია, სახლი, გარემო, ყოველდღიური ცხოვრება, თავისუფალი დრო და გართობა, მოგზაურობა და ა. შ. თემა თავისუფალ დროსა და გართობაზე შედგება სამი ქვეთემისაგან, რომლებიც ეხება დასვენებას, გატაცებებსა და ინტერესებს, რადიოსა და ტელევიზიას, კინოს, თეატრს, სპორტს და ა. შ. სპორტი შეიძლება დაიყოს საასპარეზო ადგილების, მონაწილე ადამიანების, კონკრეტული მოვლენებისა და ქმედებების მიხედვით, როგორცაა: თამაში, ყურება და ა. შ. კომუნიკაციის კიდევ ერთი ასპექტია **დავალებები** და ის მიზნები, რომლებიც ამოძრავებს კომუნიკაციაში მონაწილე თითოეულ პარტნიორს. თითქმის შეუძლებელია ყველა იმ

შესაძლო დავალებათა ჩამოთვლა, რომლებიც სრულდება ენის გამოყენებისას. *კომპეტენციების* 4.3 პუნქტში მოყვანილია ორი მაგალითი (აღებულია კვლავ *ზღვრული დონე 1990*-დან). პირველი ეხება სამუშაო სფეროს, მეორე – პიროვნულს. ეს ორი მაგალითი, სავარაუდოდ, საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას დავალებებისა და მიზნების მნიშვნელობაზე. სამუშაო სფერო: „როგორც დროებითმა რეზიდენტებმა, შემსწავლელებმა უნდა შესძლონ სამუშაო ნებართვის მოპოვება, ა. შ... უნდა გაერკვნენ დასაქმების ტიპში, ხელმისაწვდომობასა და პირობებში..., უნდა გაეცნონ განცხადებებს დასაქმებაზე, შეადგინონ სააპლიკაციო წერილი და დაესწრონ გასაუბრებებს...“

პიროვნული სფერო: „შემსწავლელებს შეუძლიათ დაასახელონ საკუთარი ვინაობა, დამარცვლონ საკუთარი სახელი, დაასახელონ საკუთარი მისამართი, გასცენ საკუთარი ტელეფონის ნომერი, განაცხადონ სად და როდის დაიბადნენ, რა ასაკის არიან... რა ეროვნების, საიდან არიან წარმოშობით... დაახასიათონ საკუთარი ოჯახი... თქვან, რა მოსწონთ და რა არა...“

კომუნიკაციის ბოლო ასპექტი, რომელსაც განიხილავს ეს „*ერთეული*“, არის **საკომუნიკაციო ენის აქტივობები**. ისინი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა ადამიანი ჩაბმული საკომუნიკაციო აქტში: აგებს საკუთარ ტექსტს (მეტყველება ან წერა), იღებს მას უცვლელად (მოსმენა ან კითხვა), ინტერაქციაშია სხვა ადამიანთან ან ვინმეს გადასცემს შეტყობინებას.

1. 1. კომუნიკაციის ასპექტები: საკუთარი ენა

ვინ, ვისთან და სად? (მონაწილეები და სიტუაცია)

კომუნიკაცია დამოკიდებულია მონაწილე ადამიანებსა და მათ ადგილსა-მყოფელზე. ენის გამოყენება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ ვინ ვართ ჩვენ, ვინ არის ის ადამიანი, რომელთანაც გვაქვს კომუნიკაცია და სად ხდება იგი. ყველა ჩამოთვლილ ასპექტს თავისებური სხვაობა შეაქვს ჩვენს მიერ გამოყენებად ენაში. ამ სხვაობათა დასახაზად, შეგვიძლია დაფიქრდეთ მაგალითად, ენაზე, რომელსაც შემდეგ ორ გარემოებაში გამოვიყენებდით: ა) პერსონალის შესაკრებ ოთახში კოლეგასთან ჭორაობა; ბ) სიტყვით გამოსვლა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების წინაშე მას შემდეგ, რაც სკოლის საფეხურთო გუნდმა მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო.

დავალება 1 ა: როგორ იცვლება ენა იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვისთან და სად ამყარებს კომუნიკაციას (მონაწილეები, სიტუაცია)

ჩამოწერეთ სულ მცირე ათი **ადამიანის** სია⁴ რომლებთან ურთიერთობაშიც გამოიყენეთ ენა დღეს (ან გუშინ). სხვადასხვა ფერით აღნიშნეთ ათივე მათგანის სახელი იმისდა მიხედვით, ენის განსხვავებული თუ იგივე ტიპი გამოიყენეთ მათთან ურთიერთობაში. რა განსხვავებებს ჰქონდა ადგილი ენის გამოყენებაში ადამიანთა თითოეულ კატეგორიასთან მიმართებაში?

ჩამოწერეთ სულ მცირე ათი **ადგილის** სახელწოდება, სადაც დღეს (ან გუშინ) გამოიყენეთ ენა. სხვადასხვანაირად შეაფერადეთ ათივე მათგანი იმისდა მიხედვით, ენის განსხვავებული თუ იგივე ტიპი გამოიყენეთ. რა განსხვავებები აღინიშნა ენაში სხვადასხვა ადგილებთან მიმართებაში?

ჩამოწერეთ სულ მცირე ხუთი **როლის** დასახელება, რომელთა განსახიერებაც დაგჭირდათ ენის გამოყენებისას დღეს (ან გუშინ) (მაგალითად, მასწავლებელი, კლიენტი, კოლეგა და ა.შ). სხვადასხვა ფერით აღნიშნეთ ჩამოთვლილი როლების დასახელებები იმისდა მიხედვით, ენის განსხვავებული თუ იგივე ტიპი გამოიყენეთ. რა განსხვავებებს ჰქონდა ადგილი თქვენს მიერ გამოყენებულ ენაში სხვადასხვა როლების მიხედვით?

**რის შესახებ? (საკომუნიკაციო თემები) რის გასაკეთებლად? რატომ?
(დავალებები და მიზნები)**

კომუნიკაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რის გარშემოც იგება თვით კომუნიკაცია. ამითაც შეიძლება განპირობებული იყოს ცვლილებები ჩვენს მიერ გამოყენებად ენის ტიპში. ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს გააჩნია მიზეზი კომუნიკაციის დასამყარებლად; მოგვიწვეს ამა თუ იმ ტიპის დავალების შესრულება. ენის ტიპიც დამოკიდებული იქნება დავალებაზე. თუ კოლეგას ვთხოვთ სამსახურში შეგვენაცვლოს პარასკევს, ამ შემთხვევაში გამოყენებული ენის ტიპი შესაძნელებად განსხვავებული იქნება იმ ტიპისაგან, რომელსაც მაშინ გამოვიყენებდით, კოლეგა სასმელზე რომ მიგვეწვია სამსახურის შემდეგ.

დავალება 1 ბ: ცვლილებები ენაში იმისდა მიხედვით თუ რის გარშემო აგებთ კომუნიკაციას (თემები) და რას აკეთებთ (დავალებები)

ჩამოწერეთ სულ მცირე ათი **თემის** დასახელება, რომელთა ირგვლივაც ააგეთ კომუნიკაცია დღეს (ან გუშინ). ყოველი მათგანი სხვადასხვა ფერით აღნიშნეთ იმისდა მიხედვით, თქვენ მიერ გამოყენებული ენის ტიპი განსხვავებული იყო თუ იგივე. რა განსხვავებებს ჰქონდა ადგილი თქვენს მიერ გამოყენებულ ენაში, თემათა კატეგორიების მიხედვით?

ჩამოწერეთ ათი **დავალება**, რომელთა შესასრულებლადაც ენა გამოიყენეთ დღეს (ან გუშინ). ყოველი მათგანი სხვადასხვა ფერით აღნიშნეთ იმისდა მიხედვით, თქვენს მიერ გამოყენებული ენის ტიპი განსხვავდებოდა თუ იგივე იყო. რა განსხვავებებს ჰქონდა ადგილი თქვენს მიერ გამოყენებულ ენაში, დავალებათა კატეგორიების მიხედვით?

დავალება 1 გ: ენობრივი ცვლილებები კომპლექსურ კონტექსტებში

ახლა მოათავსეთ თქვენს მიერ შედგენილი სიები ერთმანეთის გვერდით, თითოეული სიიდან შეარჩიეთ ცალკეული პუნქტები და მიმართეთ მათ იმგვარ კომბინირებას, რომ შექმნათ კომუნიკაციის მთლიანი კომპლექსური კონტექსტი.

რა სახის ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ენაში (მაგალითად, ცვლილებები ლექსიკაში, გრამატიკაში, სინტაქსში, გამოთქმაში, ინტონაციაში და ა.შ)?

იყო თუ არა ისეთი კონტექსტები, რომლებშიც ცვლილება რამდენიმე პუნქტმა განაპირობა?

რა სახის მონაწილეობა ჩვენს მხრიდან?

ჩვენ, როგორც მასწავლებლები, ხშირად ვყოფთ ენას ოთხი უნარის მიხედვით: ორი პროდუქტიული (მეტყველება და წერა) და ორი რეცეფციული (მოსმენა და კითხვა). თუმცა, *კომპეტენციები* გვთავაზობს დაყოფის ალტერნატიულ ვარიანტს, ადამიანების კომუნიკაციაში მონაწილეობის მიხედვით.

ინტერაქცია: დღის მანძილზე ენის გამოყენება, ძირითადად, ხდება ერთი-ერთზე კომუნიკაციისას, რომელშიც მონაწილეობს სულ მცირე ორი ადამიანი. ისინი მონაცვლეობით მონაწილეობენ ენობრივი პროდუცირებისა და რეცეფციის პროცესებში.

პროდუცირება: ჩვენ ვსაუბრობთ (ვწერთ ან მივანიშნებთ) უწყვეტად დროის გარკვეულ მონაკვეთში.

რეცეფცია ჩვენ ვუსმენთ საუბარს, ვუცქერთ ვინმეს მინიშნებას ან ვკითხულობთ ვინმეს ნაწერს.

მედიაცია: ზოგჯერ ენას ვიყენებთ ისე, რომ კომუნიკაციაში უშუალოდ ვმონაწილეობთ; ამ დროს შეიძლება შეტყობინებებს გადავცემდეთ ორ ადამიანს, რომლებიც უშუალოდ ერთმანეთს ვერ უკავშირდებიან.

მაგალითად, აბაზანაში მყოფ შვილს შეიძლება გადავცეთ შეტყობინება იმ ადამიანისაგან, რომელმაც ტელეფონით დარეკა. ოთხივე შემთხვევაში ჩვენ სხვადასხვანაირად ვართ ჩაბმული კომუნიკაციაში, რაც ზეგავლენას ახდენს ჩვენს მიერ გამოყენებულ ენის ტიპზეც.

რა საშუალებით?

ჩვენ მიერ აქამდე მოყვანილი მაგალითები მხოლოდ საუბარსა და მოსმენას ეხებოდა. საკომუნიკაციო საშუალება მეტყველება იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა საშუალებებიც – წერილობითი (ფურცელზე, კომპიუტერში, ან ტელეეკრანებზე, ა.შ), მინიშნებითი (ნიშნების ენა), შეხებითი (ბრაილი), ჩვენს მიერ შერჩეული საშუალება აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას ენის ტიპზე, რომელსაც ვიყენებთ.

დავალბა 1 დ: ცვლილებები ენაში იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვამყარებთ კომუნიკაციას

კომუნიკაციის თითოეულ კომპლექსურ კონტექსტს, რომლებიც აღწერილია დავალბაში 1 გ, დაუმატეთ ახალი ელემენტები (ა), საკუთარი მონაწილეობის ტიპი (ბ) და თქვენს მიერ გამოყენებული საშუალება. ახლა მათგან შეარჩიეთ ერთი ან ორი ჯგუფი და წარმოიდგინეთ ის ენობრივი ცვლილებები, რომელთაც ექნებოდა ადგილი:

- (ი) თქვენ რომ შეგეცვალებათ საკუთარი მონაწილეობის სახე საკომუნიკაციო აქტივობაში (მაგალითად, ინტერაქციიდან მედიაციაზე გადასვლა);
- (იი) კომუნიკაციის საშუალება განსხვავებული რომ ყოფილიყო;
- (იიი) კომუნიკაციაში მონაწილე ორი ადამიანიდან ერთ-ერთი ბრმა ან სმენადაქვეითებული რომ ყოფილიყო;

საკუთარ ენაზე კომუნიკაციის ასპექტების შეჯამება

ჩვენ უკვე განვიხილეთ კომუნიკაციის შვიდი განსხვავებული ასპექტი: ჩვენი და ჩვენი პარტნიორების როლი, ადგილი, თემა, დავალბა, ჩვენი მონაწილეობის სახე და საშუალება. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ყოველთვის ერთსა და იმავე ენას ვიყენებთ, მაგრამ ყოველმა ასპექტმა შეიძლება რამდენადმე შესცვალოს იგი.

1. 2. კომუნიკაციის ასპექტები; ახალი ენა

საერთოდ, როგორც ახალ, ისე საკუთარ ენაზე კომუნიკაციისას, ვეხებით მეტ-ნაკლებად მსგავს პრობლემებს და საკითხებთან. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ახალი ენის გამოყენებისას ადამიანი უფრო მეტად აცნობიერებს ცალკეულ პრობლემებს. ახალი ენის გამოყენება უნდა შეგვეძლოს იმავე ადგილებში, იმავე როლების შესასრულებლად, იმავე კატეგორიის ხალხთან ურთიერთობაში, იმავე დავალბების შესასრულებლად და ა. შ. თუმცა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. მომდევნო ეტაპზე თავი უნდა წარმოვიდგინოთ საკლასო ოთახში, ახალი ენის შემსწავლელის როლში.

შემსწავლელის როლი

ახალ ენაზე კომუნიკაციისას, ენის შემსწავლელის როლი უნდა დავურთოთ ჩვენს მიერ უკვე შედგენილ სიას. ეს ახალი როლი მოითხოვს ზოგიერთი ისეთი დავალბების შესრულებას, რაც მშობლიურ ენაზე არ გვჭირდება – ვინმესთვის მინიშნება, რომ არ გვესმის, მათთვის უფრო ნელა და გარკვევით საუბრის ან ნათქვამის გამეორების თხოვნა, სიტყვის მნიშვნელობის განმარტების თხოვნა, შეკითხვა, თუ როგორ უნდა ვთქვათ კონკრეტული რამე ახალ ენაზე, ა. შ.

საკლასო ოთახი, როგორც საკომუნიკაციო გარემო

ახალი ენის გამოყენებაზე ზეგავლენას მოახდენს ერთი ფიზიკური გარემო: საკლასო ოთახი. ამ კონტექსტში კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ახალ ან მშობლიურ ენაზე, ან ორივე მათგანზე. შესასრულებელი დავალებებიც რამდენადმე შეიცვლება. ისინი შეიძლება მოიცავდეს რეალურ კომუნიკაციას (ისეთს, როგორშიც ვმონაწილეობთ მშობლიურ ენაზე). ან უბრალოდ რეპეტიციებს სამომავლოდ კომუნიკაციისათვის. ისიც დასაშვებია, რომ მათ ურთიერთობა არ ჰქონდეს რეალურ კომუნიკაციასთან. უფრო მეტიც, დავალებებში შეიძლება აქცენტი კეთდებოდეს ენის შესწავლაზე და არა კომუნიკაციაზე, ან ორივეზე ერთდროულად.

ახალი ენა, როგორც საკომუნიკაციო თემა

კიდევ ერთი ახალი ელემენტი იმაში მდგომარეობს, რომ მშობლიური ენისაგან განსხვავებით, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება თვით ენის ფორმებზე. ეს ფორმები შეიძლება ხშირად კომუნიკაციის თემად იქცეს. შესაბამისად, შეიძლება დაგეგმოდეს იმის სწავლა, თუ როგორ ვისაუბროთ ენაზე ახლებურად.

სამუშაო ფურცელი 1ა კომუნიკაციის შეიდეგე ასპექტს შემსწავლელელებზე გათვლილ ცხრილში აერთიანებს. შემსწავლელელებს მოეთხოვებათ იდენტიფიცირება ყველა იმ ენობრივი ცვლილებებისა, რომელსაც განაპირობებს ასპექტის ცვლილება. სამუშაო ფურცელი 1გ ეხება საკლასო ოთახს, როგორც კონტექსტს და განსაკუთრებით, იმ დავალებებსა და თემებს, რომლებსაც აქ ვხვდებით. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ენის შემსწავლელეებს, მათ მიერ სამუშაო ფურცლებზე გაცემული პასუხების მიხედვით, საკუთარი თავის, როგორც ენის შემსწავლელეების პროფილის შექმნაში. ეს იქნება მზადება -ის ვერსიის გამოყენებისათვის, რაც განხილულია მე-2 თავში.

კითხვები, რომლებიც მოითხოვს დაფიქრებას
გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებულმა ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ცვლილებები გამოყენებად ენაში, თქვენ შეიძლება მოისურვოთ აღნიშნული საკითხების განხილვა *კომპეტენციების* გადმოსახედიდან და შეამოწმოთ თქვენი სამუშაო სქემა / სილაბუსი, რამდენად მკაფიოდ აყალიბებს:

- საკომუნიკაციო დავალებებს პიროვნულ, საჯარო, პროფესიულ და / ან საგანმანათლებლო სფეროებში, რომლებთან გამკლავებაც მოუწევთ შემსწავლელეებს და აგრეთვე, მიზნებს, რაც არჩევანს განაპირობებს;
- აქტივობებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ შემსწავლელეები კონკრეტული მიზნების მისაღწევად – აგრეთვე თემებს, ქვეთემებს და სპეციფიკურ ცნებებს, რომლებიც შემსწავლელეებს სამოქმედოდ დასჭირდებათ;
- თუ რა წერილობითი დავალებებისათვის გეგმავთ მათ მომზადებას;
- თუ რა სახის კითხვისა და მოსმენისათვის გეგმავთ მათ მომზადებას;
- თუ რა სახის ინტერაქციები მოეთხოვებათ თქვენს შემსწავლელეებს;
- თუ რა სახის მედიაციურ აქტივობებში მოუწევთ თქვენს შემსწავლელეებს მონაწილეობა.

1. 3. სტრატეგიები

მე-4 თავის ყოველი ნაწილის ბოლოს, რომელიც ეხება ენობრივ აქტივობებს, განიხილება ის სტრატეგიები, რომელთაც ხალხი მიმართავს ენის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად. „საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეტაკოგნიტური პრინციპების გამოყენებად: სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო აქტივობის: რეცეფციის, ინტერაქციის, პროდუცირებისა და მედიაციის **წინასწარი დაგეგმვა, შესრულება, მონიტორინგი და შესწორება**“ (*კომპეტენციები*, 4.4)

სტრატეგიები სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო აქტივობებისათვის აქ თავმოყრილია მათი ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით.

ენის პროდუცირებაში (ინტერაქციის ჩათვლით) გამოყენებადი სტრატეგიები

ბუნებრივია, ზოგადი სტრატეგიების დეტალები შეიცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ვმონაწილეობთ კომუნიკაციაში; ერთი-ერთზე ინტერაქციაში ამ სტრატეგიებს სხვადასხვაგვარი გამოყენება ექნება.

მაგალითად, თუ კოლეგას ცუდი ამბავი უნდა ვაცნობოთ (დავუშვათ ის, რომ მან წარმატებით ვერ გაიარა გასაუბრება), საჭიროა სათქმელის წინასწარ ორგანიზება. ეს დაგეგმვის ფაზაა. წარმოიდგინეთ, რომ ახლა კოლეგასთან ვიმყოფებით სახლში და ფაქტიურად, ვასრულებთ დავალებას; ეს შესრულების ფაზაა. საუბრის პროცესში ყურადღებით დავაკვირდებით ჩვენს ნათქვამზე რეაგირებას და მის ადეკვატურობას; ასე რომ, ჩვენ ვახორციელებთ მონიტორინგს. შეცდომის შემთხვევაში, ვეცდებით მის გამოსწორებას.

ახლა დავუშვათ, რომ ცუდი ამბის ცნობებს ტელეფონით ვცდილობთ. ამ შემთხვევაშიც შეიძლება იგივე გეგმა გვქონდეს, რაც პირისპირ შეხვედრისას. მაგრამ, როგორ მოვიქცეთ, თუ ავტომობილზე იქნება ჩართული? მოგვიწევს ყველაფრის თავიდან დაწყება, რადგან საჭირო იქნება გაწვლილი სიტყვის სხვაგვარად დაგეგმვა, რომ რეაქციების მონიტორინგი შევძლოთ. თუ მივმართავთ წერილობით საშუალებას (მაგალითად, ფაქსი) დაგეგმვა, შესრულება, მონიტორინგი და შესწორება წინასწარ უნდა მოხდეს.

ენის რეცეფციაში გამოყენებადი სტრატეგიები

რეცეფციულ კომუნიკაციაშიც შეგვიძლია დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და შესწორების ზოგადი სტრატეგიების გამოყენება, მაგრამ ამ პროცესში ჩართულია სხვადასხვა უნარები: შემუშავება, დასკვნა, ჰიპოთეზის შემოწმება, ჰიპოთეზის გადაკეთება. ყოველივე ეს თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული *კომპეტენციების* პუნქტში 4.4.2.4. ზოგიერთი სამუშაო ფურცელი, კერძოდ 1ბ და 1გ მოიცავს დანაყოფებს, რომლებიც ეხება სტრატეგიებს.

კითხვები, რომლებიც მოითხოვს დაფიქრებას

თქვენი სამუშაო სქემა მკაფიოდ აყალიბებს:

თუ რომელი სტრატეგიები მიესადაგება მოცემულ შემსწავლელებს მოცემულ დონეზე?

როგორ სჯობს მათი წარდგენა მასწავლებლებისათვის?

რა სახით უნდა ფიგურირებდეს ისინი შეფასებაში?

ნაწილი 2 – უნარები და კომპეტენციები (კომპეტენციები 4.5, 4.7-ის ნაწილები)

2. 1. უნარები, რომლებიც გვაქვს მშობლიურ ენაში

კომპეტენციების პუნქტი 4.5 გვაწვდის ყველა იმ პროცესის ჩამონათვალს, რომლებიც კომუნიკაციაში მონაწილეობს. ნაკლებ სავარაუდოა, ვაცნობიერებდეთ, თუ რაოდენ ჩახლართულია კომუნიკაციის პროცესი, რამდენად მრავალფეროვანია მისი ეტაპები და რას მოიცავს თითოეული მათგანი. მაგალითად, ენის პროდუცირებისას უნდა დაგეგმოთ ის, რის თქმა, დაწერა ან მინიშნებაც გვინდა; მუშაობაში უნდა მოვიყვანოთ სათანადო კუნთები სათქმელის გამოსახატავად (ისინი განსხვავდება საშუალებების მიხედვით); უნდა შევამოწმოთ, ყველაფერი გვემის მიხედვით მიდის თუ არა; საჭიროების შემთხვევაში უნდა დავუმატოთ ფიზიკური მოქმედებები, სხეულის ენა, ინტონაცია, ა. შ. უნდა გამოვიყენოთ ილუსტრაციები, სურათები, დიაგრამები, წერილობითი ან ნაბეჭდი მასალა, ან სპეციალური ნიშნები. კითხვაც მოიცავს პროცესების კომპლექსურ ნაკრებს.

სინამდვილეში, კითხვა გულისხმობს, ნაბეჭდი გვერდიდან მიღებული ინფორმაციის შედარებას იმ ინფორმაციასთან, რომელსაც მესსიერებაში ვინახავთ. ეს ინფორმაცია სხვადასხვა სახისაა: ასოთა ჯგუფების სიტყვებად ამოცნობის და მათი მნიშვნელობის შემოწმების უნარი (ლექსიკური ცოდნა), სიტყვათა ისეთ ჯგუფებად კომბინირების უნარი, რომ აზრი იკითხებოდეს (ცოდნა სამყაროს შესახებ), სიტყვათა გაერთიანების პრინციპების დადგენა (გრამატიკული ცოდნა), ჯგუფების (წინადადებების) უფრო მსხვილ ერთეულებად კომბინირება ისე, რომ აზრი იკითხებოდეს (ცოდნა სამყაროს და იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოვლენები), ა. შ. ჩვეულებრივ, შემომავალ ინფორმაციას სიტყვებსა და ელემენტარულ წინადადებებზე იმდენად სწრაფად ვადარებთ ჩვენს მესსიერებაში დაცულ ინფორმაციას, რომ ამ პროცესს ვერც კი ვამჩნევთ; იგი თითქმის ავტომატურია.

ზოგადი და სპეციფიკური ცოდნის სხვადასხვა სახეები (კომპეტენციების პუნქტი 5.1)

ეს პროცესები მოიცავს სხვადასხვა კომპეტენციების ან ცოდნის სახეების გამოყენებას. *კომპეტენციები* მოიხსენებს საფორმის ოთხ განსხვავებულ ტიპს. აქ მხოლოდ ორიოდღეზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ყოველი ჩვენგანი ფლობს სხვადასხვა სახის ცოდნას, რომელიც თამაშში ერთვება კომუნიკაციის დროს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, ცოდნა სამყაროს შესახებ, რაც გვეხმარება თვალთ ნანახისა და ყურით გაგონილის ინტერპრეტირებაში. ზოგადი ცოდნა გავაჩნია იმის შესახებაც, თუ როგორია საკომუნიკაციო აქტების სტრუქტურა. გვაქვს, ასევე სპეციფიკური სახის ცოდნა, დაკავშირებული იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ვცხოვრობთ – როგორ ცხოვრობს ხალხი, როგორია მათი ურთიერთობა, რა ღირებულებები გავაჩნია და ა. შ. პირველი ორი სახის ცოდნა გამოსადეგია მაშინაც, როცა ვეხებით ახალ ენასა და კულტურას. გვაქვს იმის ცოდნაც, თუ როგორ მოვახდინოთ ენის ორგანიზება ისე, რომ შეესაბამებოდეს ჩვენს სურვილს.

ჩვენი ცოდნა სამყაროსა და იმის შესახებ, თუ როგორია საკომუნიკაციო აქტების სტრუქტურა

გავაფართოვეთ რა საკუთარი გამოცდილება სამყაროსთან მიმართებაში, შევქმენით საკუთარი სცენარები იმის შესახებ, თუ როგორაა ეს სამყარო მოწყობილი, სავარაუდოდ რას უნდა ველოდეთ ამა თუ იმ სიტუაციაში და როგორი იქნება მოვლენათა თანამიმდევრობა. ამ სცენარებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი არსებობისათვის; უბრალოდ დაფიქრდით, ქუჩის გადაკვეთისას, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი უნარი, გამოვიცნოთ ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება. პროგნოზების უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციაში. ჩვენ შეგვიძლია დასაწყისის მოსმენის შემდეგ, წამის მეხუთედში გამოვიცნოთ სიტყვები. ასევე, შეგვიძლია პროგნოზირება იმისა, რაც უნდა ითქვას, ან დაიწეროს, მოსმენის ან კითხვის დაწყებამდეც, რადგან, სავარაუდოდ, ვიცნობთ შინაარსის 80%-ს. ფაქტიურად, კითხვით ან მოსმენით მიღებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მომდინარეობს არა სიტყვებიდან ან ბგერითი ტალღებიდან, არამედ ჩვენს მესსიერებაში დაცული სცენარებიდან, აქტივაციაც ხდება აღნიშნული სიმბოლოებით.

ვფლობთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახის ცოდნას, რაც ცალკეული საკომუნიკაციო აქტების სტრუქტურას ეხება. მაგალითად, შეგვიძლია პროგნოზი გაგუკეთოთ საინფორმაციო გამოშვების ან გაზეთებში ამინდის პროგნოზის განთავსების სტრუქტურას, აგრეთვე, იმას, თუ როგორაა მოთხრობილი ზღაპრები ან როგორაა ჩაწერილი ინტერვიუ.

ჩვენი ცოდნა საზოგადოებაში ენის სათანადოდ გამოყენების შესახებ (კომპეტენციები 5.2.2.)

პირველ განყოფილებაში შევისწავლეთ სხვადასხვა სიტუაციები, რომლებშიც ენას ვიყენებთ და დავასკვნით, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ენა იმისდა მიხედვით, თუ სად ვართ, ვისთან გვაქვს კომუნიკაცია და როგორია ჩვენი როლი ამ ადა-

მიანებთან მიმართებაში. ენის სათანადოდ შეცვლის უნარს სოციოლინგვისტური კომპეტენცია ეწოდება. ეს კომპეტენცია დამოკიდებულია ჩვენს სპეციფიკურ ცოდნაზე საკუთარი საზოგადოებისა და კულტურის შესახებ – როგორ იქცევა ხალხი, როგორ ახდენს სოციალიზაციას, როგორ მუშაობს და ერთობა – და ცოდნაზე საკუთარი თავის, მიდგომების, ღირებულებების, მოსაზრებების, მოტივაციისა და ახალ სიტუაციებთან შეგუების შესახებ. ეს ცოდნა, მეტწილად გაუცნობიერებელია; შეუმოწმებლად მიღებული. მას მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ, როცა ჩნდება მიზეზი მისი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისა. საკუთარი ენის იმ სოციალურ გარემოზე მორგების უნარი, რომელშიც აღმოვჩნდით, ნიშნავს, რომ ვიცით რამდენიმე მშობლიური ენა. რა თქმა უნდა, ამ ცოდნისა და უნარის მოცულობა ცვალებადობს კონკრეტული ადამიანების მიხედვით, მაგრამ მათ ყველა ფლობს გარკვეულ დონეზე.

დავალება 2ა: საზოგადოების შესახებ საკუთარი სპეციფიკური ცოდნის გადახედვა

შეადგინეთ სია საკუთარი ქვეყნის მიხედვით:

- საიდენტიფიკაციო საშუალებები, რომელთაც თან ატარებთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თქვენს ქვეყანაში არსებული რასობრივი და რელიგიური ჯგუფები;
- რომელ საათზეა საუზმე, სადილი და ვახშამი;
- როგორ საჩუქარს მიარმევთ, როცა სადილზე გეპატიუებიან.

ეს ყველაფერი შეიძლება ძალზე ჩვეულებრივად და ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, როცა ხედავთ, თუ რა პრობლემებს აწყდებიან უცხოელები ამ მხრივ, აცნობიერებთ მათ მნიშვნელობას. იგივე შეიძლება გაკეთდეს გეოგრაფიულ, ისტორიულ და პოლიტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ჩვენი ორგანიზების უნარი ენის მხრივ (პრაგმატული კომპეტენციები) (კომპეტენციები 5.2.3)

პრაგმატული კომპეტენცია გულისხმობს ჩვენს უნარს, ენიდან ამოვკრიბოთ და თავი მოვუყაროთ ისეთ ელემენტებს, რაც საშუალებას მოგცემს ვაკეთოთ ის, რაც გვინდა. მაგალითად, როცა გვინდა საკუთარი ბანკის მენეჯერს სესხი ვთხოვოთ ისეთი პროექტისათვის, რომელიც გარკვეულ ეჭვს ბადებს, ბუნებრივია ამ სათქმელს ისე ვერ ავაგებთ, თითქოს კოლეგას წიგნს ვთხოვდეთ. ჩვენ ძალზე ფრთხილად მოვეკიდებით სათქმელისა და უხერხული ელემენტების ორგანიზებას. სოციოლინგვისტური კომპეტენციის მსგავსად, პრაგმატული კომპეტენციის მოცულობაც განსხვავდება ცალკეული ადამიანების მიხედვით. ამიტომაც, თუ პროექტში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს, ახსნა-განმარტების რთული დავალების შესასრულებლად, ჩვეულებრივ, ირჩევენ ისეთს, რომლის პრაგმატული კომპეტენციაც საუკეთესოა.

2. 2. უნარები და კომპეტენციები ახალ ენაში

ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა სახის ცოდნის გამოყენება ახალ ენაზე

თუ გადავხედავთ იმას, რაც ითქვა კითხვის უნარზე ამ „ერთეულის“ დასაწყისში, შევამჩნევთ, რომ იგი მოიცავს ორგვარ ინფორმაციას: ინფორმაციას, რომელსაც ვღებულობთ ნაბეჭდი გვერდიდან და ინფორმაციას, რომელსაც მესხიერებაში ვინახავთ. მშობლიურ ენაზე კითხვის უნარიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, რომ საჭიროა ამ ორი სახის ინფორმაციის შედარება ტექსტის მნიშვნელობის გასაგებად. ახალ ენაში ასეთი ინფორმაცია შეიძლება არასრული იყოს; შესაძლოა არ გვქონდეს ასოთა ჯგუფების სიტყვებად ამოცნობის უნარი; შეიძლება ვერ ვახერხებდეთ მათი მნიშვნელობის გაგებას ლექსიკური მარაგის სიმცირის გამო და ასევე, შესაძლებელია არ გამოგვიოდეს სიტყვების ჯგუფებად კომბინირება, აზრის ჩამოყალიბებისათვის გრამატიკული ცოდნის სიმწირის გამო. თუმცა, თუკი ვიცით რას ეხება ტექსტი, შეიძლება მოვახერხოთ უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა და შესაბამისად, სიტყვების (წინადადების) ჯგუფების უფრო მსხვილ ერთეულებად კომბინირება და მათგან აზრის გამოტანა

(ცოდნა სამყაროსა და იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოვლენები), ა. შ. მაშინაც კი, როცა ზუსტად არ ვიცით, რის შესახებაა ტექსტი, სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნა შეიძლება საკმარის იყოს ამის გასაგებად გარკვეულ დონემდე.

ზემოხსენებული მიგვიჩვენებს, რომ ჩვენს ხელთ არსებული ცოდნის დიდი ნაწილი ექვემდებარება ახალ ენაზე გადატანას. ეს, განსაკუთრებით ეხება ცოდნის პირველ ორ სახეს: ცოდნას სამყაროსა და ტექსტების სტრუქტურული აგებულების შესახებ, რაც ერთგვარი ხარაჩოს ფუნქციას ასრულებს მნიშვნელობის გაგებასა და ენის შესწავლის პროცესში.

დავალბა 2 ბ: სხვადასხვა სახის ცოდნის გამოყენება ჩვენთვის უცნობ ენაზე (იხ. სამუშაო ფურცელი 2 სათანადო დავალებისათვის)

თქვენთვის უცნობ ენაზე მოიძიეთ ისეთი მოკლე ტექსტი, რომელიც ეხება თქვენთვის ნაცნობ თემას. ეს შეიძლება იყოს საგაზეთო სტატია ან ტექსტი ინტერნეტიდან საყოველთაოდ ცნობილი მოვლენის ან ადამიანის შესახებ, ასევე ზღაპარი, რელიგიური შინაარსის ტექსტი ან თვით ლოცვა.

ხაზი გაუსვით ნებისმიერ სიტყვას (ადამიანებისა და ადგილების სახელების ჩათვლით) რომლის მნიშვნელობაც გესმით;

გონებრივად აავით სქემა ტექსტის სავარაუდო შინაარსის შესახებ.

თქვენთვის ნაცნობი სიტყვებისა და აღნიშნული სქემის მიხედვით, შეეცადეთ გამოიძიოთ ტექსტში არსებული ნებისმიერი სხვა სიტყვის მნიშვნელობა.

დააკვირდით, რა სახითაა მოცემული სიტყვები კომბინირებული, ხომ არ ამჩნევთ რაიმე ნიმუშს? შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ წესები?

თქვენ სტუდენტებსაც იგივე სახის ცოდნა ექნებათ ხელთ, ასეთი ცოდნის გამოყენება მოითხოვს სათანადო სტრატეგიების არსებობას. სტუდენტებს შეიძლება დასჭირდეთ მომზადება აღნიშნული სტრატეგიების შემუშავების კუთხით.

პრობლემური ასპექტი: საზოგადოებაში ენის სათანადოდ გამოყენება

ცოდნა ახალი საზოგადოებისა და კულტურის შესახებ ცალკე საკითხია. ასეთი ცოდნის მისაღებად საჭიროა სწავლა. კომპეტენციების 5.1.1.2 პუნქტში ნათქვამია „იმ საზოგადოებისა და კულტურის ცოდნა, სადაც მოცემულ ენაზე მეტყველებენ, საჭიროებს ამ ენის შემსწავლელის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ცოდნის მრავალი სხვა ასპექტისაგან განსხვავებით, იგი შეიძლება უცხო იყოს შემსწავლელის გამოცდილებისათვის და სტერეოტიპებით რამდენადმე დამახინჯებულიც.“ ამავე ცოდნის ნაწილია საზოგადოებაში ენის სათანადოდ გამოყენებაც. იგი საჭიროა: სოციალური ურთიერთობების მარკირებისათვის (მისაღმების სწორი ფორმის შერჩევა იმისდა მიხედვით, თუ ვისთან გვაქვს ურთიერთობა და სად ვიმყოფებით). თავაზიანობის საჩვენებლად, მიდგომის სხვადასხვაობის აღსანიშნავად, აქცენტის სხვადასხვაგვარობისა და მისი მნიშვნელობის მიუხედავად. ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, რაც მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ახალ ენაში, არის სოციოლინგვისტური კომპეტენცია. ძალზე ადვილია საზოგადოებაში უცხო ენის არასათანადოდ გამოყენება, თუკი საკუთარ ქმედებასა და ნათქვამს სოციალურ მნიშვნელობას გამოვაცლით. შესაბამისად, ადვილია გაუგებრობისა და უთანხმოების გამოწვევაც. ენა გაცილებით უფრო მეტი რამაა, ვიდრე უბრალოდ საკომუნიკაციო საშუალება; ის ერთ-ერთი უმთავრესი გზაა საკუთარი იდენტურობის საჩვენებლად. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები, ენას იყენებენ მსგავს სიტუაციებში მსგავსი ქმედებისათვის, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყველაფერს ერთნაირად აკეთებენ. თითოეული კულტურა თავისებურად უდგება ენას და ჩვენ, შემსწავლელებს, მოგვეთხოვება სხვათა ნათქვამის ფარული მნიშვნელობის გაგება და ამასთან, იმის დადგენაც, თუ როგორ იქნება ჩვენი ნათქვამი ან ქმედება ინტერპრეტირებული.

დავალება 2გ; თქვენი სოციოლინგვისტური კომპეტენცია იმ ენაში, რომელსაც ასწავლით (იხ. სამუშაო ფურცელი 2ბ სათანადო დავალებსათვის)

შეადგინეთ ისეთი დიალოგი, რომელიც შესაძლოა დაგჭირდეთ ბანკთან ან სამშენებლო საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ბინისათვის სესხის გამოსატანად, როცა ხელთ გაქვთ ღირებულების მხოლოდ 30%. შემდეგ უპასუხეთ მოცემულ კითხვებს:

- ხომ არ წააწყდით პრობლემებს ენის სათანადოდ გამოყენების მხრივ (მაგალითად, მენეჯერთან მისაღმებისას, სასაუბრო თემაზე გადასვლისას და ა.შ)
- სესხთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა ტელეფონით რომ დაგჭირვებოდათ, გეცოდინებოდათ, როგორ დაგეწყოთ, ან დაგესრულებინათ საუბარი?
- ფაქსის ან ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა რომ ყოფილიყო საჭირო, გეცოდინებოდათ, როგორ დაგეწყოთ ან დაგესრულებინათ იგი?

კითხვები, რომლებიც მოითხოვს დაფიქრებას:

რამდენად შეუძლიათ შემსწავლელებს სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციების შექმნა ან ბუნებრივად განვითარება? რამდენად შესაძლებელია სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციების მოპოვება ან ბუნებრივად განვითარება სტრატეგიების გამოყენებაში?

რა მეთოდებს მიმართავთ მათი განვითარების ხელშეწყობისათვის?

ნაწილი 3 – ენის გამოყენების ცოდნა (კომპეტენციები 5.2.1)

ეს განყოფილება ეხება ენის ცოდნის სხვადასხვა ასპექტებს, დაწყებული საკუთარი ენითა და იმის განხილვით, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული ცოდნის გადატანა იმ ენაზე, რომელსაც ვსწავლობთ.

3. 1. თვით ენის ცოდნა (ენობრივი კომპეტენცია)

ენის ცოდნა მოიცავს: სიტყვებს, სიტყვათა ცვლილებებს, სიტყვების სწორად გაერთიანებას, სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობის ცოდნას, ამ ენის ბგერების გამოთქმისა და გამოცნობის ცოდნას. ყოველი მათგანი ცალ-ცალკეა განხილული *კომპეტენციების* პუნქტში 5.2. თუ ორიგინალს ვკითხულობთ, აღნიშნული პუნქტის გაგება შეიძლება გაგვიძნელდეს, რადგან მასში მრავალი ტექნიკური ტერმინია. თუმცა, სინამდვილეში, ისინი არც ისე ტექნიკურია. ადამიანები, რომლებიც ენის თავისებურებას სწავლობენ, დავობენ მრავალი ასეთი ტერმინის ზუსტი მნიშვნელობისა და ენის ბგერი ასპექტის გამო, რაც ბევრად უფრო ტექნიკურია, ვიდრე ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს. ამ ეტაპზე შეჯამების ნაცვლად, „ერთეულში“ გრძელდება განხილვა გამოთქმის, წერის უნარის, ლექსიკური მარაგისა და გრამატიკის კუთხით.⁷

3. 2. ბგერების ცოდნა (ფონოლოგიური კომპეტენცია: კომპეტენციები 5.2.1.4)

ენის შემსწავლელისათვის გარკვეულ ასაკს ზემოთ, ერთ-ერთ ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ბგერების, რითმისა და ინტონაციის სწორად გაგება. იმდენად შეჩვეულნი ვართ ამ ყველაფერს საკუთარ ენაზე, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ, რამდენად ჩახლართულია კომპეტენციის ეს ტიპი. ინგლისურად მოლაპარაკე უცხოელები სირთულეს აწყდებიან th-ბგერებთან, ხმოვნების და დიფთონგების და მახვილის გამოყენებასთან მიმართებაში (სად დაისმის მახვილი მოცემულ სიტყვებში: telephone, telephonist, telephonic?) აგრეთვე, უძნელდებათ მნიშვნელობაში ინტონაციით შეტანილი ცვლილებების გაგება (He CAN ' T be serious, ნიშნავს „ის ალბათ ხუმრობს; შეუძლებელია ამას სერიოზულად ამბობდეს“. ნორმალური ინტონაციის შემთხვევაში ფრაზა ასეთია: „He can't be serious, რაც ნიშნავს „მას არ შეუძლია იყოს სერიოზული“). ძალიან ხშირად ბგერების,

რითმისა და ინტონაციის კუთხით არსებული პრობლემები განაპირობებს სხვანაირად გაგებას. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა development („განვითარება“). არასწორად დასმული მახვილის გამო, ადამიანს რომლისთვისაც ეს სიტყვა მშობლიურია, შეიძლება გაუჭირდეს მისი გაგება და ამან შესაძლოა გამოიწვიოს კომუნიკაციის რღვევა, მაშინ როცა v-ს გამოთქმა w-დ, მაგრამ მახვილის სწორად გამოყენება, გაგების პრობლემას არ შექმნის.

3. 3. წერილობითი სიმბოლოების ცოდნა (ორთოგრაფიული და ორთოეპიული კომპეტენცია; კომპეტენციები 5.2.1.5,6)

მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა ხდება ისეთი უნარების გამოყენებით, რომელთაც ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ. უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობს სიმბოლოთა ნაკრების უბრალოდ გაშიფვრა, ანუ სიმბოლოების შექმნა. ჩვეულებრივ, არც კი ვფიქრობთ ამ უნარებზე, სანამ სირთულეს არ წავაწყდებით მათთან მიმართებაში, მაგალითად, იმიტომ, რომ სიმბოლოები გათხაპნილია და მკაფიოდ არ ჩანს, ან ვიტყვით ხელი, რომლითაც ვწერთ. სამუშაო ფურცელზე 2h მოცემულია აქტივობა ფონეტიკური ჩანაწერით, რაც ოდნავ გაგვარკვევს იმ უნარებში, რომლებსაც გაუცნობიერებლად ვიყენებთ საკუთარ ენაზე წერა-კითხვისას. ეს აქტივობა გათვლილია ენის შემსწავლელელებზე, მაგრამ შეიძლება გამოსადეგი იყოს მასწავლებლებისათვისაც, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მაინცდამაინც არ იცნობენ ფონეტიკურ ჩანაწერს.

3. 4. სიტყვების ცოდნა (ლექსიკური კომპეტენცია: კომპეტენციები 5.2.1.1)

ნაშრომში „სიტყვები გონებაში“ (Words in the Mind, Basil Blackwell-ის გამოცემა, Oxford, 1987) ჯინ აიტჩისონი საუბრობს სიტყვათა იმ რაოდენობაზე, რომელიც ადამიანმა იცის მშობლიურ ენაზე და ამ სიტყვების ცნობის სიჩქარეზე.

მშობლიურ ენაზე არსებული ლექსიკური მარაგის მოცულობის გამოთვლა ხდება რეალური დონის პროპორციულად. სავარაუდოდ, განათლებული ზრდასრული ადამიანის სიტყვათა მარაგი მერყეობს 50,000-დან 250,000-მდე, ეს დიდი რიცხვები იმის მაჩვენებელია, რომ მენტალური ლექსიკონის საფუძველი სისტემატურია.

მეორე მიზეზი, რაც განაპირობებს სიტყვათა ორგანიზებას გონებაში, არის მათი განთავსების მაღალი სიჩქარე. ამას ცხადყოფს, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი მეტყველების სიჩქარე, რომლისთვისაც წამში ექვსი მარცვლის გამოყენება, სამი ან მეტი სიტყვის აგება, საშუალო სტანდარტია. ამ მაჩვენებელს ადასტურებს ექსპერიმენტი, გვიჩვენებს რა, რომ ადამიანს შეუძლია მშობლიურ ენაზე ნათქვამი სიტყვა იცნოს 200 წამის მეათასედში ან მისი გამოთქმის დაწყებიდან უფრო ნაკლებ დროში, რაც დაახლოებით წამის მეხუთედს შეადგენს. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება სიტყვის მთლიანად გაგონებამდე.

სიტყვების დაჯგუფება

თუ მშობლიურ ენაზე ნათქვამი სიტყვის ცნობას წამის მეხუთედს ვანდომებთ, სიტყვების დასაჯგუფებლად ძალზე ეფექტური სისტემაა საჭირო. სიტყვების დაჯგუფება ხდება ორნაირად – მნიშვნელობისა და ბგერის მიხედვით. ჩვეულებრივ, თავმოყრა ხდება მნიშვნელობის ჯგუფებში (მათ სემანტიკური სფეროები ეწოდება). ეს ჯგუფები ხშირად გადაბმულია და ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მათგან რამდენიმეს ეკუთვნოდეს. ერთი სისტემის ნაცვლად გვაქვს სისტემათა ქსელი ან ბადე. აქედან გამომდინარე, სიტყვა „ღვინო“ შეგვხვდება „სასმელების“, „სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის“ და „ფერების“ ჯგუფებში და დაკავშირებული იქნება სხვა ისეთ ჯგუფებთანაც, როგორცაა „წვეულებები“, „რესტორნები“ ა. შ. სიტყვების დაჯგუფება ხდება არამართო მნიშვნელობის, არამედ ბგერის მიხედვითაც. მაგალითად, სიტყვების სწრაფად გახსენება შესაძლებელია მათი საწყისი ასოს / ასოების ან რითმის ნიმუშის მიხედვით. დაჯგუფების ეს ორი საშუალება ურთიერთდამოკიდებულია.

დავალება 3 ა: იმის გადახედვა, თუ როგორ ჯგუფდება სიტყვები მეხსიერებაში (ეს დავალება მეორდება 3-ა სამუშაო ფურცლის სახით)

დააკვირდით, როგორ აჯგუფებთ სიტყვებს მშობლიურ ენაზე.
60 წამის ფარგლებში ქვემოთ მოცემული ყოველი რიგის მიხედვით, დაითვალოთ ასოცირებული სიტყვების რაოდენობა:

- მნიშვნელობით ეკუთვნის ჯგუფს „საჭმელი“;
- თქვენ გონებაში ასოცირდება „სკამთან“ (ან chaise ფრანგულად)
- იწყება ბგერით pl...
- რითმის / მახვილის მიხედვით ასოცირდება „ველოსიპედთან“ (ან télévision ფრანგულად)

მოგაფიქრდათ თუ არა ისეთი სიტყვები, რომლებიც რამდენიმე რიგს მიესადაგება?

**3. 5. მნიშვნელობის ცოდნა
(სემანტიკური კომპეტენცია: კომპეტენციები 5.2.1.3)**

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა ადვილი არ არის. სიტყვებს ენის საშენ ბლოკებს უწოდებენ, რადგან ისინი აერთიანებს ფორმასა და მნიშვნელობას; სიტყვები ფორმას ანიჭებს ჩვენს ირგვლივ სამყაროში არსებულ ასპექტებს. სიტყვის ფორმა მაინცდამაინც ცვალებადი არ არის. მნიშვნელობის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა; ის დაცოცავს და ძნელია მისი გაჩერება, იცვლება, გადადის სხვა მნიშვნელობაში. ასე, რომ ერთ ფორმას შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, ავიღოთ ინგლისური სიტყვა cup. შეგვიძლია დავასახელოთ მისი ზუსტი მნიშვნელობა? ის შეიძლება აღნიშნავდეს ფინჯანსაც და თასსაც, რომლის მოსაპოვებლადაც ასპარეზობენ. პირველ შემთხვევაში ეს სიტყვა თავისი მნიშვნელობით უფრო კათხასთან ან ჯამთან ასოცირდება, მეორე შემთხვევაში – ლარნაკთან.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, სიტყვების დაჯგუფება ჩვენს მეხსიერებაში ხდება მნიშვნელობის მიხედვით. ეს საშუალებას გვაძლევს თავი გავართვათ სიტყვის ცვალებად მნიშვნელობებს. ასევე, შეგვიძლია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების დაკავშირება (ანტონიმები) ან ორი ისეთი სიტყვის დაკავშირება, რომელთაგან პირველი მოიცავს მეორეს მნიშვნელობას (ჰიპონიმები, მაგალითად, ცხოველი და კატა).

რამდენად კარგად ვიცით სიტყვები

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, როგორ მოხვდა სიტყვები ჩვენს მეხსიერებაში. მათი დაჯგუფება მეხსიერებაში მოითხოვს მათ ცოდნას. მაგრამ რა იგულისხმება სიტყვის ცოდნაში? ამის არც ცოდნა და არც არცოდნა ადვილი არ არის; სიტყვების ცოდნა შესაძლებელია მრავალ განსხვავებულ დონეზე. მოდით, დავაკვირდეთ, რა სახით ვიცნობთ საკუთარი სკოლის მოსწავლეებს. ზოგიერთს საერთოდ არ ვიცნობთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შესაძლოა არასოდეს შეგვიმჩნევია. ზოგიერთს ვცნობთ იქიდან გამომდინარე, რომ ადრე გვინახავს, მაგრამ მათ სკოლის ფარგლებს გარეთ რომ ვხვდებოდეთ ვერ გავიხსენებდით, სად შევხვედრივართ ან ვინ არიან ისინი. არსებობს მოსწავლეთა ისეთი კატეგორია, რომელსაც სკოლაშიც ვცნობთ და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ მათი სახელები არ გვახსოვს. ზოგიერთის სახელი ვიცით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რას საქმიანობენ. ასე გრძელდება მანამდე, სანამ არ ჩამოვთვლით მოსწავლეებს, რომელთაც კარგად ვიცნობთ: ვიცით მათი სახელები, საქმიანობა და თითქმის ყველაფერი მათ შესახებ.

სიტყვების შემთხვევაშიც ასე ხდება. ისინი სხვადასხვანაირად ვიცით. ზოგიერთს ადრე შევხვედრივართ, მაგრამ არ ვიცით, ზუსტად სად: მათი გახსენება შეგვიძლია კონტექსტში, მაგრამ არა მის ფარგლებს გარეთ. საბოლოო ჯამში, ჩვენ ვცნობთ მათ ნებისმიერ კონტექსტში, ვიცით მათი ყველა მნიშვნელობა და გამოყენება. იგივე ხდება მშობლიურ ენაზეც იმ სიტყვებთან მიმართებაში, რომლებიც ჩვენთვის უცნობი თემატიკის (მაგალითად, მედიცინა და ლინგვისტიკა) ნაწილია.

დავალება 3ბ: სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ვიცით (მიესადაგება სამუშაო ფურცელს სტუდენტებისათვის)

შეცადეთ მოახდინოთ შემდეგი სიტყვების ცოდნის კლასიფიცირება (აღებულია წიგნიდან მესხიერების შესახებ);
ფსიქოგენური, კონფაბულაცია, ამნეზია, კონექციონიზმი, ბლანდსაითი, რე-ფრაქციულობა,
მიეცით მათ დიაგრამის სახე, ნაკლებად ნაცნობი სიტყვები განათავსეთ ქვევით, მარცხნივ, ხოლო ნაცნობი – ზევით, მარჯვნივ. აღნიშნეთ შემდეგნაირად: არასოდეს შემხვედრია, შემხვედრია, მაგრამ მნიშვნელობა არ ვიცი და ა. შ.

მნიშვნელობის ცოდნა არ ნიშნავს ცალკეულ სიტყვებზე გაჩერებას. ასევე, საჭიროა ვიცოდეთ რომელი სიტყვები იხმარება ერთად. უნდა შეგვეძლოს გარჩევა სიტყვების სხვადასხვა წყობით მიღებული შეცვლილი მნიშვნელობისა, იმის გაცნობიერება, რომ ნათქვამი ხშირად გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა.

3. 6. გრამატიკის ცოდნა (გრამატიკული კომპეტენცია კომპეტენციები 5.2.1.2)

გრამატიკის ცოდნა ძირითადად, დაკავშირებულია ჩვენს უნარებთან, სათანადოდ გავაერთიანოთ სიტყვები. ეს გულისხმობს სიტყვების განსხვავებული კატეგორიის ცოდნას, როგორცაა: არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და ა. შ.; აგრეთვე, იმის ცოდნას, თუ როგორაა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორ იცვლება ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად ზმნა, რომელიც აღნიშნავს წარსულ მოქმედებას), რა თანამიმდევრობით ლაგდება და ა. შ.

საკუთარ ენასთან მიმართებაში ასეთ ცოდნას ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, მაგრამ დიდა აღბათობა იმისა, რომ ძალზე კარგად ვიცოდეთ იმ ენის ფორმალური წესები, რომელსაც ვასწავლით. ასეთი ცოდნა ჩვენ უფრო გვაქვს, ვიდრე ადამიანებს, რომელთათვისაც ენა, რომელსაც ვასწავლით მშობლიურია. ასევე, შეიძლება ვამჩნევდეთ, რომ ჩვენი სტუდენტები პრობლემებს აწყდებიან გრამატიკის არასათანადოდ ცოდნის გამო. ბევრს დავობენ იმაზე, თუ რამდენად საჭიროა უცხო ენის გრამატიკის ფორმალურად ცოდნა კომუნიკაციისათვის. თუმცა, შემსწავლელებისათვის, ალბათ, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ ისინი ნამდვილად იყენებენ გრამატიკულ წესებს მშობლიურ ენაზე მაშინაც კი, როცა წესები საკმაოდ განსხვავდება ენის სტანდარტული წესებისაგან.

დავალება 3 გ: რამდენად იცნობთ საკუთარი ენის ფორმალურ წესებს

გადახედეთ შემდეგ ინგლისურ წინადადებებს:
ოლივერი გაემგზავრა კანადაში. ვინ წავიდა მასთან ერთად? როდის გაემგზავრა იგი? ის გუშინ არ წასულა.
ის ყოველთვის მოგზაურობს ორშაბათობით. მეუღლე თან არ დაჰყავს. მისი მეუღლე ცუდაა. სახლში რჩება? შეუძლია ცოტა ხნით დასვენება? სამწუხაროდ, ბავშვებს ვერ დატოვებს უმეთვალყურეოდ.
დაასახელოთ წესები, რომელთა მეშვეობითაც ხდება უარყოფითი და კითხვითი წინადადებების ფორმირება ინგლისურში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს წესები ეხებოდეს ყველა მოცემულ მაგალითს. სად გხვდება უარყოფითი ნაწილაკი, ზმნამდე თუ ზმნის შემდეგ? ყოველთვის ხდება ინვერსია კითხვით წინადადებებში? რომელი ნაწილაკები ექვემდებარება ინვერსიას?
გადახედეთ, როგორ ხდება ინგლისური ენის ვერბალური სისტემის დაუფლება შემსწავლელების მიერ, რაც ნაჩვენებია ცხრილში 1. შეგიძლიათ ახსნათ, რატომ ხდება ეს მაინცდამაინც ასე?

ნაწილი 4 – დავალებები და ტექსტები (კომპეტენციები 7,4 – 4.6)

4. 1. დავალებები

დავალება ყოველდღიური, არატექნიკური გაგებით, სამუშაოს ის ნაწილია, რომელიც ადამიანს შეუძლია იტვირთოს. დავალებები ყოველდღიური მრავალფეროვანი საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტია, რაც სრულდება საკუთარი თავისათვის ან სხვისთვის, თავისუფლად, ჯილდოს მისაღებად ან ვალდებულების გამო. დავალების მაგალითია: კბილების გამოხევა, თხზულების წერა და წიგნის თხოვება. მრავალი დავალების შესრულება, თუ უმეტესობის არა, მოითხოვს ენის ერთგვარ დამუშავებას. სწორედ ამ კუთხით განიხილავს დავალებებს *კომპეტენციების მე-7* თავი.

დავალების სათანადოდ შესრულება დამოკიდებულია ორ რამეზე: ჩვენთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახის კომპეტენციებსა და თვით დავალების სირთულესა და კომპლექსურობაზე. დაეუშვათ, რომ ვამზადებთ ომლექს. ეს დავალება რამდენიმე ქვეპუნქტისაგან შედგება, – რეცეპტის წაკითხვა, საჭირო ინგრედიენტების მოგროვება, კვერცხის გატეხვა და ათქვეფა, ტაფის გაცხელება და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დავალება ზომიერად კომპლექსურია.

ჩვენი უნარები შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ქვეპუნქტის მიხედვით. მაშინაც კი, როცა ომლექტის მომზადება არ ვიცით, შეიძლება კვერცხი კომპეტენტურად გავტეხოთ, თუმცა სხვა კომპეტენციები შეიძლება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ადამიანის ან ადამიანების სახით, რომლებიც გვეხმარებიან. ეს დავალება შესაძლოა გართულდეს დროის სიმცირის ან პროდუქტის შეფასების აუცილებლობის გამო. აქედან გამომდინარე, დავალების თავისთავადი სირთულე და ჩვენთვის ხელმისაწვდომი კომპეტენციები გადაამწყვეტ როლს თამაშობს იმაში, თუ როგორ შევასრულებთ მას. როცა დავალება წმინდა ენობრივია, თამაშში ერთვება წინა „ერთეულში“ ჩამოთვლილი ენასთან დაკავშირებული კომპეტენციები. როცა დავალება ეხება ენას, რომელსაც ვსწავლობთ, ჩვენი კომპეტენცია ამ ენაში (აგრეთვე, სხვა ენებშიც, თუ ეს უკავშირდება მოცემულ დავალებას) და ენის დამუშავების სირთულე დიდ ზეგავლენას იქონიებს მის შესრულებაზე. როგორც უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, კომუნიკაციაში მონაწილე ყველა ასპექტი თავისებურად ცვლის გამოყენებადი ენის ტიპს და მისი დამუშავების სირთულეს.

4. 2. ტექსტები

ენის პროდუცირებას თან ახლავს ჩვენგან დამოუკიდებელი ტექსტის პროდუცირება. როცა ვინმეს ვეჭორავებით, ჩვენი ნათქვამი ტექსტია ან უფრო დიდი ტექსტის ნაწილი მაინც, ისევე, როგორც ავტორის მიერ წერილობითი ფორმით მოწოდებული რომანი ან პოემა.⁸ ტექსტს დასამუშავებლად დებულობს ენის სხვა მომხმარებელი, ჭორაობისას ჩვენს მიერ ნათქვამ ტექსტს ამუშავებს ჩვენი მეგობარი და პირიქით. შეიძლება გვიწვედეს ტექსტის პროდუცირება ან რეცეფცია, ან ორივე ერთად, მაგრამ მისი დამუშავება უნდა ხდებოდეს კომუნიკაციაში მონაწილე ორივე პარტნიორის მიერ. ასე რომ, ყველაფერი, რასაც კოლეგები ერთმანეთს ეუბნებიან მატარებელში ან გზაზე სამსახურისაკენ, ტექსტია, მიუხედავად იმისა, რომ ბგერა პროდუცირებისთანავე ქრება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება მისი ჩაწერა). მატარებელში მყოფი სხვა ადამიანების საუბარიც (მათ შორის იმ გოგონასი, რომელიც ჩვენს წინ მობილურ ტელეფონზე საუბრობს) ტექსტია ისევე, როგორც რეკლამები, ჩვენს მიერ გამოყენებადი ბილეთი ან საშვი, განცხადებები და სიმღერის ტექსტი, რომელიც ნახევრად ისმის უკან მჯდომი ადამიანის ყურსაცვამებიდან.

კომპეტენციებში ნათქვამია: „ტექსტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ კომუნიკაციაში, ის არის გარე, ობიექტური კავშირი მის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის მიუხედავად იმისა, კომუნიკაცია პირისპირ მიმდინარეობს, თუ დისტანციურად“. ბუნებრივია, ერთი მხრივ, ტექსტის მიმღებსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობა და მეორე მხრივ, თვით ტექსტი იცვლება კომუნიკაციაში მონაწილე პარტნიორების მიხედვით. მეგობართან ჭორაობისას, ვმონაწილეობთ უფრო ვრცელი ტექსტის (ან საუბრის)

მონაკვეთების პროდუცირებასა და რეცეფციაში, მაშინ, როცა წერილის თარგმანისას ტექსტის ისეთი მიმღებისათვის, რომელიც სხვა ენაზე მეტყველებს, სათქმელი თითქმის არაფერი გვაქვს. ტექსტზე ზეგავლენას ახდენს მისი მატარებელი საშუალება. წერილობით ტექსტებში არ გამოიყენება ისეთივე ემფატიკა, როგორც სასაუბრო ტექსტებში. წერილობითი ტექსტებიც მრავალმხრივ განსხვავდება. *კომპეტენციები* ქვაზე ამოკვეთილი წარწერის გამძლეობას, ლაკონურობასა და სერიოზულობას ადარებს აეროგრამის ეფემერულობას.

ტექსტები და დავალებები დაკავშირებულია ბევრ ისეთ დავალებასთან, რომლებიც მოიცავს ტექსტების დამუშავებას, მაგრამ დავალების შესრულება ხშირად მოითხოვს ტექსტების შემდგომ პროდუცირებასაც. მიწოდებული ან მიღებული ტექსტის ტიპები საკმაოდ განსხვავებული იქნება კომუნიკაციის აქტის ისეთი ასპექტებიდან გამომდინარე, როგორცაა: კომუნიკაციის ადგილი, მონაწილე მხარეები, გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალება, ა. შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს მიერ შესრულებადი დავალებების უმრავლესობა მოიცავს გარკვეული სახის ტექსტს და ყველა ტექსტი მოიცავს ცალკეულ დავალებებს, შესაძლოა დეტალურად დაგვჭირდეს იმის განხილვა, თუ როგორი კავშირია დავალებებსა და ტექსტებს შორის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თვით შედარებით მარტივი დავალებაც კი, რაც გულისხმობს დილით სამსახურში წასვლას საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მოიცავს რამდენიმე ტექსტს: ავტობუსის ან მატარებლის განრიგს, დანიშნულების ადგილის სახელწოდებას, ავტობუსის / მატარებლის ბილეთს ან ტაღონს, ავტობუსის მძღოლთან ინტერაქციას, მისთვის მინიშნებას, რომ გაჩერდეს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსგავსი ტექსტები დამუშავებული გვქონდეს. მაგალითად, ბოლოს როდის წავიკითხეთ ის, რაც აღნიშნული იყო ჩვენი ავტობუსის ან მატარებლის ბილეთზე? თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტობუსით ან მატარებლით მგზავრობა სულ სხვა ჭრილში განიხილება, თუ ვიმყოფებით უცხო ქვეყანაში, რომლის ენა მაინცდამაინც კარგად არ ვიცით. ამ შემთხვევაში, ზემოხსენებული ტექსტებიდან ნებისმიერი შეიძლება სირთულის პოტენციური წყარო გახდეს და ჩვენ მოგვიწიოს დახმარების თხოვნა, ამ საკმაოდ ბანალური დავალების შესრულებამდე ან თვით შესრულების პროცესში.

4. 3. დავალებები და ტექსტები საკლასო ოთახში

საკლასო ოთახი სპეციალური ტიპის კონტექსტია, რომელშიც ხშირად ვხვდებით „რეალურ სამყაროს“ მოწვევით ტექსტებსა და დავალებებს. მოსწავლეებს, საკლასო ოთახის ფარგლებში, ყოველთვის არ აქვთ კონტროლი დავალებაზე, რომლის შესრულებაც მოეთხოვებათ და ტექსტებზე, რომელთა დამუშავებაც უწევთ. იგივე ითქმის სხვა საგნების გაკვეთილებთან მიმართებაშიც. გამონაკლისია მხოლოდ ენის თვითშესწავლა. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხები, სანამ თვით ენის გაკვეთილებს შევხებოდეთ მომდევნო პუნქტში.

4. 3. დავალება 4ა: საკლასო ოთახში გამოყენებადი დავალებებისა და ტექსტების გადახედვა.

წარმოვიდგინოთ ჩვეულებრივი გაკვეთილი ნებისმიერ საგანში, გარდა ენისა (მაგალითად, ისტორიის, ქიმიის, ხელოვნების და ა. შ.)

- ჩამოთვალეთ დავალებები, რომელთა შესრულებასაც ითხოვს ასეთი გაკვეთილი;
- თითოეულ დავალებასთან მიმართებაში, ჩამოთვალეთ დასამუშავებელი ტექსტები.
- დეტალურად შეისწავლეთ ერთ-ერთი ასეთი ტექსტი და გაარკვიეთ, რით ჰგავს ან რით განსხვავდება იგი,

ა) „რეალურ სამყაროში“ გამოყენებადი ტექსტებისაგან; ბ) ენის გაკვეთილზე გამოყენებადი ტექსტებისაგან;

- ჩამოთვალეთ დავალებათაგან რომელიმე თუ ჰგავს ენის გაკვეთილის დავალებას, მაგალითად, სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა?
- შემსწავლელებს დასჭირდებოდათ თუ არა მასწავლებლის დახმარება რომელიმე დავალების შემთხვევაში?

– როგორია ასეთი გაკვეთილის მიზნები და ამოცანები? ჰგავს ისინი ენის გაკვეთილის მიზნებსა და ამოცანებს?

4. 4. ტექსტები ახალ ენაზე

პირველ ერთეულში განხილული ენის ზოგიერთი ასპექტი, რამდენადაც სპეციფიკური აღმოჩნდა ენის შემსწავლელთათვის. მათ შორისაა თვით ენის შემსწავლელის როლი, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალ ენაზე კომუნიკაციისას, შემსწავლელებს უწევთ ზოგიერთი ისეთი დავალების შესრულება, რაც მშობლიურ ენაზე არ დასჭირდებათ. მაგალითად, მინიშნება, რომ ვერ გაიგეს, გამეორების ან დახმარების თხოვნა. მეორე ასპექტია საკლასო ოთახში არსებული ფიზიკური გარემო, სადაც ხდება ენის სწავლება. ასევე, აღინიშნა, რომ დავალებები, რომელთაც შემსწავლელები ასრულებენ ენის გაკვეთილზე, ხშირად განსხვავდება რეალურ ცხოვრებაში შესასრულებელი ან სხვა საგნების გაკვეთილების დავალებებისაგან, ეს იმით აიხსნება, რომ ენის გაკვეთილზე აქცენტი კეთდება ენის შესწავლაზე.

დავალებები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, წარმატებით შესრულებულად მიიჩნევა, თუ გაწეული სამუშაო სწორი აღმოჩნდა. ენა, ჩვეულებრივ, ერთერთი კომპონენტია დავალების წარმატებით შესრულებისათვის, მეორე მხრივ, ენის გაკვეთილზე თვით ენა განსხვავებულ როლს ასრულებს დავალებაში. შემსწავლელებისაგან ხშირად მოელიან არა მხოლოდ მოცემული დავალების შესრულებას, არამედ ენის ადეკვატურად და სწორად გამოყენებასაც. ეს ასეა იმ სასწავლო მიდგომებშიც, რომლებშიც ენის გაკვეთილის დავალებები მაქსიმალურადაა მიახლოებული რეალურ ცხოვრებისეულ დავალებებთან, გამომდინარე იქიდან, რომ მთავარი მიზანი ახალი ენის შესწავლაა. თვით ასეთი მიდგომის ჭრილშიც კი, აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ენის ფორმაზე, ისე დავალების შინაარსზე. ამგვარად, თუ საკლასო ოთახში სწავლება მიმდინარეობს დავალებაზე დაყრდნობით, საჭიროა დამყარდეს ერთგვარი ბალანსი დავალების სწორად შესრულებასა და მოთხოვნას შორის, რომელიც გულისხმობს შემსწავლელის მიერ ენის სათანადოდ შესწავლასა და გამოყენებას დავალების შესასრულებლად. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ახალი ენა ჩერდება მოცემულ ეტაპზე იმ მიზეზით, რომ შემსწავლელი მეტყუარადდება უთმობს დავალებებისათვის თავის წარმატებით გართმევას, თუნდაც ენის არაადეკვატური გამოყენებით. ზოგიერთ საკლასო ოთახში მთელი აქცენტი ენის ფორმებზე გადაიტანება და მათთან დაკავშირებულ დავალებებს შეიძლება არანაირი საკომუნიკაციო დანიშნულება არ გააჩნდეს. ამ შემთხვევაში, შემსწავლელმა შეიძლება ისწავლოს ფორმები, მაგრამ ვერ შესძლებს მათ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

დავალების ტიპს უკავშირდება ენის გაკვეთილზე გამოყენებადი ტექსტის ტიპიც. იგი შეიძლება იყოს ავთენტური – შექმნილი, უპირველეს ყოვლისა, რეალური კომუნიკაციისათვის და არა ენის შემსწავლელისათვის და დაყოფილი დონეების მიხედვით – გათვლილი ამა თუ იმ დონეზე მყოფ შემსწავლელზე.

დავალება 4ბ. ენის კლასში გამოყენებადი დავალებებისა და ტექსტების გადახედვა

დაუკვირდით თქვენს მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებულ ენის გაკვეთილს.

- შეადარეთ იმ დავალებათა სია, რომელთა შესრულებაც მოუწიათ თქვენს სტუდენტებს ამ გაკვეთილზე;
- თითოეულ დავალებასთან მიმართებაში, აღნიშნეთ ის ტექსტები, რომელთა დამუშავებაც მოუწიათ მათ.
- დეტალურად განიხილეთ რომელიმე ტექსტი და გაარკვიეთ, რით ჰგავს ან რით განსხვავდება იგი
 - ა) რეალობაში გამოყენებადი ტექსტებისაგან; ბ) სხვა საგნის გაკვეთილზე გამოყენებადი ტექსტებისაგან.
- მოიცავდა ეს დავალებები რეალურ კომუნიკაციას მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი ენის ფორმებზე კეთდებოდა?
- ამ დავალებათაგან რომელიმე იყო გათვლილი მთლიანად, ენის ფორმებზე?
- როგორი იყო გაკვეთილის ზოგადი მიზნები და ამოცანები? რამდენად შესაძლებელი იყო მათი შედარება სხვა საგნის გაკვეთილის მიზნებსა და ამოცანებთან?

როგორ მიდგომასაც არ უნდა იყენებდეთ ენის კლასში, მთავარია, თქვენმა მოსწავლეებმა შესძლონ რეალური დავალებების შესრულება ახალ ენაზე.

ნაწილი 5 – ენის სწავლა და სწავლება (იხ. კომპეტენციები 6.1. / 7.3.1)

კომპეტენციების მე-6 თავი აერთიანებს ყველა წინა თავს, უბრუნდება მთელ რიგ განხილულ საკითხებს და უკავშირებს მათ სწავლის კონტექსტს. აქ წამოყენებული საკითხი განიხილავს, თუ ენის კლასი რამდენად ესმარება შემსწავლელებს „კომუნიკაციისათვის საჭირო დავალებების, აქტივობებისა და პროცესების შესრულებასა და კომპეტენციების განვითარებაში“. მეტყველების კუთხით, მათ უნდა ესწავლათ მე-2 თემაში ჩამოთვლილი სხვადასხვა კომპეტენციები, უნდა დაუფლებოდნენ უნარს, ამ კომპეტენციების სასაუბრო და წერილობითი ტექსტების პროდუცირებასა და რეცეფციაში გამოსაყენებლად, აგრეთვე, უნარს, რაც გულისხმობს კომუნიკაციისათვის სათანადო გეგმის შემუშავებას, შესრულებას, მონიტორინგსა და შესწორებას.

გზამკვლევის დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, რომ *კომპეტენციები* უბრუნველყოფს ყველა ჩამოთვლილი უნარების გამოყენების დესკრიპტორებს დონეების მიხედვით. ეს იძლევა შემსწავლელების შეფასებისა და თვითშეფასების საშუალებას. ასევე, განსაკუთრებით, საინტერესო და მასტიმულირებელია პლურილინგვიზმის განხილვა *კომპეტენციებში*, რაც ორიგინალში უნდა იქნეს წაკითხული. (ფაქტიურად, მთელი მე-6 თავი დიდი ყურადღებით უნდა იქნეს წაკითხული).

შემსწავლელებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ არ სჭირდებათ ყველა ზემოხსენებული ასპექტის გათვალისწინება და ამჯობინონ კომუნიკაციის მხოლოდ ცალკეული ასპექტებით შემოფარგვლა. მაგალითად, ისინი შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ მაინცდამაინც არ საჭიროებენ ახალ ენაზე საუბარს და შემოიფარგლონ მხოლოდ წერა-კითხვით. მაგრამ, ისინი აუცილებლად შეამჩნევენ, რომ ენის სხვადასხვა ასპექტები ერთმანეთთან კავშირშია და მათი სწავლა უფრო პროდუქტიული იქნება, თუ მოხდება ყველა მათგანის მხედველობაში მიღება. მაგალითად, სიტყვების გამოთქმის უნარი აადვილებს მათ დამახსოვრებას (იხ. პუნქტი სიტყვების ცოდნაზე) და ასევე, შეიძლება გააუმჯობესოს ჩუმი კითხვის უნარი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ყველამ თავად უნდა მიიღოს, საჭიროების მიხედვით და მასწავლებელთან კონსულტაციის გზით.

მე-6 თავში წამოჭრილია ენის შესწავლასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხიც. თავდაპირველად, მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, ენის დაუფლება ხდება ქვეცნობიერად თუ იგი გაცნობიერებულად ისწავლება. მშობლიურ ენას, მეტწილად, ქვეცნობიერად ვეუფლებით. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგივე ხდება სხვა ენების შემთხვევაშიც, რომ საჭიროა უბრალოდ ენასთან ურთიერთობა და მისი დაუფლება ჩვენს უნარს მიღმა ხდება. ერთი ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ენის ფორმალური შესწავლა არ უწყობს ხელს მის განვითარებას. სხვანი ფიქრობენ, რომ მხოლოდ ურთიერთობა საკმარის არ არის; ენის განვითარებისათვის საჭიროა აქტიური მონაწილეობა ინტერაქტიულ კომუნიკაციაში. არსებობს კიდევ ერთი, უკიდურესად განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, ლექსიკური მარაგის ათვისება და გრამატიკული წესების სწავლა საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა მოცემული ენა გამოიყენოს კომუნიკაციისათვის, საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებისა და შემსწავლელების უმეტესობა შუალედურ პოზიციას დაიკავებს და ეცდება მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დავალებებითა და ტექსტებით სარგებლობას. თუმცა, დასაშვებია, რომ რომელიმე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება სავსებით ემთხვეოდეს ცალკეულ შემსწავლელების პოზიციას ახალ ენასთან მიმართებაში.

ენის სწავლით თითოეულ ასპექტთან მიმართებაში, *კომპეტენციები* გვთავაზობს მრავალ შესაძლო მიდგომას შესწავლისა და სწავლებისადმი, დაწყებული სიტყვების მექანიკური შესწავლით, დამთავრებული ისეთი დამახსოვრებით, რასაც ავთენტიკურ მასალებთან ურთიერთობა განაპირობებს; აგრეთვე, დაწყებული გრამატიკის შესწავლით ფორმალური ახსნის დონეზე, დამთავრებული ენის ათვისებით კითხვისა და მოსმენის გზით. ეს არ არის საკითხიდან გადახვევის მცდელობა, არამედ იმის აღიარებაა, რომ შემსწავლელები განსხვავდებიან და ის, რაც ერთისათვის შესაფერისია, აუცილებელი

არ არის მიესადაგებოდეს მეორესაც, ან ის, რაც შემსწავლელს გამოადგება ერთ შემთხვევაში, არ ნიშნავს იმას, რომ ამით სარგებლობა მეორეჯერაც წაადგება.

ამ განყოფილებაში მთელი აქცენტი გადატანილია ახალი ენის შესწავლაზე (და სწავლებაზე). პირველი ნაწილი ეხება ენის დაუფლებას ნატურალისტურად; მეორე ნაწილი განიხილავს ენის სწავლის ორგანიზებას და მესამე – გვთავაზობს რამდენიმე პრაქტიკულ წინადადებას ენების შესწავლის მხრივ.

5. 1. სიტყვების სწავლა

მე-3 განყოფილებაში ენის კომპეტენცია განხილული იყო რამდენიმე სათაურის მიხედვით. ერთ-ერთი უმთავრესი კომპეტენცია, რომელიც გაგვაჩნია, არის სიტყვების ცოდნა. უკვე ვახსენეთ, მშობლიურ ენაზე სიტყვათა ცოდნის სხვადასხვა დონეები. უცხო ენაზე სიტყვების ცოდნა უკიდურესად ცვალებადია. ამიტომ საკითხს ასე ვაყენებთ, თუ როგორ ვსწავლობთ სიტყვებს.

როგორ ხდება ლექსიკური მარაგის ათვისება? პირველ ენასთან მიმართებაში, არსებობს ორი მოსაზრება. პირველის თანახმად, სიტყვების შესწავლა უნდა ხდებოდეს ბუნებრივად, კონტექსტში, მაშინ როცა, მეორე მოსაზრება ემხრობა სიტყვების ფორმალურ სწავლებას, განსაკუთრებით, სუსტი შემსწავლელების შემთხვევაში. კვლევიით მიღებული შედეგები ორივე მათგანს ამართლებს. ერთი მხრივ, ლექსიკური მარაგის გაზრდა ხდება კითხვის საშუალებით, მაგრამ ზრდის მასშტაბი მცირეა; სიტყვები ნელა მიუყვება ბოლო თემაში აღწერილ კონტინუუმს. თუმცა, რაც უფრო მეტს კითხულობს შემსწავლელი, მით უფრო ჩქარდება ეს პროცესი და მით უფრო იზრდება კონტინუუმზე სიტყვების რაოდენობა. მეორე მხრივ, ლექსიკის ფორმალური სწავლებაც პროდუქტიულადაა მიჩნეული, განაპირობებს რა ძირითადი სიტყვების დაჩქარებულ მოძრაობას კონტინუუმზე. კერძოდ, მიკვლეულია, რომ ლექსიკის ათვისება უფრო სწრაფად ხდება, როცა იგი სემანტიკურ სფეროებში ისწავლება, ისეთი სახის ტექსტებით, რომელთა წაკითხვა შემსწავლელს უნდა შეეძლოს. შესაბამისად, ლექსიკური მარაგის განვითარების ყველაზე უფრო ეფექტური გზა, როგორც ჩანს, ორივე მეთოდის კომბინირებაა. იდეალური ვარიანტია, სიტყვის პირდაპირ სწავლებას დაერთოს ციტატები ამავე სიტყვის გამოყენებით, რაც გაადვილებს ცნობას და შემდეგ აზრის ჩამოყალიბებას მის სინტაქსურ ასპექტთან დაკავშირებით.

5. 2. გრამატიკული სისტემის სწავლა

კომპეტენციებში აღნიშნულია, რომ ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა მკვლევარებს შორის ენების წავლის თაობაზე. ამ მხრივ არსებობს მრავალი თეორიული პოზიცია. თუმცა, მოიპოვება საკმაოდ მოცულობითი მონაცემებიც ენის დაუფლების ფაქტებზე და იმ საშუალებებზე, რომელთაც შემსწავლელები იყენებენ ენის შესწავლისას (დაუფლებისას). ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ მკვლევართა მოღვაწეობის ცალკეული შედეგები და შემოგთავაზოთ მათი განხილვა ჩვენს გამოცდილებასთან შედარებით, რათა ვნახოთ, რამდენად შეესაბამება კვლევითი შედეგები ჩვენსას.

კვლევების უმეტესობა ენის დაუფლების მხრივ, გამოყოფს შემსწავლელთა ორ კატეგორიას: შემსწავლელს, რომელიც ბუნებრივ კონტექსტში სწავლობდა, ანუ საუბარია ისეთ შემსწავლელზე, რომლებიც ენას სწავლობენ მხოლოდ მასთან ურთიერთობის გზით იმ ქვეყანაში, სადაც მოცემულ ენაზე მეტყველებენ. შემსწავლელთა ეს ტიპი საკმაოდ განსხვავდება ჩვენი შემსწავლელებისაგან (ისინი სწავლობენ საკლასო ოთახში, იმ ქვეყანაში, სადაც მოცემულ ენაზე არ მეტყველებენ). მიუხედავად ამისა, შემსწავლელთა პირველ კატეგორიასთან მიმართებით ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მათი სწავლაც ადეკვატურია რამდენიმე გაგებით, რასაც შემდგომ განვიხილავთ. ადრეულ ეტაპებზე მათი საუბრის მიხედვით შემუშავდა ზოგადი ნიმუშები.

ქვემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები უცბად კი არ ჩნდება, არამედ დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდება. ასეთი პროგრესირების ყველაზე გასაოცარი მხარე ის არის, რომ ერთი შეხედვით ადვილად გასაგები თავისებურებანი, როგორცაა წესიერი – ed-იანი წარსული დრო და მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნიშანი – s, საკმაოდ გვიან იჩენს თავს. მოცემული ენის მატარებელი ადამიანები ვერც

კი აცნობიერებენ, თუ რამდენად ჩახლართულია ეს ფორმები: ისინი გვხვდება მხოლოდ მტკიცებით ფორმაში; კითხვისა და უარყოფით ფორმებში ზმნები „მუნჯ“ დაბოლოებას ღებულობს.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს თავისებურებები ენის კლასშიც იჩენს თავს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკლასო ოთახში ენას იმავენაირად სწავლობენ, როგორც უცხო ქვეყანაში ცხოვრებისას. უმეტესობა ამ მოსაზრებას მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმება, რადგან მიიჩნევს, რომ ფორმალურ სწავლას აქვს მნიშვნელობა. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ჩვენს შემსწავლელებს შეუძლიათ თქვან, თუ რამდენად მართლდება ეს მოსაზრება მათ შემთხვევაში.

ცხრილი 1:

მეორე ენაზე გრამატიკული განვითარების რამდენიმე ზოგადი ნიმუში (თქვენ შეიძლება მოისურვოთ ამ ცხრილის ფოტოასლის გადაღება საკუთარი სტუდენტებისათვის და მათგან კომენტარის მიღება მათივე გამოცდილებიდან გამომდინარე)
ამ ცხრილს ეხება სამუშაო ფურცელი 5

საწყისი ეტაპი:

ძირითადი პრობლემა სიტყვებია; შემსწავლელს არ აქვს სიტყვათა საკმარის მარაგი და ხშირად ეს იწვევს კომუნიკაციის რღვევას;

შემსწავლელს ყველა ნაცნობი სიტყვა ერთად აქვს თავმოყრილი. არ იცის მაკავშირებელი სიტყვების გამოყენება და ისეთი ცვლილებების გათვალისწინება, როგორიცაა, მაგალითად, მხოლობითი რიცხვის მესამე პირში ინგლისური ზმნის საწყის ფორმაზე – s-ის დართვა, ხოლო წარსულ დროში -ed დაბოლოების გამოყენება; საერთოდ საწყის ეტაპზე ზმნა ბევრი არ არის.

ნათქვამი მაქსიმალურად პირდაპირი წყობისაა; მაგალითად ამბის მოყოლისას, დაცულია მომხდარი მოვლენების ზუსტი თანამიმდევრობა.

შემსწავლელი ძალზე დამოკიდებულია იმ ადამიანზე, ვისაც ესაუბრება, ელის რა მათგან დახმარებას სიტყვების მიწოდებისა და მისი ნათქვამის გაგების მხრივ.

საშუალო დონე:

გრამატიკული თავისებურებანი ეტაპობრივად ვითარდება, მაგალითად ინგლისურში,

- ჩნდება აწმყო განგრძობითი დროის – ing ფორმა, to be („ყოფნა“) ზმნის გარეშე;
- ჩნდება ზოგიერთი წარსული დრო (ძირითადად, არაწესიერი);
- უმეტესობა ზმნების შემთხვევაში, უარყოფითი ფორმა გამოიხატება ზმნის წინ no, not და don't-ის გამოყენებით, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს უარყოფითი ფორმის სწორად გადმოცემას მოდალური ზმნების და to be ზმნის გამოყენებით. მაგალითად, can-not, is not.

- კითხვები ფორმირდება ინვერსიის გარეშე, გამონაკლისია მოდალური ზმნები და ტო ბე ზმნა.

უფრო მაღალი დონე:

პროგრესირებს რა შემსწავლელი, ეტაპობრივად სულ უფრო მეტად აკონტროლებს სისტემის სხვადასხვა ნაწილებს. მაგალითად ინგლისურში.

- უარყოფითი ფორმა სწორად გამოიხატება მოდალური ზმნებითა და to be ზმნით; გავრცელებას იწყებს do-ს გამოყენება ძირითადი ზმნების უარყოფითი ფორმის საწარმოებლად – he does not comes, hi did not came. მოგვიანებით ჩნდება სწორი ფორმებიც, he does not come, hi did not come.

- კითხვები ინვერსიულია, გამოიყენება დამხმარე ზმნა do;

- წარსული დროის წესიერი – ed დაბოლოება და მხოლობითში მესამე პირის ნიშნის (s) სწორად გამოყენება.

5. 3. როგორ ხდება ენის სწავლის ორგანიზება

პირველი განყოფილების დასაწყისში გავეცანით, სხვაობას კომუნიკაციასა (მისი მრავალფეროვანი ასპექტებით) და მისი რეალიზებისათვის საჭირო საშუალებებს შორის.

ამ ეტაპზე შევიტყობთ, რომ ბევრი ასპექტი მკვეთრად არ იცვლება ორ ენასთან მიმართებაში. ასე რომ, შემსწავლელის ცოდნის დიდი ნაწილი და ბევრი უნარი ახალ ენაშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, ერთადერთი, რაც შემსწავლელმა უნდა აითვისოს, არის ახალი საშუალებები, იმისათვის, რასაც საკუთარ ენაზე უკვე აკეთებს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ენის ერთი და იგივე თავისებურებანი თავს იყრის ყველა სახის საკომუნიკაციო თავისებურებათა გათვალისწინებით, იგი შეზღუდულია იმისდა მიხედვით, რის საშუალებასაც მოცემული ენა იძლევა. ერთი მარტივი მაგალითი ნათელს მოჰყენს ამ საკითხს. იმისათვის, რომ ინგლისურ ენაში ვაწარმოოთ კითხვითი ფორმა *wh-სიტყვების* გამოყენებით (*who, what, when, where, how*. და ა.შ) კითხვით სიტყვას ვსვამთ წინადადების თავში და თუ იგი ქვემდებარე არ არის, ხდება ზმნისა და ქვემდებარის ინვერსია. საჭიროებისამებრ, ინვერსიისათვის გამოიყენება დამხმარე ზმნა *do*. ამგვარად, შეკითხვაში *what did he eat? What-მა* გადაინაცვლა წინადადების თავში, გამოყენებულ იქნა დამხმარე *do* და ქვემდებარე *ჰე-მ* და დამხმარე ზმნამ ინვერსია განიცადა (აგრეთვე, ყურადღება მიაქციეთ, რომ მთავარი ზმნის წარსული ფორმა ატე გადავიდა ნეიტრალურ ფორმაში *eat*). ეს წესები უცვლელი იქნება, მიუხედავად კომუნიკაციის აქტის თავისებურებებისა. ასე რომ, მისაღმებას ასეთი ფორმა ექნება *How are you?* ან უფრო ფორმალურ შემთხვევაში – *How do you do?* დახმარება შეგვიძლია ასე ვითხოვოთ *How do you fix this?* მიმართულებას ასე გავარკვევოთ *How do I get to the city centre?* სამი სრულიად განსხვავებული საკომუნიკაციო მოვლენა ენის ერთსა და იმავე სტრუქტურას ითავსებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ის სისტემაა, რომელიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია თვით გამოყენებადი ენისაგან. ის, რის სწავლაც გვიწევს, უმეტესად სისტემას ეხება – სიტყვებს და წესებს სიტყვების დასაღლაგებლად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ახალი ენის სწავლასთან მიმართებაში, ორი ძირითადი მიდგომა იკვეთება: ა) თავდაპირველად, სისტემის შესწავლა (ენის ფორმები და წესები) და შემდეგ მათი გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო შემთხვევებში; ან ბ) თავდაპირველად, ცალკეული საკომუნიკაციო აქტების განხორციელების სწავლა და შემდეგ შესწავლილი ენის სისტემის მისაღლაგება ახალ სიტუაციებთან. პირველი მიდგომის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვსწავლობთ ისეთ რამეს, რაც გამოყენებადი მრავალნაირ კონტექსტში, მაგრამ ნაკლოვანება ის არის, რომ რეალურად არ ვიცით, როგორ ავაგოთ საკომუნიკაციო მოვლენა სტრუქტურული თვალსაზრისით. მაგალითად, შეიძლება მოვახერხოთ კითხვის დასმა, მაგრამ ვერ გავარკვიოთ მიმართულება, ან შეიძლება მოვახერხოთ საუბარი მანქანებზე, მაგრამ არა კომპიუტერებზე. მეორე მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ ვიცით, როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ საკომუნიკაციო შემთხვევაში (მაგალითად, მაღაზიაში ტანსაცმლის შეძენისას, პატარა ინციდენტისათვის ბოდიშის მოხდა), მაგრამ მას აქვს ნაკლოვანი მხარეც, კერძოდ, რთულია იმის ცოდნა, თუ რა და რა მოცულობით უნდა მოვარგოთ ახალ სიტუაციებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ენის ზოგადი პრინციპები საფუძვლიანად ვერ შევისწავლოთ.

არსებობს მესამე მიდგომაც: მივცეთ საკუთარ თავს ენასთან შეხების უფლება, გამოვიკვლიოთ იგი, ვცადოთ კომუნიკაციის დამყარება, ჩავატაროთ მასზე ექსპერიმენტი, ეტაპობრივად ავაგოთ „ჩვენი საკუთარი“ ენა, წესებისა და სისტემის შესწავლის გზით, შევადაროთ საკუთარი შენიშვნები სხვა შემსწავლელების, მასწავლებლებისა და მოცემული ენის მატარებელთა შენიშვნებს. მეოთხე მიდგომა გულისხმობს ენის სწავლას სხვა საგნის საშუალებით, შეტყობინებაზე ან შინაარსზე კონცენტრირებით, ნაკლები აქცენტის კეთებით ფორმაზე. ენის შემსწავლელები სხვადასხვა მიდგომით ისარგებლებენ, მაგრამ ალბათ ადეკვატური სწავლა მოითხოვს სამივე ან ოთხივე მიდგომის კომბინირებას. როგორც არ უნდა იყოს შერჩეული მიდგომა, შემსწავლელებმა უნდა გაითვალისწინონ ის ზოგადი კურსი, რომელსაც უმეტესობა მიჰყვება.

დასაწყისისათვის, კარგი იქნება, საკუთარ მოთხოვნათა გაანალიზება, რაც გულისხმობს იმ სიტუაციებისა და როლების განსაზღვრას, რომლებიც კონკრეტული შემსწავლელებისათვის შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს ახალი ენის გამოყენებისას. ასევე, უნდა შემუშავდეს დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოინდომებს კონკრეტული შემსწავლელი, განისაზღვროს თემები, რომლებთან ურთიერთობასაც იგი მოისურვებს, მისი კომუნიკაციაში მონაწილეობის სახე და საამისოდ გამოსაყენებელი საშუალებები. ყოველ შემსწავლელს განსხვავებული მოთხოვნები აქვს. მათი დადგენა შემსწავლელის პერსონალიზაციაა. სტუდენტებს, მასწავლებლებთან ერთად, შეუძლიათ განიხილონ ოფიციალური მითითებები და მიზნები და დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება საკუთარი, პერსონალური სასწავლო გეგმის შემუშავება ოფიციალური გეგმის ფარგლებში.

ამის შემდეგ, მათ შეიძლება სთხოვონ მათ მიერ გამოყენებადი სახელმძღვანელო გადახედვა, მისი ორგანიზების პრინციპის დასადგენად, ამ მხრივ, გაკვეთილების ან განყოფილების სახელწოდებები, ჩვეულებრივ, ინსტრუქციული ხასიათის მატარებელია. ესება თუ არა ისინი სიტუაციებს (მაგალითად „ბანკში“) ან დავალებებს (მიმართულების გარკვევა) ან თემებს (შინაური ცხოველები), ან ენას როგორც სისტემას (აწმყო დრო). ალბათ, ყოველი გაკვეთილის ან განყოფილების შემდეგ, სტუდენტები მიაკვლევენ შინაარსის შეჯამებასაც. როგორ არის იგი მოცემული? მათ შეუძლიათ მოთხოვნები შეადარონ სახელმძღვანელოში გაშლილ საკითხებს.

ჩატარებული ანალიზი მათ წარმოადგენს შეუქმნის საკუთარ მოთხოვნებზე, მაგრამ შესაძლოა გამოადგეთ ენის სხვა ასპექტების გადახედვაც. ზოგჯერ, კარგია ისეთი რამის სწავლაც, რაც საკუთარი მოთხოვნების რიცხვში არ არის. მაგალითად, შეიძლება წერა და დამარცვლა მათთვის მნიშვნელოვან ელემენტებს არ წარმოადგენდეს, მაგრამ ურიგო არ იქნება, სიტყვების წერილობითი ფორმების გადახედვა, მათი უკეთ დამახსოვრების მიზნით. ასევე, შესაძლებელია მათ ენა მხოლოდ კითხვის თვალსაზრისით სჭირდებოდეთ, მაგრამ გამოთქმის გადახედვა მახსოვრობას წაადგებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენის სწავლას შეიძლება თან სდევდეს მოთხოვნათა შეცვლა და ამიტომ დროდადრო უნდა ხდებოდეს მათი გადამოწმებაც. მაგალითად, საწყის ეტაპზე მყოფი შემსწავლელი შეიძლება ძალზე კმაყოფილი იყოს ისეთი გამოთქმით, რომელსაც ბევრი უკლია ენის მატარებლის გამოთქმამდე, მაგრამ რაც უფრო გახშირდება ურთიერთობა ასეთ ადამიანთან, შემსწავლელმა შესაძლოა უხერხულობა იგრძნოს საკუთარი გამოთქმის გამო და მიიჩნიოს, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს ბევრით სისტემაზე.

5. 4. რამდენიმე პრაქტიკული წინადადება ენის შესწავლის კუთხით

ამ განყოფილების შესავალში აღინიშნა, რომ მკვლევრებს შორის ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა ენის სწავლის თაობაზე. ვერც მასწავლებლები და კურსის მასწავლებლის ავტორები თანხმდებიან, თუ რომელია საუკეთესო გზა ენის შესასწავლად. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, ობიექტურად განვიხილოთ სწავლასთან მიმართებაში არსებული განსხვავებული მიდგომები. შემდეგი ზოგადი საკითხები ნამდვილად იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

შემსწავლელებმა უნდა მიმართონ სხვადასხვა ხერხს ლექსიკური მარაგის ასათვისებლად. ისინი არ უნდა ფიქრობდნენ, რომ სიტყვები ერთხელ და სამუდამოდ ისწავლება. სიტყვებს სამუდამო ადგილი რომ მიუზღინოთ მეხსიერებაში, საჭიროა ინტენსიური მუშაობა. ამ მხრივ შემუშავებულია შემდეგი წინადადებები:

მიჩნეულია, რომ ენის შესწავლის ადრეულ სტადიაზე მნემონიკის გამოყენება ძალზე სასარგებლოა; შემსწავლელებს შეუძლიათ შეისწავლონ მათ მიერ სიტყვების დასამახსოვრებლად გამოყენებადი მნემონიკა და შეადარონ იგი სხვებისას. მნემონიკას უზრუნველყოფს მასწავლებელი ან იგი იქმნება თვით შემსწავლელების მიერ, თანაც, რაც უფრო უჩვეულოა იგი, მით უფრო გამოსადეგია.

თუ სიტყვები სემანტიკურ კრებულში ისწავლება, ურიგო არ იქნება, მათი სხვადასხვა კუთხით კატეგორიზაცია. ასე მაგალითად, თუ ვცდილობთ ვისწავლოთ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვები, მათი კატეგორი-

ზაცია შესაძლებელია შემდეგნაირად: სიქარის მიხედვით, ბორბლების რაოდენობის მიხედვით, მათ მიერ გამოწვეული დაბინძურების ხარისხის მიხედვით, ზომის ან ანბანური წყობის მიხედვით და ა. შ. როცა ეს აქტივობა ჯგუფში სრულდება, იწყება კამათი მოცემული სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლების ირგვლივ, ამას თან სდევს სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობებით გამოყენება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ დამახსოვრებას¹¹.

თუ სასწავლია ტექსტის ძირითადი სიტყვები, მათი დაყოფა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ვინ (ადამიანები), რა (საგნები და მოვლენები), სად (ადგილები), როდის (დრო), თუ ამ ყველაფერს ვენის დიაგრამის სახეს მივცემთ, ვნახავთ, რომ ზოგიერთი სიტყვა სემანტიკური კრებულების გადაკეთაზეც გვხვდება. შემდეგ, კარგი იქნება ცალკეული სიტყვების ამოკრება და მათი სხვა სიტყვებთან მისადაგების ცდა. დაბოლოს, შემსწავლელებს შეიძლება სთხოვონ ამ სიტყვების გამოყენება ტექსტის ჩონჩხის ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლო სცენარის ასაგებად. ეს იქნება ერთგვარი მზადება ტექსტის ორიგინალზე სამუშაოდ.

აღნიშნული წინადადებები გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ ახალი სიტყვები საჭიროებს ინტენსიურ დამუშავებას, თუ გვსურს მათი სამუდამოდ დამახსოვრება. შემოთავაზებული წინადადებების ბოლო ნაკრები, რომელიც ეხება სიტყვებს ტექსტიდან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენის შესწავლის ადრეულ სტადიაზე გამომდინარე იქიდან, რომ დამწვებ შემსწავლელებს გაუადვილებს აზრის წვდომას მარტივი ტექსტების კითხვისას. იგი აერთიანებს ბუნებრივ კონტექსტში არსებულ ცალკეულ სიტყვებზე ინტენსიური მუშაობის ორ მახასიათებელს.

შემსწავლელებს უფრო მეტი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ახალ ენასთან. თუ გამოვთვლით საათების რაოდენობას, რომელიც ეთმობა საკლასო ოთახის ფარგლებში ენის შესწავლას, შევამჩნევთ, რომ იგი ძალზე მცირეა. შემსწავლელების ურთიერთობა ენასთან ბევრად უფრო ინტენსიური იქნებოდა იმ ქვეყანაში, სადაც მოცემულ ენაზე მეტყველებენ. ხშირად, საკლასო ოთახში ენის სწავლა საკვების ცალ-ცალკე ლუკმებად მიღებას ჰგავს; შემსწავლელების მიერ მიღებული უღუფა მცირეა. ამიტომ, ისინი ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას უნდა მიმართავდნენ, საკლასო ოთახის ფარგლებს გარეთ ენის გამოყენების ინტენსიფიკაციისათვის.

ისინი მრავალმხრივ უნდა იყენებდნენ ენას, რეცეფციული პროცესის საშუალებით, ამ ენის მატარებლებთან ურთიერთობაში¹². თუ შემსწავლელებს არ აქვთ უშუალო კონტაქტი მოცემული ენის მატარებლებთან, ენის მრავალმხრივი გამოყენება შეიძლება დაყვანილ იქნეს რეცეფციულ პროცესამდე (მოსმენა და კითხვა). რეცეფციული დამუშავება მათ უზრუნველყოფს ძალზე მნიშვნელოვანი ენობრივი მონაცემებით. მე-4 *ერთეულში* ვნახეთ, რომ უცხო ენაზე ტექსტის კითხვისას, თუ თემა ნაცნობია, სიტყვები და გრამატიკა უფრო ადვილად გასაგები ხდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემსწავლელები მაშინვე შესძლებენ ამ სიტყვებისა და გრამატიკის სწავლას, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ შემსწავლელს ურთიერთობა ჰქონდა მათთან კონტექსტში, ფორმალურ შესწავლას უფრო მრავალმხრივი ხასიათი ექნება. კითხვა, რადიოს მოსმენა და ტელევიზორის ყურება ნებისმიერი ენის სასწავლო პროგრამის ძირითადი ნაწილი უნდა იყოს.

ისინი მრავალმხრივ უნდა იყენებდნენ ენას, პროდუქტიული და ინტერაქტიული დამუშავების გზით, ამ ენის მატარებლებთან ურთიერთობაში. თანამედროვე ტექნოლოგიის წყალობით, ბევრი შემსწავლელისათვის უკვე შესაძლებელია მოცემული ენის მატარებლებთან უშუალო კონტაქტში შესვლა. აღარ არის საჭირო ლოდინი იმ ქვეყანაში მოსახვედრად, სადაც ამ ენაზე მეტყველებენ ან საკუთარ წერილზე პასუხის ცდა კონტაქტის დასამყარებლად. უკვე შესაძლებელია თანატოლებთან და მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანებთან ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობა. ეს ნამდვილად შეიტანს ცვლილებას ენის შესწავლაში, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ ენის სოციალურ ასპექტებთან ურთიერთობა გაადვილდება.

ისინი უნდა დაფიქრდნენ, თავად როგორ სწავლობენ ენას. ენის შესწავლის პროცესში იმის გაცნობიერება, თუ რას აკეთებ, მიხნეულია, რომ სწავლაში გეხმარება. გამოყენებად სტრატეგიებზე დაფიქრება და მათი პროდუქტიულობის შეფასება, შემსწავლელებს მათი შეცვლის ან გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. სწავლასთან

მიმართებაში ერთგვარი დღიურის წარმოება, საკმაოდ ეფექტური იქნება. ამ მხრივ - ი შესანიშნავი ინსტრუმენტია.

ხშირ შემთხვევაში, როცა სწავლა საკლასო ოთახის ფარგლებში მიმდინარეობს, შემსწავლელები აქტიურად ვერ მონაწილეობენ ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც განსაზღვრავს, რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს. მასწავლებლები, კურსის სახელმძღვანელოები, სილაბუსები და გამოცდები გეკარნახობს, რა უნდა ისწავლებოდეს, თუმცა თვით სწავლა მხოლოდ შემსწავლელების საქმეა. საბოლოო ჯამში, მხოლოდ მათ შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რა იქნება მათთვის საუკეთესო ვარიანტი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილებათა მისაღებად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივაც ELP-ი ძალზე გამოსადეგი ინსტრუმენტია.

ჩამოთვლილი საკითხების განხილვის შემდეგ, ისინი უნდა დაფიქრდნენ საკუთარ თავზე, როგორც შემსწავლელზე, რომ შესძლონ სამომავლოდ გადაწყვეტილებათა მიღება.

კითხვები, რომლებიც მოითხოვს დაფიქრებას:

ლექსიკა

შემსწავლელთა მიერ ასათვისებელი ლექსიკური მარაგი შესასრულებლად აუცილებელი პირობაა, თუ განსაზღვრულ თემებშია გაშლილი?

რა კრიტერიუმები განსაზღვრავს არჩევანს წინა შეკითხვასთან მიმართებაში?

ლექსიკურ მარაგს რეცეფციის / პროდუცირებისათვის რა სახით წარადგენთ?

რა სახისაა და რა მოცულობისაა სხვადასხვა დონეებზე შესწავლილი ლექსიკა და როგორ უნდა მოხდეს მისი ათვისება რეცეფციის / პროდუცირებისათვის?

რა საშუალებებით ხდება მნიშვნელობის მიწოდება შემსწავლელებისათვის ან პირიქით, მნიშვნელობის გადმოცემა მათ მიერ: თარგმანი, დეფინიცია / განმარტება პირველი და მეორე ენების ფარგლებში; კონტექსტის მიხედვით გაგება?

ვაწვდით ჩვენს სტუდენტებს სტრატეგიებს ლექსიკის ათვისების მხრივ? რამდენად ერკვევიან ისინი სიტყვების ცოდნის სხვადასხვა დონეებში?

გრამატიკა

განსაზღვრულია თუ არა შესასწავლი გრამატიკის მოცულობა დონეების მიხედვით?

რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ის თანამიმდევრობა, რომლითაც გრამატიკული ელემენტები შემსწავლელებს მიეწოდება?

როგორია თქვენს მიერ გრამატიკული კონსტრუქციების თავისუფლად აგებისა და სიზუსტისათვის მინიჭებული შეფარდებითი მნიშვნელობა?

რა მოცულობით ხდება მშობლიური და სხვა ენის / ენების გრამატიკის გამოყენება მოცემული ენის შესწავლის გაადვილების მიზნით?

ვიცნობთ თუ არა იმ ეტაპებს, რომლის მიხედვითაც ხდება ჩვენს სტუდენტებში გრამატიკის განვითარება? ვატარებთ თუ არა ტრენინგს, მათთვის ამ ცოდნის მისაწოდებლად?

გამოთქმა, ინტონაცია და ა. შ.

რა ბგერითი ერთეულებისა და ინტონაციის ნიმუშების დაუფლებას საჭიროებენ შემსწავლელები?

როგორი უნდა იყოს სიზუსტისა და თავისუფლად ფლობის ხარისხი სხვადასხვა დონეებზე?

შვეიმუშავებთ სტრატეგიებს ჩვენი სტუდენტებისათვის, გამოთქმების, ინტონაციის და ა. შ. შესწავლის მიზნით?

რამდენიმე დასკვნითი სახის შენიშვნა: შემსწავლელთა პროგრესის შეფასება

ყოველი სასწავლო დავალება უნდა მოიცავდეს შეფასების გარკვეულ ტიპს. თუ შემსწავლელი ვერ გამოიხატავს საკუთარი პროგრესის შესაფასებელ საშუალებას, ადვილად დაკარგავს სტიმულს.

ახლა, როცა უკვე ვიცნობთ კომუნიკაციაში მონაწილე ყველა ასპექტს როგორც საკუთარ, ისე ახალ ენასთან მიმართებაში, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ენის შესწავლის ნებისმიერი რეალური შეფასება არანაკლებ დასაფიქრებელი საკითხია. *კომპეტენციების* მე-8, მე-9 თავები და დანართი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს ენის შესწავლის შეფასების საკითხს. მე-3 თავი ეხება ენის შესწავლის დონეების განსაზღვრას, ხოლო მე-9 თავი – ზოგადად შეფასებას. სწორედ *კომპეტენციების* საშუალებით ხდება ყოველი დადგენილი დონის მისადაგება ენის სხვადასხვა ასპექტებთან.

სხვადასხვა დონეების დადგენა ხდება შემსწავლელის კომუნიკაციის: (i) სფეროსა და (ii) ხარისხის მიხედვით, რაც უფრო მეტი დავალების შესრულება ძალუძთ, მით უფრო მაღალია მათი დონე, მაგრამ ეს დონე განიხილულ იქნება ცალკეულ დავალებათა შესრულების ხარისხის თვალსაზრისითაც.

ამრიგად, საწყის დონეზე (რომელსაც აქ A1- *ენის გასაღები* ეწოდება), შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ისეთი შეკითხვების მნიშვნელობა, რომლებიც მას ან მის ოჯახს ეხება და გამოიცნოს (წერილობითი ფორმით) გავრცელებული სიტყვების მნიშვნელობა; ანუ მას ესმის მარტივი კითხვები და ბრძანებები და შეუძლია თხოვნა; შემსწავლელის ლექსიკური მარაგი ელემენტარული სიტყვებით შემოიფარგლება, ხოლო გრამატიკული ცოდნის საკითხი არც კი განიხილება. თუმცა, თანდათანობით იგი შესძლებს უფრო და უფრო მეტი თემის მოსმენას და წაკითხვას შედარებით ადვილად, ასევე მათ ირგვლივ საუბარს მეტი სიზუსტითა და თავისუფლებით.

იდენტიფიცირებულია სამი ძირითადი დონე: ელემენტარული ფლობის, დამოუკიდებლად ფლობის და სრულყოფილად ფლობის. ყოველი მათგანი შეიძლება დაიყოს ორ, სამ ან მეტ ქვედონედ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ზედმიწევნით გვსურს მათ შორის არსებული სხვაობის წარმოჩენა. *კომპეტენციებში* აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რას აკეთებს შემსწავლელი და არა მის მცდარ აღქმაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გზამკვლევის დასაწყისში, *კომპეტენციების* მთავარი მიზანია, საშუალება მისცეს ენის შესწავლასა და სწავლებაში მონაწილეთ, ისარგებლონ საერთო ტერმინოლოგიით, ისე, რომ საუბარი ენის შესწავლასა და ენის სხვადასხვა ასპექტებზე, ყველასათვის თანაბრად გასაგები იყოს. ამავე მიზით უნდა შეიქმნას და გამოიცადოს დირექტივების კრებული, რომლითაც ისარგებლებს ენის ყველა მასწავლებელი და შემსწავლელი. ამ კუთხით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საბოლოოდ შეთანხმება ჯერ მაინც ვერ ხერხდება. ზოგიერთი გამომცდელი ორგანო ენის ასპექტების ერთ ნაწილზე უფრო მეტად აკეთებს აქცენტს. სხვა შემთხვევაში, რამდენადმე გაუგებარია ცალკეულ ტესტებში არსებული კრიტერიუმები.

მეორე მხრივ, შემსწავლელებს ძალზე წაადგებათ საკუთარი პროგრესის შეფასების ცოდნა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შემსწავლელებს ისევე კარგად შეუძლიათ საკუთარი პროგრესის შეფასება, როგორც მასწავლებლებს, იმ პირობით, თუ: (i) ცოდნის სტანდარტები გასაგებადაა აღწერილი; (ii) შეფასება უკავშირდება სპეციფიკურ გამოცდილებას (თვით ფორმალურ ტესტსაც კი), (i) და (iii) შემსწავლელი ღებულბენ გარკვეულ ტრენინგს თვითშეფასების კუთხით. ასეთი ტრენინგის ამოსავალი პრინციპი არის საკუთარი შთაბეჭდილების შედარება, რეალურ შესაძლებლობებთან. მაგალითად, თუ საკონტროლო ფურცელზე ადამიანი აღნიშნავს, რომ ესმის ამინდის პროგნოზი და მის მიერ მიღებული ინფორმაციის სისწორეს გადაამოწმებს მასწავლებელთან ან კონკრეტული ენის მატარებელთან, მისი შეფასების უნარი ბევრად დაიხვეწება.

ეს ყოველივე ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას. საბოლოო ჯამში, მხოლოდ შემსწავლელებმა იციან, ენის რომელ ასპექტზე სურთ კონცენტრირება და რომელი დონის მიღწევით არიან დაინტერესებულნი. საკუთარი პროგრესის მონიტორინგი მათ ბევრი ისეთი კუთხითაც დაეხმარება, რასაც თავად ვერ აც-

ნობიერებენ. ზოგიერთი შემსწავლელი ერიდება საზოგადოებას: არ ჰყოფნის სითამამე საჯაროდ საუბრისათვის ან ერიდება შეცდომების დაშვებას. თვითშეფასების უნარი მათ დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ რეალურად პროგნოზს აკეთებენ, რომ შეცდომების კვლავ დაშვება არ ნიშნავს არსწავლას. ფაქტიურად, როცა სწავლა მიმდინარეობს ბუნებრივ გარემოში, დაშვებული შეცდომები მიგვითითებს, რომ ენა ბუნებრივად ვითარდება. შესაბამისად, როცა შემსწავლელებს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ არ სწავლობენ, რადგან მასწავლებელი ან მოცემული ენის მატარებელი ადამიანი არ მეთვალყურეობს მათ, თვითშეფასება საპირისპიროს ამტკიცებს. დაბოლოს, თვითშეფასება შეიძლება როგორც სკოლის ფარგლებში, ისე მათ მიღმა; ის სრულად უკავშირდება ენის განვითარებას და არა მხოლოდ იმას, რაც გამოცდაზე უნდა შემოწმდეს.

დასკვნა

აღნიშნული გზამკვლევი წაკითხულ უნდა იქნეს შემდეგ ნაშრომთან ერთად: „თანამედროვე ენები: შესწავლა, სწავლება, შეფასება. ზოგადევრობული კომპეტენციები“. *კომპეტენციები* იმისათვის შეიქმნა, რომ ენის შესწავლასა და სწავლებაში მონაწილე ყველა ადამიანს შეეძლოს „ერთ ენაზე ლაპარაკი“, ანუ თანაბრად გაგება იმისა, რასაც მოიცავს ენის გამოყენება და შესწავლა. ამ დოკუმენტმა მრავალი კითხვა წამოჭრა და მათგან ბევრი უპასუხოდ რჩება. ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცით ენის და განსაკუთრებით, ენების შესწავლის შესახებ. ადამიანები, რომლებიც, ხელს უწყობენ ახალი ენის შესწავლას, ერთგვარად, ექსპერტების როლშიც კი მოგვევლინებიან. მათ ისეთი რამ ექნებათ სათქმელი ენის სწავლის შესახებ, რასაც სხვებისგან ვერ მოვისმენთ. მნიშვნელოვანია, რომ მათ მიეცეთ საშუალება, სწავლის პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარებისა სხვა მონაწილეთათვის, განსაკუთრებით, მასწავლებელთათვის. ენის სწავლა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ახალი ევროპის დღის წესრიგში. იგი მაქსიმალურად პროდუქტიული უნდა იყოს. გზამკვლევი მიზნად ისახავს ხელშეწყობას შესწავლისა და სწავლების ეფექტურობის მისაღწევად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შემსწავლელებისა და მასწავლებლების გამოცდილება მას კიდევ უფრო გამოსადეგს გახდის.

თავი IV

ბარი ჯონსი

გზამკვლევი მასწავლებლებისა და მასწავლებელთა ტრენინგებისათვის (დაწყებითი და საშუალო საფეხურები)

წინათქმა

ზოგადევრობული კომპეტენციები (*კომპეტენციები*) მიზნად ისახავს: წინ წასწიოს და ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას;

უზრუნველყოს ჯანსაღი საფუძველი ენობრივი ცენზების ორმხრივ აღიარებისათვის;

თანადგომა აღმოუჩინოს შემსწავლელებს, მასწავლებლებს, მასწავლებელთა ტრენინგებს (...) საკუთარი მიღწევების წარმოჩენასა და კოორდინირებაში.

ამასთან *კომპეტენციები* ყურადღების მიღმა არ ტოვებს სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებსაც, რომელთა სპეციფიკურ ინტერესებშიც შეიძლება შედიოდეს აღნიშნული გზამკვლევით სარგებლობა. თუმცა, მიზნები უცვლელი რჩება.

ეს თავი გათვლილია მკითხველთა იმ წრეზე, რომელიც პასუხისმგებელია ან უშუალოდ მონაწილეობს მასწავლებლებისა და თანამედროვე უცხო ენების მასწავლებელთა განათლებისა და ტრენინგის საქმეში. მისი მიზანია გამოიკვლიოს, რამდენად შესაძლებელია ტრენინგისა და სწავლების ისეთი პროგრამების შემუშავება, რაც ხელს უწყობს თანამედროვე ენის თანამიმდევრულ, პროდუქტიულ და ეფექტურ სწავლას ყველანაირი შემსწავლელის მხრიდან, დაწყებით და საშუალო სკოლებში.

ეს თავი აერთიანებს მომხმარებელთა გზამკვლევის წინა სერიის სამ გამოცემას, კერძოდ:

გზამკვლევი მასწავლებელთა ტრენინგებისათვის (დაწყებითი განათლება) ავტორი რიტა ბალბი.

გზამკვლევი მასწავლებელთა ტრენინგებისათვის (საშუალო სკოლა), ავტორი ბარი ჯონსი

გზამკვლევი მასწავლებელთათვის, ავტორი ბრაიან პეიჯი

ტრენინგ-პროგრამები

ტრენინგ-პროგრამების უმრავლესობა აგებულია ერთ მოდელზე:

(i) მიმდინარეობს უცხო ენის შ სწავლის პარალელურად (პარალელური კურსები); ან

(ii) იწყება, უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ენის ფორმალურად შესწავლის შემდეგ (შემდგომი კურსები), ან

(iii) ორგანიზებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში.

ეს თავი თანაბრად განიხილავს ყველა ჩამოთვლილ ტრენინგ-პროგრამას, მიუხედავად მათი ჩატარების დროისა. ის ასევე შეეხება:

(iv) *კომპეტენციების* დამოკიდებულებას თანამედროვე ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხთან, საწყისი ტრენინგის პერიოდის განვლის შემდეგ. ეს განხილულ იქნება, როგორც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ტრენინგ-პროგრამის შემდგომი განსაზღვრა შეიძლება მოხდეს:

(i) ეროვნულ დონეზე შეთანხმებული იმ კომპეტენციებისა და სტანდარტების აღწერის მიხედვით, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ენის მასწავლებელი,

(ii) კონკრეტულ ქვეყანაში თანამედროვე ენის სწავლების აღწერის მიხედვით; იგი შეიძლება არსებობდეს გზამკვლევის სახით ან წარმოადგენდეს ეროვნულ ცენზს;

(iii) ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე მასწავლებელთა ტრენინგის მოთხოვნების ან ღირებულებების მიხედვით;

(iv) შეზღუდვებით მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამების ფარგლებში, რაც წესდება ეროვნულ, ადგილობრივ ან კონკრეტული ინსტიტუტის დონეზე; ტრენინგების ჩატარების ადგილი, სკოლა თუ კოლეჯი, საათების რაოდენობა, ენობრივი ტრენინგის შესაძლებლობები, რეორგანიზაციის პროგრამები, ა. შ.

მივესალმებით მკითხველის თანამონაწილეობას ცალკეული კონტექსტის ფარგლებში, დასაწყისიდანვე, შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრისათვის. სავარაუდოა, რომ მოხდება ყველა ასპექტის გამოყენება, მაგრამ მათი მნიშვნელობა განსხვავებული იქნება.

კომპეტენციებიდან გამომდინარე, ამ თავში მოცემული გზამკვლევის მიზანია – იყოს:

მრავალმიზნობრივი: გამოყენებადი მრავალნაირი დანიშნულებით, რაც მოიცავს დაგეგმვას და ხელსაყრელი პირობების შექმნას ენის სწავლებისათვის;

ფლექსიური: ადაპტირებული სხვადასხვა სიტუაციებში გამოყენებისათვის;

დიადი: დაქვემდებარებული შემდგომ განვრცობასა და დახვეწას.

დინამიური: მუდმივ განვითარებაში, მისი გამოყენებით მიღებული გამოცდილების საპასუხოდ;

გასაგები: წარმოდგენილი ადვილად გასაგები და გამოყენებადი ფორმით;

არადოგმატური: არამიმდევარი რომელიმე კონკრეტული მიდგომისა.

ნაწილი 1 - კომპეტენციები პოლიტიკურ და საგანმანათლებლო კონტექსტში

ეს ნაწილი ადგენს კომპეტენციების ფუნქციებს, განათლების სფეროში არსებული ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გადმოსახედიდან. შესაბამისად, კომპეტენციების მიზანია არა ენის სწავლებისა და მასწავლებელთა ტრენინგის კუთხით არსებული რომელიმე კონკრეტული სისტემის ან მიდგომის ხელშეწყობა, არამედ ყოვლისმომცველი სტანდარტის უზრუნველყოფა პრაქტიკოსებისათვის (შემსწავლელები, მასწავლებლები, მასწავლებელთა ტრენერები), მათ ხელთ არსებული ოფციების წარმოდგენისა და ორიენტირებისათვის, აგრეთვე, ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის გამჭვირვალედ და თანამიმდევრულად.

ენის სწავლებასა და შესწავლასთან მიმართებაში, კომპეტენციების მიზანია ბარიერების გადალახვა, რომ:

გაიზარდოს პიროვნული მობილურობა;

გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობის პროდუქტიულობა;

გაიზარდოს იდენტურობისა და კულტურული მრავალფეროვნების

პატივისცემა;

გაუმჯობესდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გაძლიერდეს პიროვნული ინტერაქცია;

გაუმჯობესდეს შრომითი ურთიერთობები;

მიღწეულ იქნეს უფრო ღრმა ურთიერთგაგება.

მასწავლებელთა ტრენინგებთან და მასწავლებლებთან შესაბამისობის თაობაზე წამოჭრილ შეკითხვებს შეიძლება ასეთი სახე ჰქონდეს:

განიხილეთ სწავლების ან მასწავლებელთა ტრენინგის ის პროგრამა, რომელზეც პასუხისმგებელი ხართ ან რომელშიც მონაწილეობთ. თქვენ, როგორც მასწავლებელს და თქვენს მოსწავლეებს გაქვთ თუ არა ენის სწავლის მიზნების მსგავსი სია ყველა შემსწავლელისათვის? ეს მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული? თქვენი მოსწავლეები და თქვენ, როგორც მასწავლებელი ხომ არ მიიხნევთ ამ მიზნებიდან რომელიმეს უფრო მნიშვნელოვნად ან შესაფერისად, სხვებთან შედარებით? დაცულია თუ არა სასურველი იერარქია? ჩამოთვლილი მიზნებიდან ზოგიერთი, ხომ არ მიესადაგება უფრო მეტად ახალგაზრდა შემსწავლელებს ან პირიქით, ზრდასრულებს? თქვენთან ერთად მოღვაწე ყველა ადამიანი იზიარებს აღნიშნულ მიზნებს?

თუ ასეთი კითხვები გაჩნდა და დებატების საფუძველი გახდა, ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ თავმა შეასრულა *კომპეტენციებში* აღწერილი მისი ძირითადი ფუნქცია: ხელი შეუწყო პრაქტიკოსებს, რომ დაფიქრდნენ და საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა მოახდინონ საკუთარი მიმდინარე პრაქტიკის ფორმულირება. ბუნებრივია, წამოჭრილი საკითხები ამომწურავად ვერ განიხილება. გამოცდილი პრაქტიკოსები აუცილებლად დაინტერესდებიან ზოგიერთი ისეთი საკითხით, რომელსაც გვერდი ავუარეთ და შეიძლება უკმაყოფილება გამოსთქვან ოფციათა ფორმულირების მხრივაც. მათ შესაძლოა მიიხნიონ, რომ ეს ოფციები საკმაოდ ხისტია ისეთი პოზიციის გამოსაკვეთად, რაც უფრო დეტალურ და სრულყოფილ განხილვას იმსახურებს.

ნაწილი 2 – შერჩეული მიდგომა

კომპეტენციების ეს ნაწილი განმარტავს შერჩეულ მიდგომას: მას საფუძველად უდევს ენის ანალიზი, რომლის აღწერილობასაც შემდეგი სახე აქვს:

2.1 „ენის გამოყენება, ენის შესწავლის ჩათვლით მოიცავს მოქმედებებს, შესრულებულს ადამიანების მიერ, რომლებიც როგორც ინდივიდები და სოციალური აგენტები, შეიმუშავენ მთელ რიგ **კომპეტენციებს**. მათ შორისაა **ზოგადი** და **საკომუნიკაციო ენის კომპეტენციები**. აღნიშნული კომპეტენციები გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში, განსხვავებული პირობებისა და შეზღუდვების ფარგლებში და მონაწილეობს **ენობრივ აქტივობებში**, რაც მოიცავს **ენობრივ პროცესებს**, ცალკეულ **სფეროებში** არსებულ **თემებთან** დაკავშირებული **ტექსტების** პროდუცირებისა და / ან რეცეფციისათვის. ამასთან ხდება იმ **სტრატეგიების** აქტივაცია, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება შესასრულებელ დავალებებს. მონაწილეთა მიერ აღნიშნული ქმედებების მონიტორინგი, განაპირობებს მათი კომპეტენციების გაძლიერებას და მოდიფიცირებას. (*კომპეტენციები*)

გამუქებული სიტყვები აღნიშნავს პარამეტრებს, რომლებიც აღწერს ენის გამოყენებას და მომხმარებლის / შემსწავლელის ენის გამოყენების უნარს. ენის შესწავლაში მიღწეული პროგრესი იყოფა ცალკეული ფლექსიური დონეების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია სათანადო დესკრიპტორებით. ეს აპარატი უნდა იყოს იმდენად ყოვლისმომცველი, რომ მიესადაგებოდეს სხვადასხვა კატეგორიის შემსწავლელთა მოთხოვნებს და ამასთან, ამოცანებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კანდიდატები ენობრივი ცენზების მხრივ.

ტერმინოლოგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის შესწავლაში და მიმდინარე დისკუსიებსა და დებატებში. იმისათვის, რომ *კომპეტენციები* ორმხრივად გასაგები იყოს, მე-2 თავი განსაზღვრავს მოცემულ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინოლოგიას. მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამებსა და თვით მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ

ასეთი დეფინიციებით და გამოიყენონ იგივე ან მსგავსი ტერმინოლოგია და კონცეფციები ერთმანეთთან და სტუდენტებთან ურთიერთობაში. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ შემსწავლელებისა და მასწავლებლების გაგება ერთგვარი იქნება შემდეგი კუთხით:

1. ზოგადი კომპეტენციები
2. საკომუნიკაციო ენის აქტივობები
3. კონტექსტები
4. ენობრივი აქტივობა / აქტივობები
5. ენობრივი პროცესები
6. ტექსტი
7. სფერო – საზოგადოებრივი სფერო
 - პიროვნული სფერო
 - საგანმანათლებლო სფერო
 - პროფესიული სფერო
8. სტრატეგია
9. დავალება
10. ეგზისტენციალური კომპეტენცია – savoir-être
11. დეკლარაციული ცოდნა – savoir
12. უნარები / ნოუ-ჰაუ – savoir faire
13. სწავლის უნარი - savoir apprendre
14. ენობრივი კომპონენტი
15. პრაგმატული კომპონენტი
16. რეცეფცია – რეცეფციული
17. პროდუცირება – პროდუქტიული
18. ინტერაქცია – ინტერაქტიული
19. მედიაცია

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ნუსხაში მოცემულია სულ 19 ტერმინი თქვენ როგორც მასწავლებელი ან მასწავლებელთა ტრენერი, მოისურვებთ ამ არსებითი ტერმინოლოგიით სარგებლობას? მასწავლებლებისათვის, მასწავლებელთა ტრენერებისა და შემსწავლელებისთვის ხელსაყრელი არ იქნება ერთიანი ტერმინოლოგიის გამოყენება? მკითხველებს, რომლებიც არ იყენებთ ინგლისურს / ფრანგულს, დისკუსიისათვის, ხომ არ შეგეგქმნებათ პრობლემა მშობლიურ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით? მიუხედავად იმისა, რომ *კომპეტენციების* მოცემული და მომდევნო თავები მრავალ კონცეფციას დაწვრილებით განიხილავს, მკითხველებს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, რომ მოხდეს ნუსხაში მოცემული ყოველი ტერმინის ახსნა მაგალითების გამოყენებით.

2. 1. 1. ინდივიდის ზოგადი კომპეტენციები (პუნქტი 5.1)

ენის შესწავლის საკითხებზე მომუშავე თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები მიიჩნევენ, რომ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ინდივიდუალობა, ხასიათის ცალკეული თავისებურებანი, მოწადინება, თვითრწმენა, განსაზღვრული მოლოდინები, ცოდნა სამყაროს შესახებ და ა. შ. ზეგავლენას ახდენს ენის სწავლაზე. *კომპეტენციები*, ტოვებს რა უკომენტაროდ მოსაზრებათა საფუძვლიანობას, ასახელებს პირობებს, რომლებიც შეიძლება ხელსაყრელი იყოს ენის შესწავლისათვის ან პირიქით.

მკითხველებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი საკითხების განხილვის სურვილი:

1. როგორ დავეხმაროთ მასწავლებლებსა და სტაჟიორებს, რომ უფრო მეტი შეიტყონ შემსწავლელების, მათ მიერ გამოყენებული სწავლის ნაირსახეობების, უნარების, კულტურული „ტვირთის“, მრწამსისა და მათ მიერ სამყაროს შემეცნების შესახებ?
2. პირობები, რომლებიც ერთი შეხედვით, ხელს უწყობს ან ხელს უშლის ენის შესწავლას. მათი განსაზღვრის შემდეგ კი, იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეგეგქმნათ ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა ჯგუფებსა და შემსწავლელებს.

3. განათლება (ტექნიკური, სამეცნიერო, აკადემიური და ა.შ) ან დეკლარაციული ცოდნა – ლეს საფორს – რომელსაც შემსწავლელები გამოიყენებენ ენის შესწავლისას.

4. ყოველდღიური რუტინის ელემენტები – ყოველდღიური პროგრამები, ტრაპეზი და ტრაპეზისათვის განკუთვნილი საათები, ტრანსპორტით გადაადგილება სკოლამდე / სკოლიდან, ინსტიტუტამდე / ინსტიტუტიდან, სამუშაო ადგილამდე / ადგილიდან, რაც უზრუნველყოფს ურთიერთგაგებას პროგრამის ორგანიზატორსა და შემსწავლელს შორის.

5. ენის შესწავლა რამდენად არის ან შეიძლება ეფუძნებოდეს პროცედურულ ოპერაციებს, როგორცაა უნარები და ნოუ-ჰაუ, ზოგიერთი თანამიმდევრული მოქმედების შესრულებისას (მანქანის მართვა, კერძის მომზადება რეცეპტის მიხედვით ა.შ). savoir-faire უკვე ნაცნობია შემსწავლელისათვის, ან რომლის შესრულებაც შემსწავლელს სჭირდება ან სურს.

6. არის თუ არა ენის სწავლა საშუალება სხვა სახის სწავლისათვის, როგორც ეს ხდება მაგალითად, შესავალ პროგრამებში, ორენოვან განყოფილებებში, ან სწავლისას (მაგალითად, გეოგრაფიის) უცხო ენის გამოყენებით ა. შ.

7. ენის შესწავლა რამდენად უშვებს ან განავითარებს სწავლის უნარს – savoir apprendre – და წინასწარგანწყობას, სხვა ენის, კულტურის, სხვა ხალხის და ა. შ. აღმოსაჩენად.

8. რამდენად რისკავენ შემსწავლელები ენასთან პირისპირ შეყრას და რამდენად მზად არიან ახსნა-განმარტების მოსაძიებლად, დამატებითი ინფორმაციის ან გამეორების სათხოვნელად და ა. შ.

შეიმუშავეს თქვენი ტრენინგ-პროგრამა სტრატეგიებს სტაჟიორების დასახმარებლად, რომ მათ უფრო მეტი შეიტყონ სწავლის ნაირსახეობაზე, ცოდნაზე, მოლოდინებსა და იმ უნარებზე, რომლებსაც შემსწავლელები დავალების შესასრულებლად იყენებენ? აკეთებენ ამას მასწავლებლები?

1. 1. 2. საკომუნიკაციო ენის კომპეტენცია (პუნქტი 5.2)

საკომუნიკაციო ენის კომპეტენციის განვითარებისათვის სტაჟიორებმა და მასწავლებლებმა უნდა

1. იცოდნენ, რომ ასეთი კომპეტენცია შედგება:

(i) სოციოლინგვისტური კომპონენტისაგან – მაგალითად, სოციალური თავყრილობების განცდა, ენობრივი რიტუალები საზოგადოებაში და ა. შ. ...

(ii) ლინგვისტური კომპონენტისაგან – მაგალითად, ლექსიკური, ფონოლოგიური, სინტაქსური ცოდნა და უნარები;

(iii) პრაგმატული კომპონენტისაგან – მაგალითად, ინტერაქტიული ურთიერთგაცვლის ფარგლებში, მეტყველების დახვეწა, თანამიმდევრულობა, ირონიულობის მიხვედრა ა. შ.

2. მაგალითების მოტანით წარმოადგინონ და გაითვალისწინონ ასეთი კომპეტენციები თავიანთ პრაქტიკაში, საკლასო ოთახის ფარგლებში.

ახდენს თქვენი პროგრამები ამ კომპონენტების ანალიზს და უზრუნველყოფს შესაძლებლობებს სტაჟიორებისათვის, რომ მათ შემსწავლელებში განავითარონ ცოდნის ეს ფორმები და უნარები? ხდება თუ არა მასწავლებლების მხრიდან ასეთი ცოდნის გაზიარება?

2. 1. 3. ენობრივი აქტივობები (პუნქტი 4.4)

ენის მომხმარებლის / შემსწავლელის საკომუნიკაციო ენის კომპეტენცია აქტივობების სხვადასხვა ენობრივი აქტივობების მეშვეობით, რომლებიც უკავშირდება რეცეფციას, პროდუცირებას, ინტერაქციას, ან მედიაციას, (განსაკუთრებით, თარგმნისას), თითოეული აქტივობა გეხვედება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ან ერთდროულად ორივე ფორმით.

მკითხველებმა, მიაწოდა რა მათ *კომპეტენციებმა* აღნიშნული ენობრივი აქტივობების მაგალითები, (იხ. 2.1.2– 2.1.3) შეიძლება განიხილონ, თუ რამდენად ისახავს მიზნად მათი ტრენინგ-პროგრამები სტაჟიორების კომპეტენციის განვითარებას, ან თვით ისინი, როგორც მასწავლებლები, იგონებენ თუ არა:

1. ინტერაქტიულ სასწავლო აქტივობებს, რომლებშიც სულ მცირე ორი ადამიანი მონაწილეობს ზეპირ და წერილობით ურთიერთგაცვლაში, პროდუცირებისა და რეცეფციის მონაცვლეობის პირობებში;

2. რეცეფციულ და პროდუქტიულ ენობრივ აქტივობებს, სადაც სტუდენტი მარტო მოქმედებს, კითხულობს, ისმენს, საუბრობს ან წერს პარტნიორის გარეშე;

3. მედიაციის წერილობით და / ან ზეპირ აქტივობებს, თარგმანის, შეჯამების ან ჩანაწერის მეშვეობით, რომ მესამე მხარისათვის მოხდეს ტექსტის ორიგინალის (რე) ფორმულირება, რადგან მისთვის ეს ტექსტი უშუალოდ ხელმისაწვდომი არ არის.

ურიგო არ იქნება, იმ ფორმების განხილვა, რომლებიც შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ენობრივ აქტივობებს, სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებთან მიმართებაში: აგრეთვე „იმის გათვალისწინება, თუ როგორ ხდება ამ აქტივობების ორგანიზება და განხორციელება მასწავლებლებისა და შემსწავლელების მიერ, სხვადასხვა სიტუაციაში (სკოლაში, სახლში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, მარტო ყოფნისას და ა. შ.)

2. 1. 4. კომპეტენციების ენობრივი აქტივობები სხვადასხვა სფეროებში (პუნქტი 4.1.1)

კომპეტენციები აღნიშნავს, რომ **სფეროების** მრავალგვარობის მიუხედავად ენის შესწავლასთან მიმართებაში ისინი შემდგენაირად კლასიფიცირდება: *საზოგადოებრივი სფერო, პიროვნული სფერო, საგანმანათლებლო სფერო და პროფესიული სფერო.*

საზოგადოებრივი სფერო ეხება ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ჩვეულებრივ სოციალურ ინტერაქციასთან (ბიზნეს და ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოებრივი მომსახურება, საზოგადოებრივი ხასიათის კულტურული და გასართობი აქტივობები, მედიასთან ურთიერთობა და ა.შ) ამას ემატება *პიროვნული სფერო*, რომელიც მოიცავს ოჯახურ ურთიერთობებსა და ინდივიდუალურ სოციალურ პრაქტიკას.

პროფესიული სფერო მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია აგენტის აქტივობებსა და ურთიერთობებთან პროფესიული მოღვაწეობის ჭრილში. *საგანმანათლებლო სფერო* ეხება სწავლის ტრენინგის კონტექსტს (რაც, ჩვეულებრივ ინსტიტუციონალური ხასიათის მატარებელია), სადაც ძირითადი მიზანი არის სპეციფიკური ცოდნისა და უნარების შექმნა.

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ამზადებს სტაჟიორებს ისე, რომ მათ შესძლონ, ან მასწავლებლებს შეუძლიათ:

1. განსაზღვრონ, რომელი სფერო / სფეროები მიესადაგება კონკრეტულ შემსწავლელებს?

2. შექმნან სასწავლო მასალები, რომლებიც ურთიერთობაში იქნება *კომპეტენციებში* განსაზღვრულ სფეროებთან (2.1.4)?

ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ზოგიერთი სფერო უფრო მეტად მიესადაგება ცალკეული ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებს, ან შემსწავლელთა ისეთ კატეგორიას, რომელსაც სპეციფიკური მოთხოვნები და მიზნები გააჩნია?

2. 1. 5. დავალებები (კომპეტენციები 7), სტრატეგიები (პუნქტი 4.4) და ტექსტები (პუნქტი 4.6)

„კომუნიკაცია და სწავლა მოიცავს **დავალებების** შესრულებას, რაც გულისხმობს დავალებებს არა მხოლოდ ენაში, (მაშინაც კი, როცა ისინი მოიცავს ენობრივ აქტივობებს) და მოთხოვნების დაწესებას ინდივიდის საკომუნიკაციო კომპეტენციასთან მიმართებაში. იმდენად, რამდენადაც ეს დავალებები არც რუტინულია და არც ავტომატური, კომუნიკაციასა და სწავლაში საჭიროა **სტრატეგიების** გამოყენება. აგრეთვე, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დავალებათა შესრულება მოიცავს ენობრივ აქტივობებს,

ჩნდება ზეპირი და წერილობითი ტექსტების დამუშავების აუცილებლობა (რეცეფციის, პროდუცირების, ინტერაქციისა და მედიაციის გზით)“ (კომპეტენციები, გვერდი 15).

თქვენი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში სტაჟიორებს აქვთ საშუალება, რომ განათარონ, ან მასწავლებლები განავითარებენ თავიანთ შემსწავლელებში:

1. სათანადო სტრატეგიებს, დავალების ხასიათიდან გამომდინარე?
2. სათანადო სტრატეგიებს, მთელი რიგი დავალებების ხასიათიდან გამომდინარე?

მეითხველებს შეიძლება აინტერესებდეთ იმის განხილვა, თუ რამდენად სასარგებლოა სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დავალებებისა და ტექსტების გამოყენება, რაც მოითხოვს იმავე სასწავლო სტრატეგიებს, რომელთა განვითარებაც მასწავლებლებს სურთ თავიანთ შემსწავლელებში. მაგალითად, კითხვის სტრატეგიების ილუსტრირების მიზნით, სტაჟიორებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ სცადონ, უცნობ ენაზე მოცემული ტექსტის წაკითხვა. მათ შეიძლება სთხოვონ იმ სტრატეგიების ჩამოთვლა და აღწერა, რომლებიც მათ მიერ გამოყენებულ იქნა მთელი რიგი დავალებების შესასრულებლად თითოეულ ტექსტთან მიმართებაში.

პირველწყაროდან მიღებული მსგავსი გამოცდილება და ანალიზი ხშირად საკმაოდ დამაჯერებლად ასახავს კავშირს დავალებას, სტრატეგიასა და ტექსტს შორის.

კომპეტენციებმა უკვე უზრუნველყო დესკრიპციული სქემა (2.1). მასწავლებლებსა და სტაჟიორებს შეუძლიათ განიხილონ, თუ როგორ შეიძლება შემსწავლელის წინსვლის დაგეგმვა და გათვალისწინება. ამ მხრივ, გამოსადეგია აქ წარმოდგენილი განსაზღვრება. მისი გამოყენება შესაძლებელია:

შემსწავლელის კვალიფიციურობის განსაზღვრისათვის, დროის სვლასთან ერთად;

- გამჭვირვალე და რეალისტური სასწავლო ამოცანების დასაგეგმად;
- სასწავლო ერთეულების ორგანიზებისათვის;
- წინსვლის ასახვისათვის;
- განგრძობადობის უზრუნველსაყოფად;
- კვალიფიციურობის თვალსაზრისით, მიღწევების შესაფასებლად.

შემსწავლელთა წინსვლის განხილვისას, ყურადსაღებია:

- შემთხვევით სწავლის შესაძლებლობები;
- ნაწილობრივი კომპეტენციების ცნობა;
- სათანადო სტანდარტების დადგენა და შეფასება.

შეკითხვა:

როგორ უნდა მოხდეს წინსვლისა და მდგრადობის დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება სხვადასხვა კატეგორიისა და ასაკის შემსწავლელებთან მიმართებაში, მასწავლებელთა ტრენინგის კურსისა და სწავლების პროგრამის ფარგლებში? როგორ განავითარებთ ამ ასპექტებს?

ნაწილი 3 – ზოგადი კომპეტენციების დონეები

ნებისმიერი სახის სწავლებას თან ახლავს შეფასება, რასაც შეიძლება ორგანო ორიენტაცია გააჩნდეს:

რის კეთება შეუძლია შემსწავლელს:

შემსწავლელისა და / ან მასწავლებლის მიერ გამოყენებისათვის.

რამდენად კარგად ასრულებს იგი:

შემსწავლელისა და / ან მასწავლებლისათვის, დიაგნოსტიკის და / ან შეფასების კონტექსტში გამოსაყენებლად.

მე-3 თავი ეხება ენის შესწავლის დესკრიფციასა და შეფასებას, და გვთავაზობს ზოგადი კომპეტენციების დონეებს მიღწევის საჯარო აღიარებისათვის.

3.3 აქ მოცემული ცხრილები ცხადყოფს ორ ასპექტს. ცხრილი 1 ასახავს ზოგადი კომპეტენციების დონეებს, რომლებიც უფრო გამარტივებული სახით გვაწვდის ინფორმაციას შემსწავლელის შესახებ, გლობალური პრეზენტაციების ფორმით. ცხრილი 2 თვითშეფასების მაგალითია და დახმარებას გაუწევს შემსწავლელს, რომ „განსაზღვრონ თავისი მთავარი ენობრივი უნარები გარკვეული პროფილით... და შეაფასონ საკუთარი ცოდნის დონე“ (კომპეტენციები გვერდი 25).

3.4 ცხრილი 3 მიზნად ისახავს, აღწეროს შემსწავლელის კომპეტენცია სიზუსტის, თავისუფლად ფლობის, ინტერაქციისა და თანამიმდევრულობის თვალსაზრისით, ზოგადი კომპეტენციების დონეებთან მისადაგებით.

შეკითხვა:

მასწავლებელთა ტრენინგის კურსისა და სწავლების პროგრამის ფარგლებში, როგორ ახდენთ ენის შესწავლის დესკრიფციისა და შეფასების ილუსტრირებას? თუ თემის ილუსტრირებას ახდენთ ეროვნულ დონეზე შეთანხმებული სისტემის საშუალებით, რამდენად მიესადაგება იგი *კომპეტენციებში* წარმოდგენილ სამ ცხრილს? წარმოადგენს ეს ცხრილები თქვენს კონტექსტში უკვე არსებული სისტემების და იმ ნოვაციური პრაქტიკის განხილვის საფუძველს, რაც სტაჟიორებსა და მასწავლებლებს ექსპერიმენტირების საშუალებას მისცემდა?

ნაწილი 4 – ენის გამოყენება და ენის მომხმარებელი / შემსწავლელი

ეს თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც პასუხისმგებელია ან მონაწილეობს მოსამზადებელი ან კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების დაგეგმვაში, უზრუნველყოფასა და / ან შეფასებაში. იგი, ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ აქცენტს აკეთებს შემსწავლელზე და განიხილავს საკომუნიკაციო ენის აქტივობებსა და პროცესებს, ტექსტებს, მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციებსა და სტრატეგიებს. მკითხველებმა შეიძლება სწორედ ამ ასპექტების ხილვა ისურვონ მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამებისა და პროფესიული განვითარების ძირითად მიმართულებებად. თითოეული ასპექტი საჭიროებს განხილვას, ილუსტრირებასა და შესრულებას, რომ შემსწავლელებმა, რომლებზეც ჩვენ ვაგებთ პასუხს, კომპეტენტურად და დარწმუნებით განავითარონ ენის შესწავლის პროცესი.

4. 1. 1. სფეროები

„ენის გამოყენების ყოველი აქტი განიხილება ცალკეული სიტუაციის კონტექსტში, ერთ-ერთი სფეროს ფარგლებში (მოღვაწეობის ან ინტერესის სფეროები), სადაც ხდება სოციალური ცხოვრების ორგანიზება. იმ სფეროების შერჩევას, რომელთა ფარგლებშიც ხდება შემსწავლელის სამოქმედო მომზადება, დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციების, სასწავლო და საგამოცდო მასალებისა და აქტივობებისათვის, მიზნების, დავალებების,

თემებისა და ტექსტების სელექციის თვალსაზრისით“. მასწავლებელთა ტრენერებს შეიძლება დასჭირდეთ საკუთარ სტაჟიორებთან განხილვა, ხოლო მასწავლებლებს გათვალისწინება „იმ მოტივაციისა“ რაც განაპირობებს მოცემული ეტაპისათვის შესაფერის სფეროების შერჩევას ისე, რომ არჩევანი სამომავლოდაც მართებული იყოს. მაგალითად, ბავშვები, ახდენენ რა კონცენტრირებას იმ ინტერესზე, რომელიც ახლა ამოძრავებთ, შესაძლოა უკეთ მოტივირებულნი იყვნენ. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ამ ინტერესზე კონცენტრირებამ შეიძლება შეუშალოს ხელი მათ მომზადებას სამომავლოდ, ზრდასრულთა გარემოში კომუნიკაციისათვის“. (*კომპეტენციები* გვერდი 45)

ენის შესწავლისა და სწავლების ზოგად მიზნებთან მიმართებაში შეიძლება ფრიად გამოსადეგი იყოს, სულ მცირე, შემდეგი სფეროების გარჩევა:

პიროვნული სფერო, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული ადამიანი ცხოვრობს როგორც კერძო პირი, კონცენტრირებული ოჯახურ ცხოვრებასა და მეგობრებზე.

საზოგადოებრივი სფერო, სადაც კონკრეტული ადამიანი მოქმედებს, როგორც საზოგადოების ან ცალკეული ორგანიზაციის წევრი, და სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე, მონაწილეობს მრავალი სახის ტრანზაქციაში.

პროფესიული სფერო, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული ადამიანი დაკავებულია საკუთარი პროფესიული საქმიანობით.

საგანმანათლებლო სფერო, სადაც კონკრეტული ადამიანი ეწევა ორგანიზებულ სწავლას, ძირითადად (მაგრამ არა აუცილებლად) საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ სიტუაციების უმრავლესობა აერთიანებს რამდენიმე სფეროს. მაგალითად, საყიდლებზე სიარულს, გარეთ კვებას და ა. შ. ხშირად განიხილავენ ერთგვარ პიროვნულ ასპექტშიც. მასწავლებლის შემთხვევაში, ხშირია პროფესიული და საგანმანათლებლო სფეროების თანხვედრა.

მასწავლებლებსა და მასწავლებელთა ტრენერებს შეიძლება სურვილი გაუჩნდეთ კურსის დაგეგმვის შემდეგნაირად განხილვისა:

1. მოიცავს თუ არა იგი **სფეროს** კონცეფციის განხილვასა და ილუსტრირებას.
2. სფეროს კონცეფციას იმ სახით, როგორც გაანალიზებულია *კომპეტენციებში*, მიესადაგებს თუ არა ეროვნულ პოლიტიკას, ეროვნულ კურიკულუმებს, კურსის სახელმძღვანელოს შინაარსს, სკოლების სასწავლო პროგრამებს, სამუშაო განრიგებს ან გაკვეთილის შინაარსს.
3. ცხადყოფს თუ არა იგი, რომ **სფეროების** კონცეფცია ზეგავლენას ახდენს და შეიძლება გარდაიქმნას სასწავლო შინაარსის მასალად, სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელთათვის.

4. 1. 2. სიტუაციები

ყოველ სფეროში, შექმნილი სიტუაციები შეგვიძლია აღვწეროთ შემდეგნაირად:

ადგილის მიხედვით, სადაც ისინი ვითარდება, და **დროის** მიხედვით, როცა ისინი მიმდინარეობს;

ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მიხედვით, რომელთა სტრუქტურა და პროცედურები კონტროლს უწევს მიმდინარე პროცესებს;

მონაწილე ადამიანების მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მომხმარებლის / შემსწავლელის სოციალურ როლში გვევლინებიან;

ირგვლივ არსებული **საგნების** მიხედვით (სულიერი და უსულო);

მიმდინარე **მოვლენების** მიხედვით;

ოპერაციების მიხედვით, რომლებსაც ასრულებენ მონაწილეები;

ტექსტების მიხედვით, რომლებიც შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში შეგვხვდეს.

ცხრილი 5, წარმოადგენს რა შეჯამებას, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სფეროების პრაქტიკაში ილუსტრირება, ადგილის, ინსტიტუტების, მონაწილე ადამიანების, საგნების, მოვლენების, ოპერაციებისა და ტექსტების მიხედვით.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამა მოიცავს **სიტუაციების** განხილვასა და ანალიზს, რაც დაეხმარება სტუდენტ-მასწავლებლებსა და მასწავლებლებს, სასწავლო პროცესი ისე დაგეგმონ შინაარსობრივად, რომ პასუხობდეს შემსწავლელთა მოთხოვნებს, ინტერესებს, განცხადებას, საფიქრალსა და მისწრაფებებს?

მასწავლებლებს:

როგორ ახერხებთ სასწავლო პროცესის შინაარსის მისადაგებას შემსწავლელთა მოთხოვნებთან, ინტერესებთან, განცდებთან, საფიქრალსა და მისწრაფებებთან?

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი პროგრამა აცნობს სტაჟიორებს ისეთ ცხრილებს, როგორცაა **კომპეტენციებში** მოცემული ცხრილი 5: **გარეშე მომხმარებელთათვის**, და / ან მსგავს ცხრილებს, რომლებიც შეიძლება გამოქვეყნდეს ეროვნულ კურიკულუმებში ან გამომცდელთა სილაბუსებში?

რა სარგებელი მოაქვს ასეთ ცხრილებს კვალიფიკაციის ამაღლების ან მომზადების თვალსაზრისით?

ასეთი ცხრილების განხილვისას, სტაჟიორებს შეგვიძლია შევთავაზოთ იმ ზეგავლენის გამოკვლევა, რომელსაც გაკვეთილის დაგეგმვასა და სწავლებაზე ახდენს კურიკულუმი, ორგანიზებული განსაზღვრული სფეროების კონცეფციისა და გარეშე სიტუაციების, ან გრამატიკული თავისებურებებისა და გრამატიკული წინსვლის მიხედვით.

მასწავლებლებს:

რა გავლენას ახდენს გაკვეთილის დაგეგმვასა და სწავლებაზე კურიკულუმი, რომელიც ორგანიზებულია განსაზღვრული სფეროების კონცეფციისა და გარეშე სიტუაციების, ან გრამატიკული თავისებურებებისა და გრამატიკული წინსვლის მიხედვით?

4. 1. 3. პირობები და შეზღუდვები

გარე პირობები, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია, მრავალნაირად ზღუდავს მომხმარებელს / შემსწავლელს და მის თანამოსაუბრეებს, საუბარია:

- ფიზიკურ პირობებზე
- სოციალურ პირობებზე
- დროის წნეხზე

თქვენი ტრენინგი / სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს და შესაბამისად,

1. განიხილავს, თუ როგორ ზემოქმედებს შემსწავლელებზე ის ფიზიკური პირობები, რომლის ფარგლებშიც მათ მოუწევთ კომუნიკაცია?

2. განიხილავს იმას, თუ რა ზეგავლენას მოახდენს თანამოსაუბრეთა რაოდენობა და თავისებურებანი, შემსწავლელებზე?

3. განიხილავს, თუ დროის როგორ წნეხს ქვეშ მოუწევს შემსწავლელს მოქმედება?

4. აანალიზებს, რა შეიძლება წარმოადგენდეს სირთულეს მოცემული პირობებისა და შეზღუდვების ფარგლებში?

5. სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობის მქონე შემსწავლელთათვის, შეიმუშავებს მსგავსი სირთულეების მომცველ სასწავლო მასალებს / სიტუაციებს?

მასწავლებელთა ტრენერებს:

უზრუნველყოფთ თქვენ სტაჟიორებს ისეთი შესაძლებლობით, რომ თავად გამოსცადონ და შემდეგ გაანალიზონ მთელი რიგი გარე პირობები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კომუნიკაცია?

4. 1. 4. და 4. 1. 5. მომხმარებლის / შემსწავლელის მენტალური კონტექსტი და თანამოსაუბრის / თანამოსაუბრეთა მენტალური კონტექსტი

კომპეტენციების ამ პუნქტს რამდენიმე ელემენტი მოეძებნება, რომლებიც შეიძლება მივუსადაგოთ მასწავლებლებს, მასწავლებელთა ტრენერებს და მათ გაგებას საკუთარ შემსწავლელებთან მიმართებაში. გაკვეთილის დაგეგმვა და უზრუნველყოფა გაუმჯობესდება, თუ მათ ეცოდინებათ საკუთარი შემსწავლელების მოთხოვნები, შინაგანი მუხტი, მოტივაცია, აგრეთვე, ის გრძნობები, იდეები და შთაბეჭდილებები, რომელთაც ისინი აქსოვენ მოცემულ ენაზე კომუნიკაციაში. მასწავლებლებმა და სტაჟიორებმა უნდა გაათვითცნობიერონ შემსწავლელები, რომ თანამოსაუბრე ზოგჯერ იზიარებს მსგავს ღირებულებებს, მრწამსს, თავაზიანობის პირობითობას, მოტივაციას და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ – ნაკლებად. „გამონაკლისია შემთხვევა, როცა ისინი ინტერკულტურულად გათვითცნობიერებულნი არიან“. (*კომპეტენციები* გვერდი 51). შეგვიძლია მათი სტიმულირება, რომ დაფიქრდნენ, ზოგადად, მასწავლებლისა და შემსწავლელის ურთიერთობაზე და კომუნიკაციაზე-საკლასო ოთახის ფარგლებში.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამა თუ ცდილობს, დაეხმაროს სტუდენტ-მასწავლებლებს ან მასწავლებლებს:

1. გაითვალისწინონ შემსწავლელის მენტალური კონტექსტი და / ან თანამოსაუბრის მენტალური კონტექსტი?

2. წახალისონ შემსწავლელები საკუთარ გამოცდილებაზე დასაფიქრებლად?

3. მოამზადონ შემსწავლელები ადაპტირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში?

მასწავლებლებს:

თქვენ, როგორც მასწავლებლები, როგორ პასუხობთ მოცემულ სამ შეკითხვას?

4. 2. საკომუნიკაციო თემები

დაწყებითი და საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამები ხშირად მოიცავს ცალკეულ იდენტიფიცირებად თემებს. ისინი შეიძლება იყოფოდეს კატეგორიებად, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის ან სამუშაო განრიგის ორგანიზება, ან შეიძლება ინტეგრირებული იყოს სწავლებაში, ნაკლებად სტრუქტურირებული სახით. **სფეროების** მიხედვით შესაძლებელია მთელი რიგი **თემების** გამოყოფა.

ეს თემები ხშირად მოიცავს:

1. პიროვნულ იდენტიფიკაციას;

2. სახლს, გარემოს;

3. ყოველდღიურ ცხოვრებას

4. თავისუფალ დროს, გართობას

5. მოგზაურობას, ა.შ

ყოველი მათგანი შეიძლება ქვეთემებად დაიყოს. მაგალითად, თავისუფალი დრო და გართობა შესაძლებელია შემდგენაირად დაიყოს:

1. მოცალეობა და დასვენება

2. გატაცებები და ინტერესები

3. რადიო და ტელევიზია

4. კინო, თეატრი, კონცერტი და ა.შ

შემდგომ კატეგორიზაციას შეგვიძლია უფრო სპეციფიკური სახე მივცეთ. მაგალითად, სპორტის შემთხვევაში, შეიძლება იყოს:

1. სპორტული ადგილები: მოედანი, მინდორი, სტადიონი.

2. ინსტიტუტები და ორგანიზაციები: სპორტი, გუნდი, კლუბი

3. ადამიანები: მოთამაშე

4. საგნები: კარტი, ბურთი ა. შ.

კომპეტენციებში ჩამოთვლილი თემები, ქვეთემები და ა. შ. (პიროვნული იდენტიფიკაცია, სახლი, გარემო და ყოველდღიური ცხოვრება, თავისუფალი დრო, გართობა ა. შ.). უკავშირდება შემსწავლელთა სავარაუდო საკომუნიკაციო მოთხოვნებს.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამა:

1. სტიმულს აძლევს და ეხმარება სტაჟიორებს თავიანთი შემსწავლელების მოთხოვნების დადგენაში / განსაზღვრაში?
2. გვიჩვენებს, როგორ უნდა შეიქმნას სასწავლო პროგრამა, მსგავსი ანალიზის შედეგების მიხედვით?
3. ასახავს და ექსპერიმენტს ატარებს თვითმიღწევასა და სასწავლო პროგრამებზე?

მასწავლებლებს:

თქვენ:

1. ადგენთ / განსაზღვრავთ შემსწავლელთა მოთხოვნებს?
2. ქმნით სასწავლო პროგრამას მსგავსი ანალიზის შედეგების მიხედვით?
3. ასახავთ და ექსპერიმენტს ატარებთ თვითმიღწევასა და სასწავლო პროგრამებზე?

როცა ხდება სტაჟიორების მასწავლებლებად მომზადება ან სხვადასხვა ასკობრივი ჯგუფების / შემსწავლელების სწავლება, ურიგო არ იქნება დაფიქრდეთ:

1. რომელი თემები, ქვეთემები და სპეციფიკური ცნებები შეიძლება დასჭირდეთ შემსწავლელებს შერჩეულ სფეროებში, ან რომლებთან შეიძლება მოსთხოვონ მუშაობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გათვალისწინებულია შემსწავლელის არჩევანი და მასწავლებლის ინიციატივა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ზოგიერთ ეროვნულ კონტექსტში
2. შემსწავლელები როგორ რეაგირებენ / როგორ სურთ ადაპტირება ან შეცვლა იმ ენის / ენების თემატიკისა, რომლებსაც ასწავლიან.

4. 3. საკომუნიკაციო დავალებები და მიზნები

4. 3. 2. ამბობენ, რომ შემსწავლელებისათვის „ძალზე მრავლისმეტყველია და მოტივაციის მიმცემია კონკრეტულ დავალებათა, როგორც სასწავლო ამოცანათა, სპეციფიკაცია(…). საკუთარ შემსწავლელთა მოთხოვნებზე დაფიქრება კი, პრაქტიკოსების საქმეა, რასაც უნდა მოჰყვეს (...) შემსწავლელთათვის საკომუნიკაციო დავალებების განსაზღვრა“.

თქვენი ტრენინგი / სასწავლო პროგრამა:

1. ასტიმულირებს ცალკეულ დავალებათა სპეციფიკის განსაზღვრას, მოცემულ შემსწავლელებთან მიმართებაში?
2. აქცევს ასეთი დავალების სპეციფიკის განსაზღვრას გაკვეთილის დაგეგმვის, ან სასწავლო აქტივობათა დადგენის **ხილულ** და **ფარულ** ელემენტად?
3. თუ ასეთი სპეციფიკაცია სათანადოდაა მიჩნეული, იკვლევს მისი განხორციელების საშუალებებს კონკრეტულ ენასთან მიმართებაში?
4. ანალიზებს როგორი იქნება ეფექტი, თუ დავალების სპეციფიკის განსაზღვრა ხდება i) შემსწავლელის მიერ, ii) მასწავლებლის მიერ, შემსწავლელის მოთხოვნათა შეფასებით, ან მის გარეშე?

4. 3. 3. დავალებები (იხ. აგრეთვე, შენიშვნები კომპეტენციები 7-ზე)

დიდია სხვაობა „იმ დავალებებს შორის, რომლებთან გამკლავებაც მოეთხოვებათ შემსწავლელებს, როგორც ენის მომხმარებლებს და რომლებსაც ასრულებენ, როგორც თვით ენის შესწავლის პროცესის შემადგენელ ნაწილს“.

თქვენი ტრენინგი / სასწავლო პროგრამა:

1. განმარტავს ამ სხვაობას?
2. ახდენს იმ დავალებათა ილუსტრირებას, რომელთა შესრულებაც შემსწავლელებს მოეთხოვებათ საგანმანათლებლო სფეროში
ა) როგორც მართული, მიზანზე ორიენტირებული ინტერაქციების, პროექტირების, სიმულაციების, როლების გათამაშების და ა. შ. მონაწილეთ.

ბ) სხვა მხრივ, როცა 3 გამოიყენება ინსტრუქტირების საშუალებად i) თვით ენის სწავლებაში, ii) კურიკულუმით გათვლილი სხვა საგნების, ა. შ. სწავლებაში?

3. მოიცავს ასეთი დავალებების გამოყენებისა და შეფასების ილუსტრაციას?

4. 3. 4. – 4. 3. 5. თავშესაქცევი და ესთეტიკური აქტივობები და ენის გამოყენება

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ასტიმულირებს სტაჟიორებს, ან თქვენ როგორც მასწავლებელი იგონებთ, ექსპერიმენტს ატარებთ ან აფასებთ სასწავლო სიტუაციებს, თამაშებს, თავსატეხებს, თამაშის საშუალებებს, ვერბალურ ხუმრობებს, ენის წარმოსახვით და არტისტულ გამოყენებას, ა.შ?

4. 4. საკომუნიკაციო ენის აქტივობები და სტრატეგიები

ტრადიციულად, საკომუნიკაციო ენის აქტივობები განისაზღვრებოდა, როგორც კითხვა და მოსმენა (რეცეფციული უნარები), მეტყველება და წერა (პროდუქტიული უნარები).

4. 4. 1. – 4. 4. 4. ეს პუნქტები უფრო ხელსაყრელი სახით, განმარტებულია *კომპეტენციებში*, როგორც:

პროდუქტიული: ზეპირი პროდუცირება (მეტყველება)

წერილობითი პროდუცირება (წერა)

პროდუცირების სტრატეგიები

რეცეფციული: მსმენლობითი რეცეფცია (მოსმენა)

ვიზუალური რეცეფცია (კითხვა)

აუდიო-ვიზუალური რეცეფცია

რეცეფციის სტრატეგიები

ინტერაქტიული: სასაუბრო ინტერაქცია

წერილობითი ინტერაქცია

ინტერაქციის სტრატეგიები

მედიაცია: (ერთგვარი საკომუნიკაციო არხის ფუნქციის შესრულება ორ ადამიანს შორის, რომელთაც უშუალოდ კომუნიკაცია არ ძალუძთ. ხშირად, მაგრამ არა აუცილებლად, კომუნიკაცია ხდება სხვადასხვა ენებზე).

მედიაციის აქტივობები და სტრატეგიები

თქვენი ტრენინგ-პროგრამა მოიცავს სტაჟორების უნარის განვითარებას იმისთვის, რომ მათ:

1. შექმნან / შეარჩიონ **ზეპირი პროდუცირების** (მეტყველება) აქტივობები სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისათვის;
2. შექმნან / შეარჩიონ **წერილობითი აქტივობები** სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელთათვის, მათი, როგორც მკითხველთა სავარაუდო კატეგორიის, დეფინიციით;
3. შექმნან / შეარჩიონ **რეცეფციული აქტივობები** (მოსმენა და კითხვა, აუდიო-ვიზუალური რეცეფცია) სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისათვის, რომლებიც მოიცავს მოსმენის / კითხვის სათანადო უნარების განვითარებასაც, როცა მოცემულია მოსმენის / კითხვის საშუალებები და მიზნები;
4. შექმნან / შეარჩიონ **ინტერაქტიული** (სასაუბრო) აქტივობები სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისათვის, რაც აგრეთვე, მოიცავს:
 - ი) რეცეფციისა და პროდუცირების სტრატეგიების განვითარებას
 - იი) კოგნიტური და თანამშრომლობითი სტრატეგიების განვითარებას და ინტერაქციაში შესრულებული როლების აღიარებას;
5. შექმნან / შეარჩიონ ინტერაქტიული (წერილობითი) აქტივობები სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელთათვის, რაც აგრეთვე, მოიცავს კომუნიკაციას ადამიანსა და მანქანას შორის, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
6. შექმნან / შეარჩიონ **მედიაციის** აქტივობები სპეციფიკური ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისათვის, რაც, აგრეთვე მოიცავს ზეპირ და წერილობით მედიაციას?

თქვენ, როგორც მასწავლებელი, ასრულებთ ყველაფერ ამას?

როგორ გამოიყენებდით ილუსტრაციულ სკალებს მასწავლებელთა ტრენინგ / სასწავლო პროგრამაში?

იქნებოდა თუ არა ეს ყველაფერი საფუძველი დეტალური დაგეგმვისა და შესაბამისი უკუკავშირისა სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებთან და / ან თვითშეფასებასთან მიმართებაში?

4. 4. 5. არავერბალური კომუნიკაცია

ხომ არ მიგაჩნიათ, რომ არავერბალური კომუნიკაციის ასპექტები უნდა ფიგურირებდეს მასწავლებელთა ტრენინგ / სასწავლო პროგრამებში? თუ ეს ასეა, რომელი ასპექტები გსურთ იხილოთ და რა კონტექსტში განვითარებული?

4. 5. საკომუნიკაციო ენის პროცესები

ეს პროცესები შეჯამებულია *კომპეტენციებში* (4.5.1 – 4.5.3) როგორც:

1. დაგეგმვა
2. შესრულება
 - პროდუცირება
 - რეცეფცია
 - ინტერაქცია
3. მონიტორინგი

საკომუნიკაციო ენის ყველა პროცესი ბოლომდე გაგებული არ არის, თუმცა ცალკეული პროცესების ეტაპები, რომლებიც დაკვირვების ქვეშაა, სავსებით გასაგებია.

მასწავლებელთა ტრენერებს:

1. რას აკეთებს თქვენი პროგრამა იმისათვის, რომ სტაჟიორები უკეთ ათვისონ ცნობიერებდნენ და იგებდნენ მეტყველებისა და წერის პროდუცირებასა და რეცეფციაში ჩართულ ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ პროცესებს?
2. ამზადებს თქვენი პროგრამა სტაჟიორებს იმისათვის, რომ მათ შესძლონ მოცემულ ენაზე, (ა) აღქმისა და (ბ) სამეტყველო ბგერების წარმოთქმისას, შემსწავლელების მიერ დაშვებული შეცდომების ამოცნობა და შესწორება?
3. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ენის შესწავლის ამ ასპექტს?

მასწავლებლებს:

თქვენი სასწავლო პროგრამა:

1. ითვალისწინებს მეტყველებისა და წერის პროდუცირებასა და რეცეფციაში ჩართულ ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ პროცესებს?
2. მიზნად ისახავს მოცემულ ენაზე (ა) აღქმისა და (ბ) სამეტყველო ბგერების წარმოთქმისას, შემსწავლელების მიერ დაშვებული შეცდომების ამოცნობასა და შესწორებას?
3. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ენის შესწავლის ამ ასპექტს?

4. 6. ტექსტები

როგორც სასაუბრო, ისე წერილობით ტექსტებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციაში, მათი უზრუნველყოფა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით (ხმა, ტელეფონი, რადიო მაუწყებლობა, ტელევიზია, კინოფილმები, ელექტრონული ფოსტა, ხელნაწერები, ა. შ.). თვით ტექსტი შიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგი ტიპების მიხედვით:

სასაუბრო: საჯარო განცხადებები, კომენტარები, დებატები, ა. შ.

წერილობითი: წიგნები, სახელმძღვანელოები, პროკლამაციები, ნიშნები ა. შ.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი პროგრამა უწევს მეგზურობას სტაჟიორებს;

1. სასაუბრო / წერილობითი ტექსტების ტიპების შერჩევაში / შექმნაში?
2. სასაუბრო / წერილობითი ტექსტების ტიპების რეცეფციულ / პროდუქტიულ / ინტერაქციულ და მედიაციის მხრივ გამოყენებაში?
3. სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისათვის, მთელი რიგი საშუალებების ინტერაქტიულად / რეცეფციულად / პროდუქტიულად და მედიაციის მხრივ გამოყენებაში?

მასწავლებლებს:

1. ქმნით ან იყენებთ სასაუბრო / წერილობითი ტექსტის ტიპებს? რა კრიტერიუმებით ხდება მათი შერჩევა?
2. მიმართავთ სასაუბრო / წერილობითი ტექსტის ტიპების რეცეფციულ / პროდუქტიულ / ინტერაქციულ და მედიაციის მხრივ გამოყენებას?
3. სხვადასხვა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე შემსწავლელთათვის, იყენებთ მთელ რიგ საშუალებებს რეცეფციულად / პროდუქტიულად / ინტერაქტიულად ან მედიაციის მხრივ?

4.6.1 – 4.6.2-ში მოცემული ტექსტის სხვადასხვა ტიპები და მათი მატარებელი საშუალებები (4.6.2) შეიძლება ძალზე დაეხმაროს სტაჟიორებსა და მასწავლებლებს, სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში, მთელი რიგი შემსწავლელებისათვის. მასწავლებელთა ტრენერებსა და მასწავლებლებს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი იმის განხილვისა, თუ რომელი საშუალებების გამოყენება შეიძლება დასჭირდეთ ან მოსთხოვონ შემსწავლელებს (ა) რეცეფციულად, (ბ) პროდუქტიულად, (გ) ინტერაქტიულად და (დ) მედიაციის მხრივ. მასწავლებელთა ტრენერებმა შეიძლება აგრეთვე ისურვონ იმის განხილვა, თუ როგორ უნდა გაათვითცნობიერონ სტაჟიორები, აღნიშნულ საშუალებებსა და მათ გამოყენებაში.

თქვენი ტრენინგ / სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს:

1. განავითაროს შემსწავლელელებში სათანადო უნარები, როგორცაა:

* მეხსიერება

* გაშიფრვის უნარები

* დასკვნის გამოტანა

* პროგნოზირება

* სწრაფად გადახედვა

* მიხვედრა, ლექსიკონებით, გრამატიკის სახელმძღვანელოებით სარგებლობა, ა.

შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ეს უნარი ვერ იქნება ნავარაუდები? (იხ. 4.5)

2. განავითაროს შემსწავლელელებში მოქმედებების სიტყვებთან მისადაგების უნარი და პირიქით, დროდადრო კულტურული განსხვავების გათვითცნობიერებით? (იხ. 4.4.5.1)

3. განავითაროს შემსწავლელელებში პარალინგვისტური ყოფაქცევა; სხეულის ენა, დამატებითი ენობრივი სამეტყველო ბგერები, პროსოდიული თვისებები, იმ კულტურული განსხვავებების გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს მნიშვნელობის ცვლილება? (იხ. 4.4.5.2)

4. განავითაროს შემსწავლელელებში უნარი, წერილობით ტექსტებში (ა) ამოიცნონ, (ბ) რეაგირება მოახდინონ და (გ) გამოიყენონ პარატექსტუალური მახასიათებლები? (იხ. 4.4.5.3)

ნაწილი 5 – მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციები

მე-4 თავმა განიხილა ყველაფერი, რის შესწავლაც მოუწევთ ენის მომხმარებლებს კომუნიკაციის დასამყარებლად. მე-5 თავი ეხება იმ ცოდნასა და უნარებს (კომპეტენციებს), რომლებიც მათ მოქმედების საშუალებას აძლევს. თუმცა, საჭირო არ არის ყველა ჩამოთვლილი კომპეტენციის სწავლება.

5.1. ზოგადი კომპეტენციები

შემსწავლელელები მთელ რიგ კომპეტენციებს აქსოვენ სასწავლო დავალებაში. *კომპეტენციები* მათ შემდეგნაირად აღწერს:

5. 1. 1. დეკლარაციული ცოდნა (სავიწრო)

(I) ცოდნა სამყაროს შესახებ;

(II) სოციოკულტურული ცოდნა;

(III) კულტურათაშორის გათვითცნობიერებულობა;

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ან სწავლება იძლევა შესაძლებლობებს იმისათვის, რომ:

1. მიკვლევულ იქნეს უფრო მეტი, შემსწავლელის კომპეტენციების მხრივ?

2. შეფასდეს, თუ რა ახალი გამოცდილების ან ცოდნის დაუფლება სჭირდებათ შემსწავლელელებს სამყაროს შესახებ, რომ დააკმაყოფილონ მეორე ენის კომუნიკაციური მოთხოვნები?

3. შემსწავლელელებში განვითარდეს გათვითცნობიერებულობა, საკუთარ და სხვა კულტურებს შორის ურთიერთობის შესახებ, რაც განაპირობებს სათანადო კულტურათაშორის კომპეტენციის განვითარებას?

5. 1. 2. უნარები და ნოუ-ჰაუ (სავიწრო-ფაირე)

კომპეტენციებში განსაზღვრული მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენცია ასევე მოიცავს:

IV) პრაქტიკულ უნარჩვევებსა და ნოუ-ჰაუს – savoir faire;

V) კულტურათაშორის უნარებსა და ნოუ-ჰაუს.

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ან სწავლება აძლევს შემსწავლელებს საშუალებას:

1. განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კულტურათაშორის უნარები და სათანადო ნოუ-ჰაუ?
2. გამოსცადონ კონკრეტული კულტურა?
3. შეასრულონ კულტურული შუამავლის ფუნქცია?

5. 1. 3. ეგზისტენციალური კომპეტენცია (savoir-être)

შემსწავლელებს ასევე გააჩნიათ საკუთარი მიდგომები, მოტივაცია, ღირებულებები, მრწამსი, კოგნიტური სტილი და პიროვნული ფაქტორები, რაც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ მათ როლზე, საკომუნიკაციო აქტებში, არამედ მათ სწავლის უნარზეც.

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ითვალისწინებს შემსწავლელის ხასიათის თავისებურებებს? განსაზღვრავს ის, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ თავისებურებებმა ენის შესწავლაზე და როგორ შეიძლება მათი გათვალისწინება ენის შესწავლაში, სწავლებასა და შეფასებაში? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ენის სწავლებამ უნდა სცადოს საკუთარი წვლილის შეტანა შემსწავლელის პიროვნების განვითარებაში და თუ ეს ასეა როგორ?

5. 1. 4. სწავლის უნარი (savoir apprendre)

სწავლის უნარი არის „უნარი, დააკვირდე და გახდე ახალი სიტუაციების თანამონაწილე, შეავსო უკვე არსებული ცოდნა ახლით და ეს უკანასკნელი გარდაქმნა საჭიროებისამებრ: (კომპეტენციები, გვერდი 106) ეს უნარი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება:

1. ენობრივი და კომუნიკაციური გათვითცნობიერებულობა (5.1.4.1)
2. ზოგადი ფონეტიკური უნარები (5.1.4.2)
3. მეცადინეობის უნარი (5.1.4.3)
4. ევრისტიკული უნარები (5.1.4.4)

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ან სწავლება, იძლევა ზემოხსენებული ოთხი კატეგორიის უნარების განვითარებისა და სწავლასა და ენის გამოყენებაში შემსწავლელთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის საშუალებას?

როგორ ფიქრობთ, რა ასაკიდან უნდა დაიწყოს ცნობიერების ზრდის პროგრამა?

როგორ დაგეგმავდით აღნიშნული კატეგორიის უნარების განვითარებას შემსწავლელებში?

საკომუნიკაციო ენის კომპეტენცია

კომპეტენციების ამ პუნქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა და მასწავლებელთა ტრენინგების ტრენინგის საქმეში მიუხედავად იმისა, ტრენინგი მომზადებას ემსახურება თუ კვალიფიკაციის ამაღლებას, დაწყებით დონეზე ტარდება, თუ საშუალოზე. იგი აქცენტს აკეთებს „ენობრივი კომპეტენციის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებასა და კვალიფიცირებაზე, რაც განისაზღვრება, როგორც ფორმალური რესურსების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი. სწორედ ამ რესურსებიდან შეიძლება მოუყაროთ თავი და ჩამოვაყალიბოთ კარგად ფორმირებული, მრავლისმთქმელი შეტყობინებები“. სტაჟორებსა და მასწავლებლებს კარგად უნდა ესმოდეთ, რა იგულისხმება ენობრივ კომპეტენციაში, რომ თანამიმდევრულად და დროსთან მისადაგებით დაგეგმონ ის, რაც უნდა ასწავლონ და რაც შემსწავლელებმა უნდა ისწავლონ. ეს ცოდნა საჭიროა იმისათვის, რომ მათ შესძლონ შემსწავლელთა კომპეტენციის აღწერა და პროგრესის მიზნით, მისი დავთარში შეტანა და დეტალურად, ყოვლისმომცველად სკალირება.

გადაწყვეტილებები მოკლე და გრძელვადიანი ამოცანების შესახებ, შეიძლება დაეფუძნოს ზემოთ წარმოდგენილ გაგებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს თავი, მე-4 თავთან ერთად, აყალიბებს, რის „კეთება შეუძლია ბოლომდე კომპეტენტურ ენის მომხმარებელს და რა სახის ცოდნა, უნარები და მიდგომები ხდის ამ აქტივობებს შესაძლებ-

ბელს“. აღნიშნული თავები უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სქემას, რომელიც მეგზურობას გაუწევს სხვადასხვა მოთხოვნების, შესაძლებლობებისა და მოტივაციის მქონე შემსწავლელებს, მათი ინდივიდუალური და კოლექტიური ამოცანებიდან გამომდინარე. ზოგიერთი ასპექტი შეიძლება შეუსწავლელი დარჩეს, ზოგიერთი ნაწილობრივ იქნება შესწავლილი და ზოგიც – სიღრმისეულად.

მკითხველებს შეიძლება ჰქონდეთ სურვილი, განიხილონ:

1. როგორ და რა მოცულობით უნდა მოიცავდეს სასწავლო და ტრენინგ-პროგრამები ლექსიკური კომპეტენციის, გრამატიკული კომპეტენციის, სემანტიკური კომპეტენციისა და ფონოლოგიური კომპეტენციის დეფინიციას, განხილვისა და მაგალითებით ილუსტრირებას (5.2.1.1 – 5.2.1.4)

2. რომელ ლექსიკურ ელემენტებს ითვალისწინებს სტაჟიორი ან მასწავლებელი იმისათვის, რომ შემსწავლელებმა სცადონ და / ან გამოიყენონ (5.2.1.1)

3. რომელ გრამატიკულ ელემენტებს, კლასებს (5.2.1.2), სტრუქტურებს, პროცესებსა და კავშირებს, სინტაქსს ითვალისწინებს სტაჟიორი ან მასწავლებელი იმისათვის, რომ შემსწავლელებმა სცადონ და / ან გამოიყენონ და / ან განმარტონ პირველი და მეორე ენის გამოყენება;

4. რა:

* სემანტიკურ კომპეტენციას (სინონიმები, ანტონიმები, თარგმანის ეკვივალენტურობა, ა.შ)

* ფონოლოგიურ კომპეტენციას (მახვილი წინადადებებში, რითმი, ინტონაცია).

* ორთოგრაფიულ კომპეტენციას (სიტყვების მართლწერა, პუნქტუაციის გამოყენება ა.შ)

* ორთოეპიულ კომპეტენციებს (მართლწერის პირობითობის ცოდნა, ლექსიკონით სარგებლობის უნარი ა.შ) (5.2.1-5.2.6)

ითვალისწინებს სტაჟიორი ან მასწავლებელი და სწავლების რომელ ეტაპზე, რომ შემსწავლელებმა შესძლონ ზრდა / დემონსტრირება;

5. რა მოცულობით უნდა მიაწოდონ სტაჟიორებმა და მასწავლებლებმა თავიანთ შემსწავლელებს

(ა) მშობლიური ენის გრამატიკა

(ბ) შესასწავლი ენის გრამატიკა

(გ) ცოდნა მათ კონტრასტულ კავშირზე;

და რომელი მეტაენა უნდა იქნეს გამოყენებული ახსნა-განმარტებაში, სტაჟიორის, მასწავლებლის ან შემსწავლელის მიერ, და უნდა გაკეთდეს თუ არა ეს პირველ და მეორე ენაში;

6. სოციალური პირობითობის, თავაზიანობის პირობითობის, რეესტრის სხვადასხვაგვარობის, ბრძნული ხალხური გამონათქვამების, დიალექტებისა და აქცენტების რომელი მარკერებით უნდა დაეხმარონ სტაჟიორები და მასწავლებლები თავიანთ შემსწავლელებს, რომ მათ

(ა) იცნონ

(ბ) გამოიყენონ (5.2.2.1-5.2.2.5);

7. მეტყველების კომპეტენციის რომელი ასპექტებით (წინადადებების დაწობა, თანამიმდევრობის მიღწევა, სათანადო სტილისა და რეესტრის გამოყენება და ა.შ). უნდა დაეხმარონ სტაჟიორები და მასწავლებლები შემსწავლელებს კონტროლსა და / ან დემონსტრირებაში;

8. ფუნქციონალური კომპეტენციის რომელი ასპექტებით (5.2.3.2)

* მიკრო ფუნქციები (იდენტიფიცირება, კომენტარი, ა.შ)

* მაკროსიტაირი (დესკრიფცია, თხრობა, კომენტარი, ა.შ)

* ინტერაქციის სქემები (სოციალური ინტერაქციის ნიმუშები)

უნდა დაეხმარონ სტაჟიორები და მასწავლებლები შემსწავლელებს კონტროლსა და / ან დემონსტრირებაში.

ნაწილი 6 - ენის შესწავლა და ენის სწავლება

ეს ნაწილი განიხილავს ენის შესწავლისა და სწავლების პროცესებს და ეხება კავშირს დაუფლებასა და სწავლას შორის, ისევე, როგორც ზოგადი და უფრო სპეციფიკური სახის მეთოდოლოგიურ ოფციებს. მომავალ მასწავლებლებს და თვით მასწავლებლებსაც სჭირდებათ იმის გარკვევა, თუ „როგორ ახერხებენ შემსწავლელები თავის გართმევას დავალებების, აქტივობებისა და პროცესებისათვის და კომუნიკაციისათვის აუცილებელი კომპეტენციების შემუშავებას.“ სწორედ ამის ცოდნა განაპირობებს აღნიშნული პროცესების უფრო ეფექტურ წინსვლას და გაადვილებას.

6. 1. რის სწავლა ან დაუფლება უწევთ შემსწავლელებს?

სწავლა და დაუფლება დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც დაწვრილებით განვიხილეთ მე-4 და მე-5 თავებში. სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარეა ღირებული სტაჟორებისა და მასწავლებლების დახმარება იმის დადგენაში, თუ როგორია შემსწავლელების მიზნები, მოთხოვნები, ადრინდელი ცოდნა, კოგნიტური სტილი, აგრეთვე, კავშირი პირველ და შესასწავლ ენას შორის. თუმცა, *კომპეტენციები* აღნიშნავს, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლის დონეზე, ძნელია უმცროსი ასაკის შემსწავლელების პროფესიული მოთხოვნების განჭვრეტა. აქედან გამომდინარე, ენის შესწავლას უფრო მეტი გამართლება უნდა ჰქონდეს. მასწავლებლები და სტაჟორები პრინციპულად უნდა უდგებოდნენ ამ გამართლების ფორმულირებას და მასთან დაკავშირებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების აღწერას. თუ ცალკეული დავალებები, აქტივობები და სტრატეგიები განიხილება მიზნებად, საჭიროა დადგინდეს კრიტერიუმები, ან განისაზღვროს საშუალებები მათ მისაღწევად, აგრეთვე, იმის გასარკვევად, თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს შეტანილი ან ამოღებული სასწავლო პროგრამიდან. რა თქმა უნდა, დადგება შემსწავლელთა პროგრესის სექმატურად ასახვის აუცილებლობაც, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით, რომ შემსწავლელებმა შესძლონ საკუთარი კომპეტენციის და მუშაობის შეფასება. შესაძლებელი გახდება სწავლის დაგეგმვა უფრო სისტემურად, დეტალური, ლოგიკური და თანამიმდევრული სტანდარტის ფარგლებში.

კომპეტენციების ეს თავი განიხილავს სასწავლო მიზნებს, ყველა ძირითადი საკითხის განსაზღვრით, შემდგომი გათვალისწინებისათვის. ის აგრეთვე არკვევს, როგორ სწავლობენ შემსწავლელები და რა სახით შეუძლიათ მასწავლებლებს მათი დახმარება სასწავლო პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ დეტალური სკალირება უკვე მოცემულია ცხრილებში 1 და 2 და მე-3, მე-4 თავებში, მონიტორინგის, შეფასების, რაპორტირებისა და ჩაწერის დაწვრილებით განხილვას აღარ შევუდგებით. თუმცა, მრავალენოვანი (პლურილინგვისტური) და მრავალკულტურული (პლურიკულტურული) კომპეტენციების (6.1.3) პროფილის განვითარების განხილვა და ილუსტრირება შეიძლება საკმაოდ სასარგებლოც კი აღმოჩნდეს, თუ ენის შესწავლის მიზნები მოიცავს:

იდენტურობის უკეთ გაცნობიერებას (იხ. 6.1.3.1)

დავლების შესასრულებლად საჭირო სტრატეგიების არჩევანის შექმნას (6.1.3.2)

ენობრივი და კომუნიკაციური გათვითცნობიერებულობის განვითარებას (6.1.3.3)

მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამაში და იმ დაგეგმვაში, რომელსაც მასწავლებელი ახორციელებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსწავლელის კომპეტენციების განვითარების მხედველობაში მიღებას, რაც რამდენადმე აჩქარებს (...) სწავლას ენობრივ და კულტურულ სფეროებში და „ხელს უწყობს ენობრივი მრავალფეროვნებისა და სკოლაში რამდენიმე ენის სწავლების უფრო მეტად დაფასებას“. *კომპეტენციების* თანახმად, შემსწავლელთა დახმარების მთავარი ამოცანა უნდა იყოს:

მათი ენობრივი და კულტურული იდენტურობის შექმნა, მასში სხვადასხვაგვარობის ინტეგრაციის გზით.

მათი სწავლის უნარის განვითარება ამავე სხვადასხვაგვარობის მეშვეობით, რამდენიმე ენასა და კულტურასთან მიმართებაში“

მასწავლებელთა ტრენერებმა სტაჟიორებთან ერთად და მასწავლებლებმა თავი-
ანთ კოლეგებთან ერთად, შეიძლება ისურვონ შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

1. როგორ დაასაბუთებდნენ ისინი კონკრეტულ კონტექსტში, უცხო ენის შესწავ-
ლის აუცილებლობას (დაწყებითი ან საშუალო სკოლა) და რა ზოგადი და სპეციფიკური
მიზნები ექნებოდათ საკუთარ შემსწავლელებსა და სასწავლო პროგრამასთან მიმართე-
ბაში;

2. მრავალენოვნების (პლურილინგვიზმის) მნიშვნელობა ენის შესწავლაში, სწავ-
ლებასა და შეფასებაში;

3. რა სახე უნდა მიეცეს უცხო და მშობლიური ენის მასწავლებელთა
თანამშრომლობას, შემსწავლელთა მრავალენოვანი (პლურილინგვიზური) კომუნიკაციური
კომპეტენციის განვითარებისათვის.

6. 1. 4. ამოცანათა ცვალებადობა

აქ წარმოდგენილია ამოცანათა ოთხი ტიპი სწავლებისა და სწავლის კუთხით,
რაც საჭიროებს ყურადღებით განხილვას მასწავლებლებისა და სტაჟიორების მხრიდან.

პირველი ეტაპი მოიაზრებს **ზოგადი კომპეტენციების** განვითარებას (იხ. პუნქტი
5.1). იგი შეიძლება აქცენტს აკეთებდეს „შემსწავლელისათვის დეკლარაციული ცოდნის
მიწოდებაზე“, რაც გულისხმობს „გრამატიკის, ლიტერატურის ან მოცემული უცხო
ქვეყნის კულტურული მახასიათებლების ცოდნას“.

მეორე ეტაპი განიხილება **საკომუნიკაციო ენის კომპეტენციის** განვითარებისა და
გამრავალფეროვნების თვალსაზრისით (იხ. 5.2) მისი მიზანი შეიძლება იყოს სინტაქსის,
ფონეტიკური სისტემისა და ა. შ. კომპეტენტური გამოყენება, ან პრაგმატულ თუ სო-
ციოლინგვისტურ კომპონენტებთან ურთიერთობა.

ამოცანის მესამე ტიპი შეიძლება განისაზღვროს „ერთი ან რამდენიმე სპეციფი-
კური **ენობრივი აქტივობის** უკეთ შესრულების მიხედვით“ (იხ. თავი 4.4) **რეცეფციაზე,**
პროდუცირებაზე, ინტერაქციაზე ან **მედიაციაზე** კონცენტრირებით. ეს ამოცანა ზეგავ-
ლენას მოახდენს სასწავლო დავალებების შინაარსობრივ შერჩევაზე, ტექსტის ტიპების
არჩევანსა და სელექციაზე და იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიხედვითაც ხდება
წინსვლის სტურქტურისა. ა. შ.

მეოთხე ტიპი შეიძლება ეხებოდეს თვით შემსწავლელებს, რომლებიც, წარმატე-
ბით მოღვაწეობენ მოცემულ **სფეროში** (იხ. თავი 4.1.1). გამომდინარე იქიდან, რომ ამ
ტიპის ამოცანის ფორმულირება შედეგობრივად აისახება სწავლებასა და სწავლაზე,
სტაჟიორებს უნდა ესმოდეთ, რას მოიცავს იგი.

ამოცანათა შესასრულებლად შემსწავლელები საჭიროებენ სათანადო **სტრატეგიე-
ბის** შემუშავებას. მასწავლებლებისა და სტაჟიორებისათვის შეიძლება ფრიად მომგები-
ანი იყოს სტრატეგიების განხილვა და მაგალითების ილუსტრირება, მსჯელობა იმაზე,
თუ როგორ შეიძლება მათი შემუშავება და გაუმჯობესება, რომ სწავლა უფრო
ეფექტური და შედეგიანი გახდეს.

დავალებები შეიძლება განხილულ იქნეს ამოცანებად, „რომელთა შესრულება
უნდა მოხდეს მოცემული სფეროს შესაბამისად“. ამოცანათა დავალებების სახით ფორ-
მულირებას ის უპირატესობა გააჩნია, რომ შესაძლებელია „სავარაუდო შედეგების,
პრაქტიკული გაგებით, იდენტიფიცირება“. სტაჟიორები და მასწავლებლები მალევე
შეაფასებენ ამ ფორმულირების უპირატესობას, როცა შემსწავლელთა მოკლევადიანი
მოტივაცია მათი პედაგოგიური ზრუნვის ერთ-ერთი საგანი გახდება.

მასწავლებელთა ტრენერებმა და მასწავლებლებმა შეიძლება გამოთქვან 6.14-ში
მოცემულ ამოცანათა ოთხი ტიპის განხილვის სურვილი. დისკუსიებმა სტაჟიორებთან და
კოლეგებთან, შეიძლება აქცენტი გააკეთოს იმაზე, თუ როგორ ასახავს ასეთი დე-
ფინიციები „სასწავლო მიზნების შესაძლო მრავალფეროვნებას და იმ მრავალფეროვნე-
ბასაც, რომელსაც შეიძლება წავაწყდეთ სწავლების უზრუნველყოფის მხრივ“. რესტორ-
ნის მიმტანის მაგალითი (6.14.2) შესაძლოა კარგი დასაწყისი იყოს შემდეგი ასპექტების
ილუსტრირებისათვის:

- * კონცენტრირება კონკრეტულ სფეროებზე
- * ზეპირი ინტერაქცია
- * კომუნიკაციური კომპეტენცია აქცენტით:
 - ცალკეულ ლექსიკურ სფეროებზე
 - ცალკეულ სოციოლინგვისტურ ნორმებზე
 - savoir-être-ს ცალკეულ ასპექტებზე.

დისკუსიებმა სტაჟორებთან და კოლეგებთან შეიძლება უზრუნველყოს სხვა მაგალითებიც, რომლებიც დაგვანახებს, თუ როგორია ამოცანათა სხვადასხვა ტიპები მათი გაგებით, და როგორ უნდა მოხდეს მათი სისტემურად და გათვითცნობიერებულად ფორმულირება.

6. 2. ენის შესწავლის პროცესები

კომპეტენციების მიზანია, იყოს ამომწურავი, ღია, დინამიური და არადოგმატური. აქედან გამომდინარე, იგი ვერ მიემხრობა ენის დაუფლების თავისებურებასა და მისი ენის შესწავლასთან კავშირის შესახებ მიმდინარე თეორიული დისკუსიების ვერცერთ პოზიციას. აგრეთვე, იგი არ ასახიერებს ენის სწავლებასთან მიმართებაში არსებულ არცერთ კონკრეტულ მიდგომას. თვით კვლევა ვერ უზრუნველყოფს შეხედულებათა კონსენსუსს იმის თაობაზე, თუ როგორ სწავლობენ შემსწავლელები. თუმცა, არსებული თეორიები და პრაქტიკა სწორედ მათ ემყარება. სტაჟორების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ტრენინგ-პროგრამებს მოეთხოვებათ იმ თეორიული ბაზის ზუსტად განსაზღვრა, რომელსაც ეფუძნება მათი პრაქტიკა; თუ ადგილი არ ექნება ასეთ გამჭვირვალებას, სტაჟორები ვერ შეძლებენ საკუთარ მოსაზრებათა საღად და პრინციპულად ჩამოყალიბებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, ტერმინები „ენის დაუფლება“ და „ენის სწავლა“ განიმარტოს შემდგომი გაუგებრობისა და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად.

6. 2. 1. როგორ სწავლობენ შემსწავლელები?

შემსწავლელები ყოველთვის არ სწავლობენ იმას, რასაც ასწავლიან მასწავლებლები; ამასთან, ისიცაა გასათვალისწინებელი, თუ როგორია ათვისების ხარისხი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და სტაჟორების მხრიდან შემსწავლელთა ისეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება, როგორიცაა „არსებითად კონტექსტური და გასაგები ენის მიწოდება და ენის ინტერაქტიული გამოყენებისათვის შესაძლებლობათა უზრუნველყოფა“. დაგეგმვის პროცესში, საჭიროა იმის გაცნობიერებაც, რომ „სწავლას აადვილებს, განსაკუთრებით, ხელოვნურ საკლასო პირობებში, გაცნობიერებულად სწავლისა და საკმარისი პრაქტიკის კომბინირება, რადგან მცირდება ან საერთოდ აღარ ექცევა ყურადღება წერა-კითხვის სუსტ უნარებს და მორფოლოგიურ და სინტაქსურ სიზუსტეს. სამაგიეროდ, გონებაში მეტი ადგილი რჩება უფრო მაღალი დონის საკომუნიკაციო სტრატეგიებისათვის“.

მკითხველებმა შეიძლება ისურვონ იმის განხილვა, თუ როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მიღწევა სასწავლო / ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, რა სახის შესაძლებლობები უნდა შეიქმნას საკლასო ოთხში და მის ფარგლებს გარეთ, და კონკრეტულად რა იგულისხმება ფიზიკურ უნარებში...?

6. 3. რამდენიმე მეთოდოლოგიური ოფცია თანამედროვე ენის შესწავლისა და სწავლებისათვის.

მრავალი წელია, ევროპის საბჭო, „ხელს უწყობს შემსწავლელთა საკომუნიკაციო მოთხოვნებზე დაფუძნებულ მიდგომას და იმ მასალებისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც შემსწავლელებს ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს“.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული ენის სწავლების მეტოდოლოგიის ხელშეწყობა; ყოველი მომხმარებელი – ამ შემთხვევაში, მასწავლებლები და მასწავლებელთა ტრენერები – თავად განსაზღვრავენ საკუთარ მეტოდოლოგიასა და ამოცანებს.

6. 3. 1. ზოგადი მიდგომები

მასწავლებლებს, ჩვეულებრივ, მოეთხოვებათ სახელმძღვანელოებისა და ენის ავთენტურ გამოყენებასთან მიმართების უზრუნველყოფა, სპეციალური დავალებებისა და საკურსო მასალების დამუშავება, ტესტების შედგენა და ადმინისტრირება, გადაწყვეტილებათა მიღება საკლასო აქტივობების შესახებ და შემსწავლელთა სასწავლო პროცესებში გარკვევა.

ასეთი პრაქტიკის გათავალისწინებამდე, ურიგო არ იქნება, მასწავლებლებმა განსაზღვრონ, სავარაუდოდ როგორ ისწავლიან შემსწავლელები მეორე ან უცხო ენას.

კომპეტენციები აქვე გვაწვდის სასარგებლო საკონტროლო ფურცელს.

<p>უცხო ენის</p>	<p>შემსწავლელები, რომლებზეც პასუხს აგებთ, სავარაუდოდ როგორ ისწავლიან ენას:</p> <p>ა) მეორე ენის ავთენტურ გამოყენებასთან მიმართებით;</p> <p>ბ) შერჩეულ ტექსტთან (ზეპირი ან წერილობითი) უშუალო კავშირით;</p> <p>გ) ავთენტურ საკომუნიკაციო ინტერაქციაში უშუალო მონაწილეობით;</p> <p>დ) მეორე ენაზე სპეციალურად შემუშავებულ დავალებებთან უშუალო მიმართებით;</p> <p>ე) თვითშესწავლით;</p> <p>ვ) პრეზენტაციით, ახსნა-განმარტებით, ვარჯიშითა და გამოყენებით, პირველი მცირე დავალებით;</p> <p>ზ) პრეზენტაციით, ახსნა-განმარტებით, ვარჯიშითა და გამოყენებით, ექსკლუზიურად მეორე ენაზე;</p> <p>თ) ზემოხსენებული ასპექტებიდან რამდენიმეს გამოყენებით, პირველი ენის გამოყენების შემცირებითა და თვითშესწავლის მოცულობრივი გაზრდით;</p> <p>ი) ზემოხსენებული ასპექტების კომბინირებით ჯგუფურ და ინდივიდუალურ დაგეგმვასთან, ინდივიდუალური მოთხოვნებიდან გამომდინარე-მოლაპარაკებით, მასწავლებლის მხარდაჭერით, ა. შ.</p>
-------------------------	--

ეს ნუსხა სათანადოდ ვერ აფასებს იმას, რაც მოცემულია 6.4.1-ში. თუმცა, იწყებს მნიშვნელოვანი შეკითხვების დასმას, მათზე გაცემული პასუხებით მოხდება პედაგოგიური პრაქტიკის განსაზღვრა.

საერთოდ, სავარაუდოა, რომ შემსწავლელები ისწავლიან / დაეუფლებიან მეორე ენას:

- ა) მეორე ენის ავთენტურ გამოყენებასთან უშუალო მიმართებით;
- ბ) სპეციალურად შერჩეულ სასაუბრო ფრაზებთან და ტექსტებთან უშუალო კავშირით;
- გ) ისეთ შინაარსთან კავშირით ან იმ აქტივობებში მონაწილეობით, რომლებიც გამომდინარეობს ინდივიდუალური მოთხოვნებიდან.

მკითხველებს შეიძლება გაუჩნდეთ იმის განხილვის სურვილი, რუ როგორ უნდა დაეხმარონ სტაჟორებს, ან მათ, როგორც მასწავლებლებმა:

1. როგორ უნდა მოამზადონ საკლასო აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს:

– ენის და მეორე ენაზე სპეციალურად შერჩეული სასაუბრო ფრაზებისა და წერილობითი ტექსტების ავთენტიკურ გამოყენებას.

2. როგორ უნდა შეარჩიონ, მიუსადაგონ, შეადგინონ, დააწყონ და წარადგინონ ტექსტები, და რომელი პრინციპების მიხედვით?

3. როგორ უნდა მიაღწიონ ფლექსიურობას გაკვეთილის დაგეგმვისას ისე, რომ იგი მიესადაგებოდეს მოსწავლეებს:

4. როგორ უნდა განსაზღვრონ და გაანალიზონ ის სასწავლო პრობლემები, რომელთაც აწყდებიან ინდივიდები, და როგორ უნდა შეიმუშაონ სასწავლო სტრატეგიები ინდივიდებთან მისადაგებით?

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი საკლასო აქტივობა შეიძლება წარმოადგენდეს პრეზენტაციების, ახსნა-განმარტებების, სავარჯიშოებისა და გამოყენებითი აქტივობების კომბინაციას, რომელთა შესრულება ხდება მხოლოდ მეორე ენაზე. არსებობს აქტივობების სხვა მსგავსი კომბინაციაც, მაგრამ ამ შემთხვევაში, კლასის გაძღოლა, ახსნა-განმარტება და ა. შ. ხდება პირველ ენაზე.

ითქვენ, როგორც მასწავლებელი ან მასწავლებელთა ტრენერი, თუ განიხილავთ:

1. რა კეთდება უფრო ადეკვატურად პირველ / მეორე ენაზე?

2. როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ მითითებები, ახსნა-განმარტება, რუბრიკები და როგორ უნდა მოხერხდეს მეორე ენის ეფექტურად გამოყენება საკლასო ოთახის ფარგლებში?

6. 4. 2. მასწავლებლების, შემსწავლელების და საშუალებების როლი

ყოველ მასწავლებელსა და შემსწავლელს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა აქვს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ღებულობენ გადაწყვეტილებებს საკლასო დროის განკარგვასთან დაკავშირებით. იმავედროულად, ისინი ერთგვარ მაგალითს წარმოადგენენ შემსწავლელებისათვის გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედებები ასახავს მათ მიდგომებსა და მრწამსს. შემსწავლელებს მოეთხოვებათ გარკვეულ ფარგლებში მოქმედება; ზოგჯერ, ისინი მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ და ზოგჯერ – თანატოლებთან, რიგ შემთხვევებში – დამოუკიდებლად. სასწავლო საშუალებები სხვადასხვა სახით გამოიყენება. გამოყენების ყოველი შემთხვევა გადაწყვეტილებათა შედეგია მაშინაც კი, როცა ისინი ზღუდავს ცალკეული რესურსებით სარგებლობას.

ითქვნი, როგორც მასწავლებლის, დაგეგმა ან ტრენინგ-პროგრამა, განმარტავს თუ არა იმ სხვადასხვაგვარ როლებს, რომელთა შესრულებაც უწევს მასწავლებელს, როცა შემსწავლელებს რთავს სხვადასხვა სახის აქტივობებში? რამდენად გასაგებია შემსწავლელებისათვის ის, რაც მოეთხოვებათ? რა სახით და რა დანიშნულებით ხდება სასწავლო საშუალებების გამოყენება?

6. 4. 3. ტექსტების გამოყენება

სასაუბრო და წერილობითი ტექსტები შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს; ისინი შეიძლება იყოს ავთენტიკური, ან სპეციალურად შედგენილი, ენის სწავლებაში გამოსაყენებლად. ტექსტების გამოყენებაც სხვადასხვაგვარად ხდება. შემსწავლელებს შეუძლიათ მათი შედგენაც და დამუშავებაც.

თქვენ ან თქვენს სტაჟიორებს გაგანჩიათ კრიტიკიუმები:

1. სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესარჩევად?
2. სახელმძღვანელოებისა და მასალების გასაანალიზებლად?
3. საკუთარი ტექსტების ადაპტირებისა და შედგენისათვის?
4. იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ უნდა გამოეხმაურონ შემსწავლელები ამა თუ იმ ტიპის ტექსტებს, და როგორ უნდა განივითარონ მოსმენისა და კითხვის სხვადასხვა სტილი?
5. რომ იყოს ფლექსიური გაკვეთილის დაგეგმვისას, მოსწავლეთა პასუხებთან ადაპტირების მიზნით?

6. 4. 4. დავალებებითა და აქტივობებით სწავლა

საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს სწავლა დავალებებითა და აქტივობებით. მასწავლებლები საზღვრავენ, საკმარისა თუ არა უბრალოდ მონაწილეობა, თუ საჭიროა გარკვეული ურთიერთობა წინასწარ დაგეგმვასთან ან დავალების შემდგომ ანალიზირებასა და შეფასებასთან; აგრეთვე, დებულობენ გადაწყვეტილებას, თუ რამდენად აუცილებელია უფრო მეტად გათვითცნობიერება „დავალების მიზნების, ხასიათისა და სტრუქტურის, მონაწილეთა როლებისადმი წაყენებული მოთხოვნების და ა.შ“ მხრივ. მასწავლებლებს შეუძლიათ შეარჩიონ დავალებები, ცალკეული სტრატეგიების მოქმედების ხელშეწყობისათვის, მიმართონ ხერხებს ცნობიერების ასამაღლებლად, ან მოითხოვონ შემსწავლელებისაგან, ზუსტი სტრატეგიული პროცედურების მიღება.

განიხილავთ თუ არა, რა ადგილი უნდა დაეთმოს აქტივობებს, დავალებებსა და სტრატეგიებს ენის სწავლებაში / სასწავლო პროგრამაში?

6. 4. 6. ზოგადი კომპეტენციები

ზოგადი კომპეტენციები (იხ. თავი 5.1) მოიცავს ცოდნას სამყაროს შესახებ, სოციოკულტურულ ცოდნასა და კულტურათაშორის უნარებს, ეგზისტენციალურ კომპეტენციას და მეცადინეობის უნარებს. საჭიროა მათი ერთგვარად გამოკვეთა, რომ მოხდეს მათი უცხო ენის შესწავლაში, ისევე როგორც კურიკულუმით გათვალისწინებულ სხვა სახის სწავლაში, განვითარების კოორდინირება. ასევე, უნდა დაზუსტდეს მიდგომა მათ განვითარებასთან მიმართებაში.

თქვენი ტრენინგ / სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს შემსწავლელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების გზებს?
მასწავლებლებს:
როგორ უზრუნველყოფთ სათანადო ზოგადი კომპეტენციების განვითარებას?
მასწავლებელთა ტრენერებს:
უზრუნველყოფს თქვენი პროგრამა სტაჟიორთა ზოგადი კომპეტენციების შემდგომ განვითარებას? რა მხრივ არის ეს საჭირო?

6. 4. 6. 5. მეცადინეობის უნარები და სწავლის სწავლა

მოსწავლეებს / სტუდენტებს, როგორც ენის დამოუკიდებელი პასუხისმგებელი შემსწავლელების, განვითარების ხელშეწყობა, ალბათ სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუნდამენტური ასპექტია. იგივე ითქმის ტრენინგ-პროგრამაზეც. იმ

უნარის განვითარება, რასაც სწავლა ეწოდება, სტაჟორებსა და შემსწავლელებში ერთდროულად შეიძლება. მთელი რიგი მეთოდოლოგიური ოფციები, გათვითცნობიერებულობის ზრდა და პასუხისმგებლობის გადატანა შეიძლება ინტეგრირებულ იქნეს მასწავლებლებისა და სტაჟორების მიერ საკუთარ სწავლასთან მიმართებაში შემუშავებულ ემპირიულ მიდგომაში. საჭირო იქნება ასეთი მიდგომების დოკუმენტის სახით გაფორმება და შეფასება, რომ მოხდეს შედარება და ყველაზე უფრო ეფექტური მოდელის განვითარება.

როგორ უწყობთ ხელს შემსწავლელებში დამოუკიდებლად შესწავლის განვითარებას?
მასწავლებელთა ტრენერებს:
რა სახით ეხმარებით სტაჟორებს ენის დამოუკიდებლად შესწავლის განვითარებაში?
იყენებთ თუ არა გამოცდილებაზე დაფუძნებულ მიდგომას თქვენი ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში?

6. 4. 6. ავტონომიური სწავლა

ავტონომიური სწავლა სწავლების საბოლოო მიზანი უნდა იყოს:

მასწავლებელთა ტრენერებს:
თქვენი ტრენინგ-პროგრამა ეხმარება სტაჟორებს იმის გარკვევაში, თუ როგორ უნდა ასწავლონ შემსწავლელებს სწავლა პროექციულად და არა რეაქციულად:
1. ხელმისაწვდომ ოფციებში გათვითცნობიერების გაზრდით?
2. შემსწავლელთა დახმარებით, რომ მათ შესძლონ გაკეთებული არჩევანის გარკვევით ფორმულირება? თქვენ შეიძლება ისურვოთ იმის განხილვა, თუ რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაა საჭირო, რომ დაეხმაროთ სტაჟორებს საკუთარ სტრატეგიებში გათვითცნობიერებასა და მათ შემდგომ განვითარებაში, სანამ ისინი შესძლებენ მსგავსი გათვითცნობიერებულობის განვითარებას საკუთარ შემსწავლელებში.
მასწავლებლებს:
რა სახით ეხმარებით შემსწავლელებს იმისათვის, რომ ისწავლონ სწავლა?

6. 4. 7. ენობრივი კომპეტენციები

ენობრივი კომპეტენციების განვითარება ენის შესწავლის არსია. იგი აქცენტს აკეთებს სხვადასხვა ასპექტებზე:

6. 4. 7. 1. ლექსიკური მარაგის ათვისება

თქვენი ტრენინგ-სასწავლო პროგრამა ავითარებს შემსწავლელის სტრატეგიებს ლექსიკური მარაგის ასათვისებლად?
ეფუძნება იგი საკლასო ოთახის ფარგლებში ჩატარებულ რაიმე სახის კვლევით შედეგებს?

6. 4. 7. 4. გრამატიკული კომპეტენცია

ტრენინგ-პროგრამებსა და სწავლებაში ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით, გაკვეთილების დაგეგმვისას (ზოგიერთი) გრამატიკული კატეგორიის მაღალ „საკომუნიკაციო შედეგს“. სტაჟორებმა და მასწავლებლებმა უნდა გადაწყვიტონ:

1. მათ, როგორც მასწავლებლებს, რომელ გრამატიკულ ელემენტზე სურთ კონცენტრირება და რომელზე უნდა გააკეთონ შედარებით ნაკლები აქცენტი?

2. რა კავშირია გრამატიკულ წინსვლასა და კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას შორის. მაგალითად, გერმანულის შემსწავლელებში წარსულ დროზე საუ-

ბრის უნარის განვითარების დაყოვნებამ, სანამ არ მოხდება ძლიერი ზმნების ფორმალური კომპლექსურობის სწავლება;

3. რა როლი შეიძლება შეასრულონ კონტრასტულმა ფაქტორებმა სასწავლო პროგრამაში - მაგალითად, ბარიერები, რომელსაც აწყდება ინგლისურენოვანი შემსწავლელი გერმანულის შესწავლისას;

4. რაში მდგომარეობს (ენის შესწავლის) სირთულე; არის თუ არა ზოგიერთი ენის / გრამატიკული თავისებურებანი თავისი არსით უფრო რთული სხვებთან შედარებით, და რომელია ძირითადი.

5. შემსწავლელებს გრამატიკული კომპეტენციის განვითარება ინდუქციურად მოეთხოვებათ, თუ დედუქციურად.

6. რომელი ფორმალური სავარჯიშოები (6.4.7.8) უნდა იქნეს გამოყენებული.

თქვენი ტრენინგი / სასწავლო პროგრამა:

1. ითვალისწინებს, როგორ შეიძლება შემსწავლელთა გრამატიკული კომპეტენციის ხელშეწყობა?

2. განიხილავს და აფასებს კონტრასტული გრამატიკის როლს?

3. განიხილავს გრამატიკული ტერმინოლოგიის საკითხს და იმას, რაც შეიძლება თანამედროვე ენის მასწავლებლებისა და შემსწავლელებისათვის წარმოადგენდეს ზოგად არსს?

6. 4. 7. 9. გამოთქმა

თქვენი ტრენინგი / სასწავლო პროგრამა:

1. აფასებს, როგორ უნდა მოხდეს შემსწავლელთა დახმარება, რომ მათ განვიტარონ შესასწავლ ენაზე გამოთქმის უნარი?

2. მოიცავს ტრენინგს მოსმენაში და ფონეტიკურ ვარჯიშს?

3. მოიცავს სხვადასხვა ასაკის შემსწავლელთა ზედმიწევნით ტრენინგს? ზოგიერთი ტრენინგი უფრო ეფექტური ხომ არ არის ადრეულ ასაკში ან პირიქით, – მოწიფულობისას?

6. 4. 7. 10. ორთოგრაფია

ტრენინგ / სასწავლო პროგრამა თუ იკვლევს და განიხილავს მაგალითების მოყვანით:

1. რა სახით შეიძლება შემსწავლელთა დახმარება, რომ მათ აითვისონ (მოცემული) ენების წერის სისტემა, სწრაფი წერის ჩათვლით?

2. იმ პრობლემებს, რომლებსაც შემსწავლელები აწყდებიან (მოცემული) ენების ორთოგრაფიაში?

3. როგორ უნდა მოხდეს დახსომების განვითარება?

6. 4. 8. სოციოლინგვისტური კომპეტენცია

სასწავლო და ტრენინგ-პროგრამები უნდა მოიცავდეს ტექსტებს, რომლებიც შერჩეული ან შედგენილია ორ საზოგადოებას შორის არსებული სოციოლინგვისტური კონტრასტების საჩვენებლად.

ტრენინგ-პროგრამები შეიძლება ასევე აკეთებდეს აქცენტს და განიხილავდეს:

1. აღნიშვნისა და შემდგომი ანალიზის მაგალითებს;

2. სხვადასხვა მიდგომებს სოციოკულტურული კომპონენტების ზედმიწევნით სწავლებაში.

მასწავლებლებს და მასწავლებელთა ტრენერებს:

ეთანხმებით, რომ ასეთი დისკუსია სარგებელს მოუტანს შემსწავლელებს, თუ იგი გადადებულ უნდა იქნეს მათი პროფესიული მომზადების ტრენინგამდე?

6. 4. 9. პრაგმატული კომპეტენციები

მასწავლებელთა ტრენინგებს:

ეთანხმებით, რომ ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში, კარგი იქნება, სტაჟიორებს ვთხოვოთ მეტყველების სტრუქტურის კომპლექსურობის გაანალიზება, რომ მათ შესძლონ შემსწავლელთა დახმარება პრაგმატული კომპეტენციების განვითარებაში?

მასწავლებლებს:

თქვენ, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლები, ეხმარებით შემსწავლელებს პრაგმატული კომპეტენციების განვითარებაში?

6. 5. შეცდომები

თქვენ შეიძლება ისურვოთ იმის განხილვა, შეადგენს თუ არა შემსწავლელის შეცდომებთან მიმართებაში (6.5.1 და 6.5.2) არსებულ მიდგომებზე, ან საპასუხო ქმედებაზე დისკუსია, ტრენინგ-პროგრამის ნაწილს (6.5.3)

მასწავლებლებს:

როგორია თქვენი მიდგომა და პასუხი შემსწავლელთა შეცდომებზე?

ნაწილი 7 – დავალებები და მათი როლი ენის სწავლებაში

7. 1. დავალების აღწერა

კომპეტენციები მნიშვნელოვნად განასხვავებს **დავალებათა** სამ კატეგორიას, რომლებშიც ენის შემსწავლელი აერთიანებენ:

1. ცხოვრებისეულ, მიზნობრივ და გამეორებაზე ორიენტირებულ დავალებებს, რომლებიც შერჩეულია შემსწავლელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკლასო ოთახის ან სასწავლო გარემოს ფარგლებს გარეთ.

2. საკომუნიკაციო, პედაგოგიურ დავალებებს, რომლებიც სათავეს იღებს საკლასო ოთახის სოციალური და ინტერაქტიული ბუნებიდან და უშუალოდ და, სადაც შემსწავლელი ხალისით თანხმდებიან ურწმუნოების დროებით უკუგდებას და შესასწავლი ენის გამოყენებას. ასეთი საკომუნიკაციო პედაგოგიური დავალებების შედეგები იდენტიფიცირებადია.

3. წინასაკომუნიკაციო პედაგოგიურ დავალებებს, რომლებიც წარმოადგენს სავარჯიშოებს კონტექსტისაგან სპეციალურად დაცლილი ფორმების გამოყენებაზე.

თქვენი ტრენინგ / სასწავლო პროგრამა ცდილობს დავალებათა კატეგორიების განსაზღვრას?

მკითხველებმა შეიძლება ისურვონ შემდეგი ასპექტების განხილვა:

1. რამდენად გამოსადეგია დავალებათა ფუნქციისა და ხასიათის წვდომა გაკვეთილების, სწავლის შედეგებისა და / ან ინდივიდუალურად გამოსაყენებელი სასწავლო პაკეტების დაგეგმვისას;

2. რა სახით უნდა განუმარტონ მასწავლებლებმა და სტაჟიორებმა დავალების სხვადასხვა კატეგორიათა დანიშნულება შემსწავლელებს;

3. როგორ უნდა მოხდეს ეფექტური ბალანსის მიღწევა თავისუფლად ფლობასა / სიზუსტეს და შინაარსს / ფორმას შორის.

7. 2. დავალების შესრულება: კომპეტენციები, დავალება, პირობები და შეზღუდვები, სტრატეგიები

შემსწავლელებს გააჩნიათ მრავალგვარი კომპეტენცია და შეპირისპირება უწევთ დავალებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პირობებთან და შეზღუდვებთან.

თქვენი ტრენინგ / სასწავლო პროგრამა ეძიებს გზებს:

1. შემსწავლელებში სათანადო უნარების და / ან ცოდნის აქტივიზებისათვის, რაც გაზრდის მათ მიერ დავალებათა წარმატებით შესრულების ალბათობას?
2. გაგებაზე, ინტერაქციასა და პროდუცირებაზე ორიენტირებული დავალებების გამართივების ან გართულებისათვის?
3. შემსწავლელების უფრო მეტად გათვითცნობიერებისათვის სხვადასხვა სტრატეგიებში, რაც დაეხმარება მათ სხვადასხვა დავალებების შესრულებაში?

7. 3. დავალების სირთულე

დავალების სირთულე არის კომპლექსური კავშირი შემსწავლელის კომპეტენციებსა და თავისებურებებს, აგრეთვე, თვით დავალებების ბუნებასა და იმ პირობებს შორის, რომელთა ფარგლებშიც სრულდება ისინი. თანაც, სირთულე არ ექვემდებარება უტყუარ პროგნოზირებას.

მასწავლებელთა ტრენინგებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამები ეხმარება სტაჟირებს:

1. დავალების სირთულის კომპლექსურობის გაგებაში?
2. შემსწავლელთა დასახმარებლად, დავალების წარმატებით შესრულებისათვის, ყურადღებით დაგვემძილი მოსამზადებელი ფაზის გამოყენებით?
3. კრიტერიუმების შემუშავებაში, რომ მათ შესძლონ დავალების სირთულის ხარისხის მოდიფიცირება?
4. დიფერენცირებული დავალებების დაგეგმვაში, რომლებიც ითვალისწინებს:
 - I) შემსწავლელთა კოგნიტურ მახასიათებლებს:
 - ა) დავალების ტიპი, თემა, ტექსტის ტიპი, საჭირო განათლება, ა. შ. და ის, თუ რამდენად ნაცნობია ეს ყველაფერი შემსწავლელისათვის
 - ბ) შემსწავლელთა უნარები: ორგანიზატორული, პიროვნებათაშორის, კულტურათაშორის ა. შ.
 - გ) შემსწავლელის უნარი – იმოქმედოს, კონკრეტულად და განყენებულად, ა. შ.
 - II) შემსწავლელთა **ეფექტურ მახასიათებლებს**, ისეთი დავალებების შედგენით, რომლებიც ითვალისწინებს შემსწავლელის თვითშეფასებას, ჩართულობას, მოტივაციას, ფიზიკურ და ემოციურ მდგრადობას, მიდგომებს
 - III) **ენობრივ** მოთხოვნებს, ენის კომპლექსურობას, ტექსტის ტიპებს, პრეზენტაციას, ტექსტის სიგრძეს, შემსწავლელთან შესაბამისობას, საჭირო პასუხის ტიპს.
 - IV) **მხარდაჭერის** არსებობა-არარსებობას: ენობრივი დახმარების შესაძლებლობა, კონტექსტური თავისებურებანი, დავალებების გამეორება, კვლევა-ძიებითი სამუშაოები, შესაბამისი მოდელები და სხვების თანადგომა
 - V) შემსწავლელთა განკარგულებაში არსებულ **დროს**.
 - VI) დავალების **მიზნის** თავისებურებას: დავალების შედეგები, რომლებიც მოითხოვს განხილვას იმ შედეგებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამას არ საჭიროებს.
 - VII) **პროგნოზირებადობის** და / ან მოულოდნელობის არსებობა-არარსებობას
 - VIII) **ფიზიკურ კონდიციებს**: ხმაურის ფონი, სტუდიაში ჩაწერა, ბუნებრივი გარემო

IX) მონაწილეთა თავისებურებებს: გუნდურ მუშაობაში მონაწილე, თანამგრძობი თანამოსაუბრეები, მეტყველების ცვალებადი სიჩქარე და თანამიმდევრულობა

X) ხელშეწყობას დავალების შესასრულებლად: მითითებების არსებობა / არარსებობა, რომლებიც საკმარის, კომპლექსური და არაგართულებულია, დავალებები, რომლებიც უნდა შესრულდეს სხვებთან ერთად ან დამოუკიდებლად

XI) ტექსტის მახასიათებლებს – ენობრივი კომპლექსურობა, ტექსტის ტიპი, მეტყველების სტრუქტურა, ფიზიკური პრეზენტაცია, სიგრძე, შემსწავლელთან შესაბამისობა

XII) საჭირო პასუხის ტიპს

მასწავლებლებს:

რამდენად არის ზემოთქმული ასახული თქვენს სასწავლო პროგრამაში?

ნაწილი 8 – ენობრივი მრავალფეროვნება და კურიკულუმი

ეს თავი განიხილავს ენობრივი მრავალფეროვნების მნიშვნელობას კურიკულუმის შედგენისას და ეხება ისეთ საკითხებს, როგორცა: მრავალენოვნება (მულტილინგვიზმი) და მრავალკულტურულობა (მულტიკულტურულობა); განსხვავებული სასწავლო ამოცანები; კურიკულუმის შედგენის პრინციპები; კურიკულუმის სცენარი; ენის სწავლის უწყვეტობა; მოდულარულობა და ნაწილობრივი კომპეტენციები.

კურიკულუმების მიზანია მრავალენოვანი (მულტილინგვური) და მრავალკულტურული (მულტიკულტურული) კომპეტენციების განვითარება. ეს კომპეტენციები შეიძლება განსხვავდებოდეს შესწავლილი ენების მიხედვით და სავსებით მართებულად, ერთ ენაში შეიძლება აქცენტი კეთდებოდეს კულტურული კომპეტენციების განვითარებაზე, ხოლო მეორეში – მეტწილად, ენობრივ კომპეტენციებზე. კურიკულუმის შედგენა მოიცავს არჩევანს სასწავლო ამოცანების ტიპებსა და დონეებს შორის, სწავლების განსხვავებული კონტექსტის ფარგლებში.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ითვალისწინებს კურიკულუმის მიზნებსა და ამოცანებს და მის შედგენას? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ასეთი დისკუსია პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია, თუ ის ეხება მხოლოდ კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამას? თუ იგი ორივეს ეხება, რომელი საკითხები უნდა განიხილებოდეს პროფესიულ მომზადებაში?

8. 1. კურიკულუმის სხვადასხვა სცენარები

კომპეტენციებში მოცემული ორი მაგალითი ეხება დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებს.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს კურიკულუმის შედგენას? განიხილავს იგი დაწყებითი და საშუალო ფაზების ურთიერთკავშირს ეროვნული სისტემის ფარგლებში? თქვენს სტაჟიორებს, რომლებიც ტრენინგს გადიან დაწყებითი სკოლისათვის, უნდა გააჩნდეთ თუ არა ცოდნა და / ან გამოცდილება საშუალო სკოლასთან მიმართებაში, და პირიქით?

მასწავლებლებს:

თქვენი კურიკულუმი და მისი დაგეგმვა ითვალისწინებს დაწყებითი და საშუალო ფაზების ურთიერთკავშირს ეროვნული სისტემის ფარგლებში? რომელი ელემენტი მუშაობს თქვენდა სასარგებლოდ და ან რომელთა შემდგომი განვითარებაა შესაძლებელი მოცემულ ფაზაზე?

1. 2. შეფასება და სკოლა, სწავლა სკოლის შემდგომ და სკოლის ფარგლებს გარეთ

კომპეტენციები ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ „სკოლის კურიკულუმი უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო კურიკულუმის ნაწილად“ და ის უნდა სთავაზობდეს შემსწავლელებს „სხვადასხვა მრავალენოვან (პლურილინგუურ) და მრავალკულტურულ (პლურიკულტურულ) რეპერტუარს (...) და უფრო მეტ გათვითცნობიერებულობას, ცოდნასა და რწმენას საკუთარ კომპეტენციებსა და შესაძლებლობებში.“ ELP-ის განვითარებით შესაძლებელია ინდივიდის ენობრივი პროფილისა და ენობრივი ექსკურსის ოფიციალურად ცნობა.

თქვენი ტრენინგ / სასწავლო პროგრამა ეხება და / ან იყენებს -ის? თქვენ და თქვენი სტაჟორები, ექსპერიმენტის სახით, ახდენთ შემსწავლელთა ენობრივი გამოცდილების ამ ტიპის პორტფოლიოში ჩაწერას, ოფიციალური აღიარებისათვის?

ნაწილი 9 – შეფასება

მეცხრე ნაწილი განიხილავს შეფასების სხვადასხვა დანიშნულებას და შეფასების შესაბამის ტიპებს იმ საჭიროების გადმოსახედიდან, რაც გულისხმობს ყოველისმომცველობის, სიზუსტისა და ოპერატიული შესრულებადობის კრიტერიუმების ერთმანეთთან მისადაგებას.

კომპეტენციების ეს თავი შეფასებას განიხილავს „ენის მომხმარებლის ცოდნის შეფასების“ თვალსაზრისით. ის ეხება გადაწყვეტილებათა ვალიდურობას, საიმედოობასა და სიზუსტეს (9.1) აგრეთვე იმას, თუ რა ფასდება, როგორ ხდება შესრულების ინტერპრეტირება და შედარება. არ ივარაუდება, რომ მასწავლებლის შეფასება ხარისხობრივად ჩამოუვარდება საჯარო გამოცდების შეფასებას, შესაძლებელია ორივე მათგანის მისადაგება ზოგადი კომპეტენციების დონეებთან, კომპეტენციების ფარგლებში.

9. 2. 2. კრიტერიუმები სასწავლო ამოცანათა მისაღწევად

განიხილავთ რა შეფასებას, ურიგო არ იქნება, გავარკვიოთ, რა მიზანს ემსახურება იგი. თუ მასწავლებელს ან შემსწავლელს სურს მიიღოს სასწავლო კურსის ფარგლებში შემსწავლელის ენობრივი უნარების ფორმირების დეტალური სურათი, ამ მიზნით ხდება მე-4 თავში მოცემული საკომუნიკაციო აქტივობების დესკრიპტორების (9.2.2.1) გამოყენება. თუ, მეორე მხრივ, ითხოვენ, კვალიფიციურობის დიაგნოსტიკურ პროფილს, საჭიროა ისეთი დესკრიპტორების გამოყენება, რომლებიც წარმოადგენს, „საერთო სტანდარტს მოცემული ჯგუფის შემფასებელთათვის“. ამ შემთხვევაში, ფრიად გამოსადეგი იქნება ცოდნის ასპექტების დესკრიპტორების გამოყენება, რომლებიც უკავშირდება მე-5 თავში დეტალურად აღწერილ ცალკეულ კომპონენტებს (9.2.2.2).

9. 3. შეფასების ტიპები

შეფასების პრაქტიკული სისტემები რამდენიმე განსხვავებულ ფორმას იძენს კომპეტენციები აღნუსხავს ცამეტ ტიპს:

1. მიღწევა-ცოდნა
2. ნორმების სტანდარტი (დ) – კრიტერიუმების სტანდარტი (ჩთ)

3. სწავლა დახელოვნებისათვის ჩდ – კონტინუუმი ჩდ
4. უწყვეტი შეფასება – ფიქსირებული პუნქტის შეფასება
5. ფორმაციული – შემაჯამებელი
6. პირდაპირი – ირიბი
7. შესრულება – ცოდნა
8. სუბიექტური – ობიექტური
9. რეიტინგი სკალაზე – რეიტინგი საკონტროლო ფურცელზე
10. შთაბეჭდილება – მართული განსჯა
11. პოლისტური – ანალიტიკური
12. სერიები – კატეგორია
13. სხვათა შეფასება – თვითშეფასება

მასწავლებელთა ტრენერებს:

მოცემულია რა ის სისტემა და კონტექსტი, რისთვისაც იქმნება თქვენი ტრენინგ-პროგრამა, შესაძლებელია მოისურვოთ შემდეგის განხილვა:

1. თქვენი კონკრეტული კონტექსტის და სისტემის ფარგლებში, შეფასების რომელი ტიპი მიესადაგება შემსწავლელთა მოთხოვნებს:

2. როგორ უნდა დავეხმაროთ სტაჟორებს, რომ ისინი გაეცნონ შეფასების აღნიშნულ ტიპებს;

3. როგორ შევუქმნათ სტაჟორებს პირობები შეფასების სათანადო ტიპების პრაქტიკულად გამოყენებისათვის, მთელი რიგი ხერხების გამოკვლევისათვის, და თითოეულის შემთხვევაში სწავლებაზე „თანამდევნი“ ეფექტის შეფასებისათვის.

თქვენ შეიძლება ასევე ისურვოთ, სტაჟორებთან ზოგადად განიხილოთ:

4. თუ როგორ უნდა შეფასდეს საკომუნიკაციო შესრულება და ენობრივი ცოდნა;

5. რამდენად შესაძლებელია, შეფასება იყოს მასტიმულირებელი ფაქტორი სწავლასა და სწავლებაში;

6. როგორ უნდა მოხდეს შეფასების სხვადასხვა ხერხების გამოყენება და შედეგების ინტერპრეტირება;

7. როგორ, სად და რა მიზნით უნდა მოხდეს უწყვეტი შეფასების / ფიქსირებულ პუნქტზე შეფასების გამოყენება;

8. როგორ უნდა მოხდეს შემსწავლელთა ჩართვა შეფასებაში და როგორ უნდა გაეწიოთ მათ დახმარება საკუთარი ცოდნისა და სწავლის შეფასებისათვის.

მასწავლებლები:

ზემოხსენებული საკითხებიდან, რომელია თქვენთვის მნიშვნელოვანი?

9. 4. შეფასება და ენის ცოდნის ამსახველი სკალები

კომპეტენციების დანართებში მოცემულია „სკალები იმ დავალებებისათვის, რომელთა შესრულებაც შეუძლიათ შემსწავლელებს. მაგალითად, საკომუნიკაციო აქტივობებში ასეთი სკალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიზნის მიღწევის პროფილის განსაზღვრისათვის, კონკრეტულ ადამიანებთან, ჯგუფებთან ან მოდულთან მიმართებაში“. დესკრიპტორების სკალების გამოყენება, ცალკეული შესრულების (პერფომანსების) სუბიექტურ რეიტინგს მეტ საიმედოობას ანიჭებს.

მასწავლებელთა ტრენერებს:

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ითვალისწინებს და მაგალითების მეშვეობით ახდენს სკალების ილუსტრირებას საკომუნიკაციო აქტივობებისათვის? არსებობს თქვენს სისტემაში თანამიმდევრული სტანდარტი, რომელსაც უნდა იცნობდნენ სტაჟორები? ეძლევათ თუ არა თქვენს სტაჟორებს დესკრიპტორების სკალების გამოყენებისა და იმის შეფასების შესაძლებლობა, თუ რამდენად ადვილი / რთულია მათი გამოყენება? კომპეტენციების დანართში მოცემული რომელი სკალების გამოყენებას შესძლებდნენ თქვენი სტაჟორები?

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ითვალისწინებს სკალების შექმნის სხვადასხვა გზებს, და იმას, თუ რაში მდგომარეობს არსებული სკალების მიღების ან ინდივიდუალური სისტემების განვითარების უპირატესობა / ნაკლოვანება?

თქვენი ტრენინგ-პროგრამა ეხმარება სტაჟიორებს შემსწავლელთა პროგრესის განხილვასა და შეფასებაში?

მასწავლებლებს:
 იყენებთ სკალებს საკომუნიკაციო აქტივობებისათვის? რამდენად ადვილია / რამდენად რთულია მათი გამოყენება? *კომპეტენციების* დანართში მოცემული სკალებიდან, რომლის გამოყენება შეგიძლიათ? გიფიქრიათ სკალების შექმნის სხვადასხვა გზებზე და არსებული სკალების მიღების ან ინდივიდუალური სისტემის განვითარების უპირატესობაზე / ნაკლოვანებებზე?

განიხილავთ და აფასებთ შემსწავლელთა პროგრესს?

სამუშაო ფურცლები

სამუშაო ფურცელი 1-ა – როგორ იყენებთ საკუთარ ენას

ამ ცხრილის პირველ სვეტში ჩამოთვლილია კომუნიკაციის შვიდი განსხვავებული ასპექტი. მეორე სვეტი გვაძლევს ერთ საკომუნიკაციო აქტში ჩართული შვიდივე ასპექტის მაგალითს, – უფროს მასწავლებელს ვუხსნით, როგორ ჩატყდა ფანჯარა. შეავსეთ ყველა დანარჩენი სვეტი სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით. ზოგიერთი უჯრა შევსებულია, თქვენი არჩევანის შეზღუდვის მიზნით! ამიტომ, თითოეულ სვეტთან მიმართებაში, აღნიშნეთ, რა ტიპის ენობრივი ცვლილება იქნებოდა გამოყენებული.

	კონტექსტი 1	კონტექსტი 2	კონტექსტი 3	კონტექსტი 4
სად?	სკოლა			
თქვენი როლი?	მოსწავლე		მომხმარებელი	
თანამოსაუბრე? (აღამიანი, რომელსაც ესაუბრებით)	უფროსი მასწავლებელი			
რას აკეთებთ?	ახსნა-განმატება	ნებართვის თხოვნა		
რის გამო?	ჩამტვრევა			
კომუნიკაციაში მონაწილეობა	ინტერაქტიული			მედიაცია (მაგალითად შეტყობინება)
საშუალება ?	სასაუბრო			
ცვლილებები ენაში				
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2	კონტექსტი 3	კონტექსტი 4

სამუშაო ფურცელი 1ბ – როგორ იყენებთ ახალ ენას

ეს სამუშაო ფურცელი, ძირითადად, სამუშაო ფურცელი 1-ის მსგავსია. მეორე და მესამე სვეტებს ავსებთ ორ საკომუნიკაციო აქტში მონაწილე სხვადასხვა ასპექტებით, რადგან მიგაჩნიათ, რომ შეგიძლიათ მათი შესრულება ახალ ენაზე. თითოეული სვეტი შეავსეთ სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით. შემდეგ თითოეულ სვეტთან მიმართებაში, აღნიშნეთ: (i) რის გაკეთება შეგიძლიათ და (ii) რა სახის პრობლემები შეიძლება გქონოდათ.

	კონტექსტი 1	კონტექსტი 2
სად?		
თქვენი როლი?		
თანამოსაუბრე?		
რას აკეთებთ?		
რის გამო?		

კომუნიკაციაში მონაწილეობა		
საშუალება?		
რას აკეთებთ შედარებით ადვილად		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2
პრობლემები, რომლებიც, თქვენი აზრით შეგექმნებათ ენასთან მიმართებაში		
როგორ გაართმევდით პრობლემებს თავს ახლავე		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2

სამუშაო ფურცელი 1-გ – როგორ დებულობთ დახმარებას ახალ ენაში და როგორ საუბრობთ ენის შესახებ.

ეს სამუშაო ფურცელიც სამუშაო ფურცელი 1-ის მსგავსია, ამჯერად ორივე სვეტი უკვე შევსებულია თქვენთვის, თითოეულ სვეტთან მიმართებაში, აღნიშნეთ (ი) უკვე რამდენი რამ შეგიძლიათ გააკეთოთ ახალ ენაზე (იი) როგორ ფიქრობთ, რის სწავლა გჭირდებათ.		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2
სად?	საკლასო ოთახი	საკლასო ოთახი
თქვენი როლი?	შემსწავლელი	შემსწავლელი
თანამოსაუბრე?	მასწავლებელი (ან სხვა შემსწავლელი)	მასწავლებელი (ან სხვა შემსწავლელი)
რას აკეთებთ?	დახმარების თხოვნა (როგორიცაა, შეკითხვა რამის მნიშვნელობის გასაგებად)	ენის განხილვა
რის გამო?	თქვენს მიერ ენის გამოყენება	ენის ფორმები (წინადადებები, არსებითი სახელები და ზმნები, ა.შ)
კომუნიკაციაში მონაწილეობა	ინტერაქტიული	ინტერაქტიული
საშუალება	სასაუბრო (ან წერილობითი)	სასაუბრო (ან წერილობითი)
რის გაკეთება შეგიძლიათ ადვილად		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2
რის სწავლა დაგჭირდებათ		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2
როგორ გაართმევთ თავს პრობლემას ახლავე		
	კონტექსტი 1	კონტექსტი 2

სამუშაო ფურცელი 2ა

ნაწილი 1: თქვენი უნარი ზოგადი ცოდნის გამოყენებისა კითხვის დროს

გადახედეთ გაზეთს ან ჟურნალს, რომელიც ეს-ესაა იყიდეთ.

– აირჩიეთ საკითხი, რომელიც ჯერ არ წავიკითხავთ, მაგრამ რომელსაც მეტ-ნაკლებად იცნობთ.

- ის, რაც იცით ამ საკითხის ირგვლივ, წინასწარ ჩამოწერეთ.
- ეცადეთ გონებაში შექმნათ ერთგვარი მონახაზი, თუ რას ეხება ეს სტატია.
- წაიკითხეთ სტატია, რომ დარწმუნდეთ, სწორი ხართ თუ არა.

ნაწილი 2: თქვენი უნარი ზოგადი ცოდნის გამოყენებისა სხვა ენაზე კითხვის დროს

იმ ენაზე, რომელსაც სწავლობთ, მოიძიეთ პატარა ტექსტი თქვენთვის ნაცნობი თემის შესახებ. ეს შეიძლება იყოს საგაზეთო სტატია ან ტექსტი ინტერნეტიდან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პიროვნებაზე, ან ზღაპარი, ან თვით რელიგიური შინაარსის ტექსტი, ან ლოცვა.

– წინა პლანზე წამოსწიეთ ან ხაზი გაუსვით ნებისმიერ თქვენთვის ნაცნობ სიტყვას, ადგილებისა და ადამიანების სახელების ჩათვლით.

– გონებაში შექმენით მონახაზი ან სქემა, თუ რას შეიძლება ეხებოდეს ეს ტექსტი

– აღნიშნული სქემის ან თქვენთვის ნაცნობი სიტყვების გამოყენებით, ეცადეთ სხვა სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობასაც.

– დააკვირდით, როგორ არის კომბინირებული სიტყვები. ხომ არ ამჩნევთ რაიმე ნიმუშს? შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ წესები?

– ეცადეთ განავითაროთ ეს სტრატეგია. იგი გულისხმობს მაქსიმალურად მეტის მიღებას იმ ცოდნიდან, რომელიც უკვე გაქვთ სხვა ენაზე არსებული ტექსტებიდან.

სამუშაო ფურცელი 2-ბ: ცოდნა იმისა, თუ როგორ მოახდინოთ თქვენი ენის ორგანიზება

წარმოიდგინეთ, რომ ხელმძღვანელ პირს (როგორცაა სკოლის დირექტორი) უნდა აუხნათ, თუ როგორ მოხდა ესა თუ ის პატარა ინციდენტი (როგორცაა ფანჯრის ჩამტვრევა)

მეგობართან ერთად,

– შეადგინეთ რეალური დიალოგი, რომელიც შეიძლება გაქონდეთ, სკოლის დირექტორთან, მოცემული კონტექსტის ფარგლებში;

– შეიტანეთ მასში სათანადო ცვლილებები იმ შემთხვევებისათვის, თუ საჭირო გახდა შეტყობინების ავტომოპასუხეზე დატოვება;

– მიეცით შეტყობინებას ფაქსის სახე.

სამუშაო ფურცელი 2გ1: საკუთარი საზოგადოების შესახებ არსებული სპეციფიკური ცოდნის გადახედვა

აღნუსხეთ შემდეგი, საკუთარი ქვეყნის მიხედვით:

– პირადობის დამადასტურებელ რა საშუალებას ატარებთ თან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

– რომელი რასისა და რელიგიის მიმდევარი ჯგუფები მოიძებნება თქვენს ქვეყანაში;

რომელ საათებში ხდება ტრაპეზის მიღება;

– რა სახის საჩუქარი გამოგადებათ, როცა სადილზე გეპატიუებიან;

ეს ყოველივე შეიძლება ძალზე ბანალურად და ჩვეულებრივად მიიჩნიოთ, მაგრამ როცა ხედავთ, რა პრობლემებს აწყდებიან უცხოელები ამ მხრივ, თქვენ დაიწყებთ მისი მნიშვნელობის გაცნობიერებას. იგივე ხდება გეოგრაფიულ, ისტორიულ და პოლიტიკურ ინფორმაციასთან მიმართებაში.

სამუშაო ფურცელი 2გ2: თქვენთვის ახალ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების შესახებ არსებული ცოდნის გადახედვა

იმ ენაზე, რომელსაც სწავლობთ, ეცადეთ შეადგინოთ სამუშაო ფურცელზე 2ბ მოცემული დიალოგის ანალოგი, რაც გულისხმობს ხელმძღვანელი პირისათვის (როგორცაა სკოლის დირექტორი) პატარა ინციდენტის ახსნას (როგორცაა ფანჯრის ჩამტვრევა). შემდეგ პასუხი გაეცით მოცემულ კითხვებს:

- ხომ არ შეგქმნიათ პრობლემები ენის ადეკვატურობასთან მიმართებაში (მაგალითად, დირექტორთან მისაღმება, ბოდიშის მოხდა. ა.შ)?
- ტელეფონით შეტყობინების დატოვება რომ ყოფილიყო საჭირო, გეცოდინებოდათ, როგორ დაგეწყოთ და დაგესრულებინათ იგი?
- ფაქსის ან ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა რომ ყოფილიყო საჭირო, შესძლებდით სათანადო ცვლილებების განხორციელებას?
- იცით, როგორი იქნებოდა თქვენი თანატოლი მოსწავლის სათანადო მიდგომა სკოლის დირექტორთან მიმართებაში, იმ საზოგადოებაში, რომლის ენასაც სწავლობთ?
- როგორ მოიქცეოდით ასეთი რამის შესასწავლად?

სამუშაო ფურცელი 2დ: საკუთარ ენაში ბერათა ცოდნის გადახედვა
სცადეთ შემდეგი დაგვლების შესრულება, რომ უფრო მეტი შეიტყოთ საკუთარ ენაში არსებული ბერების შესახებ.

- ჩამოთვალეთ თანხმობანთა ის კომბინაციები, რითაც შეიძლება იწყებოდეს სიტყვები თქვენს ენაში. რა ნიმუშს ექვემდებარება ეს კომბინაციები (მაგალითად: ინგლისურში, ცლ, ცრ. გლ, გრ, პლ, პრ, ბლ, ბრ. ტრ, დრ კომბინაციებში, პირველი თანხმობის შემდეგ გვხვდება ლ ან რ ასო, რაც უკვე ქმნის ცალკეულ ტიპს
- ჩამოთვალეთ თანხმობანთა ნებისმიერი კომბინაცია, რითაც ვერ დაიწყება სიტყვები თქვენს ენაში (ასეთია პფ-ი ინგლისურში)
- ყველაზე მეტად რომელი თანხმობანი გვხვდება სიტყვის დასაწყისში, თქვენს ენაში (ინგლისურში ასეთი სამია, იმ პირობით, თუ სიტყვაში პირველი თანხმობანი არის ს)
- მოიძებნება თქვენს ენაში ისეთი თანხმობანი ან თანხმობანთა კომბინაციები, რომლებთან მიმართებაშიც უცხოელები სირთულეს აწყდებიან? (როგორცაა ტჰ ინგლისურში)? როგორ ფიქრობთ, რა არის ეს?
- არის თქვენს ენაში ისეთ ხმოვნები, რომლებთან მიმართებაშიც უცხოელები სირთულეს აწყდებიან?
- ექმნებათ უცხოელებს პრობლემები მახვილთან, რითთან, ინტონაციასთან ა. შ. დაკავშირებით თქვენს ენაში?

სამუშაო ფურცელი 3ა: გადახედვა იმისა, თუ როგორ შემოინახა თქვენმა მესსიერებამ სიტყვები:

საკუთარ მაგალითზე დააკვირდით, როგორ ხდება სიტყვათა დამახსოვრება მშობლიურ ენაზე.

ქვემოთ მოცემულ თითოეულ კატეგორიასთან მიმართებაში გამოიყენეთ 60 წამი, რომ ჩამოთვალეთ ყველა სიტყვა, რომელიც:


- მნიშვნელობის მიხედვით, ერთიანდება „საკვების“ ჯგუფებში;
- თქვენს გონებაში ასოცირდება სიტყვასთან „ცჰაირ“ (ან „ცჰაისე“ ფრანგულად)
- იწყება პლ ბერებით...
- რითმით / მახვილით მიესადაგება სიტყვას „ბიცყცლე“ (ან ფრანგულად სიტყვას „ტელევისიონ“?)

არის თუ არა ისეთი სიტყვები, რომლებიც რამდენიმე კატეგორიას მიესადაგება?
საკუთარი შედეგები შეადარეთ თქვენი ჯგუფის სხვა წევრებისას. აღმოჩნდა ყოველ კატეგორიაში მიახლოებით ეკვივალენტური სიტყვები? ჰქონდა ადგილი არჩევანს შორის მსგავსებას?

ახლა იგივე აქტივობა შეასრულეთ იმ ენაზე, რომელსაც სწავლობთ.

სამუშაო ფურცელი 3ბ: სიტყვათა ცოდნის დონეების გადახედვა სცადეთ შემდეგი სიტყვების კლასიფიცირება (აღებულია ლინგვისტიკის წიგნიდან)

აკუსტიკური, საარტიკულაციო, წინდებული, დამატება, სიტყვები, კონტექსტი ეს სიტყვები გრაფიკის სახით დაალაგეთ – ყველაზე ნაკლებ ნაცნობი სიტყვები ქვედა მარცხენა კუთხეში, კარგად ნაცნობი კი – ზედა მარჯვენა კუთხეში. შემდეგ მსგავსი გრაფიკი ააგეთ თქვენთვის ახალ ენაშიც



სამუშაო ფურცელი 3გ: სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტების ცოდნის გადახედვა

- აიღეთ ინგლისური სიტყვა სოფტ ან ფრანგული დოუხ
- შეუწყვილეთ იგი რაც შეიძლება მეტ სიტყვას (ორი მაგალითი: ა სოფტ ცჰაირ, უნ ტემპს დოუხ)
- რომელი სიტყვაა სოფტ-ის ან დოუხ-ის ანტონიმი თითოეულ შემთხვევაში?
- რა საერთო აქვს სოფტ-ის ან დოუხ-ის მნიშვნელობებს თქვენს მიერ მოფიქრებულ კომბინაციაში?
- თუკი ვინმეს ეკითხებით ინგლისურად: „ის ტჰე იცე-ცრეამ სოფტ ყეტ?“ რას გულისხმობთ?
- რა სახის ცოდნა დაგჭირდათ ამ დავალების შესასრულებლად?

სამუშაო ფურცელი 3დ: საკუთარი ენის გრამატიკის ცოდნის გადახედვა

დაწერეთ წინადადება: ტჰე ვისიტინგ სტუდენტ ცამე ტო სცჰოლ ტჰის მორნინგ ონ ა მოტორბიკე, ან ონ ფრერე ა აცჰეტე უნ ნოუვეაუ ვ ელო

- ამ წინადადებების აზრის შეუცვლელად, სცადეთ სიტყვების განსხვავებული წყობით დალაგება.
- ააგეთ რაც შეიძლება მეტი წინადადება, წინადადებაში მოცემული ნებისმიერი ან ყველა სიტყვის გამოყენებით. არ გამოიყენოთ სხვა სიტყვები. (რა თქმა უნდა, აზრი შეიცვლება!)
- სიტყვები დაალაგეთ ინგლისური ან ფრანგული ენისათვის მიუღებელი წყობით.
- შემდეგ სცადეთ სიტყვათა წყობაზე წესის ჩამოყალიბება მოცემულ ენასთან მიმართებაში.
- ააგეთ შეკითხვები ამ წინადადებაზე დაყრდნობით, რა სახის ცვლილებებს მოითხოვს შეკითხვების აგება?
- შემდეგ, სცადეთ წესის ჩამოყალიბება კითხვით ფორმასთან მიმართებით.
- ზმნების წაღკ და აცჰეტერ რამდენი განსხვავებული ფორმა გაფიქრდებათ?
- შეგიძლიათ მოიფიქროთ წაღკ-ისა და აცჰეტერ-ის მსგავსი ფორმების ზმნები?

სამუშაო ფურცელი 4: იმ უნარების გადახედვა, რომელსაც მოიცავს წერა-კითხვა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი არის სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება ბგერების ისე წარმოდგენას, როგორც ეს ხდება რეალურ სალაპარაკო ენაში.

ქვემოთ მოცემულია ინგლისური წინადადება მისი ფონეტიკური ექვივალენტით.
Reading the guide is sheer drudgery and a waste of thinking time

– ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაწერეთ ფონეტიკური სიმბოლოების შესაბამისი სიტყვები:

- ჩამოთვალეთ პრობლემები, რომელთაც წააწყდებით ამ სიტყვების გაშიფვრისას.
- ახლა სცადეთ ამ სიტყვების ფონეტიკურად დამუშავება:

Shaving _____ with _____ this _____

– რამდენად განსხვავებული იყო თქვენთვის ფონეტიკური სიმბოლოებით წერა? ჩვეულებრივი ხელნაწერით წერისას ან მისი კიხვისას, თქვენ იყენებთ უნარებს, რომლებიც თქვენი მეორე ნატურაა.

ამ დავალების შესრულება აღნიშნული უნარების შენელებულ მუშაობას ჰკავდა.

სამუშაო ფურცელი 4ა: დღეს თქვენს მიერ აგებული ტექსტების ტიპების გადახედვა

ჩამოთვალეთ რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ტექსტი, რომელთა დამუშავებაც მოგიწიათ მოცემულ მომენტამდე დღეს. შემდეგ, სცადეთ მათი დაჯგუფება იმისდა მიხედვით:

– ისინი სასაუბრო, წერილობითი იყო, თუ მოგიწიათ მათი ხელმოწერა ან მათთან შეხება;

- სად შეგხვდათ ისინი:
- თუ კიდევ ვინ მონაწილეობდა მათ პროდუცირებაში და / ან რეცეფციაში;
- თუ რა ფიზიკური საშუალება იყო გამოყენებული;
- თუ რა დანიშნულება გააჩნდა მათ.

სამუშაო ფურცელი 4ბ: იმ ტექსტების გადახედვა, რომლებთანაც გქონდათ ურთიერთობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას -დან პუნქტამდე

– ჩამოთვალეთ ყველანაირი ტექსტი, რომელსაც შევხვდებით თქვენს ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას. თუ შესაძლებელია, თავი მოუყარეთ რეალურ ნიმუშებსაც.

– მეგობრებთან ერთად, სრული წერილობითი ფორმა მიეცით ამ ტექსტებს;

– ჩამოთვალეთ ყველა პოტენციური წყარო, რამაც შეიძლება სირთულე შეუქმნას ამ ტექსტებთან მიმართებაში ადამიანს, რომელმაც კარგად არ იცის თქვენი ენა;

– სირთულის თითოეულ პოტენციურ წყაროს დაურთეთ იმ დავალებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც მოუწევს სტუმარს პრობლემის გადასაჭრელად.

– თითოეული თანდართული დავალებისათვის, მოიგონეთ ტექსტი, რომლის პროდუცირება და / ან რეცეფცია მოეთხოვება კონკრეტულ სტუმარს.

სამუშაო ფურცელი 4გ: გადახედვა იმ უნარისა, რომელიც გულისხმობს თქვენს მიერ ტექსტების დამუშავებას ახალ ენაზე

– შეარჩიეთ სამი ზოგადი დავალება, რომელთაც რეალურად ასრულებთ ყოველდღე;

– დაყავით ისინი სხვადასხვა ქვედავალელებად;

– ჩამოთვალეთ ტექსტები, რომელთა დამუშავებაც იქნება საჭირო თითოეული ქვედავალეებისათვის.

– ამ სამი დავალებიდან, რომელს (ა) გაართმევდით თავს უფრო მეტი წარმატებით ახალ ენაზე და (ბ) რომელს უფრო ნაკლებად. შეაფასეთ საკუთარი უნარი, თითოეული შერჩეული დავალების შემთხვევაში, ენის სწორად და მართებულად გამოყენებისა.

სამუშაო ფურცელი 5-ა: ახალი ენის ბგერების, სიტყვების და გრამატიკის გად-
ახედვა იმ ენაზე, რომელსაც სწავლობთ
სცადეთ შემდეგი დავალების შესრულება.
იმ ენის მატარებელს (ან არამატარებელს, მაგრამ მოცემული ენის თავისუფლად
მცოდნეს) რომელსაც სწავლობთ, სთხოვეთ ჩაწეროს თქვენთან ინტერვიუ, რომელშიც
ისაუბრებთ საკუთარ თავზე და მოყვებით ამბავს. ჩაიწერეთ ინტერვიუს მონაკვეთი.

- მოუსმინეთ საკუთარ თავს და აღნიშნეთ ბგერები, რომლებიც თქვენთვის პრობლემური იყო.
- შეადგინეთ თქვენთვის პრობლემური სიტყვების სია;
- დახედეთ ჩანაწერს. წესები, რომლებიც დაიცავით, უკავშირდებოდა სხვადასხვა ზმნურ ფორმებს?
- ძირითადად, რას გაართვით თავი წარმატებით ინტერვიუში?

სამუშაო ფურცელი 5ბ: თქვენი მოთხოვნების, კურსის სახელმძღვანელოსა და სილაბუსის გადახედვა

- ახალი ენისათვის შეადგინეთ ცხრილი, რომელიც იქნება 1 სამუშაო ფურცელზე მოცემული ცხრილის მსგავსი, მაგრამ უფრო გრძელი. ამ ცხრილში აღნიშნეთ ის ადგილები, სადაც იმედოვნებთ, რომ მოგეცემათ ახალი ენის გამოყენების საშუალება; აგრეთვე, ადამიანი, რომელთანაც მოგიწევთ კომუნიკაცია და მისი როლი. განსაზღვრეთ, რას გააკეთებთ კომუნიკაციის დროს, რაზე აივება თვით ეს კომუნიკაცია, რა სახითა და საშუალებით მოგიწევთ მასში მონაწილეობა.
- მსგავსი ცხრილი შეადგინეთ ენის სასწავლო კურსის სახელმძღვანელოსა და სხვა მასალებისათვის. ეცადეთ, განსაზღვროთ, რა პრინციპების მიხედვითაა ორგანიზებული ეს მასალები. თუ შესაძლებელია, მიმართეთ კომპეტენციებში მოცემულ ენის გამოყენების კატეგორიებს.
- დაბოლოს, მსგავსი ცხრილი შეადგინეთ ენის სილაბუსისათვის, რომლის გამოყენებასაც აპირებთ.
- შეადარეთ ეს სამი ცხრილი, რამდენად მიესადაგება ისინი ერთმანეთს?

სამუშაო ფურცელი 5გ: თქვენი მხრიდან ახალი ენის სწავლაზე დაფიქრება სცადეთ შემდეგი აქტივობები. ისინი გულისხმობს დაფიქრებას სწავლის პროცესზე, რადგან ის თქვენზე ზეგავლენას ახდენს.

- შეამოწმეთ, როგორ იყენებთ ენას დროის სვლასთან ერთად.
- ხომ არ შეიძინა მან მე-3 თემაში ჩამოთვლილი დამწევი ან საშუალო დონის შემსწავლელის მახასიათებლები? მაგალითად, ზმნების გამოყენებას თანამიმდევრული სახე მიეცა, თუ იგი მუდმივად ცვალებადია? არსებობს ისეთი კონტექსტები, სადაც ცვალებადობა უფრო ხშირია? რატომ ხდება ეს ასე?
- დროის სვლასთან ერთად, აღრიცხეთ ის სტრატეგიები, რომელთაც იყენებთ სწავლაში. რომელ მიდგომას ამჯობინებთ – კითხვასა და მოსმენას ენის დიდი მოცულობის გამოყენებით, თუ სახელმძღვანელოთი ან გრამატიკის სწავლას, ან სისტემის ფორმალურ შესწავლას? იყენებთ ამ მიდგომებს შერეული სახით?
- გაარკვიეთ, რამდენად დამოკიდებული ხართ სახელმძღვანელოებსა და მასწავლებლებზე, როგორც სწავლაში გზამკვლელებზე. არსებობს თუ არა გადაწყვეტილებები, რომელთაც ყოველთვის დამოუკიდებლად ღებულობთ, რადგან ხვდებით, რომ ცალკეული ფაქტორები თქვენდა სასიკეთოდ მუშაობს ან არ მუშაობს?
- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ტესტები და გამოცდები?
- რა გაძლევთ მოტივაციას, ახალი ენის სწავლის გასაგრძელებლად?
- თქვენი დაინტერესება მოცემული ენით და იმ ხალხით, ვინც მასზე მეტყველებს?
- თქვენი დაინტერესება, ზოგადად, ენებით?
- ენების სწავლის მხრივ მოპოვებული წარმატება?
- თქვენი მასწავლებლის, მშობლების, მეგობრების ენთუზიაზმი?

თემა III

ენობრივი განათლების დაბეჭევაში, ორგანიზებაში, მიწოდებასა და ხარისხის შეფასებაში უშუალო მონაწილეთათვის

შესავალი

ეს განყოფილება გათვლილია მათზე, ვინც პასუხისმგებელია ენობრივი განათლების მენეჯმენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ადამიანების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობდა ან მონაწილეობს სწავლებაში, ეს თავი, უფრო მეტად, ისეთ საკითხებს ეხება, რომელთა განხილვაც საკლასო ოთახის ფარგლებს გარეთ უნდა მოხდეს. ისინი მოიცავს გადაწყვეტილებებს დაგეგმვაზე – განსაკუთრებით, კურიკულუმთან მიმართებაში, ეროვნულ, რეგიონულ და ინსტიტუციონალურ დონეებზე, აგრეთვე, ენის სწავლის აქტივობების მიწოდებასა და ორგანიზებას, ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის პროცესებსა და პროცედურებს. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ ეს განყოფილება მისაღები და გამოსადეგი იქნება კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტის, სკოლის აკადემიური მმართველების, ინსპექტორებისა და ენობრივი განათლების ადმინისტრაციის წევრების, ენის ფაკულტეტების ხელმძღვანელობისა და მასწავლებლებისათვის, რომელთაც სურთ ბოლომდე გაერკვიონ იმ კონტექსტში, რომელშიც სწავლება მიმდინარეობს და იმ გადაწყვეტილებათა განხილვებში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ მუშაობაზე.

ეს გზამკვლევი ეფუძნება ოთხ წინა ნაშრომის მომხმარებელთა გზამკვლევის სერიასში:

საგანმანათლებლო პოლიტიკაში გადაწყვეტილებათა მიმღებნი, ავტორები ანდრე ბაიენი და რუნე ბერგენთოფთი;

კურიკულუმის შემმუშავებლები ავტორი ჯეი სოქსი


ზრდასრულთა განათლების უზრუნველმყოფები, ავტორები ტონი ფითზპატრიკი და მაიკ მაქოში;

ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი, ავტორები პიტერ ბრაუნი და ფრენკ ჰეივორტი

მომხმარებელთა აღნიშნულ გზამკვლევებში აღწერილი საკითხები აქ წარმოდგენილია საგანმანათლებლო და მართვის პროცესების სახით, რომლებიც არის ან უნდა იყოს თანამიმდევრული. გადაწყვეტილებები ეროვნული კურიკულუმების შესახებ, განიხილება პოლიტიკური და საგანმანათლებლო მიზნების ფართო კონტექსტში.

გადაწყვეტილებებზე რეგიონული, ინსტიტუციონალური ან ადგილობრივი კურიკულუმების შესახებ, ზეგავლენას ახდენს საკითხები ორგანიზებისა და მიწოდების პრაქტიკულობაზე, როგორცაა სწავლებისა და სწავლის უნარები, სათანადო რესურსებისა და ადეკვატურად მომზადებული განმანათლებლების არსებობა და ენის სწავლისათვის გამოყოფილი დროის ოპტიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გადაწყვეტილებათა პროექტირება მოითხოვს იმ ზომების გათვალისწინებას, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებას – ხდება მიზნების მიღწევა? ხდება მომხმარებელთა მოთხოვნების და სურვილების – შემსწავლელები, მშობლები, დამსაქმებლები, ა. შ. – დაკმაყოფილება? პროცესებს სწორხაზოვანი სახე აქვს: იწყება

დაგეგმვის პროცესითა და კურიკულუმის შედგენით; შემდეგ განიხილება ორგანიზაციისა და მიწოდების საკითხები და ბოლოს ხდება შედეგების შეფასება და ხარისხის კონტროლი. სწორედ ასეთი თანამიმდევრობა აქვს საკითხების განხილვას გზამკვლევის სხვადასხვა განყოფილებებში, რაც მის გამოყენებას მოხერხებულს ხდის. სხვადასხვა ელემენტები შეადგენს უწყვეტი პროცესის ნაწილს, სადაც უკუკავშირის კვანძი საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ ხარისხის შეფასების პროცედურების შედეგები ზეგავლენას ახდენდეს ენის სწავლების დაგეგმვაზე, პროექტირებასა და მიწოდებაზე და გადაწყვეტილებებზე, კურიკულუმის ამოცანებზე, რომ განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებაც მოხდება ხარისხის შეფასების პროცესებში.



წინამდებარე გზამკვლევი დაყოფილია სამ განყოფილებად და ყოველი განყოფილება შედგება ორი ნაწილისაგან.

განყოფილება 1	კურიკულუმის შედგენა და გადახედვა	ზოგადი საკითხების მითითება <i>კომპეტენციების</i> სათანადო განყოფილებებზე
განყოფილება 2	ენის შესწავლის ორგანიზება	ზოგადი საკითხები მითითება <i>კომპეტენციების</i> სათანადო განყოფილებებზე
განყოფილება 3	ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი	ზოგადი საკითხები მითითება <i>კომპეტენციების</i> სათანადო განყოფილებებზე
ყოველი განყოფილების ბოლოს მოცემულია სამუშაო ფურცელი		

პირველი განყოფილება არის იმ ძირითადი პრინციპებისა და საკითხების აღწერა, რომლებიც ჩართულია კურიკულუმის შედგენასა და გადახედვაში, და ძირითადად, აქცენტს აკეთებს სკოლის სექტორზე.

მეორე განყოფილებაში განიხილება ენის სწავლის აქტივობების მიწოდება და ორგანიზება, მაგრამ ამჯერად უფრო ფართო ჭრილში, ენის სწავლის სხვა კონტექსტების გათვალისწინებით, როგორცაა ენის კერძო ინსტიტუტები.

მესამე განყოფილების მეორე ნაწილი უზრუნველყოფს მითითებებს *კომპეტენციების* ნაწილებზე, რომლებიც განსაკუთრებით მიესადაგება პირველ განყოფილებაში აღწერილ პრინციპებსა და საკითხებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ *კომპეტენციების* ყველა ნაწილი ადეკვატური არ არის. ისინი ემსახურება გზამკვლევით სარგებლობის ილუსტრირებას, რომ ნათელი მოჰფინოს ცალკეულ პრინციპებსა და საკუთარი წვლილი შეიტანოს ხელმისწვდომი ოფციების გათვითცნობიერებულად განხილვასა და მისაღებ გადაწყვეტილებებში.

ყოველ განყოფილებაში პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ზოგად ორიენტაციას და შეიძლება წაკითხულ იქნეს *კომპეტენციების* მუდმივად გამოყენების გარეშე. მეორე ნაწილში მკითხველს მიეწოდება *კომპეტენციების* სათანადო განყოფილებები. მათ ბოლოს წამოჭრილ საკითხებთან ერთად, დაფიქრებისთვის უზრუნველყოფილია რიგი სხვა საკითხებისა, რომლებიც უკავშირდება ენობრივი განათლების დაგეგმვას, ორგანიზებას, მიწოდებასა და ხარისხის შეფასებას.

დაბოლოს, მოცემულია სამუშაო ფურცლები, ისინი ეფუძნება *კომპეტენციებში* წარმოდგენილ კითხვებს დაფიქრებისათვის და მომხმარებელთა პირველ გზამკვლევებს. სამუშაო ფურცლები უზრუნველყოფს ჩარჩოს პრინციპებისა და საკითხების სტრუქტურ-

იზებული განხილვისათვის და წინადადებებს, თუ როგორ შეიძლება მათი მორგება მომხმარებელთა პროფესიულ გარემოზე. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის აქტივობებში ან დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, მაშინ, როცა კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტი მუშაობას იწყებს, ასევე, საფუძვლად ინდივიდუალური დაფიქრებისათვის.

გზამკვლევის მიზანია *კომპეტენციების* შინაარსისათვის დასრულებული სახის მინიჭება და ისეთი თემების შემოტანა, რომლებსაც *კომპეტენციები* არ მოიცავს ან ზედ-აპირულად განიხილავს.

თაზი V

ჯეი სოქსი

სასკოლო სექტორისათვის კურიკულუმის შედგენა და გადახედვა

ნაწილი 1 – შესავალი

ეს თავი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილში განხილულ იქნება კურიკულუმის შედგენასთან, გადახედვასა და მოდერნიზებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. სწორედ ასეთი ძირეული საკითხების განხილვას უნდა მიმართავდნენ სამინისტროები, კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტები და სხვა ორგანოები, რომელთაც ევალებათ სასკოლო სისტემისათვის თანამედროვე ენების კურიკულუმების მიმოხილვა და მოდერნიზირება. ტერმინი „კურიკულუმი“ განმარტებულია რ. უოქერის მიხედვით და მოიაზრებს არა მხოლოდ წერილობით დოკუმენტს, არამედ საგანმანათლებლო პროცესების ბევრად უფრო ფართო ჭრილს: „კურიკულუმი ეხება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსსა და დანიშნულებას, მათი ორგანიზების საკითხებთან ერთად“ (უოქერი 1990)

კურიკულუმის შემუშავება იშვიათად იწყება „არაფრიდან“. მაშინაც კი, როცა უნდა მოხდეს ძირეული რეფორმების გატარება განათლების სისტემაში, არსებობს ტრადიცია და კურიკულუმის შედგენაზე პასუხისმგებელი ხალხი, რომლებიც წინა ვერსიებსა და ტრადიციებს ითვალისწინებენ. აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო მართებული იქნება, კურიკულუმებთან მიმართებაში გამოვიყენოთ ტერმინები „გადახედვა“ და „მოდერნიზირება“. გარდა ამ ზოგადი საკითხებისა, მოკლედ მიმოვიხილავთ თანამედროვე ენების კურიკულუმის როლსა და ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწილი მოიაზრებს ზოგად ორიენტაციას, დროდადრო ადგილი ექნება *კომპეტენციების* შესაბამის ნაწილებზე მითითებას. ეს ნაწილი მიზნად ისახავს მკითხველისათვის ზოგადი შესავლის მიწოდებას, რაც არ საჭიროებს *კომპეტენციების* მუდმივად მოშველიებას.

პუნქტში 2.1, ყველა საკითხი მოხსენიებული ნაწილში 1, უფრო დეტალურად იქნება განხილული. ამ ეტაპზე, მივესალმებით, მკითხველის მიერ *კომპეტენციების* სათანადო ნაწილების გადახედვასა და გათვალისწინებას. *კომპეტენციების* ამ ნაწილის ბოლოს მოცემულ შეკითხვებს დაემატება კიდევ რამდენიმე მკითხველის მეგზურობისათვის.

ნაწილში 3 მოცემულია რამდენიმე სამუშაო ფურცელი და დავალება. ნაგულისხმევია მათი გამოყენება, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ აქტივობებში, მაგალითად, მაშინ, როცა კომიტეტი მუშაობას იწყებს კურიკულუმის გადახედვაზე. მათი მიზანია გათვითცნობიერებულობის გაზრდა და იმის ჩვენება, თუ რაოდენ ღირებული იქნება *კომპეტენციებით* სარგებლობა კურიკულუმზე მუშაობისას, რადგან მას შეუძლია პერსპექტიული მომხმარებლის უზრუნველყოფა პრაქტიკული გამოცდილებით.

1. კურიკულუმის შედგენაში, გადახედვასა და მოდერნიზებაში ჩართული ძირითადი საკითხები და პრინციპები

ზოგადი მიმართულებები

საზოგადოებაში, რომელიც არნახული ტემპით იცვლება, განათლების სფეროს ხელმძღვანელი პირები დგანან საგანმანათლებლო დებულებათა მოდერნიზირების ამოცანის წინაშე, რომ შესაძლებელი გახდეს ახალგაზრდების მომზადება იმ როლისათვის, რომელიც მათ უნდა იტვირთონ სამომავლოდ. ასევე, აუცილებელი ხდება სასკოლო კურიკულუმების რეგულარული მოდერნიზება, საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნების მიხედვით. გამონაკლისს არც თანამედროვე ენების სფერო წარმოადგენს. ბოლო ათწლეულებში მომხდარი არაერთი ცვლილებიდან, რომელთა მოწმენიც თავად გავხდით, თანამედროვე ენების კურიკულუმების პროექტირებისა და შედგენის მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

სკოლების ცვალებადი კონტინგენტი

ბევრ ქვეყანაში, ბოლო ორმოცი წლის მანძილზე, შედარებით ერთგვაროვანი ეთნიკური სახის მქონე სასკოლო კონტინგენტი შეიცვალა ძალზე მრავალფეროვანი მრავალენოვანი (მულტილინგუური) კონტინგენტით. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა მიგრაცია ოჯახის ხელახალი გაერთიანების შედეგად, ლტოლვითა დიდი ნაკადის ჩამოსვლა და შრომის სფეროს ინტერნაციონალიზაცია. ამჟამად ძალიან ბევრი სკოლა დგას ისეთი ამოცანის წინაშე, როგორცაა სრულიად განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ბავშვების განათლება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი მათგანი განსხვავებული ენის შესწავლას ანიჭებს უპირატესობას. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვები აღარ მეტყველებენ ერთ მშობლიურ ენაზე, საჭირო გახდა პირველი ენის კურიკულუმის გადახედვაც. დღის წესრიგში დადგა სკოლის კურიკულუმით შემოთავაზებული ენების სწავლის გადახედვაც. ხდება რა მრავალენოვანი (პლურილინგუური) ფონისა და მრავალენოვნების (პლურილინგუურობის) შემდგომი განვითარების სურვილის გათვალისწინება, საჭიროა თანამიმდევრული და კოორდინირებული მიდგომა. *კომპეტენციებს* შეუძლია მეგზურობა გაუწიოს ამ საკითხებზე მომუშავე კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტს მაშინაც, კი, როცა მიმდინარეობს უკვე მიღებული პრინციპების შესრულება.

საერთაშორისო მობილურობა

ზემოხსენებულ საკითხს მჭირდროდ უკავშირდება გათვითცნობიერებულობის ზრდა იმ მხრივ, რომ ცხოვრების ყოველ სექტორში საჭირო ხდება თანამედროვე ენების დაუფლების უნარები. ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგად, სულ უფრო მეტ ადამიანს მოუწევს მუშაობა საერთაშორისო გარემოში, სადაც ენობრივი უნარები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ევროპის საბჭოს ახალ წევრ ქვეყნებში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, დიდი ძალისხმევა და ენერჯია მოხმარდა თანამედროვე ენების კურიკულუმების რეფორმას. მოხდა ძლიერ გაბატონებული რუსული ენის სწავლიდან თანამედროვე ენების სწავლის უფრო განსხვავებულ მიდგომაზე გადასვლა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვით ძველ წევრ სახელმწიფოებშიც კი, ენების სწავლება პოლიტიკური დღის წესრიგით იყო მართული.

მრავალმა ქვეყანამ დაიწყო მოქმედება თანამედროვე ენების შესწავლის ხელშეწყობად. *კომპეტენციებს* შეუძლია მეგზურობა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა საზოგადოებისა და ინდივიდუალური შემსწავლელების ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ენობრივი ცენზების გამჭვირვალე სისტემის შექმნა და კურიკულუმში ადგილის გამოძებნა ნაწილობრივი ცენზებით, ორენოვანი განათლების ფორმების და სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლის პრაქტიკის კრედიტაცია.

ახალი ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომხდარი განვითარება მართლაც გასაოცარია. თითქმის ათი წლის წინ, ინტერნეტი ის საკომუნიკაციო ქსელი იყო, რომლითაც, ძირითადად სწავლულები სარგებლობდნენ. ახლა მას მილიონობით ადამიანი იყენებს. მთავრობები და სამინისტროები მიიჩნევენ, რომ მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სტუდენტების ახალ ტექნოლოგიებთან გაცნობის საქმეში. გარდა ამისა, ხსენებულმა ახალმა ტექნოლოგიებმა კარი გაუღო უზარმაზარ შესაძლებლობებს ენის სწავლის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს CD-ROM-ით, DVD-ითა და ინტერნეტით, ელექტრონული ფოსტით მოწოდებულ მულტიმედიურ კურსებს, „ჩეთ-ბოქსებს“ და თითქმის ყველა ენაზე ხელმისაწვდომ დიდი მოცულობის მონაცემებს და / ან ტექსტებს. ბევრი ახალი ტექნოლოგია ჯერ კიდევ სრულად გამოყენებული არ არის ენის სწავლის თვალსაზრისით. ენების შესწავლა ციფრულ სასწავლო გარემოში ახალ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელს, კურსის ორგანიზატორს და შემსწავლელს. *კომპეტენციები* მეგზურობას გთავაზობს აღნიშნულ ცვლილებების გათვალისწინების მხრივაც.

ნაკლები ჩარევა მთავრობის მხრიდან

ზოგიერთ ქვეყანაში სასკოლო წესებისა და წესდებების დადგენა, ძირითადად, ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში ხდება. მაშინ, როცა რიგ ქვეყნებში არსებობს მთავრობისა და სამინისტროების მხრიდან ნაკლებად ჩარევის ტენდენცია და სკოლებისათვის უფრო მეტი ავტონომიურობის მინიჭება. უკვე საგრძნობი გახდა, რომ ცენტრალიზებული სისტემა ვეღარ ახერხებს ზომების ცენტრალიზებულად გატარებას სკოლებთან მიმართებაში, რადგან დღის წესრიგში დგას სრულიად განსხვავებული ადგილობრივი მოთხოვნები და პრობლემები. სხვადასხვა მიზნით ასიგნირებული ბიუჯეტების უზრუნველყოფის ნაცლვად, ახლა სკოლები ღებულობენ ერთდროულ დაფინანსებას და თავად უხდებთ გადაწვეტილებათა მიღება. სკოლებს შეუძლიათ ამ თანხის სხვადასხვა სახით განკარგვა და სპეციფიკური სასკოლო პროფილების შექმნა, მაგალითად, ისეთის, რომელიც აქცენტს აკეთებს თანამედროვე ენებზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე და ახალ ტექნოლოგიებზე. ეს პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაზეც, რადგან ის ეხება ეროვნული კურიკულუმის დეტალურ აღწერას და მის კავშირს რეგიონულ, ადგილობრივ ან სკოლის დონეზე შემუშავებულ კურიკულუმებთან. *კომპეტენციებს* შეუძლია მეგზურობა იმ არჩევანის განხილვასთან მიმართებაში, რომელიც უნდა გაკეთდეს სხვადასხვა დონეებზე.

თანამედროვე ენების კურიკულუმები

ეს ნაწილი განიხილავს მთავრობის მიერ კონტროლირებადი და დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შედგენილ კურიკულუმებს; მაგალითად, დაწყებითი, საშუალო და პროფესიული განათლების სკოლები, სადაც სწავლობენ 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საშუალო განათლების სექტორზე. 10 / 12 / -18 / 19.

განათლების ამ სექტორისათვის შექმნილი კურიკულუმები ჩვეულებრივ, ზუსტად განსაზღვრავს შემდეგ კომპონენტებს:

შემოთავაზებულ ენებს. ხშირად განსხვავებენ არა მხოლოდ პირველ და მეორე, არამედ მესამე და მეოთხე ენებსაც. ზოგიერთ ქვეყანაში, არსებობს დაწყებითი სკოლები, რომლებიც არჩევენს გთავაზობენ ენების მხრივ, თუმცა არის ისეთი სკოლებიც, სადაც მხოლოდ ერთი ენა ისწავლება. საშუალო განათლებაში, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ფარგლებს გარეთ, ბევრ სახელმწიფოში ინგლისური, როგორც უცხო ენა, დომინირებს, მაგრამ დიდია სხვა ენების მხრივ შემოთავაზებული არჩევანიც. სამწუხაროდ, ეს არჩევანი უფრო დიდია თეორიაში, ხოლო პრაქტიკაში ყოველთვის ადვილი არ არის ნაკლებად გავრცელებული ენის სწავლება გამომდინარე იქიდან, რომ

ცოტა მასწავლებელი და მცირე ასეთი ენის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობაც. მეორე საკითხი, რომელსაც ეხება ენობრივი პოლიტიკა, არის მოცემულ ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების ენები. ბავშვებს, რომლებიც ამ ენებზე მეტყველებენ, ეძლევათ თუ არა მათი სკოლაში შესწავლისა და სათანადო კრედიტების მიღების საშუალება? მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის საათების გამოყოფა ხომ არ ხდება უცხო ენების ხარჯზე? ან თუ არსებობს ისეთ პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ასეთი ენების სწავლებას იმ ბავშვებისათვის, რომლებიც უმცირესობას არ მიეკუთვნებიან? მაგალითად, შეუძლიათ თურქ ბავშვებს აირჩიონ თურქული, როგორც, დაეუშვათ, გერმანულის ალტერნატივა, მაშინ როცა მოცემულ კლასში მყოფი ბავშვების უმრავლესობა გერმანულს სწავლობს, ან რამდენად შესაძლებელია, რომ თურქული ისწავლონ არათურქმა ბავშვებმაც?

ამჟამად ბევრ ქვეყანაში ასწავლიან მეზობელი სახელმწიფოების ენებსაც. მათ სწავლასთან მიმართებაში ხდება ახალი მიდგომების შემუშავება. ასევე, უნდა გაირკვეს მათი მიმართება კურიკულუმში არსებულ სხვა ენებთანაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს ენები უკვე ისწავლება დაწყებით დონეზე და საჭიროა მათი საშუალო დონეზე სათანადოდ გაგრძელების უზრუნველყოფა.

დაბოლოს, კურიკულუმში თანამედროვე ენების დივერსიფიკაციისა და რამდენიმე ენის შესწავლის ხელშესაწყობად მიმდინარეობს მუშაობა დროის პრობლემის გადასაჭრელად, ნაწილობრივი ცენზებისა და ორენოვანი განათლების ფორმების შემოთავაზების გზით. ყველა აღნიშნული საკითხი განიხილება *კომპეტენციების მე-8* თავში.

ეროვნული კურიკულუმები, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს საერთო არსსა და იმ დონეების სპეციფიკაციას, რომლებიც მიღწეული უნდა იქნეს. *კომპეტენციების* შეუძლია დახმარება წარსულში გაკეთებული არჩევანის გადასახედად. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ერთი თანამიმდევრული *კურიკულუმი* ყველა ენისათვის, რომელიც სკოლაში ისწავლება, რაც ხელს შეუწყობს ენების მასწავლებელთა კოორდინაციას, ხოლო შემსწავლელებს დიდ სარგებლობას მოუტანს ენის თითოეულ კლასში შეძენილი უნარები. *კომპეტენციების მე-4* თავში მოცემულია გასათვალისწინებელი კატეგორიების აღწერა და მითითებულია, რომელი კატეგორია ექვემდებარება სკალირებას. ამ მხრივ, *კომპეტენციები* გვთავაზობს მეტად თანამიმდევრულ სტანდარტს, რაც საშუალებას გვაძლევს აღწეროთ როგორც ზოგადი დონეები, ისე ცალკეული ქვეკატეგორიებისათვის დაყოფილი სკალების ერთობლიობა. თითოეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს სპეციფიკურობის ხარისხის განსაზღვრა. ჩვეულებრივ, სასკოლო სისტემა საჭიროებს დონეების უფრო დეტალურ აღწერას იმ ექვს განვრცობილ დონესთან შედარებით, რომლებიც წარმოდგენილია *კომპეტენციების მე-3* თავში, სხვა მხრივ, შეუძლებელი იქნება დივერსიფიკაცია კლასების მიხედვით და დროის მისაღებ პერიოდში მიღწეული პროგრესის ჩვენება. *კომპეტენციებს* შეუძლია მეგზურობა შიდა სასკოლო მიზნებისათვის დონეების დაყოფის თვალსაზრისით (იხ. მაგ. 1. 3.5-ში)

ეროვნული კურიკულუმი ასევე მოიცავს ერთგვარ ლოგიკურ დასაბუთებასაც, განაცხადს, რომელიც იძლევა ანგარიშს შერჩეულ მიდგომასთან, დონეებისა და კატეგორიების არჩევანთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ენის შესწავლისა და სწავლების საყოველთაოდ აღიარებული თეორია, *კომპეტენციები* გვთავაზობს ამ საკითხის ირგვლივ ამჟამად არსებული შეხედულებების მიმოხილვას. *კომპეტენციების* მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ მე-6 თავით, რომელიც ამ საკითხს განიხილავს.

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ენები შეადგენს სპეციფიკური სასკოლო სექტორის უფრო დიდი კურიკულუმის ნაწილს, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია თანამედროვე ენების კურიკულუმს უფრო ფართო საგანმანათლებლო მიზნებში, როგორცაა შემსწავლელის ავტონომიის ხელშეწყობა, სოციალური უნარების შეძენა და სწავლა იმისა, თუ როგორ ვისწავლოთ. ცალკეული წინადადებების მოძიება შესაძლებელია *კომპეტენციების* ნაწილში ზოგადი კომპეტენციების შესახებ, *კომპეტენციების* პუნქტები 5.1 და 6.4

დაბოლოს, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათავისება, რომ ენის სწავლა არ იზღუდება მხოლოდ სკოლის ფარგლებით და არ მთავრდება სკოლის დასრულებასთან ერთად. სკოლა საშუალებას უნდა აძლევდეს სტუდენტებს, ბოლომდე ისარგებლონ ენების შესწავლის შესაძლებლობებით, ოჯახში ინფორმაციისა და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების (ჩთ) საშუალებით, გაცვლითი პროგრამებით, საზღვარგარეთ მოგზაურობით და ა. შ. შესაძლებელი უნდა იყოს გზების მოძიება ამ სასწავლო პრაქტიკის კრედიტაციისათვის. ELP-ი ის ინსტრუმენტია, რომელსაც, ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. ეს პორტფოლიო მოკლედ არის მოხსენიებული მე-8 თავში.

2. კურიკულუმის შედგენა, გადახედვა და მოდერნიზება: დირექტივები კომპეტენციებით სარგებლობისათვის

ეს ნაწილი უფრო დაწვრილებითი განიხილავს პირველ ნაწილში წარმოდგენილ საკითხებს და პირდაპირ მიგვითითებს *კომპეტენციების* შესაბამის განყოფილებებზე. ძირითადი საკითხი მოკლედ შეჯამდება. მკითხველს მივუთითებთ *კომპეტენციების* სათანადო ნაწილზე და მივესალმებით, მის მიერ როგორც იქ წამოჭრილი საკითხების, ისე გზამკვლევში დამატებით შემოტანილი საკითხების გათვალისწინებას.

ენების არჩევანი კურიკულუმში, ანუ როგორ შევქმნათ პირობები მრავალენოვნების (პლურილინგურობის) განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

ზოგადი კომპეტენციების დონეები და სასკოლო სისტემა

კატეგორიები, კურიკულუმში ენების აღწერისათვის

ლოგიკური დასაბუთება თანამედროვე ენების კურიკულუმისათვის

ენები, ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლის კრედიტაცია.

2. 1. მრავალენოვნება (პლურილინგურობა) და კურიკულუმი

ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მრავალენოვნების (პლურილინგურობის) ხელშეწყობაა. მშობლიური ენის გარდა, ევროპის მოქალაქეებს უნდა ეძლეოდეთ რამდენიმე უცხო ენის შესწავლის საშუალება. თუმცა, ამ საკითხის მოგვარება ყოველთვის ადვილი არ არის, თუ გავითვალისწინებთ წნეხს კურიკულუმში შეტანილი სხვა საგნების მხრიდან, რომლებიც საათებს მოითხოვს. *კომპეტენციების* მე-8 თავში შემუშავებულია მრავალენოვნების (პლურილინგურობის) ცნება. ერთნი ამტკიცებენ, რომ რამდენიმე ენის შესწავლა არ უნდა მოიაზრებოდეს პროცესად, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ეუფლება ერთ ენას მეორის შემდეგ ან პარალელურად, და რომ მრავალენოვნება (პლურილინგურობა) არის შედგენილი კომპეტენცია, რომლის გამოყენებაც შეუძლია მომხმარებელს.

ზემოხსენებულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია თანამედროვე ენების კურიკულუმების დადგენისას და ისეთი სისტემის შექმნისას, რომელიც ერთი ენის სწავლებას ყოველთვის სხვა ენების სწავლებასთან კავშირში განიხილავს.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ შეიძლება მრავალენოვნური სასკოლო კონტინგენტიდან გამომდინარე, ბევრ სკოლაში არსებული ენობრივი მრავალენოვნების გამოყენება მრავალენოვნების (პლურილინგურობის) განვითარებისათვის.

მე-8 თავის ბოლოს წამოჭრილი საკითხების გარდა, მკითხველმა შეიძლება ისურვოს შემდეგი საკითხების განხილვაც.

- | |
|--|
| 1. როგორ გამოვიყენოთ სკოლებში უკვე არსებული ენობრივი მრავალენოვნება, მრავალენოვანი (პლურილინგუური) კომპეტენციის განვითარებისათვის? |
| 2. რა სტიმული უნდა მიეცეთ მასწავლებლებს იმისათვის, რომ გადააბიჯონ საკუთარი ენის საზღვრებს და ითანამშრომლონ მრავალენოვანი (პლურილინგუური) კომპეტენციის განვითარებისათვის? |
| 3. როგორ უნდა მოხერხდეს მასწავლებელთა ადეკვატურად მომზადება, ბევრ სკოლაში არსებული ენობრივი მრავალენოვნებისათვის თავის გასართმევად? |
| 4. რამდენად კმაყოფილი იქნებიან მასწავლებლები ნაწილობრივი კომპეტენციის ან ორენოვანი განათლების შედეგებით? |

2. 2. ზოგადი კომპეტენციების დონეები და სასკოლო სისტემა

ბევრი კურიკულუმი მოიცავს მითითებებს იმ დონეებზე, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს. პრობლემა ის არის, რომ ამ დონეების აღწერილობები ხშირად გაუგებარია სისტემის ფარგლებს გარეთ მყოფი ადამიანებისათვის. ეტაპობრივად, სისტემის ფარგლებში მოქცეული ყველა ადამიანი – მასწავლებლები, მშობლები და სტუდენტები – გარკვეულ წარმოდგენას იქმნიან იმ დონესთან მიმართებაში, რომელსაც მიაღწია რიგითმა სტუდენტმა, ვთქვათ, საშუალო განათლებაში, მაგრამ მიღებული შეფასება ბევრს არაფერს ნიშნავს სისტემის ფარგლებს გარეთ. როცა სტუდენტი საზღვარგარეთ მიემგზავრება და ხელში უჭირავს სკოლის ატესტატი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისი შეფასება ინგლისურში არის 7, უცხოელი დამსაქმებელი ვერც კი გაიგებს, რას ნიშნავს ეს 7.

მობილურობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა დონეების აღწერილობის უფრო გამჭვირვალე სისტემის შექმნის მოთხოვნაც. *კომპეტენციების* მე-3 თავსა და პუნქტში 2.2 აღწერილია ამ განვითარების საფუძველი. უფრო ტექნიკური დეტალები და სკალების მაგალითები მოცემულია მე-9 თავსა და დანართებში.

ზოგადი კომპეტენციების დონეები საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტის პუნქტებია. მათი გამოყენება მრავალნაირად შეიძლება – პორტფოლიოში ჩართვითა და თვითშეფასებისათვის. თვითშეფასების ფუნქცია მნიშვნელოვანია მაშინ, როცა შემსწავლელი იძენს ისეთ უნარებს, რომელთა დამადასტურებელი ფორმალური სერტიფიკატი არ გააჩნიათ. მათ შეუძლიათ გამოიყენონ კომპეტენციების დონეები და დესკრიპტორები, საკუთარი ცოდნისა და ენობრივი უნარების შესაფასებლად. თუმცა, ხელმძღვანელ პირებს, შეუძლიათ დაადგინონ ფორმალური ცენზები და განსაზღვრონ, რომელ დონეს შეესაბამება მიღებული შეფასება, ზოგადი კომპეტენციების დონეების მიხედვით. ამგვარად, პირებს, რომლებიც ამთავრებენ საშუალო განათლებას, საშუალება მიეცემათ აღწერონ საკუთარი კომპეტენცია გამჭვირვალედ, რაც საყოველთაოდ მისაღები იქნება. გარდა ამისა, თუ ადამიანი მოისურვებს სწავლის გაგრძელებას კერძო დაწესებულებებში, უკვე ეცოდინება, რა დონეს მიაღწია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექვსი დონე ყოველთვის საკმარის არ არის სასკოლო სისტემის მიზნებისათვის. ეს სისტემა მოითხოვს უფრო ზედმიწევნით დაყოფას, რომ შესაძლებელი გახდეს დროის შედარებით მოკლე პერიოდში მიღწეული პროგრესის ჩვენება. *კომპეტენციების* პუნქტებში 3.4 და 3.5 მოცემულია დირექტივები ზედმიწევნით დაყოფასთან მიმართებაში.

მე-3 თავისი წამოჭრილი საკითხების გარდა, მკითხველმა შეიძლება ისურვოს შემდეგი საკითხების განხილვა:

- | |
|---|
| <ol style="list-style-type: none">1. როგორ ფიქრობთ, თქვენს კონტექსტში არსებული დონეების დესკრიპტორები რამდენად გამჭვირვალეა სისტემის ფარგლებს გარეთ მყოფი ადამიანებისათვის?2. გაქვთ თუ არა სურვილი, რომ თქვენი ეროვნული ცენზები მიესადაგებოდეს ზოგადი კომპეტენციების დონეებს?3. მიგაჩნიათ თუ არა, რომ კომპეტენციების ექვსი დონე დამაკმაყოფილებელია, თუ თქვენი სისტემა საჭიროებს უფრო ზედმიწევნით დაყოფას? |
|---|

2. 3. კატეგორიები კურიკულუმში ენების აღწერისათვის

კურიკულუმის მონახაზის შექმნისას, პასუხისმგებელ პირებს აქვთ ოფციების საკმაოდ დიდი არჩევანი. კატეგორიების შერჩევა ხდება დოკუმენტის ფუნქციის მიხედვით. პრესკრიპტული სახის დოკუმენტი საჭიროებს სრულიად განსხვავებულ კატეგორიებს იმ დოკუმენტთან შედარებით, რომელიც გვთავაზობს მეგზურობას ან კრიტიკრიუმებს რეგიონულ ან ადგილობრივ დონესთან მიმართებაში.

კომპეტენციების ფუნქციაა, დახმარება გაცნობიერებული არჩევანის გასაკეთებლად. ყოველი თავი გვთავაზობს დაფიქრებას ენის შესწავლისა და სწავლების კონკრეტულ ასპექტზე და მათი შესაბამისობის განხილვას მათსავე კონტექსტსა და მიზნებთან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არც ისე ადვილია *კომპეტენციების* ბოლომდე წაკითხვა და მის ყოველ ნაწილზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. თვით ყველაზე უფრო გამოცდილი პრაქტიკოსებიც კი შეიძლება შეუშინდნენ ოფციათა უდიდეს არჩევანს. თანაც, კურიკულუმის რეფორმის კომიტეტები, თითქმის ყოველთვის, დროის წნეხს ქვეშ მუშაობენ. საწყისი მონახაზი ფართო კონსულტაციებს ექვემდებარება. *კომპეტენციების* მომხმარებლებს შეუძლიათ დაიწყოთ იმ კატეგორიების გადახედვა, რომელთა მიხედვითაც არის დაწერილი მოცემული დოკუმენტი. გარდა ამისა, მათ შეიძლება ისურვონ შეკითხვათა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის განხილვა. დასაწყისისათვის, გთავაზობთ შემდეგი საკითხების განხილვას:

აქვს თუ არა აზრი ენის გამოყენების კონტექსტის შეტანას კურიკულუმში?

* რამდენად მართებულია *კომპეტენციებში* მოხსენიებული ზედმიწევნით დაყოფა და ზეპირი ინტერაქციის ან ზეპირი პროდუცირების ერთმანეთისაგან გარჩევა, ან მედიაციის შეტანა?

დოკუმენტში მოხსენიებული ისეთი თემები, როგორცაა *ზღვრული დონე 1990*, რამდენად მიესადაგება იმ კურიკულუმს, რომლის მონახაზიც უნდა გაკეთდეს?

მოხსენიებულ უნდა იქნეს ტექსტის ტიპები?

უნდა მოხდეს დავალებათა სპეციფიკაცია?

რა როლი ენიჭება სტრატეგიებს და უნდა მოხდეს მათი განსაზღვრა?

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ, მკითხველმა შეიძლება ისურვონ მე-4 და მე-5 თავების გადახედვა და ყოველი ნაწილის შემდეგ მოცემული შეკითხვების განხილვა. ამას შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თუ არა კატეგორიების შეტანა კურიკულუმში.

2. 4. ლოგიკური დასაბუთება თანამედროვე ენების კურიკულუმისათვის

თანამედროვე ენების კურიკულუმების გადახედვას ან მოდერნიზებას განაპირობებს ის, რომ ძველი ვერსია ადეკვატურად აღარ მიიჩნევა. პირველ ნაწილში გამოვკეთეთ რამდენიმე სახის განვითარება, რაც აუცილებელს ხდის კურიკულუმების მოდერნიზაციას. მათ შორისაა ცვალებადი სასკოლო კონტინგენტი და განვითარება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ენების სწავლებასა და სწავლაზე არსებული შეხედულებებიც ცვალებადია. მიუხედავად იმისა, რომ „ამ ეტაპზე არ არსებობს კვლევის შედეგებზე დაფუძნებული საკმარისად მყარი კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორ სწავლობენ შემსწავლელები და *კომპეტენციები* ვერ ეყრდნობა ვერცერთ სასწავლო თეორიას“ (*კომპეტენციები*, პუნქტი 6.2.2.1) მოიძებნება სხვადასხვა სახის, ზოგჯერ საპირისპირო, განვითარება, რომლის გამოყენებაც შეიძლება ისურვოს კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტმა.

მასწავლებლები, რომლებიც თანამედროვე ენებს ასწავლიან ბოლო ოცდაათი წელია, ზოგჯერ იმედგაცრუებულნი არიან კონსენსუსის სიმცირითა და მრავალი კვლევის მწირი დასკვნით. ისინი თვალყურს ადევნებენ მოდის ცვალებადობას და სექსპტიკურად უყურებენ ენის სწავლებასთან მიმართებაში ახალი მიდგომების კურიკულუმში შეტანას. დიდი გაურკვევლობაა ისეთი ასპექტებთან მიმართებაშიც, როგორცაა როლი (რა მოცულობით და როდის) გამოთქმა (საწყის ეტაპზე დაშვებული შეცდომების მიმართ ტოლერანტობის გამომჟღავნება, თუ სიმკაცრის გამოჩენა), სტრატეგიები (საკომპენსაციო სტრატეგიების ადგილი) შემსწავლელის ავტონომია (როგორ უნდა განავითაროს მასწავლებელმა შემსწავლელის ავტონომია, რა მოცულობის უნდა იყოს მასწავლებლის მიერ სტუდენტებისათვის მინიჭებული თავისუფლება და ა.შ)

აქედან გამომდინარე, კურიკულუმში ხშირია არჩევანის ლოგიკურად დასაბუთება, განმარტება შერჩეული ოფციებისა, წინადადებებისა და იმ დირექტივებისა, რომლებიც პრაქტიკულად უნდა იქნეს გამოყენებული საკლასო ოთახის ფარგლებში. აუცილებელი არ არის ეს ყველაფერი ერთ დოკუმენტში შედიოდეს. საგანმანათლებლო რეფორმის პროცესი მოითხოვს მრავალგვარ ჩარევას და აქ ხსენებული ასპექტები ხშირად

განიხილება თანმხლებ დოკუმენტებში, მასწავლებელთა საწყის ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და ღონისძიებებზე.

სასურველია, მკითხველმა გადახედოს *კომპეტენციების* მე-6 თავს, კერძოდ, პუნქტებს 6.2 და 6.4 მე-6 თავის ამ პუნქტებში წამოჭრილი საკითხების გარდა, მკითხველმა შეიძლება ისურვოს შემდეგი საკითხების განხილვა:

- | |
|---|
| <ol style="list-style-type: none">1. როგორია ახალი კურიკულუმის ძირითადი ნოვაციები?2. რა სფეროები მოითხოვს წინააღმდეგობების გაწევას?3. რა სტრატეგიებით უნდა მოხდეს რეფორმის კრიტიკული ნოვაციური საკითხების გატარება? |
|---|

2. 5. ენები, ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ნაწილი 1 საერთაშორისო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას იმ ფაქტორების რიცხვს მიაკუთვნებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ენის შესწავლასა და სწავლებაზე. ამ ტექნოლოგიების ცოდნა შეიძლება განხილულ იქნეს ერთ-ერთ არაენობრივ სპეციფიკურ კომპეტენციად, რომელიც მოხსენიებულია *კომპეტენციების* პუნქტში 6.4.6.3. მოცემული გზამკვლევის კომპეტენციის ფარგლებში, დეტალურად ვერ განიხილავთ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლო გამოყენებას ენის შესწავლასა და სწავლებაში და შემოვიფარგლებით მხოლოდ გამოყენების შემდეგი ვარიანტებით:

ელექტრონული ფოსტა - ინტერნეტის საშუალებით აზრთა ურთიერთგაცვლისა და კონტაქტისათვის, მაგალითად, სპეციფიკური ინფორმაციის სათხოვნელად;

„ჩეთბოქსები“ ან ქსელში შეხვედრები - ინფორმაციის წერილობით ფორმით ურთიერთგაცვლისათვის, რაც საკმაოდ ჰგავს სამეტყველო ენას (თუმცა, ზოგჯერ გამოიყენება სპეციალური კოდები, აბრევიატურა და ე.წ. „სმაილები“)

ვიდეო კონფერენცია - ერთი-ერთზე კომუნიკაციის საშუალება;

ინტერნეტის გამოყენება ყველანაირი სახის მონაცემების მისაღებად, როგორცაა აუდიო და ვიდეო ტექსტები, არახაზობრივი, „ჰიპერ“ ტექსტები, მონაცემთა ბაზები, ბიბლიოთეკები ა. შ.

ენის სასწავლო კურსებით სარგებლობა, რომლებიც ხელმისაწვდომია CD-ROM-ის, DVD-ის სახით აგრეთვე „on-line“ კურსები ინტერნეტის საშუალებით

ელექტრონული საწერი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა სიტყვათა პროცესორები, „ონ-ლაინე“ ლექსიკონები, მართლწერისა და გრამატიკის შესამოწმებელი ინსტრუმენტები, ა. შ.

თანამედროვე ენების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილე ადამიანებმა შეიძლება ისურვონ იმის გარკვევა, უნდა იყენებდნენ თუ არა შემსწავლელები საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ენის შესწავლისას და რა მოცულობით. *კომპეტენციებიდან* გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი საკითხების განხილვა.

- | |
|--|
| <ol style="list-style-type: none">1. უნდა იცნობდნენ შემსწავლელები ე. წ. „ეტიკეტს“- ყოფაქცევის კოდებს ინტერნეტით კომუნიკაციისათვის?2. უნდა იცნობდნენ შემსწავლელები ჰიპერტექსტებს და / ან სხვა სახის აუდიო და ვიდეო ტექსტებს?3. როგორ უნდა მოხდეს ელექტრონული საწერი ინსტრუმენტების ინტეგრირება კურიკულუმში წერის შესახებ?4. როგორ უნდა მოხდეს შემსწავლელთა წახალისება, რომ მათ შეისწავლონ ინტერნეტი და გამოიყენონ იგი საშუალებად ენის ავტონომიურად შესწავლისათვის? |
|--|

გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, კურიკულუმის შემუშავებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ *კომპეტენციები* ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ფურცელს ცვლის ციფრული მასალები.

2. 6. სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლის კრედიტაცია

ენის სწავლა ვერ დამთავრდება სკოლის დასრულებასთან ერთად „ის შეიძლება უწყვეტად გაგრძელდეს, თანაც ბევრი ადამიანი ენას სწავლობს სკოლის ფარგლებს გარეთ:

რადგან ისინი იზრდებიან მრავალენოვან (პლურილინგუურ) ოჯახში;

რადგან მათ აქვთ საზღვარგარეთ მოგზაურობის საშუალება;

რადგან მათ შეუძლიათ ერთი წელი გაატარონ უცხო ქვეყნის სკოლაში;

პრობლემა ის არის, თუ როგორ უნდა შეფასდეს ენის სწავლის ეს პრაქტიკა. მოსწავლეებმა, რომლებმაც ერთი წელი დაჰყვეს ამერიკის საშუალო სკოლაში, შეიძლება შეიძინონ იმ დონის ენობრივი უნარები, რაც მსგავსი შესაძლებლობის არამქონე მათი თანაკლასელებისათვის მიუღწეველია.

კომპეტენციების პატარა პუნქტი ეძღვნება ELP-ს (პუნქტი 8.4.2). ეს დოკუმენტი, რომელიც ამჟამად პილოტირებულია თხუთმეტ ევროპულ სახელმწიფოში, საშუალებას აძლევს შემსწავლელებს, დოკუმენტის სახე მისცენ ენის შესწავლის საკუთარ პრაქტიკას. შედეგადად საში ნაწილისგან: ენის ბიოგრაფია, პასპორტი და დოსიე. ამ დოკუმენტში შემსწავლელს შეუძლია შეიტანოს ენის შესწავლის საკუთარი ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკა, რომელთაგან პირველი ოფიციალურ ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე – არაოფიციალურს. ELP-ში მოცემულია *კომპეტენციების* ზოგადი კომპეტენციების დონეები (თავი 3) ისე, რომ რაპორტირების ფუნქცია საყოველთაოდ გამოყენებადი. დოსიეს ნაწილი, მეტწილად, პედაგოგიურ ფუნქციას ასრულებს და საშუალებას აძლევს შემსწავლელს, შეინახოს ენის შესწავლისა და კულტურათაშორის გამოცდილების სფეროში შესრულებული სამუშაოს ნიმუშები.

-ის რამდენიმე მოდელი, რომლებიც პილოტირებულია ევროპის საბჭოს -ის პროექტის ფარგლებში, ხელმისაწვდომია ინტერნეტითაც. ეროვნული პორტფოლიოს გვერდის შესახებ მითითების მოძიება შესაძლებელია საბჭოს ვებგვერდზე: <<http://culture.coe.int/portfolio>>

მე-8 თავის ბოლოს წამოჭრილი საკითხების გარდა, მკითხველმა შეიძლება ისურვოს შემდეგი საკითხების განხილვა:

მე-8 თავის ბოლოს წამოჭრილი საკითხების გარდა, მკითხველმა შეიძლება ისურვოს შემდეგი საკითხების განხილვა:

1. როგორ უნდა მოხდეს სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლის პრაქტიკის კრედიტაცია?
2. ხდება თუ არა იმ სტუდენტების განსაკუთრებულად გათვალისწინება, რომლებიც უკვე კარგად ფლობენ ენას, რომელიც სკოლაში ისწავლება?
3. ვინ არის პასუხისმგებელი სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლის პრაქტიკის კრედიტაციაზე, განსაკუთრებით იმ ენების შემთხვევაში, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება?

3. 3. კომპეტენციები პრაქტიკაში

ეს ნაწილი მოიცავს რამდენიმე პრაქტიკულ დავალებას როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობისათვის, როგორცაა წევრებისათვის კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტის გაცნობა *კომპეტენციებით* და მისი მნიშვნელობა კონკრეტულ პრაქტიკულ მიზნებთან მიმართებაში.

შერჩეულ ფორმას სამუშაო ფურცლებს სახე აქვს, რასაც პრაქტიკული დავალებები ახლავს. ზოგიერთი მათგანი პილოტირებული იყო სემინარზე კომპეტენციებისა და კურიკულუმის შემუშავების შესახებ, რომელიც შესდგა ევროპის თანამედროვე ენების ცენტრში (ECML) გრაცში, ავსტრიაში, 1998 წლის მაისში.

ბიბლიოგრაფია

Walker, D. Fundamentals of curriculum, San Diego: Harcourt Brace Jovanovitch 1990

სამუშაო ფურცელი 1

კურიკულუმის სცენარის შემუშავება მრავალენოვანი (პლურილინგური) კომპეტენციის განვითარებისათვის

კონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებები კურიკულუმში შესატანი ენების შერჩევაზე, პოლიტიკურ დონეზე მიიღება, საინტერესო იქნება განსხვავებული ენის სწავლისათვის სცენარის შექმნა, თქვენი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. დაფუძნებით, რომ კურიკულუმი ღია ხასიათს ატარებს და საშუალებას აძლევს სკოლებს, ექსპერიმენტი ჩაატარონ სხვადასხვა შემოთავაზებებზე ენის მხრივ და გასცენ დირექტივები განსხვავებული ენის შესასწავლად. წაიკითხეთ *კომპეტენციების მე-8 თავი ენობრივი მრავალენოვნებისა და კურიკულუმის შესახებ* და განიხილეთ შემდეგი დავალება.

დავალება

შექმენით სცენარი თქვენს სასკოლო სისტემაში განსხვავებული ენის სწავლებისათვის, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა:

ენების არჩევანი

საათების რაოდენობა, რომელიც, სავარაუდოდ, დაეთმობა თანამედროვე ენების შესწავლას სისტემის სხვადასხვა დონეებზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)

პრაქტიკული შედეგები, როგორცაა მასწავლებელთა ხელმისაწვდომობა.

განიხილეთ შედეგი ოფციები:

- ენის სწავლა დაწყებით სკოლებში

ერთი ცენტრალიზებულად განსაზღვრული ენა, ენათა არჩევანი თუ თავისუფლება ენის არჩევანის მხრივ

მეზობელი ქვეყნების ენათა როლი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე

ენობრივი გათვითცნობიერებულობის კურსი.

მოსწავლეების მშობლიური ენის როლი და ამ მშობლიური კომპეტენციის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა

- ენები საშუალო სკოლის საფეხურზე

რომელი ენები

პირველი და მეორე / მესამე და მეოთხე თანამედროვე ენის ერთმანეთისაგან განსხვავება?

დონეები, რომელთა მიღწევაც უნდა მოხდეს

როგორ უნდა შეფასდეს სკოლის ფარგლებს გარეთ ენის სწავლა?

ენის სწავლის დივერსიფიკაციის საშუალებები (ორენოვანი განათლება, ნაწილობრივი კომპეტენცია).

ენა	დაწყებითი		საბაზო		საშუალო		პროფესიული	
	გაკვეთილები	სტატუსი	გაკვეთილები	სტატუსი	გაკვეთილები	სტატუსი	გაკვეთილები	სტატუსი

სტატუსი:

შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კატეგორიები, მაგრამ ასევე შეგიძლიათ თავისუფლად დაუმატოთ საკუთარიც

X: სავალდებულო

O: არჩევითი

PQ: ნაწილობრივი კვალიფიკაცია;

B: დამწყებთა კურსი

BE: ორენოვანი განათლება

NL: მეზობელი ქვეყნის ენა

ML: უმცირესობის ენა

პრაქტიკული შედეგები მასწავლებლებისათვის:

სამუშაო ფურცელი 2

ეროვნული ცენტრების დაკავშირება ზოგადი კომპეტენციების დონეებთან

კონტექსტი

ადამიანები ყოველთვის ვერ ერკვევიან დონეთა ადეკვატური აღწერის სირთულეში. გათვითცნობიერებულობის გაზრდაზე ორიენტირებული ადვილი აქტივობა განაპირობებს დონეთა დესკრიფციების გამოყენებას თქვენს საგანმანათლებლო სისტემაში. განალაგეთ ისინი არეულად და მუშა ჯგუფის წევრებს სთხოვეთ მათი დაწყოფა სწორი თანამიმდევრობით.

ეს სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს მე-4 თავში სკალებში წარმოდგენილ დესკრიპტორებთან მიმართებაშიც.

ამ სავარჯიშოს შესრულებამდე, შეგიძლიათ მუშა ჯგუფის წევრებს საკუთარი ენობრივი კომპეტენციის შეფასება სთხოვოთ, *კომპეტენციების 3.3* პუნქტში მოცემული სკალის მიხედვით. შეგიძლიათ განიხილოთ მონაცემების შეგროვება, მათი პისტოგრამაში ან გრაფიკში შეტანა და შედეგების საჩვენებლად *powerpoint*-ით პრეზენტაცია.

დავალებები

1. გადახედეთ *კომპეტენციების* პუნქტს 3.3 და ყურადღებით გაეცანით დესკრიპტორებს. შეაფასეთ საკუთარი უნარები თქვენს მიერ შესწავლილ ენებში სკალებზე **A1 A2, B1, B2, C1, C2** შეგიძლიათ შეავსოთ ქვემოთ მოცემული ტაბულა.

	1	2	1	2	C1	C2
მოსმენა						
სასაუბრო ინტერაქცია						
სასაუბრო პროდუცირება						
წერა						

2. შეარჩიეთ სკალა (მაგალითად, ზოგადი სასაუბრო ინტერაქცია 4.4.3.1), დესკრიპტორები არეულად განალაგეთ და შემდეგ ისევ სწორი თანამიმდევრობით.

3. გადახედეთ პუნქტს 4.4.1 (პროდუქტიული აქტივობები და სტრატეგიები) და დააკვირდით, როგორ მოხდა დონეების ზედმიწევნით დაყოფა. დახედეთ ქვედანაყოფს 2 დონეზე და დააკვირდით, თუ როგორ შეიძლება მისი დაყოფა 2.1 და 2.2 დონეებად.

4. გაანალიზეთ თქვენს სისტემაში გამოყენებული დონეთა დესკრიპტორები და შეადარეთ ისინი *კომპეტენციების* დონეთა დესკრიპტორებს. დაიწყეთ ერთი აქტივობის / უნარის შერჩევით და სცადეთ თქვენი სისტემის დონეთა დესკრიპტორების გაუმჯობესება და მათი მისადაგება *კომპეტენციების* დონეებთან.

სამუშაო ფურცელი 3

კურიკულუმის კატეგორიების განსაზღვრა თანამედროვე ენებისათვის.

კონტექსტი

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მონაწილეობს თანამედროვე ენების კურიკულუმის შემუშავებაში, ნასწავლი აქვს სულ მცირე ერთი თანამედროვე ენა. ამ აქტივობების მიზანია (დავალება 1) მუშა ჯგუფის წევრების დაფიქრება შესამუშავებელი კურიკულუმის შესაძლო კატეგორიებზე, წარსულში ენის სწავლის პრაქტიკული გათვალისწინებით.

აღტერნატიული სახით, მონაწილეებს შეუძლიათ ამოსავალ წერტილად არსებული კურიკულუმი აიღონ და შეასრულონ დავალება 2.

დავალება 1

1. ენის სწავლის საკუთარი გამოცდილება გაუზიარეთ ჯგუფს. რა ენები გისწავლიათ და როგორ? როგორია თქვენი გამოცდილება? როგორ იყო მიდგომა? როგორი იყო სახელმძღვანელოები? რა სახის აქტივობებსა და სავარჯიშოებს ასრულებდით? რამდენად განსხვავდება ისინი ამჟამინდელი მიდგომისაგან?

2. გადახედეთ *კომპეტენციების* მე-4 თავის სარჩევს და დააკვირდით, მოცემული კატეგორიებიდან რომელიმე თუ იდენტიფიცირდება თქვენს საკუთარ გამოცდილებაში. თქვენი აზრით, რომელი კატეგორიები უნდა იქნეს შეტანილი ახალ კურიკულუმში?

დავალება 2

1. გადახედეთ არსებულ კურიკულუმს, რომელიც უნდა განახლდეს ან მოდიფიცირდეს. შეარჩიეთ მასში მოცემული ერთი ან ორი კატეგორია და *კომპეტენციებში* მოიძიეთ პუნქტი, რომელიც ამ კატეგორიებს განიხილავს.

2. რას ფიქრობთ პირველად დოკუმენტში გაკეთებულ არჩევანზე?

3. ხომ არ შესცვლიდით რამეს, *კომპეტენციების* მიერ შემოთავაზებული ოფციების მიხედვით?

რამდენიმე იდეა და მაგალითი:

- აზრი აქვს სფეროების, სიტუაციების, თემების შეტანას (პუნქტი 4.1 და 4.2)
- ტრადიციულად, გამოიყოფოდა ოთხი უნარი – მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის. *კომპეტენციებში* მოხდა შემდგომი დაყოფა, რომელმაც მოიცვა ზეპირი ინტერაქცია, ზეპირი პროდუცირება, მედიაცია, წერილობითი ინტერაქცია, წერილობითი პროდუცირება, ა. შ. (პუნქტი 4.4) თქვენს კონტექსტში, რამდენად გამოსადეგი იქნება ოთხი ტრადიციული კატეგორიის უფრო მეტად დაყოფა?
- უნდა მოხდეს ტექსტის ტიპების მოხსენიება? (პუნქტი 4.6)
- უნდა განისაზღვროს დავალებები? (დავალებების განვრცობის განხილვისათვის იხ. თავი 7)
- რა როლი ენიჭება სტრატეგიებს და უნდა მოხდეს მათი განსაზღვრა? (პუნქტი 4.4).

სამუშაო ფურცელი 4

კურიკულუმის კატეგორიების განსაზღვრა თანამედროვე ენებისათვის

კონტექსტი

კურიკულუმის რეფორმირების კომიტეტის წევრებს შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონდეთ სკოლაში თანამედროვე ენების სწავლასა და სწავლებაზე. ჩვენს ხელთ არსებული კვლევების დიდი ნაწილი დაუშთავრებელია, მაგრამ კომიტეტის წევრებმა (ან სკოლის ან საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე ენების განყოფილების წევრებმა) შეიძლება ისურვონ საკუთარი შეხედულებების გაზიარება და ენის სწავლასა და სწავლებასთან მიმართებაში საერთო მიდგომის გამონახვა. ამ აქტივობების მიზანია დისკუსიის წარმართვა ცალკეული პროვოკაციული მოსაზრებებით.

დავალება

განიხილეთ შემდეგი მოსაზრებები:

1. ენების შესწავლისათვის იდეალური ვარიანტია მოცემულ ენასთან რაც შეიძლება ხშირი ურთიერთობა შემსწავლელის მხრიდან.
2. შესასწავლი ენის თითქმის ექსკლუზიურად გამოყენება საკლასო ოთახის ფარგლებში ენის სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური ასპექტია.
3. ავთენტიკურ ტექსტებს და საკომუნიკაციო სიტუაციებს ყოველთვის უპირატესობა უნდა ენიჭებოდეთ შექმნილ მასალებთან მიმართებაში.
4. საწყის ეტაპზე, უნდა მოხდეს შემსწავლელთა სტიმულირება, რომ მათ რაც შეიძლება უფრო მეტად გამოიყენონ ენა, გამოთქმასა და გრამატიკაში დაკავშირებული შეცდომების მიუხედავად.
5. საკომპენსაციო სტრატეგიების სწავლება მაშინაა გამართლებული, როცა შემსწავლელებს უკვე ნასწავლი აქვთ ენა დროის გარკვეულ პერიოდში.
6. განსაკუთრებით საწყის ეტაპებზე, აუცილებელია სავარჯიშოების (დრილების) გამოყენება.
7. ლექსიკონის შედგენა საუკეთესო ვარიანტია შემსწავლელთა მიერ ლექსიკური მარაგის დაუფლებისათვის.
8. ელექტრონული ფოსტის საშუალებით აზრთა ურთიერთგაცვლას დიდი დრო მიაქვს და ძალზე უმნიშვნელო წვლილი შეაქვს ენის შესწავლის პროცესში.

თაზი VI

მაიქ მაქოში

კურიკულუმის ორგანიზება და მიწოდება

1. პრინციპები და საკითხები

ენობრივი განათლების ორგანიზება და მიწოდება კომპლექსური საქმეა. ურიგო არ იქნება, გადავხედოთ ასეთი საქმიანობის შედეგებს, რასაც კურიკულუმის კუთხით არსებული პოლიტიკის ინტერპრეტირების მცდელობის სახე ექნება, რომ მოხდეს სამოქმედო ენის სწავლების პროგრამის განვითარება. ჩვეულებრივ, ასეთი პროგრამების განსაზღვრა ხდება იმ პარამეტრებით, რომლებიც მოცემულია „კომპეტენციით“ დასათაურებულ აბზაცში. თუმცა, სხვა პარამეტრებიც საკუთარ როლს ასრულებს ნებისმიერი მოცემული პროგრამის განვითარებაში, შემოტანასა და მართვაში.

შემდეგი პრინციპები და კონცეფციები, ჩვეულებრივ, უკავშირდება ენობრივი განათლების ორგანიზებასა და მიწოდებას:

შემსწავლელზე ორიენტაცია

შემსწავლელის კომპეტენციის გაუმჯობესება ერთ ან რამდენიმე უცხო ენაზე, ენის შესწავლის შესაძლებლობათა ძირითადი მიზანია. ამ შესაძლებლობების ორგანიზებასა და მიწოდებაზე დახარჯული ძალისხმევა გამართლებულ უნდა იქნეს იმ სარგებლით, რომელსაც ღებულობს შემსწავლელი. ამ კონტექსტში აუცილებელია იმის განხილვა, თუ რამდენად ექვემდებარება სწავლას ის, რასაც სთავაზობენ შემსწავლელთა ნებისმიერ მოცემულ კონტინგენტს.

მასწავლებელზე ორიენტაცია

შემსწავლელთა დიდი უმრავლესობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასწავლებლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მეგზურობას, გათვითცნობიერებულობასა და სტიმულირებას კურიკულუმის ფარგლებში. მასწავლებლები მთავარ როლს ასრულებენ ენის შესწავლის შესაძლებლობათა ორგანიზებასა და მიწოდებაში და ამიტომ, კურიკულუმის მიწოდების ცვლილების ეპიცენტრში უნდა იმყოფებოდნენ. ერთი მხრივ, ეს ბადაებს შეეკითხვას სათანადოდ მომზადებული მასწავლებლების და მათი განვითარების ხელმისაწვდომობის შესახებ. მეორე მხრივ, საჭიროა განხილულ იქნეს, თუ რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ სილაბუსით სწავლება.

კომპეტენცია

ნებისმიერი ენის კურიკულუმი აუცილებლად განიხილავს საზოგადოებას ამა თუ იმ ჭრილში, ენების მოცემულ არჩევანსა და დონეებს, შემსწავლელის მოთხოვნების ერთობლიობას ასაკის, დონის, სასწავლო სტილის, კომპეტენციის დონეების, ამოცანებისა და სერტიფიცირების მიხედვით. აუცილებელია, ხელმძღვანელმა პირებმა და / ან დაწესებულებებმა საკუთარი პროგრამები ამ პარამეტრების გათვალისწინებით აღწერონ, რომ შესძლონ თავიანთ აქტივობებზე ეფექტურად ფოკუსირება.

გამჭვირვალობა

ენობრივ განათლებაში, უამრავი პარტნიორია: შემსწავლელები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ხელმძღვანელები, გამომცდელები, განათლების სხვა სექტორები, დამსაქმებლები, საჯარო მოხელეები, საგამოცდო კომისიები და ა. შ. მათი პარტნიორობა ქმედითუნარიანი რომ იყოს, საჭიროა გამჭვირვალობა პროგრამების, კურსების, ამოცანების, შინაარსის, სასწავლო მეთოდოლოგიის, შეფასებისა და შესაძლო სერტიფიცირების მხრივ.

თანამიმდევრულობა

პარტნიორობა ქსელის ფარგლებში და აგრეთვე, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამები და კურსები ორიენტირებული უნდა იყოს შემსწავლელთა გაცნობიერებულ და რეალურ მოთხოვნებზე, ენობრივი განათლების უზრუნველყოფმა პირებმა, თავიანთი ინსტიტუტის ფარგლებში, უნდა შესძლონ თანამიმდევრულობის დაცვა ენის სწავლების ამოცანების გაცხადების, შინაარსის, მეთოდოლოგიის, შეფასებისა და სერტიფიცირების, აგრეთვე, სხვა საგანმანათლებლო სექტორებთან კოორდინაციის თვალსაზრისით.

ფლექსიურობა

ინდივიდუალური შემსწავლელების გათვითცნობიერებული და რეალური მოთხოვნები, სხვა საგანმანათლებლო სექტორები და საზოგადოება, როგორც ერთი მთლიანობა, მუდმივად ცვალებადია. მოთხოვნა, რომ ენის სწავლების პროგრამები ფლექსიური უნდა იყოს, ძალზე მართებულია, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არსებობს და / ან ემიჯნება პრაქტიკულად, ყველა სხვა საგანმანათლებლო აქტივობას.

შეფასება

შეფასება გადამწყვეტ როლს თამაშობს სხვადასხვა სკოლებისა და უფრო მსხვილი ინსტიტუტების სექტორების მიერ ორგანიზებულ ან მოწოდებულ ენის შესწავლის ფაზების (ციკლების) უწყვეტობის უზრუნველყოფაში. პროგრამების, კურსებისა და მასწავლებლების შეფასება ხდება რეგულარულ ინტერვალებში და პირდაპირ თუ ირიბად, მას საკუთარ პრაქტიკაში იყენებს ყველა ზემოსხენებული პარტნიორი.

1. 1. პოლიტიკის ფორმულირებიდან სწავლამდე და პირიქით: კურიკულუმი, როგორც არასწორხაზოვანი პროცესი

ერთი მხრივ, სწორხაზოვან მიდგომებს და მეორე მხრივ, შემსწავლელებზე კონცენტრირებულ მოდელს და კურიკულუმის შედგენის გაცნობიერებას შორის, დიდი დაპირისპირებაა, რაც კურიკულუმის შემმუშავებელთა მუდმივი შფოთვის საგანია. სწორხაზოვან ანუ სპეციალისტების მიდგომებში მოიაზრება სწორხაზოვანი „ჯაჭვი განკარგულებებისა,“ რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული კურიკულუმის შემმუშავების სხვადასხვა ეტაპებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული როლები და პასუხისმგებლობა. შემსწავლელზე კონცენტრირებულ მიდგომებში „განკარგულებათა ჯაჭვი“ არ არსებობს, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობს ყველა პარტნიორი.

კომპეტენციების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, ისევე როგორც ამ გზამკვლევისა, არის მისი ღია ხასიათი. არ ხდება კურიკულუმის შედგენასთან დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული მიდგომისადმი მიმხრობა. ძოგადი კომპეტენციების მსგავსად, ამ გზამკვლევის ღია ხასიათი განაპირობებს კურიკულუმის ორგანიზატორების, შემმუშავებლების, ადმინისტრატორების, მენეჯერების, მასწავლებლებისა და შემსწავლელების მოქმედებას სამუშაო გარემოს მიხედვით. კურიკულუმი განიხილება პროცესად, რომელშიც ურთიერთქმედებს მრავალი ფაქტორი და ეტაპი. ამიტომ *კომპეტენციები* ვერ იქნება მხოლოდ ცალმხრივად დაინტერესებული: როგორ უნდა მოხდეს იმის ჩადება სასწავლო აქტებში, რაც უკვე დაიგეგმა. ის უფრო მეტად დაინტერესებულია იმ ოფციებით, რომლებიც ხელმისაწვდომია კურიკულუმის ორგანიზებასა და მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის და იმ შეზღუდვებით, რომლებსაც ისინი აწყდებიან.

მიუხედავად იმისა, ეროვნულ საგანმანათლებლო ჭრილში, საშუალო სკოლების კურიკულუმის ორგანიზების რეფორმას განვიხილავთ, თუ ერთი კონკრეტული ინსტიტუტის წინაშე მდგარ პრობლემებს, ნებისმიერი კურიკულუმის ორგანიზება და მიწოდება გულისხმობს, რომ ზოგადი პოლიტიკა უკვე ფორმულირებულია და რომ ფორმულირების პროცესში გათვალისწინებულ იქნა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოცემული კურიკულუმის პრაქტიკაში გატარება და შეფასება

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ნაწილის შესავალში, დაგეგმვა, პრაქტიკაში გატარება და შეფასება განიხილება კურიკულუმის პროცესის არა სამ განცალკევებულ ფაზად, არამედ ერთი პროცესის სამ ინტერაქტიულ ასპექტად.

1. 2. ვის ეხება ორგანიზება და მიწოდება?

კურიკულუმის ორგანიზებასა და მიწოდებაში ჩართულნი არიან ექსპერტთა კომიტეტები, ადმინისტრატორები, გამომცდელები, მასწავლებელთა ტრენერები, მთავარი მასწავლებლები, უფროსი მასწავლებლები, ავტორები, ინსპექტორები და მრავალი სხვა ადამიანი. ბოლო ათი წელი მოწმეა განათლების ყველა სექტორში პროფესიონალიზმის ზრდისა და შესაბამისად ენის სწავლების პროგრამების შესრულებაში პროფესიონალთა ზრდისა და შესაბამისად ენის სწავლების პროგრამების შესრულებაში პროფესიონალთა მზარდი რაოდენობისა. ეს პოტენციური გაუმჯობესება განპირობებულია საერთო მიზნით, რომელიც დაისახა პროფესიონალებს შორის არსებული ეფექტური და პროდუქტიული კომუნიკაციით. ყოველი ახალი პროფესია (მასალების ავტორები, მასწავლებელთა ტრენერები, აკადემიური მმართველები, გამომცდელები, ხარისხის მაკონტროლებლები, ა.შ) თავდაპირველად თვითდამკვიდრებას ახდენდა ან ჯერ კიდევ ამ პროცესშია. თანაც, ყოველ საგანმანათლებლო სექტორში არსებული მიზნები და შეზღუდვები უნიკალურია და ამიტომ თითოეულ სექტორს საკუთარი ექსპერტები ჰყავს.

დემოგრაფიული ტენდენციები, ფართო პოლიტიკური და საგანმანათლებლო მიზნები, კურიკულუმში, როგორც ერთ მთლიანობაში, ენების როლი, რესურსები მომზადებული მასწავლებლების თვალსაზრისით, დროის ფაქტორი და ინფრასტრუქტურა, ვაჭრობისა და მრეწველობის, ისევე როგორც შემსწავლელისა და მასწავლებლის მოთხოვნები სრულიად განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, დაწყებით სკოლებს, ზრდასრულთა განათლებას თუ საშუალო ან მესამე საგანმანათლებლო სექტორს განვიხილავთ.

სანამ ხელს მოვკიდებთ რომელიმე კურიკულუმის პროექტს, საჭიროა როლებსა და ფუნქციებს დოკუმენტური სახე მიეცეს ისევე, როგორც ზოგად კომპეტენციებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს მათი შესრულება. *კომპეტენციები უზრუნველყოფს* ჩარჩოს ასეთ ჩამოყალიბებისათვის.

1. 3. კომპეტენციები, როგორც პირობითი ნიშნების სისტემა

ენობრივი განათლების მიცემა შეიძლება აღწერილი და მართული იქნეს სხვადასხვა კუთხით. მასწავლებელთა ტრენერებს არ ამოძრავებთ იგივე ინტერესები, რაც ცხრილების მომზადებაში, მასალების შერჩევასა თუ ტესტირებაში ჩართულ ადამიანებს. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი კურიკულუმში ცვლილებების ან ნოვაციების შეტანისას, არის საფრთხე, რომ ამ პროცესში მონაწილე პარტნიორებს შორის შეიძლება იყოს პაექრობა, ან უკეთეს შემთხვევაში, ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ, მაგრამ სხვებმა ვერ შესძლონ მათი გაგება. პროგრამების ინტერპრეტირება და შესრულება სხვადასხვა პარტნიორების მიერ არამდგრადია.

კომპეტენციები უზრუნველყოფს მრავალმხრივ სტანდარტებს კურიკულუმის პროცესში მონაწილე ყველა პარტნიორისათვის. როგორც ასეთი, იგი უშვებს ისეთ სიტუაციის არსებობას, სადაც შესაძლებელია პასუხისმგებლობის სფეროების დანაწილება, პროცესში მონაწილე პარტნიორების შემხეობის ფარგლების განსაზღვრა და ზოგადი მიზნების ერთობლივად ფორმულირება. ამგვარად, თეორიულად მაინც, შესაძლებელია ზემოთ აღწერილი გამჭვირვალებისა და თანამიმდევრულობის პრინციპების დაცვა.

1. 4. ცვლილების მართვა ან მისთვის თავის გართმევა

კურიკულუმის ორგანიზება, პრაქტიკაში გატარება და მიწოდება გულისხმობს ცვლილებებს, რასაც ყოველთვის თან ახლავს რისკი, მაგრამ აგრეთვე შანსების შექმნისა და მათგან სარგებლის მიღების შესაძლებლობა. ზოგიერთი ადამიანი ამ პროცესების მესაჭეა და ფაქტიურად, მართავს მათ, ქმნის რა შესაძლებლობებს გაუმჯობესებისათვის და მათი საშუალებით წარმატების მიღწევისათვის, ხოლო ზოგიერთი შემოიფარგლება პასიური როლის შესრულებით, რაც გულისხმობს უბრალოდ თავის გართმევას მოქმედებაში მოყვანილი ნებისმიერი განვითარებისათვის; მაგრამ ადამიანების ორივე კატეგორია დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე:

პარტნიორები / აგენტები

ენის სწავლების ნებისმიერი პროგრამის ორგანიზებასა და მიწოდებაში ჩართულ სხვადასხვა პარტნიორებს ერთნაირად უნდა ესმოდეთ, რა და რატომ საჭიროებს განვითარებას. ერთნაირი უნდა იყოს მათი შეხედულება იმასთან მიმართებაშიც, თუ როგორ უნდა მოხდეს ცვლილება ისე, რომ მისი შედეგები წარმატებული იყოს. თუ პროცესში მონაწილე რამდენიმე პარტნიორიც კი, რომელიც ერთნაირად უკმაყოფილო არ არის სტატუსს ქუო-თი, ეწინააღმდეგება ცვლილებას, ამან შეიძლება თვით ყველაზე უკეთ შედეგინილი პროგრამის დაშლაც კი გამოიწვიოს. თანაც, ენობრივი განათლების მიცემაში მასწავლებლების წამყვანი როლიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს მათი განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობების შექმნას და სტიმულის მოძიებას.

რესურსები

კურიკულუმის შემუშავება, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს ინვესტირებას ადამიანური, ფინანსური და სტრუქტურული რესურსების თვალსაზრისით. მზაობამ და ვალდებულებამ ჯერ კიდევ უნდა შესძლოს ასეთი რესურსების ღირებულების გადაწონვა, ნებისმიერი პროგრამის წარმატებით შესრულების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, მეორე ენის სწავლების ახალი პროგრამა დაწყებით საფეხურზე, წარმატებული ვერ იქნება, თუ მასწავლებელთა ტრენინგის ღირებულების დაფარვა და მხარდაჭერი პერსონალის უზრუნველყოფა მოცემული ხელმძღვანელობის ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებს აღემატება. პროგრამების შედგენასა და მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა ახარისხებდნენ იმ ფინანსურ და სტრუქტურულ რესურსებსაც, რომლებიც საჭიროა წარმატებისათვის.

ცვლილებების მეთოდი / ჩარევის ხარისხი

ვალდებულებისა და რესურსების მსგავსად, მეთოდის შერჩევას ამა თუ იმ პროცესის დაწყებისა და წარმატებით განვითარებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩარევის ხარისხის განსაზღვრა (სად და როგორ შეიძლება მოვახერხოთ საკუთარი შეტყობინების ეფექტურად მიწოდება?) მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: მასალების შერჩევა, მასწავლებელთა ვალდებულების ხარისხი ცალკეული მასალების მიწოდების მხრივ, მოცემული ტესტის შემოტანა-არშემოტანა პროგრამის ბოლოს, მასწავლებელთა მომზადება მოწვეული „ექსპერტების“ თუ ადგილობრივი „კონსულტანტების“ მიერ, მოცემული საგნის / ენისათვის გამოყოფილი საათები იმ დროსთან შედარებით, რომელიც ეთმობა სხვა საგნებს, ა. შ. ამ მხრივ არჩევანი ხშირად ცხადყოფს, თუ როგორ კულტურასა და ტრადიციებს ანიჭებს უპირატესობას მოცემული ხელმძღვანელი, ინსტიტუტი ან სკოლა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი პროცესისათვის უბრალოდ თავის გართმევის ან მისი უბრალოდ მიღების რისკი, საჭიროა არჩევანი ღიად გაკეთდეს, რომ იგი გასაგები და მისაღები იყოს ყველა პარტნიორისათვის.

მომდევნო ნაწილი განიხილავს ხელმისაწვდომ ოფციებს, რომლებიც განსაზღვრავს კურიკულუმის ცვლილების ორგანიზებასა და მიწოდებაში ჩარევის ხარისხს. აგრეთვე, მოცემულია ამ ოფციების მიწოდების *კომპეტენციების* უფლები ვარიანტი.

2. ჩარევის ხარისხი და კომპეტენციების გამოყენება კურიკულუმის ორგანიზებასა და მიწოდებაში

როგორც არ უნდა იყოს კურიკულუმის ორგანიზებასა და მიწოდებაში ჩარევის ხარისხი, ამ პროცესში მონაწილე ყველა პარტნიორს შეუძლია ისარგებლოს *კომპეტენციების* მხარდაჭერით და მის საკონტროლო ფურცლებში, შეჯამებებსა და განსახილველი სფეროს შესახებ შედგენილ სისტემატურ ანგარიშებში მოცემული ინფორმაციით. ეს ნაწილი უზრუნველყოფს *კომპეტენციების* მითითებებს, ჩარევის სხვადასხვა შესაძლო ხარისხის მიხედვით.

2. 1. პროგრამის შედგენა

კომპეტენციების მე-2 თავში ნათქვამია, რომ ენობრივი განათლების მიცემა მოიაზრებს სილაბუსების განსაზღვრას, დავალებებში, თემებში, კომპეტენციებში, ა. შ. ასახული ენის შესწავლის ამოცანების ჩათვლით:

- შემსწავლელის საერთო პიროვნული კომპეტენციების განვითარება (ცოდნა, უნარები, მიდგომები, სწავლის ცოდნა)
- საკომუნიკაციო ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესება;
- ერთი ან რამდენიმე ენობრივი აქტივობის უკეთ შესრულება (რეცეფცია, პროდუცირება, ინტერაქცია და მედიაცია)
- გაუმჯობესება მოცემული სფეროს ფარგლებში (საზოგადოებრივი, პროფესიული, საგანმანათლებლო ან პიროვნული)
- შემსწავლელთა საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და უფრო მეტი დავალებისათვის თავის გართმევის უნარის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება.

* რა სახით აკეთებს უფრო მეტ აქცენტს ცალკეულ სფეროებზე (ენის შესწავლის ამოცანებზე) თქვენი პროგრამა? როგორ განუმარტავთ ამას მასწავლებლებსა და შემსწავლელებს?

კომპეტენციები ადგენს ოფციებს მათთვის, ვინც პასუხისმგებელია გადაწყვეტილებათა მიღებაზე და ენობრივი განათლების ორგანიზებასა და მიწოდებაზე, ენობრივი მრავალფეროვნების ხელშეწყობის საერთო ამოცანის კონტექსტში. ეს გულისხმობს ენის კურსების სასწავლო პროგრამების შესწავლას იმ გზებთან ერთად, რომლებიც უკვე განვლეს შემსწავლელებმა ან რომლებიც შეიძლება სამომავლოდ აირჩიონ, რომ განივითარონ ენობრივი უნარები რამდენიმე ენაში. ასეთმა განხილვამ შეიძლება სხვადასხვანაირი შედეგი გამოიღოს:

- ნებისმიერი ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ენის კურსების პროგრამები უნდა მიგვითითებდეს და ასრულებდეს უზრუნველყოფას განათლების სექტორის დანარჩენ ნაწილში (მოდულარულობა);
- სასურველია საერთაშორისო მასშტაბი (მრავალფეროვნება, მობილურობა);
- აუცილებელია ენის შესწავლის შემოთავაზებული შესაძლებლობები ფართო იყოს (სხვადასხვა ენები, დონეები, ამოცანები და ა.შ)
- ენის შესწავლის ადრინდელი (პოტენციურად, სკოლის ფარგლებს გარეთ) პრაქტიკის აკრედიტაცია.

* თქვენი ინსტიტუტის ენის სწავლებისა და შესწავლის ამოცანები როგორ უთავსდება განათლების სისტემაში ენის სწავლების სხვაგვარ უზრუნველყოფას?

* თქვენი პროგრამა და მისი ამოცანების განაცხადი ზუსტად განსაზღვრავს მობილურობის მასშტაბს? რამდენად მიესადაგება იგი თქვენს შემსწავლელებს?

* უზრუნველყოფს თქვენი პროგრამები შემსწავლელთა მეგზურობას? როგორ?

კომპეტენციების მე-2 თავი გეთავაზობს პარამეტრების ერთობლიობას, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია ენის სწავლების სილაბუსების განხილვა, შედარება და კოორდინირება:

ენის გამოყენება, ენის სწავლასთან ერთად, მოიცავს აქტივობებს, შესრულებულს ადამიანების მიერ, რომლებიც როგორც ინდივიდები და სოციალური აგენტები შეიმუშავენ რიგ კომპეტენციებს, როგორც ზოგად, ისე საკომუნიკაციო ენის კონკრეტულ კომპეტენციებს. ისინი საკუთარ განკარგულებაში არსებულ კომპეტენციებს იყენებენ სხვადასხვა კონტექსტში, განსხვავებულ პირობებსა და განსხვავებული შეზღუდვების ფარგლებში, რომ მონაწილეობა მიიღონ ენობრივ აქტივობებში, რომლებიც მოიცავს ენობრივ პროცესებს, სპეციფიკურ სფეროებში არსებულ თემებთან დაკავშირებული ტექსტების პროდუცირებისა და / ან რეცეფციისათვის. ამასთან, ხდება იმ სტრატეგიების აქტივიზირება, რომლებიც ყველაზე უფრო შესაფერის დავალებების შესრულებისათვის. მონაწილეთა მიერ ამ მოქმედებების მონიტორინგი განაპირობებს აღნიშნული კომპეტენციების გაძლიერებასა და მოდიფიცირებას.

- * როგორ შეიძლება აღიწეროს თქვენი ინსტიტუტის სტანდარტი კომპეტენციების მიხედვით ისე, რომ მიღწეულ იქნეს მობილურობისა და პორტატიულობის მიზნები?
- * რამდენად ედრება თქვენი ინსტიტუტის ენის სწავლების სილაბუსი, იმავე ან სხვა საგანმანათლებლო სექტორში, სხვა ინსტიტუტების სილაბუსებს?

2. 2. მასწავლებლები

ენის კურიკულუმის ორგანიზება და მასში ცვლილებების შეტანა მოითხოვს ამ პროცესში მასწავლებელთა თანამონაწილეობას. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ცვლილების შეტანა ან განვითარების ინიცირება მოცემული ინსტიტუტის სწავლების ორგანოსთან ერთად, დელიკატური საკითხია. მასწავლებლები წარმოადგენდნენ ერთგვარ ძაბრს, რომელშიც მიედინება კურიკულუმი. მასწავლებლები ყოველმხრივ უნდა იცნობდნენ იმ ენის გამოყენებას, რომელსაც ასწავლიან, სასწავლო პროცესების, კურსის მონახაზსა და ლოგიკურ დასაბუთებას, მათ მიერ გამოყენებად მასალებსა და მათი კურსის ფარგლებში მიღებულ შეფასების ფორმას / ფორმებს. აგრეთვე, მათ უნდა შეეძლოთ მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების მიღება და გამოყენება როგორც სწავლებისათვის მზადებისას, ისე ყოველ წუთში – სწავლების პროცესში. მასწავლებლებისათვის წაყენებული ეს მნიშვნელოვანი მოთხოვნა ჩადებულია კომპეტენციების მიდგომაში ენის სწავლებასთან, შესწავლასა და მათში დავალებების როლთან (თავები 6 და 7). მივესალმებით, მკითხველების მიერ კომპეტენციებში მოცემული ოფციების დეტალურად განხილვას.

- * გააჩნია თქვენს ინსტიტუტს გამოკვეთილი, პროფესიული პროფილი მასწავლებლებისათვის?
- * ენის ცოდნის რა მინიმუმი მოეთხოვებათ მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობას იწყებენ თქვენს ინსტიტუტში?
- * როგორ ხდება ამის მონიტორინგი და შეფასება?

ენის მასწავლებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღიარებული კვალიფიკაციის ხელმისაწვდომობა და ზემოთ აღწერილ გადაწყვეტილებათა ტიპებთან მიმართებაში პასუხისმგებლობის დელეგირება, განსხვავდება ცალკეული ინსტიტუტების, ენების, დონეებისა და მასწავლებლების მიხედვით.

ნაკლებად გავრცელებული ენების მასწავლებლებს ხშირად დამოუკიდებლად უწევთ სწავლების დაგეგმვა, შესრულება და შეფასება. ზედა საფეხურზე მასწავლებლები ან ერთ სახელმძღვანელოს იყენებენ, რაც გამოცდისათვის მზადებას ემსახურება ან ზრდასრულთა განათლების შემთხვევაში, სრული თავისუფლებით სარგებლობენ, ე. წ. მეტყველებაში სამეცადინო საათებისათვის მასალებისა და მეთოდების შერჩევის მხრივ. ზოგიერთი ინსტიტუტი უზრუნველყოფს სპეციალურ

პროგრამებს მასწავლებლებისათვის, ხოლო ზოგიერთი ამას ვერ ახერხებს, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ან ასეთ ინვესტიციას ზედმეტად მიიჩნევს. ზოგიერთ მასწავლებელს ეძლევა კოლეგებთან თანამშრომლობის საშუალება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ამ პრაქტიკას არ იზიარებენ.

- * თქვენს ინსტიტუტში რა გზები მოიძებნება მასწავლებელთა პროფესიული განათლებისათვის?
- * თქვენი მასწავლებლები ერთად მუშაობენ თუ დამოუკიდებლად?
- * ახდენთ ამ პროცესის სტიმულირებას?

კომპეტენციები როგორც ფარულად, ისე დაუფარავად, მიზნად ისახავს, ცალკეული ოფციები და არჩევანი გამჭვირვალე და თანამიმდევრული გახადოს. *კომპეტენციების* ფარგლებს მიღმაც კი, მოცემული კურიკულუმის მიწოდება მოითხოვს არა მხოლოდ ენასთან, ენის გამოყენებასთან და შესწავლასთან დაკავშირებით არსებული შეხედულებების, არამედ ენის სწავლებასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და მიდგომების თანამიმდევრულობასაც. იგივე ითქმის მასწავლებლების მიმართაც. მასწავლებელთა განვითარების მიზანი შეიძლება იყოს მათი მომზადება იმისათვის, რომ მათ რაც შეიძლება უფრო ზედმიწევნით გამოიყენონ მოცემული სილაბუსი და გათვალისწინებული მასალები, კონკრეტული განრიგის ფარგლებში. ასეთი განვითარება შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს და სწავლების ოსტატობის არნახულ სიმაღლეებს მიაღწიოს (მაგალითად, სწავლების განხილვა მკაფიოდ განსაზღვრული უნარებისა და იმ ცოდნის ჭრილში, რომელიც განვრცობასა და სრულყოფას მოითხოვს), ან მისი მიზანი შესაძლებელია იყოს მასწავლებლების მკვლევარებად გარდაქმნა საკუთარ საკლასო ოთახებში (მათი სწავლებისა და შემსწავლელების სწავლის მუდმივად შემოწმება და შეფასება).

როცა ახდენთ *კომპეტენციების* მასწავლებელთა განვითარებასთან შესაბამისობის ინტერპრეტირებას, განიხილავთ მას, როგორც: ა) დამატებით დამხმარე საშუალებას იმის განსაზღვრისათვის, თუ რა უნდა ასწავლონ მასწავლებლებმა; ბ) დამატებით დამხმარე საშუალებას სწავლებაში ოსტატურობის მისაღწევად, თუ გ) ინსტრუმენტს მასწავლებლებისათვის, თუკი მათ მკვლევარებად მოვიაზრებთ?

2. 3. სილაბუსებისა და მასალების შექმნა

სილაბუსისა და მასალების შექმნელები დეტალურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ იმ ენის, დავალებების, ტექსტებისა და აქტივობების შერჩევასა და მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომლებიც შემსწავლელებს უნდა წარედგინოს. ჩვეულებრივ, ისინი უზრუნველყოფენ დეტალურ მითითებებს საკლასო და / ან ინდივიდუალური დავალებებისა და აქტივობებისათვის, რომლებიც შემსწავლელების მიერ უნდა შესრულდეს. ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს სწავლის / სწავლების პროცესზე და აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს იმ ვარაუდებს, რომლებიც არსებობს ენის ბუნებასთან, მის გამოყენებასა და ენის სწავლის პროცესთან მიმართებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი ეფუძნება იმ მოსაზრებას, თუ რა ექვემდებარება სწავლებას და რის სწავლის უნარი აქვს მოცემულ ჯგუფს, მოცემული დროის ფარგლებში. როგორც ასეთი, კურიკულუმის განვითარება ხშირად ხდება სილაბუსში ცვლილებების შეტანით და ახალი მასალების გამოყენებით.

კომპეტენციები შეიმუშავებს მრავლისმომცველ მიდგომას ენის გამოყენების განსაზღვრისათვის და უზრუნველყოფს ენის გამოყენებისა და შესწავლის ზოგად მუშა მოდელს, ზემოთ განხილული პარამეტრების ფარგლებში. ამასთან, *კომპეტენციების* მე-4 და მე-5 თავები დეტალურად აღგენს ენის გამოყენების აღწერილობისა და თვითშემსწავლელთა კომპეტენციების კატეგორიებს, მაშინ, როცა მე-7 თავი უფრო დაწვრილებით განიხილავს დავალებების, როგორც ენის გამოყენების გაანალიზებისა და პაკეტებად ფორმირების საშუალებებს, ენის შესწავლისა და სწავლების კონტექსტში. ყველა ეს სფერო გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ენის კურსის შექმნაში, უზრუნველყოფს რა საფუძველს ენის სასწავლო მასალების ანალიზისა და განვითარებისათვის.

ენის სასწავლო მასალების ანალიზისა და განვითარების საფუძვლად გამოყენება, მოიაზრებს ენის შესწავლისა და სწავლების პროცესსაც. *კომპეტენციების* მე-6 თავი განიხილავს ამ საკითხებს და მოუწოდებს პრაქტიკოსებს საკუთარი ვარაუდების ზედმიწევნით წარმოჩენისაკენ.

კომპეტენციების მე-3 თავი ეხება ენობრივი კომპეტენციების დონეების, მათი აღწერილობისა და გამოყენების საკითხებს. დონეების დესკრიპტორები სილაბუსისა და მასალების შემქმნელებს უზრუნველყოფს საყრდენებით. ენობრივი განათლების ორგანიზება და მიცემა მოითხოვს კომპეტენციის იმ დონეების ყურადღებით განხილვას, რომლებიც მოეთხოვებათ შემსწავლელებს ან რომელთა მიღწევაც ნებისმიერი პროგრამის მიზანია.

* ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს თქვენს სილაბუსს და / ან მასალებს, ეხება ენას, მის გამოყენებას, იმას, თუ როგორ სწავლობენ ენას და მიუთითებს თუ არა *კომპეტენციების* დონეთა გამჭვირვალე სკალებზე?

* თუ ეს ასეა, თანამიმდევრულია იგი ზოგადი კურიკულუმის მიერ შერჩეული მიდგომისა?

2. 4. შემსწავლელის მხარდაჭერა

ენის შესწავლისას სტუდენტები გაივლიან საგანმანათლებლო სექტორსა და ინსტიტუტს, რომლებიც ენის სწავლებას გვთავაზობენ, მოიპოვებენ სკოლის ფარგლებს გარეთ ენის შესწავლის გამოცდილებასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული კურსის შედგენისა და მასალების შექმნისას, ენის გამოყენების პარამეტრებისა და მეთოდოლოგიური ოფციების დაყოფის გარდა, ენობრივი განათლების მიცემაზე პასუხისმგებლებს უნდა შეეძლოთ „ვერტიკალური განზომილების“ შექმნაც, რომელიც ასახავს აღმავალ დონეებს შემსწავლელის ცოდნის აღწერისათვის. დონეების სკალებზე ენის შესწავლის შესაძლო ამოცანებისა და გზების პროექცია საშუალებას აძლევს შემსწავლელებს გარკვეული წარმოდგენა შეიქმნან იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებენ.

ყველა ინსტიტუტი საკუთარი კურსების ორგანიზებას ახდენს დონეთა მრავალფეროვანი სისტემების მიხედვით. ასეთი სისტემები იგება სასწავლო დროის, სერიული სახელმძღვანელოების, ინსტიტუტში შესასვლელად აუცილებელი ტესტებისა და გარე გამოცდების ირგვლივ. კურსის პროგრამების მსგავსი ორგანიზებაც (მიუხედავად იმისა, რომ იგი არც ძალიან ზედმიწევნითია, მაინც მნიშვნელოვანია შემსწავლელებისათვის მოცემული ინსტიტუტის ფარგლებში). აუცილებელია, რომ შემსწავლელებს, მასწავლებლებსა და მენეჯერებს საორიენტაციო ასპექტები შეთავაზოთ. *კომპეტენციების* მე-3 თავი და დანართები სკალირებასა და დონეებთან მიმართებაში ადგენს მრავლისმომცველ ოფციებს და ამასთან, უზრუნველყოფს ერთგვარ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ინსტიტუტებს შეუძლიათ განიხილონ საკუთარი სკალირება, შემსწავლელთათვის გამჭვირვალე და მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შეთავაზებისათვის.

კომპეტენციები აყალიბებს ოფციებს ცოდნის ამსახველი სკალების განვითარების, ორიენტირებისა და პრეზენტაციისათვის და თან ქმნის შესანიშნავ რესურსს მათთვის, ვინც ახდენს ენობრივი განათლების უზრუნველყოფის ორგანიზებას.

• *კომპეტენციების* მიერ შემოთავაზებული კატეგორიების აღწერის სკალა გამოსადეგია თქვენი შემსწავლელებისათვის?

• იზიარებთ თუ არა *კომპეტენციების* მოსაზრებას, რომ საერთო სკალა ხელსაყრელი იქნება თქვენთვის და თქვენი შემსწავლელებისთვის შემდეგი თვალსაზრისით: ამოცანების დასახვა, სილაბუსების კოორდინირება, ცოდნის შეფასება, შემთხვევით სწავლის შეფასება, ენის ფლობის პროფილების ცნობა ან სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტორებს შორის კომუნიკაცია?

ELP შეიძლება განხილულ იქნეს *კომპეტენციების* ლოგიკურ განვითარებად და მისი ზრუნვა შემსწავლელების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პასუხობს შემსწავლელებზე ორიენტირებულობის, გამჭვირვალობისა და ფლექსიურობის პრინციპებს. ევროპის საბჭოს დირექტივები და მოდელები, რომლებიც ხელმისაწვდომია ELP-ისთვის, წარმოადგენს განათლების მთელი სექტორებისა და ინდივიდუალური ინსტიტუტებისათვის ძირითად ინსტრუმენტს, რომ მოხდეს შემსწავლელების და მასწავლებლების საჭირო დახმარებით უზრუნველყოფა, მათ მიერ ენის შესწავლის კუთხით მოპოვებული მიღწევებისა და გეგმების სქემატიზაციისათვის. ELP როგორც ასეთი, წარმოადგენს ახალ ამოსავალ წერტილს, გეთავაზობს რა ინსტრუმენტს, რომელიც ნებისმიერი სილაბუსისა და მასალების ნაკრებისაგან დამოუკიდებლად, საშუალებას იძლევა, ვაცნობოთ მასწავლებლებსა და შემსწავლელებს მათი სწავლებისა და სწავლის შესახებ, და წავახალისოთ ისინი საკუთარი შეხედულებებისა თუ მიზნების ფორმულირების მიზნით.

მოურგება ELP თქვენი მხრიდან ენის სწავლების უზრუნველყოფას, კურსის დაგეგმვის დონეზე მნიშვნელოვანი ჩარევის, მასწავლებელთა ტრენინგის და / ან სილაბუსის და მასალების შექმნის გარეშე?

2. 5. სწავლისა და სწავლების შეფასება

კომპეტენციები მთლიანობაში და განსაკუთრებით, მე-3 თავი დონეების შესახებ, ირიბად უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების ერთობლიობას. მე-9 თავი განიხილავს შეფასების სხვადასხვა ტიპებს და გეთავაზობს რჩევას და მაგალითებს მათ მეტასისტემაში გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, იგი უხვად უზრუნველყოფს ოფციებს ენობრივი განათლების ორგანიზებისა და მიცემისათვის. მაგალითად, *კომპეტენციების* მე-9 თავში მოცემულია პრობლემების საკმაოდ პრაქტიკული გადაჭრა, რაც გამოიხატება შეფასების პოტენციური კატეგორიების მასის დაყვანაში შემფასებლებისათვის მართვად ინსტრუმენტებად და შემსწავლელებისათვის გამჭვირვალე ზომებად.

აღბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული (და ეფექტური?) გზა ცვლილებების მოსახდენად, კურიკულუმის განვითარების პასუხად, არის ენობრივი მიღწევის შეფასების ასპექტების გადახედვა და მოდერნიზება. შეფასების ასეთი ოფციების აღწერით, *კომპეტენციები* განაპირობებს მკითხველების დაფიქრებას მათ ინსტიტუტებში შეფასების როლზე.

- შეფასების რომელი ტიპები გამოიყენება თქვენს ინსტიტუტში? ვის მიერ?
- რამდენად შეესაბამება შეფასების თქვენეული მეთოდები: ა) თქვენი კურსის ამოცანებსა და ბ) თქვენი შემსწავლელების წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოთხოვნებს?

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოცდებისათვის მზადების შეფასების კომპეტენცია არ უნდა შეიზღუდოს, საჭიროა განხილულ იქნეს კავშირი ინსტიტუტის პროგრამასა და გარე გამოცდებს შორის.

- თქვენი შეფასების სისტემა ითვალისწინებს გამჭვირვალე სტანდარტებს?
- რამდენად სასურველი და / ან შესაძლებელია საზოგადოებრივი გამოცდების სისტემის მისადაგება ზოგად კომპეტენციებთან?

სამუშაო ფურცელი 1

მასალების შერჩევა და გამოყენება

კონტექსტი

შემსწავლელთა მოცემულ კონტინენტში ენის სწავლისადმი უფრო პოზიტიური მიდგომის მიღების მცდელობა, ხშირად მოიაზრებს შემსწავლელებისათვის უფრო შესაფერის და მიმზიდველი მასალების შექმნას. მაგალითად, ზრდასრულები მიიჩნევენ, რომ პატარა ასაკის შემსწავლელთათვის მასალები იქმნება საბავშვო თემების ირგვლივ (როგორცაა, პოპ კულტურა, ურთიერთობები, სპორტი, ა. შ. შესასწავლი კულტურის ჭრილში), მაგრამ სხვა მხრივ, ისინი გამომდინარეობს ტრადიციული სილაბუსებიდან. მასალების კრიტიკულად შესწავლა ხშირად ამუღავნებს იმ ღრმა, დაფარულ მიზეზებს, რომლებიც შემსწავლელებს ამ მასალების შესწავლისათვის საჭირო ენთუზიაზმს უკარგავს. უფრო ზედმიწევნითი კვლევა ცხადყოფს, რომ მასალებში ხშირად მუღავნდება აპათიური მიდგომა შემსწავლელთა ცოდნისადმი, გრძნობებისა და გამოცდილებისადმი, ისე თითქოს ზრდასრულები „ხელით კვებას“ საჭიროებდნენ. ასეთი მიდგომა იკითხება ზემოხსენებულ საბავშვო მასალებშიც, რომლებიც მოტივირებულია ახალგაზრდული კულტურის უდიდამო იმიტაციებით.

კომპეტენციების 6.4.6 პუნქტის გამოყენებით, კრიტიკულად განიხილეთ ვარაუდები შემსწავლელთა სოციოკულტურულ, ეგზისტენციალურ და სასწავლო კომპეტენციასთან დაკავშირებით, რაც საფუძვლად უღვეს თქვენს ინსტიტუტში გამოყენებად მასალებს. მიეწოდებათ შემსწავლელებს კულტურული სტერეოტიპები ან სთხოვენ მათ, თავად გამოიკვლიონ ის კულტურა, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული ენა? შემსწავლელები განიხილებიან საკუთარი ინდივიდუალობის მქონე მცოდნე პარტნიორებად, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ განხილვად საკითხში, თუ მასალები განსაზღვრავს, როგორ უნდა იმოქმედონ მათ და მეგზურობას უწვევს ყოველ ნაბიჯზე?

რა კრიტერიუმებს ჩამოაყალიბებდით და გამოიყენებდით ახალი მასალების შესარჩევად, მათი შემსწავლელებისადმი მიდგომის გათვალისწინებით?

რა დირექტივებს მისცემდით თქვენს მასწავლებლებს, რომ მათ პატივი სცენ შემსწავლელთა ცოდნას, გამოცდილებასა და გრძნობებს და გაითვალისწინონ ისინი მუშობის პროცესში?

სამუშაო ფურცელი 2

სტრატეგიები: დეფინიცია თუ მიწოდება?

კონტექსტი

კომპეტენციების ეს ნაწილი აგრძელებს იმის განსაზღვრას და ილუსტრირებას, თუ რომელი სტრატეგიებია ნაგულისხმევი, აქ მოცემული შემდეგი სქემის მიხედვით:

	დაგეგმვა	შესრულება	მონიტორინგი	შესწორება
პროდუცირება				
რეცეფცია				
ინტერაქცია				
მედიაცია				

კომპეტენციებით მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტრადიციული ოთხი უნარის შემცველი მოდელის განვრცობა ამ ცხრილში მოცემული პარამეტრების ჩართვით, შეიძლება გახდეს ნაყოფიერი დისკუსიების საფუძველი და სტიმული იმ საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და აქტივობების ახლებურად წვდომისათვის, რომლებშიც მონაწილეობენ ჩვენი შემსწავლელები.

დავალება

თქვენ სილაბუსში რამდენად ზედმიწევნითაა განსაზღვრული და გაცხადებული საკომუნიკაციო სტრატეგიები?

სკალირებული დესკრიპტორებისა და ოთხივე კატეგორიის გამოყენებით (პროდუცირება, რეცეფცია, ინტერაქცია და მედიაცია CEF 4.4) გააკეთეთ სასწავლო ამოცანების პროფილის მონახაზი შემსწავლელთა ჯგუფებისათვის, რომლებზეც პასუხისმგებელი ხართ.

კომპეტენციების 7.3.2. პუნქტზე დაყრდნობით, რა რეკომენდაციებს გასცემდით ენის სასწავლო დავალებების შედგენასთან მიმართებაში, რომ მოხდეს თქვენს მიერ ზემოთ აღწერილი ამოცანების მიღწევა?

სამუშაო ფურცელი 3

მასწავლებელთა პროფილები და განვითარება

კონტექსტი

„ჩვეულებრივ, მასწავლებლებს მოეთხოვებათ ნებისმიერი ოფიციალური დირექტივების პატივისცემა, სახელმძღვანელოებისა და კურსის მასალების გამოყენება (მიუხედავად იმისა, შეუძლიათ თუ არა მათი გაანალიზება, შეფასება, შერჩევა ან შევსება), ტესტების შედგენა და ადმინისტრირება და მოსწავლეებისა თუ სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადება. მათ ყოველ წუთში უწევთ გადაწყვეტილებათა მიღება საკლასო აქტივობების შესახებ, რომელთა მომზადებაც, მონახაზის სახით, წინასწარ შეუძლიათ, მაგრამ შემდეგ უწევთ მათი ფლექსიურად ადაპტირება, მოსწავლის / სტუდენტის პასუხებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს მოეთხოვებათ მოსწავლეების / სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და გზების გამოძებნა სასწავლო პრობლემების მიგნების, გაანალიზებისა და დაძლევისათვის, აგრეთვე, მათი ინდივიდუალური სასწავლო შესაძლებლობების განვითარება. მასწავლებლები აუცილებლად უნდა ერკვეოდნენ სასწავლო პროცესებში, მათი დიდი მრავალფეროვნებისა და იმის მიუხედავად, რომ ეს გარკვეულობა შეიძლება იყოს გამოცდილების გაუცნობიერებელი პროდუქტი და არა თეორიული განხილვის მკაფიოდ ფორმულირებული შედეგი, რაც განიხილება იმ წვლილად, რომელიც განათლების სფეროს მკვლევარებმა და მასწავლებელთა ტრენერებმა სწავლაში უნდა შეიტანონ“.

კომპეტენციების 6.3-დან მოხმობილი ეს ციტატა აღწერს თქვენი მასწავლებლებებისათვის წაყენებულ უდიდეს მოთხოვნას.

დავალება

ეს აღწერილობა მიესადაგება თქვენს მასწავლებლებს? ეთანხმებით მის ყველა ასპექტს? თუ არა, რის დამატებაა საჭირო, ან რა არ მიესადაგება თქვენს შემთხვევას?

რა შესაძლებლობები აქვთ თქვენს მასწავლებლებს შემდგომი განვითარებისათვის მოცემულ სფეროში:

- სწავლების უნარები,
- კლასის მართვის უნარები;
- მოქმედებაში კვლევის გამოყენებისა და გამოცდილებაზე დაფიქრების უნარი;
- სწავლის სტილი;
- ტესტირებისა და შეფასების ცოდნა და მათთვის თავის გართმევის უნარი;
- მოცემული ენის სოციოკულტურული განზომილების ცოდნა და მათი სწავლების უნარი;
- კულტურათაშორის მიდგომები და უნარები;
- ლიტერატურის ესთეტიკურად შეფასების ცოდნა და მისი სტუდენტებში განვითარების უნარი;
- ჰეტეროგენულ კლასებში ინდივიდუალიზაციასთან თავის გართმევის უნარი.

თაზო VII

ფრენკ ჰეივორთი

ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი ენის შესწავლასა და სწავლებაში

1. ხარისხთან დაკავშირებული საკითხები ენობრივ განათლებაში

„ის, რასაც ვაკეთებ, სწორია?“ და „სწორად ვაკეთებ?“ – ეს ორი მთავარი კითხვა დაისმის ხარისხთან დაკავშირებული პროცედურების გამოყენებისას, აქტივობის ნებისმიერ სფეროში, ამ თავის პირველ ნაწილში, ეხება რა კურიკულუმის პროექტირებასა და შედგენას, განიხილავს პირველ შეკითხვაში შემავალ საკითხებს – პრინციპებს, რომლებიც მონაწილეობს იმის გადაწყვეტაში, თუ რომელი ენების სწავლება უნდა მოხდეს, რა ასაკში, რა მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. მეორე ნაწილი, ეხება რა ენობრივი განათლების მიცემასა და ორგანიზებას, განიხილავს კურიკულუმის პრაქტიკაში გამოყენებას, „სწორად კეთებას“. *კომპეტენციები უზრუნველყოფს კონცეპტუალურ ბაზას ორივე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად – არა პრესკრიპტიულად, არამედ ოფციების მითითებით, რომელთა შორისაც უნდა გაკეთდეს არჩევანი, ენის სწავლების ბუნებასა და სასწავლო აქტივობებთან მიმართებაში.*

მესამე ნაწილი განიხილავს პროცესებისა და პროცედურების საჭიროებას ხარისხის შესაფასებლად და მათ გამოყენებას როგორც დაგეგმვის, ისე მიწოდების ფაზებში. აღწერილ იქნება ხარისხის უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები; და ენის სწავლების ფარგლებს გარეთ, ხარისხის მართვის ზოგად სფეროზე დაყრდნობით, შესწავლილ იქნება აღნიშნული პროცედურების გამოყენების საკითხი ენის სწავლებაში. ნახევრები იქნება, თუ რამდენად უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი წარმატებულ პრაქტიკას და იმის განსაზღვრას, თუ როდისაა საჭირო ცვლილების გატარება.

ენობრივი განათლების სფეროში აუცილებელია ნათელი და თანამიმდევრული წარმოდგენის შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ „რა არის სწორი“. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის პროცედურებიც, რომელთა მეშვეობითაც გამოწმობთ თუ „აკეთებთ სწორად“. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრ სხვა საკითხთან ერთად, უნდა განვიხილოთ შემდეგიც:

- რა კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომ კურიკულუმით გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ფაქტორები?
- რა ნიმუშების მიხედვით უნდა შეფასდეს სწავლების / სასწავლო აქტივობების ხარისხი?
- რა პროცესების მეშვეობით ხდება სწავლების / სწავლის დაგეგმვის, ორგანიზება და მიცემა?
- როგორ ხდება აღნიშნული ნიმუშებისა და პროცესების აღწერა და მიწოდება ისე, რომ მონაწილეებისათვის ისინი გასაგები იყოს და მათ შეეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა ამ ნიმუშებისა და პროცესების განსაზღვრასა და განვითარებაში?

- სასწავლო აქტივობებში მონაწილეებს – მასწავლებლებს, შემსწავლელებს, ადმინისტრატორებს, მშობლებს, ა. შ. – რა ვალდებულებები გააჩნიათ ხარისხთან მიმართებაში?
- რა პროცედურებია საჭირო სწავლების სასწავლო აქტივობების სამეთვალყურეოდ და უკუკავშირის მისაღებად?
- რა პროცედურებია გათვალისწინებული ხარისხის კონტროლისათვის? ვინ ასრულებს მათ? როგორ უნდა მოხდეს ხარისხის კონტროლის შედეგების გამოყენება დაგეგმვისა და მიწოდების პროცესებში?

მსგავსი საკითხების განხილვისათვის საჭიროა, შევისწავლოთ ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის პროცედურების გამოყენება, ზოგადად, სწავლებაში და კონკრეტულად, ენობრივ განათლებაში, და შევადაროთ ისინი სხვა სფეროში არსებულ გავრცელებულ მიდგომებს. ეს შეიძლება გეთავაზობდეს სხვადასხვა მიდგომების გამოყენებას ენის სწავლებასა და სასწავლო აქტივობებში.

1. 1. ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი ზოგადად

კონცეფციები და მეთოდები, რომლებიც საფუძვლად დაედო ხარისხთან დაკავშირებულ პროცედურებს, განვითარდა, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ინდუსტრიულ გარემოში, მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში. მიზანს წარმოადგენდა პროდუქციების პროცესების ეფექტურობის გაზრდა, შეცდომების შემცირებით – ერთ-ერთი ლოზუნგი იყო „არავითარი ტოლერანტობა შეცდომასთან მიმართებაში“ – და მაღალი, სტანდარტის შესაბამისი ხარისხის საქონლის წარმოება. ამ მიზნის მისაღწევად, შემუშავებულ იქნა ცალკეული პროცედურები და პრინციპები:

– მზა პროდუქტისა და მისი შემადგენელი ნაწილების დანიშნულების გაანალიზების მოთხოვნა;

– კომპონენტების ყურადღებით შექმნა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება;

– გასაგები სტანდარტები მზა პროდუქციების დანიშნულებასთან მიმართებაში.

გაცნობიერებულ იქნა, რომ ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის გზით შეუძლებელი იყო. იაპონია ხაზს უსვამდა, რომ პროდუქციების ხარისხზე პასუხს აგებდა მწარმოებელი და არა გარეშე ინსპექტორი და რომ გუნდური პრინციპით მუშაობა უკეთესი იქნებოდა, რადგან შესაძლებელი გახდებოდა შრომის ფლექსიურად და საზრიანად ორგანიზება. პატარა გუნდებს სტიმული მიეცა წინადადებებისა და ხარისხთან დაკავშირებული ინიციატივების უზრუნველსაყოფად, რომ მომხდარიყო სასურველი მიდგომისა და დამოკიდებულების ხელშეწყობა. შეცდომების გასწორება ძვირ და დროის მფლანგველ სიამოვნებად მიიჩნეოდა და ამიტომ მიზანს წარმოადგენდა შეცდომების ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა.

ხარისხის მართვის კონცეფცია უკავშირდება როგორც მომსახურების უზრუნველყოფას, ისე საქონლის წარმოებას. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურება ისე ხელშესახები ვერ იქნება, როგორც საქონელი, შემოტანილ იქნა მომხმარებლის დაკმაყოფილების იდეა და მოხდა ხარისხის მასთან დაკავშირება – გამოყენებული იყო ასეთი ლოზუნგები, როგორცაა „ხარისხი გულისხმობს მომხმარებლის მოლოდინის გამართლებას“ და „ხარისხი გულისხმობს მომხმარებლის მოლოდინის გადაჭარბებას“. მომსახურების უზრუნველყოფისას მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული კონტრაქტი შეფარდებითია და მომსახურების ხარისხი ხშირად განისაზღვრება პირობით, რომელიც აღნიშნულია საგარანტიო ფურცელზე. მაგალითად, რკინიგზა პირობას იძლევა, რომ თუ მატარებელი არ ჩამოვა დადგენილ დროს X წუთების ფარგლებში, მგზავრებს დაუბრუნდებათ ბილეთის ღირებულების ნაწილი; ან სასტუმროების ქსელის შემთხვევაში, მოცემულია გარანტიები მომსახურების ტიპებსა და სიჩქარესთან მიმართებაში. მომსახურების მნიშვნელოვანი ელემენტი არის შეთავაზების გასაგებად ჩამოყალიბება – „თქვით, რას აკეთებთ / გააკეთეთ ის, რასაც ამბობთ“.

ხარისხის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ასპექტია წარმოებასა და მომსახურებაში და ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციების მართვაში. პროცედურები იყოფა „ხარისხის უზრუნველყოფად“ –

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას მაღალი ხარისხის საქონლის წარმოებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად; და „ხარისხის კონტროლად“ – პროცედურები, რომლებიც გულისხმობს შემოწმებას, შეპირებული ხარისხის მისაღწევად. ხარისხის უზრუნველყოფის იდეა განიხილა საზოგადოებრივ სფეროშიც. მაგალითად, მთავრობები ადგენენ სპეციფიკურ სტანდარტებს ჯანდაცვისა თუ განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ასევე, ადგილი ჰქონდა შრომითი ურთიერთობების განსაზღვრის მცდელობასაც იმ თვალსაზრისით, რომ მათზე ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის დაკმაყოფილების ფაქტორი. ორგანიზაციაში მოღვაწე ყოველ ადამიანს საკუთარი მომხმარებლები ჰყავს, შიდა ან გარე, რომელთა მოთხოვნებიც უნდა დააკმაყოფილოს, ხოლო მიმწოდებლები, უზრუნველყოფენ რა მომსახურებას, საშუალებას აძლევენ ადამიანებს, ეფექტურად შეასრულონ საკუთარი დავალებები.

როგორც, ზოგადად, ისე კონკრეტულ აქტივობასთან მიმართებაში სტანდარტების დასადგენად მრავალი ორგანიზაცია შეიქმნა. ისინი აკონტროლებენ ამ სტანდარტების ვალიდურობასაც. საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციას (ISO) გააჩნია მთელი რიგი ნორმები, მაგალითად, ISO 9000 ემსახურება წარმოების სფეროს და ამასთან სხვადასხვა ტიპის სკოლებსაც. ISO-ს სერტიფიცირება ამოწმებს სათანადო პროცედურების ჩატარებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხთან მიმართებაში სტანდარტების გამოყენება, თუმცა თვით პროდუცირებისა და მომსახურების ხარისხს არ განიხილავს. საგანმანათლებლო კონტექსტში, ISO გააკონტროლებს პროცედურებს სწავლების ხარისხის მეთვალყურეობასა და შეფასებაზე, მაგრამ არანაირად არ შეაფასებს თვით საკლასო ოთახში ჩატარებული სამუშაოს ხარისხს.

აქტივობის მრავალ სფეროში კარგად ათვისებულნი არიან კონცეფციას ხარისხის შესახებ. ეს, განსაკუთრებით, ეხება იმ სფეროებს, სადაც ხდება პროდუცირების ან მომსახურების უზრუნველყოფა სახელმწიფო თუ კომერციული საწარმოების მიერ, ენის შესწავლა და სწავლებაც შეგვიძლია განვიხილოთ ხარისხის, მისი შეფასებისა და კონტროლის ასპექტში.

პაუზა დაფიქრებისათვის

დაუფიქრდით თქვენს ყოველდღიურ ტრანზაქციებსა და აქტივობებს.

რა კრიტერიუმებს მიმართავთ პროდუცირებისა და მომსახურების ხარისხის შესაფასებლად?

1. 2. ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლი საგანმანათლებლო კონტექსტებში

სახელმწიფო განათლებაში ხარისხის მართვა, ჩვეულებრივ, არაზედმიწევნით და ხშირად, არასისტემატურ ხასიათს ატარებს. ბევრ ქვეყანაში ხარისხის კონტროლზე პასუხს აგებდნენ განათლების სამინისტროს ინსპექტორები, რომელთა მოვალეობაში შედიოდა არა მხოლოდ სკოლების ინსპექტირება, არამედ აკრედიტაცია; ზოგიერთ ქვეყანაში ინსპექტორებს ევალებოდათ მასწავლებლებზე მეთვალყურეობა და მათი შეფასება, რაც ზეგავლენას ახდენდა მასწავლებელთა ხელფასსა და კარიერაზე. ბოლო წლებში ინსპექტორები, ძირითადად, შემოიფარგლებიან სკოლებისათვის რჩევის მიცემით და კარგი პრაქტიკის ხელშეწყობით. კონტროლი და სანქციები მათ კომპეტენციაში აღარ შედის.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებიც ძალზე განსხვავდებოდა. ჩვეულებრივ, ნაკლებ მეთვალყურეობას ექვემდებარებოდა სწავლება და მასწავლებლები მარტო მუშაობდნენ, გაივლიდნენ რა აპრობირებას. ზოგიერთ სკოლაში კლასებზე მეთვალყურეობას აწარმოებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან არსებობს ურთიერთმეთვალყურეობის სისტემა, მაგრამ ეს პრაქტიკა განზოგადებული არ არის და უფრო გავრცელებულია კერძო განათლებაში და არა სახელმწიფო სისტემაში.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ბოლო წლებში მომეტებულად დაიწყო ზრუნვა იმ მხრივ, რომ სკოლები ექვემდებარებოდნენ სტანდარტებს და პასუხს აგებდნენ ხარისხზე. ზოგიერთ ქვეყანაში სკოლებმა შექმნეს სასკოლო პროგრამები – განაცხადები საკუთარ

მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებზე, რამდენიმე ინსტიტუტმა შესძლო ISO 9001 სერთიფიკატის მოპოვებაც.

ენის კერძო სკოლები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ კონკურენტუნარიანი მოსწავლეები ჰყავდეთ და ამიტომაც, მნიშვნელოვნად განავითარეს ინსპექტირების სქემები, კარგი პრაქტიკის კონტროლისა და აკრედიტებისათვის. ბრიტანეთის საბჭო ახდენს ინგლისური ენის ადმინისტრირებას ბრიტანეთის სააკრედიტაციო სისტემაში და მეტოვალეურობს როგორც კერძო, ისე განათლების შემდგომ საფეხურზე არსებულ ინსტიტუტებს. არსებობს რამდენიმე ეროვნული ასოციაცია, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფას აკრედიტების გზით და გასცემს ხარისხის დამადასტურებელ სერთიფიკატებს სკოლებისათვის. SOUFFLE-საფრანგეთში, IQDeutsch-გერმანიაში; CELE-ესპანეთში, QUEST-რუმინეთში აღნიშნული ინიციატივის რამდენიმე მაგალითია. EAQUALS-ს (ენის ხარისხის სამსახურის ევროპული ასოციაცია) გააჩნია ინსპექტირების სისტემა, რომლის სამოქმედო კოდექსიც ითვალისწინებს ქარტიების გაცემას შემსწავლელებისათვის, პერსონალისათვის და საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის. მან აკრედიტაცია მისცა სკოლებს თერთმეტ სახელმწიფოში, მრავალ ენასთან მიმართებაში.

1. 3. ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლის გამოყენება ენის სწავლებასა და შესწავლაში

ჩვენი მიზანი არ არის ინდუსტრიულ და კომერციულ კონტექსტებში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მოდელების მთლიანად გამოყენება საგანმანათლებლო აქტივობებში. არც ის გვინდა, რომ ენის სწავლებაში მიზნების მიღწევა მომხმარებელთა დაკმაყოფილების მარტივი კრიტერიუმების მიხედვით ხდებოდეს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სხვა სფეროების მსგავსად, ენობრივი განათლებაც მომხმარებელთა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. საუბარია, ზოგადად, შემსწავლელებზე, მშობლებზე, დასაქმებულებზე როგორც სახელმწიფო განათლების, ისე კერძო სექტორის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ურიგო არ იქნება, გავითვალისწინოთ ენის სწავლების ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება და შევაფასოთ, რამდენად შესაძლებელი ან შეუძლებელია მისი გამოყენება.

ენის შესწავლა და სწავლება კომპლექსური მოვლენებია და შეუძლებელია მათთან მიმართებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთი რომელიმე მარტივი მოდელის გამოყენება. შესწავლისა და სწავლების პროცესებზე ზეგავლენას ახდენს შემსწავლელთა და მასწავლებელთა ინდივიდუალურობა და მათ შორის არსებული ურთიერთობები. შინაარსი და სადისკუსიო თემები განისაზღვრება მათ ირგვლივ სამყაროში მიმდინარე მოვლენებით. მიუხედავად ამისა, საჭიროა მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნად დასახვა და იმ კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვითაც მოხდება სწავლების / სწავლის ხარისხის შეფასება. ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კრიტერიუმების დადგენისას, მოიცავს:

- სასკოლო სისტემის საფუძველში არსებულ საბაზო განათლების პრინციპებსა და მრწამსს.

არსებობს თუ არა კონსენსუსი ენის სწავლებისა და შესწავლის მიზნებთან მიმართებაში? *კომპეტენციები* შეგნებულად არიდებს თავს პრესკრიპტიულობას – „ჩვენი მიზანი არ არის ვუკარნახოთ პრაქტიკოსებს, რა და როგორ აკეთონ...“, მაგრამ იმავდროულად, აყალიბებს პრინციპების ფართო სპექტრს. *კომპეტენციები* „მხარდაჭერას უცხადებს იმ მეთოდებს, რომლებიც ეხმარება შემსწავლელებს საჭირო მიდგომების, ცოდნისა და უნარების შექენაში, რომ მოიპოვონ მეტი დამოუკიდებლობა აზროვნებასა და მოქმედებაში, და უფრო მეტი პასუხისმგებლობა და კოოპერაციულობა გამოამჟღავნონ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში“.

ნორის, ლასნიერი, მორფელი, ბორნეტო და სპასი ნაშრომში „გზამკვლევი ხარისხის უზრუნველსაყოფად ენის პროგრამების შეფასებასა და შედგენაში“ გთავაზობენ შემდეგ პრინციპებს ხარისხთან მიმართებით:

პრინციპები	ქვეპრინციპები
მართებულობა	შემსწავლელზე კონცენტრირება, პასუხისმგებლობა, შესაბამისობა
გამჭვირვალობა	მიზნების სიცხადე სიცხადე მათ მიღწევასთან მიმართებაში პრეზენტაციის სიცხადე ლოგიკური დასაბუთების სიცხადე
საიმედოობა	მდგრადობა შიდა თანამიმდევრულობა მეთოდოლოგიური ერთიანობა ენობრივი ერთიანობა პრაქტიკულობა
მიმზიდველობა	ადვილად გასაგები ინტერაქტიულობა მრავალფეროვნება მგრძობელობა
ფლექსიურობა	ინდივიდუალიზაცია ადაპტირების უნარი
გენერაციულობა (განაპირობებს სწავლა შემდგომ სწავლას ან განვითარებას?)	ტრანსფერულობა ინტეგრაცია კოგნიტური განვითარება
მონაწილეობა	ჩართულობა პირადი ინტერესი პარტნიორობა
ეფექტურობა	ღირებულების ეფექტურობა ერგონომია
სოციალიზირება	სოციალური უნარები, კულტურათაშორის გათვიცნობიერებულობა

- ენის სწავლებისა და შესწავლის ორგანიზების პროცესზე ორიენტირებული მოდელი
 არსებობს გასაგებად შედგენილი კურიკულუმი დონეების ასევე გასაგები დესკრიპტორებით? გამოიყენება იგი შესაფერის რესურსებთან ერთად? არსებობს სათანადო შეფასება შემსწავლელთა ჯგუფებში გადასანაწილებლად, პროგრესისა და მიღწევის განსაზღვრისათვის? არსებობს სისტემები სწავლების მეთვალყურეობისათვის და შემსწავლელებისაგან საპასუხო ინფორმაციის მისაღებად, რომ შესაძლებელი გახდეს პროცესის ეფექტურობის მონიტორინგი?
- სწავლება / სწავლა მომხმარებელზე კონცენტრირებით
 ეს შეხედულება მოიცავს როგორც შემსწავლელთა მიერ ნასწავლი ენის გამოყენების ვარიანტების, ისე იმის გაანალიზებას, თუ როგორია მათი სასწავლო მოთხოვნები და რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას. იგი ასევე განიხილავს ენობრივი განათლების სისტემის სხვა „მეწილეებსაც“ – მშობლებს, პოტენციურ დამსაქმებლებს, საზოგადოების მოთხოვნებს, ა. შ. ეს სისტემა გამოიყენებს ისეთ პროცედურებსაც, როგორცაა კითხვები და აქცენტირებული ჯგუფები, რომ დაადგინოს, რამდენად კმაყოფილი არიან მომხმარებლები სასწავლო აქტივობებით.
- სწავლების / სწავლის პროცესში ჩართული ადამიანური რესურსების მართვაზე კონცენტრირებული კრიტერიუმები
 არსებობს მასწავლებელთა ტრენინგისა და განვითარებისათვის სათანადო შესაძლებლობები? არსებობს საშუალებები ურთიერთმეთვალყურეობისათვის ან სწავლების პროცესზე დასაფიქრებლად? ხელმისაწვდომია სათანადო რესურსები?
- სწავლების / სასწავლო აქტივობების შედეგების შეფასება
 დასახულია ამოცანები პროგრესსა და მიღწევასთან მიმართებაში? მიღწეულია ეს ამოცანები? საჯარო გამოცდების შედეგები დამაკმაყოფილებელია?

ინსტიტუტებს, რომლებიც მონაწილეობენ ენის სწავლებაში მოუწვეთ ასეთი ფაქტორების გათვალისწინება, რომ განსაზღვრონ საკუთარი სისწორის შესაფასებელი კრიტერიუმები და საკუთარი თავისათვის დადგენილი სტანდარტები.

პაუზა დაფიქრებისათვის	
პირდაპირ თუ ირიბად, რა მოდელს / მოდელებს იყენებთ თქვენს ინსტიტუტში ენობრივი განათლების ხარისხის შესაფასებლად?	
შესაფერისია ეს მოდელი?	რა სტანდარტებს იყენებთ?
მომხმარებელთა დაკმაყოფილება	
საგანმანათლებლო პრინციპები	
პროცესის ეფექტურად მართვა	
შედეგების შეფასება	
აქცენტი ადამიანურ რესურსებზე	

1. 4. ენის სწავლებაში ხარისხის უზრუნველყოფის გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფით ვგულისხმობთ იმ ნაბიჯების გადადგმას, რაც განაპირობებს მაღალი დონის სტანდარტების დადგენასა და დაკმაყოფილებას. სტანდარტების შენარჩუნების კონტროლი ხარისხის კონტროლის სფეროა.

„თქვით, რას აკეთებთ“

გამჭვირვალობა და თანამიმდევრულობა სტანდარტების დადგენის ძირითადი მახასიათებელია. ეროვნული კურიკულუმის დონეზე ის მოიაზრებს, რომ მიზანი და ენობრივი განათლების შინაარსი, მათი ორგანიზების გზებთან ერთად, გაცხადებული და ხელმისაწვდომი იქნება; ანუ საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ენების სწავლება უნდა მოხდეს, რა ასაკში და რა მიზნებიდან გამომდინარე. უნდა განისაზღვროს დონე, რომლის მიღწევაა საჭირო სასკოლო სისტემის ერთი ნაწილიდან მომდევნოზე გადასასვლელად და მისი შეფასების საშუალებები. მიღებული გადაწყვეტილებები კეთილგონივრული რომ იყოს, უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მშობლების სურვილებს, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და ენობრივი ექსპერტების მოთხოვნებს. ასევე, საჭირო იქნება შესასრულებელი ამოცანების განსაზღვრა და არარეალური მოლოდინების თავიდან აცილება. *კომპეტენციები* განსაკუთრებული მნიშვნელობის ინსტრუმენტი იქნება; ამოცანათა განსაზღვრა ენის სწავლებისათვის, გარკვეულ ეტაპზე, უნდა მოიცავდეს იმ დონის განცხადებას, რომლის მიღწევაა დასახული. „ჩვენი ერთ-ერთი მიზანია პარტნიორების დახმარება ცოდნის დონის აღწერაში, რასაც ითხოვს არსებული სტანდარტები, ტესტები და გამოცდები, რომ უფრო ადვილი გახდეს კვალიფიკაციის სხვადასხვა სისტემების შედარება. ამ მიზნით შეიქმნა დესკრიპციული სქემა და ზოგადი კომპეტენციების დონეები. უზრუნველყოფილია კონცეპტუალური ტაბულა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები შესძლებენ საკუთარი სისტემის აღწერას“ (*კომპეტენციები*)

ენის სწავლების კუთხით ეს გულისხმობს, რომ კურიკულუმები არამარტო უნდა არსებობდეს, არამედ ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემსწავლელებისა და მასწავლებლებისათვის და მათ დასრულებული სახე უნდა მისცეს სილაბუსებმა, სამუშაო სქემებმა, ყოველკვირეულმა გეგმებმა, ა. შ. დონეების მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გასაგები დესკრიპტორები უზრუნველყოფს საჭირო ჩარჩოს ამოცანების დასახვისა და პროგრესის შეფასებისათვის.

როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ინსტიტუტები თავიანთი კომპეტენციების წარდგენისათვის, ცდილობენ გააკეთონ საჯარო განცხადებები საკუთარ საგანმანათლებლო პრინციპებზე და იმ პირობებზე, რომლებსაც მომხმარებლებს აძლევენ. საჯარო განცხადება შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ფორმით, ეროვნული კურიკუ-

ღუმების და ა. შ. მრავალ დონეზე, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის არსებითი ნაწილი არის ის, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ხილული განცხადება.

გთავაზობთ ნაწყვეტს სტუდენტური ქარტიდან:

<p>ორგანიზაციის წევრები ემხრობიან შემდეგ სტუდენტურ ქარტიას:</p> <p>ყველა სკოლა უზრუნველყოფს: სწავლების და განათლების მაღალი დონის სტანდარტებს პროფესიულ ხელმძღვანელობასა და ინტეგრაციას რეგულარულ ხელმძღვანელობასა და ინტეგრაციას რეგულარულ დამოუკიდებელ ინსპექტირებას სტანდარტების შენარჩუნების-ისათვის ინფორმაციის სიზუსტეს, სარწმუნოებასა და საჯაროობას ეფექტურ ადმინისტრირებასა და დამხმარე მომსახურებებს სათანადო პირობებსა და საშუალებებს ენის შესწავლისათვის ზედმიწვევით ტესტირებას ენის კომპეტენციის განსაზღვრისათვის სტრუქტურულად სხვადასხვა კურსს, რომელიც იყოფა დონეებად და მიესადაგება სტუდენტების მოთხოვნებს. სწავლების შესაფერის და ეფექტურ მეთოდებს სათანადო, რეგულარულ შეფასებას, რაპორტებს, კურსის ბოლოს შეფასებას სერტიფიკატისათვის გამოცდილ და კომპეტენტურ მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ მენეჯერის ზედამხედველობის ქვეშ სწავლების რეგულარულ მეთვალყურეობას სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაციისა და რჩევის მიღების შესაძლებლობებს.</p>

პაუზა დაფიქრებისათვის	
როგორ ატყობინებს თქვენი ინსტიტუტი საკუთარ სტანდარტებს ხარისხთან მიმართებაში შემსწავლელებსა და სხვა მონაწილეებს?	
ქარტიით ან გარანტიით	
გამოქვეყნებული სასკოლო პროგრამებით ან გეგმებით	
კურიკულუმით	
არცერთი მათგანით	
როგორ ფიქრობთ, სტუდენტურ ქარტიაში მოცემული პირობები მიესადაგება თქვენს სასწავლო გარემოს? რას დაუმატებდით ან ამოიღებდით ამ ქარტიდან?	

სტანდარტები – სტანდარტების დადგენა შეუძლებელია მხოლოდ ინსტიტუტის სტანდარტების საფუძველზე. აუცილებელია მათი განხილვა უფრო ზოგადი გარემოს კონტექსტში. *სტანდარტები* არის მიდგომა, რომელიც ცდილობს „საუკეთესო პრაქტიკის“ იდენტიფიცირებას – სხვა ინსტიტუტში, რომელიც იგივე საქმიანობას ეწევა, სხვა კონტექსტებში და ამ სტანდარტების საზომად, გამოყენებას იმ საქმიანობასთან მიმართებაში, რომელსაც მოცემული ინსტიტუტი ეწევა. მაგალითად, სკოლამ შეიძლება მიზნად დაისახოს საჯარო გამოცდებზე ისეთი შედეგების მიღწევა, რომელსაც აღწევენ სხვა წარმატებული სკოლები – ადგილობრივი გარემოსა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

„გააკეთეთ ის, რასაც ამბობთ“

სტანდარტების ცნობების გამჭვირვალე სისტემა ლოგიკური შედეგი არის აღნიშნული სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად სისტემების შექმნა. სკოლის გარემოში ამისათვის, რამდენიმე მიდგომა არსებობს.

– *თვითშეფასება* – ინსტიტუტისათვის სასარგებლოა დროდადრო თვითშეფასების პროცესის გაეღა. ჯერ ინდივიდუალურად, ხოლო შემდეგ ჯგუფებში, სტრუქტურ-იზებული კითხვარებისა და საკონტროლო ფურცლის გამოყენებით შესაძლებელია გაირკვეს ხდება თუ არა სტანდარტების გამოყენება და შენარჩუნება. მაგალითად, მასწავლებლებისა და ხელმძღვანელობის, ისევე როგორც სკოლებისა და მათი შემსწავლელების აღქმა ხშირად განსხვავებულია, ამიტომ ურიგო არ იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მეწილეს ჰქონდეს თვითშეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. გთავაზობთ ნაწევრებს მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვებიდან:

კურსის დაგეგმვა (მასწავლებლები)

9. რა ინსტრუმენტებს იყენებთ კურსის დაგეგმვისათვის:

10. არსებობს კურიკულუმი ან პროგრამა?

დიახ, არა

კომენტარი

11. გაქვთ მისი ასლი ან იცით, სად შეიძლება მისი მიღება?

დიახ, არა

კომენტარი

12. იყენებთ მას, როცა სწავლებას გეგმავთ?

დიახ, არა

კომენტარი

13. ღებულობთ საკამრის ინფორმაციას თქვენს გაკვეთილებზე, მათ დაწყებამდე?

14. საერთოდ, სტუდენტების მოლოდინები კურსის შინაარსთან მიმართებაში რეალისტურია?

დიახ, არა

კომენტარი

15. საერთოდ, სტუდენტების მოლოდინი გამოყენებად სასწავლო მეთოდებთან მიმართებაში რეალისტურია?

დიახ, არა

კომენტარი

და ნაწევრებს ენის სკოლის შემსწავლელთა კითხვარებიდან:

1. სამი რამ რაც მოგწონთ ამ სკოლაში?

2. ადვილი იყო ამ სკოლაზე ინფორმაციის მიღება და ჩარიცხვა?

3. შესაძლებელია თქვენთვის სასურველი კურსის თქვენთვის მოსახერხებელ დროს გაეღა?

4. ამართლებს სკოლა თქვენს მოლოდინს (მაგალითად, გამოყენებადი სასწავლო მასალები, სხვა სტუდენტები ა.შ)?

5. რა არის განსხვავებული?

6. არსებობს თუ არა ისეთი რამე, რაც ახლა იცით და გინდათ გცოდნოდათ სკოლაში ჩარიცხვამდე (მაგალითად, როგორი გამოცდებია?)

7 ა) როცა მოხვედით, ადვილად გაიკვლიეთ გზა სკოლაში?

ბ) რამ გაგიადვილათ ეს?

გ) თუ იყო ადვილი, რატომ?

8. ადვილია ინფორმაციის მიღება?

* პერსონალისაგან?

- * წერილობითი დოკუმენტაციიდან?
- * განცხადებათა დაფიქსირება – რომლებს ათვალისწინებთ რეგულარულად?
- 9. პერსონალი მეგობრული და ადვილად მისადგომია?
- 10. იცით, როგორ უნდა მოიქცეთ (ან სად უნდა გაარკვიოთ, როგორ უნდა მოიქცეთ), თუ თქვენ:
 - * დარდობთ, რომ პროგრესს ვერ აღწევთ?
 - * გამოცდის ჩაბარება გინდათ?
 - * მეცადინეობის დროის შეცვლა გინდათ?
 - * სხვა კურსზე ჩაწერა გინდათ?
 - * კითხვა გაგიჩნდათ კურსის გადასახადების შესახებ?
 - * საჩივარი გაქვთ?
 - * განგაშის ზარი გაიკეთა?
- 11. იცით, რა შეიძლება მოხდეს, თუ
 - * გამუდმებით იგვიანებთ მეცადინეობაზე?
 - * რამდენიმე მეცადინეობა გააცდინეთ წინასწარი გაფრთხილების გარეშე?
 თუ სტუდენტებმა, ზოგადად იციან პასუხები ამ შეკითხვებზე, ჰკითხეთ მათ, როგორ მოიძიეს ეს პასუხები (მაგალითად, წერილობითი ინფორმაცია, პირველ დღეს ითქვა, ა. შ)
- 12. როგორ ფიქრობთ, პირობები და საკლასო ოთახები შესაფერისია თქვენი მეცადინეობებისათვის? (მაგალითად, საკმარისად დიდია, სათანადოდ აღჭურვილი, ა. შ)
- 13. რას ურჩევდით სკოლას?

ხარისხის უზრუნველყოფა, შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის მონაწილეობის გარეშე, რომელთაც ეს ეხებათ და ამიტომ რეგულარული თვითშეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება სტანდარტების შესანარჩუნებლად სისტემების შექმნაში. ყველაფერი რომ დალაგდეს, პრობლემებისა და იმის გაცნობიერებას, თუ როგორ ხდება სასწავლო აქტივობების აღქმა, დასრულებული სახე უნდა მისცეს პროცედურებმა. სწავლება სკოლების წამყვანი აქტივობაა და აქედან გამომდინარე, აუცილებელია სისტემების არსებობა სწავლების აქტივობების რეგულარული მეთვალყურეობისათვის. მეთვალყურეობა ხშირად ერევათ ინსპექტირებასა და სანქციებში, მაგრამ არსებობს გზები მისი ორგანიზებისათვის, რაც მეთვალყურეობას უფრო კონსტრუქციულსა და პოზიტიურს გახდის:

ურთიერთმეთვალყურეობა – მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ ერთმანეთის მეცადინეობებს. ამის ორგანიზება შეიძლება მონიტორინგის სისტემის ფარგლებში, სადაც უფრო გამოცდილი მასწავლებელი დახმარებითა და რჩევით უზრუნველყოფს თავის ნაკლებად გამოცდილ კოლეგას ან არსებობს მასწავლებელთა ტანდემი, რომელიც გულისხმობს ორი მასწავლებლის ერთობლივ, კოოპერაციულ მუშაობას ექვსი თვის განმავლობაში. ურთიერთმეთვალყურეობა უკეთეს შედეგს იძლევა თუ იგი ემსახურება ინფორმაციის უზრუნველყოფას და არა შეფასებას. შესაძლებელია შეიქმნას საკონტროლო ფურცლები, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება სწავლების სპეციფიკური სფეროს მეთვალყურეობის ფარგლები – კლასის წევრების მონაწილეობა, მასწავლებლის / შემსწავლელის სასაუბრო დროის მოცულობა, ა. შ. ურთიერთმეთვალყურეობა საჭიროებს დროის სწორად განაწილებას, რომ მასწავლებლებმა მოიცალონ მეთვალყურეობისათვის.

მეთვალყურეობა მასწავლებელთა ტრენერის მხრიდან, რომელიც უზრუნველყოფს რჩევასა და ტრენინგს და დროს უთმობს სწავლების უნარების განვითარებას.

ვიდეო გაკვეთილების მეთვალყურეობა ტრენინგის დროს საკმაოდ გამოსადეგია, რადგან შესაძლებელს ხდის ტექნიკაზე კონცენტრირებისას; ხდება გაკვეთილების ცალკეული ნაწილების კრებულად გამოცემა ან გაკვეთილების ვიდეოგადაღება. მას შემდეგ, რაც ეს გაკეთდება, კარგი იქნება, მასწავლებელს, რომელსაც ეხება ეს საკითხი, საშუალება მიეცეს აირჩიოს და რედაქტირება გაუკეთოს იმ მასალას, რომლის ჩვენებაც სურს კოლეგებისათვის.

მეთვალყურეობა აკადემიური მენეჯერის მხრიდან, რომელიც პასუხისმგებელია სწავლების სტანდარტებზე, ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებელი ნაწილია. სტან-

დარტები სამეთვალყურეო პროცედურებისათვის, ჩვეულებრივ, მოიცავს წინასწარ შეტყობინებას მეთვალყურეობაზე, საკონტროლო ფურცელს, რომელსაც წინასწარ ნახულობს ამ საკითხთან ურთიერთობაში მყოფი მასწავლებელი და შემდეგ, საკმარის დროს სისტემატური უკუკავშირისათვის.

სისტემატური მეთვალყურეობა განაპირობებს უწყვეტ მუშაობას სტანდარტების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. მან შეიძლება მიგვიყვანოს იმის გაცნობიერებამდეც, რომ საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები, ცვლილებების გასატარებლად ან გაუმჯობესების მისაღწევად. ამას მოჰყვება პროექტების განვითარება, თანამდევნი ტრენინგით კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. სკოლებში ხშირად ეწინააღმდეგებიან ცვლილებას და ამიტომ, პროექტი, რომელიც ამ ცვლილებას ითვალისწინებს, სათანადოდ უნდა იყოს ორგანიზებული, ხოლო ცვლილებების ღირებულება – შეფასებული.

ცვლილებების ღირებულებაში, რა თქმა უნდა, მოიაზრება არა მხოლოდ ფული, არამედ ძალისხმევა, რესურსების გამოყენება და ა. შ. ინსტიტუტი, რომელიც ეტაპობრივად მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფას, უნდა მივაკუთვნოთ ისეთი რიგებს, რომლებიც ყოველთვის სწავლასა და უკეთესის ძიებაში არიან. მუდმივად ცვალებად მდგომარეობაში ყოფნა სახიფათოა, მეორე მხრივ, სასარგებლოა ისეთი რამის დადასტურება და გამყარება, რაც უკვე კარგად გაკეთებულია. შესაძლო პროცედურა ასეთია:

- გადაამოწმეთ, რას აკეთებთ
- ყველაფერი კარგადაა?
- თუ ეს ასეა, დაადასტურეთ
- თუ არა, მიმართეთ ნოვაციას.

კარგი პრაქტიკის დადასტურება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნოვაციის ფაზა.

ევროპის კომისიის გზამკვლევი ენის ხარისხიანად სწავლისა და სწავლების პროგრამებისა და მასალების შეფასებისა და შექმნისათვის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს სამ ფაზად ჰყოფს: შექმნა, შესრულება, შედეგი და უზრუნველყოფს საკონტროლო ფურცლების სერიას როგორც ნაბეჭდი სახით, ისე ინტერაქტიულად ჩ-ლომ-ზე, რომ პრაქტიკა შეაფასოს კარგ პრაქტიკაზე განაცხადების მიხედვით.

პაუზა დაფიქრებისათვის

რა ღონისძიებებს მიმართავს თქვენი ინსტიტუტი:

- სწავლების აქტივობების სამეთვალყურეოდ?
- ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლების დასახმარებლად?
- რეგულარული მიმოხილვისათვის ორგანიზებული თვითშეფასებით?
- პროექტების საშუალებით ნოვატორობისათვის?
- კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგზე კონცენტრირებისათვის?
- პრაქტიკის შესადარებლად საუკეთესო პრაქტიკასთან?

1. 5. ხარისხის კონტროლის გამოყენება ენის სწავლებაში.

განსხვავება ხარისხის კონტროლსა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის იმაში გამოიხატება, რომ პირველი უფრო ხშირად აქცენტს აკეთებს ხარისხის გარე შეფასებაზე და ასევე ხშირად დაკავშირებულია ინსტიტუტების აკრედიტებასთან ან კურსების ვალიდაციასთან. თუმცა, არსებობს ხარისხის კონტროლის შიდა ინსტრუმენტებიც. შემსწავლელებისაგან საპასუხო ინფორმაციის რეგულარულად და სისტემატიურად მიღებისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტები ხშირად მოიცავს კითხვარებს, რომელთა შევსება უნდა მოხდეს კურსის მსვლელობისას ან სწავლების ციკლის შემდეგ. ისინი განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ გამოყენება ხდება დროის გარკვეულ პერიოდში და მათში მოცემულია შეკითხვები, რომლებიც შეიძლება სტატისტიკურად იქნეს გაანალიზებული, რომ მივიღოთ შედარებითი ანგარის გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე. მიღებული ინფორმაცია უფრო თავისუფალი და ხარისხიანი იქნება, თუ აქცენტირებული ჯგუფის რამდენიმე შემსწავლელს სთხოვენ დეტალურ ანგარიშს საკუთარ შეხედულებებზე ინსტიტუტსა და კურსებთან მიმართებაში. ინსტიტუციონალურ დონეზე, ხარისხის გარე კონტროლის ძირითადი

ინსტრუმენტი, ნებით თუ ძალდატანებით, იქნება აუდიტისა და ინსპექტირების სისტემების გამოყენება. ეს, ჩვეულებრივ, გულისხმობს გარე აუდიტორების ვიზიტს, ინსტიტუტის აქტივობების დეტალური შესწავლისა და სათანადო ანგარიშს შედგენისათვის, რაც განაპირობებს უკვე არსებული აკრედიტაციის შენარჩუნებას ან მის რეკომენდაციას. ინსპექტირების კარგი სისტემების მიზანია გამჭვირვალობა და თანამიმდევრულობა, საკუთარი განხილვის დაფუძნება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სტანდარტებზე და ინსტიტუტის მიერ გაცხადებულ მიზნებსა და ამოცანებზე. ეს სისტემები იყენებს საკონტროლო ნუსხებსა და შეთანხმებულ გზებს იმის გადამოწმებისათვის, თუ რამდენად შენარჩუნებულია სტანდარტები. გთავაზობთ ნაწყვეტს ასეთი ჩარჩოდან:

პრაქტიკის კოდი	მოთხოვნილი სტანდარტი	მტკიცებულების საფუძველი
1.5.1 (ა) სწავლებისა და განათლების მაღალი სტანდარტები	* ჯანსაღი პედაგოგიური მიდგომის მკაფიოდ ჩამოყალიბებული წერილობითი მტკიცებულება (რომელიც გასაგებია ინსპექტორისათვის, კონტექსტის მიხედვით) რომელსაც იცნობენ როგორც სტუდენტები, ისე პერსონალი	=> გაკვეთილის მეთვალყურეობა, დოკუმენტების (მაგალითად, კურიკულუმის) განხილვა მასწავლებლებთან ერთად, აქცენტირებული ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან
1.5.1 (ი) სწავლების სათანადო და ეფექტური მეთოდები	* გაკვეთილების ეფექტური ორგანიზება, წერილობითი და / ან ჩანაწერებით, ლოგიკური მიმდინარეობა, სადაც სტუდენტებს ესმით, რას აკეთებენ და როგორ დაეხმარება ეს მათ სწავლაში; * მასწავლებლების უნარი გამოიყენონ სწავლების მრავალფეროვანი ტექნიკა და ანაწილად სტუდენტები სხვადასხვა მუშა ჯგუფებში (ინდივიდუალური, წვილები, ჯგუფები) წარადგინონ ინფორმაცია, უზრუნველყონ მხარდაჭერა და ეფექტურად და გასაგებად შეიტანონ ცვლილებები აქტივობაში; * ყურადღება გამახვილდება როგორც ცალკეული სტუდენტების, ისე მთლიანი ჯგუფის მოთხოვნებსა და ინტერესებზე, მაგალითად, ჯგუფის ფარგლებში სხვადასხვა მოთხოვნების ისე დაკმაყოფილება, რომ ამან ზეგავლენა არ მოახდინოს ჯგუფის მუშაობაზე; * სწავლების სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, მისი ჯგუფის დონესთან, ტიპთან, ასაკთან და გაკვეთილების მიზნებთან მისადაგებით: სახელმძღვანელოები, დაფა, აუდიო კასეტები, ტექსტები ა. შ; * სწავლაში მიღწევების მოპოვება ყველა ან სტუდენტების უმრავლესობის მიერ; * სტუდენტების დაკმაყოფილების, დაინტერესების, ჩართულობის, მონაწილეობის კარგი ხარისხი	=> სამუშაო სქემები (მაგალითად, გაკვეთილების ერთოვიანი გეგმა, რომელსაც ზედამხედველობის აკადემიური მენეჯერი და რომელიც თავსდება კლასის განცხადებების დაფაზე) და გაკვეთილების ჩანაწერები => გაკვეთილების გეგმა, გაკვეთილების მეთვალყურეობა, მასწავლებლებთან ერთად განხილვა, აქცენტირებული ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან; => გაკვეთილები მეთვალყურეობა, აქცენტირებული ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან, ცალკეული სტუდენტების აკადემიური მოსწრების აღრიცხვა => გაკვეთილების გეგმები, გაკვეთილის მეთვალყურეობა, ხარისხის შესაბამისობისა და მასწავლებლებთან რესურსების სპექტრის მიმოხილვა => გაკვეთილის მეთვალყურეობა, აქცენტირებული ჯგუფების შეხვედრა სტუდენტებთან, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ჩანაწერები და რაპორტები => საპასუხო ინფორმაციის სისტემები და ჩანაწერები, აქცენტირებული ჯგუფების შეხვედრა სტუდენტებთან, გაკვეთილის მეთვალყურეობა

კერძო და რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო სექტორებშიც, აუდიტის მიერ აკრედიტება გულისხმობს ინსტიტუტისათვის ბეჭდის ან იარაღის მიცემას, რაც მოწმობს, რომ მისი მომსახურების ხარისხი კონტროლირებული და იურიდიულად დამოწმებულია.

ხარისხის კონტროლის პროცედურები გამოიყენება ენობრივი განათლების სხვა სფეროებშიც: ALTE-მ (ენაში გამომცდელთა ევროპის ასოციაცია) შეიმუშავა სამოქმედო

კოდექსი საჯარო გამოცდებისათვის და ამჟამად მუშაობს ტესტებისა და გამოცდების კონსტრუქციისა და დონების შესაბამისობაში მოყვანის საკითხებზე.

ხარისხის კონტროლი გამოიყენება პროექტების მართვაშიც და პროექტების შეფასებისათვის შემუშავებულ იქნა კრიტერიუმები. გთავაზობთ მაგალითს პროექტების მართვასთან მიმართებაში არსებული ერთ-ერთი მიდგომიდან:

მოცემული სტანდარტები საგანმანათლებლო პროექტების შეფასებისათვის შემუშავებულია ჩარლზ ალდერსონის მიერ:

პროექტის სტრუქტურა	მიღწევების ინდიკატორები	როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორების რაოდენობის განსაზღვრა ან შეფასება	მნიშვნელოვანი ვარაუდები
უფრო მასშტაბური როგორცაა ეროვნული დონის – უფრო მასშტაბური პრობლემებიდან, რომელთა გადაწყვეტაში დაგეხმარებათ ეს პროექტი?	რაოდენობრივი ან ხარისხობრივი შეფასების რა გზები შეიძლება იქნეს გამოყენებული იმის შესაფასებლად, მიღწეულია თუ არა უფრო ფართო ამოცანები?	ინფორმაციის რა წყაროები არსებობს ან შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი შედარებით მცირე დანახარჯით.	რა გარე ფაქტორებია საჭირო, რომ პროექტის უშუალო ამოცანებით წვლილი შევიტანოთ უფრო ფართო ამოცანებში?
უშუალო ამოცანები – რა ეფექტის მოხდენაა განზრახული მიზნობრივ ჯგუფებზე ან ინსტიტუტზე? რა გაუმჯობესებას ან ცვლილებას მოახდენს ეს პროექტი?	რაოდენობრივი ან ხარისხობრივი შეფასების რა გზებით შეიძლება განისაზღვროს მიღებული ეფექტი და სარგებელი და მათი განაწილება?	ინფორმაციის რა წყაროები არსებობს ან შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი შედარებით მცირე დანახარჯით?	პროექტის კონტროლს მიღმა არსებულმა რა ფაქტორებმა (მაგალითად, პერსონალისა და რესურსების ხელმისაწვდომობა) შეიძლება განაპირობოს უშუალო ამოცანების მიღწევის შეზღუდვა?
პროდუქტი როგორი უნდა იყოს (ტიპი, რაოდენობა, როდისთვის), რომ შესაძლებელი გახდეს უშუალო ამოცანების მიღწევა? (მაგალითად, ახალი კურიკულუმის ჩადება პრაქტიკაში, მომზადებული კადრი)		ინფორმაციის რა წყაროები არსებობს?	რომელი გარე ფაქტორების გაცნობიერებაა საჭირო, რომ მივიღოთ ის პროდუქტი, რაც გეგმითაა გათვალისწინებული?
მიწოდება რა მასალების, აღჭურვილობის ან მომსახურების (მომზადებული კადრი ან ა.შ) უზრუნველყოფაა საჭირო და რა ხარჯის გაღებით, დროის რა პერიოდში, ვის მიერ?		ინფორმაციის რა წყაროები არსებობს?	პროექტის ხელმძღვანელების კონტროლის ფარგლებს მიღმა რა გადაწყვეტილებათა მიღებაა საჭირო პროექტის ბოლომდე მისაყვანად?

პაუზა დაფიქრებისათვის ხარისხის კონტროლის რა სისტემებს იყენებს თქვენი ინსტიტუტი?	
მახასიათებელი	როგორ გამოიყენება
ინსტიტუტის გარე ინსპექტირება? იძლევა იგი აკრედიტაციას ან ხარისხის აღმნიშვნელ იარაღს?	კრიტერიუმები გასაგებია?
	საკონტროლო ფურცლებში აღნიშნულია ის, რის მეთვალყურეობაც უნდა მოხდეს?
ხდება შიდა და გარე გამოცდების შემოწება	

იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს ისინი სტანდარტებს, ხარისხთან მიმართებაში?	
ხდება რა პროექტების შესრულებაზე ვალდებულებების აღება, არსებობს სისტემები ხარისხის კონტროლირებისათვის?	რა კრიტერიუმები გამოიყენება? რამდენად აღქმადია ისინი პროექტის დასაწყისშივე?

2. კომპეტენციების შესაბამისობა ხარისხის შესახებ არსებულ საკითხებთან.

ევროპის საბჭოს *კომპეტენციები უზრუნველყოფს* ენის შესწავლისა და სწავლების თანამიმდევრულ და ამომწურავ აღწერას, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ხარისხის გასაუმჯობესებლად შემდეგი კუთხით:

2. 1. შემსწავლელთა მოთხოვნების გაანალიზება და ამოცანების დასახვა.

გამჭვირვალე სისტემას, რომელიც აღწევს მიზანს, შინაარსსა და დონეებს, არსებითი მნიშვნელობა აქვს სტანდარტების დადგენისა და შეფასებისათვის. თავი 3 ეხება სკალირებასა და დონეებს და შეისწავლის შემსწავლელის ცოდნის აღწერილობასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი აღწერს, თუ რა სირთულეებს უკავშირდება დონეთა დეკრიპტორების შექმნა, რომლებიც ცხადყოფს ამ დონეებს შორის სხვაობას, შემსწავლელებისა და სხვა მომხმარებელთათვის გასაგებად და პოზიტიური წვლილი შეაქვს სასწავლო პროცესში. ნაჩვენებია სხვაობა შემსწავლელებისათვის, დამსაქმებლებისა და მიღწეული დონის სხვა შემფასებლებისათვის, შექმნილ მომხმარებელზე ორიენტირებულ სკალებს – ისინი ცხადყოფს, რის კეთება შეუძლია შემსწავლელს. – და შემფასებელზე ორიენტირებულ სკალებს შორის, რომლებიც მეგზურობას უწევს შემფასებელს და გვიჩვენებს, რამდენად კარგად ართმევს თავს შემსწავლელი სწავლას. ეს თავი განიხილავს საკითხს დონეების ოპტიმალური რაოდენობის შესახებ, სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ შესაძლებელია სკალების გასაგები, საზრიანი და შეფასებადი დესკრიპტორების შექმნა და შემოთავაზებულია ზოგადი კომპეტენციების დონეები, რომლებიც განსაზღვრავს დამწყებ, დამოუკიდებელ და კვალიფიციურ მომხმარებლებს და მომხმარებელთა თითოეულ კატეგორიას ჰყოფს ორ დონედ.

კომპეტენციების განახლებული ვერსიის მე-4 თავი გვაწვდის ამომწურავ ანგარიშს ენის გამოყენებასა და ენის შემსწავლელთა მოთხოვნაზე. მოთხოვნათა გაანალიზებისათვის განსაკუთრებით გამოსადეგია დიაგრამა 4.1, რომელიც ეხება ენის გამოყენების კონტექსტს და უზრუნველყოფს კატეგორიებს, რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელია აღიწეროს, როგორ იყენებენ შემსწავლელები ენას და როგორ შეუძლიათ მათ სასწავლო ამოცანების დასახვა. კონცეფციები სფეროებზე – პიროვნული, საზოგადოებრივი, პროფესიული, საგანმანათლებლო – და ადგილის, ინსტიტუტის, ადამიანის, საგნის, მოვლენის, ქმედებისა და ტექსტის დესკრიპტიული კატეგორიები უზრუნველყოფს სტანდარტებს კითხვარების შესადგენად, მოთხოვნათა გაანალიზებისა და შედეგების განსაზღვრისათვის.

პუნქტი 4.3 აღწერს საკომუნიკაციო დავალებებსა და მიზნებს და ამომწურავ ანგარიშს გვაწვდის ენობრივი კომპეტენციის სხვადასხვა დონეებზე არსებული საკომუნიკაციო დავალებების შესახებ.

პუნქტი 4.5 აღწერს საკომუნიკაციო ენობრივ პროცესებს და პროდუცირების, რეცეფციის, ინტერაქციისა და მედიაციის სამ ძირითად პროცესს. პუნქტი 5.1 ეხება ზოგად კომპეტენციებს, რომლებსაც საჭიროებს ენის შემსწავლელი.

<p>პაუზა დაფიქრებისათვის</p> <p><i>კომპეტენციების</i> დონეების დესკრიპტორები უზრუნველყოფს სათანადო ბაზას შემსწავლელთა ამოცანების განსაზღვრისათვის და სტანდარტებს – მათი მოთხოვნების შეფასებისათვის?</p>

ექვემოთხსენიებული საკმარისი პროგრესის საჩვენებლად სასწავლო კურსის განმავლობაში, თუ კიდევ საჭიროა დონეების დამატება?

2. 2. მაღალი დონის ენის კურსების შექმნა

ჩვეულებრივ, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები მოითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ კომპონენტების შედგენას, რომლებიც ქმნის პროდუქტს, ან აქტივობას, ხოლო ენის სწავლის შემთხვევაში, საჭიროა ამომწურავი მიდგომის ჩამოყალიბება კურიკულუმის შედგენასთან მიმართებაში. *კომპეტენციები* უზრუნველყოფს გასათვალისწინებელი კატეგორიების ყოველსომომცველ აღწერას. *კომპეტენციების* მე-2 თავი აქცენტს აკეთებს მოქმედებაზე ორიენტირებულ კატეგორიებზე, რომლებიც მონაწილეობს ენის გამოყენებასა და ენის შესწავლაში. *კომპეტენციები* განსაზღვრავს ენის გამოყენების ხუთ ძირითად მახასიათებელს – სპეციფიკური ენობრივი აქტივობა, ტექსტი, სფერო, სტრატეგია და დაგეგმვა (განხილულია თავებში 4 და 7) – რომლებიც უკავშირდება ენის შესწავლას და გადამწვევტა ენის სწავლების აქტივობათა კომპონენტების დეფინიციისათვის.

კომპეტენციები განასხვავებს კომპეტენციებსაც – ეგზისტენციალური კომპეტენცია (savoir-être), დეკლარაციული ცოდნა (savoir), უნარები და ნოუ-ჰაუ (savoir-faire)

კომპეტენციები 5.2 ახდენს ზოგადი კომპეტენციების შემდგომ დეფინიციას და განსაზღვრავს:

- ენობრივი კომპეტენციის კომპონენტებს (ლექსიკური, გრამატიკული, მორფოლოგიური, სემანტიკური, ფონოლოგიური)
- სოციოლინგვისტური კომპეტენციის კომპონენტებს (სოციალური მარკერები, თავაზიანობის პირობითობა, დიალექტი და აქცენტი);
- პრაგმატული კომპეტენციის კომპონენტებს (მეტყველება, ფუნქციონალური და სქემატური აგების კომპეტენცია)

კომპეტენციები 4.4 განიხილავს სტრატეგიებსა და სტრატეგიულ კომპეტენციას ოთხი ძირითადი კატეგორიის მიხედვით;

- რეცეფცია;
- პროდუცირება;
- ინტერაქცია;
- მედიაცია;

ყოველი მათგანი მოიცავს ოთხ ძირითად პროცესს – დაგეგმვა, შესრულება, შეფასება და შესწორება

კომპეტენციების მე-8 თავი ეხება კურიკულუმის შედგენის უფრო პოლიტიკურ ელემენტებს და სვამს ასეთ შეკითხვებს:

- კომპეტენციის რა დონის მიღწევა უნდა წარმოადგენდეს მიზანს?
- რა იგულისხმება მრავალენოვნებაში (პლურილინგვურობაში)?
- როდის უზრუნველყოფს ნაწილობრივი კომპეტენციები ენის სასწავლო პროგრამებისათვის სათანადო ამოცანებს?
- როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს სხვადასხვა ენების სწავლა?
- რამდენად შესაძლებელია პროფილებისა და პორტფოლიოების დახმარებით ენის სწავლისთვის უფრო მეტი მოტივაციის უზრუნველყოფა და შექმნილი ენობრივი უნარებისა და ცოდნის პორტატიულობის ხელშეწყობა?

მე-8 თავი განსაკუთრებით გამოსადეგია მათთვის, ვინც ადგენს კურიკულუმს სახელმწიფო სასკოლო სისტემის კონტექსტში.

კომპეტენციების მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 თავებში მოცემული ანალიზი და დესკრიფცია უზრუნველყოფს მთელ რიგ დირექტივებსა და ინსტრუმენტებს, რაც ენის სწავლებისათვის საჭირო კომპლექსური პროცესების დეტალური დეფინიციის საშუალებას იძლევა. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საფუძველს ისეთი

კურიკულუმების შესადგენად, რომლებიც აკმაყოფილებს მაღალი დონის სტანდარტებს ხარისხთან მიმართებაში და რომელთა მიზნებიც გამჭვირვალე და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია.

2. 3. სწავლების პროცესების წარმართვა

კომპეტენციების მე-6 თავი ეხება ენის შესწავლისა და სწავლების პროცესებს. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სწავლასა და დაუფლებას და მიგვითითებს, რომ სწავლის პროცესი მოიაზრებს კომპეტენციების სწავლასაც და დაუფლებასაც და იმ უნარის განვითარებას, რომელიც გულისხმობს „ამ კონპეტენციების პრაქტიკულად გამოყენებას, სასაუბრო ფრაზების / წერილობითი ტექსტების პროდუცირებაში / რეცეფციაში, მნიშვნელობის გადმოცემისა და გაგების, აგრეთვე, კონტექსტის მიხედვით ინტერპრეტირებისა და საკომუნიკაციო აქტივობებში მონაწილეობის მიზნით“. 6.5-ში გამოკვეთილია თეორიები „იმახთან მიმართებაში, თუ როგორ ხდება ენის შესწავლა – მათ შორის დებატები იმახთან დაკავშირებით, არის თუ არა ენის სწავლა ადამიანის რამდენადმე თანდაყოლილი ინფორმაციის დამუშავების აქტივობა, რომელიც საჭიროებს მხოლოდ ენასთან ურთიერთობას, თუ საჭიროა სწავლება და მეცადინეობა ამ პროცესის დაჩქარებისათვის. განხილულია გაცნობიერებული სწავლისა და სტრუქტურული პრაქტიკის მნიშვნელობაც.

ცხადია, სხვა სფეროში ხარისხთან დაკავშირებული კრიტერიუმების ანალოგია უფრო მისადაგებულად გამოიყენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხდება ისეთი სასწავლო პროგრამების შედგენა, რომლებიც ხელს უწყობს ენის სწავლის პროდუქტიულობას. პუნქტი 6.7 აღწერს მეთოდოლოგიურ ოფციებს თანამედროვე ენების შესწავლისა და სწავლებისათვის. ერთი მხრივ, იგი შეისწავლის ზოგად მიდგომებს, მათ შორის სწავლებაში მხოლოდ შესასწავლი ენის ან შემსწავლელის პირველი ენისა და შესასწავლი ენების კომბინირებულად გამოყენებას, და მეორე მხრივ, ენის შესწავლისა და სწავლების პროცესების სპეციფიკურ ასპექტებს. ისინი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ტექსტები
- დავალებები და აქტივობები
- მასწავლებლების, შემსწავლელებისა და საშუალებების როლი
- ზოგადი კომპეტენციები
- ენობრივი კომპეტენციები
- სოციოლინგვისტური კომპეტენციები
- პრაგმატული კომპეტენციები
- სტრატეგიები

ყოველი მათგანი აღწერს მოცემულ სფეროში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომ ოფციებს და პარამეტრებს, რომლებიც განსაზღვრავს სწავლების / სასწავლო პროცესის წარმატებას ან წარუმატებლობას.

პუნქტი 6.5 სპეციფიკურად უდგება შეცდომებს და სხვადასხვა ოფციებს, რომლებიც ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის, როგორც ინსტრუმენტები შეცდომების გასწორებისა და სწავლის ხელშეწყობისათვის.

კომპეტენციების მე-6 თავი წარმოადგენს საკმაოდ გამოსადეგ გზამკვლევს სწავლების პროცესებსა და მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ოფციებთან მიმართებაში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ დესკრიპტორებსა და კატეგორიებთან, რომლებიც განსაზღვრავს მოთხოვნათა გაანალიზებასა და კომპონენტების შედგენას. თუმცა, იგი არ იძლევა ზედმიწევნით დირექტივებს იმახთან დაკავშირებით თუ რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა ოფციების თანამიმდევრულ პროცესში კომბინირება – *კომპეტენციების* მიზანი არ არის პრესკრიპტიულობა – და სწავლების / სასწავლო პროცესებში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელთა მოუწვევთ საკუთარი ოფციების შერჩევა სპეციფიკურ სფეროებში, აგრეთვე, მრავალფეროვანი პროცესების ერთიან და ფლექსიურ მიდგომად გარდაქმნა. ეს საჭიროებს ცხად კრიტერიუმებს სწავლების ხარისხის აღწერისა და შეფასებისათვის.

პაუზა დაფიქრებისათვის ხდება თუ არა თქვენს ინსტიტუტში კომპეტენციების (გარდა ენობრივი კომპეტენციებისა) სწავლება / შესწავლა?	
კომპეტენცია	როგორ არის უზრუნველყოფილი?
სოციოლინგვისტური	
კულტურათაშორის	
სტრატეგიული კომპეტენციები	
პრაგმატული კომპეტენციები	
როგორ ფიქრობთ, ენის გამოყენების დაყოფას პროდუცირებად, რეცეფციად, ინტერაქციად და მედიაციად აქვს უპირატესობები ტრადიციულ დაყოფასთან შედარებით, რაც გულისხმობს მოსმენას, მეტყველებას, კითხვასა და წერას?	
გააჩნია ინსტიტუტს რაიმე სტრატეგია მიღებისა და გაცემის, და დაუფლებისა და სტრუქტურული სწავლების შესაძლებლობის ბალანსთან მიმართებით?	

2. 4. სასწავლო / სწავლების პროგრამების შედეგების შეფასება

შეფასება ხარისხთან დაკავშირებით ციკლის ბოლო ელემენტი. გასათვალისწინებელი მოთხოვნები გაანალიზებულია; კომპონენტები განსაზღვრული და დადგენილია; ისინი გამოიყენება თანამიმდევრულ, გამჭვირვალე პროცესში. ახლა გასარკვევია, მუშაობს თუ არა მთელი ეს პროცესი. ისწავლეს შემსწავლელებმა ის, რის ცოდნაც სჭირდებათ? შესძლეს საკუთარი ცოდნის გამოყენება? პროცესი ეკონომიური იყო დროისა და რესურსების თვალსაზრისით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, გვესაჭიროება შეფასების კრიტერიუმები და ინსტრუმენტები – მის შესასრულებლად.

მე-9 თავი ეხება შეფასებას და დაწვრილებით აღწერს სხვადასხვა ოფციებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ენის სასწავლო აქტივობების განვითარებისათვის, იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ნორმებზე და კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასებას, ტესტირებას მიღწევებისა და ცოდნის დასადგენად, ფორმაციულ და შემაჯამებელ შეფასებას. ამ თავში წამოჭრილია როგორც საკომუნიკაციო, ისე ენობრივი კომპეტენციის შეფასების საკითხი და ციტირებულია მაგალითები ამ საკითხთან მიმართებაში არსებულ სხვადასხვა მიდგომებიდან.

ზოგადი კომპეტენციების დონეები ძირითადი ელემენტებია საერთო ლექსიკონისა და სტანდარტების შექმნასთან მიმართებაში, რაც საშუალებას მოგვცემს, ვისაუბროთ ენის ცოდნაზე, უნარებსა და მიღწევებზე. ისინი, როგორც ასეთი, მნიშვნელოვანი ფაქტორებია სათანადო ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებაში. დანართში წარმოდგენილია მთელი რიგი სპეციფიკური სკალები, რომლებიც ამომწურავად აშუქებს ენის ცოდნისა და გამოყენების კომპეტენციის სხვადასხვა კომპონენტებს. მათი გამოყენება შესაძლებელია არსებული დონისა და მიზნების შესაფასებლად, ამოცანების განსაზღვრისათვის, აგრეთვე, კურსის შედეგების შესაფასებლად. თვითშეფასების ტაბულა, მოცემული გვერდებზე **??**, სათანადო დესკრიპტორებით, ასე იწყება: „მე შემიძლია...“ ეს ტაბულა საშუალებას მისცემს შემსწავლელებს სკალებზე წარმოადგინონ საკუთარი კომპეტენციები.

მთლიანობაში, მე-3 და მე-9 თავები უზრუნველყოფს მრავლისმომცველ გზამკვლევს ენაში მიღწევებისა და ცოდნის გონივრულად, ზედმიწევნით და გასაგებად შეფასებისათვის: ენაში გამომცდელობა ევროპის ასოციაციამ (ALTE) მნიშვნელოვნად განავითარა კრიტერიუმები ხარისხის შესაფასებლად ენასთან, სულ მცირე იმ ენებთან მიმართებაში, რომელთაც საყოველთაოდ შეისწავლიან. ახალა უკვე არსებობს საიმედო და ვალიდური გამოცდები და ტესტირების სისტემები. ALTE-ს „მე შემიძლია“ ტიპის

განაცხადები ენასთან მიმართებაში, წარმოადგენს ფასეულ ინსტრუმენტს, რომლებიც დაგვეხმარება ენობრივი ამოცანების, დონეებისა და შეფასების განსაზღვრასა და დახვეწაში. ისინი მოცემულია დანართში:

პაუზა დაფიქრებისათვის ჩამოთვალეთ შეფასების სხვადასხვა ტიპები, რომელთაც იყენებს თქვენი ინსტიტუტი	
შეფასების მიზანი	შეფასების გამოყენებული ტიპი
სასწავლო ჯგუფებში განაწილება	
პროგრესის შემოწმება	
მიღწევების შეფასება	
სასწავლო მოთხოვნების განსაზღვრა	
კურსის ბოლოს სერტიფიცირება	
სხვა მიზნები	
ეს უზრუნველყოფს მაღალი დონის სისტემას	

შეჯამება

კომპეტენციები უზრუნველყოფს ხარისხთან დაკავშირებულ საკითხების აღწერას და გვაწვდის შემდეგ ხელმისაწვდომ ოფციებს:

საკითხი	კომპეტენციები
შემსწავლელის მოთხოვნების გაანალიზება	თავები 3 და 4
კურსების შექმნა	თავები 3,4 და 4
სწავლების პროცესების წარმართვა	თავი 6
შედეგების შეფასება	თავები 3 და 9

დაბოლოს, *კომპეტენციები* წარმოადგენს პრინციპებისა და დესკრიპტორების შეუცვლელ კრებულს. მათი მიდგომა ენაში ხარისხის უზრუნველყოფისადმი უფრო სისტემურია. თუ შესაძლებელი იქნება საერთო კრიტერიუმების, დესკრიპციული კატეგორიებისა და სკალებთან დაკავშირებით წინადადებების მიღება, საშუალება მოგვეცემა, განვახორციელოთ მოთხოვნათა ანალიზის საზრიანი სტანდარტიზაცია და განვსაზღვროთ ენის სასწავლო აქტივობების კომპონენტები. ეს ხელს შეუწყობს ოფციების გაცნობიერებულად შერჩევას ენის სწავლების პროცესში და საერთო ლექსიკონის შემუშავებას მიღწევების აღწერისა და შეფასებისათვის. თუმცა, ეს არ ეხება ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ასპექტებს – როგორ შეექმნათ ის სამუშაო გარემო, სადაც მონაწილეები უფრო მეტად შესძლებენ თვითდახმარებას ხარისხის მოსაპოვებლად, როგორ უნდა უზრუნველყონ მასწავლებელთა ასოციაციებმა და სკოლებმა პროფესიული სტანდარტების ხელშეწყობა, და როგორ უნდა გამოვიყენოთ და გავაუმჯობესოთ ხარისხის გარე კონტროლისა და ინსპექტირების სქემები პროფესიული სტანდარტების დასახვეწად.

სამუშაო ფურცელი 1

რას გულისხმობთ „ხარისხში“?

ხარისხის უზრუნველყოფაში პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი არის საკუთარი სტანდარტების გაცხადება. საამისოდ, ერთ-ერთი გზაა ქარტიის ან თქვენი ინსტიტუტის მისიის შესახებ განაცხადის შექმნა, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რას პირდებით მეწილეებს.

ჩამოთვალეთ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც გსურთ, რომ თქვენმა ინსტიტუტმა დადოს

... სკოლა / ენების განყოფილება **შემსწავლელებს** პირობას აძლევს, რომ:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

.. სკოლა / ენების განყოფილება **მოსწავლეებს** პირობას აძლევს, რომ

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

...სკოლა / ენების განყოფილება **საზოგადოებას** პირობას აძლევს, რომ:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

სამუშაო ფურცელი 2

ხარისხის შემოწმება

საკონტროლო ფურცლები ფრიად სასარგებლო ინსტრუმენტია ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლისათვის

ისარგებლეთ მოცემული ცხრილით, სტანდარტების დადგენისა და შემოწმებისათვის – მაგალითი მოცემულია პირველ პუნქტში.


სამოღვაწეო სფერო	სტანდარტები	მტკიცებულება
1. სწავლებისა და განათლების მაღალი დონის სტანდარტები	*ჯანსაღი პედაგოგიური მიდგომის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, წერილობითი ფორმის მიდგომა (რომელიც ინსპექტორისათვის გასაგებია, კონტექსტის მიხედვით) რომელსაც იცნობენ როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები.	=> გაკვეთილის მეთვალყურეობა, დოკუმენტების (მაგალითად, კურიკულუმი), განხილვა მასწავლებლებთან ერთად, აქცენტირებული ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან.
2. გაკვეთილების დაგეგმვა		
3. შემსწავლელთა პროგრესის შემოწმება		
4. კარგი ადმინისტრირება.		
5. მასწავლებელთა ტრენინგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.		
6. თავად შეარჩიეთ სფერო		

--	--	--

სამუშაო ფურცელი 3

ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი

გთავაზობთ რამდენიმე პროცედურას ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლისათვის. განათავსეთ ისინი ქვემოთ მოცემულ ცხრილში და დაფიქრდით, რომელი სისტემა იქნებოდა თქვენი ინსტიტუტისათვის გამოსადეგი.



ხარისხის უზრუნველყოფა	ხარისხის კონტროლი

თემა IV

შემუშავებასა და შეჩვენაში
მონაწილეთათვის

თაზი VIII

ენდი ჰოპკინსი

მომხმარებელთა გზამკვლევი სახელმძღვანელოსა და მასალების ავტორებისთვის

შესავალი

ეს რატომ? აქ რატომ? ახლა რატომ?

ეს მართლაც ერთწინადადებიანი შეჯამებაა იმ ყველაფრისა, რაც ამ დოკუმენტშია მოცემული: მასალების პროფესიონალმა შემდგენლებმა (ვინც მასალებს წერს პროფესიონალურ დონეზე) უნდა შესძლონ საკუთარი მასალების ყოველი შემადგენელი ელემენტის განხილვა და აწონ-დაწონვა, აქ დასმული კითხვების მიხედვით.

წერის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უნდა შეგეძლოთ ამ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა:

რა მიზნები აქვთ შემსწავლელებს? ჩემს მიერ მიწოდებული მასალა ეხმარება მათ ამ მიზნების მიღწევაში? ჩემს მიერ მიწოდებული მასალა საკმარისა მათთვის, ამ მიზნების მისაღწევად?

თუ შეგიძლიათ გადახედოთ თქვენს ნამოღვაწარს და ყველა ამ შეკითხვას ისე უპასუხოთ, რომ თავად დარჩეთ კმაყოფილი, თქვენ სახელმძღვანელოს გამოცდილი შემდგენელი შეიძლება გეწოდოთ! თუ საკუთარი პასუხებით უკმაყოფილო ხართ, ვიმედოვნებთ, ეს გზამკვლევი ღირებულ სამსახურს გაგიწევთ.

მიზნები

მოცემული თავის ძირითადი მიზანია გადაწყვეტილებათა მიღების მთავარ ასპექტებზე აქცენტირება, რადგან ამ პროცესში აუცილებლად მონაწილეობენ სახელმძღვანელოების ავტორები, და სახელმძღვანელოსა და ენის სასწავლო მასალების უზრუნველყოფათათვის, დიზაინერებისა და ავტორებისათვის იმ სპეციფიკური ოფციების აღწერა, რომლებიც საჭიროა შემდეგ დოკუმენტზე მუშაობისათვის: უცხო ენის ზოგადეფეროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება (ევროპის საბჭო 2001) და იმ გზების მითითება, რომლებიც დაეხმარება მათ მასალების შემუშავების პროცესში. ეს თავი გამოსადეგი იქნება იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ შიდა მასალების მცირე მასშტაბიან შემუშავებაში და მათთვისაც, ვინც გადაწყვეტილებებს ღებულობს სახელმძღვანელოს შერჩევაზე.

ეს თავი აგებულია რიგი ძირითადი შეკითხვებისა და გადაწყვეტილებების ირგვლივ, რომლებიც მასალების, განსაკუთრებით სახელმძღვანელოს, ნებისმიერმა სერიოზულმა ავტორმა უნდა განიხილოს, ეს არის არა მთლიანად სტანდარტების

აღწერა, არამედ *კომპეტენციებზე*, როგორც მასალების ავტორებისათვის არსებულ ფლექსიურ რესურსებზე ორიენტირება.

რა ძირითადი შეკითხვები უნდა განიხილონ მასალების ავტორებმა?

1. როგორ ხდება იმ კონტექსტების აღწერა, რომლებშიც ეს მასალები იქნება გამოყენებული?
2. რა სახით იქნება აღწერილი მასალების მიზნები?
3. შემსწავლელების მოთხოვნებსა და სურვილებთან მიმართებაში, რა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი?
4. რა საშუალებების გამოყენება არის სასურველი და პრაქტიკული მასალებისათვის?
5. როგორ მოხდება მასალების შეფასება, დაჯგუფება და თანამიმდევრობის განსაზღვრა?
6. რა სახის მიდგომები იქნება გამართლებული?
7. დავალებათა რა სპექტრს უნდა შეიცავდეს მასალები?
8. როგორ მოხდება მასალებში შესატანი ტექსტების შერჩევა?

დანართი A : რჩევები მასალების წერის პროცესებთან მიმართებაში

დანართი B : წერის პროცესის ეტაპების მაგალითი

დანართი C : საკონტროლო ფურცელი სახელმძღვანელოების შესარჩევად

1. როგორ ხდება იმ კონტექსტების აღწერა, რომლებშიც მასალები იქნება გამოყენებული?

მასალების ავტორებს თითქმის ყოველთვის შეუძლიათ მასალების შექმნა კონკრეტული ტიპის შემსწავლელებისა და სასწავლო სიტუაციებისათვის და ბუნებრივია, საჭიროა მათი მახასიათებლების მხედველობაში მიღება. მაგალითად, დაფიქრდით, კონტექსტის შემდეგი მახასიათებლები რა ზეგავლენას მოახდენდა სახელმძღვანელოს შედგენაზე:

- საერთაშორისო გამომცემლის მიერ უზრუნველყოფილი კურსი, რომელიც გათვლილია ესპანური ენის ზრდასრულ შემსწავლელებზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით;
- გერმანიაში შემუშავებული კურსი ამავე ქვეყანაში ბიზნესის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტების მოსამზადებლად, რომ მათ შესძლონ მეორე წელს ამავე კურსის ინგლისურად მოსმენა ბრიტანეთში;
- ესტონეთში იმ უცხოელებისათვის შემუშავებული კურსი, რომელთაც სურთ მიიღონ ესტონეთის მოქალაქეობა და საამისოდ უნდა ჩააბარონ ტესტი ესტონურ ენაში;
- ბრიტანეთში ბრიტანელები ბავშვებისათვის შემუშავებული ფრანგული ენის დაწყებითი კურსი.

როგორც მასწავლებლები, ჩვენ, ალბათ, ყველაზე უკეთ ვიცნობთ სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთა მახასიათებლებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კურსის შედგენაზე. თუმცა გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც: მაგალითად, შემსწავლელები და მასწავლებლები ყოველთვის მოქმედებენ რომელიმე ინსტიტუციონალური სისტემის ფარგლებში, რაც განსაზღვრავს ან მოიაზრებს შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს მასალების ავტორების მუშაობაში. სისტემები ხშირად მოიცავს პირდაპირ ან ირიბ სპეციფიკაციას ან დირექტივებს, რომლებიც, მაგალითად დაკავშირებულია კურიკულუმებთან, შეფასების პროცედურებსა და მიდგომებთან, რასაც თან ახლავს კონკრეტული რესურსები საშუალებებთან, ადგილთან, დროსთან, კლასში სტუდენტების რაოდენობისა და პერსონალით დაკომპლექტებასთან მიმართებაში. ასევე, სწორხაზოვნად ან მოდულების სახით შეიძლება არსებობდეს ინსტიტუციონალური ცენზები კურსებისათვის, რომლებიც გამოიყენება კლასში მასწავლებლების ხელმძღვანელობით, თვით ან დისტანციურ სწავლაში. სახელმძღვანელოს კარგი გამოხმაურება ექნება, თუ იგი გაითვალისწინებს ყველა ინსტიტუციონალურ მახასიათებელს.

მასალების ავტორებმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნან იმ მასწავლებელთა თავისებურებებზეც, რომლებიც მოცემულ კურსს გაუძღვებიან. რამდენად კარგად

ფლობენ ისინი ენას, რომელსაც ასწავლიან? რამდენად დიდია მათი გამოცდილება? ისინი ვარაუდობენ, რომ ეტაპობრივად მიიღებენ კონსულტაციებს მასალებზე სამუშაოდ თუ მიიჩნევენ, რომ სახელმძღვანელოები უზრუნველყოფს ფლექსიურ რესურსებს? გვტყვიან მასწავლებელთა განვითარებისათვის აქტივობების შეტანა დამხმარე მასალებში, რომ მიაწოდოს მათ ორიენტირი კურსის უფრო ნოვაციურ ასპექტებთან მიმართებაში? ქვემოთ მოცემულია დიაგრამა 1. რომელშიც ჩამოთვლილია ცალკეული ცვლადები და მოწოდებულია ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოს შედგენისას.

კომპეტენციები აღიარებს ყველა ჩამოთვლილ სფეროში ცვალებადობას და გვთავაზობს ფლექსიურ, მკაფიოდ ფორმულირებულ და თანამიმდევრულ რესურსს, რომელიც ადაპტირებადია ნებისმიერ კონკრეტულ სასწავლო კონტექსტთან. ფლექსიურობის შენარჩუნების სურვილი ყველაზე უფრო თვალსაჩინოა შვეიცარიაში, რუმელიკონში ჩატარებული სამთავრობათშორისო სიმპოზიუმის ანგარიშს დასკვნებში (გამჭვირვალებობა და თანამიმდევრულობა ენის შესწავლაში, ევროპაში, ევროპის საბჭო 1992, 3.2)

„ენის შესწავლისა და სწავლებისათვის მრავლისმომცველი, გამჭვირვალე და თანამიმდევრული სტანდარტების შემუშავება, არ გულისხმობს ცალკეული ერთგვაროვანი სისტემის შექმნას. პირიქით, სტანდარტები ღია და ფლექსიური უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მისადაგება კონკრეტულ სიტუაციებთან“

დიაგრამა 1. ზოგიერთი ცვლადები სასწავლო კონტექსტებში და მათზე მინიშნებები სახელმძღვანელოებისათვის

შემსწავლელები

ცვლადი

ასაკი

ერთენოვანი / მრავალენოვანი ჯგუფები

კულტურული ფონი მისწრაფებები

სქესი

ზოგადი განათლება

საგანმანათლებლო და პროფესიული მისწრაფებები

სწავლის ტიპების ცოდნა

მედიასაშუალებები

მოცემული ენის ცოდნის დონე ამ მომენტისათვის

შესაძლო მინიშნებები (მაგალითები)

თემა, მახასიათებლები, ცოდნა მშობლიური ენის გამოყენება თემა, გარემო, როლები, დავალებები ცალკეული სახელმძღვანელოები ცოდნა სამყაროს შესახებ კურსის მიზნები, თემები, გარემო, დავალებები შემსწავლელის განვითარება / ტრენინგი,

კურსის მიზნები, დავალებები, დონე

ინსტიტუციონალური სისტემები

ცვლადი

კურიკულუმი, სილაბუსი და საგამოცდო

სტანდარტები, სწავლების და სწავლის კულტურა,

კურსის ხანგრძლივობა და ინტენსიურობა,

კლასებში სტუდენტების რაოდენობა,

პერსონალით დაკომპლექტება, საშუალებებისა და

რესურსების ხელმისაწვდომობა, კვალიფიკაციის

ამაღლების შესაძლებლობები...

შესაძლო მინიშნებები (მაგალითები)

კურსის მიზნები, ხანგრძლივობა, სტრუქტურა, სასწავლო საშუალებები.

მასწავლებლები

ცვლადი

ენის ცოდნის დონე, რომლის

სწავლაც უნდა შემსწავლელს,

პედაგოგიური მომზადების დონე, სასწავლო

საშუალებებში გათვითცნობიერებულობის ხარისხი,

სწავლების კულტურა და ფლექსიურობის

ხარისხი, მასალებთან მიმართებაში მოლოდინები,

ნოვაციასთან დამოკიდებულება...

შესაძლო მინიშნებები (მაგალითები)

მასწავლებლის წიგნში უზრუნველყოფილი მხარდაჭერისა და მეგზურობის ხარისხი, საკლასო ოთახში მასალების გამოყენების გაადვილება; ბალანსი ნოვაციასა და მასწავლებლების მოლოდინების დაკმაყოფილებას შორის

სწავლის სახეობა

ცვლადი

საკლასო ოთახის ფარგლებში; დისტანციური

(ტრადიციული / ინტერნეტი), ღია სწავლა

მასწავლებლის კონსულტაციებით; შერეული

სახეობები, თვითსწავლა; მოდულების მიხედვით /

სწორხაზოვანი კურსები

შესაძლო მინიშნებები (მაგალითები)

კურსის ხანგრძლივობა, დავალების ტიპები, საშუალებები, წერილობითი მხარდაჭერის ხარისხი, შემსწავლელის ტრენინგი, მასწავლებლის განვითარება

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის

1. სავარაუდოდ, ვინ იქნებიან შემსწავლელები? რამდენად შესაძლებელია მათი დახასიათება: ასაკი, სქესი, მშობლიური ენის, კულტურული ფონის, საგანმანათლებლო და პროფესიული მისწრაფებების, მოთხოვნებისა და სურვილების, სწავლის საშუალებებსა და სახეობებში სავარაუდო გათვითცნობიერებულობის და შემსწავლელ ენაზე მათი ამჟამინდელი ცოდნის დონის მიხედვით?

2. რა მნიშვნელოვანი მახასიათებლები გააჩნია ინსტიტუციონალურ სიტემას / სისტემებს, რომელთა ფარგლებშიც, სავარაუდოდ გამოყენებულ უნდა იქნეს მასალები? როგორ მოხდება მასალების მისადაგება არსებულ / სავარაუდო კურიკულუმებთან, შეფასების პროცედურებსა და მიდგომებთან? რამდენად იქნება მასალებში გაცნობიერებული პრაქტიკული რეალობა საშუალებებთან, ადგილთან, დროსთან, პერსონალით დაკომპლექტებასთან, კლასში სტუდენტების რაოდენობასთან, ა.შ. მიმართებაში? კურსი სწორხაზოვანი / მოდულურების მიმდევარი იქნება, წარიმართება მასწავლებლის მიერ თუ მის გარეშე, ჯგუფურ / ინდივიდუალურ გარემოში?

3. შესაძლებელია თუ არა რაიმე სახის განზოგადება იმ მასწავლებლებთან მიმართებაში, რომლებიც წაიყვანენ კურსს? რამდენად უნდა ელოდნენ / ითხოვდნენ ისინი მხარდაჭერას და მითითებების უზრუნველყოფას მასალებში?

2. რა სახით იქნება აღწერილი მასალების მიზნები

ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურიც კი იყოს ასეთი შეკითხვით დაწყება: უპირველეს ყოვლისა, იმაზე არ უნდა დაფიქრდეთ, რის სწავლა ესაჭიროებათ ან სურთ ჩვენს შემსწავლელებს? რა თქმა უნდა, პრობლემა ის არის, სათაურში მოცემულ შეკითხვას ვერ განვიხილავთ, თუ არ გვექნება კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც უნდა გავცეთ მას პასუხი. სწორედ ამ კატეგორიების მხრივ გთავაზობს *კომპეტენციები* დახმარებას.

ერთ-ერთი პირველი ასპექტი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოს ავტორმა, ეხება მახასიათებლებს, რომლებიც ახდენს კურსის ორგანიზებას. რ-ი (1996) განსაზღვრავს სილაბუსის ათ ტიპს მახასიათებლის მიხედვით. ეს მახასიათებლებია: გრამატიკული, ლექსიკური, გრამატიკულ-ლექსიკური, სიტუაციური, თემაზე დაფუძნებული, აზრობრივი, ფუნქციონალურ-აზრობრივი, შერეული ან მრავალმხრივი, პროცედურული (დავალებების სახით განსაზღვრული) და პროცესუალური (შეთანხმებით). შესაძლებელია დამატებაც, მეტყველების, ჟანრის, ტექსტის ტიპების, ენობრივი უნარების, პროფესიული / აკადემიური უნარების, სოციოკულტურული ცოდნისა და უნარების, შემსწავლელის სტრატეგიების, ა. შ. გათვალისწინებით.

რა საორგანიზაციო პრინციპები შეიძლება ედოს თქვენს სილაბუსს საფუძვლად? მოხდება მისი ორგანიზება გრამატიკული თანამიმდევრობით? მოხდება მისი დაფუძნება შემსწავლელებისათვის ღირებულად მიჩნეულ თემებზე? იქნება იგი ლექსიკასა და გამოყენების სიხშირეზე დამოკიდებული? მოხდება მისი ორგანიზება საკომუნიკაციო დავალებების მიხედვით? მოხდება მისი აგება სასარგებლო ჟანრებისა და ტექსტის ტიპების მიხედვით? თქვენ, ალბათ მოისურვებთ ყველა ამ ელემენტის გათვალისწინებას.

არსებობს მოსაზრება, რომ ენის სასწავლო სახელმძღვანელოები უფრო და უფრო მეტად ეფუძნება მრავალმხრივ სილაბუსებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მასალების შედგენის პროცესი, საჭიროებიდან გამომდინარე, იმართება სილაბუსის ერთი ან ორი ძირითადი ელემენტით, რომლებიც გამოიყენება კურსის ორგანიზებისათვის. ამ ძირითადი საორგანიზაციო ელემენტების შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეიძლება სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს სხვა ელემენტებზე. შესაძლებელია გადავწყვიტოთ (კურსების მრავალი სხვა ავტორის მსგავსად) კურსის თანამიმდევრობის განსაზღვრა ტექსტის გრამატიკისა და წინადადებების გამოყენებისა და ფორმების მზარდად რთული ასპექტების მიხედვით. ასეთი თანამიმდევრობის არჩევანისათვის

ლოგიკურ დასაბუთებად შეგვიძლია გამოვიყენოთ ის, რომ გრამატიკის ზოგიერთი ელემენტი უფრო ადვილია გასაგებად, შესასწავლად და გამოსაყენებლად და ამიტომაც უნდა იყოს პირველ პოზიციაზე. თუ აქცენტს ვაკეთებთ გრამატიკაზე და ვმუშაობთ საკუთარი ტექსტებისა და ენობრივი მაგალითების ფარგლებში, შევამჩნევთ, რომ სიტყვები შემოგვაქვს გრამატიკის შესავსებად, რომ მოვახდინოთ კონკრეტული სტრუქტურის მაგალითებით ილუსტრირება. თუ, მეორე მხრივ, საკუთარ თავში ვიპოვით ნებისყოფასა და ენერგიას იმ ტექსტების რეალური მაგალითების მოსაძიებლად, სადაც გრამატიკის მოცულობა ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, (და ეს უკიდურესად რთულია) ნამდვილად ვერ შევძლებთ ასეთი ტექსტების ლექსიკური შინაარსისა და საკომუნიკაციო მახასიათებლების კონტროლირებას. იგივე პრობლემას წააყვანებით, თუ მოქმედებას დავიწყებთ რეალური კომუნიკაციით. ენის რეალური ერთეულების შერჩევა მათი საკომუნიკაციო მახასიათებლის მიხედვით, გაართულებს გრამატიკული და ლექსიკური შინაარსის კონტროლირებას.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ განყენებული გაგებით, ძალზე ადვილია მრავალმხრივი სილაბუსის შედგენა, მაგრამ უკიდურესად რთულია მრავალმხრივი მასალების შექმნა. რეალურად, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რომელი მიმართულება იქნება ჩვენი კურსის წარმმართველი. არც ამ გზამკვლევის და არც *კომპეტენციების* ფუნქცია არ არის უპირატესობის მინიჭება რომელიმე მიმართულებისათვის. ასეთი არჩევანი დამოკიდებულია თქვენს მოსაზრებებზე და იმაზე, თუ რას ამჯობინებთ ენასა და ენის სწავლასთან მიმართებაში. თუმცა, *კომპეტენციები* გვთავაზობს შემსწავლელთა მოთხოვნებისა და სურვილების აღწერის რამდენიმე გზას.

მასალების ბევრი ავტორისა და მასწავლებლისათვის სასარგებლო იქნება *ზღვრული დონისა* და *ენის საფუძვლის დონის* დოკუმენტაციის გამოყენება, რომელიც შეიმუშა ევროპის საბჭომ. დოკუმენტაციის პირველი ვერსიები 1975 წელს გამოვიდა. მათი განახლება და განვრცობა 1990 წელს მოხდა.

ზღვრულ დონე 1990-ში ჩამოთვლილია ყველა ის კატეგორია, რომელიც შეიძლება სილაბუსებში ფირგურირებდეს. ნებისმიერი ან ყველა მათგანი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოს საორგანიზაციო ელემენტებად. მათ შორისაა :

- ენის ფუნქციები
- ზოგადი ცნებები (სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორიები)
- სპეციფიკური ცნებები (რომლებსაც ხშირად თემებადაც მოიხსენიებენ)
- აზრთა ვერბალური ურთიერთგაცვლის ნიმუშები (გავრცელებული ფუნქციონალური თანამიმდევრობა)
- ტექსტებთან ურთიერთობა: კითხვა და მოსმენა
- წერა
- სოციოკულტურული კომპეტენცია
- საკომპენსაციო სტრატეგიები
- სწავლის სწავლა
- გრამატიკა
- ლექსიკონი
- გამოთქმა და ინტონაცია

უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსს არ ქმნის ეს ჩამონათვალი. თუმცა, იგი უზრუნველყოფს კატეგორიებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია შეირჩეს სილაბუსის მიმართულებები და შეტანილ იქნეს ინფორმაცია ამ მიმართულებების შესაძლო მახასიათებლების შესახებ.

მაგრამ, საკითხავია, როგორი კავშირია ისეთ დეტალურ დოკუმენტს, როგორიცაა *ზღვრული დონე 1990* და *კომპეტენციებს* შორის? ეს უკანასკნელი სტიმულს აძლევს მასალების ავტორებს, რომ მათ მოიფიქრონ და თავი მოუყარონ ინფორმაციას იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება მათი შემსწავლელების მოთხოვნებსა და სურვილებს ენასთან მიმართებაში. *ზღვრული დონე 1990*-ის სპეციფიკაცია *კომპეტენციების* მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის ერთ-ერთი გზაა. იგი გვაწვდის კონკრეტულ ინტერპრეტაციას და უზრუნველყოფს სასარგებლო მოდელს *კომპეტენციებით* მუშაობისათვის.

ამ თავის დარჩენილი ნაწილი ეძღვნება *კომპეტენციების* მიერ მოწოდებულ შეკითხვებს და კატეგორიებს, რაც გვეხმარება იმის მოფიქრებაში, თუ რა გვსურს ვიხილოთ სასწავლო მიზნების სახით ჩვენს ენის კურსებსა და სახელმძღვანელოებში. ამ შეკითხვებს *კომპეტენციები* დეტალურად განიხილავს, მაგრამ, ურიგო არ იქნება, შევისწავლოთ აქ შემოთავაზებული კატეგორიებიც, რომ ხელი შეუწყოთ მასალების ავტორების ფიქრს იგივე მიმართულებით.

2. 1. ენის გამოყენების კონტექსტი

ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელიც სახელმძღვანელოს ავტორმა უნდა დასვას, ასე უდრის: სავარაუდოდ, რა კონტექსტში გამოიყენებენ შემსწავლელები „იმ ენას, რომლის შესწავლაც აქვთ გამიზნული“?

2. 2. სფეროები (*კომპეტენციები 4.11.*)

ეს შეკითხვა შეიძლება განხილულ იქნეს იმ კუთხით, რასაც *კომპეტენციები* სფეროებს უწოდებს. არის ეს სფეროები: პიროვნული – რომელიც ცხოვრებას განიხილავს ოჯახურ ცხოვრებასა და მეგობრებზე კონცენტრირებული ინდივიდის მიხედვით; საზოგადოებრივი – რომელიც შემსწავლელებს განიხილავს, ფართო საზოგადოების წევრებად, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ტრანზაქციებში; პროფესიული – ეხება საკუთარი საქმიანობითა და პროფესიით დაკავებულ შემსწავლელებს; საგანმანათლებლო – ეხება ორგანიზებულ სწავლაში ჩართულ შემსწავლელებს?

ზოგადი შემსწავლელების შემთხვევაში, ძნელია იმ სფეროების პროგნოზირება, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ენის გამოყენებას, მაშინ, როცა კონკრეტული შემსწავლელი (მაგალითად, LSP კურსები) შემთხვევაში, სფეროებიც ძალზე კონკრეტულია. *კომპეტენციები* მიიჩნევენ, რომ მასალების ავტორებმა უნდა განიხილონ, თუ როგორ შეიძლება ენის გამოყენების კონტექსტის აღწერა ზემოხსენებული ოთხი ფუნდამენტური სფეროს მიხედვით. ასევე, ურიგო არ იქნება, მათ მიერ იმის განხილვა, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ოთხმა სფერომ მასალების მიზნებზე.

მაგალითები

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმცროსი ასაკის სკოლის მოსწავლეები აქცენტს გააკეთებენ პიროვნულ და საზოგადოებრივ სფეროებზე, მაშინ, როცა სტრუქტურებისათვის, რომლებიც ემზადებიან სხვა ენაზე სწავლისათვის, ალბათ სხვა კულტურულ გარემოში, განსაკუთრებით შესაფერის იქნება საგანმანათლებლო სფერო. პროფესიული სფერო შეიძლება იყოს ძალზე სპეციფიკური და კონცენტრირებული არსებულ სამუშაო სიტუაციებზე, ან ნაკლებ სპეციფიკური (როგორცაა კომერცია) და აქცენტს აკეთებდეს ზოგად, პროგნოზირებად სამომავლო მოთხოვნებზე (მაგალითად, სხვა ევროპულ ქვეყნებში კომერციულ სფეროში მოღვაწეობა)

2. 1. 2. სიტუაციები (*კომპეტენციები 4.12*)

შევარჩიეთ რა სათანადო სფერო, შეგვიძლია უფრო დეტალურად ჩაღრმავება და იმ მრავალფეროვანი სიტუაციების განხილვა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი აღნიშნული სფეროების ფარგლებში. მათი აღწერა შეიძლება: ადგილების, ინტიტუტებისა და ორგანიზაციების, მონაწილე ადამიანების სოციალური როლების, მოცემული გარემოს, შესაფერის საგნების, სავარაუდო მოვლენების, ქმედებებისა და ტექსტების მიხედვით.

მაგალითები

დიაგრამა 2 გვაძლევს ტიპური სიტუაციებისა და მათი შესაძლო კომპონენტების მაგალითებს (*კომპეტენციები 4.12. ცხრილი 5*) მოცემული ჩამონათვალი მხოლოდ ილუსტრაციული ხასიათისაა.

	პიროვნული	საზოგადოებრივი	პროფესიული	საგანმანათლებლო
ადგილები	სახლი: საკუთარი, სახლი ოჯახის ოთახები მეგობრების ბაღი უცნობების საკუთარი ადგილი საერთო საცხოვრებელში, სასტუმროში სოფელი, ზღვისპირი, ა.შ	საზოგადოებრივი ადგილები: ქუჩა, მოედანი, პარკი, და ა. შ. საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მაღაზიები, (სუპერ) მარკეტები, საავადმყოფოები, ექიმის მისაღები კლინიკა, სპორტული სტადიონები, მინდვრები, დარბაზები, თეატრიკინო, გართობა რესტორანი, ლუდხანა სასტუმრო, სალოცავი ადგილები	ოფისები ქარხნები საამქროები პორტები, რკინიგზა ფერმები აეროპორტები მაღაზიები მომსახურების სფერო სასტუმროები	სკოლები: დარბაზი საკლასო ოთახები, სათამაშო მოედნები, სპორტის სახეობები მინდვრები, კორიდორები კოლეჯები უნივერსიტეტები ლექციათეატრები სასემინარო ოთახები სტუდენტური კავშირი სტუდენტული ლაბორატორიები ბუფეტი
ინსტიტუტები	ოჯახის სოციალური ქსელები	საჯარო მოხელეები, პოლიტიკური ორგანოები, კანონი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კლუბები, საზოგადოებები, პოლიტიკური პარტიები, სარწმუნოება	ფირმები საჯარო სამსახური მულტინაციონალური კორპორაციები ნაციონალური საწარმოები პროფკავშირები	სკოლა კოლეჯი უნივერსიტეტი განათლებული საზოგადოებები პროფესიონალი ინსტიტუტები მოზრდილთა საგანმანათლებლო სტრუქტურები
ადამიანები	ბებია-ბაბუა, მშობლები, შთამომავალი და-ძმები, დეიდები, ბიძები, ბიძაშვილები, შეძენილი ნათესავები, მეუღლეები, ახლო მეგობრები, მეგობრები, ნაცნობები.	საზოგადოების წევრები თანამდებობის პირები მაღაზიის პერსონალი პოლიცია, ჯარი, დაცვა მძღოლები, კონდუქტორები, მგზავრები მოთამაშეები, გულშემატკივრები, მაყურებლები, მსახიობები, აუდიტორია ოფიციანტები, ბარმენები, რეგისტრატორები, მღვდლები, მრევლი	დამსაქმებლები მენეჯერები კოლეგები ხელქვეითები კოლეგები სამსახურში კლიენტები მომხმარებლები რეგისტრატორები, მდივნები დამლაგებლები, ა.შ	კლასის მასწავლებლები სასწავლო პერსონალი მეურვეები დამხმარე პერსონალი მშობლები კლასელები პროფესორები, ლექტორები სტუდენტები, ჯგუფელები ბიბლიოთეკა და ლაბორატორიის პერსონალი სასადილოს პერსონალი, დამლაგებლები შევიცარები, მდივნები, ა.შ
საგნები	ავეჯის გაწყობა და ავეჯი ტანსაცმელი საყოფაცხოვრებო ტექნიკა სათამაშოები, ინსტრუმენტები, პირადი ჰიგიენა, ხელოვნებასთან დაკავშირებული საგნები, წიგნები, ველური / შინაური ცხოველები, ხეები, მცენარეები, გაზონი, გუბურები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ხელჩანთები სპორტული აღჭურ-	ფული, ქისა, საფულე, ფორმები, საქონელი, იარაღი, ზურგჩანთები, ყუთები, სახელურები ბურთები პროგრამები კერძები, სასმელები, მსუბუქი საუზმე, პასპორტები, ლიცენზიები	ბიზნეს მექანიზმი ინდუსტრიული მექანიზმი, ინდუსტრიული და საამქროს ხელსაწყოები	საწერი მასალა სასკოლო ფორმები აღჭურვილობა და ტანსაცმელი თანამშრომლებისათვის საჭმელი აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა დაფა და ცარცი კომპიუტერები ბრიფინგები და სასკოლო ჩანთები

	ვილობა			
მოვლენები	ოჯახური მოვლენები შეხვედრები ინციდენტები, ავარიები ბუნებრივი ფენომენები წვეულებები, ვიზიტები სეირნობა, ველოსიპედით სეირნობა, მანქანით გადაადგილება არდადეგები ექსკურსიები სპორტული ღონისძიებები	ინციდენტები ავარიები, სნეულებები საზოგადოებრივი შეხვედრები სასამართლო დევნა, სასამართლო პროცესები სადღესასწაულო დღეები, ჯარიმები, დაპატიმრებები მატჩები, შეჯიბრებები წარმოდგენები ქორწილები, პანაშვიდები	შეხვედრები ინტერვიუები, მიღებები კონფერენციები ბაზრობები კონსულტაციები სეზონური ფასდაკლებები ინდუსტრიული ავარიები საწარმო დავეები	სკოლაში დაბრუნება / შესვლა სკოლის დახურვა არდადეგებზე ვიზიტები და გაცვლები მშობლების დღეები სადამოები სპორტული დღეები, მატჩები დისციპლინარული პრობლემები
ქმედებები	ცხოვრების რუტინა (ნაცმა, გახდა, საჭმლის მომზადება, კვება რეცხვა, ა.შ) მეზაღობა, DIY, კითხვა, რადიო და ტელევიზია თამაშები და სპორტი, გატაცებები	ყიდვა და საზოგადოებრივი მომსახურების მიღება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, მოგზაურობა მანქანით / მატარებლით / გემით / თვითმფრინავით საზოგადოებრივი გართობა და მოცალეობა ღვთისმსახურება	ბიზნეს-ადმინისტრირება, საწარმოს მართვა საწარმოს ოპერაციები ოფისის პროცედურები გაცვლა გასაღების ოპერაციები, გაყიდვა, მარკეტინგი კომპიუტერული ოპერაციები	შეკრება გაკვეთილები თამაშები თამაშის დრო კლუბები და საზოგადოებრივი ლექსიები, თხზულებების წერა ლაბორატორიული სამუშაო ბიბლიოთეკაში მუშაობა სემინარები და კერძო გაკვეთილები საშინაო დავალება დებატები და დისკუსიები
ტექსტები	ტექსტები გარანტიები რეცეფციები ინსტრუქცია რომანები, ჟურნალები, გაზეთები ფოსტა ბროშურები პირადი წერილები მაუწყებლობა და ჩაწერილი სასაუბრო ტექსტები	საზოგადოებრივი განცხადებები და შეტყობინებები იარაღები და შეფასება პროკლამაციები, ამოტვიფრული წარწერები ბილეთები, განრიგები შეტყობინებები, წესდებები პროგრამები კონტრაქტები მენიუები წმინდა ტექსტები ქადაგებები, ჰიმნები	საქმიანი წერილი რაპორტი მემორანდუმი სიცოცხლე და უსაფრთხოება ინსტრუქციები წესდებები სარეკლამო მასალა იარაღების დაკვრა და შეფუთვა სამუშაო აღწერა სავიზიტო ბარათები, ა. შ.	ავთენტური ტექსტები (როგორც ზემოთ) სახელმძღვანელოები, მკითხველები, ცნობარები, ტექსტი დაფაზე, ორ. ტექსტი, ტექსტი კომპიუტერის ეკრანზე, ვიდეოტექსტი, სავარჯიშო მასალა, ჟურნალის სტატიები, რეზიუმე ლექსიკონებზე

2. 1. 3. პირობები და შეზღუდვები (კომპეტენციები 4.1.3)

ჩაგულრმავდებით რა გამოყენების კონტექსტების სპეციფიკაციას, შეგვიძლია განვიხილოთ ყოველი სიტუაციის პირობები და შეზღუდვები. მასალების შემმუშავებელთათვის ეს მინიშნება იქნება ტექსტისა და დავალების ტიპებზე. გარე პირობებიდან მნიშვნელოვნადაა მიხნეული: ფიზიკური პირობები (როგორცაა ხმაური უკანა ფონზე), სოციალური პირობები (როგორცაა მოსაუბრეთა რაოდენობა და სტატუსი). დროის წნეხი (შეზღუდვები დროის თვალსაზრისით)

მაგალითები

უცხო ქვეყანაში ვიზიტით მყოფი პოლიტიკოსის თარჯიმანს, რომელიც სინქრონულ თარგმანს ახორციელებს, მოეთხოვება ძალზე სწრაფად მუშაობა, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, სხვადასხვა ადგილებში და ხშირად უკიდურესი წნეხის პირობებში. აეროპორტის რეისების გამომცხადებლებს უწევთ ერთი და გივე რუტინის მიღვნა, აკეთებენ რა მონოლოგ-განცხადებებს საკუთარი ტემპით და არ მოელოდნ არანაირ საპასუხო ინფორმაციას. შეხვედრებში მონაწილე საქმიან ადამიანებს, რომელთა სამსახურიც სწორედ ამ შეხვედრებზეა დამოკიდებული, მრავალნაირ პირობებში უწევთ მოქმედება, დაწყებული სასტუმროს ბარიდან, სადაც უცხოელი ტურისტები ნაცნობებთან მასლაათობენ. მაღალი მოტივაციის მქონე შემსწავლელები შეიძლება პოზიტიურად გამოეხმაურონ იმ მასალებს, რომლებიც დაბალი მოტივაციის მქონე შემსწავლელებს არც კი დააინტერესებთ.

რეალურად, ძნელია ენის გამოყენების სამომავლო კონტექსტების გამოცნობა, არა მხოლოდ ბავშვებისა და საშუალო სკოლის მოსწავლეების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ნარე, არამედ სტუდენტების შემთხვევაშიც, რომელთაც, მიხეულის, რომ საკმაოდ სპეციფიკური მოთხოვნები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, მასალების ავტორმა მაინც უნდა გადაწყვიტოს, გამოყენების რომელ კონტექსტებს შეიტანს საკუთარ მასალებში. ამისათვის მან უნდა გამოიყენოს ინფორმაცია და ინტუიცია, რომელიც ეფუძნება უცხოელი ენის შემსწავლელის / მომხმარებლის ან განმანათლებლის გამოცდილებას.

2. 1. 4. მომხმარებლის / შემსწავლელის მენტალური კონტექსტი (კომპეტენციები 4.14)

გარე კონტექსტი იფილტრება და ინტერპრეტირდება მომხმარებლის აღქმის აპარატის მიერ. საუბარია, ადამიანის მენტალურ კონსტრუქციებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მესხიერებაზე, ასოციაციებსა და მეორად მნიშვნელობებზე და მომხმარებლის მიერ საგნებისა და მოვლენების კლასიფიცირებაზე. სხვა შესაბამისი ფაქტორები მოიცავს: გონებრივ მდგომარეობას, მოთხოვნებს, შინაგან მუხტს, ინტერესებს, განზრახვას, ფიქრის მიმართულებებს.

2. 1. 5. თანამოსაუბრის / თანამოსაუბრეთა მენტალური კონტექსტი (კომპეტენციები 4.15)

თანამოსაუბრე შეიძლება იზიარებდეს იგივე გარე კონტექსტს, მაგრამ მას სხვაგვარად აკვირდებოდეს და განიხილავდეს. ორი ადამიანი, რომელიც ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრება, შეიძლება ექვემდებარებოდეს არა მხოლოდ განსხვავებულ პირობებსა და შეზღუდვებს (მაგალითად, სატელეფონო ხაზის ერთ მხარეს მყოფი შეიძლება ხარვეზებს უჩიოდეს, ხოლო მეორეს შეიძლება ეჩქარებოდეს), არამედ შესაძლოა სრულიად განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნებით მოქმედებდეს, მოტივირებული იყოს სხვადასხვა მოთხოვნებით და იმყოფებოდეს განსაზღვრულ გონებრივ მდგომარეობაში. კომუნიკაციის ეფექტურობისათვის აუცილებელია, თანამოსაუბრეები მოერგონ ერთმანეთის მენტალურ კონტექსტს.

2. 2. საკომუნიკაციო თემები (კომპეტენციები 4.2)

აქ მოიაზრება კომუნიკაციის საგანი, რასაც მასწავლებლები ხშირად თემებად განიხილავენ. ზოგად ენობრივ კონტექსტში, სწორედ თემატურ სფეროში ვამახვილებთ ყურადღებას, შემსწავლელთა სურვილებზე. აუცილებელია, რომ თემები მიესადაგებოდეს ჩვენს შემსწავლელებს – შესაბამისობას განაპირობებს არა მხოლოდ ის, რომ თემები გამოსადეგია (ამ მხრივ, ისინი მიესადაგება გამოყენების პროგნოზირებულ კონტექსტებს და ერთგვარი ინსტრუმენტია ძირითადი ენისათვის), არამედ ისიც, რომ ისინი საინტერესოა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თვით თემები, როგორც ასეთი, ხშირად რამდენადმე „უმარტივია“. შეგვიძლია ისინი საინტერესოდ ვაქციოთ, თუ მათზე კონცენტრირებას მოვახდენთ რომელიმე კონკრეტული კუთხით და ყოველ მათგანს ქვეთემებად დავყოფთ.

მაგალითები

მოდით, თემად განვიხილოთ მუშაობა. ქვეთემის სახით შეგვიძლია შევარჩიოთ სტუდენტების მუშაობა არდადეგებზე უცხო ქვეყანაში. ეს საშუალებას მოგვცემს, მოვიფიქროთ დამატებითი ქვეკატეგორიებიც, რომელთაც *კომპეტენციები* სპეციფიკურ ცნებებად განიხილავს და რომლებიც მოიაზრებს ლექსიკონის მთელ რიგ სფეროებს. შეგვიძლია აქცენტი გავაკეთოთ რომელიმე კონკრეტული სახის სამუშაოზე – როგორცაა ევრო *დისნეილენდში* მუშაობა პარიზის ფარგლებს გარეთ. ეს წარმოშობს მთელ რიგ სიტყვათა ჯგუფს, რომლებიც აზრობრივად უკავშირდება ადგილებს (კვების პუნქტები, პირველადი დახმარების პუნქტები, მისაღები, ავტოსადგომები და ა. შ.) ადამიანებს (ანიმაციური ფილმების პერსონაჟები, სტუმრები, მომხმარებლები, გიდები და ა.შ) საგნებს (ბილეთები, საკეები და სასმელი, სუვენირები და.ა. შ. და მოქმედებებს (დანახვა, სტუმრობა, მოსმენა, ყურება, შესვლა / გამოსვლა, დაწყება, დამთავრება, მოგება, წაგება, მონაწილეობა, ტარება, ა.შ). თემატური სფეროების ზოგადმა იდენტიფიკაციამ შეიძლება განაპირობოს ენის გამოსადეგი ერთეულების საკმაოდ დეტალური სპეციფიკაცია, რაც კურსის შემადგენელი ნაწილი გახდება.

2. 3. საკომუნიკაციო დავალებები და მიზნები (კომპეტენციები 4.3)

გადაწყვეტილებები გამოყენების კონტექსტებსა და სათანადო საკომუნიკაციო თემების შესახებ, საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად განვიხილოთ ცალკეული სიტუაციების ენობრივი ცენზები. როგორ გვეგონია, რა საკომუნიკაციო დავალებების შესრულება დასჭირდება ჩვენს შემსწავლელებს და რა მიზნით? ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებული შ კვლევა დაგვეხმარება განვსაზღვროთ, თუ რა ენა გამოიყენება კონკრეტულ გარემოში. უფრო მცირეა რჩევა იმ ენასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება „ზოგადი“ დავალების შესრულებას, ნაკლებად პროგნოზირებად გარემოში. მიუხედავად ამისა, ჩვენ როგორც მასალების ავტორებმა უნდა განვსაზღვროთ, ყველაზე უფრო მეტად რომელი საკომუნიკაციო დავალებები შეხვდებათ, ან რომელთა შესრულება მოუწევთ შემსწავლელებს. გთავაზობთ მაგალითს *ზღვრული დონე 1990-*დან:

1. 12. სამსახურში კომუნიკაცია

1. 12. 1. როგორც დროებით რეზიდენტებს, შემსწავლელებს უნდა შეეძლოს:

- სამუშაო ნებართვის, ა. შ. მიღება, მოთხოვნისამებრ
 - ცნობების შეკრება (მაგალითად, დასაქმების სააგენტოებიდან) დასაქმების ტიპზე, ხელმისაწვდომობასა და პირობებზე (როგორცაა სამუშაოს დესკრიპცია, ანაზღაურება, სამუშაო საათები, თავისუფალი დრო, არდადეგები)
 - დასაქმებაზე სარეკლამო განცხადებების წაკითხვა
 - სააპლიკაციო წერილების შედგენა, გასაუბრების გავლა, წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის მიწოდებით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა
 - მომიჯნავე პროცედურების გაგება და შესრულება
 - მუშაობის დაწყებისას, შესასრულებელი დავალებების გაგება და მათთან დაკავშირებით კითხვების დასმა.
 - უსაფრთხოების წესებისა და მითითებების გაგება
 - მომხდარი შემთხვევის შეტყობინება და დაზღვევის მოთხოვნა
 - ხელმძღვანელებთან, კოლეგებთან და ხელქვეითებთან სათანადოდ კომუნიკაცია
 - საწარმოს ან ინსტიტუტის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა (მაგალითად, ბუფეტი, სპორტული და სოციალური კლუბები და ა.შ)
- [შენიშვნა: აქ დანომვრა ხდება *ზღვრული დონე 1990-*ის მიხედვით]

2. 4. საკომუნიკაციო ენის აქტივობები და სტრატეგიები (*კომპეტენციები 4.4*)

საკომუნიკაციო დავალების შესასრულებლად მომხმარებლებს მოუწევთ საკომუნიკაციო ენის აქტივობებში მონაწილეობა და საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება. ამ აქტივობებისა და სტრატეგიების ჯგუფებს მასწავლებლები და მასალების ავტორები ხშირად აერთიანებენ ისეთი ზოგადი სათაურის ქვეშ, როგორცაა „უნარები“. *კომპეტენციები* განსაზღვრავს ენობრივი აქტივობის ოთხ ძირითად ტიპს: პროდუქტიული (სასაუბრო და წერილობითი), რეცეფციული (სასაუბრო, წერილობითი და აუდიო-ვიზუალური), ინტერაქციული (სასაუბრო და წერილობითი) და მედიაცია (მაგალითად, თარჯიმნობა). ყველა ჩამოთვლილი საკომუნიკაციო აქტივობა მოიცავს მთელ სპექტრს საკომუნიკაციო დავალებებისა, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს მასალებში. რა თქმა უნდა, სიტუაციების უმრავლესობა მოითხოვს აქტივობათა შერეული ტიპების შესრულებას.

მაგალითები

ზეპირი პროდუცირება შეიძლება მოიცავდეს საუბარს ჩანაწერების მიხედვით; სასაუბრო ინტერაქცია შეიძლება მოიცავდეს დისკუსიაში მონაწილეობას; მედიაცია შეიძლება იყოს ძალზე ფორმალური და წერილობითი (იურიდიული დოკუმენტაციის ზუსტი თარგმანის უზრუნველყოფა) ან საკმაოდ არაფორმალური და სასაუბრო (სტუმრისათვის მენიუს განმარტება)

კომპეტენციები სტრატეგიებს შემდეგნაირად განმარტავს:

„სტრატეგიები ის საშუალებებია, რომელთაც მიმართავს ენის მომხმარებელი საკუთარი რესურსების გამოყენების ან მობილიზაციისათვის, უნარებისა და პროცედურების აქტივიზირებისათვის, კონტექსტის მიხედვით, საკომუნიკაციო

მოთხოვნების და მოცემული დავალების წარმატებით შესრულებისათვის, რაც უნდა მოხდეს გასაგებად და ეკონომიურად, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე“.

საკომუნიკაციო სტრატეგიები მოიცავს რეცეფციის, ინტერაქციის, პროდუცირებისა და მიდიაციის საკომუნიკაციო აქტივობების სხვადასხვა ტიპების დაგეგმვას, შესრულებას, მონიტორინგსა და შესწორებას. *კომპეტენციების* პუნქტი 4.8 დეტალურად აღწერს იმ საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდას ემსახურება.

მაგალითები

შემსწავლელს მოეთხოვება მოკლე სიტყვით გამოსვლა. ეს შეგვიძლია პროდუცირების მაგალითად განვიხილოთ. დაგეგმვა შეიძლება მოიცავდეს რეპეტირებას, პრეზენტაციის სხვადასხვა ვარიანტების ეფექტურობაზე დაფიქრებას (აუდიტორიის გათვალისწინებით), ახალი სიტყვების მნიშვნელობის ლექსიკონში მოძიებას ან დახმარების თხოვნას (რესურსების განსაზღვრა). რესურსების მობილიზების შემდეგ, შემსწავლელს შეუძლია მეტნაკლები ამბიცია იქონიოს დავალების შესრულებაზე, საუბრის ხასიათსა და მოცულობის და განსაკუთრებით, მისი ენობრივი შინაარსის გათვალისწინებით. შემსწავლელი სირთულეებს წააწყდება, მაგრამ ვიმლოვნებთ, შესძლებს მათთვის თავის გართმევას ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით, რომ მოახერხოს სათქმელის მიწოდება კომპენსირების, ძველ ცოდნაზე დაყრდნობისა და ცდის სახით. უდიტორიის რეაქცია შემსწავლელს წარმატების მონიტორინგის საშუალებას მისცემს, რამაც შეიძლება განაპირობოს თვითშესწორებაც, რაც შესწორების ნაირსახეობაა.

ამ და სხვა სტრატეგიების განვითარება, რაც რეცეფციას, პროდუცირებასა და ინტერაქციას ეხება, ენის სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ასპექტია. ისინი სასარგებლოა ენის მატარებლის საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვისაც მრავალ პროფესიულ სფეროში. აღნიშნული სტრატეგიების განვითარებაზე გათვლილი კურსები გავრცელებულია იმ სფეროებში, სადაც კომუნიკაციის ხარისხი და ეფექტურობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგალითად კონსულტირებაში, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში და გაყიდვების პრეზენტაციებში.

როგორ უნდა გამოვძებნოთ დრო და ადგილი სტრატეგიების განვითარებისთვის, როცა ენაზე სათანადოდ კონცენტრირება ესოდენ მნიშვნელოვანია? ამ კითხვას საგნებით სამართლიანად (ხშირად საჩივრის სახე აქვს) სვამენ მასწავლებლები და მასალების ავტორები. ერთი პასუხი შეიძლება ასე უღერდეს, რომ ჩვენ შეგვიძლია ენობრივი პროცესების, შემსწავლელის კომპეტენციებისა და სტრატეგიების განვითარებაზე მუშაობა და ამ ყველაფრისათვის საუკეთესო გზაა დავალების შედგენა. ჩვენს მიერ შერჩეულმა დავალებათა ტიპებმა შესაძლოა სტიმული მისცეს სასწავლო და საკომუნიკაციო პროცედურების განვითარებას და გაზარდოს გათვითცნობიერებულობა კომუნიკაციასთან მიდგომისა და მისი მონიტორინგის ვარიანტებთან მიმართებაში. ამ მხრივ, მსჯელობა გრძელდება მე-7 ნაწილში.

კომპეტენციები მოიცავს ძალზე დეტალურ და გამოსადეგ ნაკრებს ექვსი დონის დესკრიპტორებისა, რომლებიც აღწერს ენის ცოდნის ხარისხს საკომუნიკაციო ენის აქტივობებისა და სტრატეგიების თვალსაზრისით.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის:

1. რომელი სტრატეგიები მიესადაგება შემსწავლელების საკომუნიკაციო მოთხოვნებს?

2. რამდენად შესაძლებელია ამ სტრატეგიების განვითარება მასალების საშუალებით? მოიხოვს ისინი ცალკეულ სპეციფიკურ აქტივობაზე აქცენტის გაკეთებას, თუ მათი განვითარების საუკეთესო გზაა პროცედურები, სტიმულირებული დავალების შედგენით?

2. 5. საკომუნიკაციო ენის პროცესები (*კომპეტენციები 4.5*)

საკმარისი არ არის მხოლოდ იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა აკეთონ შემსწავლელებმა მოცემულ ენაზე. მასწავლებლებმა და მასალების ავტორებმაც უნდა

განიხილონ, თუ როგორ შეიძლება შემსწავლელების მომზადება საკომუნიკაციო დავალების ეფექტურად შესრულებისათვის. თანამედროვე სახელმძღვანელოების უმეტესობა შემსწავლელებს აძლევს სათანადო საკომუნიკაციო დავალებებისათვის თავის გართმევის საშუალებას. თუმცა, ამ სახელმძღვანელოებში, ძირითადად, გამოტოვებულია ის აქტივობები, რომლებიც გვეხმარება უცხო ენაზე მოქმედებისათვის აუცილებელი საკომუნიკაციო პროცესების განვითარებაში. მასალების ავტორებმა უნდა შემოგვთავაზონ არა მხოლოდ თვით დავალებაზე ვარჯიში, არამედ დახმარება მისი წარმატებით შესრულებისთვისაც.

კომპეტენციები განსაზღვრავს საკომუნიკაციო ენის პროცესების ცხრა ძირითად მახასიათებელს. საჭიროა განვიხილოთ უნარები, რომლებიც ეხება: დაგეგმვას, შესრულებას, პროდუცირებას, რეცეფციას, ინტერაქციას, მონიტორინგს, პრაქტიკულ ქმედებებს, პრაღინგისტულ ყოფაქცევას და პარატექსტუალურ მახასიათებლებს.

საკომუნიკაციო ენის პროცესებში მონაწილე ყველა უნარის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასალების შემუშავებაში. *კომპეტენციების* პუნქტი 4.5 გვთავაზობს მეგზურობას ამ პროცესების თავისებურებებთან მიმართებაში. აღნიშნული პროცესების განვითარების შეტანა მასალებში, მათი ავტორებისათვის ერთგვარი გამოწვევაა.

მაგალითი

რკინიგზის სადგურზე მყოფ ქალს სჭირდება კონკრეტული მატარებლის გასვლის დროის გაგება, ბილეთის შეძენა და მატარებელში დროულად ჩაჯდომა. საკმარისა აქცენტი გავაკეთოთ ამ დავალების ერთ ასპექტზე მაინც, რომ დავინახოთ საკომუნიკაციო ენის პროცესების მნიშვნელობა. ამ ქალს, ალბათ, მოუწევს განრიგის გაცნობა. მის მიერ სასურველი ინფორმაციის მისაღებად საჭიროა: სათანადო ტექსტის განსაზღვრა და ცნობა (პარატექსტუალური ინფორმაციის გამოყენებით ან ვიმესთან გაგებით); მისი გაგება; და საჭირო ინფორმაციის სწრაფად პოვნა. ამ ყველაფერს სჭირდება პოვნის, გაშიფვრის, დასკვნის გაკეთების, პროგნოზირების, სწრაფად გადათვალისწინების და ა. შ. უნარები. მსგავს ტექსტებთან მიმართებაში შევძლებთ შემსწავლელების დახმარებას იმ პირობით, თუ ჩვენ მასალებში შევიტანთ დავალებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ენობრივ პროცესებს.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის:

1. საკომუნიკაციო ენის რომელ პროცესებს მოიცავს დავალებები, რომლებიც თქვენმა შემსწავლელებმა უნდა შეასრულონ?
2. რამდენად შესაძლებელია ამ პროცესების განვითარების შეტანა მასალებში? ამ პროცესებზე აქცენტის გაკეთება უშუალოდ სწავლის თვალსაზრისით მოხდება თუ არაპირდაპირი სახით, მაგალითად, დავალებათა კომბინაციის შექმნით ან ტექსტების შერჩევით?

2. 6. ტექსტები (*კომპეტენციები 4.6*)

აქ ტერმინი „ტექსტი“ სასაუბრო ან წერილობითი ენის ნებისმიერ ერთეულს მოიაზრებს, როგორც კომუნიკაციას. მასალების ავტორებმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნან ტექსტების ყველა იმ ტიპზე, რომლებთან ურთიერთობაც შეიძლება დასჭირდეთ შემსწავლელებს შემდეგი თვალსაზრისით:

საშუალებები (მაგალითად, ნაბეჭდი, ფილმი, რადიო, ტელეფონი, ვიდეოფონი)

ტექსტის ტიპი (მაგალითად, სასაუბრო – საჯარო განცხადებები, საზოგადოებრივი დებატები, გართობა)

(მაგალითად, წერილობითი – წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, პაკეტი, ნიშნები)

ბუნებრივია, მასალები უნდა მოიცავდეს ისეთ ტექსტებს, რომელთა მსგავსაც შემსწავლელები რეალურად წააწყდებიან და ამიტომ, საჭიროა მათი მომზადება ამ რეალური ტექსტებისათვის, საშუალებების, ჟანრის ტიპების, თანამოსაუბრეთა როლების მიხედვის და ა. შ. მიხედვით.

შეკითხვა მასალების ავტორებისათვის
რომელ ტექსტებს შეხვედებიან თქვენი შემსწავლელი საშუალებებისა და
ტექსტის ტიპების თვალსაზრისით?

2. 7. მომხმარებლის / შემსწავლელის კომპეტენციები (კომპეტენციები 5)

პირველ ნაწილში უკვე განვიხილეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იმ შემსწავლელის თავისებურებათა ცოდნა, რომლებმაც შეიძლება ისარგებლონ თქვენს მიერ შედგენილი მასალებით. *კომპეტენციები* უფრო დეტალურად უღრმავდება კომპეტენციებს, რომელთაც სხვადასხვა შემსწავლელი იყენებენ ენის კურსებზე. იგი კომპეტენციებს ორად ჰყოფს. ზოგადი კომპეტენციები ეხება: ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სოციოკულტურულ ცოდნას, შესასწავლი კულტურის ფარგლებში ადამიანებთან და ინსტიტუტებთან პრაქტიკულად და წარმატებით დაკავშირების უნარს, პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს შემსწავლელთა როლებზე საკომუნიკაციო აქტებში და სწავლის უნარ-ჩვევებს. საკომუნიკაციო ენის კომპეტენციები ეხება ენობრივი, სიციოლინგვისტური და პრაგმატული ცოდნისა და უნარების კონკრეტული საკომუნიკაციო დავალებების შესასრულებლად გამოყენების უნარს. ისინი დაკავშირებულია გრამატიკასთან, ლექსიკონთან, ფონოლოგიასთან, სოციალური მნიშვნელობის მარკერების გაგებასა და გამოყენებასთან (როგორცაა თავაზიანობა, აქცენტი), მეტყველებასთან, ფუნქციონალურ და სქემატურ შესაძლებლობებთან.

კომპეტენციების ეს ნაწილი მეტად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ გვაწვდის იმ კატეგორიათა დაწვრილებით ჩამონათვალს, რომელთა საკუთარ მასალებში შეტანაც უნდა გაითვალისწინონ ავტორებმა. იგი მიმოიხილავს ენობრივი კომპეტენციის არა მხოლოდ შედარებით უფრო ნაცნობ სფეროებს, რომლებიც დაკავშირებულია გრამატიკასთან, ლექსიკასა და ფონოლოგიასთან, არამედ მითითებებს იმ სფეროებზეც, რომლებიც ენის თანამედროვე სასწავლო მასალების მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა. მათ რიცხვს განეკუთვნება: სოციოკულტურული ცოდნა, ეგზისტენციალური კომპეტენცია (დაკავშირებული ინდივიდუალურ პიროვნულ ფაქტორებთან) და სქემატური აგების უნარ-შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორიები მზარდად ფიგურირებს ენის სასწავლო მასალებში, მათი მიმოხილვა და პრეზენტაცია ხშირად საკმაოდ შემთხვევითია. *კომპეტენციები* ცდილობს მოგვაწოდოს მათი უფრო დეტალური აღწერა.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის

1. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესძლებენ მასალების ავტორები ზემოხსენებული ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინებას?
2. რამდენად სამართლიანია ენის კურსის მიზანი, მოდიფიცირება გაუკეთოს იმ პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ენის სწავლასა და კომუნიკაციაზე?
3. როგორ ვდებულობთ გადაწყვეტილებებს ყოველ დონეზე ენობრივი კომპეტენციის განვითარების (ლექსიკონი, გრამატიკა) მიზნების შესახებ?
4. როგორ ფიქრობთ, რამდენად უნდა ისწავლებოდეს მეტყველება და სქემატური ორგანიზაცია უცხო ენის კურსზე?

შეჯამება

ეს ნაწილი შეეხო მთელ რიგ ისეთ სფეროებს, სადაც მართებულია პასუხი გაეცეს შეკითხვებს იმ შემსწავლელთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც წერთ მასალებს. მათი განხილვა, ასევე შესაძლებელია ენის კურსის ან მასალების ნაკრების მიზნების შესაძლო კატეგორიებად. მასალების ავტორის ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციის

შეკრება და გადაწყვეტილებათა მიღება ყველა ჩამოთვლილ სფეროში. მხოლოდ თქვენ-ზეა დამოკიდებული იმის განსაზღვრა, თუ მიზნების რომელი ერთობლიობით მოხდება თქვენი სილაბუსის ორგანიზება და სხვა რა მიზნები იქცევა ძირითად მიმართულებებად, რომლებზეც უშუალოდ გაკეთდება აქცენტი. მომდევნო ეტაპზე უნდა განვიხილოთ ის მიზნები, რომელთა პირდაპირ დასახელებაც არ ხდება (ალბათ, უფრო ტექსტის შერჩევის ან დავალების შედგენის გზით), მაგრამ რომლებიც თანამიმდევრულად უნდა აისახოს მასალებში.

3. შემსწავლელების მოთხოვნებსა და სურვილებთან მიმართებაში, რა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი?

ზემოხსენებული კატეგორიები უზრუნველგვეყოფს შემსწავლელების მოთხოვნებისა და სურვილების და შესაბამისად, ჩვენი კურსის მიზნების აღწერის ვარიანტებით. შკურსების შემთხვევაში, შეიძლება გაგვიჩნდეს მოთხოვნათა დეტალურად გაანალიზების სურვილი, რაც მოიცავს მონაცემების თავმოყრასა და ანალიზს. ასევე, შეიძლება ვისურვოთ სპეციალური ლექსიკონით ან ენის ანალიზის შედეგებზე გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომით სარგებლობა, ინტერესის სფეროში. ძალზე ფასეულია სხვა კურსების სახელმძღვანელოთა გადახედვაც, რომლებიც შეიქმნა მსგავსი მოთხოვნების მქონე შემსწავლელთათვის.

უფრო ზოგადი მიზნების მოქმე შემსწავლელებსაც იგივენაირად მიდგომას ვურჩევთ, თუმცა, რეალურად ჩვენ უფრო ვიკვლევთ საკუთარ და სხვების ინტუიციას და ნაკლებად მივმართავთ მონაცემთა გაანალიზებას. *კომპეტენციების* მე-3 თავში მოცემული შეკითხვები დაფიქრებას განაპირობებს, თუმცა მასზე გაცემული პასუხები უნდა შემოწმდეს ინფორმაციის სხვა წყაროების მიხედვით – როგორცაა კურსის გაცხადებული მიზნები, გამოცდები, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, არაშიდა საკონტროლო ფურცლები და სხვა შესაბამისი სახელმძღვანელოები.

კომპეტენციების დანიშნულება არ არის შესაბამისი საკომუნიკაციო დავალებების ფაქტობრივი ვერბალიზაციის შეთავაზება (შესაბამის აქტივობებში, თემებში, სიტუაციებში, სფეროებში). ასე რომ, მე-3 თავში მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემისას, *კომპეტენციებიდან* გამომდინარე, შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ მაგალითად, შემსწავლელებს სჭირდებათ ინფორმაციის მოძიება სამუშაო მახასიათებლებზე, ხელმისაწვდომობასა და პირობებზე (საკომუნიკაციო დავალება) დამსაქმებლებთან ზეპირი ინტერაქციის გზით (საკომუნიკაციო ენის აქტივობა) დასაქმების ცენტრში; ამასთან, უნდა მოხდეს დასაქმებაზე სარეკლამო განცხადებების გადახედვა (სიტუაცია), სადაც სფერო პროფესიულია (სფერო) და თემა დასაქმებაა (საკომუნიკაციო თემა) და მოიცავს საკომუნიკაციო ენის ცალკეულ პროცესებს, კომპეტენციებსა და სტრატეგიებს. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა გაარკვიოთ, მოცემული ენის შემსწავლელები როგორ შესძლებენ ვერბალიზაციას, რადგან სწორედ ყველა საკომუნიკაციო დავალების ვერბალიზაცია უზრუნველყოფს იმ ენას, რომელიც შესწავლასაც საჭიროებენ შემსწავლელები. სწორედ მისგან იღებს სათავეს კურსის გრამატიკული და ლექსიკური შინაარსი.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის

1. ინფორმაციის რა წყაროებს შეიძლება დაეყრდნოთ შემსწავლელების მოთხოვნებსა და სურვილებთან დაკავშირებით?
2. რა პროცედურებს მიმართავთ ამ ინფორმაციისა და მონაცემების თავმოყრისთვის?
3. თავს უყრით რა ინფორმაციას, შეგიძლიათ, ასევე, შეკრიბოთ ტექსტები, რომლებსაც გამოიყენებთ / მოარგებთ თქვენს მასალებს?
4. თუ თქვენი კურსი ზოგადი ხასიათისაა, არსებობს რეკომენდაციების ისეთი წყაროები, რომელთაც შეგიძლიათ დაეყრდნოთ (მაგალითად *ზღვრული დონე 1990*)?

5. არსებობს დირექტივები პუბლიკაციის სახით, კურსის მიზნებთან მიმართებაში? ითვალისწინებს კურსი გამოცდებს, რომლებიც მოიაზრებს, რომ სათანადო სახით, გაწეულია გარკვეული სამუშაო ენის მხრივ?

4. რა საშუალებების გამოყენება არ არის სასრუველი და პრაქტიკული მასალებისათვის?

აღბათ, ყველას გვსურს, რომ ჩვენი შემსწავლელები სარგებლობდნენ სასწავლო საშუალებების სრული სპექტრით: ფურცელზე ნაბეჭდი, აუდიო, ვიდეო, უახლესი კომპიუტერული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა. მაგრამ მასალების ავტორები ყოველთვის მოქმედებენ კონკრეტული კონტექსტების ფარგლებში, რაც ზღუდავს საშუალებების არჩევანს. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააჩნია შეზღუდვები ბიუჯეტის მხრივ და ამიტომ, როცა ვფიქრობთ საშუალებებსა და კურსის კომპონენტებზე, ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა გვახსოვდეს არის ის, თუ რა წვდომას შეიტანს კონკრეტული საშუალება კურსის სასწავლო მიზნებში და დაუმატებს თუ არა ის რაიმე უნიკალურს (რასაც სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს) კურსის მთლიან პაკეტს? ამგვარად ფიქრი ძალზე სასარგებლოა მასალების ავტორისათვის, რადგან ბუნებრივია, რომ როცა მიმდინარეობს მასალების შედგენა კონკრეტული საშუალებებისათვის, ეს მასალები თავად უნდა იყენებდეს ამ საშუალებების მიერ შემოთავაზებულ უნიკალურ შესაძლებლობებს. მაგალითად, აზრი არ აქვს კომპიუტერის გამოყენებას ტექსტების პრეზენტაციისათვის, თუ საჭირო ინტერაქცია შემსწავლელსა და ასეთი სახით მოწოდებულ ტექსტს შორის, არაფრით განსხვავდება შემსწავლელსა და წიგნში მოცემულ ტექსტს შორის ინტერაქციისაგან. აზრი არ აქვს (ძვირადღირებული) ვიდეოს გამოყენებას (იაფფასიანი) აუდიოს ნაცვლად, თუ არ ხდება ვიდეოს ვიზუალური ელემენტით სარგებლობა. შესაბამისად, აზრი არ აქვს კურსის ცალკეული ნაწილებისათვის ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას, თუ მომხმარებელი, როგორც ინსტიტუციონალური, ისე ინდივიდუალური, იშვიათად ან საერთოდ არ სარგებლობენ ამ მოწყობილობით. წარმატებული კურსები მაქსიმალურად იყენებენ ხელმისაწვდომ საშუალებებს და ხშირად ისე, რომ ძვირადღირებული და ეგზოტიკური კომპონენტები არჩევითი და დამატებითია და არა გადამწყვეტი მოცემული კურსისათვის, მაშინ როცა არსებითი კომპონენტები რაც შეიძლება იაფი და ხელმისაწვდომია – ჩვეულებრივ, მოცემულია ფურცელზე ან აუდიო სახით. ქვემოთ გთავაზობთ განვრცობილი საკლასო პაკეტის გავრცელებულ კონფიგურაციას. არჩევითი კომპონენტები აღნიშნულია ვარსკვლავებით.

მაგალითი

* – არჩევითი კომპონენტები

- საკლასო წიგნი: მოიცავს მასალას საკლასო ოთახში გამოყენებისათვის
- საკლასო აუდიო (კასეტა / CD): მოიცავს საკლასო წიგნთან დაკავშირებულ მთელ აუდიო მასალას.
- სამუშაო წიგნი: მოიცავს პრაქტიკას და შემსწავლელთა შენიშვნებს, რომლებიც მარტო მუშაობენ, აღბათ, სახლში
- სამუშაო წიგნის აუდიო (კასეტა CD): მოიცავს სამუშაო წიგნთან დაკავშირებულ მთელ მასალას
- მასწავლებლის წიგნი: უზრუნველყოფს მასწავლებელს დამხმარე მასალებით, როგორცაა დავალებების ფურცლები, რომლებშიც შეიძლება ქსეროასლების სახით გამრავლდეს, ბარათები როლების გათამაშებისათვის, აქტივობები ინფორმაციულ სარვეზთან დაკავშირებით.
- * ვიდეო: მოიცავს დამატებით მასალებს საკლასო მასალების განვრცობისათვის
- * სამუშაო წიგნის ვიდეო: მოიცავს ვიდეოსთან დაკავშირებულ მასალებს
- * მასწავლებლის გზამკვლევის ვიდეო: უზრუნველყოფს მასწავლებელს მასალებით ვიდეოსა და სამუშაო წიგნის ვიდეოსათვის

- * CD-ROM -ი მოიცავს დამატებით პრაქტიკას, მითითებებს, ტექსტებს, მონაცემთა ბაზებს პროექტებისათვის, ა. შ.

- * ინტერნეტი: „ონლაინ-ლექსიკონები, გრამატიკა, დამატებითი მასალები პრაქტიკისათვის, ა. შ.

- * ინტერნეტი ინტერაქცია: დისკუსიის ჯგუფები (სასაუბრო / წერილობითი), დახმარების სახები და ა. შ.

თუ კურსი აქცენტს აკეთებს, მეტწილად, კითხვისა და წერის უნარებზე, აუდიო კომპონენტი შეიძლება გამოტოვებული იყოს, მაშინ, როცა მომეტებული დაინტერესება სამეტყველო ენის განვითარებითა და გაგების გაუმჯობესება, აუდიო კომპონენტს არსებით მნიშვნელობას ანიჭებს. ეს განსაკუთრებით შეესაბამება სიმართლეს იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი მოცემულ ენაზე საუბრის ექსპერტი არ არის.

კურსის პაკეტისთვის კომპონენტების შერჩევა, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მეთოდოლოგიურ ოფციებზე, მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ უბრალოდ ფურცელზე ან აუდიო მასალებზე დაფუძნებული პროგრამის შეზღუდვები. საშუალებების დამატება მართლაც სთავაზობს კურსს სწავლის სახეობათა სპექტრის გაზრდის პოტენციალს. ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ინტერაქტიული ჩ - ღ - ი ინტერნეტზე დაფუძნებული კურსები ინდივიდუალური სწავლისათვის შთამბეჭდავი შესაძლებლობების შეთავაზებას იწყებს.

ფიქრობს რა ეგზოტიკური საშუალებების კომპონენტების დამატებაზე, მასალების ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, რა დატვირთვა ექნება მათ შეტანას როგორც შემსწავლელის, ისე მასწავლებლისათვის. რა უნარები დასჭირდებათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სხვადასხვა საშუალებების კომპონენტებით მაქსიმალურად სარგებლობისათვის? რამდენად საჭირო იქნება ორიენტაცია თვით კურსზე და მისი სწავლის სახეობებზე?

შეკითხვები მასალების ავტორებისთვის

1. სასწავლო კონტექსტიდან გამომდინარე, რა კომპონენტებია სასურველი ან დასაშვები?
2. რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მასწავლებლებისთვის / შემსწავლელისათვის კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა ცალკეული საშუალებებისათვის?
3. ყველა კომპონენტი აუცილებელი იქნება კურსისათვის, თუ ზოგიერთ მათგანს არჩევითი სახე ექნება?
4. რამდენად ეფემერულად მიგვაჩნია ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური საშუალება? (რამდენად უნდა ვისარგებლოთ ჩ - ღ - ით)
5. რა სასწავლო ღირებულება გააჩნია თითოეულ კომპონენტს?
6. რამდენად სრულად იყენებს მასალები სხვადასხვა ტიპის საშუალებების მიერ მიწოდებულ უნიკალურ შესაძლებლობებს?
7. რამდენად განაპირობებს მაღალტექნოლოგიური საშუალებების კომპონენტები მასწავლებლებსა და შემსწავლელების მონაწილეობას იმ ახალი უნარების განვითარებაში, რომლებიც საჭიროა მოცემული კურსისათვის.

5. როგორ მოხდება მასალების შეფასება, დაჯგუფება და თანამიმდევრობის განსაზღვრა?

მოხდება რა ზოგადი გადაწყვეტილებების მიღება მასალების მიზნებისა და ხელმისაწვდომ საშუალებებთან დაკავშირებით, დროა დავიწყოთ სხვადასხვა ნაწილების დეტალური სტრუქტურის განხილვა. ამ დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, კონცენტრირებას მოვახდენთ კურსების უდიდესი ნაწილის მთავარ მახასიათებელზე – საკლასო ოთახზე ან სტუდენტის წიგნზე.

თქვენ უკვე გეგმავთ მიღებული გადაწყვეტილებები რამდენიმე კუთხით, თქვენი შემსწავლელის მოთხოვნების / სურვილების შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე; მაგალითად, რომელ საკომუნიკაციო დავალებებს გინდათ რომ გაართვან თავი თქვენმა სტუდენტებმა და რა სიტუაციებში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თქვენ შედგენილი გეგმავთ თქვენი კურსის საკომუნიკაციო კომპეტენციებისა და აქტივობასთან / სტრატეგიასთან დაკავშირებული მიზეზების ნუსხა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი

მომზადებაა, მაგრამ ფაქტიურად, სახელმძღვანელოს სტრუქტურის აგების დავალების შესრულება ახლა იწყება.

ჩვენს მიერ მოხსენებული ერთ-ერთი კონტექსტუალური პარამეტრი უკავშირდებოდა დროს, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ სტუდენტებს სწავლისათვის. მაგალითის სახით ავიღოთ ტიპური ევროპული საშუალო სკოლის კურიკულუმი, რომელიც უცხო ენისათვის გამოჰყოფს სამ-ოთხ საათს კვირაში. სასწავლო დაწესებულებების უმრავლესობა მოითხოვს საკლასო სახელმძღვანელოს გამოყენებას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი კურსის მასალები გათვლილი უნდა იყოს კლასში მეცადინეობის დაახლოებით 80-100 საათზე, რასაც ემატება დრო საშინაო დავალების შესრულებისა და თვითშესწავლისათვის. შეიძლება ვარჩიოთ ცალკე სასწავლო მასალის შექმნა საშინაო დავალებისა და თვითშესწავლისათვის (როგორცაა სამუშაო წიგნი). მაგრამ როგორ უნდა დავიწყოთ საკლასო ოთახზე გათვლილი პროგრამის შედგენა, რომელიც კლასში მეცადინეობის 80-100 საათს ითვალისწინებს?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კურსის ერთეულებად დაყოფა. *ერთეულების* მიზნები და ხანგრძლივობა ცვალებადი იქნება, კონტექსტიდან გამომდინარე, რა მოიაზრება სასწავლო მასალების „ერთეულში“?

გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას.

– *ერთეულს* გააჩნია სპეციფიკური (და ხშირად მრავალნაირი) სასწავლო მიზნები და ჩვეულებრივ, ხელს უწყობს სილაბუსის წინ წაწევას და ისეთ სფეროებში, რომელშიც თვით ამ სილაბუსშია იდენტიფიცირებული (ნაკლებად სავარაუდოა ასეთი საკლასო ოთახის ფარგლებში მიმდინარე ინდივიდუალური გაკვეთილის შემთხვევაში);

– *ერთეულს* აქვს დასაწყისი და დასასრული;

– *ერთეული* შინაგანად თანამიმდევრულია და განსაზღვრული კავშირი აქვს სხვა *ერთეულებთან* (ეს შეიძლება იყოს სწორხაზოვანი თანამიმდევრობის ნაწილი, *ერთეულების* ჯგუფში – მოდული)

– *ერთეული* მიმზიდველია (ინტერესის ღირებულების თვალსაზრისით); გამოსადეგია (სწავლის შედეგების თვალსაზრისით); ცვალებადია (სტუდენტის აქტიუობის ტიპის თვალსაზრისით); ხელს უწყობს განვითარებასა და გენერაციას (ესმარება შემსწავლელებს წინსვლაში კურსსა და თვითშესწავლაში)

– *ერთეულს* (ჩვეულებრივ) ეთმობა საკლასო ოთახში მეცადინეობისათვის განკუთვნილ განსაზღვრული დრო

სასწავლო მიზნების დაჯგუფება *ერთეულის*ათვის მთავარი ნაბიჯია მასალების შედგენაში, რადგან სწორედ ამ ეტაპზე ხდება საკონტროლო ფურცლის გარდაქმნა სილაბუსად. გადახედოთ დაჯგუფების ამ ვარიანტს, რომელიც მასალების ავტორებმა გამოიყენეს *ერთეულის*ათვის ინგლისური ენის კურსის ტიპობრივი ზოგადი სახელმძღვანელოდან (Look Ahead 1)

თემა: საყიდლები

ქვეთემა 1: მაღაზიები

კონტექსტი: მოგზაურობისათვის მზადება

ლექსიკონი: მაღაზიის ტიპები

სამოგზაუროდ შექმნილი ნივთები (ტანსაცმელი, ნივთები პირადი ჰიგიენისათვის, კონტეინერები)

გრამატიკა: არაწესიერი მრავლობითი

ნათესაობითი ბრუნვის s' მაღაზიის ტიპებისათვის (როგორცაა news agent's); have got-ის გამეორება a, some, any-თან ერთად; აწმყო მარტივი დროის გამეორება.

ქვეთემა 2: ნივთების შექმნა მაღაზიებში

საკომუნიკაციო დავალება: მაღაზიაში ტრანზაქციის შესრულება, რაც გულისხმობს (შემდეგ ფუნქციებს...)

დავალება: რამის თხოვნა (Can I have...?)

ღირებულების კითხვა (How much is...?)
 სურვილის გამოთქმა (I'd like...?)
 განმარტების თხოვნა (Sorry? How much?)
 ვინმესთვის რამის მიცემა (Here you are.)
 მისალმება და დამშვიდობება (Good morning... Goodbye)
 გრამატიკა: ნაცვალსახელები – one, ones,
 კითხვები... which (one)? – ის გამოყენებით
 how many?... (თვლად არსებით სახელებთან)
 how much? (უთვლად არსებით სახელებთან)

ქვეთემა 3: საჭირო ნივთების შეძენა

საუბარი: ნივთების შეძენა მაღაზიებში
 მოსმენა: განხილვა იმისა, თუ რას წაიღებდით თან მოგზაურობაში
 კითხვა: მაღაზიების რეკლამების გაგება
 წერა: არდადეგებზე წასაღები ნივთების სიის შედგენა.

ეს ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება მიზნების ელემენტების თანამიმდევრულად დაჯგუფება. ამ შემთხვევაში (ექვსგვერდიანი) **ერთეული** ირჩევს თემას და ჰყოფს მას სამ (ორგვერდიან) ქვეთემად. **ერთეულის** მიხედვით პროგრესირება განაპირობებს საყიდლებთან დაკავშირებული კონკრეტული საკომუნიკაციო დავალებების შესრულებას, ხოლო ამ დავალებათა შესასრულებლად საჭირო ლექსიკა, გრამატიკა და ფუნქციები ქმნის **ერთეულის** ენობრივ მიზნებს. ამ უკანასკნელთა დაჯგუფება განისაზღვრება კონკრეტული თემის ფარგლებში შესასრულებელი საკომუნიკაციო დავალებების ენობრივი შინაარსით. ეს დაჯგუფების ერთი ოფციაა.

არსებობს მრავალი სხვა ოფცია. მოდით, მეორე მაგალითის სახით ავიღოთ კურსი, რომელიც ამზადებს სტუდენტებს უცხო ენაზე ბოლო ან ასპირანტურის კურსის გასაყელედ. ამ შემთხვევაში თემა შეიძლება არ იყოს ის კონცეფცია, რომელიც გამოდგება სასწავლო **ერთეულის** მარკირებისათვის. ბევრი აკადემიური კურსი, რომელშიც შევხვდებით შერეულ სპექტრს სპეციფიკური საგნებით დაინტერესებისა, იყოფა აკადემიური მაკრო უნარების მიმართულებების მიხედვით, როგორცაა ლექციების მოსმენა და თხზულებების წერა. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება უნარის განვითარებაზე და შინაარსობრივი ასპექტები ხშირად უბრალოდ ინსტრუმენტებია, რომელთა საშუალებითაც ხდება უნარის წვდომა და გამოყენება. შემდეგ დავუშვათ, რომ გრამატიკული სიზუსტე ლექციის გასაგებად ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც თხზულების წერისას. ლექციის გაგებაზე აგებულ კურსზე სასწავლო მასალები შეიძლება დაიყოს **ერთეულებად**, საკომუნიკაციო ნაწყვეტების ტიპებზე დაყრდნობით (ჟანრობრივი ანალიზის ლიტერატურა მათ ნაბიჯებს / სვლებს უწოდებს; იხ. swales 1990), რომლებსაც მოსაუბრე, სავარაუდოდ, შემოგვთავაზებს სალექციო მონოლოგში.

გთავაზობთ რამდენიმე ელემენტს, რომელიც შესაძლებელია იყოს მეცნიერებაზე ორიენტირებული კურსის ნაწილი:

- ლექციის დაწყება და დასრულება
- შესავალი და დასკვნითი თემები
- ტერმინების დეფინიცია
- აღჭურვილობისა და მასალების აღწერა
- მეთოდის აღწერა
- რაოდენობრივი კალკულაციის მიხედვით საუბარი
- გრაფიკების, ცხრილების, ა. შ. ინტერპრეტირება
- კლასიფიკაციების პრეზენტაცია
- კვლევის აღწერა
- შედარება და შეპირისპირება
- დავალებების განმარტება

– მონოლოგის მთელი რიგი ფუნქციები დაკავშირებული: აქცენტირებასთან, მცირე გადამეორებასთან, პრესტრუქტურისებასთან, მიმოხილვასთან, შემოწმებასთან, გამოვლენასთან, გამართლებასთან, დედუქციასთან, შეჯამებასთან, შეხსენებასა და პერიფრაზირებასთან.

მსგავსი კურსის *ერთეულები* შესაძლებელია ასეც დასათაურდეს, და ჩვენი მხრიდან აღნიშნული „ნაწევრების“ ვერბალიზაციის გაანალიზება (ან პროგნოზირება) მოგვცემს მდიდარ ენობრივ მასალას (რომელიც ეხება საუბრის ორგანიზაციას, ინტონაციას, წინადადების გრამატიკას, ტექსტის ორგანიზაციას, ლექსიკონს, ა.შ) რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ ენობრივი მიზნების განსაზღვრისათვის, რაც სასწავლო *ერთეულის* შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში, მასალების თანამიმდევრულობა დამოკიდებულია საკომუნიკაციო „ნაწევრებსა“ და მათ თანმსლებ ენობრივ მახასიათებლებზე. ასეთ კურსთან მიმართებაში, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს თანამიმდევრულობის ლოგიკურად დასაბუთება, რაც ეფუძნება გრამატიკის ან ლექსიკის სავარაუდო სირთულეს. გამონაკლისია განცალკევებული, სწორხაზოვანი მიმართულება, რომლის დასასრულიც ნაკლებად მყისიერია.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის

1. როგორ დაჰყოფთ კურსის მიზნებს *ერთეულების* მიზნებად?
2. რა მარკას გამოიყენებთ თითოეული *ერთეულის*ათვის? დამოკიდებული იქნება იგი, მაგალითად თემაზე, მაკრო უნარზე, საკომუნიკაციო დავალებაზე?
3. ექნება *ერთეულს* დამატებითი ქვედანაყოფები?
4. *ერთეულები* და მათი ქვედანაყოფები თანამიმდევრულ მიდევნას საჭიროებს თუ შესაძლებელია მათი მოდულარულად გამოყენება?
5. ენის რა მახასიათებლების აქცენტირება მოხდება *ერთეულის* მიზნების სახით?
6. როგორ განსაზღვრავთ სხვადასხვა მიზნების მნიშვნელობის „ხარისხს“?
7. რა პრინციპებს გამოიყენებთ სხვადასხვა მიზნების დასაჯგუფებლად ერთ თანამიმდევრულ *ერთეულ*ში?

6. რა სახის მიდგომები იქნება გამართლებული?

კომპეტენციების მე-6 თავი გამოჰყოფს ენის შესწავლის და სწავლების პროცესების მთელ სპექტრს. მიდგომები ცვალებადობს მასწავლებლის მრწამსის და იმის მიხედვით, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას, აგრეთვე შემსწავლელის ტიპის, რესურსის ხელმისაწვდომობისა და ინსტიტუციონალური კონტექსტის მიხედვით. სახელმძღვანელოთა გონიერი ავტორები, სულ მცირე, აღიარებენ ამ ფაქტორებს საკუთარ მასალებში.

აღბათ, სადავო არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ პრაქტიკოსებისა და შემსწავლელების უმრავლესობის აზრით, უცხო ენის შესწავლა შესაძლებელია დაგეგმილი პროცესის შედეგად, როგორცაა კურსი; მისი დაუფლება შეიძლება ტექსტთან უშუალო შემხებით და / ან საკომუნიკაციო სიტუაციებში უშუალო მონაწილეობითაც, მნიშვნელობა, რომელსაც მასალების ავტორი ანიჭებს ამ მოსაზრებებს, დიდ ზეგავლენას მოახდენს თვით მასალებზე.

„... „ტრადიციული აზროვნების“ მიმდევარი შემსწავლელების, მასწავლებლებისა და მათი მხარდამჭერი სამსახურების უმრავლესობა, უფრო ეკლექტური პრაქტიკის მომხმარე იქნება აღიარებს რა, რომ შემსწავლელები ყოველთვის იმას არ სწავლობენ, რასაც მასწავლებლები ასწავლიან და რომ ისინი მოითხოვენ როგორც ენის კონტექსტულურად და გასაგებად მიწოდებას, ისე შესაძლებლობებს ენის ინტერაქტიულად გამოყენებისათვის, ამასთან, მათ სურთ სწავლის გაადვილება, განსაკუთრებით, საკლასო ოთახის ხელოვნურ პირობებში, გაცნობიერებულად სწავლისა და საემარისი პრაქტიკის კომბინირების გზით, რომ შემცირდეს და ან საერთოდ არ მიექცეს ყურადღება არც წერა-კითხვის დაბალი დონის ფიზიკურ უნარებს და არც მორფოლოგიურ და გრამატიკულ სიზუსტეს, რაც, თავის მხრივ, გონებაში ადგილს გამოათავისუფლებს კომუნიკაციის მაღალი დონის სტრატეგიებისათვის“. (*კომპეტენციები* 6.2.2.2)

სახელმძღვანელოების ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები მათსავე მასალებს უნდა უმაგრებდეს საფუძველს. კომპეტენციების პროდუქტი 6.4 უზრუნველყოფს დახმარებას ამ მოსაზრებათა ფორმულირებაში.

მასალაში მოცემული მიდგომების წვდომა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაკვეთილი ორგანიზებული. რას ვგულისხმობთ აქ გაკვეთილში? პირველყოფლისა, იგი არის დროის ის პერიოდი, ან სწავლის ის იუნიტი, რომლის განმავლობაშიც ვცდილობთ სწავლის / სწავლების განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ამასთან, იგი არის სტრუქტურა, შემოტანილი რომელიმე ინსტიტუციონალური სისტემის, აგრეთვე, მასწავლებლისა და სახელმძღვანელოს ავტორის მიერ, რომელიც ქმნის მასალებს დროის მოცემული პერიოდისა თუ კონკრეტული სასწავლო იუნიტისათვის. კარგი გაკვეთილი გულისხმობს დავალებებისა და აქტივობების ისე დალაგებას, როგორც არის, რადგან მასწავლებელი / ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა ეფექტური იქნება შემსწავლელებთან მიმართებაში. ამ მიზანზე გათვლით, ახდენს ავტორი გაკვეთილის მასალების თანმიმდევრობის განსაზღვრას.

კარგი ავტორი ყველანაირი მასალის შექმნას შესძლებს მიუხედავად იმისა, ეს ნაშრომი მასწავლებელზე შემსწავლელზე, მთელ კლასზე / ჯგუფზე / ინდივიდზე იქნება ორიენტირებული, თუ ახსნა-განმარტებითი ან მითითებითი ხასიათი ექნება. უნარი მასალების ასეთი მრავალფეროვნების შექმნისა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ავტორისათვის. მაგრამ უნდა განიხილოს ამ მიდგომების კურსის ცალკეულ ნაწილებთან შესაბამისობის საკითხიც. შეიძლება ისეც აღმოჩნდეს, რომ ესათუ ის მიდგომა გამოსადეგი იყოს მასალებისათვის, მხოლოდ სხვადასხვა საშუალებების ან მიზნების არსებობის პირობებში.

მაგალითად:

შეიძლება მოისურვოთ საკლასო ოთახში გრამატიკაზე აქცენტირება, კოპერაციული მიკვლევის გზით, ისე, რომ სტუდენტებმა ივარჯიშონ კონტექსტზე / გამოყენებაზე და შემდეგ სცადონ გამოყენების წესებისა და ნიმუშების მიხედვით განზოგადება, თანატოლებისა და მასწავლებლის თანდასწრებით, ერთი მხრივ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ კვლევას მეგზურობა ახლავს თან, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ამზადებთ დამატებით გრამატიკულ მასალას სახელში დამუშავებისათვის, რომლის მიზანიცაა დამატებითი პრაქტიკისა და ახსნა-განმარტების მიწოდება, შეიძლება მიიჩნიოთ, რომ საკმარისად რჩება ადგილი ინსტრუქციულად ფლექსიური მასალისათვის. რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკას დახურული პასუხების პირობებში.

შეკითხები მასალების ავტორებისათვის:

1. როგორ ფიქრობთ, მასწავლებლებსა და შემსწავლელებს, რომლებიც თქვენი მასალებით სარგებლობენ, რა მოსაზრებები და მოლოდინები ამოძრავებთ მიდგომებთან მიმართებაში? რამდენად აღიარებს მათ ეს მასალები?
2. ენის შესწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული რა მოსაზრებები უდევს საფუძველად მასალებს?
3. რამდენად უზრუნველყოფს მასალები მეგზურობას ზემოხსენებული თვალსაზრისით?
4. რამდენად იძლევა მასალები დაუფლების საშუალებას?
5. რა არის გაკვეთილი, თქვენი მასალების გადმოსახედიდან? აყალიბებს ისინი გაკვეთილის გასაგებ სტრუქტურებს? თუ ეს ასეა, შეგიძლიათ აღწეროთ და დაუკავშიროთ ისინი თქვენეულ მოსაზრებებს, ენის, სწავლაზე / სწავლებაზე.
6. არსებობს განსხვავებული სტრუქტურები / თანმიმდევრობა სწავლის სხვა სახეობებისათვის, რომელთაც შეიძლება მოიცავდეს კურსი? შეგიძლიათ თითოეული ნიმუშის ლოგიკურად დასაბუთება?

NB დისკუსია მიდგომებთან დაკავშირებით გაგრძელდება 7.3-ში

1. დავალებათა რა სპექტრს უნდა შეიცავდეს მასალები?

თუ შემსწავლელებს ვკითხავთ, რას მოიცავს ენის სასწავლო სახელმძღვანელო, პასუხი სავარაუდოდ ასეთი იქნება – ტექსტებს, სავარჯიშოებს და ალბათ, მითითებებს; და ფაქტიურად, ისინი მეტნაკლებად მართლები არიან. მითითებებს თუ არ ჩავთვლით, კურსის მიწოდება ხდება ტექსტების (სასაუბრო და წერილობითი) და დავალებების საშუალებით; მასალების ავტორისათვის მთავარია, ამ ტექსტებსა და დავალებებში, ჩააქსოვოს კურსის მიზნები და საკუთარი მოსაზრებები ენის სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებით. რა პრინციპებითაც არ უნდა ვიხელმძღვანელოთ შერჩევას, ტექსტები ტექსტებად რჩება. მათ არანაირი ღირებულება არ გააჩნია, თუ შემსწავლელებს არ მივცემთ მათთან ინტერაქციის საშუალებას – დავალებების პრეზენტაციის სახით. ასე, რომ ჩვენს მიერ დავალებებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები არსებითი მნიშვნელობისაა. ფაქტიურად, დავალების შედგენა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ცუდად შედგენილი დავალებები სახელმძღვანელოს გამოუსადეგარს ხდის და არსებობის უფლებას აღარ უტოვებს. კარგად შედგენილი დავალებებით, სწავლა და მათზე მუშაობა კი, ერთი სიამოვნებაა. სამწუხაროდ, დავალებების ხარისხი და სპექტრი, სახელმძღვანელოს საკლასო ოთახში გამოყენებამდე, გაურკვეველია. თუ სახელმძღვანელოების შერჩევა მხოლოდ გადათვალისწინებით ხდება და არა შემოწმებით, ზემოსწენებული მნიშვნელოვანი ასპექტი გაუცნობიერებული რჩება.

სწორედ დავალებების შედგენა აძლევს ავტორს საშუალებას, წიგნში შეიტანოს ცალკეული აქცენტობრივი ასპექტები – ალბათ, ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციის სფეროებში – და ამასთან, სტიმული მისცეს კონკრეტული სტრატეგიებისა და პროცესების განვითარებას.

7. 1. დავალების ტიპები და დავალებაში აქცენტობრივი ასპექტები

ენის სასწავლო სახელმძღვანელოს გადმოსახედიდან, დავალება არის მასალებში ჩართული აქტივობა, რომლის შესრულება „... მოიცავს განსაზღვრული კომპეტენციების სტრატეგიულ აქტივობას, რომ შესაძლებელი გახდეს, მთელი რიგი გამიზნული ქმედებების შესრულება კონკრეტულ სფეროში და განსაზღვრული შედეგის მიღება“ (*კომპეტენციები 7.1*)

დავალებები შეიძლება იყოს იმ დავალებათა მსგავსი, რომელთა შესრულებაც უწევს შემსწავლელს რეალურ ცხოვრებაში (როგორცაა ფაქტით სასტუმროს ნომრის დაჯავშნა; ინსტრუქციის წაკითხვა; ლექციაზე ჩანიშვნების გაკეთება) ან შეიძლება პედაგოგიურ ხასიათს ატარებდეს და უშუალოდ შემსწავლელის მოთხოვნებს არ უკავშირდებოდეს; მაგალითად, შემოქმედებითი წერილობითი დავალებები შესაძლოა კარგ მოტივაციას იძლეოდეს და ეხმარებოდეს შემსწავლელებს ენის შესაძლებლობების მიკვლევაში, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა რომ ისინი უცხო ენის რეალური ცენზი იყოს. გასათვალისწინებელია იმ კომუნიკაციის ფასეულობაც, რომელიც მყარდება შემსწავლელებს შორის დავალების შესრულებისას – შერჩევის, მართვის ან შეფასების გზით.

ურიგო არ იქნება, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ დავალებაში აქცენტობრივი ასპექტები (ენის, შინაარსის, შემსწავლელი განვითარების, ა. შ. რა ელემენტები) და დავალების ტიპი (როგორ უნდა მიუდგინენ შემსწავლელები მასალებს, ადამიანებს, რომლებიც მათთან ერთად სწავლობენ, მასწავლებელს და ალბათ, რეალურ სამყაროსაც).

დავალების ტიპებისა და იმ ასპექტების შერჩევა და კომბინირება, რომლებზეც უნდა გაკეთდეს აქცენტი, სათანადო ტექსტებთან ერთად მასალების შექმნის პროცესის არსია, რადგან ამ დროს მიღებული გადაწყვეტილებები და გაკეთებული არჩევანი ფუნდამენტურ ზეგავლენას ახდენს მასალების სიცოცხლისუნარიანობასა და საჭიროებაზე. აუცილებელია დაფიქრება არა მხოლოდ ცალკეულ დავალებებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ხდება მათი შეთავსება და თანმიმდევრობის განსაზღვრა, რომ შეიქმნას სასწავლო იუნიტი; ან როგორია ისინი მასწავლებლებისა და შემსწავლელების გადმოსახედიდან, რომლებიც ამ დავალებებს უშუალოდ კლასში, გაკვეთილზე იყენებენ.

დავალებების კლასიფიცირება მრავალნაირად შეიძლება, ამ შეკითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვითაც:

- რა სახის პროცედურებს მოიცავს დავალებები?
- ისინი მარტივია (ერთსაფეხურიანი) თუ კომპლექსური (მრავალსაფეხურიანი)?

– ისინი ცხოვრებისეულია (მისადაგებული იმ საკომუნიკაციო დავალებასთან, რომელიც რეალურად შეიძლება შეგვეხედოს) თუ პედაგოგიური (სადაც გამართლებას წარმოადგენს რეალური საკომუნიკაციო დავალების შესრულებისათვის მზადება)?

– როგორია თანმდევნი პირობები და შეზღუდვები?

– სირთულის რა დონეები ასოცირდება ამ დავალებებთან?

– რა სახის კომპეტენციებს მოიცავს ისინი?

– რა სახის სტრატეგიებს ასტიმულირებს ისინი?

– რა როლი უნდა შეასრულოს შემსწავლელმა დავალების განხილვისას?

– მათი დაბოლოება ღიაა (მრავალი შესაძლო შედეგით) თუ დახურული (ერთი სწორი შედეგით)?

– ისინი, პროდუქტზე ორიენტირებულია (ვართ დაინტერესებული ძირითადად იმით, რასაც სტუდენტები ქმნიან) პროცესზე (ვართ დაინტერესებული ძირითადად იმით, რაც დავალების შესრულებისას ხდება) თუ ორივეზე ერთად?

კომპეტენციების მე-7 თავი ძალზე გამოსაძეგ პერსპექტივებს გთავაზობს დავალების შედგენასთან მიმართებაში და მკითხველებს ვურჩევთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პუნქტს 7.3, რომელიც დავალების სირთულეს ეხება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დავალებების ტიპებზე ფიქრსა და გარკვეულწილად მათ კლასიფიცირებას, გააადვილებს ცალკეული სიტყვების განხილვა, რომლებიც გთავაზობს ამ ტიპებს. ასეთი სიტყვების ჩამონათვალი მოცემულია დიაგრამაში 3. და ზოგიერთისათვის განსაკუთრებით რეზონანსულია. მათი უმრავლესობა ინსტრუქციული ხასიათისაა და გვხვდება სახელმძღვანელოების დავალებათა რუბრიკაში. მათი კომბინირება იმ ასპექტებთან, რომლებზეც აქცენტს აკეთებს დავალება, ქმნის ერთგვარ მატრიცას, რომელიც კონკრეტული დავალებების თითქმის უსაზღვრო რაოდენობის შედგენის საშუალებას იძლევა. თუმცა, დავალებების ყველა ტიპი, ვერ გამოდგება ასპექტების აქცენტირებისათვის, მაგალითად, კომენტირება განსაკუთრების სასარგებლოა, როგორც ვიდეო დავალება. შემსწავლელებს შეუძლიათ მოემზადონ მოვლენათა ვიზუალური თანმიმდევრობის გახმოვანებისათვის. შეწყვეტა კარგია იმ დავალებების შემთხვევაში, რომლებიც მოსმენას ან ყურებას უკავშირდება. ამ დროს ხდება აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გაჩერება და შემსწავლელებს სთხოვენ პროგნოზირებას ჩანაწერის შესაძლო გაგრძელებასთან მიმართებაში. განვრცობა / გაგრძელება, განსაკუთრებით სასარგებლოა შემოქმედებითი წერის კონტექსტში, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ მიღებული მინიმალური ინფორმაციის განვრცობას და საკუთარი ისტორიის მოყოლას, ან თვალთ ნანახის აღწერას, მასწავლებლის მიერ შემოტანილი შეზღუდვების ფარგლებში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კონკრეტული დავალებები მხოლოდ ცალკეული მაგალითებია, რომლებიც გვიკარნახა ერთმა სიტყვამ. მსგავსი ერთსიტყვიანი მინიშნებები შესაძლოა სრულიად განსხვავებული დავალებების საფუძველი გახდეს ჩვენს შემთხვევაში.

დავალებების ასეთი მატრიცის გამოყენებას, მთელი რიგი უპირატესობები აქვს. ქმნით რა საკუთარ ვარიანტს, აუცილებლად ითვალისწინებთ ასპექტებს, რომლებზეც უნდა გაკეთდეს აქცენტი მასალებში, და ოპციებს – დავალებათა ტიპებისათვის, ეს გახსენებთ დავალებათა შედგენის შესაძლებლობებს, რომლებიც შესაძლოა სხვა შემთხვევაში აზრადაც არ მოგსვლოდათ.

ეს ჩამონათვალი, ასევე, ახსენებს მასალების ავტორს დავალებათა მრავალფეროვნებას. მრავალფეროვნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დავალებათა შედგენისას. ის ღირებულია არა მხოლოდ დაინტერესების, ან მოტივაციის თვალსაზრისით, არამედ იმ მხრივაც, რომ საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ სწავლის რა სახეობებს ანიჭებენ სტუდენტები უპირატესობას და გვეხმარება სხვადასხვა სასწავლო უნარ-ჩვევების უკეთ გათვითცნობიერებაში.

დიაგრამა 3. დავალებების გენერატორი

დავალებაში აქცენტირებული ასპექტები

ლექსიკონი

გრამატიკა

მოსმენა

ა. შ.

ა. შ.

დავალებათა ტიპები

პრონოზირება

პასუხის გაცემა

კითხვის დასმა

შეწყვეტა
 მარკირება
 დაწვეილება
 გადატანა
 შერჩევა
 პოვნა / იდენტიფიცირება
 დაჯგუფება / კლასიფიცირება
 დაწვობა / განაწილება
 შედარება / შეპირისპირება
 დასკვნის გაკეთება / გამოცნობა / გულისხმობა
 გახსენება
 დასრულება
 ჩასმა
 შესწორება
 ამოღება / წაშლა
 განვრცობა / გაგრძელება
 გარდაქმნა / შეცვლა
 გაუმჯობესება
 აღწერა
 განხილვა
 ახსნა / გამართლება / არგუმენტირება
 ჩვენება / გათამაშება / კეთება
 თხრობა
 კომენტირება

მაგალითი:

დახედეთ ამ ტექსტს –

კაცი ჩამოჯდა ძელსკამზე.
 გახედა ზღვას.
 გაახსენდა თავისი ვაჟიშვილი.

დავალების პირველი ნაწილი გულისხმობს თქვენთვის (შემსწავლელისთვის) სურათის შექმნას იმასთან მიმართებაში, თუ რას მოიაზრებს ტექსტი. მეორე ნაწილი გულისხმობს ტექსტის განვრცობას, რომ ეს სურათი რაც შეიძლება ზედმიწევნით დაგიხატოთ, მაგრამ არის შეზღუდვები: შეგიძლიათ დაუმატოთ ნებისმიერი სასურველი სიტყვა ან ფრაზა, მაგრამ ყველა სიტყვა ტექსტის ორიგინალში თავდაპირველი წყობით უნდა გამოიყენოთ, ჯამში შეგიძლიათ მხოლოდ სამი წინადადების შედგენა.

რას მოიაზრებს ეს დავალება, პირველყოვლისა აქცენტს აკეთებს გრამატიკულ და ლექსიკურ კომპეტენციებზე, მოცემულია მინიმუმები და შეზღუდვები იმ სიტყვებთან და სიტყვათა ტიპებთან დაკავშირებით, რომლებიც შეგიძლიათ დაუმატოთ. შემსწავლელები აუცილებლად მოისურვებენ (დამოკიდებულია დონეზე). ზედსართავი სახელების, ზმნიზედების, წინდებუდიანი ფრაზების და ა. შ. დამატებას. მათ მიერ შერჩეული ლექსიკური ერთეულები შეზღუდვებს ექვემდებარება განლაგების თვალსაზრისით. დავალება წამოჭრის საინტერესო კულტურულ საკითხებს, ტრივიალურიდან დაწყებული (როგორი ძელსკამებია ზღვის პირზე) ფუნდამენტურით დამთავრებული (რა კულტურული დატვირთვა აქვს ამ მამაკაცის შვილთან განშორებას). შესაძლებელი იქნება ტექსტის საკუთარი ხედვით განვრცობა, ზოგიერთი შექმნის ბედნიერ სცენას, სურათს მზიანი დღით, სხვები უპირატესობას მიანიჭებენ უფრო მუქი, დამამწუხრებელი სურათის შექმნას, შემსწავლელებს სტიმული მიეცემათ, ენობრივ რისკზე წასვლისათვის, რადგან ამ დავალებას, სწორი პასუხი არ მოეძებნება. ყოველი ტექსტი ინდივიდუალურად შექმნილ სურათს ეფუძნება. თუ შემსწავლელები მოტივირებული იქნებიან საკუთარი სურათის შესაქმნელად, ისინი ეცდებიან, აზრის ზუსტად გადმოცემას. ეს მცდელობა ასახავს „ბრძოლას, აზრის რეალურად გადმოცემისათვის“ ასევე რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაში. დავალება განაპირობებს შემსწავლელების მონაწილეობას

ენობრივი პროცესებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების განხილვასა და კვლევაში, მაშინ, როცა, უშუალო აქცენტი კეთდება, მხოლოდ ლინგვისტურ კომპეტენციებზე.

7. 2. დავალებათა თანმიმდევრობის განსაზღვრა

კონკრეტულ დავალებში ტიპი არ ეკუთვნის რომელიმე კონკრეტულ მიდგომას. დავალებები ერთ-ერთი იმ ინსტრუმენტთაგანია, რომელთაც ვიყენებთ გაკვეთილებისა და მასალების სტრუქტურული აგებისათვის. დავალებების კომბინირებისა და თანმიმდევრობის განსაზღვრის ვარიანტები ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ასწავლის მასწავლებელი, გაკვეთილის ან იუნიტის თანმიმდევრობა, უკავშირდება, აგრეთვე, სწავლების მიდგომებს, მოსაზრებებს სასწავლო და საკლასო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

გაკვეთილის სტრუქტურის ტიპები.

მრავალი წელია დებატები მიმდინარეობს ენის გაკვეთილის ეტაპების თანმიმდევრობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეს დებატები, ხშირად საკმაოდ ცხარე განაპირობებს, ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების წამოჭრას, ფორმალურ გარემოში ენის სწავლასთან დაკავშირებული მოსაზრებების ირგვლივ. ერთ-ერთი ნაწილი ნდობას უცხადებს მასწავლებელზე კონცენტრირებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელი აქტიურად აწვდის ენის სწავლის დონეების მიხედვით დაყოფილ მასალას. ასტიმულირებს მკაცრ პრაქტიკას და შემდეგ სტუდენტებისაგან მოითხოვს მიწოდებული მასალის როგორცაა პროდუცირებას, მეორე მოსაზრების თანახმად, საკმარისია შემთვევითი შემხეობა ენასთან იმისათვის, რომ შემსწავლელი დაეუფლოს მას სასურველი და საჭირო მოცულობით. მოსაზრებების, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ენების სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა პოზიციებს იკავებს კონტინუუმზე ამ ორ უკიდურესად განსხვავებულ შეხედულებას შორის.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არ მოიძებნება მასწავლებელი, რომელიც არ დაეთანხმება იმ ფაქტს, რომ ენის კარგი გაკვეთილი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ასპექტით. გთავაზობთ პატარა ჩამონათვალს იმ ასპექტებისა, რომელსაც უნდა მოიცავდეს ენის გაკვეთილები (ჩამონათვალს არ გააჩნია კონკრეტული თანმიმდევრობა)

- გარკვეული მითითებაა გაკვეთილის მიზნებზე
- ინფორმაციის მიწოდება ენის შესახებ
- კავშირი წინა გაკვეთილებთან
- მითითება შემდგომ სწავლაზე, პრაქტიკაზე ან კვლევაზე და სამომავლო გაკვეთილებზე

ამას ემატება შემდეგი შესაძლებლობების გათვალისწინება შემსწავლელთათვის...

- იმ ენის გამოყენება, რომლიც უკვე იციან
- რეალური ან თითქმის რეალური ენის გამოყენებისათვის თვალყურის დევნება
- შესასწავლი ენის ელემენტებზე ვარჯიში, გარკვეული მეგზურობითა და დახმარებით

- გაკვეთილის შინაარსის შესახებ ჩანაწერის გაკეთება

ეს ყველაფერი იმ კონტექსტში, რაც შემსწავლელებს მოტივაციას აძლევს მონაწილეობისათვის

ამ ძირითადი ელემენტების ადგილი კონკრეტულ გაკვეთილში და ის, თუ ვინ მონაწილეობს ასეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, საფუძვლად უდევს ბოლოდროინდელ დებატებს ენის სწავლების / სწავლის თანმიმდევრობის განსაზღვრასთან მიმართებაში. თუმცა, ახლა ამ დებატების დეტალურად განახლებას ვერ შევუდგებით. ტრადიციულად სწავლების თანმიმდევრობა განისაზღვრებოდა ე.წ. P-P-P-ით, სადაც (ამ ტერმინის ზუსტი ინტერპრეტაციის მიხედვით) მასწავლებლის მიერ შესასწავლი ენის პრეზენტაციას (P) მოჰყვება კონტროლირებადი პრაქტიკა (P) და შემდეგ პროდუცირება სტუდენტის მხრიდან (P). სხვა ალტერნატივების უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მიკვლევით სწავლასა და შემსწავლელზე კონცენტრირებას. მაგალითად, სკრივერი (1994) გთავაზობს გაკვეთილის ეტაპების ნაკრების მოდიფიცირებულ, უფრო ფლექსიურ ვარიანტს. ამ ეტაპების გაერთიანება ხდება სხვადასხვა თანმიმდევრობით სხვადასხვა მიზნებისან გამომდინარე, ავთენიკურ გამოყენებაზე (A), შეზღუდულ გამოყენებაზე (R) განმარ-

ტებასა და აქცენტირებაზე დაყრდნობით (C), უილისი (1996) გვთავაზობს ენის დავალებზე დაფუძნებულ სწავლას საკლასო ოთახის ფარგლებში: სავალებამდე ფაზა, სადაც შემსწავლელები ეცნობიან თემასა და დავალებას; დავალების ეტაპი, რაც გულისხმობს თვით დავალების შესრულებას შემსწავლელების მიერ და დაგეგმვის ეტაპი, სადაც შემსწავლელები ერთიანდებიან ჯგუფებად და განიხილავენ, თუ რა გზებით სცადეს დავალების შესრულება და როგორ აპირებენ დავალების ენის შესწორებას, პერეფრაზირებასა და რეპეტირებას. დაბოლოს, არის ანგარიშის ეტაპი, რაც გულისხმობს შემსწავლელების მიერ კლასისათვის ანგარიშის ჩაბარებას და მასწავლებლის მხრიდან გამოხმაურებას შინაარსსა და ფორმასთან მიმართებაში. ზემოთ მოცემული ჩამონათვალი სრულად შეესაბამება იმ ყველაფრის დესკრიფციას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაკვეთილზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4 გვთავაზობს ერთ-ერთ ვარიანტს იუნიტში დავალებათა თანმიმდევრობის განსაზღვრისა, ეს იუნიტი თემას ეფუძნება და მის მიზნებში შედის: ახალი ენის პრეზენტაცია საინტერესო ტექსტთან შეხებით; შემსწავლელთა დახმარება ახალი ენის კომბინირებისთვის იმ ენასთან, რომელსაც უკვე იყენებენ და ახალი ენის გამოყენება მიზნობრივ, საკომუნიკაციო კონტექსტში. ამ თანმიმდევრობის ძირითადი მახასიათებლები იმაში მდგომარეობს, რომ შემსწავლელები მომზადებულნი არიან ყოველი ეტაპისათვის; მათ ახალ ენას სთავაზობენ მოტივაციის მიმცემი ტექსტებით; ფორმაზე ყურადღების გადატანამდე, შეუძლიათ ტექსტების გადახედვა მნიშვნელობის გასაგებად; შემსწავლელებს ასტიმულირებენ და მეგზურობას უწევენ გამოყენების წესებში გასარკვევად და ლექსიკონის შესადგენად ტექსტის ფარგლებს მიღმა; სთავაზობენ პრაქტიკას ძირითადად იმ ენაზე; და ახალი ენის გამოყენების მოსინჯვას თითქმის რეალურ საკომუნიკაციო კონტექსტებში. დესკრიპცია იწყება მასწავლებლის თვალთახედვით, თუმცა, დასაშვებია მისი შექმნა შემსწავლელის გადმოსახედიდანაც.

დიაგრამა 4. გაკვეთილი ნიმუშის სახით და მისი თანმიმდევრობა

ა. მომზადება ტექსტის მოსაწოდებლად

- ცოდნის აქტივიზირებით
- მოლოდინის აქტივიზირებით (ჟანრთან, ტექსტის ტიპთან, ლექსიკასთან, გრამატიკასთან და ა.შ მიმართებაში)
- მომიჯნავე მასალის გადახედვით / მითითებით
- პესონალიზაციით

ბ. ტექსტთან შეხებისთვის სტრატეგიის განვითარების სტიმულირება კითხვისას / მოსმენისას შესასრულებელი დავალებების განსაზღვრით.

დამუშავების სხვადასხვა ტიპების სტიმულირება

ტექსტთან, როგორც კომუნიკაციის ერთგვარ მონაკვეთთან შეხებით

- მნიშვნელობის გაგებაზე აქცენტირებით
- ტექსტის დანიშნულების / ჟანრის / მონაწილეები ამოცნობით
- საერთო არსის გასაგებად, კითხვით / მოსმენით
- დეტალების გასარკვევად, კითხვით / მოსმენით
- შემადგენელი ნაწილების საკომუნიკაციო ფუნქციის იდენტიფიცირებით სიტყვების მნიშვნელობის გაგებით / მიხვედრით
- ტექსტის გადახედვით, მისი ფორმალური მახასიათებლებიდან გამომდინარე – აქცენტირება იმაზე, თუ რატომ და როგორ აქვს ფორმას ასეთი მახასიათებლები
- ფორმალური მახასიათებლების იდენტიფიცირებით (როგორიცაა გრამატიკა)
- ფორმალური მახასიათებლების საკომუნიკაციო ფუნქციასთან დაკავშირებით.

გ. ტექსტებზე მუშაობის დამთავრება

- შინაარსის განხილვით (მისი საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებით)
- ფორმალური მახასიათებლების გამოყენების განზოგადებით
- ტექსტის ლექსიკონით დაკავშირებით, ფორმით, მნიშვნელობისა და გამოყენების მიხედვით მსგავს ლექსიკონთან.

დ. ახალი ენის პიროვნულ და პროდუქტიულ კონტაქტში შეტანა და გამოყენება საკომუნიკაციო დავალებების, მიზნის, განსაზღვრული აუდიტორიის ა. შ. მიხედვით.

შეკითხვები მასალების ავტორებისათვის:

1. ტექსტის რა ტიპის გამოყენებას აპირებთ მასალებში?
2. რაზე გააკეთებს დავალება აქცენტს ყოველი იუნტისა და გაკვეთილის ფარგლებში?
3. დავალებები მოიცავს მხოლოდ რეალურ (გამოცდების ჩათვლით) დავალებებს, რომელთა შესრულებაც შეიძლება დასჭირდეთ შემსწავლელებს?
4. დავალება საკმარისად მრავალფეროვანია, მაგალითად, ტიპის, შედეგის, თანამოსაუბრეთა რაოდენობის, ტექსტების რაოდენობის მიხედვით?
5. ითხოვს თუ არა დავალებები შემსწავლელებისაგან სხვადასხვა როლების შესრულებას – ინტერაქციაში ინიციატორი, მოპასუხე, მიმღები, მიმწოდებელი, მედიატორი?
6. არსებობს თუ არა გამოსადეგ სტრატეგიებთან მიმართებაში შემსწავლელთა გათვითცნობიერებულობის გავითარებაზე აქცენტირების საჭიროება, რომ მათ შესძლონ ცალკეული დავალებების მოთხოვნებისათვის თავის გართმევა?
7. არსებობს თუ არა სათანადო დავალებები, კოგნიტური და ლინგვისტური სირთულის; ინტერესისა და შემსწავლელთან შესაბამისობის; დახმარებისა და უზრუნველყოფილი დროის; დავალებათა განსაზღვრისა და რუბრიკის სიცხადის თვალსაზრისით?

8. როგორ მოხდება მასალებში შესატანი ტექსტების შერჩევა?

სახელმძღვანელოში შესატანი სათანადო ტექსტების მოძიება ან შექმნა ავტორისათვის დიდი გამოწვევაა და მნიშვნელოვანია ამ უნარის განვითარება. LSP-ის სახელმძღვანელოების ავტორები გარკვეულ დახმარებას ღებულობენ სათანადო ტექსტების შერჩევისას, შინაარსიდან გამომდინარე. შეზღუდვების ან შესაძლებლობების მიხედვით, მაშინ, როცა, სხვა სახელმძღვანელოების შემთხვევაში, ავტორებს, ძირითადად, საკუთარი მოსაზრებითა და ინტუიციით უწევთ ხელმძღვანელობა. კარგი ტექსტის შერჩევის მნიშვნელობის საკმარისად აქცენტირება შეუძლებელია. ახალი სახელმძღვანელოების გადათვალისწინებისას სწორედ ტექსტები და მათი თანმხლები ვიზუალური მასალა განაპირობებს მასწავლებლების არჩევანს – ტექსტები ან იზიდავს მათ, ან არა. იგივე ითქმის შემსწავლელზეც.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი შეიძლება ვერ აკონტროლებდეს წიგნის შექმნისას ზემოთ ხსენებულ ელემენტს, ტექსტების ვიზუალური პრეზენტაციის ფორმას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ენის სახელმძღვანელო სწავლის სამყაროა, რომელშიც ავტორმა უნდა შეიყვანოს შემსწავლელები. ამისათვის უნდა შესძლოს შემსწავლელების დარწმუნება, რომ შემოთავაზება საინტერესო, შესაფერისი და მასტიმულირებელია. ილუსტრაცია, თუ ეს შესაძლებელია, ყოველთვის უნდა ახლდეს ტექსტს, რაც უფრო მეტად ტოვებს ტექსტი ავთენიკურობის შთაბეჭდილებას, მით უკეთესი.

რა თქმა უნდა, არსებობს შეზღუდვებიც ტექსტის შერჩევისას, როცა ხდება ისეთი კურსის დაგეგმვა, სადაც სასწავლო საშუალებად წიგნი გამოიყენება. ჩვეულებრივ, გამომცემლები მოითხოვენ, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას გათვალისწინებული იყოს თანაფარდობა ადგილისა (გვერდების თვალსაზრისით) და მეცადინეობისთვის გამოყოფილ დროს შორის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ კურსის სახელმძღვანელოში ადგილი მოიძებნებოდეს ძალზე განვრცობილი საკითხავი მასალის ან ისეთი ტექსტებისთვის, რომლებიც სასწავლო მიზნების ერთობლიობას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, სამ-

წახაროდ, არსებობს შეზღუდვა, რომელიც ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ერთი ან ორი მოცულობრივად შეზღუდული ტექსტის განხილვას იძლევა.

8. 1. ტექსტები რეალური უნდა იყოს თუ დამუშავებული?

დებატები იმასთან დაკავშირებით ტექსტები რეალურად კომუნიკაციიდან აღებული ნაწყვეტები უნდა იყოს თუ საგანგებოდ ენის შესასწავლად უნდა იწერებოდეს, ყოველთვის ცხარე იქნება. თუმცა, ეს დებატები უფრო თეორიულ საკითხებს ეხება, ვიდრე პრაქტიკულს, რომელთანაც უწევთ შეხება მასალების ავტორებს.

სიტყვის, ჟანრის ანალიზის და სხვა კვლევები, უზრუნველყოფს გარკვეულ ინფორმაციას, კომუნიკაციაში გამოყენებადი ენის ბუნებრივი მახასიათებლების შესახებ – განსაკუთრებით, ინგლისურში. LSP-ის ზოგიერთ კონტექსტში ეს ინფორმაცია საკმაოდ დეტალურია და სწვდება ტექსტის ორგანიზაციას, ლექსიკურ მახასიათებლებს, მიკრო და მაკრო ფუნქციონალურ მახასიათებლებს, თუმცა, გაცილებით ბუნდოვანია იმფორმაცია ენის ზოგად გამოყენებაზე, სადაც სიტუაციის, ადგილის მონაწილეებისა და მიზნების სახით არსებული ცვლადები გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა.

რომც ვფლობდეთ მეტ ინფორმაციას, ენის ბუნებრივი მახასიათებლების შესახებ ყველა შესაძლო ზოგად კონტექსტში, ტექსტების შერჩევა მაინც გაგვიჭირდებოდა. ნებისმიერი რეალური ტექსტი, მაგალითად ნაწყვეტი სასაუბრო ინტერაქციიდან, ძალზე ცოტა მაგალითს თუ მოიცავს იმ ბუნებრივი მახასიათებლებისა, რომლებთანაც გვინდა, რომ ჩვენს შემსწავლელებს ჰქონდეთ შეხება, ამიტომ უნდა გადავწყვიტოთ, გამოვიყენებთ ასეთ რეალურ ტექსტს, თუ შევადგენთ დამუშავებულ ტექსტს, რომელიც უფრო მეტად მოიცავს გასთვალისწინებელ ბუნებრივ მახასიათებლებს.

მთავარი ის არის, რომ მასალების ავტორებმა გააცნობიერონ რა არის ბუნებრივი მახასიათებლები, საკმარისი არ არის მხოლოდ რეალური ნიმუშების ამოღება ტექსტებიდან და იმგვარად ადაპტირება, რომ უფრო მეტად გამოყენებადი იყოს და მიესადაგებოდეს იმ პარამეტრებს, რომლებიც ჩვენი თვალთახედვით ტექსტებთან მიმართებაში უნდა გვხვდებოდეს. ბუნებრივია, კარგი ტექსტის ადაპტირება ან დამუშავება, მსგავსი რეალური ტექსტის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, თუ მასალების ავტორები არ განიხილავენ რეალურ ტექსტებს, მათ მიერ შედგენილი ვარიანტები არა მხოლოდ მოსაწყენი იქნება, არამედ ფრიად მოკლებულია ბუნებრივ მახასიათებლებს. ეს განსაკუთრებით, გასათვალისწინებელია სასაუბრო ტექსტების შემთხვევაში, რომელთა დამუშავებას ხშირად მოჰყვება ყველა ინტერაქტიული მახასიათებლის გამოტოვება. მაგალითად ამგვარად დამუშავებული ორმხრივი საუბარი, შეიძლება ძალზე მრავალფეროვანი და ზემოწვევით კითხვა-პასუხების სერიებად იქცეს. თქვენს მიერ დამუშავებული საუბრის შესამოწმებლად, შეგიძლიათ მიმართოთ ორ მეგობარს (მეგობრები, რომლებიც პროფესიონალი მსახიობები არიან, უკეთესი ვარიანტია) და სთხოვთ რომ გაითამაშონ იგი. ისინი მყიდვე შეამჩნევენ, რამდენად შეესაბამება საუბრის სიტყვები იმ სათქმელს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში იქნებოდა საჭირო. მეორე აპრობირებული მეთოდი გულისხმობს, მსახიობების გამოყენებას, რომლებიც თამაშობენ არა დამუშავებული ტექსტებით, არამედ ჩანაწერებით. მაგრამ ეს შეიძლება სახიფათოც კი იყოს. რადგან მსახიობებს სჩვევიათ დრამატიზება ისეთ გარემოებებში, სადაც ჩვენ შეიძლება უფრო მეტ რუტინას და აზრთა ბუნებრივ ურთიერთგაცვლას ვეძებდეთ!

8. 2. ტექსტის რა ცვლადები უნდა გავითვალისწინოთ?

სახელმძღვანელოებში შეტანილი ტექსტები შესაბამისი უნდა იყოს საკომუნიკაციო ღირებულებისა და ენის მახასიათებლების თვალსაზრისით; ამასთან, მაქსიმალურად საინტერესოც, შემსწავლელთა სტიმულირებისა და მიზიდვისათვის. სპექტრი, რომელსაც კურსი მოიცავს მრავალფეროვანი უნდა იყოს და ავტორების მიერ მხედველობაშია მისაღები შემდეგი ასპექტები: ტექსტების მიახლოება რეალურ ტექსტებთან; ჟანრი / ტექსტის ტიპი; საშუალება; მოცულობა; სტრუქტურული კომპლექსურობა და ლექსიკური დატვირთვა; მათი გამოყენება ენის სასწავლო დავალებების ინსტრუმენტებად; მიუხედა-

ვად იმისა, შემსწავლელების შემხეობა ტესტებთან რეცეფციული, პროდუქტიული, ინტერაქტიული, თუ მედიატორული ხასიათის იქნება (კომპეტენციები -4.6)

ტექსტები შესაძლებელია განვიხილოთ გასართობის პროცესის შემადგენელ ნაწილადაც. ამ შემთხვევაში ტექსტის მიწოდება და / ან გაცემა აუცილებელი არ არის შეესაბამებოდეს რეალურ ტექსტს, მაგრამ შემსწავლელებს შორის ინტერაქციას მისი დამუშავების ან პროდუცირებისათვის, რეალური პედაგოგიური ღირებულება აქვს და რეალურად მოტივირება შეუძლია. შემსწავლელები შემოქმედებითად უღებებიან ტექსტის ერთ თამაშს, რომ შეისწავლონ პარამეტრები, თუ რა არის შესაძლებელი, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ შემსწავლელებს მოეუწოდებთ შემოქმედებით წერაზე, სავარჯიშოდ საკლასო ოთახის ფარგლებში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ იგივეს კეთება მოუწევთ უცხო ენაზე რეალურ სიტუაციებში. ამ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება შემოქმედებითი პროცესის პედაგოგიურ ღირებულებაზე და არა წერის შედეგზე.

შეითხვები მასალების ავტორებისათვის:

1. მოცემული ტექსტი რამდენად შესაფერისი და საინტერესო შეიძლება იყოს შემსწავლელებისათვის?
2. არის თუ არა ეს ტექსტის ის ტიპი, რომელთან შეხებაც შეიძლება მოუწიოთ შემსწავლელებს?
3. წარმოდგენილია იგი ვიზუალურად მიმზიდველი ფორმით?
4. ჰგავს იგი რეალურ ტექსტს?
5. რამდენად შესაბამისია ტექსტი მოცულობის, სტრუქტურული კომპლექსურობის და ლექსიკური დატვირთვის თვალსაზრისით?
6. შესაბამისია გამოყენებული საშუალება?
7. ექვემდებარება ტექსტი ენის სასწავლო მიზნებით გამოყენებას?
8. ამ ტექსტზე დაფუძნებული დავალებები რამდენად გამოადგებათ შემსწავლელებს მსგავს ტექსტებთან შეხებისას რეალობაში-ინტერაქტიულად, პროდუქტიულად, აქტიურად, მედიაციაში?

დანართი (A): რჩევები მასალების შედგენის პროცესთან დაკავშირებით

- არასოდეს დაიჯეროთ, რომ ადეკვატურად შესაძლებელ საკუთარი ნაშრომის რედაქტირებას
- ყოველთვის გამოიყენეთ სიტყვათა პროცესორის ფაილები!
- ყური დაუგდეთ რედაქტორებს, მათ შეიძლება არ იცოდნენ იმდენი ენის სწავლის შესახებ რამდენიც თქვენ, მაგრამ ჩვეულებრივ, ბევრად უკეთესად ესმით რედაქტირება და წიგნების შექმნა.
- წიგნის ყოველი ცარიელი ფურცელი ძვირადღირებულია, გაუფრთხილდით მას, თქვენს მიერ დასმული ყოველი ნიშანი გარკვეულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს!
- გაითვალისწინეთ, რომ თქვენს მიერ შედგენილი იუნიტი სტანდარტული მოცულობის უნდა იყოს.
- გაითვალისწინეთ, რომ იუნიტის შემთხვევაში, შეიძლება მოგიწიოთ ორმაგი გვერდის პრინციპით მუშაობა, რომლის მიხედვითაც, ორი გვერდი მიესადაგება ერთ ან ორ გაკვეთილს.
- გაითვალისწინეთ, გვერდის სვეტებად დაკაბადონება. ეს ხშირად უფრო ფლექსიურია და თვალისათვის ადვილად აღსაქმელი, მოზრდილი წიგნების შემთხვევაში, ასევე, უფრო ფლექსიურია ნახატთან მიმართებაშიც.
- რედაქტორთან ერთად გადაწყვიტეთ, ერთ გვერდზე სტრიქონების რაოდენობის საკითხი. წერის პროცესში გაითვალისწინეთ გვერდის დაკაბადონებაც. დატოვეთ ადგილი ნახატისა და ტექსტის სხვა დამხამარე მასალებისათვის.
- თქვენი პირველი მონახაზი „შავ ფურცელზე“ საკმარისი არ იქნება, სახელმძღვანელოები ხშირად რამდენიმეს საჭიროებს.
- თუ შესაძლებელია, კოლეგას სთხოვეთ თქვენი მასალების გადახედვა, გახსოვდეთ, რომ ქმნით სხვა მასწავლებლებისათვის და არა საკუთარი თავისათვის.
- დავალებების პარალელურად, შეადგინეთ პასუხებიც
- თუ წიგნის ზოგადი შინაარსით კმაყოფილი ხართ, ხელმეორედ გადაიკითხეთ იგი, ცალკეული მიზნების გათვალისწინებით, როგორცაა რუბრიკების სტანდარტიზაცია (და მოცულობის შემცირება); ნუმერაციისა და დასათაურების სისტემების სტანდარტიზაცია; ჩვეულებრივი მახასიათებლების არსებობის შემოწმება;
- თუ ადგენთ კურსის სახელმძღვანელოს საკლასო დანიშნულებით, გახსოვდეთ, რომ კიდევ ვიღაც მუშაობს თანმხლებ წიგნზე მასწავლებლებისათვის;
- მასალების შედგენა კოლეგების მიერ გამოყენებისათვის, შეიძლება შემაშინებელიც კი იყოს. თავდაცვით პოზიციას ნუ აირჩევთ, ეცადეთ, კრიტიკა და საპასუხო რეაგირება მასალების შედგენის პროცესის არსებით და ფასეულ მხარედ განიხილოთ.

დანართი B: მასალების შექმნის ეტაპების მაგალითი

– რაც შეიძლება მკაფიოდ განსაზღვრეთ იმ გარემოებების მახასიათებლები, რომლებშიც მასალები იქნება გამოყენებული;

– განსაზღვრეთ საგამომცემლო პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც უნდა იმუშაოთ – საშუალებები, კომპონენტები, წიგნის მოცულობა (კურსისათვის განკუთვნილი დრო და გვერდების რაოდენობა), გვერდის ზომა, ნახატის გამოყენების შესაძლებლობები...

– დაადგინეთ ვადები, განსაზღვრეთ ურთიერთობები რედაქტორებთან და გამომცემლებთან ა. შ.

– განსაზღვრეთ კურსის მიზნები და გააკეთეთ ჩამონათვალი;

– განსაზღვრეთ წიგნის ქვედანაყოფები (როგორცაა იუნიტები)

– დააჯგუფეთ მიზნები იუნიტის მიზნების სახით

– განსაზღვრეთ საკლასო მეცადინეობისათვის გამოყოფილი, დროისა და გვერდების ურთიერთმიმართება

– თავი მოუყარეთ წერილობით და სასაუბრო ტექსტებს, რომლებიც იუნიტში შესატანი მასალების ბირთვად შეიძლება იქცეს.

– მიიღეთ ზოგადი გადაწყვეტილება გაკვეთილის სტრუქტურასთან დაკავშირებით და დაყავით იუნიტის მიზნები გაკვეთილებად (მაგალითად, საკლასო ოთახში სწავლის ერთი მონაკვეთი) ჰკითხეთ საკუთარ თავს: რა ლოგიკური დასაბუთება მოეძებნება გაკვეთილების ასეთ თანმიმდევრობას იუნიტში, რა ლოგიკური დასაბუთება მოეძებნება დავალებათა თანმიმდევრობას, სხვადასხვა სახის გაკვეთილებში.

– შექმენით მასალების ნიმუში, ეს განსაკუთრებით ეხება პირველ და შემდგომ იუნიტებს.

– თუ შესაძლებელია შეამოწმეთ ეს ნიმუში, თუ არა ეცადეთ კომენტარის მიღებას იმ მასწავლებლებისაგან, რომლებიც კურსით ისარგებლებან.

– შექმენით მასალების პირველი მონახაზი „შავი ფურცელის“ სახით. თუ ქმნით სახელმძღვანელოს სწორხაზოვანი გამოყენებისათვის, უმჯობესია მასალებიც ასე დააწყოთ.

– ჩაასწორეთ მასალები იმ გრძნობების მიხედვით, რომლებიც დაგეუფლათ გამოხმაურების მიღებისას, ისწავლეთ გამოხმაურებაზე პოზიტიურად რეაგირება, მაშინაც კი როცა კრიტიკა უხეშად გენვენებათ – ეს ხელს შეუწყობს მასალების გაუმჯობესებას.

– გადახედეთ მთელ ტექსტს და შეამოწმეთ: დავალებათა ტიპების მრავალფეროვნება, აქცენტირებული ასპექტები მოცულობა და შეფასება, პერსონალიზაციის შესაძლებლობათა ხარისხი, ტექსტების სპექტრი, რუბრიკის სიცხადე, იუნიტების თანმიმდევრულობა, საკლასო დანიშნულებისა და სახლში პრაქტიკას დაფუძნებული მასალების ურთიერთმიმართება, ვიზუალური ხიბლი.

– შექმენით მასალების მეორე მონახაზი... შემდეგ, მომდევნო. როცა ხვდებით, რომ მათი დანახვაც კი აღარ გინდათ – ხელმეორედ შეამოწმეთ და ჩააწორეთ, განვლეთ ზედმეტი მანძილი – ეს ღირს იმად, რომ მასალები გამოქვეყნებული სახით იხილოთ!

დანართი C: საკონტროლო ფურცელი სახელმძღვანელოების შესარჩევად

1. შინაარსი

- სახელმძღვანელოს ავტორების ლოგიკური დასაბუთება გამოყენებულ მასალებთან მიმართებაში რამდენად გასაგებია?
- კურსის ძირითადი მიზნები და იუნიტები გასაგებია?
- ამართლებს მასალები ამ მიზნებს? როგორ ფიქრობთ შემსწავლელები შესძლებენ ამ მიზნების მიღწევას მოცემული მასალების გამოყენებით?
- მასალების მიზნები რამდენად მიესადაგება თქვენს შემსწავლელებს?
- მასალების დონე შესაბამისია?
- სწავლის გათვალისწინებული ტემპი შესაბამისია?
- მოცემული თემები ღირებული და საინტერესო იქნება შემსწავლელებისათვის?

2. საშუალებები

- კურსი წარმოდგენილია თქვენი კონტექსტისათვის გამოსადეგი და პრაქტიკული საშუალებებით?
- ხდება სხვადასხვა საშუალებების გამოყენება უნიკალური შესაძლებლობებისათვის?
- კურსის ყველა კომპონენტი არსებული მნიშვნელობისაა, თუ ზოგიერთი არჩევითია?

3. მეთოდოლოგია

- ექვემდებარება იუნიტები ორგანიზების რაიმე ნიმუშს? ხდება გაკვეთილების ორგანიზება მკაფიოდ განსაზღვრული სასწავლო პრინციპების მიხედვით?
- მასალებში წარმოდგენილი მოსაზრებები ენასა და სწავლასთან დაკავშირებით, კომფორტულობის განცდას გიქმნით?
- მოიცავს მასალები განსხვავებულ მიდგომებს სხვადასხვა მიზნებისათვის (კომპენენტები / საშუალებები)?
- იძლევა მასალები სწავლისა და დაუფლების საშუალებას?
- ახალი ენა ადექვატურად დამუშავებულია?

4. შემსწავლელის მხარდაჭერა

- გათვალისწინებულია მასალებში ის რესურსები, რაც შემსწავლელებს დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას მისცემს, სკოლის ფარგლებს გარეთ?

- მოცემულია სასარგებლო მითითებები?
- გათვალისწინებულია მასალები, შემსწავლელის განვითარებისათვის?

5. მასწავლებლის მხარდაჭერა

- უზრუნველყოფს მასალები სათანადო მხარდაჭერას, მეგზურობასა და განვითარებას, იმ მასწავლებლებისათვის, რომლებმაც შეიძლება აღნიშნული მასალებით იმუშაონ?

- არის მასალები საკმარისად ფლექსიური იმისათვის, რომ გამოცდილმა მასწავლებლებმა შესძლონ მათი მრავალნაირად გამოყენება? ექვემდებარება ისინი შევსება-დამატებას?

- შეიცავს მასალები ინფორმაციას კულტურასა და ენაზე, რაც მასწავლებლებს დაეხმარება?

6. თემები

- რამდენად საინტერესო, მიმზიდველი და მასტიმულირებელი შეიძლება იყოს ისინი შემსწავლელებისათვის?

- გათვალისწინებულია მათში შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მიესადაგოს შემსწავლელთა პიროვნულ გამოცდილებას, გემოვნებას?

7. ტექსტები

- რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ისინი შემსწავლელებისათვის?

- რამდენად ადექვატურია ისინი ენის, ტექსტის ტიპის, დავალების, ა. შ. თვალსაზრისით?

- რეალურ ტექსტებს ჰგავს?

- ვიზუალურად მიმზიდველია?

8. დავალებები

- მოცემულია დავალებათა ტიპების ფართო სპექტრი?

- იქნება ეს დავალებები თქვენი შემსწავლელებისათვის შესაფერისი, საინტერესო, მასტიმულირებელი?

- დავალების ტიპები იძლევა კომუნიკაციაში შემსწავლელის როლის ადექვატური ცვლილების საშუალებას?

- დავალების ტიპები ხელს უწყობს შემსწავლელის კომპეტენციებისა და სტრატეგიების აგრეთვე, ენობრივი კომპეტენციების განვითარებას?

9. პროგრესის შემოწმება

- უზრუნველყოფს მასალები ინსტრუმენტებს პროგრესის შესამოწმებლად?

- ხელმისაწვდომია დამატებითი ტექსტები?

- არსებობს მასალებთან დაკავშირებული რაიმე სახის გარე გამოცდები?

ბიბლიოგრაფია

- A Common European Framework of reference for Languages: Learning, teaching, assessment
Council of Europe (2001) Cambridge University Press.
- Council for Cultural Co-operation (Eds) 1992. Transparency and coherence in language learning
in Europe. Report on the Rushlikon Symposium.
Council of Europe
- HOPKINS, A AND POTTER, J. 1994. Look Ahead 1, Classroom Course, Longman.
- SCRIVENER, J. 1994. Learning Teaching. Heinemann.
- SWALES, J. 1990. Genre Analysis. Cambridge University Press.
- UR, P.1996. A Course in Language Teaching. Cambridge University press.
- VAN EK, JA, AND TRIM , JLM. 1991. Waystage 1990. Council of Europe.
- VAN EK, JA, AND TRIM, JLM 1991. Threshold Level 1990. Council of Europe.
- WILLIS, J 1996. A Framework for Task-based Learning. Longman.